III

Г1+ГФ
899. 962. 1 — 93+899. 962. 1 — 34+398. 2 (47. 922)
ხ 209

სარედაქციო კოლეგია:

ხუტა ბერულავა, ელენე ვირსალაძე,
ქსენია სიხარულიძე, ალექსანდრე ღლონტი,
მიხეილ ჩიქოვანი

ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
ელენე ვირსალაძემ

მხატვრობა ელგუჯა ამაშუკელისა

წინასიტყვაობა

ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ეპოსი მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. პროზაული თქმულებანი, გადმოცემები, ლეგენდები, მითოლოგიური, საგმირო, რომანული თუ ისტორიული ხასიათის დიდი ეპიკური ციკლები, ლიტერატურიდან გადმოსულ-გადაკეთებული და ზეპირად მრავალ ვარიანტად გავრცელებული ეპიკური ხასიათის ნაწარმოებნი უხვადაა წარმოდგენილი ქართულ ფოლკლორში. ხალხური ეპოსის გმირები — ღვთის ურჩი ამირანი, ნაზი, მაგრამ ამაყი და თავმოყვარე ეთერი, მგზნებარე აბესალომი, მშვენიერი ყამარი, ბრძენი როსტომი — სახალხო, საყოველთაოდ ცნობილი და საყვარელი გმირები არიან. მათი სახით ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი იდეალები, თავისი მრწამსი. მათი პირით გამოთქვა შეხედულებანი გარე სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოების შესახებ.

საქართველოს თითოეულ კუთხეს საკუთარი წვლილი და ფერები შეაქვს ეპოსში. სადაც არ უნდა იკითხოთ ამირანისა და ეთერის, ლერწამ-დარეჯანისა თუ ავთანდილის ამბავი, — ქართლსა თუ კახეთში, ხევსურეთსა თუ სვანეთში, ფშავსა თუ საინგილოში, — ყველგან ისინი ქართველი ადამიანის სულიერი სამყაროს განუყრელ ნაწილს, მის სისხლსა და ხორცს წარმოადგენენ.

ხალხურ ეპოსში ჩვენ ვერ ვიპოვით ცალკეული მთქმელის პირადი განცდების გამოხატულებას. აქ განზოგადოებული სახით არის მოცემული ჩვენი ხალხის უძველესი წარმოდგენები სამყაროს წარმოშობის, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ, ასახულია ადამიანის მზარდი თვითშეგნება, მისი ბრძოლა ბუნების ძალებთან, მოცემულია ბუნების მოვლენების ახსნისა და გააზრების პირველი ცდები, ასახულია ადამიანთა საზოგადოების განვითარების მთავარი მომენტები.

როგორც ფორმის მრავალფეროვნებითა და მხატვრული დახვეწილობით, ისე თავისი ამაღლებული იდეებით, ქართველი ხალხის ეპოსს ღირსეული ადგილი უჭირავს საკაცობრიო იდეალების ისტორიაში. იგი მრავალი ლიტერატურული, მუსიკალური, დრამატული და სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შთაგონების წყაროდ იქცა.

თავისი წარმოშობით „ამირანიანი“ მითოლოგიურ ეპოსს წარმოადგენს. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი აზროვნების ისტორიისათვის. ამირანის თქმულებებში მხატვრულად არის ასახული ჩვენი ხალხის უძველესი წარსული, ძველი რწმენა, პირველადი წარმოდგენები სამყაროს შექმნაზე. ბრძოლა ბუნების ბრმა ძალებთან, რომელთა განსახიერებას ეპოსში დევები წარმოადგენენ, ასახულია მატრიარქატის შეცვლა პატრიარქალური წყობით, რკინის დამუშავების ახალი ფორმების შემოღება — ცივი ჭედვიდან წრთობაზე გადასვლა, ღმერთების დაგმობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

ამირანი ტიტანთა მოდგმას ეკუთვნის. მასში მოკვდავი ადამიანის თვისებებთან ერთად ღვთაებრიობის ნიშნებიც არის მოცემული. „შუბლმზიანი“ ჭაბუკი ადამიანთა საკეთილდღეოდ ებრძვის დევებს, ათავისუფლებს და ქვეყანას უბრუნებს დევის მიერ შთანთქმულ მზეს, ანადგურებს ველურ ტახებს და სარეველა მცენარეებს. დასასრულ, ამირანი ცეცხლს მოიტაცებს და ცის ბატონის წინააღმდეგ მებრძოლად, ღვთის ურჩად მოგვევლინება.

საუკუნეთა მანძილზე ქართველი ადამიანი ამირანში ხედავდა გმირს, რომელმაც გაბედა ყოვლისშემძლე ღვთაებასთან შებრძოლება, მის წინააღმდეგ ხმის ამაღლება. ამირანის სახეში ხალხი აქსოვდა ადამიანური ძალების ზრდისა და განმტკიცების რწმენას.

ძველი მითიური რწმენისა და წარმოდგენების გადაშენებასთან ერთად, ეპოსის გმირებიც და ეპოსში მოთხრობილი სიტუაციებიც კარგავენ მითიურ ელფერს. ახალი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შესაბამისად იზრდება ეპოსის საგმირო ელემენტები. ცის ბატონთან მებრძოლი გმირი, რომელიც ცაზე ჯაჭვით ჩამოკიდებულ ცის ბატონის ასულს იტაცებდა, ახლა იქცევა ჩვეულებრივ გმირად, ფალავნად, რაინდად, რომელიც რაინდულ თავგადასავალთა საძებრად მოგზაურობს და მოიტაცებს კოშკში მჯდომ ლამაზ ასულს. თანდათან ეპოსში იჭრება სოციალური კონფლიქტი, აისახება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა. ამ საფეხურზე უცხო დამპყრობლებს ხშირად ხალხი წარმოიდგენდა იმავე დევების სახით, რომელთაც გმირი თავისი ქვეყნის მძიმე ხარკისაგან გასათავისუფლებლად ებრძვის.

სულ სხვა სამყარო და სოციალური ურთიერთობანია ასახული „ეთერიანში“. ეს არის რომანტიული ეპოსი, სადაც გადმოცემულია სხვადასხვა წრის წარმომადგენელთა: გლეხი ქალისა და „დიდი დიდებული“ ბატონიშვილის სიყვარულის ტრაგიკული ამბავი. მიუხედავად ზოგიერთი უძველესი ზღაპრული მოტივისა, ეს ეპოსი რეალისტურია და მისი გმირებიც მეტად ინდივიდუალიზებულ მხატვრულ სახეებს ქმნიან.

ამირანის თქმულებასთან შედარებით, „აბესალომისა და ეთერის ამბავი“ ბევრად უფრო გვიანდელი წარმოშობისაა. მასში ასახული ბატონყმური ურთიერთობა ადრინდელი ფეოდალური საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს უნდა გამოხატავდეს. აბესალომი ქვეყნის ბატონია, მაგრამ მასში ჯერ კიდევ არ იგრძნობა თვითმპყრობელი მეფის ძლიერება, ქვეშევრდომებთან მის ურთიერთობას ჯერ პატრიარქალურ-ფეოდალურ ურთიერთობათა იერი აქვს შერჩენილი.

ქართველმა ერმა ადრიდანვე შექმნა უმდიდრესი ლიტერატურა, რომელსაც ჩვენდა საამაყოდ ხალხის სულიერ სამყაროსთან კავშირი არასოდეს არ გაუწყვეტია. „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური შემოქმედნი უხვად სარგებლობდნენ ფოლკლორის ულეველი საგანძურით. ხალხში ზეპირი გავრცელების შედეგად შეიქმნა ლიტერატურულ ძეგლთა ხალხური ვერსიების მრავალრიცხოვანი ვარიანტები. შოთას „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირი ვარიანტების გვერდით ჩვენს ხალხში საუკუნეთა მანძილზე არსებობდა „ტარიელის ამბავი“, სადაც მეტად თავისებურად, „ვეფხისტყაოსნისაგან“ განსხვავებული ლექსით, გადმოცემული იყო ტარიელისა და ლერწამ-დარეჯანის, ავთანდილისა და თინათინის თავგადასავალი.

„შაჰ-ნამეს“ ხალხურ ვერსიათა შორის განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება „როსტომიანი“. როგორც ჩანს, „როსტომიანის“ სიუჟეტი, განსაკუთრებით კი მამა-შვილის ბრძოლის ამბავი, ადრევე, ჯერ კიდევ „შაჰ-ნამეს“ ქართულ ენაზე თარგმნამდე, ზეპირი გზით ყოფილა ცნობილი საქართველოში.

ქართული ეპოსის ფორმისათვის დამახასიათებელია პროზისა და ლექსის მონაცვლეობა. გალექსილი სახით უმეტესად დიალოგებია წარმოდგენილი. ეპოსის ცალკეულ ნაწყვეტებს ჩვენში მღერიდნენ და ფერხულშიაც ასრულებდნენ. ზოგიერთ კუთხეში დღესაც შემორჩენილია ამგვარი შერეული, თხრობითა და სიმღერით შესრულების კვალი.

წინამდებარე კრებულის მეორე ნაწილს წარმოადგენს მცირე ზომის ხალხური ლეგენდები, თქმულებები და გადმოცემები. ეს მასალა რამდენიმე თემად დავაჯგუფეთ. პირველ ჯგუფში, რომელსაც სახელად „სამშობლოსათვის“ დაერქვა, შესულია თქმულებები და გადმოცემები ჩვენი ქვეყნის წარსულის, გარეშე მტერთაგან მისი დაცვის, მისი ღირსებისა და ძლიერებისათვის ბრძოლის თემებზე.

ჯგუფი „თავისუფლებისათვის“ აერთიანებს თქმულებებს, სადაც აისახა ხალხის ბრძოლა სოციალური უფლებებისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ცალკეა გამოყოფილი თქმულებები „შრომისა და მშენებლობის“ თემებზე. ჯგუფში „ასე

სწამდათ ძველად“ —გაერთიანებულია ლეგენდები, რომლებშიაც აღიბეჭდა ჩვენი ხალხის ძველი რწმენა, ცრუმორწმუნეობანი. დალი, დევები, ოჩოკოჩი, ალი, ტყის ქალი და სხვა ამგვარი, ამ ჯგუფის თქმულებათა პერსონაჟებია.

„სიყვარული და რაინდობა“ აერთიანებს თქმულებებს, სადაც აისახა ქალისადმი დამოკიდებულება, მეგობრობა, დაძმობილება, რაინდული კოდექსი და სხვა.

ეთიოლოგიური, ტოპონიმიკური და კოსმოგონური ლეგენდებია გაერთიანებული ჯგუფში „რატომ და როგორ?“, სადაც მოცემულია ბუნების მოვლენათა ახსნა და ტოპონიმიკურ სახელთა ხალხური გააზრებანი.

ბოლოს მოქცეულია ჯგუფი „თურმე“, სადაც ჩვენი წარსულის მრავალი ცალკეული, საინტერესო მომენტია აღბეჭდილი.

დიდი ეპიკური ციკლების გამოქვეყნებისას ჩვენ არ ვკმაყოფილდებით ერთი კუთხის ვარიანტით, არამედ ძირითადი, პოეტურად და შინაარსობლივად მნიშვნელოვანი ვერსიები მოგვყავს.

თქმულებათა ტექსტების ენა მეტნაკლებად ლიტერატურულად დამუშავებულია. თქმულებათა ენის დამუშავებას მოითხოვდა მასალის დიდი სიჭრელე. ამ ტომში გაერთიანებული ტექსტების ნაწილი ქართულ პერიოდიკიდან არის ამოკრებილი და ადრევე ყოფილა დამუშავებული გამომქვეყნებელთა მიერ. ზოგი გადმოქართულებულია სვანური და მეგრული ენებიდან. ეს წიგნი, პირველ რიგში, ახალგაზრდობისათვის და საერთოდ ფართო მკითხველისათვის არის გამიზნული. ამიტომ საჭიროდ ვცანით პროზაული ნაწილის ლიტერატურული ნორმებით გამართვა, თუმცა შეძლებისდაგვარად ვცდილობდით ტექსტებისათვის კუთხური იერიც შეგვენარჩუნებინა.

თქმულებათა შინაარსი ხელუხლებლად არის დატოვებული; ზოგ შემთხვევაში სიუჟეტი გამართული და შევსებულია სხვა ვარიანტული ჩანაწერების მიხედვით. ყოველ კერძო შემთხვევაში სათანადო ჩანაწერები და წყაროები მითითებულია.

წინამდებარე ტომი ქართულ ენაზე ხალხური თქმულებებისა და ლეგენდების კრებულის პირველ გამოცემას წარმოადგენს. აქ შერჩეულია ტექსტები ჩვენი ფოლკლორული არქივებიდან თუ პერიოდული გამოცემებიდან. როგორც პირველი ცდა, ის ალბათ არ იქნება დაზღვეული გარკვეული ხარვეზებისაგან. მაინც გვგონია, რომ ამ სახითაც ეს კრებული საინტერესო იქნება ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის და სამსახურს გაუწევს ქართული ეპოსის მეცნიერული შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტებსაც.



თქმულებანი ამირანზე

ამგავი ბადრისა, უსიპისა და ამირანისა

(ფშავური ვერსია)

ბადრის, უსიპის ამბავი მალი-მალ მოგეგონებათ.
გიამბობთ ამირანისას,- თუ ზღაპრად მოგეწონებათ...

(ხალხში დარჩენილი მოძახილი)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი კაცი, სახელად სულკალმახი. სულკალმახს სამი ვაჟი ჰყავდა: უფროსი ბადრი, შუათანა უსიპი და უმცროსი ამირანი. სულკალმახის ცოლს, დარეჯანს, ამირანი სულ ბოლო დროს, სიბერეში ეყოლა. დარეჯანს ძალიან უყვარდა თავისი უმცროსი ვაჟი ამირანი და ამიტომ ამირანს დარეჯანის საკუთარ ძეს ეძახდნენ. სულკალმახი მოხუცებული იყო და ეშინოდა, მე რომ მოვკვდე ამირანს არავინ გაზრდისო. ამირანი უნდოდათ მდიდარი კაცისათვის მოენათვლინებინათ, რომ სულკალმახის სიკვდილის შემდეგ ნათლიას წაეყვანა და გამოეზარდა. დაიპატიჟეს კიდეც ნათლიად მდიდარი კაცი, მაგრამ ნათლობის დროს სულკალმახის სახლში გლახად ჩაცმული ქრისტე ღმერთი მივიდა და სთხოვა სულკალმახს: შენი შვილი მე უნდა მომანათვლინოო. სულკალმახმაც უარი ვეღარ უთხრა და მოანათვლინა შვილი. ქრისტე ღმერთმა ამირანს დაანათლა: დაქანებული ზვავის შეუდრეკლობა, თორმეტ-

უღელა ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი, ბალღობით სისაწყლე და სიბეჩავე, ვაჟკაცობაში — ომი და ჭირსახდელი.

მართლაც, დიდხანს არ გაუვლია, რომ სულკალმახი მოკვდა. იმის მტრებს, დევებს, დრო მიეცათ ჯავრის ამოყრისა. დაეცნენ ობლების სახლ-კარს და სულ ცეცხლის ალი აჰხვიეს, ააოხრეს და დაბუნდოვეს.[1] დევების დაშინებული ძმები სულ გადაიკარგნენ, გაწირეს თავისი ქვეყანა:

ბადრი, უსიპი, ამირან ობლები მოვიზარდენით,
დევების დაშინებულნი ჩაბალხეთს ჩავიყარენით.

მოკვდა დარეჯანიც. შვილებს დაუბარა: შვილებო, დევებს მოერიდეთო. მაგრამ გზაზე ქვას ვინ აარიდებდა მუდამ ფეხს! ბევრი ბეჩარბა გამოიარეს ძმებმა, სულ ცის ქვეშ აღამებდნენ და ათენებდნენ. კერა-ნაცარი ენატრებოდათ:

ბადრი, უსიპი, ამირან ობლები მოვიყარენით,
ღველფ არ გვინახავ, კერაი, საჩალეს მოვიზარდენით.
ვინაც კარგ გვიყვა ობოლთა, მუშაში დავეტანენით,
ვინაც ავ გვიყვა ობოლთა, იმას შინ შავეტანენით.
დედამ დარეჯანმ გვიბარა: დევებს ნუ შეეყრებითო,
თუ შეეყარნეთ დევებსა, ადვილ ნუ გეეყრებითო!
სამნი ჩვენ, სამას დევები ჩაბალხეთს შევიყარენით,
თავს მოვხვდით ბალხის კარავსა, ბოლოში გავიყარენით,
ომისა ვერა გავიგეთ, ფარის ქვეშ მოვიმალენით.
დავსხედით ღვინის სმაზედა, ზოგ დევნიც დავიტანენით,
ვინაც სვა ღვინო ჩვენთანა, ძმებურად გავიყარენით,
ვინაც არა სვა ღვინოი, დავკარით, არ ვიწყალენით,
დევებ ხო არა ყოფილან[2], სულ ხმალ ქვეშ მოვატარენით!

გავიდა ხანი. გაიზარდა ამირანი, ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უმძიმდა იმისი ტარება. უსიპი და ბადრი მშვენივრები იყვნენ:

ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმა-ჭამა ეყოფა,
სადილად ბუღა კამეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა.
ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა,
უსიპი — ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა,
ამირან — შავსა ღრუბელსა, საავდროდ დამზადებულსა.

---

[1] დაანგრიეს.

[2] დევებს არაფერი შესძლებიათ.

ერთხელ ამირანი და იმისი ძმები სანადიროდ იყვნენ. ცხრა მთა გადინადირეს, ვერაფერი მოკლეს, სულიერს არ შეხვედრიან. გადავიდნენ მეათე მთაზე და გაინადირეს. უცებ უზარმაზარი ტანისა და უზარმაზარრქიანი ხარირემი გამოუხტათ. გაიწყო ირემმა რქები ზურგზე და ჰერი! ესროლა ამირანმა და დაჭრა:

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი, მეათენი ალგეთისნი,
ბინდორს კვალი მაუკვლიეს, დანაჭლიკნი ეშმაკისნი,
მთას ირემი წამოუხტათ, ოქრო იყო რქანი მისნი.
უცხოს მთაზე კოშკი ნახეს, ანაგები ბროლის ქვისი,
მაუარეს გარემურგვალთ, ვერ იპოვეს კარი მისი.
სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა — მუხლი
მგლისი,
კოშკმა პირი იქ გააღო, იქ შეება კარი მისი.
კოშკში ლომი წოლილიყო, მამრევ არვინ იყო მისი,
იმას თავით რაში ება, ტოტით მიწას სთხრიდა ისი,
მარცხნივ რო შუბი ეყუდა, წვერი ცასა ჰხევდა მისი,
მარჯვნივ ედო თავის ხმალი, პირი ჰქონდა ალმასისი.
ერთ კუთხეში — ოქრო-ვერცხლი ნაგროვები ცამცუმისა,
გვერდით ეჯდა თავის დედა, ცრემლად დასტიროდა
შვილსა,
თავით ერთი ქალი ეჯდა, ზღვას ერევა ცრემლი მისა,
თითებსა და თითებს შუა წიგნი ჰქონდა ქაღალდისა.
წაიკითხეს, შიგ ეწერა: დისწული ვარ უსიპისა,
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შევჭამე ჯავრი სხვისა,
მოვკვდი, მხოლოდ ჯავრი გამყვა ერთის დევის
ბაყბაყისა;
ვინაც მაჰკლავს ბაყბაყანსა, ჩემი შუბი ალალ მისა,
ვინც დედ-მამას დამიმარხავს, ჩემი კოშკი ალალ მისა,
ვინაც მაჰკლავს ბაყბაყანსა, ჩემი შუბი ალალ მისა,
ვინც მე მამივლის, დამმარხავს, ცოლიც, რაშიც ალალ
მისა!

ამირანმა წიგნი რომ წაიკითხა უთხრა ძმებსა: ხომ მოვკლავთ და მოვკლავთ იმ ბაყბაყდევს და ბარემ ეს სარჩოც წავიღოთ და ეს ქალი და რაშიც წავიყვანოთ, მაინც ხომ ანდერძიც ასეაო.

ძმებმა დაუშალეს, სირცხვილია, ვინ რას იტყვისო:

ნუ, ამირან, ძმათა მზესა, ნურა გინდა ნურავისი,
გამოდი და გამოხურე საყდარი და კარი მისი,

თორემ გმირნი დაგვძრახავენ: მკვდარი გაუძარცვავ
სხვისი!

მკვდარს მოუარეს, დამარხეს, გამოხურეს კოშკის კარი და წავიდნენ ბაყბაყდევის საძებნელად. ამირანს ომი სწყუროდა: დიდი ხანი იყო გასული, რაც თავი არ ეცადა.

მართლაც, გზაზე ბაყბაყდევი შემოჰხვდათ: გაეგო, ცამცუმი მომკვდარაო და მოდიოდა მის შესაჭმელად. ამირანმა შეუტია დევს:

— სად მიდიხარ, შე აყროლებულო, საითკენ მიეჩქარებიო?

— უსიპის ძმისწული, ცამცუმი, მომკვდარა და იმის მძორის საჭმელად მივალო, — უპასუხა დევმა.

ამირან. დევი ბაყბაყი ჩასაუბრობენ მტრულადა,
ომალზე ხელი აქვს ამირანს, ცხარე ომი აქვს გულადა.

— შენ ქრისტიან კაცს არვინ შეგაჭმევსო, — უთხრა ამირანმა,— ტყუილად მიხვალ და მიეხეტებიო.

— მაშ, შენ დამიჭერ გზასაო? — უპასუხა ბაყბაყანმა დაცინვით.

ეძგერა ამირანი და დაიწყეს ცხარე ომი.

დევი და ამირან შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა, ადგილი შეჰხვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა დააწყებინა ღრიალი.

დევი შეშინდა და შეევედრა:

ნუ მომკლავ დარეჯანის ძევ, ხელი გაფიცო ხმლიანი,
მანდილი დედიშენისა, თაკლაი[1] ოქროიანი.
ზღვას გაღმა ქალი გასწავლო, სახელად ყამარ ჰქვიანი.
საყამაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი,
შვიდ კვერეული საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი,
წასვლა ადვილი იქნება, მოსვლა გახდება გვიანი,
მოყვარული ხარ ომისა, გზა იქ გექნება მტრიანი.
თან შიკრიკს გამოგაყოლებ, ვაჟია ღალატიანი.

ამირანს უნდოდა ისევ ცოცხალი გაეშვა ბაყბაყდევი, მაგრამ ძმებმა უთხრეს: თუ არ მოკლავ, ცუდს საქმეს გიზამს, დევი არ დაიზავებაო.

---

[1] მანდილის ბოლო, ფუნჯებითა და სამკაულებით მორთული.

ბაყბაყდევი სამთავა იყო. ამირანმა უსმინა ძმებს, ორი თავი მოსჭრა და მესამესაც რომ დაუპირა მოჭრა, ბაყბაყდევმა სთხოვა: ხომ მკლავ და ჩემი თხოვნა არ შეისმინე, ეს მაინც ამისრულე, ჩემი თავიდან სამი ჭია ამოძვრება და იმათ ნუ დახოცავო.

მოსჭრა ამირანმა მესამე თავიც. ბაყბაყდევის თავებიდან მართლა სამი ჭია ამოძვრა.

უსიპმა უთხრა ამირანს:

— რაკი ერთი ჭირი მოიშორე თავიდან, ძმაო ამირან, ბარემ მეორეც თან გააყოლე: ეგ ჭიები სასიკეთოდ არ ამოძვრნენ დევის თავებიდან, მოდი, ეგენიც დახოცეო.

— რას ამბობო, — უპასუხა ამირანმა, — დევმა რა მიყო, ჭიები რას მიზამენო — ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო; ეს ერთი თხოვნა ხომ აგისრულე, ერთიც დევისათვის ამისრულებიაო.

არ დახოცა ჭიები, გაანება თავი.

— მაშ, რაც იმ ჭიებმა გიყონ, მე უბრალო ვიყოო, — მოიხადა ბრალი უსიპმა.

რაკი ბაყბაყდევი მოკლეს და მოიშორეს, ამირანმა უთხრა ბაყბაყანის მოცემულ შიკრიკს: აბა, შიკრიკო, გვასწავლე გზა ყამარისკენ სავალი, აჩქარდი, ფეხი ააჩქარეო.

გაუძღვა შიკრიკი, ბევრი ატარა. იარეს მრავალი დღე და ღამე, მაგრამ შიკრიკი ერთ გზაზე რომ გამოატარებდა ძმებს, დააბრუნებდა სხვა გზით და იმაზედვე წაიყვანდა. უნდოდა იმათთვის გზის არევა და მათი დახოცვა. უსიპმა შეატყო შიკრიკს ღალატი და გავლისას ერთ კუნძს ისარი დაჰკრა.

მართლაც, მეორე დღეს შიკრიკმა იმაზედვე გაატარა. უსიპმა თავისი ისარი დაინახა. აემღვრა სისხლი, გაუშვირა ხელი ამირანს ნაისრალი კუნძისაკენ და უთხრა:

ვერ გაგიგია, ამირან, არგამარჯვების ნიშანი,
მესამედ იქვე მოვედით, გუშინ რომ დავკარ ისარი.

ამირანი გაჯავრდა და შიკრიკს შეუტია:

შიკრიკო, გზანი გაიხვენ, თუ არ ხარ თავის მისანი,
თორო აგიღე, გაგთალე, რო საკიდობნე ფიცარი!

გაუძღვა შიკრიკი ძმებს და გაიყვანა ერთ ტრიალ მინდორზე. გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ის სამი ჭია, ბაყბაყდევის თავებიდან რომ ამოცოცდნენ, გველვეშაპებად ქცეულიყვნენ. ერთი ოეთრი იყო, ერთი — წითელი და ერთიც — შავი.

მინდორში სამნი ჭიანი მოდიან, მოიმღერიან,
თვალს უცემს დარეჯანის ძე: მაგათთან ომი მწადიან.

ამირანმა უთხრა ძმებს: აბა, ძმებო, მეტი ღონე აღარ არის, უნდა ჰაგ გველეშაპებს შეებათო.

— თეთრი — ბადრს, წითელი — უსიპს, შავი ჩემდ გინებებიათო.

— თეთრიც შენა და წითელიც. შავიც შენ ნაგონარიაო, — უპასუხა უსიპმა, — აკი გითხარი, ინანებო; შენი გაფუჭებული საქმე შენვე გააკეთე, შენი გამრუდებული გზა შენ გაასწორეო.

— ჰაი, უსიპო, უსიპო! — უთხრა ამირანმა:

უსიპო, ჩემი სიმუხთლე სულ მუდამ გულში გდებია,
ტვინი, სადები თავშია, ჩაბალახშია გდებია.

— მაშ შენ მაინც მომეშველე, ბადრო, — შეევედრა ბადრს ამირანი. მაგრამ ბადრიც უარზე დადგა. მაშინ უთხრა ბადრს:

არა ჰყოფილხარ, ძმავ, ბადრო, ფვრი არქატი გქონია,
დაჯე და კერე ტყავები, სხვა ხელი არა გქონია!

კიდევ უთხრა უსიპს, მომეშველენითო. მაგრამ უსიპმა უარი თქვა:

შენისა ცოლის გულისთვის სულ ძმები დავილიენითო.

მაშინ ამირანი თავის აბჯარს მიუბრუნდა და უთხრა:

ჩემო ხმალო და აბჯარო, საძალედ მომეშველენითო.

დაუწყო სასტიკი ომი გველეშაპებს.

თეთრი მოკლა და წითელი, შავსა შეება მაშვრალი.

გაიხედა ამირანმა და დაინახა, ბადრი და უსიპი გადადიან მთაზე, დაუძახა:

რომელი მიხვალ მა მთასა, რომელი მიჰკეც მა გზასა:
თეთრიც მოვკალ და წითელიც, ნუღარ გადივლით მა
მთასა.

შეება შავ გველეშაპს დაღალული და დამაშვრალი:

შავმა აიღო, ჩაყლაპა, შავი ზღვისაკენ გასწია.

ჩაყლაპა შავმა და გასწია თავისი დედისაკენ. რაკი დაინახეს ძმებმა, ამირანს უჭირსო, მაშინვე გაიქცნენ ამირანის საშველად.

დაეწივნენ ქარცეცხლს, ესროლა უსიპმა ისარი და ცხრა ადლი კუდი მოსწყვიტა. ქარცეცხლს ისე მოწყვეტილი კუდი არა სტკიოდა, როგორც ჩაყლაპული ამირანი ატკიებდა მუცელს. დარეჯანის ძე ჰგლეჯდა გულ-მუცელს და იკლაკნებოდა ქარცეცხლი საშინლად.

ქარცეცხლს ერთი რკინის ბოძი ჰქონდა. როცა ვინმეს ჩაყლაპავდა, მოვიდოდა, შემოეხვეოდა იმ ბოძს, დაამტვრევდა და მოინელებდა. ახლაც ამირანის დამტვრევა უნდოდა. შემოეხვია ბოძს, მაგრამ კუდი პირამდე აღარ მოსწვდა. მივიდა დედასთან ქარცეცხლი და შესჩივლა:

— მუცელი მგვრემს, ცეცხლი მეკიდებაო.

— ვაიმე შვილო, თუ დარეჯანიანი ვინმე ჩაყლაპე, იმათ კაცს შენ ვერ მოინელებო. რა კაცი იყო, რა ფერი ჰქონდაო?

საცერივით თვალები ჰქონდა და ერთი ოქროს კბილი ედგაო.

— ამირანი ყოფილა, შვილო, დარეჯანის ძეო.

ამირანს ჯიბეში ალმასის დანა ედვა, მაგრამ არ მოაგონდა. ბოლოს უსიპმა უთხრა ბადრს: ძმაო, ჩასძახე, დანა მოაგონეო:

ჩადი, ბადრო, და ჩასძახე, ხმა შენი მშვენიერია:
მაუდის დარეჯანის ძეთ ჯიბეს ჩადება დანისა,
ამოღება და გამოჭრა მაგ შავის გველეშაპისა!

მართლაც, მოაგონდა ამირანს დანა, ამოიღო, გამოსჭრა ქარცეცხლს მუცელი და გამოვიდა, მაგრამ წვერი და თმა კი გასცვივნოდა. უსიპმა შეხედა გაქოსავებულ ამირანს და დასცინა:

ამირანი დაიბადა, გოჭსა ჰგავდა ხუხულასა[1]
წვერ-ულვაში გასცვივნოდა; ჩაეყარა ტომარასა.

ეწყინა ამირანს უსიპის სიტყვა და გაჯავრებულმა უპასუხა:

ისევ ვაჟია ამირან, გუშინ რომ ჩამოქარობდა,
არც არა ბევრი ტანთ ეცვა, არც არა მკლავთა ჰფარობდა.
კაცი გამოვა კაცობრი, წვერი არ დაეხავსოსო,
თხასაც ასხია ბალანი, მაზმანი დააფასებსო.

— შენ ძმა კია არა, ჩემი მოსისხლე მტერი, ჩემი ძირიანმთხრელი ყოფილხარო, — უთხრა ამირანმა უსიპს, — მტერიც არ მიზამდა იმას, რაც შენ მიყავიო. მუდამ ღალატობ, მუდამ ჩემი მარცხი და ღალატი გიძევს გულშიო. მტერს ვებრძოდი, არ მიშვე-

[1] გაქუცული, გატუსული.

ლე, დამანებე თავი; მტერმა ჩამყლაპა, თავი არ შეიხვიე შავით; მტერს გადაურჩი და ახლაც დამცინიო. მე არც თქვენი ძმობა მინდა და არც მტრობა. — არც მინდა შენი ლეშიო, ნურც არას შემომხვნეშიო, ამისა არ იყოს; ან მე მოგშორდებით და ან თქვენ უნდა მომშორდეთო.

— ნუ გეწყინება, ძმაო ამირან, უსიპის სიტყვები, გულად ნუ მიუშვებ, ხომ იცი, უსიპი როგორი კაცია. წვერ-ულვაშზე კი ნუ იჯავრებ, იგრი ბატონთან ჩავიდეთ, ის გაგიკეთებს, როგორიც გინდა. იგრი ცოტა ავი კაცია, იმის კარებზე რომ მიხვიდე, „იგრი ბატონო" დაუძახე, თორეშ არ გაგიკეთებსო, — დაარიგა ბადრმა ამირანი.

წავიდა ამირანი, მივიდა იგრის სახლის ბანზე და საკომიდან ჩასძახა: იგრი, იგრი, კარში გამოდიო!

იგრი ხელკვერიანი გამოუვარდა ამირანს და შეუტია:

— ვინ მოთრეულხარ, რომ „იგრი ბატონის" დაძახებასაც არ ჰკადრობ! — მერე კი იცნო, რომ ამირანი იყო და ენა ჩაუვარდა.

— რა გინდა, ამირან, ჩემი თავი რაში დაგჭირდა, მე მუდამ მზად ვარ, სამსახური აგისრულოო,—უთხრა იგრიმ დარეჯანის ძეს.

— ხომ ჰხედავ, წვერ-ულვაში გამცვივნია, შენ თუ გამიკეთებო, — უთხრა ამირანმა.

— მე ხელმწიფის ყმა ვარო, — უპასუხა იგრიმ, — და სანამ იმის ბრძანებას არ მომიტან, წვერს ვერ გაგიკეთებო.

ამირანი წავიდა ხელმწიფესთან ბრძანების მოსატანად, მაგრამ ხელმწიფემ ვერ იცნო გაქოსავებული ამირანი და დაითხოვა:

— გასწი, გაეთრიე, ვინ მოთრეულხარ, ბრძანება ვის უნდა მოგცე, მე რა ვიცი, შენ ვინა ხარო!

— თუ ნებით არ მომცემ, ძალით წავიღებო, — უთხრა ამირანმა. წასწვდა, წაჰგლიჯა თავი, გამოახვია კალთაში, წამოიღო იგრის, გაუგორა და უთხრა: ესეც შენი ბრძანება, ჩქარა საქმეს შეუდექიო!

იგრი რაღას იზამდა, მაშინვე გაუკეთა მშვენიერი წვერ-ულვაში და გაისტუმრა.

ძმები წავიდნენ ყამარის საძებნელად. ათასი თავგადასავალი გადაჰხდათ, ათასგან იომეს, დაღვარეს სისხლი. ბოლოს მოსწყინდათ სისხლის ღვრაც, გარეთ უსახლკაროდ ყოფნაც და თქვეს: რას დავდივართ ნადირებივით, დათვსაცა აქვს თავისი ბინა და ჩვენ კი, სულკალმახის შვილებს, არა გვაქვსო. ვიშოვოთ სახლი, დავბინავდეთ, ოჯახს მოვეკიდოთო.

უსიპმა ურჩია ამირანს: იქ ჩავიდეთ, გუშინ რომ ვიყავით, ქორწილი რომ ჰქონდათ დევებსაო.

აიქ ჩავიდეთ, ამირან, გუშინ რომ ქარი ხვიოდა,
დევებსა ჰქონდათ ქორწილი, სიმღერა ამოდიოდა;
შეგვიპატიჟეს, შევედით, ამირანს პური შიოდა,
დედობილების ნაცხობი ქადა კეცებში შხიოდა,
შამაშჭრეს, შამააყენეს, კაცის თავ-ფეხი დიოდა;
საღვინით ღვინო მოგვაოთვეს, შიგ გველ-ბაყაყი წიოდა,
უსმელ-უჭმელად დავძეხით, ყელშიაც ამოგვდიოდა,
ამირანს შემოვხედნოდით, ცრემლები ჩამოსდიოდა.
პატარა შვილი მამასა ლოგინით წამოჰკიოდა:
აკი მას მიქადებდია, ამირანს მოგაკვლევინებ,
ბადრისა წითელთ გალოთა[1] სადილად დაგახვრევინებ,
უსიპის ქამარ-ხანჯალსა წელზე შემოგარტყმევინებ!
მამას შვილი ჰკრა პირშია, სისხლ წავა დასაგუბარად,
წარბის თავ დაჰკრა ხანჯარი სისხლისა დასადინარად.
დევებმ დაიწყეს სიცილი ამირნის დასამშვიდარად:
ყმაწვილის საუბარზედა, ამირან, ომი გინდა რად?!
თხორს სძახდა დევების დედა, ჯარა-ხვიშტავი ხვიოდა,
ამირანს მაგათ ხუვილი ფოთვლად არ შამოსდიოდა,
ბადრი ქარს ჰგვანდა, ფურცელსა, ცაშიით ჩამოდიოდა,
უსიპს დაჰკვლევდი, დნებოდა, დაკვლევით სადამ
ჰქრებოდა!

— საჩვენო სახლი ის არიო, — უთხრა ამირანმა ძმებს, — თქვენ გამომყევით და მე ვიცი და იმ დევებმაო.

ამირანმა წაიყვანა ძმები და ცხრა ძმა დევის კარზე მიიყვანა. დევები ძალიან გახვივნებულები[2] იყვნენ, ერთი უზარმაზარი ოჯახი ჰქონდათ, უთვალავი ქალი და რძალი ჰყავდათ, ბალღები და მოხუცებულები. მუდამდღე აუღებელი სუფრა ედგათ, არც მუშაობდნენ და უქმად ეყარნენ.

ამირანი მივიდა დევების კარზე. ერთმა ქალმა დაინახა და დევებს უთხრა: აქ ვიღაც კაცი მოსულა, კარზე დასეირნობს და აინუნშიაც არ აგდებს, თუ თქვენ აქა ხართო.

---

1 ფეხებს.
2 მდიდარი, გამრავლებული.

დევებმა თქვეს: ის თუ იქნება, დარეჯანის ძე იქნება, სხვა აქ ვერავინ მოვიდოდაო.

გამოგზავნეს ერთი ქალი და უთხრეს: გადი, გაუარ-გამოუარე, გაუცინე და ეგები იმანაც გაგიცინოს. თუ ოქროს კბილი გამოუჩნდა, შემოდი, შეგვატყობინე, თადარიგი უნდა დავიჭიროთ, თორემ დარეჯანის ძე ადვილი სასტუმრო არ არისო.

გამოვიდა დევის ქალი, გაუვლის და გამოუვლის ამირანს, გაუვლის და გაუცინებს. ამირანმა უთხრა:

რას მიცინი, დევის ქალო, რას მიელვი თეთრსა პირსა,
გამივლი და გამომივლი, გამისინჯავ ბაგე-კბილსა?
სომეხი ვარ, ტანტრე მქვიან, დავკარგე და ვეძებ ვირსა,
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვნი, ჩემი ბედიც ასე სჭრისა.

ქალი შევიდა შინ და მოახსენა დევებს, რომ ოქროს კბილი აქვს ამ კაცს, საცრის ოდენა თვალები, ვირები დაუკარგავს და იმათ ეძებსო.

სანამ ქალი ლაპარაკს გაათავებდა და დევები იარაღს აისხამდნენ, ამირანი შეუვარდა დევებს და წაიკაფავა:

ვაქოკაცო გულოვანო, ღვინის ფერო, მცინარეო,
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი წინარეო.

დაერია თავისი მოკლე ხმლით და სულ ერთიან ამოჟლიტა. დევების სისხლით სახლი ჭერამდე აივსო. სისხლის გუბე ყელამდე მოადგა ამირანს, შეიკრა, შეკუთდა[1] და დაახრჩობდა კიდეც, რომ ბედისაგან განწირული ყოფილიყო. ამირანი ამ ყოფაში იყო, მიიწმოიწია, მისძრა-მოსძრა სისხლის ტბა, მაგრამ, აბა, შველა აღარსაით იყო. თავისი ნახოცი დევების სისხლში იხრჩობოდა ამირანი. მოაგონდა ყამარი, დაენანა თავი და თქვა:

მოვღალე გმირის მარჯვენა ამდენი ომში ქნევითა,
ჯაჭვის კალთები დამაცვდა ამდენი სისხლში რევითა.
ვაიმე, ჩემო ყამარო, ვერ გავძეხ შენის ხვევნითა.

ბედად, სისხლში ერთი დაჭრილი დევი ფართხალობდა ამირანის ახლოს. ამირანი დასწვდა დევს, ესროლა კარს და გაამტვრია. სისხლმა ერთი დაიჭექა და ბურთივით გამოვარდა გარეთ. ამირანს რაკი მოშორდა სისხლი, მხრები გაიწია, გაიბერტყა და თავისუფლად ამოისუნთქა.

[1] შედედდა.

ძმებმა გაწმინდეს სახლი, მიალაგ-მოალაგეს, მოაწყვეს და დაიწყეს შიგ ცხოვრება. მაგრამ ამირანს დიდხანს ვერ დაუდგა გული სახლში, იმას თავისი ყამარი ელანდებოდა სიზმარშიაც და ცხადადაც. ბადრს თეთრონი სთხოვა: უნდა მათხოვო შენი თეთრონი, ყამარის წამოსაყვანად წავალ; თქვენ თუ წამოხვალთ და ასეთ სიკეთეს მიზამთ, ზღვის გამოღმა მოვიცადეთ, ზღვას გავალ და მე მოვიყვანო:

ბადრო, მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნგრევითა,
გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი მზე ვითა,
თან ყურძენ გამოვიყოლო, ტკბილია დედის რძე ვითა.

ათხოვა ბადრმა თეთრონი, ძმებიც გაჰყვნენ და წავიდნენ ყამარის მოსაყვანად. ამირანმა ძმები ზღვის გამოღმა დასტოვა, თვითონ კი თეთრონზე შეჯდა და შევიდა ზღვაში, გააპო ზღვა, გავიდა გაღმა და გაეშურა ყამარისაკენ. გაიარა გზა და ყამარის კოშკს მიადგა.

ყამარს დედ-მამა ცაში ჰყოლოდა, თვითონ მარტოკა იყო, სარკმელთან იჯდა და ჭურჭელს რეცხდა. მივიდა ამირანი ფანჯარასთან და შესძახა:

— ჩამოდი, ყამარო, ჩვენსა წავიდეთო!

— ამოდი, ცოტა შეისვენე, მეც ჯამ-ჭურჭელს დავრეცხავ და მერე წავიდეთო, — ჩამოსძახა ყამარმა.

ამირანმა დაბა რაში ძირს და თვითონ ყამართან ავიდა. ყამარმა დარეცხა ჯამები და ამირანს უთხრა: შენ კი დააწყვე, ფრთხილად დაალაგე, არაფერი არ გასტეხოო.

აწყობს ამირანი ჯამებს და ერთი ჯამი, რამდენჯერაც პირქვე დასდგამს, იმდენჯერ გადმობრუნდება გულღმა. გაბრაზდა ამირანი, დასცა წიხლი ურჩ ჯამს და დაამსხვრია. გატყდა თუ არა ჯამი, მთელმა მთელს უთხრა, ნატეხმა ნატეხს, დადგა ერთი ერიამული და ხმაურობა, აიშალა ჭურჭელი და სულ ერთიან გასწია ცისაკენ, ყამარის მამისაკენ: ყამარი მოიტაცეს, დაგვეკარგა, მიეშველეთ, მდევარი, მდევარიო!

ყამარმა უთხრა ამირანს: ის ჭურჭელი ჩვენ კარგს არ დაგვაყრის, მამაჩემი გამოგვიდგება, ადვილად ვერ გადავურჩებით, თუ ჩქარა არ წავედითო.

შემოისვა თეთრონზე ყამარი ამირანმა და გაქუსლა.

ცოტა გზა რომ გაიარეს, საშინელი ქარი ამოვარდა, გრიგალი ატყდა. ამირანმა აიხედა მაღლა და თქვა: ამ ცაში კი არაფერი ნიშნებია და ამ მიწის პირზე რაღა ამბავიაო.

კარგ- გზა გაიარეს და დაუშვა წვიმამაც. ამირანმა კიდევ აიხედა ცაში და თქვა:

— დიდება შენთვის, ღმერთო, წელან ცა ვათვალიერე, საავდრო არ იყო და ახლა საიდან მოვიდა წვიმაო.

— ეგ ქარი მამაჩემის ლაშქრის ფეხის მტვერიაო, — უპასუხა ყამარმა, — ეს წვიმა კიდევ დედაჩემის ცრემლია, ჩემს დაკარგვასა ტირისო. აჩქარდი, ამირან, აჩქარდიო, — დააჩქარა ყამარმა:

ამირან, გვალე-გვალესა, მუხლად გაქებენ მალესა.
ამბრნი, უბრნი და არაბნი ცხენს შესხდებიან ჩქარესა,
მალედვე მოგვეწევიან, ომს გაგიწევენ ცხარესა.

ამირანმა დაამშვიდა ყამარი:

ამოდ იარე, ყამარო, გზათა ვერ დაჰლევ რბოლითა;
არცა ვარ ტყისა ხოხობი, მომინადირონ ქორითა,
არცა ვარ ჭალის კურდღელი, რომ დამიჭირონ
მწევრითა, —
არცა ვარ ხისა ფურცელი, გადამიტანონ ქარითა!
მოვლენ და მეც აქ დავხვდები ამ ჩემის გორდა
ხმალითა.
უსიპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა.
სუყველას თავებს დაგიჭრი საპურყველია დანითა...
იმ მამიშენის ლაშქარსა, გაუმაძღარსა ღამითა,
მარტო გავუხდი ჩხუბადა, მარტო ვეყოფი ომითა!

გამოვიდა ამირანი ზღვას, გამოიყვანა ყამარიც, მოდგა და მოდგა მდევარი ჯარიც ყამარის მამის ხომალდებით, გაივსო ზღვის მიდამო, ბადრს უთხრა ამირანმა: შეკაზმე, ძმაო, შენი თეთრონი, შეჯექ, ჩადი და, აბა, რამდენი ხანი მოგელევა ლაშქრის შემოვლაშიო.

ბადრის თეთრონი ისეთი იყო, რომ ერთი წლის სავალს ერთ საათში გაირბენდა, ზღვა და ხმელი იმისთვის ერთი იყო. ადგა ბადრი, შეკაზმა თავისი თეთრონი, შეჯდა და ჩავიდა. დაარჭო ერთ ადგილს ისარი, რომ იქვე მოსულიყო, გააქცია ცხენი, მაგრამ ეშ-მაკებმა მოგლიჯეს ისარი და უკან გამოუდგნენ ბადრს (ყამარის მამის ლაშქარი სულ ქაჯებისა და ეშმაკებისაგან იყო შემდგარი). არბინა ბადრმა დიდხანს თავისი თეთრონი, მაგრამ ისართან მაინც ვერ მივიდა. ბოლოს დაბრუნდა ამირანთან და უთხრა:

ცხრა დღე მივლია, ცხრა ღამე, გარსა ვერ მომირბენია,
ამ ჩემი თეთრონისთვინა ოფლი არ შემიშრენია,
ამ ჩემი მათრახისთვინა ფოჩი არ შემირჩენია.

მერე შეჯდა ამირანი და ჩავიდა ჯარის დასათვალიერებლად. დაარჭო ისარი და გააფრინა თეთრონი. მოცვივდნენ ეშმაკუნები, დაებღაუჭნენ დარეჯანის ძის დასმულ ისარს, მაგრამ ვერ ამოაძრეს. შემოურბინა ამირანმა ლაშქარს ერთ წამიერ ხანს და მოვიდა ძმებთან. უსიპს უთხრა: ჩადი, უსიპ, იომე, მერე ჩვენც მოგეშველებითო.

ჩავიდა ვაჟი უსიპი, ჩავიდა სახელიანი, ჩავიდა და ჩაზომა სალაშქრო გზები, შეუტია ჯარს, იომა, იბრძოლა, გაანახევრა ჯარი, მაგრამ თვითონაც იქ დადო ვაჟკაცურად თავი. მოკლეს უსიპი. ამირანს გულმა გაუგო, უსიპის თავს ჭირიაო, და ბადრს უთხრა:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ, ან გამილესე ხმალია,
ჩავალ და ვეღარ ამოვალ, ვაიმე, შენი ბრალია!

ამირანის წესი იყო, სადაც ომში ჩავიდოდა, ან გაიმარჯვებდა და ან მოკვდებოდა. „სირცხვილიანის შინ მისვლას, სიკვდილ სჯობს სახელიანიო“, იტყოდა ამირანი. კიდევ უთხრა ბადრს:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ, მე შემიკაზმე შენ ცხენი,
უსიპის მუზარადისა აღარ ამოდის ნაცხერი[1].

შეჯდა ახლა ბადრი და ჩავიდა ძმის სისხლის საძებრად. იომა ბადრმაც, მაგრამ მოჰკლეს ისიც. მაშინ ყამარმა უთხრა ამირანს:

— შენი აბჯარი მე მომეცი, მე ჩავალ საომრადაო.

— რას ამბობო, — გაუჯავრდა ამირანი, — დედაკაცებს თქვენი საქმე ნუ გავიწყდებათ, რა შენი საქმეა ხმალი, ხმლიანი მე ვარ, მე ჩავალ. ეგ რა სახელია ჩემთვის, რომ შენ იომო და მე აქედან გიცქეროდეო.

— მაშ თუ ჩახვალო, — უთხრა ყამარმა, — არ დაიშალო, ეს მაინც ამისრულე: ომიდან რომ გამოდიოდე, ხმალს ნუ ჩააგებ, ჩემთან ხმლით ამოდიო.

ჩავიდა ამირანი საომრად, გაუსვა და გამოუსვა სიმამრის ლაშქარს, სჭრა ცხვრებივით თავები, გაწყვიტა მთელი ლაშქარი და შეხვდა ბოლოს პირისპირ სიმამრს. შეუტიეს ერთმანეთს ამირანმა და ყამარის მამამ. სცეს ერთურთს ხმალი, ფარი უფარეს. ორივეს ბექთარი ეცვა, ვერც ერთის ხმალი ვერა სჭრიდა ჯაჭვს. ამირანის ხმალი ყამარის მამის მუზარადს რომ მოხვდებოდა, ნაპერწკლის ცეცხლი ენთებოდა. ყამარის მამის ხმალი ამირანის ბექთარს რომ

---

[1] ნამტვრევი.

მოხვდებოდა, ჯაჭვი გველივით წიოდა. უცქეროდა ყამარი დიდხანს ამირანის და მამის ბრძოლას, ხედავდა, რომ ამირანს გაუჭირდებოდა და უჭირდა კიდეც ქაჯთ ბატონის მოკვლა, შეუშფოთდა გული და დაჰგმო ამირანი:

ამირან, ცოლ-დედა მკვდარო, ომი ვერ იცი კილოსა,
მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა,
დააწყდებიან ძარღვები, დაეცემიან ძიროსა:
ბოძნი რომ დაეჭრებიან, დარბაზნი დაეცემიან!

გაიგონა ქალის სიტყვები ყამარის მამამ, გული აემღვრა და დაუძახა ყამარს:

უყურეთ, ბრიყვსა ქალასა, ქმარი ირჩია მამასა!
ქმარი ხეს ასხავ ფოთლადა, მამას ვინ მისცემს საწყალსა?
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწუებდა ძუძუსა. გირწევდა აკავანასა?

დედაშენს რომ შობამდე გასწყალებოდი მუცელში, ან ძაღლი ეშობა და გაეზარდა შენ მაგიერ, ისა სჯობდა შენს გაჩენასა და გაზრდასა. ძაღლი უფრო ნამუსიანი და ერთგული იქნებოდაო.

ყამარმა უპასუხა:

არცრა გამზარდა დედამა, არცრას მეტყოდა ნანასა,
მიმაგდის სახლის ყურეში თაგვების ანაბარასა...
არცარას მათირებდოდით, არცრას მეტყოდით ნანასა,
დამსომდით, დავიწყებულსა მაღირებდოდით დანასა!

მაგას გაზრდას ეძახით, რომ ერთხელაც არ მოიბრუნებდით თავს, ტირილით რომ მოვმკვდარიყავიო.

ამირანმა გაიგონა ცოლის სიტყვები, შემოჰკრა ქაჯთ ბატონს ფეხებში ხმალი და დასჭრა. მოკლა სიმამრიც და გამარჯვებული მიდიოდა ყამართან. წინ ერთი ქაჯი შეხვდა, ნახა ხმალამოღებული ამირანი და უთხრა:

ნეტა ხმლიანი სად მიხვალ, ამირან თარაქამაო,
გასწყვიტე ცოლეურები, ვინ გითხრა ბარაქალაო.

შენ რომ კაცი იყო, ხმალს ჩააგებდი და წახვიდოდი, ძმებს მოსძებნიდიო.

მოაგონდა უსიპის სიტყვა ამირანს: შენის ცოლისა გულისთვის სულ ძმები დავილიენითო. დაავიწყდა ყამარიც, თავისი თავიც და

გამარჯვებაც. გულში მარტო ძმების საგონარი ჰქონდა. — მაშ თქვენი ცოდვის მზიდველი ვიყო, თუ არ გიპოვოთ, მკვდრები იქნებით თუ ცოცხლებიო, — გაივლო გულში ამირანმა. — ცოცხლები იქნებით, მეც თქვენთან გავიხარებ, მკვდრები—და მეც თქვენთან გავითხრი სამარეს და თქვენთან მოვკვდებიო! — ესა თქვა ამირანმა და გავიდა მკვდრებით მოფენილ ველზე ძმების საძებნელად. თვალგადაუწვდენელი მინდორი დახოცილთა ლეშით იყო შერთული და შეფარული, ყვავი და ყორანი ხარობდა მძორზე; ცალკე ნადირნი ხარობდნენ და ცალკე—ცის ფრინველნი; სისხლი რუებად მიდიოდა, ეძებდა ამირანი თავის დახოცილ ძმებს მკვდართა შორის, ეძებდა, მაგრამ იმოდენა დუნია მკვდრებში ეგრე ადვილად როგორ იპოვიდა. ბოლოს, როგორც იყო, იპოვა მკვდარი უსიპი, აიყვანა ხელში ამირანმა და წავიდა ახლა ბადრის საძებნელად. დიდი ძებნის შემდეგ იპოვა ბადრიც, ისიც მკვდარი. დააწყო ერთად მკვდარი ძმები ამირანმა, დაჯდა თვითონაც იმათთან და ერთხელ კიდევ ჩასძახა ძმებს: ძმებო, ნუ დამემდურებით, მეც თქვენთან წამოვალო! და დაიცა გულში თავისი მოკლე ხმალი; უნდოდა იმათთან ერთად სიკვდილი, მაგრამ ხმალმა არ გასჭრა. ამირანი არ მოკვდებოდა, თუ ნეკათითს არ მოიჭრიდა. დაჯდა ამირანი მკვდარ ძმებთან და დაიწყო ტირილი: სიკვდილიც აღარ მეღირსა თქვენთან, ღმერთი სიკვდილსაც კი იშურებს ჩემთვისაო.

ზის ამირანი და გარს ორად ნაკაფი ქაჯები ყრია. წამოიწევს ერთი მკვდარი ქაჯი და გადასძახებს მეორე მკვდარ ქაჯს: ადე, ადე, ადე, რა ვიხილე! ამირანს თავის მოკვლა უნდოდა, ხმალი დაიცა გულში, მაგრამ არ მოკვდაო. ამირანი ისეთი რეგვენი ყოფილა, რომ არა სცოდნია, როგორ მოკვდება: იმან რომ ნეკათითი მოიჭრას, მეტიც არ უნდაო.

თქვა ეს მკვდარმა ქაჯმა, მიდო თავი და ისევ მიწვა. დადგა ისევ სიჩუმე და სიკვდილი. გაიგონა ამირანმაც იმათი ლაპარაკი. ამოიღო ხმალი და მოიჭრა ნეკათითი. უდინა სისხლმა და მიწვა ისიც ძმებთან:

> ყამარო, დამსხენ ძუძუნი, შენც ჩემთან დასთმე თავიო,
> ცოცხალსა სიარსამულსა მე გირჩევნივარ მკვდარიო!

ეს სიტყვები კიდევ მოასწრო და მიაბარა სული.

> ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა ალგეთის ჭალა გაექნა,
> უძმოსა, უმამიძმოსა ამირანს თავი მოეკლა.

მოვარდა ყამარიც ცრემლის ღვრით, დასტირა და დაჰგლოვა ამირანს, მაგრამ ვინ იყო იმისი მეშველი.

ზის და ტირის ყამარი, იმისი ცრემლები ზღვას ერთვის, იმისი ცოდვით ხეებს ფოთლები სცვივა.

უცებ გამოძვრება ერთი თაგვი და დაიწყებს ამირანის სისხლის ლოკვას. მოუვა გული ყამარს, გაიძრობს ქოშს ფეხიდან, დაჰკრავს თავში თაგვს და იქვე მოჰკლავს. თაგვის სიკვდილზე გამოვარდება იმისი დედა და დაუწყებს ჩხუბსა და ლანძღვას ყამარს: შე კახპავ, შენა, შენი გულისათვის შენმა მამამ მოიკლა თავი, შენი ქმარ-მაზლები წინ გიწყვია მკვდრები, ამდენი ჯარი გაწყდა და შენ კი არ შეგრცხვა. იქნება ისა გგონია, რომ მეც არ მენანებოდეს ჩემი შვილი, როგორც შენ—შენი მამა და ქმარ-მაზლები. ბრალი შენი, შენ რას უზამ მაგდენ მკვდარს, თორემ მე ჩემს შვილს მალე გავაცოცხლებო.

ესა თქვა თაგვმა, გაიქცა, მიირბინ-მოირბინა, იპოვა რაღაც ერთი ბალახი, მოიტანა, წაუსვა შვილს, გააცოცხლა და კისერში ცემით გააქანა სოროში. ადგა ყამარიც, მოძებნა იგივე ბალახი, მოიტანა, წაუსვა ამირანს და გააცოცხლა. ადგა ამირანი, მოიფშვნიტა თვალები და თქვა:

— ოჰ, რა ბევრი მძინებიაო.

— ბევრი მაშინ გეძინებოდაო, — უთხრა ყამარმა, — რომ თაგვი არ გამოგვჩენიყოო.

მერე უამბო ქალმა ყველაფერი. გააცოცხლეს ბადრიც, უსიპიც და წავიდნენ სახლში.

ნეტავი ძმათა მრავალთა, ცხარე მზე ამაუხდება,
ვერც ვინ წაართომ დიაცსა, ვერც ვინ შინ შამაუხდება!

გავიდა კარგა ხანი. ამირანმა ბევრი რამ გადაჰყარა, ბევრ დევს უტირა დედა, ბევრს აურია ჟამ-კარი, ბევრგან შეაცოტავა დაბევრებულნი ოჯახნი; ბევრი გველეშაპიც გამოასალმა ქვეყანას. ამირანს თავის მომრევი აღარავინ ეგონა ქვეყანაზე.

ერთხელ ამირანი გზას მიდიოდა. იმისი მტერი ამბრი მომკვდარიყო, იდო ურემზე და თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი ძლივსა სძრავდა:

ამბრი ჩაჰქონდა დედასა, თორმეტუღელა ხარსაო,
გადმოვარდნიყო ბარკალი, მიწას არღვევდა მყარსაო.

მკვდარ ამბრს დედა ედგა გვერდზე და მიჰყვებოდა შვილს. ამბრის ბარკალი მიწაზე მიეთრეოდა და მიჰღარავდა. ამბრის დედამ დაინახა ამირანი, იცნო, მოინდომა თავისი შვილის მტრის გამოცდა და დაუძახა: დარეჯანის ძევ, შვილის ბარკალი გადმომივარდა მიწაზე, დაბლა ეთრევა, უპატიურად ხდება, დედაშვილობას, ასწიე, შედე ისევ ურემზედვეო!

ამბრი მასთრევავ დედასა, გირაოდ უყრავ ხარები,
ამირანმ მაგის ზიდილსა ასო აიგდო, მხარები.

ამირანი ტყუილად ებოძიწკეებოდა ამბრის ბარკალს, ძვრაც ვერ უყო, მიწასაც ვერ ააცილა, თორემ ურემზე ხომ ვერ შედო. ამბრის დედამ შეუტია:

აის ქვეყანამც კრულია, სადაც შენ ამირანობდი,
თავს იხურავდი ჩაჩქანსა, ბოლოზე ჯაქვიანობდი!
წესი თუ იყოს დედათი, ადვილად გინადირებდი,
მოგკრავდი მათრახის წვერსა, ცის გიდელ-გიდელ
გაგრეკდი!
ღმერთმ იცის, ჩემო ამირან, ამბრის ვერ ედარებოდი,
ვერც სმაში, ვერცა ჭამაში, ვერც ომში ედარებოდი,
მკვდარმა გაჯობა ცოცხალსა, ცოცხალს რას ედარებოდი?
თუ მაგის მეტი არ იყავ, ჩემს შვილს როგორა
ჰმტერობდი?!

ე მაგის პატრონი თუ უბარებდი ამბრის მუქარას, დარეჯანიანთ ამირანო, მაგ ღონით თუ უპირებდი ჩემს შვილს შებმასაო!

გაწბილდა და დაღონდა ამირანი. მიწა რომ გახეთქოდა და ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა. მზისაცა რცხვენოდა და კაცისაცა, თავი მკვდრებში ჩაითვალა. ვინ ამირანი, ვინ ეს ამბავიო. გული ჰკლავდა.

ჯავრი და გულის ვარამი დღეს უბნელებდა მზიანსა.
სიცოცხლეს ჰგმობდა, სიკვდილსა ნატრობდა ნამუსიანსა.
საბნელოს ჩაჯდა ამირან, შამაიკრიფა ფეხები,
თუკი ამის მეტ არ ვიყავ, სამზეოს რას ვეხეხები?!

ჩაჯდა საბნელოს. დღე და ღამე იმისათვის ერთი იყო, არც კაცი იცოდა და არც სხვა რამ სულიერი. არავის არ იკარებდა ახლოს. მაშინ მოუმატა ღმერთმა ამირანს კიდევ სამი ალაღებული წყლის ღონე და სამი ფერდოს ზვავის ძალა და სიმარდე:

ამირან, ძალს რომ გიმატე, მე რითი შემეცოდები,
ზღვასა შენ აქეთ დაიჭერ, ზღვას იქით გაეხეხები!

უთხრა ღმერთმა: ვერ შეიფერებ, ვიცი, ავზე მოიხმარ, კიდევ სირცხვილსა ჭამო. რაკი ღონე მოემატა, ამირანმა ისევ ბიჭობა დაიწყო, ისევ და ისევ მკლავზე დაიწყო გახედვა. ახლა კი იმის მომრევი აღარავინ იყო. გაამაყდა ამირანი, გაიდიდა თავი. ბოლოს თქვა: ის ჩემი ნათლია, ღონე რომ მომცა, ნეტაი ერთი მაჭიდა, მეცადა, რა ვაქიაო.

ერთხელ ქრისტე ღმერთი შეხვდა ამირანს. ამირანმა უთხრა:

— ნათლიავ, შენ იმოდენა ღონე მომეცი, რომ ქვეყანაზე აღარავინ მიწონს და მოდი, რაც იქნება, იქნება, ერთი მეჭიდეო.

— ამირანო, ფილაფოზი[1] კაცი ხარ, მაგდენი როგორ არ იცი, რომ ნათლიას არ უნდა ეჭიდოო, — უთხრა ქრისტე ღმერთმა.

— არა, უნდა მეჭიდაოო, — დაიჟინა ამირანმა.

— მაშ, კარგიო, — უთხრა ქრისტე ღმერთმა, — მე ამ ჯოხს ხელში რომ მიჭირავს, დავარჭობ და თუ შენ ამოიღე, გამარჯვებული შენ იქნებიო.

— კარგიო, — უთხრა ამირანმა, — მაგრამ ეგ ჯოხი თუნდა ამომიძვრია და თუნდა არაო.

დაარჭო ქრისტე ღმერთმა ჯოხი, მივიდა ამირანი, დაეზიდა და ადვილად ამოიღო. დაარჭო კიდევ მეორედ ჯოხი ქრისტე ღმერთმა და ამირანმა კიდევ ამოსწია, ისევ ადვილად ამოიღო.

— ეჰ, რას მეთამაშებიო, — უთხრა ქრისტე ღმერთს, — თუ გინდა მეჭიდე, თუ არადა თავი დამანებეო.

მაშინ აიღო ქრისტე ღმერთმა თავისი ჯოხი, დაარჭო და უბრძანა, ისეთი ფესვების გადგმა, რომ მთელ ქვეყანასა ჰქონოდა ირგვლივ სარტყელივით შემორტყმული, იმისი წვერი კიდევ ზეცაში ყოფილიყო გართხმული.

დაეზიდა ამირანი ჯოხს, მაგრამ ტყუილად, ძვრაც ვერ უყო. მაშინ დასწყეველა ღმერთმა ამირანი და დააბა იმ ხეზე. დაბმულ ამირანს ზედ თოვლყინულიანი გერგეტი და ყაზბეგის მთა დაახურა, რომ ცა და ქვეყანა ვეღარ ენახა და მოწყვეტილი ყოფილიყო სინათლესა და სიხარულს.

მას შემდეგ იქ არის ამირანი მიჯაჭვული. დღეში ღვთისაგან ერთი პური აქვს და ერთი ხელადა ღვინო საზრდოდ — ყოველდღე ყორანი მიუტანს და დაუდგამს წინ.

---

[1] ფილოსოფოსი, ჭკვიანი.

ამირანს ერთი გოშია ჰყავს. ის გოშია ყორხის ხაშრბია. დახავსებულსა და დაჟანგულ ჯაჭვს დღემუდამ ლოკავს ერთგული გოშია, ლოკავს და ათხელებს რკინას. მიდგება ჯაჭვიც გაწყვეტაზე, გაეხსნება ამირანსაც ჩახურული გული, იმედი მიეცემა კიდევ თავისუფლად სიარულისა, მაგრამ ამ დროს წყეული მჭედელი დაჰკრავს კვერს დიდხუთშაბათს გრდემლსა და ჯაჭვი ისევ სქელდება, ისევ ისეთი საზარელი ხდება და ისევ აშორებს სიკვდილსა და სიცოცხლეს, ისევ ისე ხდება სინათლისა და სიბნელის საზღვრად, თავისუფლებისა და მონობის ბეწვის ხიდად. იქვე ახლოს უდევს თავისი მოკლე ხმალიც ამირანს, მაგრამ ვეღარცარას ის არგია, ისიც ჟანგისა და მიწისაგან შეჭმულია. უპატრონობას ცალკე ისა ტირის და ცალკე ამირანი უიმისობას. წელიწადში ერთხელ კიდევ გაეღება ამირანს საბნელოს კარი, გერგეტი კიდევ უღებს კარს დაბმულ გმირს, მაგრამ ამირანი სინათლეს აღარც კი უცქერის, ქვეყნის დანახვა მიყუჩებულ ტკივილებს ისევ უღვიძებს, გული ისევ უწყლულდება...

გერგეტზე ერთი გველვეშაპია გაქვავებული. ის გველვეშაპი ამირანის მტერი იყო. გაეგო ამირანის დაბმა, წამოსულიყო შესაჭმელად, მაგრამ ქრისტე ღმერთს დაუწყევლია ისაც და ქვად უქცევია. მას აქეთ იქა წევს ის გველვეშაპი, ისიც ღვთის რისხვას ვეღარსად გაქცევია; ვერც ცეცხლს დაუწვავს და ვერც მზეს, ვერც ქარს გადაუგორებია უფსკრულ ხევებში და ვერც ყინულის ზვავებს; არც ცას უთვისებია და არც ქვეყანას. იმ ადგილს, სადაც გველვეშაპია, არც თოვლი ეკარება და არც ყინული. ნისლებითა და ღრუბლებით რომ იყოს გერგეტი დაფარული, ის ადგილი მაინც შავად გამოიყურება. წვიმაც ერიდება იმას და ნიავიც. ჯიხვებიც კი არ შეეფარებიან იმ არემარეს თოვლ-ბუქის დროს. ყველა გაურბის და ერიდება. ირგვლივ მარტო წყევლაა და კრულვა, სიკვდილი და სიჩუმე.

დაბმული ამირანი ერთ მონადირეს უნახავს. ის მონადირე თურმე გერგეტის გარშემო ჩონჩხებში[1] ნადირობდა ჯიხვებზე. ერთ ჯიხვს ესროლა, დაჭრა, მაგრამ დაჭრილი ჯიხვი გაექცა და შეიხიზნა ერთ ეხში. გასავალი აღარსაით ჰქონდა თურმე, ვერც საით მიუდგებოდა მონადირე და ვერც ესროდა. თუ ესროდა და მოკლავდა, მკვდარი ჯიხვი მაინც დარჩებოდა კლდეში და ვერც ხორცით ირგებდა და ვერც ტყავით. ამ ყოფაში არის თურმე მონადირე და ვერ შენიშნა, რომ მზე ჩავიდა. იქით ეცა, აქეთ ეცა, ეძება გზა, მაგრამ

1 მთის კლდიანი წვერები, ჭიუხები.

ველარ იპოვა ჩამოსავალი, იქა რჩებოდა. საბრალო მონადირე გასაჭირში იყო: თუ წავიდოდა, გადიჩეხებოდა სადმე, არ წავიდოდა და სიცივე მოკლავდა.

ბევრი იღონა მონადირემ და ბოლოს უკანასკნელი არჩია: ისევ გზაში მოვკვდე აქ სიკვდილსაო. ებღატა ბევრი, ებღაუჭა კლდეებს, ხან ხანჯლის წვერითა თხარა, ხან კლდეებში საფეხურები აკეთა და იარა ასე. ერთ კლდეს მიადგა და იქ შეისვენა. უცებ ერთი საშინელი კვნესა და გმინვა მოესმა. მონადირე შეშინდა: ჯერ ეშმაკი და ქაჯი ეგონა, გაქცევა გაბედა, მაგრამ გასაქცევი არა ჰქონდა, მერე იფიქრა: იქნება ზვავმა ვინმე ჩამოაგდო, ან ყინულზე იყოს შესხლტილი და დამტვრეული, ან იქნებ ჩემსავით ვინმე მონადირე გაჰყვა ჯიხვებს, ჯიხვებმა რქის ჯარი შეუყარეს და დალიეს კლდეზედაო. წავალ, აბა, ერთი გავიგებ, ვინ არის, რასა შვებაო.

წავიდა მონადირე იქითკენ, საითაც კვნესა ისმოდა, და გამოქვაბულ კლდეში კი შევიდა. ნახა, რომ ერთი უზარმაზარი, დეევივით კაცია ძიბძული კლდეზე ჯაჭვით; თმა-წვერი ასხია ისეთი, რომ დაბლა ლოგინად აქვს: ერთი გოშია გვერდზე უდგას და ლოკავს ჯაჭვებს. მონადირე შეშინდა, გაქცევა მოინდომა, მაგრამ დაჯაჭვულმა გმირმა დაუძახა:

— თუ ქრისტიანი ხარ, ნუ გაიქცევი, აქ მოდი ჩემთან, დაჯაჭვული ვარ, რას გიზამო.

გაბედა მონადირემ და მივიდა ახლოს. გმირმა უთხრა ჩუმად:

— მე ამირანი ვარ და ნუ შეშინდები. წადი, ის ჩემი ხმალი მომაწოდე და მერე მე ვიცი.

მივიდა ხმალთან მონადირე, მოეჭიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა. ეს დაინახა ამირანმა და ისე დაიკვნესა, რომ მთებმა დაიწყეს ნგრევა და ქუხილი.

— აქ მოდიო, — დაუძახა ისევ ამირანმა მონადირეს, — ისე მაინც ვერ მოათრევ, რომ მივწვდეო?

მონადირემ კიდევ ვერ უყო ძვრა. მაშინ ამირანმა უთხრა მონადირეს:

— დაწექი მიწაზე, ხელები ხმალს მოავლე, ფეხები მე მომეცი ხელში, მე შენ დაგეზიდები, შენ — ხმალს და იქნება მოვათრიოთო.

დაწვა მონადირე მიწაზე, ხელები ხმალს ჩაავლო, ფეხები ამირანს მისცა ხელში. მოსწია ამირანმა, მაგრამ მონადირემ დაიწყო ყვირილი:

— გავწყდი, გავწყდიო!

გაუშვა ხელი ამირანმა და დანანებით უთხრა:

— წადი და ეცადე, ჯამბარა და საკიდელი მოიტანო ისე, რომ არავინ გნახოს, თუ გნახავენ, არავის უთხრა, რადაც გინდა, და არც თავი მიიბრუნო უკანაო.

გამოვიდა მონადირე, გათენებულიყო. წამოვიდა შინ, აიღო ჯამბარა-საკიდელი და გასწია ამირანისაკენ. ცოლმა დაინახა და გამოეკიდა ქმარს:

— კაცო, სად მიგაქვს ეგ ჯამბარა-საკიდელი, რად გინდაო?

ჯერ თავი იმაგრა მონადირემ, არა სცემდა ხმას და არც თავს უბრუნებდა ტუტუც ცოლს, მაგრამ როდესაც საქმე გაუჭირა, დაბრუნდა, დადვა ცოლი და ერთი თუ ორი, მიტყიპა თქვენი მოწონებული და წამოვიდა ამირანთან. მოვიდა იმ ადგილას, სადაც ეგულებოდა ამირანი, მაგრამ აღარსად ამირანი იყო და აღარსად გამოქვაბული.

„ჰაი, თუ დაჰგლეჯდა ჯაჭვებს ამირანი, თვითონ იცოდა, რასაც იზამდა!“

ამირან დარუჯანაშვილი

(ქართული ვერსია)

სამნი ძმანი იყვნენ. ერთ მათგანს ერქვა სულკალმახი, მეორეს — ბადრი და მესამესაც — უსიპი, გვარად დარუჯანაშვილები იყვნენ. უსიპს ერთი რკინის ქუდი ჰქონდა. დაიხურავდა ამ ქუდს, ავიდოდა ალვის ხეზე, რომელიც იქვე, კარზე, ედგა, და ერთს ისე საშინლად დაიყვირებდა, რომ დევებს იმის შიშით ძღვენი მოჰქონდათ.

ერთხელ უსიპი სანადიროდ წავიდა. ნადირობის დროს ერთ მთიან ადგილას კოშკი ნახა. ახლოს რომ მივიდა, შეიტყო, კოშკში მზეთუნახავი ქალი ზისო. უსიპი კოშკში შევიდა და დღე და ღამე დაჰყო ამ ქალთან.

მესამე დღეს უსიპმა უთხრა ქალს:

— ახლა კი ჩემი წასვლის დროა. აი, ეს ალმასის ბეჭედი. მე ამ სამ დღეში მოვკვდები და შენ თავს კარგად მოუარე და გაუფრთხილდი; ქალი მოგეცეს — ეს ალმასი იმისი იყოს, ვაჟი მოგეცეს — თავის თავს დაირჩენსო.

უსიპი წამოვიდა და, მართლაც, სამ დღეს უკან მოკვდა. დევებმა რა გაიგეს, უსიპი აღარ არისო, ბადრი და სულკალმახი დაიბრიყვეს და მეღვინეებად დაიყენეს. ქალს მიეცა ვაჟი, რომელსაც მუცლიდან მოკლე ხმალი დაჰყვა. ეს პატარა ბავშვი უფალმა თავისი ხელით

მონათლა და სახელად ამირანი უწოდა. ვინც წლით იზრდებოდა, ამირანი დღით იზრდებოდა, ასე რომ, ათი წლის ამირანს ფიცხელი ომის გადახდა კიდეც შეეძლო.

ერთხელ ამირანმა კოშკიდან გამოიხედა და დაინახა დედაკაცი, რომელსაც კოკით წყალი მიჰქონდა. ამირანმა თავის დედას უთხრა: დამენაძლევე, აიმ დედაკაცს კოკა გავუტეხო და დედაკაცს კი არა ვავნო რაო. მართლაც, სტყორცნა ისარი და დედაკაცს კოკა გაუტეხა. დედაკაცი გაჯავრდა და დაუძახა: დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო — დედისერთა ხარ; თუკი ეგეთი ვაჟკაცი ხარ, რატომ არ წახვალ და დევებისაგან არ დაიხსნი შენს ბიძებს, რომელნიც დევების მეღვინეობას ვერ აუდიანო.

ამირანი გაოცდა: ნუთუ ბიძები მყვანან და იმათი ვინაობა კი არ ვიცი!

მობრუნდა და უთხრა დედას, ძუძუ მომაწოვეო. მოუჭირა კბილი ძუძუზე და ჰკითხა: ბიძები მყავსო?

დედა ჯერ უარს ეუბნებოდა და, როცა ამირანმა ძლიერ მოუჭირა ძუძუზე კბილი, უთხრა, გყავსო; ერთსა ჰქვია ბადრი, მეორეს — სულკალმახიო.

მაშინ ადგა ამირანი და წამოვიდა ბიძების საძებნელად. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, იპოვა ბიძები და შესძახა: ოჯახისშვილო, კარზე გამოდიო.

ერთი ბიძა გამოვიდა კარზე და, როგორც დაინახა ამირანი, იფიქრა: ეს ჩემს ძმას უსიპსა ჰგავსო.

— პური მშიან, მაჭამეო, — უთხრა ამირანმა.

— ჩაიარე ბაღში, ხილი იხილე, ჩრდილი იჩრდილე, და იქ მოგართმევო, — უთხრა ამირანს ბიძამ და თან გაჰყვა, რომ დევებს არა დაეშავებინათ რა.

დევები, მართლაც, ამირანს დახვდნენ ბაღში და თქვეს, — ეს რა კარგი ყმაწვილი მოვიდა, მაგრამ მოკლე ხმალი აკრავსო. მეორე დევმა თქვა: მოკლე ხმალი რას აშავებს, წამოვაგოთ შამფურზე, ნაღვინევზე კარგიაო.

ამის გამგონმა ამირანმა თქვა:

ამირანო ვშვენიერო, ღვინის ფერო და ძლიერო...
მოკლე ხმალი რას მიშავებს, ფეხი წავდგა წინა მეო.

ამოიღო ის მოკლე ხმალი და სულ ერთიანად დაჟლიტა დევები. გახარებული ბიძები მოეხვივნენ ყელზე თავიანთ ძმისწულსა და მხსნელსა. ბიძებმა ამირანი შეიყვანეს სახლში. აქ ამირანმა ერთი

რკინის ქუდი დაინახა და ჰკითხა ბიძებსა, ეს რა არისო. ბიძებმა უთხრეს: ეს უსიპის ქუდია, ამას იმიტომ იხურავდა, რომ თავი არ გახეთქოდა, როცა დაიყვირებდა ხოლმე ისე, რომ მისი ხმის შიშით დევებს ძღვენი მოჰქონდათ. ამირანმა აიღო ის რკინის ქუდი. დაიხურა, მაგრამ პატარა მოუვიდა; მერე შეიგდო მაჯებზე, გასწი-გამოსწია, გაადიდა, გააგანიერა, დაიხურა და გავიდა გარეთ. რაღა ალვის ხეზე ასვლა მინდაო, მოგლიჯა ალვის ხე, გაისროლა შორს და ისე დაიყვირა, რომ მისმა ხმამ ქვეყანა შეძრა და შეაზანზარა. სხვა დევებს გული გაჰხეთქოდათ: ვაიმე, უსიპი გაცოცხლებულაო, და აგერ ძღვენს მოარბენინებენ. როცა კარგად დანაყრდნენ, ბიძები ძმისწულით წავიდნენ სანადიროდ.

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ბიძა მისნი.
მთას ირემი წამოუხტათ, ცას სწვდებოდა რქანი მისნი.
ამირანმა ბოძალი ჰკრა, წითლად დაჩნდა მკერდი მისი.
შვიდი დღე-ღამე იარა, არ დაჰკარგა კვალი მისი.
მთაში ერთი კოშკი ჰპოვეს, ცას სწვდებოდა წვერი მისი.
ამირანმა გარს უარა, ვერ იპოვა კარი მისი.
ამირანმა წიხლი მიჰკრა, იქ შეაბა კარი მისი.
შიგ ერთი მკვდარი ჰსვენია, საწყალი და საბრალისი,
თითებსა და თითებს შუა წიგნი უდევს ქაღალდისი.
წაიკითხა ამირანმა, შიგ ეწერა გვარი მისი:
„არც ისე დაკარგული ვარ, დისწული ვარ უსიპისი,
მინამ ვიყავ, მტერი ვსრისე, მე არ წამყვა ჯავრი მისი,
ერთი ბაუბაუდევი დარჩა, მოვკვდი — წამყვა ჯავრი მისი;
ვინც ამ ბაუბაუდევს მომიკლავს, ჩემი რაში ალალ მისი,
კარებ უკან შუბიც არის, ის შუბიცა ალალ მისი.

ბიძებმა უთხრეს ამირანს: ჩვენ გაჩვენებთ ბაუბაუდევს. იმასთან ომი ჩვენ არ შეგვიძლია და შენი კი არ ვიცით. სხვა არა იყოს რა, ერთი პირცეცხლი დედა ჰყავს, იმას ვერ გადავურჩებითო.

ადგა ამირან, წავიდა, იპოვნა კვალი დევისა.
ამირან და სულკალმახი ორივ ისხდნენ წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ჰლესავს, სულკალმახი უწყობს პირსა.

ვნახოთ, დევი მოდის მთასავით, მობუტბუტებს: ცოცხალი ვერ ჩავიგდე ხელში და მკვდარს ავიღებ და ძაღლებს მივცემო.

დევი დინჯად მოაბიჯებს, დედამიწა შეიძრისა.

ამირანმა შესძახა:

— შენ, კაცო, კაცო, ვინ ხარო, სახელი შენი მითხარო!

— შენ ჩემს სახელს რად კითხულობ, ვინა ვარ და სად
მივალო.
უსიპის დისწული მოკვდა, იმის საჭმელად მივალო.
— ადამიანს ვინ შეგაჭმეკს! შენთან საომრად მოვალო.

ამირან-დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა, ალაგი დახვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი.

ბიძებმა უთხრეს:

— მაგ მყრალ დევს ცოცხალს ნუ გაუშვებ, თორემ მაგის დედას ცოცხლები აქედან ვერ წაუვალთო.

— მთელი დევი იყო, ვერა დამაკლო რა და დალეწილ-დაჩეხილი რაღას მიზამს; მაგის დედასაც, ღვთის მადლით, გადავურჩებითო.

დალეწ-დამტვრეული ბაყბაყი წავიდა ღრიალით დედასთან. ვნახოთ, აგერ დედა მორბის და პირიდან ცეცხლსა ჰყრის. ბიძებმა ამირანს უთხრეს: მზადა გქონდეს ერთი გუდა ნაცარი და ერთი გუდა თაფლი, როცა ბაყბაყის დედა გეტყვის, მაჭამე რამეო, აიღე და ჯერ თაფლი მიე, მერე ნაცარიო.

მართლაც, დევების დედამ უთხრა ამირანს: მაჭამე რამეო და ერთი წუთის სიცოცხლეს მოგანიჭებო. ამირანმა ერთი გუდა თაფლი მისცა. მას უკან კიდევ მოსთხოვა თაფლი და დაჰპირდა ნახევარი წუთის სიცოცხლეს. ამირანმა აიღო ნაცრით სავსე გუდა და თავზე ჩამოაცვა, მოუსვა ხმალი და მოსჭრა თავი.

ამირანმა და ბიძებმა დამარხეს კოშკში რომ მკვდარი იყო და წამოვიდნენ შინ. გზაში სამი გველვეშაპი შეხვდათ. ამირანმა ბიძებს უთხრა: სამნი ჩვენ ვართ, სამნი გველვეშაპნი, მოდით დავხოცოთ, თორემ ვინ რას იტყვის, დარუჯანაანთ გველვეშაპებისა შეეშინდათო.

ამოიღო ხმალი ამირანმა, ჯერ ერთს მოსჭრა თავი, მერე — მეორეს, მესამეზე რაღა ხმალი მინდაო, დაადგა ერთ ლაყუჩზე ფეხი, მეორე ლაყუჩს მოჰკიდა ხელი, ასწია ღონივრად, რომ გაგლიჯოს, და აი, ამ დროს წყეულმა გველვეშაპმა ჩაყლაპა. ბიძებმა გველვეშაპს ამირანის ხმლით ცხრა ადლი ბოლო მოსჭრეს. ბოლომოჭრილი გველვეშაპი მივიდა თავის დედასთან და უთხრა:

— დედა, მუცელი მგლეჯსო.

— ჭიალუას შესჭამდი, ანდა იქნება, შვილო დარუჯანაანთი ვინმე შესჭამეო?

— ჭიაღუა კი არა, თვითონ ამირანი შევჭამეო.

დედამ ეს რომ გაიგონა, წამოიძახა:

— აი, დაგიდგა თვალი! მკვდარი იქნება, გაცოცხლდება, ცოცხა-

ლი და — კეთილს არას დაგაყრის, შესძახე ამირანს, გამოვიდესო.

გველეშაპმა შესძახა. ამირანმა მუცლიდან გამოსძახა, საიდან გამოვიდე: პირიდან გამოვიდე, ნარწყეველას დამიძახებენ, გვერდიდან და — გვერდელასაო.

ამ დროს ერდოდან მოუარეს ბიძებმა და ჩასძახეს ამირანს:

დარუჯანაანთ იციან ჩექმას ჩადება დანისა,
ამოიღე და გასჭერი წიბონი გველეშაპისა!

გაჭრა ამირანმა წიბო და გამოვიდა; საწყალს წვერ-ულვაში სულ გასცვივნოდა. ერთმა ბიძამ დასცინა:

ამირანი დაიბადა, გოჭსა ჰგავდა ხუხალოსა.
წვერ-ულვაში გასცვივნოდა, ჩაეყარა მუქაროსა.

მეორე ბიძამ კი გული გაუკეთა:

მინდორზედა დავდიოდი, დავკრიფე ვარდი-სოსანი,
ამირან, ნუ გეწყინება, სხვანიც არიან ქოსანი,
თხასაც ასხია ბალანი, ჩალად არა ღირს თმოსანი.

ამირანი ჩავიდა წყაროზე, რომელიც იქვე, ფერდობში, გამოჩუხჩუხებდა, დაიბანა ხელ-პირი და უკეთესი წვერ-ულვაში ამოუვიდა. შემდეგ სამთავენი წამოვიდნენ სახლში.

გზაში ჯაგებიდან ერთი დეეი წამოუხტათ. ამირანმა ერთი საშინლად დასჭყივლა და იქვე დაიჭირა. დეემა უთხრა:

— ამირანო, ოღონდ ნუ მომკლავ და ზღვის გაღმა გასწავლი ქალსა, სახელად ჰქვია ქალ-გამაო.

— რომ მომკლას ვინმემ, იქით სად მისტუმრებო? — უთხრა ამირანმა.

— არა, არ მოგკვლენ. იმ მზეთუნახავ ქალს ჰყავს ერთი ვირი და ერთი მგელი. ერთი ცხვარი მგელს წაუღე და ერთი ბულული თივა კიდევ ვირსაო.

წავიდა ამირანი მზეთუნახავთან თავისი რაშით, წაიღო ერთი ბულული თივა და ერთი ცხვარი, რომ მიახლოვდა, გამოცვივდნენ მგელი და ვირი. ამირანმა მგელს ცხვარი მისცა და ვირს — თივა. ამირანი თავისუფლად შევიდა იმ ქალთან. ქალი სწრაფად გამოვიდა და კარის ყარაულებს გაუწყრა:

— რად შემოუშვით ეს კაციო!

— რა ვქნათ, შენ არაფერს გვაჭმევდი და, აი, მაგან რა მოგვიტანაო, — უპასუხეს მგელმა და ვირმა.

ამირანმა ქალს უთხრა, წამომყევი ცოლადაო. ქალიც დაჰყვა; მხოლოდ სთხოვა, იმდენი კი დამაცადე, რომ ჭურჭელი დავრეცხო და პირქვე დავამხოო. ამ ქალმა მთელი ჭურჭელი დაამხო პირქვე და მხოლოდ ერთი თეფში, რამდენსაც დაამხობდა, იმდენი გადაბრუნდებოდა. გაჯავრებულმა ამირანმა დაჰკრა ფეხი და ეს თეფში სულ ჩაამტვრია. ერთმა თეფშის ნატეხმა გაამტვრია ფანჯარა, ავარდა მაღლა და გასწია ზეცაში, ამ მზეთუნახავის დედ-მამასთან. მათ დაინახეს თეფშის ნატეხი და მაშინვე მიხვდნენ, ჩვენი ქალი ვიღაცას მიჰყავსო. საჩქაროდ შეყარეს ჯარი და გამოსწიეს. ამირანმა მზეთუნახავი ქალი რაშზე შემოისვა, მოვიდა თავის ყმა დევებთან და შესძახა: ოჯახისშვილებო, კარზე გამოდითო!

დევებმა უთხრეს ერთ რძალს: გაიხედე გარეთ და გაუცინე, თუ ერთი კბილი ოქროსი აქვს, დარუჯანაანთი იქნება ვინმე, თუ არა-და გამოვალთ და შევჭამთო.

დევის ცოლი გამოვიდა და გაუცინა ამირანს. ამირანმა შესძახა:

რას მიცინი, დევის ცოლო, რას მიჩვენებ თეთრსა
კბილსა,
უსიპის ვარ, პეტრე მქვიან, დავდივარ და ვეძებ ვირსა,
ხან დავკარგავ, ხან ვიპოვნი, ჩემი ბედი ასე სჭრისა.

დევის ცოლი შევიდა და ასე უთხრა: ჩვენ რომ ვირი შევჭამეთ, იმისი პატრონი მოსულა და ვირსა თხოულობსო.

დევები გამოცვივდნენ გარეთ, რომ ისიც შეეჭამათ, მაგრამ ამირანმა ერთმანეთზე მიაწყვიტ-მოაწყვიტა და სულ ამოჟლიტა. ამირანი შევიდა დევების სახლში და დაბინავდა თავისი მზეთუნახავი ქალით.

ამასობაში ამ ქალის მამა თავისი ჯარით თავს წამოადგა და დასცა ბაირაღი სახლის წინ. ამირანმა უთხრა თავის ბიძებს, ახლა მაინც გადით, თითო კაცის მოკვლაში მაინც შემეწიენითო.

ბიძებმა დაუჯერეს. ერთმა ბიძამ თქვა: მე რომ მოვკვდე, იმითი გაიგებთ, რომ მაღლა ფრინველი აირევაო.

მეორემ უთხრა: მე რომ მოვკვდე, ძირს ჭიანჭველა აირევაო.

პატარა ხანს უკან ნახეს, რომ ჭიანჭველებიც და ფრინველებიც აირივნენ. ამირანმა თქვა, ისევ მე უნდა გავიდეო. მზეთუნახავი ქალი ერთ მაღალ გორაზე დასვა და უთხრა: — აქედან უყურე ომსაო. ახსენა ღმერთი, შეჯდა თავის რაშზე, დაერია ჯარს და როგორც თვითონ, ისე მისი ცხენიც ჟლეტდნენ. ისე ამოხოცეს ეს ჯარი, რომ ერთიც აღარ დარჩა. შემდეგ ამირანი მიეჭრა მზეთუნახავის მამას,

რომელსაც თურმე თავზე სპილოს ძვალი ეხურა. ამირანი ურტყამდა ხმალს, ბევრი ეწვალა, მაგრამ ამ ხელმწიფეს ვერა უყო რა. მაშინ ამირანს დაუძახა მზეთუნახავმა ქალმა:

ამირან, დედაბრის შვილო, ომი ვერ იცი კილოსა,
ზევით რასა სცემ სპილოსა, ქვევით შემოჰკარ რბილოსა,
მიწვეს და მიიძინოსა!

მამამ დაუძახა თავის ქალსა:

დახედე ურცხვსა ქალასა, კურო არჩია მამასა,
რისთვის გაგზარდა დედამ, რისთვის გეტყოდა ნანასა?!

ქალმა დაუძახა:

კარებს უკან მიმაგდებდნენ, ძიძა მეტყოდა ნანასა.

ამირანმა ამ დროს შემოჰკრა ხმალი და გააგდებინა თავი მზეთუნახავი ქალის მამას. დაღალულ-დაქანცული ამირანი წამოვიდა ნაომარი ადგილიდან და ამ დროს მკვდრებიდან სისხლში გათხვრილი კაცი წამოვარდა, მიეპარა ამირანს, ჩაჰკრა ფეხებში ხანჯალი და მოკლა. ამის მნახველმა მზეთუნახავმა დაიწყო ტირილი და ვაება; ეს ამოდენა ჯარი დამიხოცა, მამა მომიკლა და თვითონაც მომიკლეს, რაღა წყალში ჩავვარდეო. მაშინ უფალმა გამოგზავნა ყორანი, რომ გაეგო, რა ამბავი მოხდა. ყორანი ჩამოვიდა, გაძღა ლეშით, ავიდა მაღლა და მოახსენა. გუთანი უბიათო. მეორედ უფალმა ყვავი გამოგზავნა. ისიც ლეშით გაძღა და უფალს არც იმან აუტანა ნამდვილი ამბავი. მესამედ მტრედი გამოგზავნა უფალმა. მტრედი ჩამოფრინდა და დაინახა, რომ მრავალი ხალხი იყო დახოცილი და ერთი მშვენიერი ქალი ერთ ჭაბუკს დასტიროდა. ფეხები სისხლში მოისვარა, აფრინდა და ღმერთს მოახსენა: მრავალი ხალხი დახოცილი ყრია, ერთ მშვენიერ ფალავანს კი ერთი მზეთუნახავი დასტირისო, და ნიშნად თავისი გასისხლიანებული ფეხები უჩვენა.

ღმერთი გაუჯავრდა ყორანსა და ყვავს, რომ მოატყუეს, და ესროლა მუგუზალი: ყორანი ძლიერ გაშავდა, რადგანაც მას უფრო ძლიერ მოხვდა. უწინ კი თურმე ყორანიცა და ყვავიც ორთავენი თეთრები ყოფილან. უფალმა მტრედი დალოცა და უბრძანა: მკვდრებსაც დაეკვლოდე და ცოცხლებსაც ეჭმეოდეო.

უფალმა შეიწყნარა ვედრება მზეთუნახავი ქალისა და გამოგზავნა თაგვი. თაგვი მოვიდა და ამირანის სისხლს დაუწყო ლოკვა. ქალმა გაიხადა ქოში, ესროლა თაგვს და მოკლა. თაგვის დედა გამო-

ვარდა და დაუწყო ჩხუბი. მერე წავიდა, მოგლიჯა ერთი რაღაც ბალახი, მიუსვ-მოუსვა მკვდარ თაგვსა და გააცოცხლა. ცემით გაიგდო წინ და ეუბნებოდა, აღარ გამოხვიდე სოროდან ჩემს დაუკითხავადო.

მზეთუნახავმაც იმისთანა ბალახი მოგლიჯა, მიუსვ-მოუსვა ამირანს და გააცოცხლა; ამირანმა ბიძებიც დააცოცხლა და წამოვიდნენ სახლში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამირანი ბიძებით სანადიროდ წავიდა. გზაში ერთი მკვდარი მიპქონდათ მარხილით. ცხრა უღელი კამეჩი ებათ. მარხილი გუთანივითა თხრიდა. მწუხარე დედა მკვდარს ცხენით მისდევდა და ხელში მათრახი ეჭირა. დაინახა ამირანი და უთხრა: დედაშვილობას, ეგ მკლავი გულზე დაადეო!

ამირანი მივიდა, უხდოდა მკლავი გულზე დაედო, მაგრამ საძრაობაც ვერ უყო. მკვდრის დედა გაჯავრდა, გადმოსწვდა ცხენიდან მკვდარს, მათრახის ტარით მკლავი გულზე შეუდო და ამირანს უთხრა: დედაშვილობა რომ არ მეთქვა, ამ მათრახით გაგაჭრელებდიო.

ამირანი დაღონდა და დაუწყო ვედრება თავის ნათლიას — უფალსა. ამირანს გამოეცხადა უფალი. ამირანმა სთხოვა, მომეცი ღონეო. თანაც შესჩივლა, რომ ერთი მკვდრის მკლავი ვერ აეწიეო. უფალმა მისცა ამირანს კიდევ იმდენი ღონე, რამდენიც იმ ცხრა უღელ კამეჩს ჰქონდა. გახარებულმა ამირანმა გამოსწია და რაც გზაში ხე ხვდებოდა, სულ აქეთ-იქით ისროდა. მაშინ უფალმა თქვა: ეს ამოდენა ღონე რომ მივეცი, ხალხს სულ გამიწყვეტსო და გამოეცხადა ამირანს სხვა კაცად. ამირანმა უთხრა უფალს, მოდი დამეჭიდეო. უფალი და ამირანი დაეჭიდნენ და როგორც უნდა წაექცია ამირანს, უფალი გაეშვებინა და უთხრა: აი, ამ ყავარჯენს ამოჰგლიჯავო? უფალმა ყავარჯენი დაარჭო მიწაში. ამირანი მივიდა და რამდენიც ამოსწია, იმდენი უფრო მიწაში ჩავიდა. მაშინ უფალმა დასწერა პირჯვარი და ამირანი ჯაჭვით დაება და ზედაც დიდი, უზარმაზარი მთა გადაეფარა.

მას აქეთ ამირანის პატარა ფინია მთელი თორმეტი თვე განუწყვეტლივ ლოკავს ჯაჭვს, რომლითაც არის დაბმული ამირანი. ფინიას ლოკვით ისე გაილევა ხოლმე ჯაჭვი, ერთი რომ გაჭრას ამირანმა, გაწყდება, მაგრამ დიდხუთშაბათს, მჭედლები კვერს რომ დაჭრავენ სამჯერ, ის ჯაჭვი ისევ მთელდება. ასე წვალობს საწყალი ფინიაც, და თუ რომ არც ერთმა მჭედელმა არ დაჭრა კვერი, ამირანი იმ ჯაჭვს გაწყვეტს, გორას იქით გადააგდებს და

ყველა მჭედელს გაწყვეტს. შვიდ წელიწადში ამირანს ერთხელ ეღება კარი.

ერთხელ, ერთ პატარა მწყემსს ცხვარი ჰყოლოდა შეფენილი იმ გორაზე, სადაც ამირანი არის დაბმული. დაენახა, რომ ამ გორას ფერდოს განივრად დაეღო პირი. მწყემსს შიგ შეუხედავს და დაუნახავს დიდი, უზარმაზარი ვაჟკაცი, რომელსაც ცხრილის ოდენა თვალები ჰქონდა თურმე. ეს იყო თვითონ ამირანი. პატარა ბიჭს შეშინებოდა და გამოქცევა დაეპირებინა. ამირანმა დაუძახა: ამ ხვრელში შემოდი, ნუ გეშინიაო. ამირანმა დაუყვავა ბავშვს და უთხრა, მეც ქრისტიანი ვარ და ნუ გეშინიაო.

ამირანმა გამოართვა მწყემსს პური, მოუჭირა ხელი. და სამი წვეთი სისხლი გამოადინა; მერე თავის პურს მოუჭირა ხელი, რძე გამოადინა და თქვა: პური ამისთანა უნდა გიცხვებოდეთო.

ამირანმა დაანახა ბავშვს ხმალი და უთხრა, მომაწოდეო. მწყემსმა ხმალი ვერც კი შეანძრია, ისე დიდი იყო. ამირანმა მწყემსი გააწვინა, ხელები ხმალს მოაკიდებინა და თვითონ ფეხებზე გამოსწია. ხმლის სიმძიმეს მწყემსის წელმა ვერ გაუძლო, დაიყვირა, ვაიმე, წელიო, და ხმალს ხელები მოაშორა. ამირანმა მწყემსი ღვედზე გაგზავნა, რომ თვითონ მოეთრია ხმალი, და თანაც დაარიგა, რომ გზაზე არავისთვის არ გაეცა ხმა, რაც უნდა ეკითხათ.

მწყემსი წავიდა სახლში, აიკიდა ღვედი და წამოიღო. მწყემსს ერთი ქალი წყევლით გამოეკიდა და ჩააცივდა, სად მიგაქვს ეგ ღვედიო. ბიჭი რომ გაბეზრდა, უთხრა: შენ რა გინდა, საცა მიმაქვსო. მწყემსმა მიიტანა ეს ღვედი გორასთან, ბევრი უარა გარს და შესავალი კი ვეღარ უპოვნა, რადგანაც შესავალი გზა დაიკეტა იმის გამო, რომ იმ დედაკაცმა შეაცდინა მწყემსი და დაალაპარაკა.

ამირანი როდისმე თუ აეშვა, მჭედლებისა და ქალების სინსილას გაწყვეტსო.

ამირანის ლექსი

რაჭული ვერსია

ერთი მაღალი კლდე იყო. იმ კლდეში ერთი მზეთუნახავი ქალი ცხოვრობდა, წმინდანი და მეცნიერი. იმასთან ვერავინ ადიოდა. ერთმა ოქრომჭედელმა გამოჭედა რკინის ჩანგლები, რკინის პალო და რკინის ურო და ის კლდე შეკიბა, შეჰყვა, მივიდა იმ ქალთან. ახალი დაძინებული იყო ქალი. დაუშვა პალო,

დაჰკრა ურო, იმ ქალის თმა შემოახვია. ეამოეღვიძა ამ ქალს, იწევს — ვეღარ წამოდგა.

— ვინა ხარ, რა გინდა? ოღონდ ამიშვი და როგორც გინდა, ისე მოგექცევი. გინდა დედობას გაგიწევ, გინდა — დობასაო.

— უნდა დამნებდეო, — უთხრა კაცმა.

— ვერა, კუდური[1] ცოლი გყავს, გაიგებს და მომკლავსო.

არ მოეშვა ის კაცი, არ მისცა საშველი. მაშინ უთხრა ამ ქალმა, მზეთუნახავმა:

— იცოდე, მაკრატელი არ გაუჭედო შენს ცოლს, შენი ხელით გამოჭედილი მაკრატელი არ მისცე, თორემ, ჩვენი ამბავი თუ შეიტყო, მომკლავსო.

აუშვა ეს ქალი. მჭედელი ღამე იმ ქალთან რჩებოდა, დღე ნადირობდა. დაორკეცდა[2] ქალი.

მჭედლის ცოლმა შეიტყო ეს ამბავი. ერთხელაც გაჰყვა ჩუმად ქმარს შორიუკან. მივიდა კლდესთან ის კაცი. ჩამოუშვა მზეთუნახავმა თმა და თავისი თმით აიყვანა მჭედელი მაღლა კლდეზე.

როცა მივიდა შინ ის კაცი, ჩააცივდა ცოლი: მაკრატელი გამიჭედეო.

— რად გინდა ჩემი ხელით გაჭედილი მაკრატელიო?

არა და არ მოეშვა ცოლი. დაიწყო კაცმა მაკრატლის ჭედვა. ერთი თვე მოუნდა. როგორც არი და გამოჭედა ეს მაკრატელი. ჩაიგდო ამ ქალმა მაკრატელი ხელში და გასწია ტყეში. ავიდა კლდეზე, მიიმალა, დაუდარაჯდა და, როდესაც მზეთუნახავმა თმა კლდეზე გადმოშალა და ივარცხნიდა, ჩუმად მოჰკვეცა.

მზეთუნახავმა უთხრა მჭედელს, ხომ გითხარი, მიღალატებო და აკი მიღალატეო. მე მოვკვდები. როგორც კი სულს დავლევ, მუცელი გაშიპე და ვაჟიშვილი ამოიყვანე, წელს ზევით ოქროა, წელს ქვევით — ვერცხლი. შუბლი მზისა აქვს და ტანი ალვისა. შუბლზე ამირანობა აწერია. ოქრომჭედელი შენა ხარ, გაუჭედე ოქროს აკვანი, სუფთა ჩვრებში გაახვიე და ჩააწვინე. მიუყვანე და იამან ბატონს წყაროზე დაუდგი ეს აკვანი. იამანი მადლიანი კაცია, ის გაზრდის კარგად, შენ ვერ გაზრდიო.

როგორც კი დალია სული ქალმა, გაუჭრა მუცელი და გამოიყვანა ვაჟიშვილი. გაუკეთა კარგი ოქროს აკვანი, გაიყვანა და დადგა.

იამანს მერწყულები გაუგზავნია წყაროზე, წადით, წყალი მოი-

---

[1] კუდიანი.

[2] ფეხმძიმე შეიქნა.

ტანეთო. მივიდნენ ის მერწყულები და რომ ნახეს, გაკვირდნენ ამ ბიჭის მეტი სილამაზითა და სიტურფით. დგას ოქროს აკვანი, ბავშვი თავისთავად ამბობს ნანას, აკვანიც თავისდათავად ირწევა, ბავშვი მღერის:

ნანავ, ნანისავ ნანაო,
შენ ოქროს აკავანაო.

დააგვიანდათ მოსვლა. ახლა სხვა მერწყულები გაგზავნა იამანმა. მივიდნენ და ვეღარც ისინი მოშორდნენ. იამანმა თქვა:

ანი დაგვიშრეს წყარონი,
ანი დაგვიტყდეს კოკანი,
ანი დაგვტაცეს მერწყულნიო.

ისევ კაცი გაგზავნა იამანმა; რომ არ მოხვიდეთ საჩქაროდ, თავებს დაგჭრით ყველასაო. გამოიქცა ის კაცი საჩქაროდ. და უთხრა: ვიღაცას მოუყვანია ოქროს აკვნით ბავშვი და უხარიათ მერწყულებს, ამიტომ არ მოდიანო.

იამანმა უთხრა: წადით და ის ბავშვი მოიყვანეთ თავისი აკვნითო. მიუჩინა ძიძა იამანმა და ზრდის ამ ამირანს.

იამანს ორი შვილი თავისი ჰყავდა: ბადრი და უსიპი.

იზრდება ამირანი. ერთი თვისა სამი თვისას ჰგავდა და წლისა რომ შეიქნა, ხელს ვინღა მოჰკიდებს, იმისთანაა!

დიდი ქვა აქვს სახლის წინ გზაზე იამანს: ამ ქვას ვინც სახლში შეიტანს და გარეთ გამოიტანს, ბალხეთ ბალღაღანიძის ქალს მივცემო.

ჯერ ერთ ძმას დაადო და: ვაიმე, მოვკვდი, ვერ წავიღებო!

მერე მეორეს დაადო და ვერც იმან წაიღო.

აიღო ამირანმა, აბურთავებს ქვას და ისე შეიტანს და გამოიტანს კიდეც... რომ შეიტანა ის ქვა და: მომეც ქალი ბალღაღანიძისაო.

— ვერ მოგცემ, სირცხვილი იქნებაო, უფროსს უნდა მივცე, უსიპსაო.

— თუ ვერ მომცემო და, — გაჰკრა ხელი და გაუდგა ჯეირნების კვალსა და ჩავიდა ბალხეთში სანადიროდ.

მინდორ-მინდორ მოვდიოდით,
ამირან და ძმანი მისნი,
წინ ირემი აგვივარდა,
ოქრო — რქა და ტანი მისნი,

ამირანმა ისარი ჰკრა,
წითლად დაჭრა მხარი მისი,
შვიდი დღე-ღამე ვიარეთ,
არ იყო ჩვენ გულსა შიში.
ცხრა მთა გადაგვარბენინა,
და მეათე ალგეთისი.
მთას ერთი კოშკი ვიპოვეთ,
ცასა სწვდება წვერი მისი,
სამჯერ გარემოუარეთ,
ვერ ვიპოვეთ კარი მისი.
სად ამირან წიხლი ჩაჰკრა
იქ ჩაობა კარი მისი,
მივიხედ და მოვიხედეთ
არ იყო ჩვენ გულსა შიში.
კარებს უკან კვებო[1] იყო,
კვებოშიდა კუბო იყო,
კუბოშიდა მკვდარი იყო,
ამირანმა წაიკითხა,
შიგ ეწერა გვარი მისი:
არც ეგრე დაკარგული ვარ,
ძმისწული ვარ უსიპისი.
სანამ ვიყავ, დევნი ვხოცენ,
ჯავრი ჩამყვა არავისი.
დამრჩა ერთი ბაყბაყდევი,
მოვკვდი, ჯავრი ჩამყვა მისი.
ვინც რომ ამ ბაყბაყდევს
მოჰკლავს,
ჩემი ლახტი ალალ მისი,
შუბი კარებს უკან არის,
ისი შუბიც ალალ მისი,
ვინც რომ მომივლის, დამმარხავს,
ოქრო-ვერცხლი ალალ მისი.
ამირანმა ის დამარხა,
გვარიც ასე მოითხოვსო.

შეხვდნენ ერთმანეთს დევი და ამირანი. შორიდან შეამჩნია ამირანმა, რომ უხეიროდ მოდის დევი, მიაძახა აღელვებულმა:

[1] სარკმელი, ნიში.

— შენ, კაცო, კაცო ვინ ხარო, შენი სახელი მითხარო!

— შენ ჩემს სახელს რას იკითხავ, გმირი მოკვდა, მისი ლეშის საჭმელად მივალო.

ამირანმა მიაძახა:

— შენ გმირის ხორცს ვინ შეგაჭმევს? შენდა საომრად მოვალო.

ამირან, დევი ბაუბაკი
ჩასაუბრობენ მტრულადა.
ხმალზე ხელი აქვს ამირანს,
ცხარე ომი აქვ გულადა.
ამირან-დევი შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დასცა დევი,
დააწყებინა ღრიალი.

ერთი ღელე ხორცით გაავსო და მეორეზე სისხლის ღვარი წავიდა. ბადრი და უსიპი შინ გაეპარნენ ამირანს. წამოვიდა ამირანი და შეხვდა ერთი ფალავანდი ჩრდილავერი. დაძმობილდნენ.

ამ დროს იამანს კარზე დევი მიუხდა. მოსტაცა ბადრი და უსიპი, ცალი თვალიც მოსთხარა იამანს და წაიღო. მერე იქცა ეს დევი ვირად. მივიდა იამანთან და უთხრა, შემაჯექიო. შეჯდა იამანი ამ შავ ვირზე და მიდის. ამირანი და ჩრდილავერი ერთად პატარა, ბილულა წყლის პირას სხედან.

ამირან და ჩრდილავერი
ერთად ზიან წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ლესავს,
ჩრდილავერი უწყობს პირსა.
ბერიკაცი, ჩაჩანაკი,
მოიმსეელებს შავსა ვირსა.

ამირანმა იცნო იამანი და ეშმაკიც:

წინ ამირან მიეგება, თავი მოუკვეთა ვირსა,
ცხენი მისცა[1] მშვენიერი, უნაგირი სოფლად ღირსა.
ჩრდილვერმა ბეჭედი მისცა — ათას თუმან თეთრად ღირსა.

კიდევ ჩივა ბერიკაცი: ჩემი ვირი მეტად ღირსა.

---

[1] იამანს.

ნულარ ჩივი, ბერიკაცო, მოგარჩინეთ გასაჭირსა,
ვითაც სახლში შეიყვანდი, შეგიჭამდა ცოლსაც, შვილსაც.
ვითა წყალში შეიყვანდი, თავს მოგჭამდა, მხრისა ძირსა...

ახლა იამანი მოუყვა თავისი შვილებისა და თვალის გატაცების ამბავს. უსაყვედურა, რად დაეტოვეო. ამირანმა კი უპასუხა:

დადუმდი, ბერო, იამან, ისმინე ჩემი თხრობილი,
ბალხეთი გთხოვე, არ მომეც, მით ვიყავ შენზე წყრობილი.

— მომიცია, შვილო, ბალხეთი ბაღდადამდისა. ბალხეთს ბალღაღანიძის ქალი თამარი გიბედნიეროს ღმერთმაო!

— იამან, შენ სახლში წადი, მე წავალ შენი შვილების საძებნელად. თუ არ მოვკვდი, შვილებს მოგიყვან, თუ მოვკვდი და რაღა იქნებაო!

გაგზავნა ეს იამანი სახლში. გამოეთხოვა ჩრდილავერს და გაუდგა მინდვრებს, გაუდგა მინდვრებს და ხედავს, შორს კლდეა და იმ კლდიდან რაღაც ხმაური შემოესმა ამირანს. იმ კლდეში ერთ ფასკუნჯსა ჰქონია ბუდე. გველეშაპი შემოხვევია მის ბუდეს და ბარტყები წივიან და კივიან. ფასკუნჯი სადღაც ყოფილა წასული. ამირანს როგორც შეხედა, შემოუტია გველეშაპმა. ამირანმა მოისვა მშვილდს ხელი, ესროლა გველეშაპს და პირში რომ ჰკრა, უკან გავარდა ისარი; დასცა ძირს, მოისვა ხმალს ხელი და დაჩეხა.

აღგა ამირანი და წავიდა. დატოვა ეს ბარტყები თავის ბუდეში. გაუდგა მინდორს.

ამ დროს მოვიდა ფასკუნჯი. მოვიდა ფასკუნჯი და გაუწყრა შვილებს:

— რა გაწივლებდათ და გაყვირებდათ, ზეცას გალობას ვიყავი და თქვენმა წივილმა შემაწუხაო. თუ გშიოდათ, აგერ ბუზივით რო მიდისო (ამირანზე უთხრა), ის შეგეჭამათო!

— იმ ბუზსაო ჩვენ შეეშმას რას ვერჩითო, იმ ბუზმა მოისვა მშვილდს ხელი, პირში სცა გველეშაპს ისარი, მოკლა და აჩეხა. წავიდა და ჩვენ დაგვტოვა თავისუფალიო.

ახლა ეს ფასკუნჯი გამოუდგა უკან ამირანს. მიეწია და დაუდგა წინ.

— შენ ჩემთვის სიკეთე გიქნია, საჩუქარი გეკუთვნის და რასა მთხოვო?

— რა უნდა მომცე, თვითონ არაფერი გაქვსო.

— შენ რა გინდა, ქვე კი მთხოვეო, მომცემი ვარ საჩუქრისაო.

— რაკი ეგრე მწყალობ, ამ ზღვაზე გამიყვანე, სხვა შენი არაფერი მინდაო.

— ძალიან ძნელი საქმე კი მთხოვე, მაგრამ უარს ვერ გეტყვი. მხოლოდ ეგრე ვერ წამოვალ. წადი დაკალი ხარ-კამეჩი, აჩეხე და ფრთებზე დამაწყვეო. გზაზე მომშივდება და დაგიძახებ: „ამირან, ყლაპიო“ და მაძლიე თითო ასო ხორცი. თორემ თუ მომშივდა, ვერ გავძლებო.

დაკლა ამირანმა ხარ-კამეჩი, აჩეხა, დააწყო ფრთებზე, დააჯდა მერე ზურგზე ფასკუნჯს და წავიდნენ. ეს ფასკუნჯი რამდენ მანძილს გაივლის, იმდენს დაიძახებს: ამირან, ყლაპიო! და აძლევს ამირანი თითო ასოს.

იარა და გავიდა ნაპირში. ცოტა აქვს გადასავალი და გამოილია ხორცი. იძახის ახლა: ამირან, ყლაპიო! და აღარა აქვს ხორცი. რა მისცეს? მეორედ უთხრა: ამირან, ყლაპიო! და აღარა აქვს ხორცი. მესამედ უთხრა: ამირან, ყლაპიო, თორემ დაგიშვი ძირსაო!

სხვა ველარაფერი მოახერხა, აიღო ხანჯალი, წაიჭრა წვივი და შისცა. გავიდნენ ხმელეთზე. მიდის ამირანი, კოჭლობს.

— რათა კოჭლობო?

— რათა და ხორცი დამაკლდა, წვივი ავიჭერიო.

— კიდევ კარგი, ადრე არ ვიცოდი, რა გემრიელი ხორცი გქონდა, თორემ შეგჭამდიო. ამომიღე აბა ერთი ფრთაო.

ამოუღო ამირანმა ცალი ფრთა, წაისვა წვივზე და გაუმრთელდა.

წავიდა ახლა ამირანი და ავიდა დევის ყავარზე, სახლის თავზე. ერდო აქვს მაღლა. ჩაიხედა. რაკი მზე ჰქონდა შუბლზე და შუქი ჩადგა სახლში, იმ დევის ქალიშვილმა გაიგო. დევი დაძინებული იყო.

— ვინ მოვიდა, რა ამბავიაო? — დევის ქალმა იკითხა.

— მე მოვედი, ამირანი, და თუ მომაკვლევინებ დევსაო?

— მოგაკვლევინებ, თუ ცოლად შემირთავო.

— შეგირთავო, — ამირანმა უთხრა.

იმ ქალმა უთხრა: თუ შემომფიცავ, გენდობი, თუ არა და არაო. უხსენა ღმერთი ამირანმა, შეჰფიცა — წაგიყვანო.

— ჩამოდი სახლში. ბოძი გვიდგია, ხმალი ბოძზე ჰკიდია. იმ ბოძს ამოეფარე, ამოსწიე და იჭყივლებს ხმალი. გაიღვიძებს მამაჩემი. მე ვეტყვი: არაფერიაო. მიიძინებს და თავი მოსჭერ. მხოლოდ თავს რომ მოსჭრი, იმავე ბოძს ამოეფარე, თორემ წამოავლებს თავის მოჭრილ თავს ხელს. გესვრის და მოგკლავსო.

შევიდა ამირანი, ამოეფარა ბოძს. იჭყივლა ხმალმა. გამოელვიძა დევს.

— რა იყოო?

— არაფერიო, — ქალმა უთხრა.

მივიდა ამირანი, წაადგა თავს დევს. დააღირა, ვერ გაბედა — დევი უზარმაზარია! მეორედ, მესამედ.

— ჩემო თავო, რად გინდოდიო ჩემი თავის შესარცხვენად, ან გაცეცხლდი, ან გააფთრდი, ან გადიქეც ალმასებად! თორემ ავიღებ და მივცემ ჩემ თავს დევის შესაჭმელად!

მოუვიდა მესამედ გული, დაჰკრა დევს ხმალი და მოეფარა ბოძს. წასწვდა ეს რჯულძაღლი თავის მოჭრილ თავს, ესროლა, ის ბოძიც გაგლიჯა და წინა კბილიც ჩაამტვრია ამირანს. მიიქცა მერე დევი.

ახლა უთხრა ამ ქალს ამირანმა: ამას ტყვეები ჰყავდა და რა იქნენო.

— აგერაო, ცხრაკლიტულში ჰყავს დამწყვდეული. ცხრა დღე და ღამე ძილი იცოდა. რომ გამოიღვიძებდა, მერე უნდა შეეჭამა ისინიო.

წავიდა ამირანი, მიადგა ამ ცხრაკლიტულს, მიდის, ამტვრევს.

უსიპმა თქვა: მოვიდა ჩვენი დღე, შეგვჭამს დევიო.

ბადრმა თქვა: ნუ გეშინია, ამირანის მუხლთა დგარადგური მეყურებაო.

გაიარა ამირანმა ცხრაკლიტული, მივიდა. შეხედეს ძმებმა ერთმანეთს, გაეხარდათ. მივიდნენ იმ ქალთან.

— მამაშენს თვალი ჰქონდა წამოღებულიო, რა უქნაო?

— აგერ კოლოფშია მაღლა სარტყელზედაო.

ავიდა ამირანი, ჩამოიღო. მერე ჰკითხა იმ ქალს:

— მამაშენი ზღვაზე რითი გადადიოდაო?

— ჩვენ ჩითის სუფრა გვაქვს, თუ შეგიძლია და მკლავში ძალა გაქვს, რო გაღმა ზღვის ნაპირამდე გაისროლო, ხიდად გაეგება და გავალთო.

მოიტანეს ეს სუფრა. ისროლა ამირანმა და გაიტანა.

ქალს ეშინია, მე დამტოვებენო და ეუბნება, ჯერ მე გავალო.

ამირანმა უთხრა: როგორ იქნება, მაზლებზე ადრე გახვიდეო.

გაგზავნეს ბადრი და უსიპი, მერე უთხრა ისევ ქალმა: მე უმალ გავალო.

— როგორ შეიძლება, ქმარზე წინ გაიაროს ქალმაო.

გამოვიდა ამირანი, გამოჰკრა სუფრას ხელი და ქალი მიატოვა.

რაკი ღმერთი უხსენა და მაინც მოატყუა, მაშინვე მოშივდა ამირანს: მანამდე ღვთითა ცხოვრობდა, საჭმელი არა სჭირდებოდა. მოშივდა და აგერ, ღელეში რაღაც კვამლი ჩანს. გრძნობს ამირანი, რომ იქ ვინმე იქნებაო და მისვლა გადაწყვიტა. ბადრმა უთხრა:

ამირან, მანდით ნუ მიხვალ, გუშინ ეგი მთა, ხვიოდაო,
ან იყო დევთა ნადგური, ანდა ლოდნარი ცვიოდაო.
უშალა, არ დაიშალა, ამირანს მაგრა შიოდაო.

შევიდა ამირანი იმ ღელეში, იქ თურმე, რომ მოკლა დევი, იმისი ძმა ყოფილა:

დევთა სახლსა რომ ჩავხედეო, სახლი მეღრმა და
მეფართაო,
კვამლი უკუღმა ჩუოდაო... დევნო, მყრალნო და გონჯანო,
სტუმრისა ჩამოსვლისთვინა კარსა საკეტი რად უნდაო.

გაუღეს კარები. ჩავიდა ამირანი და უცებ ეს მისგან მოტაცებული დევის ქალი იქ დაუხვდა!

— აჰა, ბიძია, ეს ვაჟი, რომელსაც ჩამოველოდი,
თუ ამას მომაკვლევინებ, სალხინოს შენ დამელოდე,
თუ ამას გამაშვებინებ, საჭიროს ჩემგან ელოდე!

შეჰყვირა ამირანმა: ჯერ მშია, მაჭამეთ და მერე რაც გინდა მიქენითო.

მას რომ პური მოუტანეს, ბურჭყულაები ცვიოდეს,
მას რომ ხორცი მოუტანეს, მატლები გადმოცვიოდეს,
მას რომ ღვინო მოუტანეს, შიგ ბაყაყები ყიოდეს,
მან ჭამა არ დაიშალა, თურმე მას მაგრა შიოდეს.

რომ გამოძღა, შეიბნენ ამირანი და დევი:

ამირან და დევი ეცნეს, ადგილი შეხვდა ქვიანი,
ამირანმა დევი დასცა, დააწყებინა ღრიალი.

წააქცია ამირანმა დევი. დევმა უთხრა:

ლომო ამირან, ნუ მომკლავ, შუბი გაფიცე მზიანი,
რა გგამა[1] მეცა ვრჩებოდე, მხარმოტეხილი, ზიანი,
რა გგამა, მეცა მოვჭამო შენი ურგები ტყიანი?
— უყურე ამ მყრალსა, დევი ვინ დასვა ვეზირად?

---

[1] რა გენაღვლება.

დაჰკრა ხმალი და მოაჭრა თავი. ეს ქალი იქცა ბუღად, მიდის და ურქენს ამირანს. ამირანი სცემს ხმალსა და ხარი ცეცხლსა ჰყრის. ბადრი და უსიპი გაიქცნენ. ბადრმა დაუძახა ამირანს:

გიჟო ამირან, ნუ ჩქარობ, კილო არ იცი ომისა,
მოუსვი გოლსა[1] მუხლებზე, გოდოლნი წაიქცევიანო.

შემოჰკრა ხანჯალი ბუღას მუხლებში და წაიქცა ქალი-ხარი.
წამოვიდნენ ამირანი, ბადრი და უსიპი. ერთ მთაზე სამი გველ-ვეშაპი წამოუდგა: თეთრი, წითელი და შავი.

თეთრმა თქვა, უსიპს ვეცემი, უფრო სუსტი კაციაო,
წითელმა თქვა, ბადრს ვეცემი, უფრო სუსტი კაციაო.

შავმა თქვა, ამირანს ვეცემიო.
ამოვიდნენ ამ მთაზე. ვერცა უსიპმა მოკლა გველვეშაპი, ვერცა ბადრმა. ამირანმა წამოუსვა ხელი, ორივე დახოცა და შავმა კი გადაყლაპა ამირანი მთლიანად:

თეთრიც მოკლა და წითელიც, შავსა შეება მაშვრალი.

გაიქცა შავი გველვეშაპი დედასთან. ბადრი მისდევს უკან.
— დედა, მუცელს მგვრემსო, — გველვეშაპი ეუბნება.
— ამირანეთი ხო არავინ შეგიჭამიაო?
— მგონი, თვითონ ამირანიო.
— არიქა, მოდი, ბოძს შემოეხვიე, გამოიტყლიპე მუცელში; თორემ მოგკლავს ეგ შენაო.
რომ წამოვიდა გველვეშაპი ბოძისაკენ, ბადრმა ესროლა ისარი და ცხრა მხარი კუდი მოსწყვიტა:
გველვეშაპი ბოძსა ეხვევა, ბოლო ვერ მოუწვდენია.
ბადრმა ჩასძახა:

ამირანეთა წესია, ქარქაშს ჩაგება ხმალისაო.
ამოღება და გაგვრემა მაგ შავის გველვეშაპისაო.

ამოიღო მერე ხმალი ამირანმა, გაჭრა გველვეშაპი, დაჩეხა, მერე დედაც მოკლა და წავიდნენ ერთად ამირანი, ბადრი და უსიპი.
მივიდნენ იამანთან და თვალი ჩაუსვეს. ჰკითხეს:
— ხო არავინ გაჯავრის აწიო.
იამანმა უთხრა:
— ერთი დევი კიდევ მაჯავრისო.

---

[1] ბუღა ხარი.

შეუკაზმა მერე ამირანმა უსიპს თავისი ცხენი, მისცა ხელში: ერთი ხარის თავი, ერთი კულა ზეთი, მარილის სანაყი ქვა, სავარცხელი და თავისი ბეჭედი (ბეჭდით რასაც ინატრიდა, აუსრულდებოდა.). — მიდი იმ დევის კარზე და დაუძახე. დევნო, გარეთ გამოდითო. დევი დაგიძახებს, დაიცა. ხარსა ვწვავ, ცხვარსა ვცხებ და შენ მარილად დაგაწებო. მეორედ დაუძახე — ისევე გიპასუხებს. მესამედაც ასე. მიუარდი მერე, აიღე ხარის თავი და ჰკარი იმ დევს კისერში. დევი წამომჯდარი იქნება და უტაკე პირი ნაცარში. გამოიქეცე მერე და დევი გამოგიდგება. რო დაგიახლოვდეს, სავარცხელი გადააგდე — ხერგი გაუჩნდება გზაზე. თუ გამოაკვლიოს და კიდევ დაგიახლოვდეს, მარილის სანაყი ქვა გადააგდე — კლდე აიმართება. თუ კიდე გამოაგნოს, ზეთი გადაასხი — ზღვა გაუჩინე. თუ კიდე გადმოსცდა და, მერე მე აქ დაგიხვდები და ნუ გეშინიაო.

მივიდა, მართლაც, უსიპი. ესროლა დევს ხარის თავი. უტაკა პირი ნაცარში, გამოედევნა დევი. გადააგდო სავარცხელი, მარილის ქვა, დაასხა ზეთი. მაინც მისდევს დევი. ამირანს კი დასძინებია ბინდორზე. უსიპმა დაუყვირა:

ამირან, ჩალამ-კალამსა, ქვე რასმე დაგძინებიაო,
დევი მე მომდევს პირცეცხლი, სული ვერ მოუცხიაო.

წამოვარდა ამირანი, დევიც მოკლა, მისი კერეტანიც[1].
ბადრს უთხრა, შესძახე უსიპს, ნუღარ გარბის, უთხარიო:

დევი მე მოვკალ პირცეცხლი, ნუღარ მიერთვი ღრესაო.

ახლა უთხრეს იამანს:
— ხო არავინ გაჯავრისო?
— არა, ახლა არავინ მაჯავრისო.
ადგნენ მერე და წავიდნენ ბალხეთში იმ ქალის მოსაყვანად.

ამირან ბალხეთს ჩავიდა, სავარსელი[2] და ყმა მისი.
ბალხნი ჰკითხვიან დედანი: ამირან, საყმოდ ხარ ვისი?
მან ხმალზე ხელი დაიდო, მე საყმოდ რას ვის ვარგივარ,
ჯერ ღვთითა, მერე ამითა (ხმალზე მიუთითა) გაზრდილი
იამანისა.

ამირანმა თამარ ბალღალანიძის ქალს უთხრა:

---

[1] ტახი.
[2] გმირის სახელი.

— ადე, თამრო, ტანს ჩაიცვი, შენი სამზნელი დღეაო.
თამარმა უთხრა:

ვერ მოგენდობი, ამირან, გეტყვიან ღალატიანსაო.
იმით რომ აბჯარდიდი ხარ, სიკვდილად გახდი დიაცსაო.

ამირანმა უთხრა:

თამარო, შენგან მოველი ასი ბალასნის შოვნასაო,
თუ გამომყვები, გამომყევ, ხანი არ ძალუძს ყოვნასაო.

თამარი ამ დროს ჯამ-ჭურჭელს რეცხავს.

— დამანებე დავრეცხოო, რომ რამე დაიმტვრეს, ჯამ-ჭურჭელი დაიძახებს, ხე, ტყე აჰყვება, ხელმწიფე გაიგონებს, მოვა და გაგვწყვეტსო.

არ დაუჯერა. გაჰკრა ხელი ჭიქას და დაამტვრია. დააწყებინა ჯამ-ჭურჭელს ჩხრიალი. ახლა ხეებმა დაიძახეს, ბალახმა, ყველამ, რომ: წავიდა, წავიდა, თამარი გაიპარაო!

ერთი კლდეური[1] ოთახი ჰქონდა თამარსა.

— ამირან, მანდეთ ჩამოდი, სად უმაღლესი კლდეაო,
კარი აბია რკინისა, საგდოლი[2] მისი მძლეაო...
ზედ ჰკიდვან თალთის კაბანი, ზედ ოქროს ღილი აბია.
ამირანმა წიხლი ჩაჰკრა, შიგ ჩაამტვრია კარია,
კაბასა ხელი ჩამოჰკრა, ჩამოუტანა თამარსა...
— ადე, თამარ, ტანთ ჩაიცვი, გზა შორი გვაქვს
საკალია,
წაიყვანეს თამარ ქალი შესვეს ტორიკსა ცხენსაო...
ვა იმ ცხენის ბედისწერას, რაზედ თამარ შეჯდებაო,
ზეითი ზურგის ძვალზედა ბებერა დააჯდებაო,
ქვეშითა ფეხის ფოლზედა ზედ ნალი დააცვდებაო...

თამარი აჩქარებს ამირანს, მამამისის ეშინია.
ამირანმა უთხრა:

ამოთ ვიაროთ, თამარო, გზათა ვერ დავლევთ რბენითა,
ზამთარი მომავალია, მთანი დაგვიწყებს თოვნასა,
შეგვიწუხდება ცხეს-ჯორი, ველარ გავივლით მთასაო...

თამარმა თქვა:

---

[1] კლდეში გამოკვრილი.
[2] ურდული.

მოგვეწევიან, დაგვხოცენ, წელებს დაგვწყვეტენ
ცემითა...

ამირანმა უპასუხა:

არცა ვარ ჭალის ხოხობი, მომინადირონ ქორითა,
არცა ვარ ფრანგი ვაჭარი, ფული დამქონდეს ჯორითა,
მე ვარ ამირან, გულხელი, მჯობთა და მჯობთა შემბმელი.
მოვლენ და აქავ დავხვდები ამ ჩემი გორდა ხმალითა!

მივიდა ამირანი ერთ ფართო ჭალაზე. ჯარი რომ მოეწია, ამოიღო ბეჭედი და ინატრა: ღმერთო, ჩემო გამჩენელო, ერთი ციხე გამიჩინეო, ჩვენ კარგად მოვთავსდეთ და ცხრაკეცი ჯარიც რომ შემოგვერტყას, ჩვენ ვერაფერი დაგვაკლონო.

დაიდგა ციხე. შემოერტყა ცხრაკეცი ჯარი, ამირანმა უთხრა უსიპსა და ბადრს, გადით, იომეთო. ბადრსა და უსიპს შეეშინდათ.

ამირანმა უთხრა:

უსნი ხართ, უსუსურნი ხართ, ჭიასთან მეომარნი ხართ,
ჭიათ მეომრებისთვისა გული რას შეგშინებიათო.

გამოვიდა ამირანი, დაიწყო ომი. ჯარი გაწყვიტა და მიაწია სასიმამროზე. საცა შემოჰკრავს, ცეცხლსა ჰყრის — სპილოს ძვალია.

გადმოუძახა მაღლიდან თამარმა:

გიჟო ამირან, ნუ ჩქარობ, კილო არ იცი ომისა,
ბოძი დაუშვი კარვისა, კარავი დავა ძირსაო.

თურმე სანთლის მუხლები აქვს. რომ შემოჰკრა მუხლებს, ჩაიჩოქება.

მამამ შესძახა თამარს:

უყურეთ ქალსა თამარსა, სატრფო არჩია მამასა,
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასაო,
რათ გაწოვებდა ძუძუსა, გირწევდა აკავანასაო.

ახლა თამარმა გადმოსძახა:

არ გაუზრდივარ დედასა,
არ უთხრობია ნანაო,
დამდგამდა ყორესა ძირში,
შორით მეტყოდა ნანასაო.

სძლია ამირანმა სიმამრს. მაგრამ დაიღალა და დასუსტდა. რომ შესუსტდა ამირანი, ბადრმა აღარ აცალა, თამარის წართმევა მოუნდომა — თავიდან ჩემი უნდა ყოფილიყოო.

ამოიღო ამირანმა ბეჭედი და ინატრა: ეგ ჩემი ხმალი ერთს იმისთანად მოიქნევდეს, რომ ქვეყანა გაკვირვებულიყოო; მეორედ ისეო, რომ დაგძრობოდეს ტარკუჭი ხელიო, თამარი თხად იქცეს და შენ მგლადაო.

მართლაც ასე მოხდა: თამარი თხად იქცა, ბადრი — მგლად და სდევენ დღესაც ერთმანეთს თამარი და ბადრი.

ამის შემდეგ დაბრუნდა ამირანი სახლში. დაუწყო ხალხს შეწუხება. ვისაც ნახავდა, ბერსა თუ ერსა, ეტაკებოდა, დასცემდა მიწაზე. შესჩივლა ხალხმა ღმერთსა: რა გაგვითენე ასეთიო, რო აღარ გვამყოფებსო?!

ღვთის ნათლული იყო ამირანი. ერთხელ, ხედავს ამირანი, მოდის ბერიკაცი, ჯოხს იბჯენს, რა იცის, რომ ღმერთია. უთხრა ამირანმა, მეტაკეო.

— მე, ბერიკაცს, რო არ მეტაკო, ამ ჯოხს დავაბოჯგებ, სარტყელი შეიხსენი და ერთი პირი კისერს გამოიბი, მეორე ამ ჯოხსა და თუ ამოსწევ, გეტაკებიო.

ჩაბა კისერზე, ის ჯოხი რკინის პალოდ აქცია, სარტყელი — ჯაჭვად და იყავ აგრეო, დატოვა მიჯაჭვული. გვერდზე ერთი ურო დაუდო. ეჯაჯგურება ამ პალოს ამირანი და რომ უნდა ამოიტანოს ის სულ ზევით, მოფრინდება ჩიტი და დააჯდება ამ პალოს. მოუვა გული ამირანს, სტაცებს უროს ხელს და პალოს ცხრა მხარს გაარბენინებს მიწაში. ფასის მთას არის დაბმულიო, ამბობენ.

ყოველ აღდგომასა სამ დღეს ეღება კარი გაზაფხულზე. ერთხელ ერთ მემწყერე[1] კაცს ენახა ამირანი.

— მოდი, თუ კაცი ხარ, კედელზე ჩემი ლეკური ხმალი ჰკიდია და მომეციო.

მივიდა ის კაცი და ვერ მოერია, ძირს კი ჩამოაგდო და ვერ მოერია. უთხრა ამირანმა მერე, რომე, მოჰკიდე ხელიო, გამოსწვადე ფეხიო და მოგათრევო. დაიწყო კაცმა წივილ-კივილი, გავწყდი, გავწყდიო.

— წადი და ჩვენ რომ ჯამბარები ვიცით ხენაზედა, ის გამომიტანეო.

წავიდა ეს კაცი და გზაზე შეხვდა ქალი. ჰკითხა, სად მიგაქვს ეს ჯამბარებიო. უთხრა კაცმა.

[1]მწყერებზე მონადირეს.

— არ გაიტანო, — იყვირა ქალმა, — ის ამირანია, რომ აიშვას, გასწყვეტს ხალხსაო.

არის მასუკან ასე დაბმული ამირანი და არის. ზევიდან მთა დაადგა ღმერთმაო.

ამირანი

(სვანური ვერსია)

ერთ უდაბურ ტყეში, რომლის ხის წვეროები ცას სწვდებოდნენ, ამართული იყო წვრილი, მაგრამ ძლიერ მაღალი კლდე. ამ ტყის მახლობლად ცხოვრობდა ერთი მონადირე, რომელიც დროგამოშვებით ნადირობდა ხოლმე ამ ტყეში.

ერთ დღეს, ბევრი სიარულის შემდეგ, მონადირე მივიდა ამ კლდის ძირას. კლდიდან რაღაც ხმა მოესმა, რომელიც ქალის კივილს ჰგავდა. ამ კივილმა მონადირის ყურადღება მიიქცია. ახედა კლდეს, თვალი ვერ სწვდებოდა. ასვლა მოინდომა, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. მაშინათვე შინ დაბრუნდა.

შინ ჰყავდა კოჭლი ცოლი, ძლიერ ანჩხლი. ცოლს უთხრა: ხვალისათვის საგზალი გამომიცხვეო და თვითონ მჭედელთან გასწია, რომელსაც ერთი გუდა სატეხი და ერთი რკინის ხვედა შეუკვეთა.

დილისთვის ცოლმა საგზალი შოუმზადა, მჭედელმა — სატეხი და ხვედა. ადგა მონადირე და კლდისაკენ წავიდა. მივიდა კლდის ძირში. მოსდგა და დაუწყო სატეხებს მიჭედვა კლდეზე: რამდენ სატეხსაც მიაჭედდა, იმდენ საფეხურს იკეთებდა და ზევით და ზევით იწევდა. როდესაც ერთი გუდა სატეხიც გამოელია და ხვედაც გაუცვდა, კლდის თავზე ააღწია. კლდის თავზე კარის მინაგვარი შესავალი ნახა; შევიდა, შიგნით გამოქვაბული იყო და ამ გამოქვაბულში დალი იწვა.

დალი გასაოცარი სილამაზისა იყო, ოქროს ნაწნავები ჰქონდა. შეხედეს თუ არა დალმა და მონადირემ (მონადირეს სახელად „დარჯალანი“ ერქვა.) ერთმანეთს, მაშინვე ერთმანეთი შეუყვარდათ. გადაეხვიენ ერთმანეთს და რამდენიმე ხანი უგრძნობლად იყვნენ. ამ ღამეს მონადირე აქ დარჩა, დალთან დაწვა. თუმცა დალი ერთად დაწოლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ სიყვარულმა სძლია და ვერაფერი გააწყო.

მეორე დილას დალმა მონადირეს უთხრა, დაბრუნებულიყო შინ, მაგრამ მონადირე არ დათანხმდა. მეორე ღამესაც ერთად იყვნენ:

ახლა კი დალმა უფრო მკაცრად ურჩია მონადირეს შინ წასვლა.

— წადი შინ, — ეუბნებოდა დალი, — თორემ შენი ცოლი მეცარია (გულთმისანი), იგი ყოველ საღამოს მიჩვეულია შენს შინ დაბრუნებას, რომ აღარ მიუხვალ ამდენ ხანს, იფიქრებს რასმე, გამოჰყვება შენს კვალს, მოვა და რაიმე ხიფათს გადაგვკიდებსო.

— შენც არ მომიკვდე, — მიუგო მონადირემ, — ჩემი ცოლი კოპლია, სახლში ძლივს დაფორთხავს და აქ რა მოიყვანსო.

ამ ღამესაც მონადირე დალთან დარჩა.

მონადირის ცოლს მართლა უკვირდა, რომ მისი ქმარი, ეს მესამე დღეა, სახლში არ დაბრუნებულა. ორი ღამეც მოიცადა, მესამე დღისთვის კი დაიმზადა საგზალი და მიჰყვა ქმრის კვალს, რომელმაც კლდის ძირში მიიყვანა. აჰყვა კლდეს, თავში ავიდა და შევიდა იმ გამოქვაბულში, სადაც მონადირე და დალი ერთად იწვნენ და ეძინათ. მონადირის ცოლმა დალის ოქროს მაკრატელი მონახა, დალს ოქროს ნაწნავები წააჭრა, ნაწნავები და მაკრატელი თან წაიღო და დაბრუნდა სახლში.

მეორე დილას მონადირეს და დალს გამოეღვიძათ. დალმა ასწია თავი, მჩატედ მოეჩვენა, მოისვა ხელი, ნაწნავები არა აქვს. ადგა უცებ მაკრატლის სანახავად, არსად იყო. შეწუხდა, მიუბრუნდა მონადირეს და უთხრა: ჩემი ცოდვა გქონდეს. ხომ გითხარი, რომ შენი ცოლი ამას გვიზამდა. ახლა ჩემი სიცოცხლე აღარა ღირს. აიღე ჩემი ჯაყვა, გამჭერი მუცელზე, რადგანაც მე შენს ხელში დავორსულდი, და გამოიღე შვილი. ვაჟი თუ აღმოჩნდეს ჩემი შვილი, სახელად ამირანი დაარქვი, თუ ქალი იყოს, რაც გინდა ის დაარქვი. ჩემი შვილი გმირი გამოვა. მას რომ ჩემს მუცელში დასცლოდა დრომდის, ისეთი იქნებოდა, რომ თვით ღმერთს შეებმებოდა, ახლა კი ნაკლები იქნება. შენ მაინც აასრულე, რაც მე დაგიბარო: როცა ჩემი მუცლიდან გამოიღო შვილი, სამი თვე დეკეულის ფაშვში შეინახე, შემდეგ სამი თვე — კუროს ფაშვში, რომ, რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოს. შემდეგ აკვანში ჩააწვინე, აკვნიანად წაიღე და იამანის (კაცის სახელია) წყაროზე დადგი. იქ გამოივლის მისი მომნათლავი და მონათლავს; ის ეტყვის ყველაფერს, რაც მისთვის საჭირო იქნებაო.

მონადირე შეწუხდა, გაჭრაზე უარი თქვა, მაგრამ დალი არ მოეშვა და ძალაუნებურად უნდა დათანხმებულიყო. ხელების კანკალით გაუჭრა დალს მუცელი და გამოვარდა მზის მსგავსი ვაჟი. დალის დაბარებული ყველა აასრულა: მიიტანა აკვნით იამანის წყაროზე და იქ დადგა, თვითონ კი სახლში დაბრუნდა.

იამანის წყაროზე გამვლელ-გამომვლელი მოდიოდა, ხედავდნენ აკვანს, რომელშიაც ყმაწვილი იწვა და ეკითხებოდნენ: ვინ არის შენი დედ-მამა ან შენი მომრჩათლავიო?

— დედ-მამა არ ვიცი ვინ არის, მომნათლავი კი ჩემი ბატონი ანგელოზიაო, — უპასუხებდა ყმაწვილი.

ამ დროს ჩამოიარა ანგელოზმა. ჰკითხა ყმაწვილს ისავე, რასაც სხვები ეკითხებოდნენ. ყმაწვილმა მასაც იგივე პასუხი გასცა. მაშინ ანგელოზმა გააგებინა თავისი ვინაობა, მონათლა, სახელად „ამირანი" დაარქვა, მისცა ხანჯალი და დაუბარა, პაიჭში შეენახა და სანამ ძლიერ არ გაუჭირდებოდა, არსად ეხმარა.

ანგელოზმა დალოცა ამირანი და უთხრა, რომ ქვეყანაზე შენი მომრევი არავინ იქნებაო და დატოვა.

წყაროზე იამანის მეწყლეები მიეიდნენ. ამირანს, აკვანში მწოლარეს, დაცინვა დაუწყეს. ამირანს ეს ეწყინა, ადგა აკვნიდან, თავები ერთმანეთს მიურახუნა, წყლის ჭურჭლები დაუმტვრია და ისე გაუშვა. როდესაც ესენი სახლში დაბრუნდნენ, იამანს უამბეს, რაც წყაროზე შეემთხვათ. იამანს ამ ამბავზე გული მოუვიდა, ადგა და თვითონ წავიდა წყაროზე. აქ მან ნახა აკვანში მწოლარე ყმაწვილი. გაუხარდა, თქვა: ეს ჩემი შვილების, უსიბისა და ბადრის, ძმად გამოდგებაო.

აიღო აკვნით ყმაწვილი და შინ მოიტანა. იამანის ცოლს გაუხარდა ყმაწვილის მოყვანა: უსიბისა და ბადრის დამრწევად გამომადგებაო. იმ დღეს არაფერი, მეორე დილას იამანის ცოლი ძროხების მოსაწველად წავიდა. უსიბი და ბადრი აკვნებში ჩააწვინა, ამირანი შუაში ჩასვა. დაუბარა, აკვნები ერწია, რომ მის შვილებს არ ეტირათ, და თუ, რასაც მე გეუბნები, არ აგისრულებია, ვაი შენს ყოფასაო.

როდესაც დედა შვილებს გასცილდა, გულმოსულმა ამირანმა სადგისი ნახა, აიღო და ერთი უსიბს სჩხვლიტა და მეორე — ბადრს. ბავშვებმა ტირილი მორთეს. დედას გული მოუვიდა და დაუყვირა ამირანს: ყველა გამიწყდეს, კარგად თუ არ გირწევია ჩემი შვილები, მოვალ და შავ დღეს დაგაყენებო. ამას ჩემს შვილებს შენ კი არა, დალის შვილი ამირანიც ვერ გაუბედავსო.

ამირანმა დაბალის ხმით წაიდუდუნა: ეჰ! ახლა არა ვარ, თორემ ისე კი დალის შვილი ამირანიც ვარო.

იამანის ცოლმა რომ ეს გაიგონა, ძროხების წველას თავი დაანება, გახარებული მივარდა ამირანს და დაჰკოცნა; მაშინვე რძეში დაბანა და ქანთხის (რაღაც წმინდა და სათუთი ქსოვილია) ნაჭერში გაახვია.

ამ დღის შემდეგ ისე უვლიდა ამირანსაც, როგორც თავის საკუთარ შვილებს. იამანი და მის ცოლი სიხარულით აღარ არიან, რომ ღმერთმა ამისთანა გამოუგზავნა მათ შვილებს.

სამივე ყმაწვილი წამოიზარდა, ჭაბუკობის ასაკში მოვიდნენ. ყოველ ცისმარე დღეს გავლენ მინდვრად — ვისაც შეხვდებიან ზემოთ ფიმავალს, ან ქვემოთ მიმავალს, ყველას ლახავენ და ისე უშვებენ. გალახულები ახლოდან ვერ უბედავენ და შორიდან კი შემოსძახებენ: თქვენ თუ კარგი ჭაბუკები ხართ, ჩვენ კი ნუ გვცემთ, მამათქვენს, იამანს, თვალზე რა მოუვიდა, ის გაიგეთო.

როდესაც ეს პირველად გაიგონეს, სამივემ დედასთან მიირბინა და სთხოვეს, ეთქვა მათთვის, რა დაემართა იამანს. დედა პირველად არ უმჭღავნებდა იამანის თვალის ამბავს და ასე მიუგო: იამანს ყვავილი სჭირდა და იმან გაუფუჭა თვალი, სხვა, თქვენც არ მომიკვდეთ, იამანის თვალს არაფერი დამართოდესო.

ორჯერ ამნაირი პასუხი მისცა დედამ და მესამედ კი, რომ გამოეტეხათ იგი, ამირანმა, უსიბმა და ბადრმა შემდეგი ხერხი იხმარეს: მინდვრიდან გულმოსულად დაბრუნებულებმა უთხრეს, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები გამოგვიცხვეო. დედა დათანხმდა. როდესაც დედამ პურები ნაღვერდალში ჩაყარა, ამირანმა და უსიბმა გამოიღეს ორი ცხელი პური, ერთი ერთ ძუძუზე მიადეს, მეორე — მეორეზე და უთხრეს: ან გვითხარი იამანის თვალის ამბავი, ანდა ძუძუებს დაგწვავთო.

მეტი ღონე აღარ იყო, ყველაფერი უამბო.

— იამანს ერთი დევი ჩაემტერა, — დაიწყო ქალმა, — ბეგარა დაგვადო. როდესაც უსიბი და ბადრი დაგვეხადა, მოვიდა ეს დევი და ერთ-ერთი, ან უსიბი ან ბადრი, ითხოვა: თუ ამათ ვერ შეელევითო, მაშინ იამანის მარჯვენა თვალი მინდაო. იამანმა შვილი ვეღარ გაიმეტა, მის მაგიერ თვალის მოთხრა არჩია და კიდევაც მისცა.

შვილებმა და ამირანმა რომ ეს ამბავი გაიგეს, მაშინვე შეუდგნენ მომზადებას დევთან საბრძოლველად. იამანს სთხოვეს, რკინის მშვილდ-ისარი ეშოვა მათთვის. იამანმა უშოვა. გასინჯეს, მოსწიეს — ამირანს ვერ გაუძლო და გაუტყდა. მაშინ ამირანმა ცხრა ოყა რკინა იშოვა, თავის ხელით წაიღო მჭედელთან და გააჭედვინა. მეორე დღეს სამივე წავიდა დევთან საბრძოლველად.

იარეს, იარეს, შორს მინდორში ერთ დევს შეხვდნენ. მას მშვენიერი სავაშლე ადგილი აქვს და ვაშლის ხეების ძირში ფარა უწევს. დევმა რომ ესენი დაინახა, შესძახა: კარგი ჭაბუკები მაშინ იქნებით,

თუ ჩემი ვაშლის ხეებს ერთ ვაშლს ჩამოაგდებინებთ და მეორეს შეესვრითო.

უსიბი და ბადრი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ერთი ვაშლიც ვერ ჩამოაგდებინეს. ესროლა ამირანმა თავისი მშვილდ-ისარი, ერთის მხრით ვაშლი სულ ჩამოყარა, მეორეს მხრით შეაყარა.

დევმა მეორედ უთხრა: თქვენ თუ კარგი ჭაბუკები ხართ, აბა სცადეთ, თუ ჩემი ფარიდან ერთი ცხვარი ააყენოთ და მეორე დააწვინოთ თქვენს ნებაზეო.

უსიბმა და ბადრმა ვერც ერთი ვერ შეიძლეს; ამირანმა კი ჯერ ააყენა მთელი ცხვრის ფარა და მერე ისე მაგრად დასცა მიწას, რომ კინალამ მთელი ფარა ამოწყვიტა. დევს ამაზე გული მოუვიდა, მოუსვა ფარას ხელი, ამირანიც შიგ მოატანა და თავის სახლში შეყარა. კარები შიგნიდან გამოკეტა. უსიბი და ბადრი გარეთ დატოვა. ვახშმად დევმა ოთხი ცხვარი მოიხარშა, ხორცს თვითონ ჭამდა, ძვლებს კი ზურგს უკან კუთხეში ჰყრიდა, სადაც თავისი და ჰყავდა ჯაჭვით დაბმული. დაწოლის წინ დევმა თქვა: ამაღამის ვახშამი ეს იყო, ხვალ ჩემი საუზმე ამირანი იქნებაო, და კიდევაც დაწვა.

როცა დევმა დაიძინა, ამირანი დაბმულ დასთან მივიდა, სთხოვა, რაიმე ხერხი მასწავლე, რომ დევი მოვკლაო. დევის დამ უთხრა: ჩემს ძმას სხვა არაფერი მოჰკლავს, თუ არა მისივე ხმალი, რომელიც ზეთში აქვს ჩაგებული. ხმალი ისე მაგრად არის ჩაგებული ზეთში, რომ მარტო შენ იმისი ამოღება არ შეგიძლია, მაგრამ ჩემს ძმას აქვს ჯამბარა, ჯერ შენ ის მომიტანე, ერთი მისი წვერი ხმალს მოაბი მაგრად, მეორე წვერზე მე მომაკიდებინე ხელი, ორივე მოვწევთ და ხმალსაც ამოვიღებთ. როდესაც ხმალი ხელში გექნება, მიდი ძმასთან, მაგრამ არამც და არამც არ დაჰკრა ხმალი, მხოლოდ დაადევი კისერზე და თვითონ მოსჭრის თავსაო.

დევის დამ ქრისტე სთხოვა ამირანს თავდებად, რომ, როცა დევს მოკლავდა, მისთვის არაფერი ევნო. ამირანმა მისცა ქრისტე თავდებად, მონახა ჯამბარა, მოაბა ხმალს, მეორე წვერი დევის დას მისცა ხელში. მოსწიეს ორთავემ და დიდი გაჭირვებით ამოაძვრეს ხმალი ზეთიდან. ამოძრობის დროს ხმალმა ისეთი ხმა გამოიღო, რომ დევს გამოეღვიძა, მაგრამ ისევე ჩაეძინა. ამირანმა ხმალი დევის კისერთან მიიტანა, დაადო. ხმალმა უქნეველად დაუწყო კისერს ჭრა. შუამდე რომ დავიდა, მარტო მაშინ იგრძნო დევმა, დაიწყო ფართხალი, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ამირანმა დევი მოკლა. დამ გათავისუფლება სთხოვა ამირანს. გათავისუფლების მაგიერ მან თავი მოსჭრა და ამით გასტეხა ქრისტეს თავდებობა.

დევის ქონება ამირანს და მის ძმებს დარჩათ. რისი წაღებაც შეიძლებოდა, წაიღეს, რისიც არა — დატოვეს და თვითონ გზად გასწიეს.

იარეს, იარეს, ერთ ნაძვნარში შევიდნენ. აქ ერთი კლდეა, კლდეზე დევი ზის და მატყლს ართავს. თითისტარად ნაძვის ხე აქვს, ჯარად — წისქვილის ქვა. ამ დევს წაეღო იამანის თვალი.

დევმა რომ ამირანი და მისი ძმები დაინახა, დაუძახა:

— აქ ვიღაც სამი ბუზი მოდიხართ, უკან დაბრუნდით, თორეშ თქვენს რბილსაც შევჭამ და ძვალსაც დავხრავო.

ამირანმა მიუგო:

— შე ბილწო, ჯერ სცადე შეჭმა და მერე დაიქადნეო.

დევს გული მოუვიდა, რთვას თავი დაანება და კლდის ძირს ჩამოვიდა ამათთან საბრძოლველად. იბრძოლეს დიდხანს მშვილდ-ისრით. ამირანი ერთ ისარს თავის წილად ახვედრებდა დევს და ორს — უსიბისა და ბადრის მაგიერ. დევმა დააღო პირი, გადაყლაპა და თავის სახლისაკენ გაიქცა. ეზოში შესვლისას ბადრი დევს დაეწია და კუდი მოსჭრა. დევს სახლში შესვლისთანავე მუცელი ეტკინა.

—ვაიმე, დედავ, მუცელი მეტკინა, — ეუბნება დედას; მივარდება სვეტს, უხახუნებს მუცელს, უნდა ამითი გაიქარვოს მუცლის ტკივილი, მაგრამ სვეტზე ვერ მაგრდება, რადგანაც კუდი მოჭრილი აქვს, და ძირს ბრაგვანი გააქვს.

დედა რომ შვილის ამგვარ წვალებას ხედავს, ეკითხება:

— ხომ არავინ გინახავს დღესაო?

დევმა მიუგო, რომ სამი ბუზი ვნახე, ერთი კიდევაც ჩავყლაპეო.

— ვაი, შენს დედას, თუ სადმე დალის შვილი, ამირანი გადაგეყლაპოსო!

ამასობაში ბადრი და უსიბი დევის სახლში სარკმელს მოსდგომიან და დევის ლაპარაკი ყველაფერი ესმით. ამათ შემოსძახეს ამირანს:

ამირან, ალამ-ჩალამსა, მუხლსა ჩაგედვა ხანჯალი.

შენ რომ პაიჭში ხანჯალი გაქვს ჩარჭობილი, ამოიღე და უცხუნე დევს გვერდებში აქეთ-იქითაო. ამირანმა ეს გაიგონა, თქვა თავის გულში, მართალი არისო, ამაზე უარესი გაჭირვება როდის დამადგებაო. ამოიძრო ხანჯალი და უცხუნა ფერდებში დევს. დევმა ყვირილი მორთო: ოღონდ ნუ მომკლავ და გერჩიოს, პირიდან ამოგიშვებ, გერჩიოს, უკანიდანო.

ამირანმა გაჯავრებით მიუგო: შე ბილწო, ან შენი ამორწყეული თავი რად მინდა, ანდა უკნით გასვლაო.

— აბაო, — უთხრა დევმა, — გამოიღე ძვალი გვერდისა და იქიდან გამოდიო.

ამირანმა მთელი გვერდი გამოუღო და გამოვიდა; ერთი თვალი აკლდა.

— ახლავე გამიმთელე თვალი, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო, — უთხრა ამირანმა.

დევმა უთხრა: ცოტა ღვიძლი მომჭერი, ცოტა ფილტვი, მოისვი თვალის ადგილას და უკეთესი გექნება უწინდელზეო.

ამირანმა ბლომად ღვიძლს მოსჭრა, ბლომად ფილტვებს, მოისვა თვალზე და თვალი აეხილა. შემდეგ დევმა სთხოვა, გვერდი ისევ გაეკეთებინა. ამირანმა გვერდის მაგიერ ხის ჩელტი მიუყენა. ამირანს რომ ჩელტი არ მიეყენებინა, ქვეყანა დაიღუპებოდა: როცა მზე ბნელდება — დევი ყლაპავს, მზე ხის გვერდს მალე სწვავს და ისევ გამოდის ქვეყნის სანათებლად. ასე ამბობს ხალხი. ამას რომ მორჩენენ, ამირანმა დევს იამანის თვალი მოსთხოვა. დევს შეეზარა, მაგრამ უარი ვერ გაუბედა, უჩვენა სახლის სვეტი და უთხრა: მაგ სვეტში კოლოფი დევს, კოლოფში კოლოფია და იმაშია შენახული იამანის თვალიო.

ამირანმა მონახა თვალი. დევი აქ მიატოვეს და თვითონ სახლში დაბრუნდნენ. იამანს თვალი ჩაუსვეს და რამდენიმე ხანს სახლში დაისვენეს.

გავიდა ხანი, ამირანს საგმირო საქმე მოუნდა. იამანს სთხოვა, თავისი შვილები, უსიბი და ბადრი, სახლში დაეტოვებინა, რადგანაც გაჭირვების დროს ისინი უფრო ხელს მიშლიან, ვიდრე მეხმარებიანო.

უსიბმა და ბადრმა ეს რომ გაიგეს, ძლიერ შეწუხდნენ, შეეხვეწნენ ამირანს, ისინიც წაეყვანა: უშენოდ ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლიაო.

დათანხმდა ამირანი და სამივე წავიდა.

იარეს ბევრი. ერთ მინდორში სამი დევი შეხვდათ. მათ მოაძახეს: რა კარგი ჭაბუკები იქნებით, რომ ერთი თქვენთაგანი კეკლუცა კეისრის ქალიშვილს ქეთუს შეირთავდესო. იმისი შერთვა ბევრმა ჭაბუკმა მოინდომა, მაგრამ ვერავინ შეძლოო.

ამირანმა ჰკითხა, თუ სად არის ეს კეისარი ან ქალიშვილი ქეთუ სადა ჰყავს. დევებმა უჩვენეს კეკლუცას საკეისრო და უთხრეს, რომ ქალიშვილი ქეთუ ჰყავს კოშკში, რომელიც ცაზეა ჩამოკიდებული ჯაჭვითო.

მიატოვეს დევები და გასწიეს კეკლუცას საკეისროსკენ.

გზაზე ზღვას მიადგნენ, ერთობ დიდი იყო და გასვლა არ შეეძ-

ლოთ. აქვე ნახეს ერთი დევი-ქალი. ამირანმა ჰკითხა დევს, ეგებ სხვა გზა იცოდე კეკლუცას საკეისროშიო.

მან მიუგო, რომ გზა არსად არ არის და თუ შემიამხანაგებთ, ზღვაზე მე გაგიყვანთო.

ამირანმა ქრისტე მისცა თავდებად. ქალმა მოიკრა ერთი ნაწნავი და ზღვაზე გადო ჭოლოკად. ამ ნაწნავზე გავიდნენ ჯერ უსიბი და ბადრი, შემდეგ კი ამირანი და ბოლოს დევი უნდა გასულიყო. შუა ზღვას რომ მიაღწია, გაჰკრა ამირანმა ხანჯალი ნაწნავს და გაწყვიტა, — დევი ზღვაში ჩავარდა. აქ ამირანი მეორედ გადუდგა ქრისტეს თავდებობას.

ხმელეთზე ბევრი იარეს. ერთ მინდორში ამირანი და მისი ამხანაგები შეხვდნენ კაცს, რომელსაც ანდრერობი ერქვა სახელად. ანდრერობი ისეთი დიდი რამ იყო, რომ ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ება ურემს, რომელშიაც იწვა, აუარებელი ხალხი ეხმარებოდა, მაინც ძლივს მიჰქონდათ. ანდრერობი მიჰყავდათ დასამარხავად, რადგანაც სიმძიმის გამო სიკვდილის შემდეგ საფლავამდე ვერავინ მიიტანდა და დაუმარხავი დარჩებოდა. ანდრერობს ერთი ფეხი გადმოვარდნოდა ურმიდან და მიწაზე მიათრევდა. მისი სიმძიმე გუთანივით თხრილს ტოვებდა მიწაზე. ამდენ ხალხს ვერ შეეძლო ფეხი ურემშივე შეედვა.

ამირანმა რომ ყველა ეს ამბავი გაიგო, მოსდო ანდრერობის ფეხს მშვილდის გოზა და ფეხი ურემში შეაგდო.

ანდრერობს გაუკვირდა: ვინ გამოჩნდა ასეთი ღონიერი, რომ ჩემი ფეხი ასე ადვილად შემოაგდო ურემშიო.

ხალხმა ამირანზე მიუშვირა ხელი. ანდრერობმა ამირანს ხელი გაუწოდა. ამირანს შეეშინდა, ვაითუ ამისთანა ღონიერმა კაცმა მაგრა მომიჭიროს და ხელი დამამტვრიოსო. აიღო და ხელის მაგიერ ფიქალი ქვა მისცა. ანდრერობმა მოუჭირა ფიქალს და წვენი გ[illegible]ადინა. ანდრერობმა კიდევ სთხოვა ამირანს ხელი მიეცა. მისცა ამირანმა. ანდრერობმა ქრისტე დააფიცა, რომ მისი შვილი ეძმო და არასოდეს ეღალატა. ამირანმა ქრისტე დაუყენა თავდებად.

ანდრერობი თავის გზაზე წაიღეს. მისი შვილი ამირანმა თან წაიყვანა, სადაც მიდიოდა.

იარეს ბევრი. ამირანს ძილი მოეკიდა და დაიძინა. ანდრერობის შვილმა ორი ირემი დაიჭირა და იქვე ჩამოჰკიდა ხის შტოზე. ამირანმა რომ გაიღვიძა, შეხედა ირემს და გაუკვირდა. როცა გაიგო, რომ ანდრერობის შვილს დაუჭერია, ეწყინა. ჯერ ყმაწვილია, ამას

ჩადის, რომ დავაჟკაცდება, მე მაჯობებსო, თქვა და განიზრახა მისი მოკვლა და კიდევაც აასრულა.

ამნაირად, ამირანმა მესამედ გატეხა ქრისტეს თავდებობა. მოკლული ანდრერობის შვილი აქ დატოვეს და თვითონ გასწიეს კეკლუცა კეისართან.

იარეს ბევრი და ბოლოს მივიდნენ იმ კოშკთან, რომელშიაც კეკლუცას ქალიშვილი ქეთუ იყო ცაზე ჯაჭვით ჩამოკიდებული. ამირანმა უთხრა უსიბს: შეხტი, ეგებ ჯაჭვს მისწვდე და ხმლით ჩამოსწყვიტოო. უსიბმა სინჯა, მაგრამ ახლოს ვერ მიეკარა. სინჯა ბადრმაც, მაგრამ ამაოდ. ბოლოს თვითონ ახტა, მისწვდა ჯაჭვს, ჰკრა თავისი ხანჯალი, გაწყვიტა და ცაზე ჩამოკიდებული კოშკი მიწაზე ჩამოვარდა. სამივენი შევიდნენ.

ამირანმა და ქეთუმ დანახვისთანავე გაგიჟებით შეიყვარეს ერთმანეთი. შეიტყო ქეთუს მამამ, კეკლუცამ, ეს ამბავი. შეჰყარა თავისი საკეისრო და სამკეცად შემოარტყა კოშკს. ამირანმა რომ გარსმომდგარ ჯარს შეხედა, ცუდ გუნებაზე დადგა. უთხრა უსიბს, გასულიყო და ეომნა. გავიდა უსიბი, ერთი კეცი ჯარი გაწყვიტა, ბოლოს კეკლუცასთან მიაღწია; იმან სული შეუბერა უსიბს და მაშინვე დაახრჩო. ახლა ბადრი გაგზავნა. ამანაც ერთი წყობა ჯარი დახოცა. ბოლოს კეკლუცასთან მივიდა. კეკლუცამ შეუბერა სული და ეგეც დაახრჩო.

შეწუხდა ამირანი, თვითონ უნდა წასულიყო საომრად. მაშინ ქეთუმ შემდეგი დარიგება მისცა ამირანს: მამაჩემს თავზე დოლებ-შირა ახურავს, რომელიც უკანიდან ზედ კისერთან მობმულია ოქროს ძარღვით. როდესაც მამაჩემთან მიხვიდე საბრძოლველად, ეცადე, ეს ძარღვი როგორმე შეაჭრა, მაშინ დოლებ-შირას სიმძიმე წინ წასძლევს, თავს დააღუნინებს, კისერი გამოუჩნდება, იქ ჰკარი ხანჯალი და მაშინვე თავს მოსჭრი. თუ არა ასე, სხვებრ მამაჩემს შენ ვერაფრით მოჰკლავო.

ამირანმა ქეთუს დარიგება დაიმახსოვრა. გავიდა ჯარში, ერთი კეცი ჯარი, რომელიც უსიბსა და ბადრს გადაურჩა, დახოცა. ბოლოს კეკლუცასთან მივიდა. კეკლუცამ შეუბერა, ამირანი ჩოქზე დაეცა. მარდად წამოხტა ამირანი, მოიქნია ხანჯალი და კეკლუცას ძარღვი მოაჭრა. დოლებ-შირამ წინ წასძლია, კისერი გამოუჩნდა, შეუბრუნა ამირანმა მეორედ ხანჯალი, ჰკრა კისერზე და თავი წააგდებინა.

შევიდა კოშკში ქეთუსთან და მწუხარება დაიწყო, რომ უსიბი და ბადრი, ორივე, დახოცილები არიან. უიმათოდ ჩემი შინ წასვლა

შეუძლებელია, რა უნდა ვუთხრა იმათ მოხუც დედ-მამას, რომ არც ერთ შვილს შინ არ მივუყვანო.

ქეთუმ ჰკითხა: გამოიცნობ თუ ვერა იმათ დახოცილ კაცებშიო? ამირანმა — კიო, რადგანაც უსიბს ბეჭებშუა მზის მსგავსი ნიშანი აქვს და ბადრის — მთვარის მსგავსიო.

მოჰყვნენ ამირანი და ქეთუ მკვდრებს, დაუწყეს ძებნა უსიბსა და ბადრის. როგორც იყო ნახეს. ქეთუმ თავისი პირსახოცი წაუსვა ჯერ უსიბს, მერე ბადრს და ორივენი გაცოცხლდნენ. გაუხარდა ამირანს, რომ ქეთუ ცოლად ითხოვა და უსიბი და ბადრი ცოცხალი მოჰყავს სახლში. მოსდვეს ხელი კეკლუცას ქონებას, თან წამოიღეს და გახარებულნი წამოვიდნენ იამანთან. იამანსაც ძლიერ გაუხარდა, რომ ამირანი და მისი შვილები მშვიდობითა და გამარჯვებით მოუვიდნენ შინ. ამირანმა გადაჭრით უთხრა იამანს, რომ ამიერიდან მის შვილებს არსად წაიყვანს, რადგანაც ისინი ვერ უჭერენ მხარს.

ამირანი ამის შემდეგ ცალკე ომობდა. მისი შემბმელი და გამძლე არავინ გაჩნდა ქვეყანაზე. ერთ დროს იქამდე მიიყვანა საქმე, რომ დედამიწაზე მარტო სამი დევი, სამი ველური ღორი გაუშვა და სამი მუხა დატოვა.

თავის სიცოცხლეში ამირანმა ღმერთს ბევრი აწყენინა: სამჯერ უარყო ქრისტეს თავდებობა. ამგვარი ქცევისათვის ღმერთმა დასაჯა იგი: შეაბა რკინის დიდი ჯაჭვი და რკინისავე პალოს მიაბა. ამირანთან დაბა ღმერთმა აგრეთვე ყურშაც, რომელსაც ბევრი ღვთის საყვარელი ჯიხვი გაეწყვიტა. წლის განმავლობაში ამირანი და ყურშა ყოველდღე ჭიმავენ რკინის ჯაჭვს და პალოს ზევით და ზევით სწევენ, იქამდე მიიყვანენ პალოს, რომ ესეც არის ამოძვრება მიწიდანო. მაგრამ ამ დროს ღვთის განგებით ჩიტი მოფრინდება და პალოზე დაჯდება. გულმოსული ამირანი მოუქნევს ჩიტს რკინის ეროს, ჩიტი აფრენას მოასწრებს, ეერო პალოს მოხვდება და ისევ ძირამდე ჩაარჭობს. ასე მეორდება ყოველ წელს.

ყურშა ორბის ლეკვია. ორბს, სვანების სიტყვით, სხვა ბარტყთა შორის ერთი ლეკვი ეყოლება ხოლმე. დედა-ორბი ამ ლეკვს გამოჩეკისთანავე აიყვანს ძლიერ მაღლა, მაღლიდან ჩამოუშვებს და მიწაზე დაახეთქებს, რომ კაცმა არ ჩაიგდოს ხელში და არ გაზარდოს. ხსენებული ყურშა ჩამოგდების დროს უპოვნია ერთ მონადირეს და კიდევაც გაუზრდია. მას ბეჭებზე ორბის ფრთები აქვს. ისეთი გამოდგა თურმე, რომ ორ ნახტომზე ჯიხვს დაეწეოდა, მესამე ხტომას სათაკილოდ თვლიდა. რაკი ბევრი ჯიხვი გააწყალა, ამისათვის, როგორც ნათქვამია, ღმერთმა დაბა იგი ამირანთან.

ეთერისა და აბესალომის ამბავი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი შგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი! იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი. უშვილოდ გადაგებას აპირებდნენ, რომ ცოლს არ დაეჭინა ქმრისათვის: წადი მკითხავთან, აკითხვინე, გაიგე, რა მიზეზით არა გვყავს შვილი, იქნება წამალი იცოდეს რამე და გვეშველოსო.

წავიდა კაცი მკითხავთან და აკითხვინა. მკითხავმა სამი ვაშლი მისცა და თანაც დაარიგა: წაიღე ეგ ვაშლები, როდესაც მოშივდეს, ეგ ორი ვაშლი მიეცი შენს ცოლს, შეჭამოს, ერთიც რო მოსწყურდეს, მაშინ შეჭამოს და შვილი გეყოლებათო.

გზაზე კაცს მოშივდა, ვეღარ გასძლო და შეჭამა ორი ვაშლი, მოსწყურდა წყალი და შეჭამა მესამეც.

ვაშლები შეჭამა თუ არა, კაცს კანჭში ქალი ჩაესახა, მოიჭრა კანჭი კაცმა და გადააგდო. სუნზე ორბი მოფრინდა, დაჰყრიყინა კანჭს, ჩასჭიდა კლანჭები და წაიღო თავის ბუდეში, ერთი მაღალი ხის კენწეროზე.

კანჭიდან გაჩნდა ქალი. უვლიდა ორბი, უზიდავდა საჭმელს, წავიდოდა, დაივლიდა მთელ ქვეყანას, მოძებნიდა, იპოვიდა, სადაც კარგი საჭმელი იქნებოდა, და მოუტანდა. ქალი დღით იზრდებოდა, ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, რომ იმაზე მშვენიერი ამომავალი მზეც აღარ იქნებოდა.

იმ ქვეყანაში ერთი ხელმწიფის შვილი იყო, სახელად აბესალომი. იმ ადგილებში, სადაც ის ხე იდგა, სანადიროდ დადიოდა, შენიშნა ხეზე ქალი და ჩაუვარდა იმისი სიყვარული გულში. მიდიოდა ყოველდღე ხესთან და შორით ესიყვარულებოდა.

ერთხელ აბესალომმა ყელმოღერებული ეთერი რომ დაინახა, ვეღარ გასძლო და დაუძახა:

ჩამოდი, ეთერო, ძირსა,
მანდ რას უზიხარ ხესაო,
ჩამოდი, ცოლად გამომყევ,
მანდ ნუ იღერებ ყელსაო!

არაო, უპასუხა ეთერმა, მე შენ ცოლად რას გამოგადგებიო.

მდიდარი ხარ, მდიდრის შვილი,
დედ-მამითა ხარ ქებული;
მე ობოლი, ობლის შვილი,

ობლობით ვარ დაჩაგრული,
კაცის კანჭში ჩასახული,
შარის პირსა ნაგდებიო,
ორბის კლანჭით აღებული,
ხის კენწერსა გაზრდილიო.
შენ შენი ჰქნა და წახვიდე,
გამიშვა წყალწაღებული!

აბესალომმა ღვთის ფიცი მისცა, არ გიღალატებო:

ზევიდან ღმერთი ცეცხლსა ჰყრის,
ქვეშ აბესალომ უდგება,
ეთერო, შენსა ღალატსა
ღვთის მეტი ვინ შაუდგება,
ომში ხმალამოღებულსა
აბჯარიმც ჩამამიწყდება,
წყალი უწყლოსა ალაგსა,
ზღვა იყოს, ამამიშრება,
შვიდის წლის გზასა მავალსა
საგძალიმც წამამიწყდება,
მუხლებზე ნადები თოფი
უბეშიმც დამიბრუნდება.

დაიჯერა ეთერმა აბესალომის ფიცი, დათანხმდა ცოლობაზე. აბესალომმა, ნიშნად ფიცისა, ერთი შავტარიანი დანა აჩუქა, შეისვა ცხენზე და შინ წაიყვანა.

აბესალომს ერთი ყმა ჰყავდა, სახელად მურმანი. წინ გაგზავნა თავის დასთან, მარეხთან და შეუთვალა: ცოლი მომყავს, ოქროს თმიანი ეთერი და საქორწილო ტანისამოსი მოგვიმზადეო.

მიიყვანეს ეთერი შინ, ჩააცვეს ტანისამოსი, დასწერა აბესალომმა წიგნები და კომლზე კაცი დაიბარა თავის სახელმწიფოდან. გაგზავნა მურმანი საპატიჟოდ, გაატანა წერილები.

მიდის მურმანი გზაზე, შეჰყრია ეთერის სურვილი და ჰკლავს. ვინ არის კაცი ისეთი, რომ ეთერი აბესალომს შეაძულოს და მე ჩამიგდოს ხელშიო, ფიქრობს თავისთვის მურმანი. შემოხვდა წინ ეშმაკი მურმანს და ჰკითხა:

— სად მიდიხარ, ან ეგრე რას დაუღონებიხარო?

მურმანმა თავისი ამბავი უამბო. ეშმაკმა უთხრა:

— შორს რად ივლი, წამალს მე გასწავლი, ისეთ წამალს, რომ

აბესალომმა ეთერი თავისი ხელით შენ მოგცეს; წამალს გასწავლი, თუ შენს სულს მე მომცემო.

— ოღონდ ეთერი ჩემი გახდეს და სულს როგორ დავზოგავო, — უთხრა მურმანმა.

— მაშ ქაღალდი დამიწერეო, — უპასუხა ეშმაკმა, — რომ პირობას არ გადახვალ და მერე გასწავლი წამალსაო.

დაუწერა მურმანმა ქაღალდი და მისცა ეშმაკს. ეშმაკმა უთხრა:

—ჯვარს რომ დაიწერენ ეთერი და აბესალომი, ეთერს ჩუმად ერთი მუჭა ფეტვი ხელუკუღმა შეაყარე, მკბენარი დაეხვევა და რამდენიც უნდა აცალონ, ვეღარ მოაცლიან, სანამ შენი ხელი არ მოხვდებაო.

წავიდა გახარებული ეშმაკი თავის ბუნაგში და სულგაყიდული მურმანი შინ დაბრუნდა.

ჯვარი რომ დაიწერეს ეთერმა და აბესალომმა და გამოდიოდნენ ეკლესიიდან, მურმანმა ქალს ერთი მუჭა ფეტვი შეაყარა. დაეხვია მკბენარი ეთერს, აცლიან, მაგრამ უფრო მეტი ეხვევა. შეწუხდა აბესალომი, გამოიყვანა ეთერი ხალხში და საჯაროდ დაიძახა:

ორშაბათს შეყრილ მიჯნურნი
სამშაბათს გავიყარენით,
ვისაც რო შაყრა გეწყინათ,
გავყრილვართ, გაიხარენით!
ვის გინდათ ქალი ეთერი,
მე სანადიროდ გავალო.

აუსრულდა მურმანს გულის წადილი, გახარებულმა ჩოქით სალამი მისცა აბესალომს და შეჰღაღადა:

უბოძე შენსა მურმანსა,
შენი ერთგული ყმა ვარო.

მოუყვანა აბესალომმა ეთერი და ჩააბარა მურმანს. რაკი მურმანმა ხელი მოსჭიდა, ეთერს მკბენარი მოშორდა იმწამსვე. წაიყვანა და დაისვა ცოლად.

ეთერის სურვილი ცეცხლად მოედო აბესალომს. ერთხელაც შეხვდა მურმანს, ვეღარ მოითმინა და ეთერის ამბავი ჰკითხა:

მურმან, მურმან, შენსა მზესა,
ეთერ ქალი რარიგია?

მურმანმა უპასუხა:

რას კითხულობ, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუგია,

შენც გინახავს ბროლის ციხე,
როგორ ცამდის მაღალია,
შიგა ზის ქალი ეთერი,
ყელი მოუღერებია;
წელი წვრილი, ბეჭი ფართე,
თეძოს თავი დაბალია,
შუბლი ბრტყელი, წარბი
წვრილი,
საფეთქელი მწყაზარია;
ცხვირი სტვირი, კბილი მძივი,
ბაგე ხახვის ფურცელია.
ცხრანი მულნი გვერდს უსხედან,
ყველა პირისფარეშია,
დედამთილი უკან უზის,
გიშრის დალალის მწვნელია,
ცხრა მაზლი კარებს ადგანან,
დალესილი ალმასია,
მამამთილი ერდოზე წევს,
გველვეშაპის მამკლავია!

ამის გამგონე აბესალომი ეთერის სიყვარულით უფრო შეწუხდა და ავად გახდა. მოინდომა მურმანის მოშორება და ეთერის ისევ ხელში ჩაგდება. დაიბარა მურმანი და უბრძანა: წადი, უკვდავების წყალი მომიტანე, ეგების კარგად გავხდეო. მურმანი შეფიქრიანდა, ფარსაგი არა მჭირსო. გამოსთხოვა ცხრა დღის ვადა აბესალომს და წავიდა ეთერთან გამოსათხოვებლად. ეთერს უთხრა:

ამაღამ კი ჩამიტოლე,
ქალო, მკერდსა ბროლისასა,
ქალო, ალგეთში მგზავნიან,
პირსა ალგეთის მთისასა,
იქ თავში ქვასა დამცემენ,
მონატეხის ლოდისასა.
ვაიმე, თავს გამიტეხენ,
უზარელსა ლომისასა.
ნუ შეიხვევ ავსა კაცსა,
ნუცა ავის გვარისასა,
წავა სწორში დაიკვეხებს,
ხვევნას ვიყავ მთვარისასა!

ეთერმა უპასუხა:

გავიხდი ქამხა ატლასსა,
ჩავიცვამ ბამბა-ბუმბასა,
ავიღებ კოკას, კუტალსა,
წყალს შემოვიტან მდინარსა.
არც შევალ შენის ძმისასა,
არც შენის მეზობლისასა,
თუ შევალ, ასრე გამოვალ,
როგორც და თავის ძმისასა.

ის ღამე მურმანმა ეთერთან გაატარა:

ამაღამდელო ღამეო,
ნუმც გათენდები მალეო,
ვეხვევი ბროლისა მკერდსა,
ვეღარ ვიხილავ ხვალეო!

მეორე დღეს დედასა და დას ძალიან შეეხვეწა მურმანი: გაუფრთხილდით ეთერს, ნიავსა და მზის სხივსაც ნუ მიუშვებთ იმასთანაო.

აბესალომი საშინლად ავად გახდა, კვდებოდა, იმისი წამალი აღარსად იყო. გამოვიდა აბესალომის და მარეხი, წავიდა სოფელში და ჩივის:

— ძმა მიკვდება, მიშველეთ რამე, უწამლეთ ჩემს ძმასაო.

— იქნება ეთერის სურვილი ჰკლავდესო: შეიტანე, დაუწყვე ტახტზე მტრედის ფრთა, გამტკიცული პური, წითელი ღვინო და ყორნის ბოლოო.

შეიტანა მარეხმა და ყველა ეს დააწყო ტახტზე. მობრუნდა აბესალომი, აიღო მტრედის ფრთა ხელში და უთხრა: მტრედის ფრთავ, თეთრი ხარ, მაგრამ ეთერისთანა კი ვერა ხარო! აიღო ახლა გამტკიცული პური და უთხრა: პურო, გამტკიცული ხარ, მაგრამ ეთერის სახისთანა კი ვერა ხარო! აიღო წითელი ღვინო და უთხრა: წითელო ღვინოვ, წითელი ხარ, მაგრამ ეთერის ლოყებივით კი ვერაო! ბოლოს ყორნის ბოლო აიღო და თქვა: შავი ხარ, შავი, ყორნის ბოლოვ მაგრამ ეთერის თვალ-წარბისთანა კი ვერაო. მარეხს უთხრა:

ადე, მარეხო-მასკვლაო,
ეთერსა კარსა უარე,
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
დაჯექ და წვრილად უამბე!

წავიდა მარეხი ეთერის მოსაყვანად.

აბესალომის ავადობა რომ გაეგო, ეთერი დედამთილს გამოპარ-ვოდა, შესულიყო აბესალომის ბაღში, ერთი ჭადრის ქვეშ დამჯდარი-ყო და დაეწყო ტირილი. ბევრი ეტირა და დაღლილს ჩასძინებოდა. მოვიდა მარეხი და, მძინარე ეთერი რომ დაინახა, დაუძახა:

მე ბანი-ბან დაგეძებდი,
შენ ბაღჩის ბოლოს გეძინა,
ოქროსა ღილი გაგეხსნა,
ბროლისა მკერდი გეჩინა,
ეგ შენი შავი დალალი
მორევისავით გეფინა.

ეთერს მაინც ვერ გააგონა, მეორედ გადასძახა:

ეთერო, შემოვიარე
იმ შენის ციხის არესა,
გადმოვიხედე, ავტირდი,
ლოგინი გიგავ მთვარესა!
ეს გაზაფხულიც მოვიდა,
მარტი, აპრილი, მაისი,
ადე, ეთერო, გამომყე,
შენ მამირჩინე ძმა ისი.
ავიღებ ბარსა, ნიჩაბსა,
დავხვეტავ გზასა, ხვინჭასა,
ვარმარილოსა დაგიფენ,
ფეხი არ დასცე ქვიშასა!
ისეთს სასახლეს აგიგებ,
სულ მარმარილოს ქვისასა,
შიგა-შიგ ფიცარს ჩავუყრი,
აბანოურის ხისასა,
წინ საჩრდილებელს მოვიყვაზ
მაღალსა ალვის ხისასა,
ზედ ყაჭ-აბრეშუმს გადმოვფენ
საჩრდილობელსა მზისასა;
შიგ ხალიჩებსა დაგიფენ
ნაქსოვსა ფერადისასა!
ზედ ბილურს ჩამოგიკიდებ
სასმელად ვარდის წყლისასა.

აჰა, ეთერ, ტყავ-ტოლომა
აფხაზურად შეკერილი,
აჰა, ეთერ, თავსაბური
მოთვალმარგალიტებული,
აჰა, ეთერ, ჯორ-ცხენები
არაბეთიდან მოსული.

ეთერმა უთხრა:

არცა მინდა ჯორ-ცხენები
არაბეთიდან მოსული,
არცა მინდა ტყავ-ტოლომა
აფხაზურად შეკერილი,
არცა მინდა თავსაბური
მოთვალმარგალიტებული...
გაზაფხულისა პირზედა
მინდორში მოვა სოსანი.
ამიღო და ყმასა მიმცა!
უღირსი გვირგვინოსანი...

მაინც გაჰყვა ეთერი: ნეტავი ჩემის ნაბვით კი მოგირჩეს ძმა და როგორ არ წამოვალო.

მივიდნენ აბესალომის კარსა. ქალმა რომ ბანზე შედგა ფეხი, აბესალომი სულს ებრძოდა, იცნო ეთერის ფეხის ხმა, წამოიწია და დაიძახა:

ეთერი ბანზე შემოდგა,
ბანი და კარი შაინძრა,
ბანიდამ ჩამაიხედა,
სულში ნათელი ჩამიდგა!
წამწამსა და წამწამს შუა
ბაღი გაგიშენებია,
ეთერის მობრძანებისთვის
მადლი მომიხსენებია!
ეთერ ტყუილად გარჯილა,
ვარ საიქიოს მავალი,
უფალსა უბრძანებია
გზა ვიწრო, მარტოდ სავალი.

მოვიდა მარეხი და ახარა აბესალომს:

ძმაო, მოვიდა ეთერი,
თუ თვალებში გაქვს ნათელი!

აბესალომმა უთხრა:

ეთერს აქ მობრძანებისთვის
ცხენი უბოძეთ საღარი.

ეთერმა უპასუხა:

ეთერსა ცხენი არ უნდა,
არსად წამსვლელი არ არი.

კარებთან რომ მოვიდა ეთერი, აბესალომი გადაბრუნდა, პირი კედლისაკენ ქნა და იმწამს სული დალია. ეთერიც მივიდა და დაეკონა:

აბესალომის დანაო,
ჯიბეს მიძევხარ განაო,
ამოგიღებ და დაგიცემ
მარცხენა ძუძუსთანაო;
პირი ჩემსკენ, ტარი შენსკენ,
მეც დაგაკვდები თანაო.
ერთადამც დავიხოცებით,
ერთადამც დაგვმარხვიანო,
გზის ძირსამც დაგვაღირებენ,
გზის თავსამც დაგვმარხვიანო,
მიწასამც მოგვაღირებენ,
ფოთოლთამც მოგვაყრიანო!
თავს ვარდი ამოსულიყვეს,
დილის ნიავი შლიდესო,
ზედ მოდიოდნენ ჩიტები,
ბუდობდენ, ბარტყებს ზრდიდენო.
ფეხთითა წყარომც გამოვა,
შიგ ოქროს თასი იდგესო,
ყველა მუშა და მაშვრალი,
ყველა ჩვენ დაგვნატრიდესო!
დალევდეს ამვლელ-ჩამვლელი,
შენდობას შეგვითვლიდეს:
რა კარგნი რამ დახოცილან,
ისევამც ადგებიანო!

წამომდგარა ეშმაკი და უთქვამს:

ადგომა წესი არ არის,
სულიფამც ცხონდებიანო!

* *
*

აბესალომ და ეთერი
ღმერთმა შეჰყარა ერთფერი!

მოვიდა მურმანი, გაითხარა საფლავი და ისიც იმათ შუაში ჩაწვა. მურმანის საფლავზე ნარი ამოვიდა, აბესალომისა და ეთერის საფლავზე კი ვარდი და ია. გადაიხრებიან ვარდი და ია ერთმანეთის მოსახვევად, მაგრამ ეკალი დგას შუაში და უშლის. მურმანის ფეხთით ლეკვები ამოძვრებიან ხოლმე და დილა-საღამოს ყმუიანო.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ტარიელის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

იყო ერთი ხელმწიფე, ბედნიერი და გონიერი. ხელმწიფეს ჰყავდა ერთი დაახლოებული ვეზირი, რომელსაც სახელად ერქვა მირი.

მირსა და მის ხელმწიფეს დიდხანს შვილი არ ეყოლათ, ეგონათ, უძეოდ გადავეგებით და მემკვიდრე არ დაგვრჩებაო. მაგრამ ბოლოს ღმერთმა ორივეს მოხედა. მაშინ ხელმწიფემა და მირმა ერთმანეთს სიტყვა მისცეს: თუ ერთს ჩვენთაგანს ბიჭი ეყოლოს და მეორეს— ქალი, ერთმანეთს შევრთოთ; ხოლო თუ ქალები გვეყოლოს ორივეს, ორივენი დებივით უნდა გავზარდოთ და ძმებს შევრთოთ; თუ ორივეს ვაჟები გვეყოლა, ძმები უნდა იყვნენ ერთგულები, როგორც ჩვენ ვიყავითო.

მოვიდა ჟამი, დაებადა ხელმწიფის ცოლს ქალი და ვეზირის ცოლს — ვაჟი. ქალს სახელად დაარქვეს ნესტან-დარეჯანი, ხოლო ვაჟს — ტარიელი. როცა ტარიელი და დარეჯანი ცამეტი წლისა შეიქნენ, ტარიელს დედ-მამა დაეხოცა, დარჩა მხოლოდ ერთი მამიდა. ტარიელი გაიზარდა ლამაზი, ჭკვიანი და მხნე მეომარი. მეფემ ტარიელს მამის ადგილი უბოძა. ლამაზი გაიზარდა დარეჯანიც.

როცა ქალ-ვაჟი თავს მოვიდა, ერთმანეთი შეუყვარდათ. ხელმწიფემ შეიტყო ეს და გადაწყვიტა, ქალ-ვაჟს როგორმე ერთმანეთს დავაშორებო.

ხატაელები ტარიელის მამისა და მისის გვარის მოსისხლე მტრები იყვნენ. ხელმწიფემ უბრძანა ტარიელს: ახლავე ხატაეთს წადი, მამის ცხენი წაიყვანე, მისივე იარაღი წაიღე და ბეგარა აიღე — ოცი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი და სხვადასხვა ძვირფასი ნივთეულობაო.

მეფეს იმედი ჰქონდა, ხატაელები მირის ცხენ-იარაღს იცნობენ და ტარიელს მოჰკლავენო.

ტარიელს არ უნდოდა წასვლა, მაგრამ ნესტანმა ურჩია: წადი, მამაჩემის დანაბარები კარგად შეასრულე და მისი გული მოიგეგებ ჩემი თავი მოგცესო.

ტარიელი არ ეურჩა მეფის ბრძანებას. აისხა მამისეული საჭურველი, შეჯდა მამისეულ ცხენზე და გაუძღვა ლაშქარს. ტარიელი რომ ხატაეთს წავიდა, მეფემ იდროვა და ნესტან-დარეჯანი სხვაზე დანიშნა.

ის-ის იყო ქორწილს ამზადებდნენ ქალს წაყვანას უპირებდნენ, რომ ტარიელი დაბრუნდა ხატაეთიდან გამარჯვებული, თან მოიტანა ბეგრად აღებული ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ნივთეულობა და მიართვა მეფეს. სასახლეში ნახა, რომ ურიცხვი სტუმარია მოწვეული და ქორწილის შესაფერისი ლხინიცა აქვთ გამართული, მაგრამ პატარძალი კი ჯერ არ გამოუყვანიათ. მეფე და იმისი მხლებლები ჩამოჰკიდებიან ქალს, სადედოფლო ტანისამოსი ჩაიცვიო, მაგრამ ის უარზე დგას, არც ტანისამოსს იცვამს, არც გათხოვება უნდა.

სწორედ იმ დროს შევიდა იმათთან ტარიელი, როდესაც ქალს ატყუებდნენ, რომ ტარიელი ხატაელთ მოუკლავთო. მივიდა მეფესთან და მოახსენა:

მეფევ, ხატაეთს გამგზავნე,
ბეგარა ამაღებინე;
სისხლი ქინქლაველთ მეფისა
თავზე მე დამადებინე!
ქალი დარეჯან სხვას მიეც,
გულს შური ჩამადებინე.

ამაზე მეფემ უპასუხა:

ტარიელ, დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რატომ არ შემატყობინე?

ქალმა ტარიელს უთხრა:

— თუნდ მიდე (ესე იგი, დად მიმიღეო), თუნდ მექმრე, სხვის ჴელში ნუ ჩამაგდებო.

ტარიელმა უპასუხა:

— და ღმერთმა არ მომცა, მაგრამ ცოლად კი შენი თავი ჯერ ღმერთმა მომცა, მერე მამაშენისა და მამაჩემის აღთქმამაო.

ამოიღო ხმალი, დაემუქრა მეფეონს და უთხრა:

ტარიელ ხატაეთიდან
მგზავრად მოვედი დილითა,
ხმალ მარტყავ მამისეული,
წელზე ელვისა პირისა.
შინ წადით, ვაჟის მაყრებო,
მაკმარეთ გულის ტკივილსა,
თორემ ხალხს ვაყურებინებ
თქვენის ცოლ-შვილის ტირილსა.

ვაჟის მაყრები დარწმუნდნენ, რომ ტარიელთან ძალით ვერაფერს გააწყობდნენ და დაბრუნდნენ შინ ხელცარიელები. მეფეს ამ დროს ეძინა. ტარიელი აღარ დაერიდა, გააღვიძა და უთხრა:

თუ ძილი გეძინებოდა,
თავი დაგედო რად ასე?
თუ გულში გედვა ღალატი,
შემატყობინე რად არე?

გაჯავრებულმა ხელმწიფემ უპასუხა:

მართალსა, შვილო ტარიელ,
ღალატსა გაგაგებინებ:
არც მაგათ მივცემ, არც სხვათა,
შენაც ხელს აგაღებინებ.
ქაჯუეთელსა ხუროებს
კიდობანს შავაკვრევინებ,
შიგ ჩავსომ ნესტან-დარეჯანს,
ზღვას მივცემ, წავაღებინებ.

დაღამდა ის დღე. ტარიელი მამიდასთან წავიდა, ხოლო მეფემ ღამე მოუწოდა ხუროებს და კიდობანი გააკეთებინა.

ხუროთ კიდობან ააგეს
ქებითა, არაქებითა.
შიგ ჩასვეს ნესტან-დარეჯან
შიშვლად, ნაშობი დედისა.

შიგ სამი გველი ჩაუსვეს
ჯავრით, არშენანებითა.
შავმა გველმა თქვა: შევჭამოთ!
წითელმა — შემოქშენითა,
თეთრმა გველმა თქვა: ნუ შევჭამთ,
ტარიელისა მზე ვითა.

ჩასვეს თუ არა ნესტან-დარეჯანი კიდობანში, აიღეს და ზღვაში გადაუშვეს. ზღვაში ქაჯები მიცვივდნენ,ამოიყვანეს დარეჯანი კიდობნიდან და მოიტაცეს. ტარიელმა დაინახა, რომ ქაჯებმა დარეჯანი მოიტაცეს, მაგრამ ზღვაში ვერ მიეშველა, დაბრუნდა მამიდასთან და უთხრა:

ცხრა ქაჯთა მონადირეთა
მზე ჩაავლიეს ნავითა;
ტარიელმ ცხენი შევკაზმე,
წართმა გავბედე ძალითა,
წყალმა ამყარა აბჯარი,
დავრჩი უშტოო ხე ვითა;
შუბნიც, ჩაჩქანნიც ზღვას მივცენ,
მოვბრუნდი მარტო ხმალითა.
ხო იცი, მამიდავ ჩემო,
გული სავსე მაქვს ჯავრითა.
ქაჯუეთისა ციხენი
ნეტავ მაჩვენა თვალითა;
ფერ ხომ არ წაუვიდოდა
ნესტან-დარეჯანს ჯავრითა!

ადგა ტარიელი და წავიდა. რა ზღვაშიაც ქაჯები ნახა, სულ ამ ზღვის პირ-პირ იარებოდა თავისი რაშითა და მწარედ ტიროდა. იმისი ცრემლი მიწას ნამავდა. ერთ ადგილას ცრემლის მდინარე წყალს მიემატა და ზედ გადებული ხიდი წაიღო. ეს მოხდა სხვის სახელმწიფოში. ხელმწიფეს იმ დროს ნადიმი ჰქონდა და ერთი კოპლი მონა იმ ხელმწიფემ ტარიელის სამშობლოში გაგზავნა დასაპატიჟებლად, მაგრამ იმ ქვეყანაში ვერავინ იპოვა ტარიელის მამიდისა და ტარიელის მამის ძმადნაფიცის ფრიდონის მეტი: ხელმწიფე თავისი ერითურთ სხვის ქვეყანაში გაქცეულიყო.

კოპლი მონა მოვიდა წყლის პირას, რომელიც იქვე ზღვას ერთვოდა, და რა სცნო, ხიდი აღარა დევს, წყალს წაუღიაო, დაუძახა ტარიელს: ცხენი მათხოვე, რომ წყალში გამოვიდეო.

ტარიელი ამ დროს მიწოლილიყო და ტირილისაგან დაქანცულს ჩასძინებოდა, ცხენის აღვირი ხელით ეჭირა. მონის ძახილმა ძლივს გააღვიძა ტარიელი, გაშალა მკლავი, წყალზე გადო ხიდივით, კოჭლმა მონამ ზედ გაიარა. მივიდა თავის ხელმწიფესთან და მოახსენა:

ერთი კაცი ზღვისა პირსა
ნამტირალსა ჰგვანდა გმირსა;
ზღვის კიდენი შაეთრთვილნეს
ცრემლსა იმისა ნატირსა.
ხელთ ეჭირა თავის რაში,
მკვიდრად დაემაგრა გმირსა;
უხდებოდა მარგალიტი
იმის ცხენის უნაგირსა.
ცხენი ვთხოვე, არ მათხოვა,
წყალი მაილიკებს ძირსა;
თავის მკლავი გამოშალა,
გადო, როგორც ხიდი ხისა,
ზედ გამოვედ უვნებლადა,
დარდი მქონდა არაფრისა.
გვარი ვკითხე, არ მასწავლა,
ნუღამც მიეცემა ლხინსა.
სახელი თქვა ტარიელი,
გაბრუნდიო, მკადრა პირსა.

ამ სახელმწიფოში ცხოვრობდა ტარიელის დედის ძმა ავთანდილი, მეფესთან ისევე მიღებული, როგორც ტარიელის მამა იყო თავის მეფესთან. ავთანდილის გარდა ამ ხელმწიფესა ჰყვანდა კიდევ ორი კაცი, თითო ათას-ათასად დაფასებული, სახელად ედემ და ომარე; მეფემ რა მოისმინა კოჭლი მონის მოხსენება, მათ უთხრა:

ადექით, აიყარენით,
ძმანო, ედემ და ომარე;
ის კაცი აქ მომიყვანეთ
ვინ არის ველთა მდგომარე.

ედემმა და ომარემ მოახსენეს მეფეს:

ბრძანება იყოს, ბატონო,
შენთა ბაგეთა ბროლთაგან,
ადვილი სამსახურია
ერთის მოყვანა ორთაგან.

წავიდნენ და წაიყვანეს კოჭლი მონაც გზის მაჩვენებლად. რა მიუახლოვდნენ და დაინახეს ტარიელი, გაოცებულნი დარჩნენ: ასეთი მშვენიერი ახალგაზრდა თავის დღეში არ ენახათ.

ახლოს მისვლა ვერ გაბედეს და შორიდან დაუძახეს:

შენ, კაცო, კაცო, ვინ ხარო,
შენი სახელი გვითხარო,
ბატონ გიბრძანებს, აქ მოდი,
გულჩახურული ნუ ხარო!

გაიღვიძა ტარიელმა და დაინახა, რომ ვიღაც შეჭურვილი კაცები მოსდგომოდნენ და ახლოს მისვლას ვერ ბედავდნენ. მაშინ ტარიელმა დაუძახა:

ლარის მინდორსა სურებსა
გარშემო უდგა თასები...
ახლო მოდექით, მოსრულნო,
შორით არ დავიფასები.

ედემსა და ომარეს შერცხვათ და მისცვივდნენ ტარიელს, მაგრამ ტარიელმა ორივეს ისეთი დღე დააყენა, რომ მტრისაგანაც შესაბრალისად გახადა. ერთ მათგანს ფეხზე ხელი მოავლო, ცისაკენ შეისროლა, მეორეს ბარძაყი მოსწყვიტა, კოჭლ მონას კისერზე გადაჰკიდა და უთხრა: წადი, შენს ბატონს მიართვი, სტუმრებისათვის გამოადგებაო.

კოჭლი მონა მეფესთან წავიდა და იმ ადგილს რომ მიუახლოვდა, სადაც მეფე იყო, მეფის მსახურთ დაინახეს, მიეგებნენ, გამოჰკითხეს უცნაური გმირის ამბავი. კოჭლმა მონამ დაწვრილებით უამბო, რაც უბედურება დამართა ტარიელმა. მხლებლები წავიდნენ და მოახსენეს მეფეს:

კოჭლი მონა მოხინხილებს,
თავში მოიშენდა ქვითა.
ედემ ცისაკ გაგვიგზავნა,
ჯერეთ არ მოსულა ცითა,
იმის ჩოხის ნაგლეჯები
მესამეს დღეს ჩამოდისა.
ომარე მინდორთ გაგვიკრა,
ბრუნავს, როგორც ჯარა ხისა...

ხელმწიფეს ამ დროს ნადიმი ჰქონდა და, როდესაც თავისი რჩეული მეომრების ასეთი უბედურება შეიტყო, დაშალა ლხინი:

მეფემ თასნი გადაღვარნა,
აღარ არი ამის სმისა,
ვინც მე ყმანი დამიხოცნა,
არ იქნება კაცთაგნისა!
ნეტა სად მყავს ავთანდილი,
მეომარი დევებისა?
ჯილდო ბევრი ვუთავაზო,
მარგალიტი, ოქრო-რვლისა.
ჩემ ყავარჯენს გავუგზავნი,
რომელიც რომ მჯობი არი,
მოვიდეს ის ტყვეთა მხსნელი,
თურქთაც სალოცავი ჯვარი;
ლახტი დასცეს ტარიელსა,
ზეცას მიდიოდეს ჩქამი.

ავთანდილი წარსდგა მეფის წინაშე და მოახსენა: მე მზად გახლავარო.

მეფემ უბრძანა, რომ ტარიელი უეჭველად შეეპყრო და მიეყვანა მასთან. ავთანდილმა მაშინვე ბრძანა, მეორე დღისათვის ჯარი მოემზადებინათ.

ტარიელი სულ ტიროდა, იქამდის დაოსდებოდა ტირილით, რომ ბოლოს ერთის თვის ძილს დაიძინებდა. როდესაც ავთანდილი მივიდა ტარიელთან ჯარით, ამ დროს იმას თვის ძილით ეძინა. ჯარები შორიახლოს დააყენეს და დაუწყეს იქიდან ისრების სროლა; ისრები აასხეს ნაბადზე, მაგრამ სხეულამდე ვერც ერთმა ვერ უწია. ტარიელი არ ინძრეოდა და ამის გამო ეჭვი აიღეს, იქნება მკვდარი იყოსო, მაგრამ ახლოს მაინც ვერ მიუწონეს, ეშინოდათ: შეიძლება ცოცხალი იყოს, ახლო მიგვიტყუოს, წამოგვიხტეს და დაგვაზიანოსო.

გააფრინეს ორბი. თუ მკვდარია, ზედ დაჯდება და ჭამას დაუწყებს, ხოლო თუ ცოცხალია, არ მიეკარება და ტარიელი ჩვენს ახლოს მიტყუებას ვერ მოახერხებსო.

ორბი გაფრინდა და დიდხანს თავს დასტრიალებდა ტარიელს, მაგრამ ახლოს კი ვერ გაუბედა მისვლა.

ტარიელის რაშმა რომ ნახა, იმის პატრონს ისრებს ესვრიან, დაუწყო მიწას ფეხით თხრა და ააბექა ის ალაგი, სადაც ტარიელს ეძინა, რომ ტარიელი ბექიდან გადმოვარდნილიყო და გაღვიძებოდა. ასეც მოხდა. გაღვიძებულმა ტარიელმა წინდაწინ მაღლა მფრინავი ორბი დაინახა, ესროლა ისარი და ჩამოაგდო. ორბს ისრისათვის

ფრთები ააძრო და ხურჯინში ჩააწყო. მერე მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ გარშემო ჯარი შემორტყმია. განრისხდა ტარიელი, გამოუნასკვა ცხენს ძუა, შეჯდა მარდად და უთხრა: ამ ქვეყანაში ერთი დედის ძმა მყავს, სახელად ავთანდილი, ნიშანი აქვს შუბლზე ერთი ვარსკვლავი, იმას ტოტს ნუ ახლებ, სხვაზე კი ნება გაქვსო. ამოიღო ხმალი, შევარდა ჯარში, მრავალი დახოცა, მაგრამ დედის ძმას ავთანდილს კი არაფერი დაუშავა; ის კი უთხრა, ჩემი დედის ძმა რომ არ იყო, შენც იმ დღეს დაგაყენებდი, რაც შენს ჯარს დავაყენეო.

გაიგო თუ არა ავთანდილმა, რომ ტარიელი მისი დისწული ყოფილა, გამობრუნდა მაშინვე, მივიდა შინ და ცოლს უთხრა:

— ტარიელი, რომელმაც მე ლაშქარი თითქმის სულ ამომიწყვიტა, ჩემი დისწული ყოფილა, ჯავრისაგან ჩაჭკავებული იყო და დევთ უბნისაკენ წავიდა. ვაითუ დევებმა მოკლანო.

ცოლმა უთხრა ავთანდილს:

— რაკი ასეთი საფრთხიანი ადგილისაკენ წავიდა, მიეშველეო.

ავთანდილს ცოლის რჩევა არ მოეწონა, ეჭვში შევიდა: ჩემი ცოლი სახლიდან გამიტყუებს და თვითონ სატრფოს გაიჩენსო. ამისათვის უთხრა:

ჰაი, შე მრუშო, თინათინ,
ცელქო და აუგიანო!
უწყალ-უღვაროდ წისქვილნი
მთაზე ვის აუგიანო?
მოყვარეების გულისთვის,
სახლი ვის წაუგიანო?

თინათინმა უპასუხა:

ხატი რისხავდეს თინათინს,
ღმერთი ყოველთა რჯულისა,
თუ შენს მეტ მე ვინ მინდოდეს,
ან მყავდეს ვინმე გულისა.
მაგრამ წესია მოძებნა
კაცისა დაკარგულისა.
გულს ვერ მაცინებ, ავთანდილ,
არ შევალ მეზობლისასა,
თუ შევალ, ისევ გამოვალ
როგორც და თავის ძმისასა.

ავთანდილმა დაუჯერა თინათინს, აიღო მშვილდ-ისარი და გამოუდგა ტარიელს ცხენით.

ციხით თინათინმ იძახა:
ავთანდილ გაიპარაო,
სამოცდასამი ისარი
ქარქაშში ჩაიტანაო.

ტარიელმა დევთ უბანზე გაიარა, დევების ნახნავებზე. მაგ ნახნავებზე ნუ მიდიხარ, ნუ აფუჭებო, მაგრამ ტარიელმა ყური არ უგდო. ერთმა გუთნისდედამ არ დაიშალა, შეება ტარიელს. ტარიელმა წიხლი დასცა დევს და მეხივით გატყვრა დევი. ამაზე დიდი ხნის გაუცინარ ტარიელს გაეცინა და იმისი კბილების შუქმა მაღლა მთას უწია; მერე ხარ-გუთანს ფეხი ამოჰკრა და შორს გაისროლა.

ტარიელმა დევთ უბანი მშვიდობიანად გაიარა. ავთანდილი შორიახლო მიყვებოდა, მაგრამ დევთ უბნის საზღვარზე მაინც ვერ მიეწია. ავთანდილს ერთი ძმობილი დევი ჰყავდა და იმას ჰკითხა:

დევო, შენ ჩემო ძმობილო,
კარზე ვინ ჩამოგიარა?

დევმა უპასუხა:

ერთმა პირტუქსმა მოყმემა
ცხენხეთქით ჩამაიარა,
ხარ-გუთანს წიხლი ამაჰკრა,
ზღვას გაღმა გაასრიალა.
ჩარდახსა წიხლი დაგვიცა,
კუნელმა ამაიარა.
ღმინი ჰქნა, კბილი აჩინა,
შუქმა მთა გადაიარა!
ნუ მისდევ, ძმაო ავთანდილ,
თვარ შენ სიცოცხლე კი არა,
შენც მოგკლავს, თავსაც მაიკლავს,
ბევრი სხვა დააზიანა!
ბევრი ვთქვით, ხმაცა არ გაგვცა,
ეგრე რამ დააჭკვიანა.

ავთანდილმა დევების თხოვნა არ შეისმინა, კვლავ გამოეკიდა ტარიელს.

გზაზე ერთ ალაგას სამი ძმა იდგა, გამვლელ-გამომვლელს ატყვე-

ვებდნენ, იარაღს ართმევდნენ და ტანისამოსს ხდიდნენ; გზას რიგ-რიგობით ყარაულობდნენ, ტარიელის გავლის დროს უმცროსი ძმის ჯერი იყო გზის დარაჯობა. ეს უმცროსი ძმა სხვა ძმებზე ღონიერი იყო. რაკი ტარიელი დაინახა, სხვა ძმებს უთხრა: წავალ, შევიპყრობ, იარაღი და ტყვე თქვენა და იმისი რაში მეო.

ძმებმა თანხმობა გამოუცხადეს გამბედავ ძმას. მიეგება ტარიელს და წინ გადაუდგა. ტარიელმა ცხენი აარიდა და გაცდენა დაუპირა, მაგრამ მეკობრემ არ გაუშვა. მაშინ ტარიელი ჩამოხტა ცხენიდან, მებაჟე დაიჭირა, ფეხზე ხელი მოავლო, მეორე ფეხზე ფეხი დაადგა და შუაზე გახია, გადააგდო გზის პირსა და გასწია.

ამ დროს ავთანდილი შორიახლო მისულიყო ტარიელთან, ტყეში შველი მოეკლა, ცეცხლი დაენთო და მწვადსა სწვავდა სამი შამფურით: ერთი შამფური თხილისა გაეკეთებინა, ერთი — ასკილისა და ერთიც — დუდგულისა. პურის ჭამას აპირებდა. ტარიელმა როდესაც ერთი მებაჟე მოკლა, ცოტა რამ მანძილი გაიარა და ახლა დანარჩენი ორი ძმა შეება, მაგრამ ტარიელმა ორივე ცოცხლები დატოვა, რადგან მათ ტარიელის სიმძლავრე სცნეს და თვითონაც შეეშინდათ.

ტარიელი რომ გასცილდა, ახლა ავთანდილი დაინახეს და იმის შესაპყრობად გაეშურა ორივე. ავთანდილი შეჯდა ცხენზე, მაგრამ რაკი ძალიან შიოდა, მწვადიან შამფურს წაეტანა. ჯერ დუდგულისას მოჰკიდა ხელი, მერე — ასკილისას, მაგრამ ორივე გაუტყდა. ბოლოს თხილისა აიღო და შეჭამა. ასკილი და დუდგულა დასწყევლა და დასწყევლა ის ადამიანიც, რომელიც ამ ხეების შამფურებს იხმარსო. ამის გამო დედამიწის ზურგზე ასკილისა და დუდგულის შამფურს არავინ ხმარობს: ავთანდილის დაწყევლილიაო.

ავთანდილსაც შეებრალა მეკობრეები, არ დახოცა, ცხენი გააჭენა და მოარიდა თავი. რომ დარწმუნდა, ტარიელის გზას დასასრული არა აქვსო, შორიდან დაუძახა:

შავი ხარ და შავად მიხვალ,
შავად რასმე დაბურვილხარ;
სად მიდიხარ მაინც მითხარ,
რატომ შინ არ მიბრუნვილხარ?

ტარიელმა უპასუხა:

თეთრი ხარ და თეთრად ზიხარ,
თეთრად რასმე მოკაზმულხარ,
იქით წადი, აქ ნუ მოხვალ,

თორემ დღეზე გასწურვილხარ,
ჯერ შენ მოგკლავ, მერე ცხენსა,
თუ უკან არ გაბრუნვილხარ.

ჯავრისაგან გონებამიხდილი ტარიელი მაშინღა მოვიდა გონზე... დაბრუნდა იმ ალაგას, სადაც მამიდა ჰყავდა და უთხრა: ჩემი დედის ძმის, ავთანდილის მსგავსი ვიღაც მომდევს, მე სანადიროდ წავალ და შენ შინ დაუხვდი, ბანზე დაჯექი, მატყლს რთვა დაუწყე და როცა მოვიდეს, ეგ ნართის გორგალი ბანიდან ჩააგდე, თუ მოერია და იმისი ისევ ბანზე ამოტანა შეძლო, მაშინ უეჭველად ავთანდილი იქნება. ნუ გაუშვებ, მოვალ ნადირობიდან და ერთმანეთს ვინახულებთო.

წავიდა ტარიელი ტყეში სანადიროდ, ნახა, ქორს ერთი შროშანი დაუჭერია და უნდა წაიღოს, ესროლა ისარი და ქორი მოკლა, ცოცხალ-მკვდარი შროშანი კალთაში გამოხვია. ავიდა ერთ მთაზე და ნახა, რომ ერთ ვეფხვსა და ლომს გაცხარებული ომი აქვთ, ის-ის არის ლომმა უნდა სძლიოს ვეფხვსა და მოკლას. ტარიელმა ხანჯალი იშიშვლა, შეუტია ლომს და ვეფხვი გააშვებინა, მაგრამ ლომი ახლა ტარიელს შეება. ტარიელმა სძლია და შუაზე გაჭრა ხანჯლით:

ლომსა და ვეფხვსა გახდია (ჩხუბი)
ჩადიან გამწარებულნი,
ლომი რად მაჰკლავს მაგ ვეფხვსა,
ეგ სიყრმით დაშავებული?
მობრუნდა ლომი. შაება,
დღე იყო დაღამებული.
სამი დღე-ღამე ვიომეთ,
სამნივე მაისისანი,
სანამ არ გასჭრა ორპირმა,
ხან იყვნეს წაქცევისანი.
ღმერთი ვახსენე, შამოვკარ
ხანჯალი გაფხავებული;
კალთაში შროშან მამიკლა,
მეც დავრჩი გამწარებული.
დავჯე და ბევრი ვიტირე,
წაველ, ვით დაბარებული;
შროშანმა სული ჩაიდგა,
ღვთისაგან ჩაბარებული.

რაკი შროშანა გაუცოცხლდა ტარიელს, მაშინვე გაუშვა თავისუფლად. წამოვიდა შინ. ავთანდილი იქ დაუხვდა, იცნეს და მოიკითხეს ერთმანეთი. ტარიელმა თავისი თავგადასავალი ავთანდილს დაწვრილებით მოუთხრო, ავთანდილმა დასცინა. ტარიელს იმისი დაცინვა არ მოეწონა და უთხრა:

ღმერთს გეფიცები, ავთანდილ,
მე არა მეცინებიან;
ერთი მზე მყავდა, მიყვარდა,
ქაჯნი მას მეცილებიან.
დავდივარ გამწარებული,
რომ დავჯდე, მეტირებიან.
დავშავდი ჭაბუკობიდან,
სიბერენ მეღირებიან.
ლაშქარნი ზღვისა ქაჯთანი
მოკვლასა მეპირებიან.

ავთანდილმა უპასუხა:

ნუ გეშინიან, ტარიელ,
დრო მე ვიცი ქაჯებისა;
ეხლა ქორწილს ამზადებენ,
ქაჯნი გამართავენ ლხინსა.
ცხენი მომე, ტარიელო,
ჩემ ცხენ ზღვაზე ვერ დადისა.

ტარიელმა თავისი ცხენი არ მისცა ავთანდილს. ფრიდონსა სთხოვა: ცხენი მომეც, ჩემო ბიძაო. რადგან ფრიდონი ტარიელის მამასთან ძმად იყო გაფიცული, ცხენიც მისცა, თვითონაც თან გაჰყვა საშველად.

ცხენსაც მოგცემ, მეც გაგყვები,
მაშ რად გინდა თავის ბიძა?
თუნდ ცალა-რქა დაიჭირე,
თუნდა რაში — როგორც გინდა.
ერთ ცალა-რქა დაიჭირეს
თვალთუმალე ნიავქრისა,
აიყარნენ და წავიდნენ
სამნივ ქაჯუეთის გზითა.

ფრიდონმა თქვა:

არ მეგონა, ავთანდილო,
ზღვაზე ვლევა ცხენებისა;

თვალთუმალეს არ მოგცემდი,
ჩემი სიცუდაცე გითხრა!

ფრიდონს ცხენი დაუვარდა და უკან დაბრუნდა. ავთანდილი და ტარიელი კი წავიდნენ ორნი. მივიდნენ ქაჯეთის ციხესთან. ციხე იყო მაღალი და მიუდგომელ კლდეზე აშენებული. ციხის მახლობლად, თონეში, ორი ქალი ლავაშს აკრავდა. ტარიელსა და ავთანდილს თბილი ლავაში შესთავაზეს; ორივენი თონის ახლოს ჩამოსხდნენ და ლავაშის ჭამა დაიწყეს. ციხიდან სიმღერა ისმოდა და პურის მცხობელ დედაკაცებს ჰკითხეს: რა ამბავია ციხეში, რატომ მღერიანო?

დედაკაცებმა უპასუხეს: ქაჯებმა ერთი მზეთუნახავი ქალი მოიყვანეს, სახელად ნესტან-დარეჯანი, და იმისი ქორწილი აქვთო.

ამბის დედაკაცებს სთხოვა ორივემ: შედით ერთ-ერთი ციხეში და შეიტყვეთ. რას აკეთებენო ერთი დედაკაცი შევიდა და რომ გამოვიდა, უთხრა ტარიელსა და ავთანდილს: ახლა ნეფე-დედოფალს საჩუქარს აძლევენო.

ციხეში ციხეს რკინისა ჰქონდა ყოველ მხრით და შიგნიდან ყველა კარს რკინის ურდული ედო. გარეშე კაცს არ უშვებდნენ ციხეში, დედაკაცებს კი ნება ჰქონდათ, რადგან მათი პურის მცხობელები ისინი იყვნენ. ტარიელმა განიზრახა, რომ ციხეს უნდა მივადგე და გარედან ნგრევა დავუწყოო, მაგრამ ავთანდილმა დაუშალა; მოხსნა ცხენს თოკი და თქვა:

საწყალნი ჩემ დედ-მამანი
სილაღებითა მზრდიდიან;
ციხითა ციხის წვერზედა,
თოკები გამიკიდიან.
მე ის მეგონა, კი თუ მკვლენ,
თურმე კი მასწავლიდიან.
ისე გავიდე თოკზედა,
თვალნიც კი ვერ მამკიდიან;
იქ მდგომი ჩემი სწორები
ჩემს ცდასა დანატრიდიან.

ციხეს მაღლა პატარა სანათური ჰქონდა, გააბა თოკი, ავიდა და სანათურიდან ციხეში გადავიდა. თან ჩაიყოლა ტარიელის ბეჭედი. ავთანდილი სტუმრებში ისე გაერია, როგორც მიწვეული. საჩუქრის მიცემა იმასაც მიერგო და ტარიელის ბეჭედი „გადაულოცა“.

ნესტან-დარეჯანმა ბეჭედი იცნო და მაშინვე ჰკითხა ავთანდილს:

ამ ბეჭდის პატრონი სად არისო? გახარებული ქალი მსწრაფლად წამოხტა და კარებისკენ გაექანა, მაგრამ საიდან გავიდოდა, ცხრავე რკინის კარი დაკეტილი იყო.

გაიგეს ქაჯებმა, რომ ავთანდილი იმათთან საკეთილოდ არ არის და დაეხვივნენ: ზოგი იარაღით ეომებოდა, ზოგი წურბელასავით სისხლსა სწოვდა. ავთანდილმა იმდენი ქაჯები დახოცა, რომ მთელი ციხე ივსებოდა სისხლით, მაგრამ ქაჯების რიცხვი კი მაინც არ მცირდებოდა.

შეამჩნია, რომ ციხის ბურჯზე, მაღლა, ერთი ბებერი ზის, სტვირს უკრავს და თან ფეტვს გადმოჰყრის ციხეში, ყველა ფეტვის მარცვალი ქაჯად იქცევა და ავთანდილს ეომება. ავთანდილმა ის ბებერი ისრით მოკლა. მასუკან ქაჯები აღარ მატულობდნენ, მაგრამ რაც ცოცხალი ქაჯები იყვნენ, ისინი კიდევ იბრძოდნენ და ომს მაინც ბოლო არ უჩანდა.

სულ რომ ამოვწყვიტო, ციხე სისხლით აივსება, მე და ნესტან-დარეჯანიც სისხლში დავიხრჩობითო, — იფიქრა ავთანდილმა და ტარიელს დაუძახა, მიშველეო:

მიშველე, ძმაო ტარიელ,
დამჭირდა შენი გმირობა;
დამათავხშირეს ქაჯებმა,
ჩემზე აქვთ ზედმოვლილობა.

ტარიელი ამ დროს ციხის მახლობლად იყო, მივიდა და ციხის კარებს მიაწვა:

ტარიელმა თქვა: რა არის,
ეს ციხე ქაჯეულია?
ცხრა კარი, კლიტე რკინისა
სულ ჩემგან განგრეულია.
ტარიელ გასაჭირშია,
სულ ეგრე დაჩვეულია,
დარეჯნის ქაჯთა მიმცემი
სულითამც დაწყევლილია!

ტარიელმა და ავთანდილმა ქაჯები ამოწყვიტეს, გატეხეს ქაჯთა ციხეცა და გაანთავისუფლეს ნესტან-დარეჯანი. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი დაქორწილდნენ და იცხოვრეს ბედნიერად.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მთას ურემი ავაშენე
ბარს წავიდა გორებითა,
სააქაოს მართალ ვიყვნეთ,
საიქიოს — ცხონებითა.
ელასა, მელასა,
ჰიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და მაყურებელსა
ჯვარი გვეწეროს ყველასა.

როსტომიანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გმირთა გმირი როსტომი. ერთხელ როსტომს კბილი ასტკივდა, მიწა მიწად აღარ ეჩვენებოდა და ცა — ცად; მოავლო ხელი კოჭლ დევს და ხან აქეთ უკრავდა თავს, ხან იქით.

— ჩემზე რა ბიჭობას იჩენ, გმირო როსტომო? — უთხრა კოჭლმა დევმა, — თუ სახელი გინდა და თავის გამოჩენა, წადი იმ დაბურულს ხევში, იქ შეგხვდება საფერი და ხმალი იქ იხმარეო.

როსტომს შერცხვა, აიღო ლახტი და ხმალი და გასწია იმ ხევისაკენ, საითკენაც კოჭლმა დევმა ასწავლა.

კარგა გზა გაიარა როსტომმა და მიადგა ერთ კლდეს. ისეთი მაღალი კლდე იყო, რომ თვალი ვერ შესწვდებოდა იმის წვერს. კლდეზე დროდადრო სისხლი ჩამოდიოდა. როსტომმა აიხედა ზევით და კლდეში გამოქვაბული შენიშნა.

„რაღა ჩემი გმირობა იქნება, თუ იქ არ ავალო“, — იფიქრა როსტომმა. მოგლიჯა ერთი მუხა, მიაყუდა კლდეზე, მოგლიჯა სხვა, ავიდა ზევით და იქ მიაყუდა.

როსტომმა თავის სიმაგრით მუხა მოჰგლიჯა ძირითა,
ხელი გაუსო, გალოპრა, გასტყორცნა ჯირითივითა.

ახლა სხვა ჭადრები მიაყუდა, ვიდრემდის იმათი წვერი გამოქვაბულს არ ასწვდა. ავიდა ჭადრებზე, შეიხედა ეხში და ერთი უზარმაზარი არაბი დაინახა. არაბს ეძინა. მუხლებს შუა ხანჯალი ერჭო. როდესაც ჩასთვლემდა, შუბლს დაჰკრავდა ხანჯლის წვერს. იმისი სისხლი იყო, რომ ქონავდა კლდეში ამ დროს გამოიღვიძებდა

ხოლმე არაბი და გაიხედავდა აღმოსავლეთისაკენ. როსტომი ცოტა შეკრთა. მაგრამ უკან დაბრუნება არ შეიძლებოდა, სირცხვილი იყო ვაჟკაცისათვის, რას იტყოდა ხალხი.

როსტომმა იფიქრა: მაინც მტრობით არაფერი გამივა მაგასთან და ისევ ვეძმობიო.

მიუახლოვდა არაბს და დაუძახა:

— ძმაო, ამას რასა შვრებიო?

არაბმა აახილა თვალები და უთხრა:

— ბედი შენი, რომ ძმობა მითხარი, თორემ გაყურებინებდი სეირსაო. მოდი, დაჯექი ჩემთან, ყველაფერს გიამბობო.

მერე ჰკითხა:

— შენ ვინა ხარო?

— როსტომიო.

— შენა გაქვს დიდი ხმაო? — ჰკითხა არაბმა.

— მე მაქვსო. — მიუგო როსტომმა.

არაბმა დაიწყო: აღმოსავლეთისაკენ იმისათვის ვიჩედები, რომ წითელი არაბი ამოვა წითელი ზღვიდან და ერთს მზესავით ქალს ამოიყვანს. ჩემი კლდის წინ გამოატარებს და წინ უნდა დავუხვდე. მე რომ წინ დავუხვდები, ვიომებთ და რომელიც დავძლევთ, ქალიც იმას დარჩება. სამი დღე და ღამის უძილო ვარ; რომ არ დამეძინოს და წითელმა არაბმა ის ქალი არ გამაცილოს, ხანჯალი დავიყუდე მუხლებს შუა და, როდესაც ჩამთვლემს, ხანჯალს დავკრავ შუბლს და გამომეღვიძებაო.

— შენ დაიძინე და მე ვუყარაულებო, — უთხრა როსტომმა. — როდესაც წითელი არაბი ქალს ამოაჩენს, გაგაღვიძებო.

არაბმა უთხრა:

— სანამ ფეხის გულში ხანჯალს არ ჩამცემ, რამდენიც უნდა იყვირო, ვერ გამაღვიძებო.

არაბმა დაიძინა და როსტომმა ყარაულობა დაუწყო.

დიდხანს არ მოუნდა ლოდინი როსტომს. მალე განათლდა აღმოსავლეთი, გამოჩნდა წითელი არაბი, მოჰყავს ქალი. როსტომმა ბევრი უყვირა არაბს, მაგრამ ვერ გააღვიძა. ბოლოს ხანჯალი ჩასცა ფეხის გულში და გააღვიძა.

— მეც გიშველი წითელ არაბთან ომშიო, — უთხრა როსტომმა.

შავმა არაბმა უპასუხა:

— მაშ ჩადი, ძირს რომ მინდორია, იქ ვიომებთ, ამოთხარე იქ ორმო და იმაში ჩაჯექ, თორემ ომის დროს ჩვენი ფეხის ქარი მოგიტაცებსო. თუ შემატყო, რომ წითელი არაბი მძლევს, ამოფ-

რინდი ორმოდან და დასჭყივლე. წითელ არაბს მუხლი მოეჭრება და ხელს დავრეკო.

როსტომი ჩავიდა ძირს და დაიმალა ისე, როგორც არაბმა ასწავლა. მალე მოფრინდა წითელი არაბიც ქალით. გამოეგება შავი არაბი, ჩავიდნენ მინდორზე და შეექმნათ ბრძოლა. დიდხანს იომეს. იმათი ფეხის ქარი შოლტავდა ტყეს და ლერწამივით აკრავდა მიწას.

წითელმა არაბმა დასძალა. ამ დროს ამოხტა როსტომი და დასჭყივლა:

— დაჰკარ, შავო არაბო, როსტომიც მოგეშველებაო!

როსტომს ცის ქუხილივით ხმა ჰქონდა. როცა უნდა დაეყვირა, ერთი რკინის სალტე ჰქონდა, თავზე იმას ჩამოიცვამდა ხოლმე, რომ თავი არ გასკდომოდა.

იჭყივლ-იკივლის როსტომმა,
გაჰხივლ-გაჰქუხის ხეთამდე.
ტოტით დათხარის მიწაში,
გადაიყაროს ზეცამდე!

წითელ არაბს მუხლი მოეჭრა, შავმა არაბმა დაჰრია ხელი და მოკლა. ქალი შავ არაბს დარჩა. როსტომიც არაბთან იყო და ემსახურებოდა.

დაღონდა როსტომი, თქვა: სახელოვანი ვაჟკაცი წამოვსულვარ სახელის საშოვნელად და მე აქ შავს არაბს ვემსახურებიო. მოდი, მაგას მოვკლავ, სირცხვილსაც ჩამოვირეცხავ და ქალიც მე დამრჩებაო.

არაბს ეძინა, როსტომი მისწვდა იმის ხმალს, მაგრამ ვერ დაძრა, ისეთი დიდი იყო. ბოლოს ამოიღო თავისი ხმალი, დააზომა არაბს კისერზე, მაგრამ ხმალი ნახევრობამდისაც ძლივს გაწვდა. ამ ხმლით მე არაბს თავს ვერ მოვჭრიო, იფიქრა როსტომმა და აი, რა მოიგონა: მოუკრიფა არაბს ფეხები ერთად, გადაუწყო ზედიზედ, დაჰკრა ხმალი და დააჭრა. ისკუპა როსტომმა და ამოეფარა კლდეს. წამოვარდა არაბი, მაგრამ ფეხზე ვეღარ დაეყუდა, მოავლო თავის ფეხს ხელი არაბმა, გატყორცნა და გაატანინა ხეები. შეუვარდა როსტომი არაბს და აკაფა ხმლით. როსტომს უნდოდა ქალის წაყვანა, მაგრამ ქალი გაუვარდა და გაექცა. ერთხელ კი დაუძახა ქალმა: შენ ცოლად როგორ დაგიჯდები, არაბის ღალატით მომკვლელსაო, ისე რომ მოგეკლა შავი არაბი, როგორც იმან წითელი მოკლა, ცოლად მაშინ გამოგყვებოდიო.

— ნახევარი მაშინაც ჩემი იყავიო, — მიაძახა როსტომმა და გამოუდგა ქალს. ქალი გაუფრინდა მთის ნიავივით და გაიჭრა ტრიალ მინდორზე.

როსტომს შერცხვა, ისარი ესროლა ქალისათვის და მოეკლა, სირცხვილი იყო: ქალზე იარაღს როგორ იხმარდა ვაჟკაცი. არ მოკლავდა და იტყოდნენ, ქალმა აჯობაო.

მინდორს როსტომისაკენ მთა ჰქონდა; ეს მთა ხელისგულივით გაჰხედავდა იმ ტრიალს მინდორს. აირბინა როსტომმა მთაზე და დაჰქუხა იქიდან. ქალს გული წაუვიდა და მიესვენა. მიიჭრა როსტომიც.

ადგა როსტომი და უთხრა ქალს, რომელსაც სახელად ხურომანი ერქვა: ვიცი, შვილი გაგიჩნდება და, თუ ქალია, შენთან იყოს, თუ ვაჟია, ეს ნიშანი დააკერე მხარზე და ისე იაროსო.

მისცა ნიშანი დედაკაცს. ამის შემდეგ შესძულდა როსტომს დედაკაცები. როსტომისთვის ქალი და სიკვდილი ერთი იყო.

როსტომმ თქვა: ჭკვა დიაცისა
არც მომწონს, არც მეკეთება,
ვაჟკაცს, დიაცის მიმყოლსა,
სამარემც დაეკვეთება.
როსტომმ თქვა: იმ მთას, ამ მთასა
ხელს მოვკრავ, ერთად თავს
ვუზამ;
თორმეტ ლიტრასა რკინასა,
კბილს მოვუჭირებ, კნაპს ვუზამ;
ალაზანსა და იორსა
დავაყენებ და ყლაპს ვუზამ;
თავაღებულსა დიაცსა,
აბა, მითხარით, რას ვუზამ?!

როსტომის სიტყვა ასრულდა; ხურომანს გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც ზურაბი დაარქვა. ზურაბი ექვსი თვის ისეთი ღონიერი იყო, რომ ბავშვებთან თამაშობის დროს მოუჭერდა კოჭებს ხელს და ამტვრევდა. ერთხელ ბალღებმა გააჯავრეს და ზურაბმა ერთი ბავშვი ატირა. ტოლებმა უთხრეს: თუ ღონიერი ხარ, მამა რომ დაგეკარგა, ის მოძებნეო, ჩვენზე რა ბიჭობას იჩენო?

ზურაბს ეწყინა, წავიდა დედასთან: უნდა მითხრა, ვინ იყო მამაჩემიო.

დედამ ყველაფერი უამბო. ზურაბმა ჩაიცვა ჯაჭვი და გასწია მამის საძებნელად. დედამ იფიქრა: მოდი, გამოვცდი ჩემ შვილს, შეუძლია მტრის დახვედრა თუ ვერაო?

ჩაიცვა ვაჟკაცურად, შეიკეცა ქუდში თმა, აიღო აბჯარი, შეჯდა ცხენზე და გადმოუხტა ზურაბსა: დაყარე იარაღიო!

მოტრიალდა ზურაბი, უტაკა ცხენს შუბი და ჰაერში აიტაცა, ხურომანს თავიდან ქუდი გადმოუვარდა, თმა ჩამოეშალა მხრებზე. ზურაბმა იცნო დედა. ხურომანი გადაეხვია ზურაბს და დაუწყო კოცნა.

ზურაბმა თქვა:

შავი ტყიდან გამოვიდა
ვაჟი-კაცი გულოვანი;
ცხენსა იჯდა ნიავ-ქარსა,
აქროლებდა, როგორც ზღვანი,
ცხენსა შუბი დავუტაკე,
ავიტაცე, როგორც ქარი;
წყაზარეთი შეეკეცნა
საყვარელნი გიშრის თმანი;
იმის მეტი ვეღარა თქვა:
„მე ვარ შენი ხურომანი!“

დედამ დალოცა ზურაბი, მამის ნიშანი მხარზე დააკერა და გაისტუმრა როსტომის საძებნელად.

ბევრი სიარულის შემდეგ ზურაბი ერთ ქალაქში მივიდა. ქალაქის კართან ბერიკაცი შეხვდა, რომელმაც მაშინვე იცნო როსტომის ნიშანი ზურაბის მხარზე. ბერიკაცმა იფიქრა: როსტომმა ისეც აგვაოხრა და ახლა შვილი რომ მოუვა, ხომ აგვყრის ამ ქალაქიდანაო. მოდი, ერთმანეთს დავახოცინებ და მაშინ ჩვენც მოვისვენებთო.

ბერიკაცმა უთხრა ზურაბსა: ქალი ხომ არა ხარ, რომ მხარზე რაღაც დაგიკერებიაო? დაგცინებენ, აიხსენ, შეინახე ისე, რომ არ გიჩანდესო.

ზურაბმა დაუჯერა ცბიერ ბერიკაცს და მამის ნიშანი იღლიის ქვეშ შეინახა. ბერიკაცმა ქალაქელებს შეატყობინა: როსტომის შვილი არის აქა, ერთმანეთი რომ იცნონ, აგვიკლებენ. მოდით, ისე შოვახერხოთ, ერთმანეთი როგორმე დავახოცინოთო.

წავიდნენ როსტომთან და უთხრეს:

— ქალაქში ერთი გმირი მოსულა და ორთაბრძოლაში გითხოვსო.

— მაშ, კარგი, წავალ, ჯერ დავზვერავ, რა ვაჟი-კაცია და მერე დავეჭიდებიო, — თქვა როსტომმა.

როსტომი მივიდა და, სადაც ზურაბი იყო, იმ სახლში ბანიდან ჩაიხედა.

ზურაბმა დაინახა და დაუძახა:

რას იჭვრიტები ბანითა!
რად არ მოსდიხარ კარითა?

როსტომი რას იცნობს, თუ იმისი შვილია. წამოვიდა და ქალაქელებს უთხრა:

— ხვალ შეებმი თქვენს გმირს, მომეწონაო.

ზურაბ იჯდა, კოშკსა ჰკვანდა,
ირგვლივ ევლო გალავანი.
მარჯვნივ ეგდო ავგაროზი,
მარცხნივ იყო ფალავანი.

მეორე დღეს ზურაბთან კაცი გაგზავნეს, ჩვენს გმირს უნდა დაეჭიდოო. ზურაბი დათანხმდა.

— ადე ზურაბ, მოიკაზმე,
ტანთ ჩაიცვი საომარი!
— წამოდექით, ირანელნო,
ვინ ხართ უფრო ფალავანი?
ნუ იკვეხით ფალავნობას,
თუ არა გაქვთ ბეჭი ბრტყელი,
თუ არ იცით, მე გასწავლით,
თუკი მოგავლევით ხელი.

ზურაბმა როსტომი რომ დაინახა, ცოტა ეჭვი შეეპარა: ენიშნა დედის ნათქვამი: მამაშენს კარიანი კბილები აქვს, ბეჭშია წახრილი და მარცხენა ფეხს ათამაშებს, როცა ცხენზე ზისო.

როსტომს უთხრა:

ბერიკაცო, ჩამომეხსენ,
გული რასღაც მეყოყმება,
მე დედეულთა ნიშანი,
შენში რაღაც მენიშნება:

კბილს კარი და ბეჭთა წახრა
მამეულთა მემსგავსება.

როსტომი ეტყვის:

არცა ვარ როსტომიანი,
არცა იმათი გვარისა,
ვარ ერთი თურქი მოლაშქრე,
მომკვლელი უზანფარისა.
ბატონის გამოგზავნილი,
ვარჯილო ცხენოსანისა,
აქ ფალავანის მომკვლელი,
დამლევი მუჭა სისხლისა.

ზურაბი ეტყვის:

ეგ რა მითხარ, ბერიკაცო,
დამიკოდე წყლული გული?
ნეტავი კი არ მენახე;
შინვე დაგელია სული!

ზურაბს არ უნდოდა დასჭიდებოდა როსტომს: როსტომმა არა-ქნა. დაეჭიდნენ და ზურაბმა წააქცია. დაბრუნდა ქალაქში შერ-ცხვენილი როსტომი. ხალხს უთხრა: ნუ გეშინიათ, ჯერ მაგის გულ-ზე ვარდი არ აყვავებულაო; ვითომ, ჯერ ქალი არ უნახავს და გა-მოუცდელიაო.

როსტომი ქაქაოზ მეფეს ეტყვის:

ერთი ჭაბუკი მოსულა,
ყველა მტრისათვის მახეა.
ომშიაც ვნახე, ლახტშიაც.
ყველა იმასთან მჩატეა.
იმისი ფეხის ნადგამი
სამარის კარსა გვანდია!

ქაქაოზ მეფეს ძალიან შეეშინდა. რაკი ეს ფალავანი წამიქცია, აქ! აღარ მედგომებაო. აიბარგა და გაქცევა დააპირა.

როსტომმა უთხრა:

ქაქაოზ, ბარგი იქ დადე,
სადაც რომ უწინ გდებია;
იმ ფალავნისა სიკვდილი,

ახლო მე მისაზრებია,
შხამში გავლესე ხანჯალი,
ჩექმაში ჩასადებია.

იმ ღამეს როსტომს არ სძინებია. ლესა და ლესა შხამში ხანჯალი. დამალა და მეორე დღეს კიდევ გამოითხოვა ზურაბი.

ზურაბს კიდევ არ უნდოდა დაჭიდებოდა. გული ეუბნებოდა, რომ მამა არისო. როსტომმა გამოითხოვა: გუშინ გუნებაზე არ ვიყავ და დღეს გნახავო.

ზურაბმა კიდევ ისე უთხრა, როგორც წინა დღეს.

როსტომი არ მოეშვა:

ჩვენში ასეთი წესია:
ფეტვი ადგილზე სთესია.
ფალავანი ფალავანსა
ერთხელ დასცემს, აუშვებსო,
თუ მეორედ წააქცია,
ცოცხალს აღარ გაუშვებსო.

დაიჭიდნენ. ზურაბმა ისევ წააქცია. მაშინ დანა ამოიღო ჩუმად როსტომმა და მუცელში ჩასცა ზურაბსა.

ზურაბმა უთხრა:

შე ბერიკაცო, რად მომკალ?
დანა რად დამეც ვადამდე?
შენ მამაჩემსა როსტომსა,
საით წაუხვალ, სადამდე?
ზღვას გახვალ, იქ გამოგყვება,
ქვესკნელს ვერ დაემალები,
გერჩივნა ცას წასულიყავ,
ვარსკვლავთა ჭკუა აგეღო,
ხმელეთი საჭვრეტლად გქონდეს,
მიწა სურვილად წაგეღო.
ცოდვას მოინანიებდი,
თავი ძირს აღარ დაგეღო.

ის თქვენმა მტერმა იხადოს, რაც როსტომმა იხადა თავისი სახელის გაგონებით!

— შე მრუში დიაცის შვილო,
ნიშანი სად გაკერია?

—მხარს მეკრა, ზრახვით შევიხსენ,
აი, არწივის კვერია!

უთხრა ზურაბმა, აიწია მხარი და იღლიის ქვეშ დაკერებული ნიშანი აჩვენა.

ასწია გმირის მკლავია,
ელვანი იყვნენ ცისანი,
აიღო და შემოიკრა
დიდი ნატეხი ქვისანი:
— ვაიმე, შვილო, ზურაბო,
ჩაგეცი დანა სრეული,
რისთვის გაგზარდა დედამ,
სული ჩაგიდგა წყეული?!
მე მოგკალ, შვილო ზურაბო!
დავრჩი უშტოვო ხე ვითა! —
ათრთოლდა ფურცელივითა,
მიწას დაეცა რევითა.

ზურაბმა უთხრა:

— შენ მამაჩემი არა ხარ,
არც როსტომიანთ გვარისა,
მოლაშქრე თურქი ყოფილხარ,
შვილი მოჰკალი თავისა!

გაგზავნა როსტომმა ქაქაოზ მეფესთან და შეუთვალა:

ჩემო ქაქაოზ მეფეო,
შენთვის შევებმი დევსაო,
წამალი გამომიგზავნე,
ზურაბი მკიდავ ყელსაო.

ქაქაოზ მეფე იყო მტერი როსტომისა; უნდოდა იმისი თავიდან მოშორება, მაგრამ წამლის გაუგზავნელობაც არ იქნებოდა, როსტომი სამაგიეროს გადაუხდიდა. მერე ასე მოახერხა: ერთ გიქ დიაკვანს გაატანა და უთხრა: როსტომთან რო მიხვიდე, წამოჰკარ ფეხი და დააქციეო, მაშინ რაღას გვიზამსო?

წამალი გამოუგზავნა
გიქი დიაკვნის ხელითა,
ფეხი წამოჰკრა, დაღვარა,
აივსო იმის წყევლითა.

შემოჰკრა ხმალი დიაკვანს როსტომმა და შუაზედ გაკნაპა.

როსტომმ თქვა: სიბერკაცითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
სადაც რომ ომი გაჭირდა,
შეშა ხმალივით გასჭრიდა.
წადი და ჰკითხე დიაკვანს,
თუ ჩემი ხმალი არ სჭრიდა!

ზურაბმა დალია სული. წამოხტა გაცოფებული როსტომი და გაექანა ქაქაოზ მეფესთან. ქაქაოზ მეფეს ორი შვილი ჰყავდა; შეუხტა როსტომი, წაჰგლიჯა იმის შვილებს ქათმებივით თავები და დაუყარა წინა: აბა, შვილის სიკვდილი როგორია, იწვნიეო!

მერე გაიქცა როსტომი და ჩავარდა ზღვაში: თავი უნდა დაეხრჩო. მაგრამ ზღვამ პირი შეიკრა და აღარ ჩაუშვა ძირსა. იყო შიგ როსტომი. არც იხრჩობოდა, არც ნაპირზე გამოდიოდა.

ხალხმა თქვა: ვინც როსტომს გამოიყვანს ზღვიდან, ამდენსა და ამდენს მივცემთო.

ვერავინ გაბედა როსტომის ზღვიდან გამოყვანა. ბოლოს ერთმა ბებერმა თქვა: თუ ცოცხალი დავრჩი, მაცხოვრეთ; თუ მოვკვდი და დამმარხეთ, როსტომს მე გამოვიყვანო!

ქალაქი დათანხმდა. წაიღო ბებერმა შავი მატყლი, მივიდა ზღვის პირზე როსტომის პირდაპირ და დაუწყო მატყლს რეცხვა. როსტომს საშინლად სძულდა შავი მატყლი. ითმინა როსტომმა, მერე გამოსწია ბებრისაკენ განრისხებულმა. ბებერმა დაიძახა:

დიდება და მადლი ღმერთსა,
როსტომ გამოვიდა ზღვასა!
ცალსა ხელსა ზღვაში უწევს,
ცალით მიაქნევდა ხმალსა!

როსტომი მიუახლოვდა კიდევ და დაუყვირა ბებერსა: შე სულელო ბებერო, შენა:

არ გათეთრდება ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა!

ბებერმა გაიცინა და დაუძახა როსტომს: შე რეგვენო, როსტომო,

მკვდარი ვის აღუდგენია,
ტირილითა და ვიშითა?!

როსტომმა ჩააკლო ფეხში ხელი ბებერს და ზღვაში გადაისროლა. ამის შემდეგ აღარ შესულა ზღვაში როსტომი, დარჩა ხმელეთზე და ბევრი ლექსი გამოთქვა თავის მწუხარებაზე.

როსტომმ თქვა: დღენიც კრულია
დაბადებისა ჩემისა!
სიყრმე სიბერედ ვაქციე,
დღე ვეღარ ვნახე ლხენისა.
ვერ ავიხარე კისერი,
უღელი მედგა რკინისა!
სიბერე ძნელი ყოფილა,
შავი ქვა აეწონება,
დამჯდარი ვეღარ ადგება,
ყავარჯენს დაეღონება!



სამშობლოსათვის

ვახტანგ გორგასალი

(ნაამბობი ბოჰორმის მთაზე)

ამ არემარეზე, რომელიც ბოჰორმის მთიდან მოჩანს, უცხოვრია საქართველოს მეფეს გორგასალს. შორს დახვრეტილი მთა რომ არის, იქ თურმე მისი სასახლე იდგა. ნანგრევები, აგერ, ახლაც მოჩანს. ქვემოთ კიდევ მეფის სანაღაროსა და ქალაქ უჯარმის ნანგრევებია. ეს სიმაღლე, რაზედაც ჩვენა ვართ, მაგარი ციხე ყოფილა... მართლაცდა, აბა გაიხედეთ, რომელ სიმაღლეზე გინდათ, რომ ციხისა და საყდრის ნანგრევები არ იყოს მომდგარი? აი, ამ ადგილიდან განაგებდა ჩვენი მეფე ქართლ-კახეთს. ძალუმი მეფეც ყოფილა და ისეთი ღვთისნიერიც, რომ ციდან ზარის რეკვა ესმოდა. ამაზე ჩვენ ახლაცა ვმღერით ხოლმე: ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკაო.

საყდრები ბევრი უშენებია, „ქალაქიც“ იმას გაუკეთებია, მაგრამ ცოლი ჰყოლია ცუდი ზნისა, თვითონაც თავისივე სიტყვა გაუტეხია და იმიტომ ბოლო კარგად ვერ მოსვლია.

ჯერ თოთხმეტი წლისა ყოფილა, როცა მეფედ დამჯდარა. დიდი ხანი არ გასულა, რომ ერთი მეფე შეჰბრძოლებია.

— მოდი, ხალხს ნუ დავხოცავთ და მეფეებმა მოვსინჯოთ ერთმანეთიო, — უთქვამს სხვათა მეფეს.

სირცხვილი იყო, ვაჟკაცს უკან დაეხია, როცა საფალავნოდ ითხოვ-
დნენ, და საქართველოს მეფეც გასულა; მხლებლებს უთქვამთ
მეფისათვის:

— ეგ გმირია, გამოცდილი და სახელგანთქმული ფალავანიო,
გაჯობებს, თუ მოტყუებით არ დაიმორჩილეო.

მეფეს ჯერ არ ექნა, მაგრამ ბოლოს გაეტეხა თავისი სიტყვა და,
როცა საბრძოლველად მოედანზე გამოსულან, დაეძახნა სხვათა
მეფისთვის:

— ეგ რა ვაჟკაცობაა, რომ მაგდენი მშველელი უკან მოგდევსო.

ბეჩავსაც უკან მიეხედა თურმე და ამ დროს გორგასალს შიგ
მობრუნებულ კისერში ეკრა ისარი.

ერთხელ გორგასალი ქართველი ჯარებით ინდოეთს წაბრ-
ძანებულა სადავლოდ და ცოლი კი ამ გახვრეტილ გორის სასახლე-
ში დაუტოვებია.

ქვემოთ, ვაკეში, ცხოვრობდა თურმე ჯავახეთ-გუთნისდედა. იგი
მადლიანი ვაჟკაცი იყო და ხვნა-თესვით ცხოვრობდა, მოსავალიც
ზღვა მოსდიოდა. მეფის ცოლი ხვნის დროს ზევიდან დასცქეროდა
ხოლმე. კაი ნამუსის ქალი არა ყოფილა და ეს პატიოსანი გუთნის-
დედა შეუცდენია. რადგან ისე ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს,
გუთნისდედას ღამ-ღამე კლდე ეთხარა, რომ გორის წვერამდის ამძვ-
რალიყო. ის ნახვრეტები რომ მოჩანს, იმისი ნათხარია.

რა ღამესაც კლდე ახვრიტა და ავიდა დედოფალთან, მეფეც
ინდოეთიდან მაშინ მოვიდა და სასახლეში მოასწრო გუთნის დედას.
მას ლექსად უთქვამს მეფისათვის:

დღისითა ვხნავდი გუთანსა,
ღამით ვანგრევდი სალს კლდესა,
ერ ეაღამეს შევეყარე
ტანდაბალ და პირად მზესა,
ნამუსზე ხელი ავიღე,
ღმერთიმც უშველის ჩემს
მკვლელსა.

მეფეს არ მოუკლავს გუთნისდედა, მხოლოდ ჯავახეთისკენ გაუ-
ძევებია. ქართლ-კახეთის მოსავალიც თურმე თან გაჰყვა იმ გუთ-
ნისდედას და დიდხანს აღარაფერი მოდიოდა ჩვენში, ჯავახეთი კი
მოსავლის ზღვად გადაიქცა. მერე გაგზავნეს ჯავახეთს გუთნისდედას-
თან კაცი, რომ უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ თვითონ აღარ წა-
მოსულა და ჭირნახულის რამდენიმე პეშვი გამოუტანებია. გადაა-

ნიეს თუ არა ეს თესლი, იმ წლიდან ქართლ-კახეთში ისევ მოსავალი დაბრუნდა, მაგრამ ჯავახეთი მაინც დღესაც სჯობნის ორივე მხარეს.

მეფე გულკეთილი ბრძანდებოდა და არც რა ცოლს დაუშავა; მაგრამ ცოლმა კი არ დაინდო. დიდძალი ურჯულო დაეცა ჩვენს ქვეყანას. სამგორის მინდორი სულ დააბნელეს და მოადგნენ უჯარმას. გორგასალი მაგრა დაუხვდა იმათ: დღისით მუსრს ავლებდა და ღამე ამ გორაზე ციხე-დარბაზში ბრუნდებოდა. დედოფალმა პირობა შეკრა ურჯულოთ მეფესთან: ოღონდ შემირთე ცოლად და ჩემს ქმარს მოგაკვლევინებო. ღამე იმის რაშს ბევრ მარილს ვაჭმევო და დილით იორში რომ შემოვა, წყალს დაუწყებს სმასა, მეფე ლაგამს ზევით მოზიდავს, გაღმიდან ჩასაფრებულებმა იღლიაში სტყორცნეთ ისარი და მოკვდებაო, სხვაგვარად ვერ მოჰკლავთ, რადგან თავით ფეხებამდის აბჯარში ზისო.

ეს შეთქმულება დედოფალმა შეასრულა და მეორე დღეს ისრით იღლიაში დაჭრილი მეფე მოასვენეს ციხე-დარბაზში. ორი დღის უკან მოკვდა ეს განთქმული მეფე. ურჯულოთ მეფემ დედოფალიც ზედ მიაყოლა: ისეთი გმირი და სახელოვანი ქმარი არ შეიფერე და მე შემიფერებო! მოაბმევინა გორგასალის რაშის კუდზე და სულ ლუკმა-ლუკმა აქცევინა.

დარუბანდის კარები

ერთ ქართველ ვაჭარს საქონელი წაეღო დარუბანდში გასაყიდად. გზაში თურმე ლეკები დაეცნენ და, თუ რამე ებადა, ყველაფერი წაართვეს. ვაჭარი მივიდა ლეკის უფროსთან:

— შენს საბრძანებელში მოვედი, საქონელი მოვიტანე გასაყიდად და შენმა ხალხმა სულ წამართვა. სამართალს ვითხოვ, წართმეული დამიბრუნოთო.

— შენ სადაური ხარო? — ჰკითხა ლეკის უფროსმა.

— ქართველი ვარო.

— ჰო, აბა მიდი საქართველოში, შენს მეფეს, დავითს ფეხქვეშ ჩაუგორდი და სამართალი იმას სთხოვეო, — უთხრა ლეკმა.

— სამართალს შენა გთხოვ, თორემ დავითს რომ ეს ვუთხრა, საქმე ცუდად წაგივაო.

— ჰამ! ცუდად წამივა! რას მიზამს დავითი? დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნასო.

ვაჭარი დაბრუნდა საქართველოში და ყოველივე უამბო დავით მეფეს. ისიც დასძინა, ლეკმა რაცა თქვა: „დავითმა დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნასო“.

დავითს ეწყინა ლეკთა უფროსის საქციელი. მოაყვანინა ათასი ცხენი, გააკეთებინა ორი ათასი კიდობანი და თითოში თითო შეიარაღებული ქართველი ჩასვა. ცხენების წინამძღოლები გამოაწყო ვაჭრულად, წინ გაუმძღვარა მომჩივარი და გაისტუმრა დარუბანდში. თვითონ კი უკან გაჰყვა.

როცა დარუბანდს მიუახლოვდნენ, დავითმა გაგზავნა კაცი ლეკთა უფროსთან, საქონელი მომაქვს დასაყიდად და ქალაქის კარი გააღეთო.

ლეკებს გაუხარდათ, უფრო მეტ საქონელს ვიშოვითო, და გააღეს კარი.

დაღამდა. შუაღამისას დავითმა გაახსნევინა კიდობნები და ამოაშვებინა იქიდან შეიარაღებული კაცები. ფეხზე იდგა სამი ათასი გულადი მეომარი. დაერივნენ და აიღეს დარუბანდი, წაართვეს ქალაქის კლიტეები ლეკთა მთავარს. დავითმა ჩამოახსნევინა რკინის კარი, რომელიც დარუბანდში შესავალ გზას იცავდა, შეუბა შიგ ლეკები და ისე ჩამოიტანა გელათში.

ლეკების მთავარს მეფე მაინც ლმობიერად მოეპყრო, დანაშაული აპატია და გაუშვა. მაშინ გათავისუფლებულმა უთხრა მეფეს: რადგან ამდენი სიკეთე მიყავ, ეს მადლიც ზედ დასძინე, ერთი ხარის ტყავის სიფართე ადგილი მიბოძე დასასახლებლადო.

დავითმა უბოძა. ლეკთა მთავარმა მოატანინა ხარის ტყავი, დაჭრა წვრილ-წვრილ თასმებად, გადაბა ერთიმეორეზე და ამ სახით თასმა იმ სიგრძე შეიქნა, რომ მთელ დარუბანდს გარს შეშოსწვდა.

დავითმა ვერაფერი ვეღარა თქვა და დარუბანდი ისევ ლეკებს დარჩათ.

თამარი

თამარს უამბო დედამ: შვილო, სიზმარი ვნახეო,
საწუთროს ჯამში ჩავხედე, სოფელი დავინახეო,
შენ იყო მთელი ქვეყანა, შეგნებით შეინახეო.

მალე ასრულდა დედის სიზმარი: თამარი შეიქნა მპყრობელი მთელი საქართველოსი; იმის ხმალს ველარავის ფარმა ვერ გაუძლო, ყველას ქედი უნდა მოეხარა იმის დიდების წინაშე და ეძლია ხარკი. თამარმა ყველას ხარკი დაადო, მარტო ზღვაღა იყო თავისუფალი და ჯერ კიდევ არ უხრიდა თავს. მაგრამ ისიც მალე მოდრიკა თამარმა: მოატანინა ზღვის პირზე ჩალა-ბზე, თივა, ფიჩხი, გადააყრევინა ზღვაში, დაასხა ნავთი და მიაკიდებიანა ცეცხლი; აპრიალდა ცეცხლი და გაერთხა ბოლი ზღვის პირს. შეწუხდა ზღვა, შეიძრა თავით ბოლომდე. ზღვამ გამოუგზავნა კაცი თამარს: ოღონდ ნუ დამწვავ და რაც გინდა, ის ხარჯი დამადეო.

თამარმა შეიწყნარა ზღვის თხოვნა, გამოართვა კამეჩები, ქარვა და მრავალი თვალ-მარგალიტი. ამის შემდეგ გაჩნდა ქვეყანაზე კამეჩები და თვალ-მარგალიტი.

თამარ მეფის ვაჟი

თამარ მეფეს, ამ ბრძენ ხელმწიფეს, შვილი არ ჰყავდა. თვითონაც გვარში ობლად ობოლი იყო. მის შემდეგ სამეფოს უმეფოდ დარჩენა მოელოდა. ეს აწუხებდა ყველას, დიდსა და პატარას. შეიყარნენ სახელმწიფოს თავი კაცები. იბჭეს და გადაწყვიტეს:

— სამეფო ტახტი მოითხოვს, მეფემ ქმარი შეირთოსო.

გადაწყვიტეს, მაგრამ გადაწყვეტილების მოხსენება მეფისათვის ვერც ერთმა ვერ იკისრა.

— ეგ დავავალოთ იმ სულიწმინდით შემოსილ ბერს, რომელიც განდეგილად მოღვაწეობს სტეფანწმინდის გამოქვაბულში და თაბორივით, სიწმინდის გამო, ჰაერ-ჰაერ დადისო.

ერთ საღამოს ბერი ეწვია თამარს, დალოცა და ჯვარი გადასახა. მეფე ხელზე ეამბორა მთიდან ჩამოსულ ასწლოვან მოხუცს. თან მოწიწებით მოიკითხა და უჩვეულო წვევის მიზეზი ჰკითხა. ბერმა ხელმწიფეს მიართვა ეტრატი, რომელზედაც დაწერილი იყო ღიდებულთა გადაწყვეტილება. მეფემ ამოიკითხა ფსალმუნის სიტყვები ნაყოფიერი და უნაყოფო ხის შესახებ და მყის იგრძნო, რომ დაორსულდა. შეწუხდა ძალიან მეფე ქალი, ეს რა მომივიდა,

როგორღა ვეჩვენო ხალხს, როგორ ვიმართლო თავი წინაშე ღვთისა, რომელსაც ქალწულობის აღთქმა მივეციო.

ჩაწვა ლოგინში და ფიქრებში გართულს ტკბილად ჩაეძინა. ძალში გამოეცხადა ბრწყინვალე ფრთოსანი ვარსკვლავი და მოახსენა:

— მიდგომილხარ ერის შენის სულის მობერვით. ჰშობ ძესა, რომელსაც აღზრდის ნუკრის დედა. ხმა ერისა — ხმა ღვთისა არს და ამიტომ შვილის გაჩენით ქალწულობა არ მიგეღებაო.

მეცხრე თვეზე ეყოლა ვაჟი, დაბადებითვე მსგავსი ბრწყინვალე ვარსკვლავისა. ერი ძალზე გაახარა მისმა დაბადებამ, ეკლესიებმა მრავალი წირვა გადაიხადეს მის ასაღორძინებლად. წლის განძავლობაში შვება, ლხენა არ დალეულა სასახლეში. არც მთელს სამეფოში.

ყრმას უკვე გამოევლო სიჩჩოების ხანა, უკვე ფეხი აედგა, რომ გადიამ ჟინვნის სამეფო ბაღში წაიყვანა სასეირნოდ.

ხეივნების ბოლოს ფართო ჯურღმული იყო. იქ ამოჩუხჩუხებდა ცივი, ანკარა წყარო. გადიამ ყრმა ზევით დატოვა და თვითონ ჩავიდა წყლის დასალევად. წუთიც არ გასულა, წყურვილი მოიკლა და ამოირბინა, მაგრამ ელდა ეცა: აღარსად იყო მეფე ყმაწვილი.

გადიოდა დღეები და თვეები, დაკარგულს ეძებდა ხალხი ტყესა და ღრეში, მაგრამ სანუგეშო ამბავი არავის მოჰქონდა. თამარი კი მაინც ჰსასოებდა, რომ მისი საყვარელი შვილი დაღუპული არ იყო და ამ სასოებას უორკეცებდა ის ხმა, რომელმაც სიზმარში გაანდო — შენს ნაშობს ნუკრის დედა გაზრდისო.

წელიწადი მიწურულიყო, რომ თვით თამარი თავის დიდებულებით წაბრძანდა ყრმის საძებნელად. გზა-გზა ბევრ ნადირს ხოცავდნენ. თამარსაც თან ახლდა კარის მონადირე, განთქმული ვაჟკაცობით. იარეს საკმაოდ ამ ტყეში.

უცბად თამარის მხლებელმა მონადირემ ირემს მოჰკრა თვალი და მყის მოიმარჯვა მშვილდ-ისარი. ის იყო უნდა ეტყორცნა, რომ თამარმა აუკრა ხელი, მისმა თვალმა კარგად გაარჩია, რომ დედა ირემს სწოვდა მოჩიტული ყმაწვილი. დაიჭირეს ორივე და მიჰგვარეს თამარს. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მეფემ შვილი დიდებულებს გადასცა აღსაზრდელად, ხოლო ირემი დააბინავა თავის წალკოტში და გასცა ბრძანება: ჩემი მეფობის დასასრულამდე ჩემს სამეფოში არა კაცს არ შეეძლოს ირემზე ნადირობა და ირმის მოკვლაო.

ერისთავის პასუხი

ქსანში თათრები შემოვიდნენ და ქსნის ერისთავს შეებრძოლნენ. ერისთავი ციხეში იდგა და მტერს უმკლავდებოდა.

ომი გაგრძელდა. თათრები ციხეს მიუახლოვდნენ. ხალხს მეციხოვნეთათვის სასმელ-საჭმლის მიწოდება მაინც არ შეუწყვეტია.

ფაშამ შიკრიკს შემწვარი ბატკანი გაატანა ერისთავთან. თან დაცინვით ასე შეუთვალა:

— ვიცი, ულუკმაპუროდ იქნები, ამ ბატკანს გიგზავნი, ცოტა ხანს სული რომ მოითქვაო.

ტრფობა იყო. თევზი მდინარის სათავისაკენ ბრუნდებოდა. იმ დღეს, სანამ შიკრიკი ძღვენით ერისთავთან მივიდოდა, ბედად ასეთი შემთხვევა მოხდა: ქსნის ხევში არწივს ორაგული დაეჭირა და ზეცისაკენ მიაქანებდა. კოშკის თავს რომ გაუსწორდა, ერთმა ქართველმა თოფი ესროლა და მსუბუქად დაჭრა. არწივს ორაგული კლანჭებიდან გაუსხლტა და ციხეში ჩავარდა.

ერისთავმა ფაშას სამაგიეროდ ეს ორაგული გაუგზავნა და პასუხად შეუთვალა:

— ნუ სწუხხართ, პურ-ღვინო არ გვაკლია, ცოცხალი ორაგულიც ბლომადა გვყავსო!

ფაშამ ციხის აღების იმედი დაკარგა, ჯარი მოხსნა და უკან გაბრუნდა.

ბარალეთი

ბარალეთი ძველთაძველი სოფელია. მტერს აუოხრებია აქაურობა და მთელი სოფელი დაუნგრევია. დანგრევას გადარჩენია მხოლოდ საყდარი და ციხე, რომელიც საყდარს გარს ერტყა.

ბარალეთი რომ გადაუწვავთ, ხალხი სულ აყრილა და ბარალეთი უდაბნოს დამსგავსებია. ხშირ ტყეს ერთიანად დაუფარავს იქაურობა. ერთ დროს ხალხი წამოსულა ამ სოფლის საძებრად, ალბათ სცოდნიათ, რომ ადრე აქ სოფელი იყო, მაგრამ ხშირი ტყის გამო ბარალეთი ვერ უპოვიათ. მაშინ ასულან მაღლა მთაზე და იქიდან დაუნახავთ საყდარი და ციხე. ისიც გაურჩევიათ, რომ საყდარიც და ციხეც წყლის პირს მდგარა. დაჰყოლიან მდინარეს, ნასოფლა-

რისათვის ისე მიუგნიათ და მეორედ გაუშენებიათ აქ სოფელი. ამ მაღალი მთისათვის „საყარაულო“ დაურქმევიათ, რადგან მტრიანობის დროს იმ გორაზე ყარაულები ედგათ. ყარაული ცეცხლს დაანთებდა და ამით აცნობებდა სოფელს, მტერი გვიახლოვდებაო. მოჰგლეჯდნენ ქართველები გუთანს, ჯილღას და ვინც კი მინდვრად იყო გასული, ყველა სოფელს მიაშურებდა და ციხეში ჩაიკეტებოდა. ციხე ისეთი დიდი ყოფილა, რომ მთელ სოფელს იტევდა თურმე. გაბრუნდებოდა თუ არა მტერი, გამოვიდოდნენ ციხიდან და ყველა თავის საქმეს შეუდგებოდა.

და-ძმობის ძალა

ერთხელ საქართველოს თათრის ჯარი მოადგა. ურჯულოები ძალიან ბევრნი იყვნენ, ქართველები კი — ცოტა. იცოდა ჩვენმა მეფემ, რომ მთელი ჯარი ომში გაუწყდებოდა და საქართველოც აოხრდებოდა. რა ექნა? გაუგზავნა ელჩი თათრის მეფეს და სთხოვა, უომრად გავშველდეთო!

თათრის მეფემ დააბარა: ეგრე თუ გინდა, სამი რჩეული ვაჟკაცი გამომიგზავნე, რომ ჯარის წინ დავხოცოო.

ასეთი დამცირება ჩვენმა მეფემ იწყინა და ომის დაწყებას აპირებდა, რომ სამი ვაჟკაცი წინ წარუდგა და უთხრა:

— მეფეო, ნუ გასწყვეტ ჩვენს ჯარს. ჩვენ ვიქნებით იმათი ჭირის სანაცვლოო.

ჩვენი მეფე უარზე იდგა, არ ემეტებოდა ვაჟკაცები საკლავებივით გასაგზავნად, მაგრამ რას იზამდა? — ძალა აღმართსა ხნავს; იმანაც ქვეყნის მშვიდობა ირჩია და გაუშვა ის ვაჟკაცები.

სამი რჩეული ქართველი წარუდგა თათრების მეფეს. გასცა ურჯულომ ბრძანება, დახოცეთ ვაჟკაცებიო.

უცბად ერთი ქართველი მანდილოსანი ჩაუვარდა შახს ფეხთითა ტიროდა და სთხოვდა, მაგ ვაჟკაცებს ნუ დახოცავ, მაჩუქე მათი სიცოცხლეო. ბოროტ მეფესაც კი მოუბრუნეს გული ცრემლებმა და უთხრა:

— სამივეს ვერ მოგცემ და ერთი წაიყვანე, რომელიც გინდაო. ქართველი ქალი გაქვავდა, რომელი უნდა ერჩია?! ერთი მისი ქმარი იყო, მეორე — შვილი და ერთიც — ძმა. რას იზამდა? დრო არ

იცდიდა. არ წაეყვანა ვინმე, მაინც მოუკლავდნენ. უცბად თქვა თავისთვის: ქმარსაც ვიშოვი, შვილიც შეიძლება სხვა მყავდეს და ძმას კი ვერსაიდან მოვიყვანო. მოსჭიდა ხელი ჩოხის კალთაზე და ძალით წამოიყვანა, გადაარჩინა თავის ძმა სიკვდილს. ასეთია დაძმობის ძალა.

თმოგვი და დამკალი

თმოგვი ძველად ძალიან განთქმული ქალაქი ყოფილა. ქალაქის უფროსი თურმე თმოგვის მიუდგომელ ციხეში ცხოვრობდა თავისი მეტად ლამაზი ცოლით და მთელი თავისი ოჯახით. ციხეს ყიზილბაშთა ჯარი შემოესია. შვიდ წელიწადს იყო გარშემორტყმული, მაგრამ მეციხოვნენი დასცინოდნენ, თავზე ახალ შედღვებილ დოს გადმოასხამდნენ ხოლმე იმის ნიშნად, რომ ციხეში არაფერი გვაქლიაო.

ერთ დღეს, თათრის ჯარის უფროსმა ციხის უფროსის ულამაზესი ცოლი შენიშნა. ფაშამ ქალს საიდუმლოდ მაშვალი მიუგზავნა: — მაინც იღუპები და შენი თავი იხსენი, მე ციხე ხელში ჩამაგდებინე და ცოლად შეგირთავო.

სულ მალე ქალმა, რომელსაც ციხეში გამომწყვდეულად ყოფნა დიდი ხანია მობეზრებოდა, შემოუთვალა: ამა და ამ დროს მე ციხის კარის გასაღებს ვიშოვი და კარს ღიას დაგახვედრებ. მოდი შენი ჯარით და გამიტაცეო.

დანიშნულ დროს ფაშამ ციხეს ჯარი დაასია... ციხის კარი ღია დახვდა. შევიდა, ყარაულები დახოცა, მეციხოვნენი ერთიანად ამოჟლიტა. ციხის უფროსი თავგამოდებით იბრძოდა და ბოლოს, როცა დაინახა, რომ მტერმა სძლია, ცხენიანად ისკუპა და უფსკრულში გადაიჩეხა. თავის ოთახში დამალული ქალი მოუთმენლად ელოდა ფაშას.

ფაშამ მხლებლებს ქალი მოაყვანინა, მთელ თავის ამალასა და ჯარს დაუძახა და ბრძანა:

— სწორი პასუხი გამეცით, თორემ ტყუილისათვის თავებს დაგაყრევინებთ. ამ ქალის ქმარი სჯობდა ვაჟკაცობით და სილამაზით თუ მეო.

— ამ ქალის ქმარი გჯობდა სილამაზითაც და ვაჟკაცობი-

თაცო, — უთხრა ყველამ ერთხმად, — ეგ შენთან ხუთი იყო, შენ მასთან, ერთიც ვერაო.

— მართალია, — თქვა ფაშამ, — მე იმაზე ბევრად ნაკლები ვარ. რაკი ცოლმა მაგისთანა ვაჟკაცს უღალატა და მისი ჯარიც გაგვაულეტინა, მე რაღას გამიტანსო. მერე ქალს უთხრა, — შენ რაღას იტყვიო?

— რაღას ვიტყვი, ქმარსაც ვუღალატე, ხალხსაც და სამშობლოსაც და დამკალი ბარეღამაო, — უთხრა ქალმა.

მოიქნია ხმალი ფაშამ და ქალს თავი მოაგდებინა. ამის შემდეგ თმოგვის ციხესთან რომ სოფელია, იმას დამკალი ეწოდება.

რაინდული ერთგულება

ერთი ჩვენი ქართველი მეფის მოკვლა მოინდომა რამდენიმე ბოროტმა კაცმა. ამბობენ, ეს მეფე ფრიად მმართველ-მსაჯული და კეთილი გულისა იყოო.

ეს შეთქმულება გაიგო ერთმა ღარიბმა აზნაურმა, გვარად ზედგინიძემ. ამ აზნაურმა მეფეს აცნობა ეს ამბავი, მაგრამ არ დაუჯერა. მეფე რომ დაერწმუნებინა, ზედგინიძემ უთხრა:

— დიდებულო მეფეო! თუ ჩემი სიტყვა არ გჯერათ, ნება მიბოძეთ ამაღამ თქვენს საწოლში დავიძინო, თქვენ კი ჩემს ოთახში მოისვენეთ და მეორე დილას ლუკმა-ლუკმა აკუწულს მნახავთო. თუ ეს ასე არ იქნება, თავი გამაგდებინეთ და თუ ასე იქნეს, გთხოვთ, ჩემს ორ საწყალ ობოლს — იოთამს და იოანეს მოწყალეობის თვალით უყურეთო.

მეფე დაეთანხმა — თვითონ ზედგინიძის სახლში მოისვენა და ზედგინიძემ — მეფის პალატაში.

იმ ღამეს მართლა დაესხნენ ავაზაკები და ასო-ასო აჩეხეს ბედკრული ზედგინიძე. მეორე დილას მეფე გაეშურა საწოლისაკენ, სადაც ერთგული ზედგინიძე საზარლად დაჩეხილი დახვდა. ამ სინანულით ფრიად შეწუხებულმა მეფემ შემოიკრა ხელი თავში და დაიძახა:

— ოჰ, ჩემი ერთგული ყმა აკი ამილახვრესო!

მეფემ ბევრი იგლოვა თავგანწირული ზედგინიძე და მოინდომა მისი ობლების დაწყალობება. მიიხმო ისინი და უთხრა:

— წადით, დაიარეთ მთელი საქართველო და სადაც ჭკუაში დაგიჯდებათ, იქ მოგცემთ საცხოვრებელ ადგილსო.

იოთამი და იოანე წავიდნენ. იარეს, იარეს და ლეხურის ხეობა ამოირჩიეს. როდესაც მეფეს მოახსენეს, იმან დაწერა გუჯარი, რომელშიაც ამ ორი ძმის მამულს შემდეგი საზღვარი დაედო: მდინარე ქსანი ერთი მხრით, მეორე მხრით — მდინარე მტკვარი და თეძამი, შემდეგ თრიალეთის ქედი ატენის ხეობის თავამდის, მესამე მხრით — მდინარე დიდი ლიახვი, მეოთხე მხრით კი — კავკასიის თოვლით დაფარული ქედი. და უბრძანა, თქვენი ღირსეული მამის ღვაწლის მოსახსენებლად, ჩემს სამეფოში ამის შემდეგ ზედგინიძე კი არა, ამილახვარი იყავით გვარადო.

იოთამი და იოანე დაესახლნენ მდინარე ლეხურის შუა ხეობაში და მათგან წარმოსდგა გვარი ამილახვართა.

ლოჭინის ხეობა

ლოჭინის ხეობაში ძველად მტრის ღასაზვერავად ორი სვეტი ყოფილა აშენებული. სვეტების თავზე დარაჯები მტრის გამოჩენისთანავე ცეცხლს დაანთებდნენ, თბილისს შეატყობინებდნენ. ასეთი დარაჯი ყოფილა ვინმე ცალხელა ლოჭინი. მას ჰყოლია ორი ვაჟი.

ერთხელ დაუნახავს ლოჭინს, რომ ადიდებულ ხევისწყალს ირემი მოაქვს. ეს ირემი წყალს პატარა კუნძულივით ამაღლებულ გორაკზე გაურიყავს.

— აბა, რა კაცი ვიქნები, თუ ეს ირემი არ გადავარჩინეო, — უთქვამს ლოჭინს, შესულა ამ ადიდებულ წყალში და ირემი გამოუყვანია. თავის შვილებთან ერთად სახლში ჰყოლია. ცხოველი ადამიანივით გამგონე გამხდარა. პატრონს თურმე სულ თან დაჰყვებოდა, თბილისშიც კი ჩამოჰყოლია.

მამის სიკვდილის შემდეგ დარაჯებად მისი შვილები დაუყენებიათ. ერთ ღამეს ახალგაზრდებს ღრმად დასძინებოდათ. ამ დროს მტერი მოახლოებია მათ ხეობას. ირემს უგრძვნია მტრის მოსვლა. დაუწყია ფეხების ბაკუნი და რქების ჯახუნი, რომ მძინარე ძმები გაეღვიძებინა. უკანასკნელ წუთს გაიღვიძეს ძმებმა და სწრაფად გაემართნენ ნიშნის მისაცემად. ძმებმა მოასწრეს ცეცხლის დანთება,

მაგრამ ორივენი ისრით დახოცეს. მათ ამაგს ტყუილად არ ჩაუვლია. მტრის შემოსევის ამბავი თბილისის მეციხოვნეებს შეუტყვიათ, მომზადებულან და შემოსეული მტერი სასტიკად დაუმარცხებიათ.

დარჩა თურმე ირემი მარტო. მიაკითხა ძმებს, მაგრამ მკვდრები დაუხვდნენ. სიმწრისაგან ატირდა ირემი, მერე კი იმდენი ურტყა ქვას თავი, სანამ არ მოკვდა.

ეს ძმები და ირემი დიდი ამბით ცალ-ცალკე დაუმარხავთ გაშლილ ველზე. თითოეულის საფლავზე თავისით დადგმულა მაღალი გორა. მას შემდეგ ამ ადგილს სამგორის ველს უწოდებენ.

თვრამეტი ძმა

ძველად საქართველო ჰერეთში ყოფილა. სულ პირვანდელ ქართველებს იქ უცხოვრიათ. ისინი თვრამეტი ძმა ყოფილან. ეს ადგილი ედემის ბაღივით ლამაზი ყოფილა. ტურფა წალკოტი ზამთარ-ზაფხულ ყვაოდა. რა ნადირი, რა ფრინველი გინდოდა, შიგ რომ არ ყოფილიყო. ანკარა წყაროები მოჩუხჩუხებდა მიწიდან, თუ გინდ ცივი, თუ გინდ თბილი.

დუშმანს შეშურებია ქართველი ხალხის კარგი ცხოვრება და ჯარი გამოუგზავნია ჩვენი ქვეყნის ხელში ჩასაგდებად. ჯარს ქვეყანა აუკლია, ხალხი დაუხოცავს. ვინც გადარჩენილა, ცოცხლად დაუმარხავს. წყაროები დაუშრია, ფრინველი და ნადირი გაუწყეტია, ტყე გაუკაფავს.

იმ თვრამეტი ძმიდან ჩვიდმეტი გაქცეულა, წასულა იქ, სადაც ახლა საქართველოა და ახალი ჰერეთი აუშენებია, თავისი ქვეყნისათვის ოთხივე კუთხიდან გალავანი შემოუვლია ისე, რომ შიგ ჩიტი ვერ შეფრინდებოდა.

ყველაზე უფროსი ძმა მოხუცი ყოფილა, ვერ უვლია და თავის ქვეყანაში დარჩენილა, ტყეში დამალულა. ომი რომ დამთავრებულა, ტყიდან გამოსულა. მისთვის მტრებს ჰენგალავ (მორჯულებული) შეურქმევიათ და ხელი არ უხლიათ. შემდეგ ის თავისი შვილებით გამრავლებულა და თავისი კუთხისათვის საინგილო უწოდებია.

ამ ახალ ჰერეთსა და ძველ ჰერეთს შორის მუდამ კარგი ძმობა-მეგობრობა ყოფილა. იმ ჰერეთის მეფეები ომში წასვლის წინ მუ-

დამ ამ ჰერეთზე გამოიცლიდნენ, თავის უფროს ძმას ინახულებდნენ და თავს დაალოცვინებდნენო.

ეს ჰერეთი და ის ჰერეთი ჭირსა და ლხინში მუდამ ძმები იყვნენ, ერთად იყვნენ, ხომ გაგიგონიათ, ძმა ძმისთვინა და შავ დღისთვინაო, — ასე ამბობენ, ასე სწამთ ინგილოებს.

თამარულ ჭინჭარაული

ლეკები დასხმიან თავს ხევსურებს. ხევსურის ქალი, თამარულ ჭინჭარაული თავის სახლში კარს უკან დამალულა.

ლეკები სოფელს აწიოკებდნენ და სახლიდან სახლში გადადიოდნენ. მიაღწიეს თამარულის სახლსაც. რამდენიც შევიდოდა სახლში, თამარული ხმლით კლავდა. მივარდნენ ერთად ბევრნი, სახლში ბრძოლა აღარ შეიძლებოდა, თამარული გარეთ გამოვიდა, იბრძოლა და ოცდათორმეტი კაცი მოკლა, სამი გაექცა. თვითონაც შეუერთდა მამაკაცებს და მათთან ერთად იბრძოდა.

ბრძოლა რომ დამთავრდა, ხალხი შეეკითხა თამარულს:

— რა გინდა ისეთი, რომ გაგიკეთოთო?

— მე არაფერი მინდა, — უპასუხა თამარულმა, — გარდა ამისაო: აი, ამ გუდანის ხატში ერთი ქვაბი ლუდი ყოველ დღესასწაულზე დაიდგას ჩემთვისაო და ამით მომიგონებდეს ხალხიო.

და მართლაც, ხევსურეთში, გუდანის ხატში ყოველ დღესასწაულზე დგამენ ხოლმე ერთი დიდი ქვაბით ლუდს და იტყვიან ასე:

— თამარულსაო, კარებ უკან დამალულსაო, შაუდნასო!

სურამის ციხე

მტრებისაგან დასაცავად საქართველოს მეფეს სასწრაფოდ ციხე უნდა აეგო სურამში, მაგრამ არ იქნა მისი აგება: რამდენჯერაც კედლები ამოიყვანეს, იმდენჯერ დაინგრა. ვეზირი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ციხის აგება, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. და არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს ხალხმა ურჩია და მკითხავს მიმართა.

მკითხავმა უთხრა: ციხის გასამაგრებლად მსხვერპლი არის საჭირო. დედისერთა ვაჟს, სახელად ზურაბს, თუ ჩაატანთ კედელში, ციხეს ააშენებთ და არასოდეს არ დაინგრევაო.

დიდხანს ეძებეს მსხვერპლი და ბოლოს იქვე, სურამში, იპოვეს ასეთი ვაჟი, დედისერთა, სახელად ზურაბი. უბედური ქვრივი დედა ლამის გაგიჟდა, მაგრამ ქვეყანა იღუპებოდა, მტერი კარზე იყო მომდგარი და სამშობლოს განადგურებას უქადდა. გლოვის ზარით მიაცილა დედამ თავისი პირმშო ციხემდე. დაუწყეს კედელს შენება:

— შვილო ზურაბ, სადამდი? — კიოდა დედა.

— ვაიმე, დედავ, კოჭამდი! — ხმას აძლევდა შვილი.

— შვილო ზურაბ, სადამდი?

— ვაიმე, დედავ, მუხლამდი!

— შვილო ზურაბ, სადამდი?

— ვაიმე, დედავ, გულამდი!

— შვილო ზურაბ, სადამდი?

— ვაიმე, დედავ, გავთავდი....

— შვილო, შვილო ზურაბო...

ამოაშენეს კედელი, გამაგრდა სამშობლოსათვის დანთხეული სისხლით და ციხე შემოსულ მტერს გარდაუვალ ზღუდედ დაედო წინ. ხალხი ზეიმობდა, მხოლოდ უბედური დედა ყოველდღე ციხის კედელთან იდგა და ამოთქვამდა:

სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,
ნეტა როდის ვიპოვო ჩემი შვილის სახეო?
ჩემი ზურაბ მანდ არი, კარგად შემინახეო.
თუნგით წყალსა მოგიტან, ხელ-პირი დაჰბანეო.
ქერის პურსა ნუ მიჭმევ, წმინდით შემინახეო,
ქალამნებს ნუ ჩააცმევ, წაღებით მიტარეო.

ამბობენ, ამ კედელზე დღესაც წვეთ-წვეთად მოედინავს დედის ანკარა ცრემლი. კედელზე ამოსულ ბალახში კი ვაჟის თმები გამოერევაო.

გახტრიონის ალეგა

ალვანი, სადაც ახლა თუშები ცხოვრობენ, ადრე თათრებს ეჭირათ. ჰქონდათ გამაგრებული ორი ციხე: ბახტრიონისა — ალვანის თავში და ალავერდისა — ალვანის ბოლოში. კახეთის მეფედ იყო

ამ დროს ლევანი, იგი სოფელ შილდაში ცხოვრობდა. ალვანის თათრები მეტად აწუხებდნენ მოსახლეობას.

თუშეთიდან ერთი თუში ალვანში პურის საყიდლად ჩამოვიდა. თათრებმა დაიჭირეს ეს თუში და შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს სოფლის თუშებმა გაიგეს თუ არა მოძმის ასეთი შეურაცხყოფა, იტაცეს ხელი შუბლში. შეურაცხყოფა და შერცხვენა მათი მოძმისა — იყო შეურაცხყოფა და შერცხვენა მთელი თემისა, მთელი თუშეთისა. მათი მოთმინების ფიალა აივსო.

„ან შურისძიება, ან გმირული სიკვდილი!" — შესძახეს თუშებმა. გაგზავნეს კაცები ფშავ-ხევსურეთში, იწყეს მზადება სალაშქროდ. დანიშნეს ადგილი, სადაც უნდა შეყრილიყო ლაშქარი. გაგზავნეს რამდენიმე კაცი მეფესთან შილდაში.

შუაღამე იყო, როდესაც თუშების დესპანი მივიდა მეფის სასახლესთან. კარის დარაჯს სთხოვეს, მეფე გაეღვიძებინათ. მეფემ მიიღო დესპანი. თუშებმა აუხსნეს ლევანს თავიანთი გულის წადილი. მეფე ყოყმანობდა და გაიძახოდა: რა ვქნა, მტერი დიდია, ვერა ვძლევთ: განრისხებული თათარი ამობუგავს კახეთს, ქვას ქვაზე აღარ დატოვებს, ხალხი ამოწყდება, მეფე ვარ და დიდ ცოდვაში ჩავდგებიო.

— არა, მეფევ, — უთხრეს თუშებმა, — ცოდვა ჩვენს კისერზე იყოს და ჩვენს ხმალზე, თუ ვერ გავიმარჯვებთ. ჩვენ ვერ ავიტანთ ამ სირცხვილს, ან სულ ამოვწყდებით შენი ერთგული ყმები, ან ალვანის მინდორს მტრის სისხლით შევღებავთო... ისინი ვერ გვაჯობებენ, მხოლოდ შენ გვიწინამძღვრე და თუშ-ხევსურებმა ვიცით, როგორ მოვუღოთ ბოლო ალვანის თათრებსო.

მეფე დათანხმდა. მას სოფლებში მდგარი თათრები უნდა გაეწყვიტა ღამით, თუშ-ფშავ-ხევსურებს კი ბახტრიონის და ალავერდის ციხეები აეღოთ.

დანიშნულ დროზე ნაქერალის მთაზე შეიკრიბა თუშ-ფშავ-ხევსურების ლაშქარი. ცხენები უკუღმა დაჭედეს, რომ თათრებისათვის კვალი აერიათ. ლაშქარი შუაზე გაიყო. ერთი ნაწილი წამოვიდა პანკისზე ბახტრიონის ასაღებად და მეორე — ალავერდის ასაღებად. პანკისს იდგა თათრის დარაჯი. დარაჯმა შენიშნა მხედრების კვალი, რომელიც მთისაკენ ხევ-ხევ მიდოდა. გაჰყვნენ კვალს. ამ დროს ლაშქარი — ბახტრიონის ახლო-მახლო ტყეებში დამალული — ელოდა დილის რიჟრაჟს.

აჰა, დაჰკრა დანიშნულმა ჟამმა. დაიძრა ლაშქარი ციხისაკენ.

გზადაგზა თუშთა ბელადმა ზეზვა გაფრინდაულმა გაძოთალა რამ-ღენიმე პალო და ჩოხის კალთაში გამოიხვია.

მივიდნენ ციხესთან. თათრების დარაჯებს დასძინებოდათ. ზეზვა გაფრინდაულმა ჩაასო კედელში პალო. შედგა ფეხი, ჩაასო მეორე, შედგა მეორე ფეხი, ჩაასო მესამე, მეოთხე და ავიდა ციხის კედელზე. კედლიდან გადახტა შიგნით, ამოხოცა დარაჯები. გააღო კარები და ლაშქარი შეუშვა. გააფთრებული, შურისძიებით აღგზნებული თუშ-ფშავ-ხევსურნი ეკვეთნენ თათრებს. დადგა ნამდვილი ღვთის რისხვა თათრის თავს. მძინარე თათრები ისე აირივნენ, რომ ვეღარ არჩევდნენ, ვინ იყო მტერი და ვინ არა. გულგახეთქილნი მხოლოდ იმასღა ცდილობდნენ, როგორმე დაეღწიათ თავი განრისხებული მთიელებისაგან. თათრებმა თავი მიანებეს ბახტრიონის ციხეს და ალავერდისაკენ გაიქცნენ. თუშ-ფშავ-ხევსურები მისდევდნენ და ხოცავდნენ. ალავერდის ციხეც აეღოთ ქართველებს და გადარჩენილი თათრები ბახტრიონისაკენ მორბოდნენ. ორივე ციხიდან გაქცეული თათრები შეიყარნენ ალვანის მინდორში და შუაში მოემწყვდნენ. აქ შეიქნა მტრის უღვთო, უწყალო ჟლეტა.

იმოდენა ეხოცათ თათრები, სანამდის ერთი თათრის გვამი ყირამალა არ დამდგარიყო მკვდრების გროვაში. მაშინ ზეზვას შეეჩერებინა მტრის ხოცვა, რადგანაც გვამის ყირამალა დადგომა ცოდვად მიაჩნდათ. იმ ალაგას, სადაც თათრები ამოწყვიტეს, თუშები ახლაც გაწყვეტილას ეძახიან.

...თათრები, რომლებიც სოფელ ახტალაში ცხოვრობენ, მაშინ დარჩენილნი არიან.

მეფე ლევანს თუშებისთვის მიუცია ალვანი, ბახტრიონიდან ტახტის ბაგირამდი, ფშავ-ხევსურეთისათვის კი — მათივე თანხმობით — ნადავლი.

ზეზვაის ცხენის საფლავი

ბახტრიონის აღების შემდეგ მეფეს თუშებისა და ფშავლების დასაჩუქრება განუზრახავს. ფშავლებს შირაქი რგებიათ, თუშებს კი ზეზვაის პირით განუცხადებიათ, რომ ჩვენი ის ადგილი იყოს, რასაც ზეზვაის ცხენი ერთი შემორბენით შემოურბენსო. ცხენს დიდი განი აუღია, დაღლილა და მომკვდარა. დიდი ამბით დაუსაფლავებიათ და მას აქეთ ხალხი ამ ცხენის საფლავს პატივსა სცემს.

ვისაც უნდა, რომ ცხენი შერჩეს და ცხენებში ბედი ჰქონდეს, ის ზეზვაის ცხენის საფლავზე საღვთოს იხდის დღესაც. განსაკუთრებით თუშები, ფშავლები და ხევსურები ამ საფლავს ისე არ ჩაუვლიან, რომ არ ჩამოხდნენ და შესანდობარი არ დალიონ ცხენისა და იმის პატრონის, გმირი ზეზვასი.

მოხერხეგული დედაგერი

ეს ამბავი მოხდა გლოლის მთაზე, სადაც პირუტყვის სადგომები იყო. სადგომში საქონელი ბლომად ჰყავდათ. ერთ ღამეს, როცა შინ მარტოდ დარჩენილი დედაბერი და მოხუცი გიგო იყვნენ, სადგომს თავს დაესხა მტერი. მათ მისვლისთანავე დაიწყეს ძარცვა, გაწყვიტეს საქონელი. დედაბერმა თავი ისე მოაჩვენა მომხდურებს, ვითომ გაუხარდა კიდეც მათი მოსვლა, თან ასე უთხრა: სტუმარი ღვთისაა, დედაშვილობამ, ნუ შეგვირცხვენთ პურ-მარილს, დაგვეწვიეთო.

დედაბერმა დაუპატიჟებელი სტუმრები სუფრასთან მიიწვია და არყით გაუმასპინძლდა. ესიამოვნათ არაყი. სახლში დედაბრისა და ერთი მოხუცი მამაკაცის მეტი რომ ვერავინ დაიგულეს, გათამამდნენ, დაიწყეს არყის სმა, დაატრიალეს ახლად დაკლული ღორის მწვადები და გახალისდნენ. ცოტა რომ შეთვრნენ, დედაბერმა დრო იხელთა, ჭიანური ჩამოიღო და გიგოს გასაგონად დაამღერა:

გიგოჩემო, რეგვენო,
გეყურება თუ არაო,
იქით წადი მალვითაო,
აქეთ მოდი მრავლითაო.

გიგო მიხვდა დედაბრის გულის წადილს. გარეთ მოახერხა გასვლა, წელზე ხმალი შეიბა და სოფლისაკენ გაეშურა მაშველის მოსაყვანად. შეშინებულმა გიგომ სირბილით ჩაიარა მთის გზა. სოფელს რომ მიუახლოვდა, წყაროსთან ჩამოჯდა და დაისვენა, მერე მოწყურებულმა წყაროს წყალი დალია.

უცებ შიშისა და დაღლილობისაგან ენა ჩაუვარდა, დაბლუვდა. მას შემდეგ ამ წყაროს „ბლუას წყაროს“ ეძახიან. შუა ღამე გადასული იქნებოდა, ძმის სახლს რომ მიადგა. ყველას ეძინა, რა ექნა.

გიგოს, ხმას ვერ იღებდა, როგორ შეეტყობინებინა ძმისთვის თავისი გასაჭირი. ბოლოს გიგომ მოიფიქრა, ხმალი მოიხსნა და სახლის კვებოში[1] ჩააგდო. ძმამ გაიგონა ხმაური, გაიღვიძა, წამოდგა და იცნო ძმის ხმალი. იფიქრა, ალბათ უჭირს რამეო, და სასწრაფოდ გარეთ გამოვარდა.

მთელი ოჯახი ფეხზე დადგა, ვერაფერი გაიგეს ენაჩავარდნილი გიგოსაგან. ბევრი უალერსეს, დაამშვიდეს და როგორც იქნა, ხმა ამოაღებინეს, მერე ჰკითხეს:

— რა ჰქენი, ბეჩავო, რა გიჭირთო, რამ მოგიყვანა ამ შუაღამისასო?

გიგომ უთხრა:

— მტერი დაგვესხა თავს და გვაწიოკებენო, არიქა გვიშველეთო!

გიგოს ძმამ სოფლის თავკაცებს შეატყობინა ამბავი, საჩქაროდ შეარჩიეს სოფელში ლევანდო[2] ბიჭები, შეიარაღეს და გაუშვეს მთაში.

იმ დროს, როცა გიგო სოფელში იყო, დედაბერს მტერი უგრძნობლად დაეთრო და დაეძინებია. საქონელი გარეთ გაუყვანია, თუ რამ სანოვაგე და ავეჯი ჰქონდათ, გარეთ გაუტანია, მერე სადგომისათვის ცეცხლი წაუკიდებია და შიგ გამომწყვდეულები გამოუწვავს. როდესაც გიგო თავისი ლევანდო ბიჭებით მთაში ავიდა, მათ იქ მტრის ფერფლიღა დახვდათ.

თევდორე მღვდელი

კახეთში ცხოვრობდა თურმე ერთი მღვდელი, სახელად თევდორე. ეს ის დრო იყო, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს გამუდმებით აოხრებდნენ თათრები და ლეკები.

ერთ დღეს ლეკების ჯარი წამოსულა გრემის ციხის ასაკლებად. გზაში დაუჭერიათ თევდორე მღვდელი, ლეკების უფროსს უთქვამს: გრემის ციხესთან მოკლე გზით მიმიყვანე და უხვად დაგასაჩუქრებო, თუ არადა, თავს მოგკვეთო.

---

[1] საკვამი, სარკმელი.

[2] უცოლო.

მღვდელი თევდორე დასთანხმებია. იქვე ერთი სოფლელი გლეხი დაუნახავს და ჩუმად გადაულაპარაკებია რაღაც. ის გლეხი გრემის ციხეში გაქცეულა, თევდორეს კი ლეკების ჯარი ალაზნის პირად, დაბურული ტყეებისაკენ წაუყვანია. მთელი დღე უტარებია ლეკები ამ ტყეში. ლეკების უფროსი მიმხვდარა, მეგზური გვატყუებსო, აუღია და ერთ ადგილას ჯვარი დაუსვამს გზაზე. თევდორეს ეს ვერ შეუნიშნავს და ერთი ორი საათის შემდეგ ლეკების ჯარი იმავ ადგილას მიუყვანია. ლეკებს დაუნთიათ დიდი კოცონი და თევდორე მღვდელი დაუწვავთ.

ამასობაში გლეხი, რომელიც თევდორემ შიკრიკად გაგზავნა, თურმე გრემში მივიდა. ქართველი ჯარი ლეკებს მზად დახვდა და კარზე მოსული მტერი ამოჟლიტა. იმ ადგილას კი, სადაც თევდორე დაწვეს, თევდორეს სახელობის საყდარი ააშენეს.

შალიკი სულთანიშვილი

კარგი მონადირე და მოწიფული კაცი ყოფილა რაჭველი შალიკი სულთანიშვილი. მოვიდა ერთხელ სანადიროდან და არავინ დახვდა შინ დედის მეტი. სოფლის ქალები თურმე ოსებს გაეტაცნათ. მთელი სოფელი ყაჩაღებს გაჰკიდებოდა.

ეკითხება დედას შალიკი:

— რა ამბავია, რომ სოფელში არავინ ჩანსო?

— არაფერია, შვილო, ზოგი სანადიროდ არის, ზოგი სათიბშიო.

არ დაუჯერა შალიკიმ და ბოლოს დედამ უთხრა:

— შვილო, წუხელღამ ოსებმა დაიტაცეს ქალები. იმათ გაეკიდა მთელი ხალხი მთებში. ახლა შენ იმათ რაღას დაეწევი, დიგორს იქნებიან გასულიო!

გავარდა სახლიდან შალიკი... საკრავიას მთა არის ერთი მაღალი და გადასულან იმ მთით დიგორლები.

— მოვიხედოთო, — ერთმა დიგორელმა თქვა, — ხო არავინ მოგვდევსო!

მეორემ თქვა:

— ვინ გადმოვაო ამ მთებზე ახლა, სულთანიშვილი შალიკი კი არ დაგვეცეს თავზეო!

ამ დროს ქარბუქივით დაეცათ ამ ოსებს თავს შალიკი, ქალები წაართვა, ოსებიც ტყვედ წამოასხა და ისე გამობრუნდა შინ.

სულთანიშვილი შალიკი
არწივსა ჰგავდა მთისასა,
ჩამოგვეწია კირტიშოს,[1]
ქარბუქს გვაყრიდა მთისასა.

გადაღმა ჰყოლია ქალი ნათხოვი. გადმოსულა ამბავი, ვაჟი ეყოლა მის ცოლს დედულეთშიო.

წასულა ეს სულთანიშვილი და გადასავალზე ყაჩაღები დახვედრიან. ამოუღია სულთანიშვილს ულვაშის ბეწვი და შეუფიცავს: თუ გწამთ ჩემი ულვაში და მენდობით, ხვალ აქ ვიქნებიო.

ენდნენ და გაუშვეს.

წავიდა, ცოლ-შვილი ნახა. აუტყდნენ თურმე ცოლეურნი:

— რას იჩუქებიო?

— ზიმლის ლეკური ხმალი რომ გაქვთ, ის მაჩუქეთო.

წამოიღო ის ხმალი.

მეორე დღეს წამოიყვანა ცოლ-შვილი. გზაზე თოვლი იყო. მთაზე დატოვა თურმე ცოლი, ბიჭუნაც იმას მოჰკიდა ზურგზე: ნელა იარე, გზას გავიკვლევ და მოვბრუნდები, მოგეხმარებიო.

თვითონ მივიდა ავაზაკებთან და დაჰკივლა თურმე:

— გმირნო, ადექით გმირულად,
გმირულად დაემზადენითო,
ცხრანი თქვენ წახვალთ სამარეს,
ერთი მე გაგეგზავნებითო.

თქვენც მოგკლავთ და მეც მოვკვდებიო.

გამოერია თურმე, რვა მოკლა, მეცხრე კი წინ გამოიმძღვარა და ისე დაბრუნდა თავის სოფელში. ის კაცი სამი წელიწადი ჰყავდა, მერე შეუკერა ახალი ტანსაცმელი და გაუშვა: საცა თქვენი დაიქადნოთ, იქ ჩვენიცა თქვითო.

ლ ა წ უ ნ დ ა რ ა

მურის ხიდთან, ცხენისწყლის მარჯვნივ, სალ კლდეზე, არის ძველი ნაციხარი. ახლა ციხის კედლები დანგრეულია. მარტო საძირკვლებია დარჩენილი.

---

1 მთის სახელწოდება.

წინათ ამ სიმაგრეს რაგვის ციხე ერქვა.

ერთ დროს რაგვის ციხეს კაცო განაგებდა. ის იცავდა ცაგერის გზას, მურის ციხის მისადგომებს. ყველაზე უწინ მტერს აქ შენიშნავდნენ და ომს გაუმართავდნენ.

კაცო მტრის თავდასხმას მურს აცნობებდა, მურის ციხე ღვთისავარს ებარა.

ღვთისავარი გმირი იყო. თვალტანადობით მას ვერავინ შეედრებოდა, დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მისი ჯარი საომრად მუდამ მზად იყო.

კაცოს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი დარა. სილამაზით განთქმულ დარას მამა ფრთხილად ინახავდა. ქალს ვერავინ ნახულობდა.

ღვთისავარს მოსწონდა დარა. მის გულს დარას სიყვარულის ცეცხლი სწვავდა.

ქალის ნახვა და მისთვის საიდუმლოს განდობა არ შეეძლო, თავის გულისთქმას კაცოსაც ვერ უმხელდა.

კაცოს სიძედ დიდი გვარიშვილი უნდოდა. ღვთისავარი კი გლეხი იყო. ეს იცოდა ღვთისავარმა და იტანჯებოდა.

ერთ ზაფხულს ხმა გავრცელდა: თათარმა ომი გამოგვიცხადაო.

ვისაც ბრძოლა შეეძლო, იარაღი აისხა.

მტერი მოადგა ქუთაისს. იმერლები თათრებს შეებნენ და მამულს ბევრი შეეწირა მსხვერპლად.

თათრები რიონისა და ლაჯანურის ხეობებით ლეჩხუმში შემოვიდნენ. შეიქნა ხოცვა-ჟლეტა

მტრის ჯარს წინ სისხლისმსმელი სელიმ ფაშა მოუძღოდა.

მიუახლოვდნენ ორბელის ციხეს. აქ ლეჩხუმის ჯარი იდგა. სამი დღე-ღამე იბრძოლეს. მტერმა ციხე დაიკავა.

თათრებმა მურის ციხის აღება ერთი კვირით გადადეს.

ფაშამ მისწერა წიგნი კაცოს: გავიგე, ლამაზი ქალიშვილი გყავს. თუ გინდა, რომ არ გაიჟლიტოს შენი ხალხი, მომეცი ცოლად, უარის თქმა არ გაბედო, თორემ ვერავინ დაგიხსნისო.

კაცომ წიგნი წაიკითხა. ბევრი იფიქრა. დაიბარა ღვთისავარი და უთხრა:

— რას მირჩევ, როგორ მოვიქცეთო?

ღვთისავარს ცეცხლი შემოენთო. ბოლოს თქვა:

— დარას ვკითხოთო.

მამამ მოიხმო დარა და უთხრა:

— შენს თავს მთხოვს სელიმ ფაშა და გვპირდება აღარ ავიკლებთო.

ღვთისავარი შიშმა აიტანა: დარა გათხოვებაზე არ დათანხმდესო.

დარამ შეხედა ღვთისავარს და მამას მიუბრუნდა:

— შეუთვალე, მარტო მოვიდეს, გვანახოს თავი, თუ მომეწონა, გავყვებიო.

— რომ არ მოგეწონოს, რაღა ვიღონოთო? — ჰკითხა კაცომ

— ის ხომ მცირე ჯარით მოვა, თუ უარი ვთქვი და იწყინა, რას დაგვაკლებს, ღვთისავარი აქ არა გვყავსო?

ღვთისავარი დამშვიდდა, იმედი მიეცა.

კაცომ უთხრა ღვთისავარს:

— ვიცი, დარა უარს იტყვის, ფაშა განრისხდება, ომი მოგველის, ხვალისათვის მოემზადეო!..

ღვთისავარმა მურის ციხის გალავანში ჯარი დააყენა. თან სვანებიც ჰყავდა. ყველა მეომარი ვაჟკაცი იყო და გამოცდილი.

ღვთისავარმა ერთი სვანი გაგზავნა კაცოსთან. დარა თუ უარს იტყვის, მაცნობეო.

სვანმა დაუბარა ღვთისავარს: ციხიდან სვანურად დავიძახებ, აქ ჩვენები გაიგონებენ და აგიხსნიანო.

მეორე დღეს სელიმ ფაშა მობრძანდა. ტანად მაღალი იყო. სახით შავ ნადირს ჰგავდა.

ორმოცი კაცი ახლდა. ყველა შავი და წვერშეღებილი, თეთრი კბილები მოუჩანდათ, თავზე ჩალმები ეხურათ.

დარბაზში შევიდნენ და მოისვენეს. დარას ნახვამ ფაშა გაახარა, მოეწონა და აღტაცებულმა წამოიძახა:

— მე თქვენს მხარეს აღარ ვებრძვიო!

დარამ უთხრა:

— ვერ გამოგყვები, სახე ეშმაკს გიგავს, ქაჯივით შემოსილხარ და გულს არ გამოიცვლიო.

სვანმა მოისმინა ყველაფერი, რასაც დარა ამბობდა და მაღალი ხმით გადასძახა მურის ციხეს: ლაწუნდარაო!

სვანებმა რომ გაიგონეს, ღვთისავარს გადაუთარგმნეს: დარამ ფაშა დაიწუნაო.

ღვთისავარმა თავისი ჯარი რაგვის ციხისკენ წაიყვანა.

ამ დროს ფაშა გამოვიდა. თან მხლებლებიც მიჰყვებოდნენ. ბანაკისაკენ გასწიეს. ჯარის სიმცირის გამო ომი არ შეეძლოთ.

ცხენისწყლის ნაპირზე ფაშას წინ შემოხვდა ღვთისავარი. მტერს გარს შემოერტყნენ და სისხლის ღვარი დააყენეს.

ღვთისავარმა ფაშა მოკლა.

თათრებმა გაიგეს ფაშას სიკვდილი, მიატოვეს ორბელის ციხე და გაიქცნენ.

ბრძოლა დამთავრდა. კაცომ ღვთისავარს გამარჯვება მიულოცა და ცოლად თავისი დარა გაატანა.

ნაციხარს დღესაც ლაწუნდარა ეწოდება.

მურის ციხე

ხვამლის მთიდან შორს, ჩრდილოეთისაკენ რომ გაიხედავთ, მურის ციხე მოჩანს.

ცაგერის კლდოვან მწვერვალზე ამართული სამი კოშკი ცხენისწყლის ხეობას გადაჰყურებს.

მურის ციხე დიდი ხნის წინათ არის აშენებული. იგი პირველად ეკუთვნოდა შვიდ ძმა ჩარკვიანს, რომლებიც ქვემო სვანეთს ფლობდნენ.

კაცია ჩიქვანს მათი გაძლიერების ეშინოდა. გორდის სასახლეში მიიპატიჟა ისინი და ღალატით დახოცა.

კაცია ბოლოს გადადიანდა და სამეგრელოს გარდა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთსაც განაგებდა.

საქართველოს დაუძინებელი მტერი — ოსმალეთი ხშირად თავს ეხმოდა ამ ციხესაც, მაგრამ ვერ იმარჯვებდა.

ერთხელ ოსმალეთის ჯარმა ქართლიდან რაჭა-ლეჩხუმზე გამოილაშქრა, მოადგა ლაილაშს, აიღო იგი, სოფელ უსახელოზე გადმოიარა და დეხვირის ციხესთან ომი გამართა.

ბრძოლა გაგრძელდა. ოსმალებმა დეხვირის ციხე დაიკავეს და მურის ციხის აღებაც მოინდომეს.

ჯარი ღამით მურის ახლოს, ჩხუტელში, ლეკუნდრუშას დაბინავდა, რომ დილით ადრე დასცემოდა ციხეს.

მეციხოვნეებმა თათრების მიერ დანთებული ცეცხლი შეამჩნიეს, მიხვდნენ, რომ ეს სასიკეთო რამეს არ ნიშნავდა. ზარბაზნები დიტენეს, ცეცხლს დაუმიზნეს და დაცალეს.

ძვომრებს კაკლის ხეებქვეშ ეძინათ. ზარბაზნებისაგან დამტვრეულმა ტოტებმა დიდი ზარალი მიაყენა თათრებს. ჯარი ომარ ფაშას ძინახევროდ გაუწყდა. გადარჩენილნი გაიპარნენ.

მალე ისევ დაბრუნდნენ თათრები, მაგრამ მურის ციხის დაპყ-

რობა ვერც ახლა შეძლეს. მაშინ გადაწყვიტეს: გზა შევუკრათ მეციხოვნეებს, საჭმელი დაელევათ და თავისთავად დაგვნებდებიანო.

მეციხოვნეებს ციხეში კირი ჰქონდათ და მაღლიდან ყოველდღე ძირს თითო-ოროლა კასრს ყრიდნენ.

თათრებმა იფიქრეს: იმდენი ფქვილი შეუნახავთ, რომ უფუჭდებათ და ყრიანო.

ამასობაში ზამთარიც მოახლოვდა. მალე მურის დაბლობი, სადაც ურიცხვი ჯარი იდგა, დაცარიელდა. მტრები უკან გაბრუნდნენ. დარჩა მურის ციხე აუღებელი.

ცხრაწყარო

დიდი ლეკიანობა ყოფილა იმ ადგილას, სადაც ახლა ცხრაწყარო გამოდის. თურმე იქ კარგი შეძლებული ქართველი ოჯახიშვილი ცხოვრობდა. ცხრა ვაჟიშვილი ჰყოლია. ცხრავე დავაჟკაცებულა.

ერთხელ ხეობას მტერი შემოსევია. ამ ოჯახიდან ცხრა ძმანივე გასულა მტრის დასახვედრად. ბრძოლაში ცხრავე დახოცილა. ცხრა საკაცით მოსვლია ამ საწყალ დედაკაცს თავისი ვაჟიშვილები და ცხრავე იმ ფერდობზე დაუმარხავს. მერე ჩამოუვლია და სათითაოდ დაუტირებია.

საცა დედის ცრემლი დაეცა, ყველა იმ ადგილიდან წყარო დის და ამიტომ დაერქვა თურმე ცხრაწყარო.

აგუდელაურის ტგა

ჯალეთის ხელმწიფეს ხევსურეთი ვერ გაუტეხია, საქართველოს ბარი კი სულ აუმტუტებია. ბოლოს თავისი სარდლისათვის უბრძანებია ხევსურეთის დალაშქვრა.

თათრის ლაშქარში ერთი ახალგაზრდა რეულა. ლაშქრად წასვლის წინ დედამისს უთქვამს ვაჟისთვის:

— ომში მიხვალ, გთხოვ სამი სიტყვა დაიმახსოვრო ჩემი დანაბარები: პირველი — გახსოვდეს, რომ თათარი არა ხარ, მეორე —

საქართველოში რომ მიხვალ, კარგად დაუგდე ყური ყოველივეს, რასაც გაიგონებ, იქნებ რაიმე მოგაგონდეს და მესამე — გზაში მუდამ თეთრტაიჭოსან მხედარს მიაყოლე შენი ცხენიო.

წამოსულა ლაშქარი, ხევსურეთში დილით შემოსვლა ვერ გაუბედავთ: ხევსურნი ავნი არიან და დაგვაზარალებენო.

ათენგობა ღამეს გადაუწყვეტიათ ხევსურეთის გატეხვა: ხალხი ჯვარში იქნება და წინააღმდეგობის გამწევი არავინ იქნებაო. ღამეც ბნელი დასდგომიათ, წვიმიან-ნისლიანი.

ახალგაზრდას დედის სიტყვა ახსოვდა და თეთრცხენიან მხედარს გაედევნა უკან. მიდიოდა ლაშქარი, არავინ იცოდა სად... უცბად ახალგაზრდას თეთრცხენიანი მხედარი თვალთაგან მოეფარა. დაეყენა ცხენი და დაქვეითდა. რომ გასინათლდა, დაინახა, რომ ტბაზე არის მიმდგარი. სიბნელეში მთელი ჯალეთის ლაშქარი ტბაში ჩაცვენილა. მაშინ მოაგონდა დედის ნათქვამი. ცოტა ხანიც რომ გავიდა, ზარის ხმა მოესმა... მოაგონდა, რომ ყმაწვილობაში ის ხმაც გაგონილი ჰქონდა. გაბედა და წავიდა იქით, საიდანაც ზარის ხმა მოესმა.

მისულა იქ, ჯვარში. უთქვამს ხალხისათვის, რაც თავს გადახდა. უკითხავთ მერე უფროსებს: როგორი ქალია დედაშენი, მარცხენა ლოყაზე ხალი ხომ არა აქვსო?

— აქვს ხალიო, — უთქვამს იმ ახალგაზრდას.

— ახლავე ტანსაცმელი გამოიცვალე და ჩვენ ჯარზე დაჯექიო, — უთქვამთ უფროსებს, — შენ ტყვედ წაყვანილი ქალის შვილი ყოფილხარო.

მზეთუნახავი და ოქროს მამალი

ძველად, საინგილოში ცხოვრობდა ერთი სახელოვანი ვაჟკაცი. მთელ დუნიაზე ქება-დიდებით იხსენიებდნენ. ვერავინ ჯობნიდა ვერც ნადირობაში, ვერც ჭიდაობაში და ვერც სხვა რაიმე სავაჟკაცო საქმეში. ამის გამო ხალხმა მას ასლან — ლომი შეარქვა.

მოადგებოდა თუ არა მტრის ჯარი ქურმუხის ვიწრო ხეობას, ასლანი იმწამსვე გაჩნდებოდა თავისი რაზმით და დააწიოკებდა.

ვინ მოთვლის რამდენჯერ გადაურჩენია ასლანს თავისი მიწა-წყალი განადგურებისაგან.

ამიტომ მტერს ასლანის ჯავრი სჭირდა და შემთხვევას ეძებდა ძის მოსასპობად.

ასლანიც, რა თქმა უნდა, ფხიზლად იყო. დადიოდა ტყე-ღრეში, თუ ეძინა შინ, მუდამ იარაღში იყო ჩამჯდარი.

სულით ხორცამდე არაფერი გააჩნდა ასლანს გარდა ერთი კოშკისა. იგი არ ხნავდა, არ თესავდა. ომის დროს მტრის ნადავლით ირჩენდა თავს, მშვიდობისას კი — ნადირობით.

მაგრამ ასლანს უმდიდრეს კაცად მიაჩნდა თავი, რაკი მზეთუნახავი ასული ჰყავდა. მტერს რომ არ მისვლოდა მისი სილამაზის ამბავი და არ მოეტაცა, იგი მთელ დღეს კოშკში ჰყავდა ჩაკეტილი. ხოლო როცა დაღამდებოდა, კოშკის კარი იღებოდა, მზეთუნახავი გარეთ გამოდიოდა, მთვარის შუქზე გაიშლიდა დალალებს და იწყებდა თმის ვარცხნას.

მზეთუნახავს ერთი მამალი ჰყავდა. ამ მამალს ბიბილო, ნისკარტი, კუდი და დეზები ოქროსი ჰქონდა. იგი მთელი დღე-ღამის ვანშავლობაში თვლემდა, მაგრამ, მტერი რომ მოუახლოვდებოდა საზღვარს, მამალი იღვიძებდა, მოჰყვებოდა ყივილს, მას მიბაძავდნენ სხვა მამლებიცა და აყივლდებოდნენ. ამ ხმაურზე ხალხი გროვდებოდა და მიდიოდა მტრის დასახვედრად.

მზეთუნახავს გამოჰყავდა ეს მამალი და სანამ იგი თმებს ივარცხნიდა მთვარის შუქზე, მამალი მის მხარზე შემომჯდარი თვლემდა.

ერთხელ ხალხს ღრეობა ჰქონდა. ქეიფის შემდეგ ღრმა ძილით დაეძინათ, მამლის ყივილი ვერ გაიგეს, მტრის ჯარი ადვილად გამოსცდა საზღვარს და ქვეყანა ააოხრა. ასლანმაც ვერაფერი გააკეთა. მას მკვდარივით ჩასძინებოდა თავისი კოშკის ზღურბლზე. მტრის ჯარისკაცებმა მიაგნეს და თავი მოჰკვეთეს მძინარეს. კოშკი გატეხეს და შიგ შეავიდნენ. კოშკში ბინდბუნდი იდგა. მაგრამ მზეთუნახავის სახე სხივებს აფრქვევდა და იქაურობას ანათებდა.

განცვიფრებული მეომრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა არის ეს, მოჩვენება თუ სიზმარია!

ბოლოს დარწმუნდნენ, რომ იგი ადამიანი იყო და გადაწყვიტეს, მზეთუნახავს ტყვედ წავიყვანთ, ჩვენს მეფეს მივუყვანთო საჩუქრად. ქალმა ასე მოახსენა მეომრებს:

— ვიცი, ჩემი უცხო ქვეყანაში წაყვანა გსურთ, ჩემთვის კარგი განგიზრახავთ, ბევრ ჩემ ტოლ ქალს შეშურდება ჩემი ბედნიერება, მაგრამ სანამ ამას შეასრულებდეთ, ერთი სათხოვარი მაქვს: დიდი ხანია აღთქმა მივეცი ქურმუხის წმინდა გიორგის, რომ მამალი ზვარაკად შემეწირა მისთვის, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვახერხე. ამ ბოლო დროს მამალი დასნეულდა. დღე და ღამე თვლემს. ყეღარც ყივის. ვიდრე მოკვდებოდეს და მისი დარდი გულში ხინჯად ჩამრ-

ჩებოდეს, მინდა ეს აღთქმა შევასრულო და შემდეგ დამშვიდებულმა დავტოვო ჩემი ქვეყნის მიწა-წყალი. ამიტომ გთხოვთ, მომცეთ სულ ცოტა დრო, სანამ ამ მამალს ქურმუხის წმინდა გიორგის საყდარზე ავიყვანდე და უკან დავბრუნდებოდეო.

მეომრებმა ერთმანეთს შეხედეს, ითათბირეს და დასტური მისცეს.

მზეთუნახავმა აიყვანა მამალი, გამოიხვია კალთაში და ქურმუხის წმინდა გიორგის საყდრის ვიწრო ბილიკს შეუყვა.

მიაღწია ქურმუხის წმინდა გიორგის საყდარს. მიიხედ-მოიხედა. ირავინ იყო, მზეთუნახავმა მღვიმეს შეავლო თვალი.

— ნეტავ ახლა ეს მღვიმე გაიხსნას და თან ჩამიტანოსო,—ინატრა მან და ის იყო მამალი უნდა გაეფრინა და თვითონ კლდიდან გადაშვებულიყო, რომ ქურმუხის წმინდა გიორგის საყდრის ქვეშ მღვიმე გაიხსნა. მზეთუნახავი და მისი ოქროს მამალი შიგ შეიმალნენ და მღვიმის კარებიც მაშინვე მიიხურა.

მეომრები ქვევით უცდიდნენ მზეთუნახავს. უჩუმრად გამოჰყოლოდნენ თურმე ფეხდაფეხ. დიდხანს უცადეს, ბევრი ეძებეს, ვაგრამ ვერსად აღმოაჩინეს. შემდეგ მიანგრ-მოანგრიეს ქურმუხის წმინდა გიორგის საყდარი და განრისხებულები დაბრუნდნენ უკან.

— თუ ჩვენ გადავურჩით მტრის ურდოებს და დღემდე მოვიტანეთ ჩვენი ერის სიწმინდე, ეს იმ მზეთუნახავი ქალის წყალობით ერისო, — ამბობენ საინგილოში და თან დასძენენ: — დღესაც შუაღამე რომ გახდება, მღვიმის კარები იღება, ოქროს მამალი გამოფრინდება და ყივილს იწყებსო. მთელი საინგილოს მამლები აჰყვებიან ოქროს მამალს და აყივლდებიან, ხოლო მზეთუნახავი ამ დროს ქვის დიდ ლოდზე ზის და მთვარის შუქზე თავის ოქროს დალალებს ივარცხნისო.

მ ე ჯ ლ ი ს ი

ერეკლე მეფემ ომში გამარჯვების შემდეგ, რომელშიაც იმერეთის მეფეც დაეხმარა, დიდი მეჯლისი გადაიხადა და ჰკითხა სოლომონ ლეონიძეს: როგორ მოგწონს დღევანდელი ჩემი მეჯლისიო.

სოლომონმა, რომელიც ერეკლეს შვილებს ვერ ხედავდა ბაძის ღირსეულ შვილებად და საქართველოსათვის საიმედოდ, მოახსენა: ვერაფრად, მეფევ, რადგან ეს მეჯლისი მამათქვენს ეკუთვნის და არა თქვენი. თქვენი მაშინ იქნება, როდესაც თქვენი შვილები გადაიხდიან ამისთანა მეჯლისსაო!

რომ გაგედოს?

როდესაც აღა-მაჰმად-ხანი გამოელაშქრა საქართველოს ასაოხრებლად და ამ ამბავმა მოაწია თბილისამდე, ერეკლე მეფემ შეყარა დიდკაცობა და ჰკითხა: რა ვიღონოთო?

ყველა დიდებულმა ერთი და იგივე მოახსენა, ვერ გაბედავს მოსვლას, ტყუილი ხმები იქნებაო.

ერეკლე მიუბრუნდა სოლომონ ლეონიძეს: შენ რას იტყვი, მსაჯულო, შენს აზრს რატომ არ გვეტყვიო?

სოლომონმა უპასუხა: ყველა მოგახსენებთ, ვერ გაბედავს მოსვლასო, მაგრამ რომ გაბედოს და მოვიდეს, როგორ უნდა დავუდგეთო?

— ჰოო... რომ გაბედოსო! — წამოიძახა ყველამ ერთხმად და მტრის დასახვედრად თადარიგი დაიჭირეს.

თქმულება სამას არაგველზე

ეს მოხდა იმ დროს, როცა ქართლში მეფობდა ერეკლე. სპარსეთის ხელმწიფემ მოსთხოვა მას, ეცნო ის მეფეთა მეფედ და ხარკი ეძლია. მეფე ერეკლემ ცივი უარი შეუთვალა. სპარსეთის ხელმწიფემ შეკრიბა დიდძალი ჯარი და სასწრაფოდ მოადგა თბილისს. ძეფე ერეკლემ მხოლოდ მცირეოდენი ჯარის მოგროვება ეთაასწრო. სპარსელები ერთი ოცად მეტნი იყვნენ ქართველებზე.

ქართველთა ჯარში ერია ერთი რაზმი, რომელიც შედგებოდა სამასი ფშავ-ხევსურისაგან.

ომის დაწყების წინ ამ რაზმის მეომართ შეჰფიცეს ერთმანეთს: თუ ბედმა გვიღალატა და ვერ დავძლიეთ მტრის ძალა, შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენგანი ცოცხალი თავით შინ დაბრუნდესო; ან გამარჯვება მტერზე, ან სიკვდილი ბრძოლის ველზეო.

ეს ვაქკაცური ფიცი ვაქკაცურადვე შეასრულეს. როცა რიცხვით მრავალმა სპარსელებმა სძლიეს ქართველთ ჯარს, არც ერთმა ქართველმა მტერს ზურგი არ უჩვენა, არც ერთი არ შეუშინდა სიკვდილს. ყველანი ებრძოდნენ მტერს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. თავისი გმირული სული ყველამ ბრძოლის ველზე დალია, თბილისის

ქვემოთ, კრწანისის ველზე. ასეთ გმირობაზე მღერის ხალხური ლექსი:

ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შავის ტყისასა.
ვინც დახვდა, იგივ დახვდება გულდაგულ რაზმსა
მტრისასა!

მეფე ერეკლე და მთიელები

მეფე ერეკლე ხევსურებს ხშირად იბარებდა თურმე საომრად. ერთხელ საქართველოსათვის თათარს გამოუცხადებია ომი. დაუბარებია თათრის ხელმწიფეს ერეკლესათვის: ან მომეც შენი ციხე-ქალაქნი თბილისისანი, ან შავ დღეს დაგაყენებ, წამოვალ ჩემი ჯარით და სადილს შენს ქალაქში ვჭამო.

ეს რომ ერეკლეს გაუგია, უთქვამს: უყურეთ მაგ ურჯულოებს, თათრის შვილები რარიგ მუქარას მითვლიანო! ახლა გამოჩნდება თუ რომელი ჩვენთაგანი ამოიგდებს მტრის ჯავრსო.

უთქვამს ერეკლეს: მაგათ მარტო ჩემი მთიელნი გაუვლენო და დაუბარებია მაშინათვე ხევსურნი, თუშნი და ფშაველნი. კაცი გაუგზავნია არაგვზე, არაგვის მოურავ ქაიხოსროსათვის მიუწერია ბრძანება, წადით ჩქარა, გააგებინეთ ჩემს უნჯ ყმათ, ხევსურთო.

ერეკლე დაუბარებდა არაგვის მოურავსაო:
ცხენს შაჯედ, ქაიხოსროვო, გამიგებიე ყმათაო:
ხირჩლას იმ ბაბურაულსა, მთელ ხევსურეთის თავსაო,
ბერდიას მამუკაურსა, მოკლიას ირტყამს ხმალსაო;
ამღას ბერდიათ გაგასა, სამის სათემოს კარსაო;
ყარაულს ალუდაურსა, ვეფხვივით მეომარსაო,
მარტოდ შიბუში ნამყოფსა, ურჯულოს უჭერს თავსაო.
აჩქარდნენ ფშავლის შვილები, ბევრს ნუ დაღლევენ
ხანსაო.
თუშეთ უთხრიდი თუშებსა, ზეზვას დაუდგან მხარსაო.

ქაიხოსროს ერეკლეს დაბარებული რომ მისვლია, მაშინვე ამდგარა, თავად წამოსულა ცხენით. ჯერ თუშეთს, მერე ფშავს, მერე ხევსურეთს მოსულა, მოუგროვებია ყველა მეომარი, დაუვლია ქაიხოსროს ყველგან თავისი ცხენით. წამოსულან ხევსურნი, ფშა-

ველნი და თუშნი; ცხენდაცხენ ჩამოსულან ქალაქში, ერეკლეს კარზე მისულან პირდაპირ. დაუნახავთ ერეკლს გამზადებული ჯარი. დაუწყიათ ხევსურთ ყვირილი: სად ასავ ჩვენ ნეფეივ? გვანახვიეთავ!

ხალხს, ერეკლეს ჯარს ერთმანეთში ლაპარაკი დაუწყია: ეს რა ხალხია, რომ ჩვენ შიშით დავქრებით, როდესაც მეფე ერეკლე ჩვენთან მოვა სანახავად, ესენი კი თავად ყვირიან: ნეფე ერეკლე სად არისო?

ამ დროს ერეკლეც გამოსულა საომრად მომზადებული. ჯაჭვიარაღით მორთული ცხენოსანი ხევსურნი რომ უნახავს, დაუძახია: ჩემთ ხევსურთ გაუმარჯოსო!

ხევსურთ შემოუქცევიათ: ჩვენს მეფე ერეკლესაც გაუმარჯოსო!

მაშინ უთქვამთ ხევსურთ: რაზე დაგვიბარენივ, რა გაგიჭირდავ?

ერეკლეს მიუგია: ვაი, თქვენს ერეკლეს! შენს ქალაქში ვისადილებთო, ასე დაუბარებიათ თათრებს, ამაზე მეტი გაჭირვება რაღა იქნებაო?

მაშინ წაუკაფიავია ერეკლეს:

მიშველეთ, ჩემნო ხევსურნო, უნჯნი ყმანი ხართ
ჩემნია,
ფულს მაგცემთ მაგოდენასა, რომ ვერ ზიდევდას
ცხენია.

ხევსურთ სწყენიათ ეს სიტყვა: ჩვენ განა ფულის გულისათვის ვომობთო?

თავს ვერ გაგიხრით ხევსურნი, უნჯნი ყმანი ვართ
შენნია;
თეთრს ვინც აიღებს ხევსური, ვინაც მახკიდას ხელია,
გაუწყრას, ნეფევ ერეკლე, ის სალოცავი ჩვენია!
დეემზადენით, ხევსურნო, ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა!
თათრების მალოდინი გვაქვ, განთ ვსხევართ ლუდის
სმაზედა?
გაგვიძეღ, ნეფე ერეკლევ, წავდგათ კრწანისის გზაზედა!

გამზადებულან ხევსურნიც და ერეკლეს სხვა ჯარებიც და გასულან კრწანისში. მოსულა კიდეც ამ დროს თათრის ჯარი. ხევსურნი შეეხვეწნენ თურმე ერეკლეს: წინ ჩავალთავ, გაგვიშვენივ!

გაუშვია ერეკლეს ხევსურნი, თავადაც ერეკლე წინ დასდგომია თავის ყმათ. სცემიან თათრის ჯარს თავში და ბოლოში გაყრილან. მე-

ფე ერეკლეს ცხენდაცხენ უომია, შვიდჯერ აუვლ-ჩაუვლია თათრის ჯარში და ხმალი წაღმა-უკუღმა უქნევია. დაუწყვეტია ჯარი. მეშვიდედ რომ ამოუვლია ერეკლეს თათრის ჯარისათვის, ნაპირზე კი გაუღწევია და ცხენი ჩაჰქცევია კიდეც: ვერ გაუძლია სიმძიმისათვის, შვიდი ფუთი ტყვია ყოფილა ერეკლეს ჯაჭვში (მცურავი ჯაჭვი სცმია). ცხენი რომ წაექცა ერეკლეს, მოხვევიან თათრები, მაგრამ ხევსურთ ხმლით დაუცავთ ერეკლე თათრებისაგან, გადაურჩენიათ თავისი მეფე. მიშველებია იმ დროს სხვა ჯარიც. ერეკლესთვის სხვა ცხენი მოუყვანიათ:

ერეკლეს ცხენი ჩაიქცა, ყმანი სხვას მიღგვრიდიანო,
ცხენზე შასვიან მსახურთა, ავჟანდას უჭერდიანო.

ვიდრე ერეკლე კარგად შეჯდებოდა ცხენზე, ხევსურნი კიდეც მისულან მტრის ჯარის სანგალში.

ერეკლეს უთქვამს: ეს ჩემი ხევსურნი რას სჩადიან? გახედეთ, სანგალს ხვედრიანო.

მაშინ უთქვამს ერეკლეს ცხენისათვის: გაფრინდი, ჩემო ცხენო, სადაც ყმანი იხოცებიან, ერეკლეც იქ იყოსო! გაუქცევია ცხენი, მისულა ერეკლე იმ დროს, რომ ხევსურთ კიდეც გაუმტვრევიათ თათართ კარავი. მაშინ უძახიათ ხევსურთ:

ახლა სადა ხართ, თუშებო, ხევსურნ რო კარავთ
სჭრიანო?
ნადირაის ხმლის ნატეხნი კარვის ბოძთანა ხყრიანო.
ხმალ ხოშარეულს გაუტყდა, ხევსურნ სხვას
გამუცვლიანო.

ამ ომში ხოშარეულს თათრის ჯარის კარვის ბოძისათვის შემოუკრავს ხმალი. მაგარი ყოფილა ბოძი და ხმალი შუაზე გადატეხილა. ხევსურთ მაშინვე სხვა ხმალი მოუტანიათ. უომნიათ, სანამ არ გაუბრუნებიათ ეს თათრის ჯარი. ომს რომ მორჩნენ, შეუყრია ერეკლეს თავის ყმანი. ბევრი დახოცილიყო. ხევსურნი მეტწილად გადარჩენილან, რადგან ყველას ჯაჭვი სცმია.

ერეკლეს უთქვამს: რა გინდათ, ჩემნო ხევსურნო, რო მოგცეთ: თეთრი, იარაღი თუ რვალიო?

ხევსურთ არაფრისთვის არ უხლიათ ხელი. უთქვამთ: რად გვინდავ საჩუქარივ? განა საჩუქრის გულისად ვიომეთავ? მაშინ ერეკლეს მიუცია ზოგისთვის იარაღი, ზოგისთვის ფული. გამობრუნებულან ხევსურნი, წამოსულან. უთქვამთ წასვლის დროს ერეკლესათვის: თუ

კიდევ რა გაბედეს თათრებმა, საჩქაროდ დაგვიბარიდი, მაშინ საათათრეთშიაც ალარ დავაყენებთავ.

მეფე ერეკლესაც მადლობა გადაუხდია და წამოსულან ხევსურეები შინ.

ქართველი ქალი

მრისხანე აღა-მაჰმად-ხანთან მიიყვანეს მშვენიერი ქართველი ტყვე ქალი. მეუღლე ბრძოლის დროს დაეღუპა. ძუძუმწოვარა ბავშვი მტრებმა დედის თვალწინ დაანარცხეს ქვაზე და მოუკლეს. თვით დედა კი სილამაზემ გადაარჩინა. ეს ქალი საჩუქრად მიჰგვარეს შაჰს. „რად მინდა მე ქალი! ვინ არის ამის მყიდველიო?“ — თქვა საჭურისმა შაჰმა.

ქალი მდიდარმა ჯაფარ-ბეგმა იყიდა და ნარიყალას ციხეში მიიყვანა. ჯაფარ-ბეგმა ქალს უბრძანა, მაჰმადიანობა მიეღო და მისი გამხდარიყო. ქალმა არაფერი უპასუხა. ჩაფიქრდა. მერე ჯაფარ-ბეგს ხელისგული გაუსინჯა და უთხრა:

— ხელისგულის ხაზები მეუბნება, რომ შენ ამაღამ საკუთარი ხანჯლით სიკვდილი გიწერიაო. — მერე ხანჯალი მოსთხოვა, — შევულოცავ და უვნებელი გახდები, სიკვდილი თავიდან აგცილდებაო.

მაჰმადიანებს სწამდათ, რომ ქართველმა ქალებმა იარაღის შელოცვა იცოდნენ. ჯაფარ-ბეგმა ხანჯალი შემოიხსნა და ქალს გადასცა. ქალმა ჯერ შეულოცა, მერე ხანჯლის წვერი გულზე მიიდო და ჯაფარ-ბეგს უთხრა:

— ხანჯლის ტარს ხელი დაჰკარი და დარწმუნდები, რომ არ დავიჭრებიო.

ჯაფარ-ბეგმა თხოვნა შეუსრულა და... ტყვე ქალი გულგანგმირული დაეცა მბრძანებლის ფეხთა წინაშე.

კ ა ლ ო უ ბ ა ნ ი

თბილისის ერთ ძველ ადგილს კალოუბანს ეძახდნენ. აქ თურმე მოსავლის სალეწი კალოები ყოფილა გამართული. ამ უბანთანაა დაკავშირებული ძველი გადმოცემა.

მრისხანე თემურ-ლენგი რვაგზის შემოესია საქართველოს და

საბოლოოდ მაინც ვერ დაიმორჩილა თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი. თემურის განსაკუთრებული სისასტიკე თბილისს დაატყდა, რადგან საქართველოს დედაქალაქი ყოველთვის დიდ წინააღმდეგობას უწევდა ველურ დამპყრობლებს. ერთხელ, განრისხებულმა თემურმა ამ კალოებზე თავი მოუყარა თურმე თბილისელ ბავშვებს და თავისი ცხენოსანი ჯარით ერთიანად გადათელა ისინი. სწორედ აქ დალუპული ბავშვების სახელზე აუშენებიათ ეკლესია, რომელიც კალოუბნის სახელწოდებით იყო ცნობილი.

მ ა ხ ა თ ა ძ ე

მეფე ერეკლეს ერთი შინ გაზრდილი ყმა ჰყოლია, რომელსაც სახელად რქმევია გიორგი, გვარისა კი რა მოგახსენოთ, რადგან გვარი მეფეს შემდეგ მიუცია. ეს კაცი ისეთი მეცნიერი ყოფილა, რომ მისი სახელი განა მარტო საქართველოში, მთელ არაბეთსა და სპარსეთშიც ყოფილა გავარდნილი.

ერთხელ საქართველოში ხმა გავრცელებულა, რომ სპარსეთის ყეენი საქართველოს წასახდენად მოდისო და აბა, უნდა გულადად დავუხვდეთ, რომ ქალაქში არ შემოვუშვათო. ხალხსაც დაუწყია დიდი მზადება. მეფეს მაინც ფიქრი ჰქონია, რომ იქნება შინაურმა მტრებმა მიღალატონო. იმ დროს გიორგის მეფისთვის უთხოვია: ნება მიბოძეთ თქვენს ერთგულ ყმას, ქალაქის რამდენიმე ვაჟკაცი მოვაგროვო და მტერს დავუხვდეთ წინაო.

მეფეს ნება მიუცია. წასულა მაშინათვე გიორგი და რადგანაც მთელი ქალაქის ხალხი დამეგობრებული ჰყოლია, შეუგროვებია ბიჭები და მოსულა მეფესთან. მეფეს ძალიან გახარებია, გამოსულა აივანზე და გიორგი რომ ჯარის წინ მდგომი დაუნახავს, სიხარულით შეუძახია:

— ვენაცვალე ჩემს ერთგულ გიორგის! სადაც ჭირს, მახათივით იქ დაერჭობა ხოლმეო!

ამბობენ, აქედან მოდის მახათაძეების გვარიო.

შემდეგ გიორგი ომში წასულა და გაუმარჯვნია კიდეც, მაგრამ, საუბედუროდ, ტყვედ წაუყვანიათ. სპარსეთში დიდი ნიჭიერება გამოუჩენია. ხანებს ყეენისათვის მოუხსენებიათ: ჩვენი ქართველი გიორგი გავათათროთ, თორემ აფსუსია ამისთანა ნიჭიერი კაცის დარჩენა ქართველადაო. გამოუცხადებიათ კიდეც მისთვის, რომ

უნდა გათათრდეო. თუმცა გიორგი უარზე მდგარა, მაგრამ ბოლოს დათანხმებულა და გათათრებულა.

ერთხელ ყეენს წვეულება ჰქონია და გიორგიც იქ ყოფილა. ერთი ხანი წამომდგარა და უთქვამს გიორგისათვის:

— აბა, გიორგი, ხომ გაგათათრეთ, ახლა თათარი ხარ და რას იტყვი ქართველობაზეო?

— სულაც არა, მე ისევ ის ქართველი ვარ, რაც აქნობამდის ვიყავი. თუმცა თქვენ გამათათრეთ და თავიც მომპარსეთ, მაგრამ ეს არაფერი, მე ისევ ქართველის სული მიდგას, ისევ ერეკლეს სიყვარული მაქვს და ქართველის სისხლი მიდუღს. თუ გსურთ ნამდვილად თათარი გავხდე, ნება მომეცით, რომ საქართველოში დავბრუნდე, ჩემი მამულები დავყიდო და მაშინ აღვასრულებ სრულიად კანონებს მაჰმადისასა! ჩემი უკან დაუბრუნებლობა კი შეუძლებელია, რადგანაც ყეენის კარზე დიდ სიამოვნებას ვხედავ და აბა საქართველოში, ერეკლესთან რა დამაყენებსო.

ამ თხოვნაზე ყეენი დათანხმებულა და გამოუგზავნია გიორგი საქართველოში, გამოუტანებია რამდენიმე კაცი და დიდი საჩუქრები. საქართველოში მოსულან, გიორგი ისევ სამუდამოდ აქ დარჩენილა და შეუთვლია ყეენისათვის იმის კაცების პირით: ჩვენი რჯული ნებას არ გვაძლევს, რომ გასათათრებლად ჩვენი ფეხით წავიდეთო.

რამდენიმე წლის შემდეგ ყეენს მეორედ განუზრახავს საქართველოზე მოსვლა. შეუტყვიათ თუ არა ეს ამბავი ქართველებს, საომრად მომზადებულან.

გიორგიც რამდენიმე კაცით წასულა და კუკიის ზემო გორაზე დამდგარა, მახათას რომ უწოდებენ. ამბობენ, იმ გორასაც სახელად იმ გიორგის გვარი დაარქვეს ქალაქელებმა, რადგანაც გიორგი და მისი ჯარი აქ ფეხუცვლელად იდგნენო. როდესაც სპარსელების ხანი მოსულა საომრად, წინდაწინ გიორგი შებმია და გაუმარჯვნია კიდეც, მტერი უკუ უქცევიათ. საუბედუროდ ამ ბრძოლის დროს გიორგიც მოუკლავთ. ჩვენს ხალხს შემდეგი ლექსი გამოუთქვამს:

შენ, დედაჩემო თინაო,
ვეღარ მოგივალ შინაო,
შესანდობარი დალიე
ლამაზი გიორგისაო.
გიორგი — მეფის გაზრდილი —
ვეღარ წამოვა შინაო:
მტერსა შეაკვდა მეფისთვის,

ბეჭებში სისხლი სდისაო!
ვაჰ, შენსა გიორგისაო!
ვარსკვლავი მოსწყდა ცისაო.
სამოთხეში წაიყვანენ
მამულისშვილსა გმირსაო,
ოქროს საჯდომსა დაუდგმენ,
ერთხელ არ დასმენ ძირსაო.

გელა ნათელაშვილი

მეფე ერეკლეს დროს სოფელ ბაზალეთში ცხოვრობდა ერთი გამოჩენილი და მეფის ერთგული გლეხი გელა ნათელაშვილი. მეფის ისეთი ერთგული, ღონიერი და მეომარი კაცი ყოფილა, რომ მის დროს მისებრი არავინ მოიძებნებოდა საქართველოში. ბევრგან გამოუჩენია სიქველე მეფის წინაშე და ხშირად მარტოდმარტოს განუდევნია მტერი. ამისთვის მეფესაც ძალიან ჰყვარებია.

ნათელაშვილი იმდენი ღორის და ცხვრის პატრონი ყოფილა, რომ მთელი არაგვის ხეობის მთა და ველი მასა სჭერია მეფე ერეკლეს დასტურით და იმასაც მაგიერი ბევრი შემწეობა გაუწევია ერეკლესათვის. ასობით და ორასობით ღორი მიურთმევია ჯარებისათვის. საქართველოს რომ სადმე მტერი დაეცემოდა, გელა ნათელაშვილი თავისი მეომრებით ხელდახელ იქ გაჩნდებოდა ხოლმე, მტერს განდევნიდა, ტყვეებს დაიხსნიდა და ისე გამობრუნდებოდა შინ. ბევრ ომში ყოფილა გელა და ბევრ ალაგას გამოუჩენია სიქველე და მამაცობა.

ერთხელ გელას მეფე ერეკლესაგან შიკრიკი მოსვლია: ამ მოკლე ხანში დაღესტნიდან ლეკის ჯარი ემზადება ქართლის ასაოხრებლად და შენ იცი, ჩემო გელა, როგორ დახვდები და რანაირად უპატრონებ ქართლსაო.

გელას მაშინვე შეუკრებია თავისი მეომარი ამხანაგები, წასულან მტრის შესახვედრად, მცხეთის ზემოთ, სოფელ ნატახტართან.

ამ დროს გელას ერთი ირემი შეხვედრია არაგვის პირზე. გელას თოფი უსვრია და მოუკლავს. დაუნთიათ ცეცხლი, ირემი ხეზე ჩამოუკიდიათ და მეომრებს დაუძინიათ. გელას კი მოუხსნია იარაღი და დაუწყია ირმის გატყავება.

შუაღამე რომ შეიქნა, ერთბაშად მტერი შემორტყმია ჩუმად. გელას რომ დაუნახავს მტრის ჯარი, უყვირია მრისხანე ხმით: ვინა ხართო? აბა, აქ მოდით, სულ ამ ღორის ხორცით მოგთხუპნითო!

ლეკებს ირემი თურმე ღორი ეგონათ და ეს რომ გაიგონეს, უკან დაბრუნდნენ. ამ სიტყვებით გადარჩა გელა იმ ღამეს.

მეორე დღეს გააღვიძა თავისი ამხანაგები და შეექმნათ ფიცხელი ომი. მტერზე გაიმარჯვეს და გათენებისას ტყვეებითა და ნადავლით ქალაქისაკენ დაბრუნდნენ მეფესთან.

დიღმის მინდორს რომ გამოვიდნენ, შეხვდნენ ლეკების ჯარს და დიღმის მეცხვარეებს, რომლებიც ტყვედ წაეყვანათ ლეკებს დიღმიდან. აქაც გააჩაღეს ბრძოლა და გელამ დაამარცხა ლეკები, ტყვეები გაათავისუფლა და წამოვიდა მეფესთან გამარჯვებული. მეფემ დიდად დაუმადლა.

გელა ნათელაშვილი და მისი ამხანაგები მეორე დღეს მანგლისისაკენ წავიდნენ, რადგანაც იქაც დიდი შიშიანობა იყო. მანგლისთან რომ მივიდნენ, დიდი ბრძოლა მოუხდათ. გიორგი დაჭრეს, რადგანაც პირველად ის შევარდა მტრის რაზმში საომრად.

ეს ლექსი ერთ აქ დამსწრე მეომარს გამოუთქვამს გელა ნათელაშვილზე.

ახლა ქება ჩამოვთვალოთ ქართველთა გმირებისაო.
არაგვზე მტერი აშალეს, არაგვის ფშნების პირსაო,
ღვთის მეტმა არავინ იცის, საით უზამენ პირსაო,
გელამან გზასა გახედა: „მტერი თავს დაგვესხმისაო“.
ეს ბაზალეთელი გელა ნაჭერი არის კლდისაო,
მოჯამაგირებს არიგებს, როგორც რომ მამა შვილსაო,
მოჯამაგირებს შეჰფიცა ფიცი მაღალი ღვთისაო:
— გუშინწინ ღორში ვიყავი, ბელადი ვნახე მტრისაო,
დავუჩოქე და ვესროლე, მოვარტყი გულის პირსაო!
— შენ, ბიჭო, მარჯვედ ვერ გიკრავს; ვაი, შენ გიორგისაო,
მაგ თოფის ამბავი ვიცი, ფიცხლადვე დასცემს ძირსაო.
გელამა მოსვენება ჰქნა, ტკბილად აპირებს ძილსაო;
შუაღამე რომ შეიქნა, ელვა შეიქნა ცისაო,
ლეკები თავზე დააწვნენ გელა ნათელაშვილსაო;
გელამა წამოიწივა, ლეკი ჩაიგდო ძირსაო,
ურჯულოს ხანჯალი დასცა, შაშვივით აღებს პირსაო.
გელა მანგლისში წავიდა, როგორც ბორბალი წყლისაო,
ისე აკაფა ლეკები, როგორც ტოტები ხისაო.

ორი ურჯულო ბელადი ხევისა პირსა ზისაო,
თოფი მთავრული უპირავთ, კონდახი — იფნის ხისაო.
გელამა ხელი მოისო, ბეჭებში სისხლი სდისაო.
ჰანგლისს აქებენ ტაძარსა, ნაკეთი ქვიტკირისაო,
შიგ ბევრი ლეკი აწყვია, ნახოცი გელაისაო,
გელაც იქვე დაასვენეს, ნაბრძოლი მეფისთვისაო.

სანამ გელა ცოცხალი იყო, ვერც სპარსეთიდან და ვერც დაღეს-ტნიდან მტერი ვერ მოდიოდა საქართველოში, რადგანაც გელას რაინდობა, ჰამულისათვის თავდადება მთელ სპარსელ-ლეკებში ყოფილა მოფენილი.

მაია წყნეთელი

გლეხის ქალს, მაია წყნეთელს, მეფე ერეკლეს დროს უცხოვრია. უასაკო ყოფილა, როცა ბატონს ძალით მიუყვანია სახლში და ნამუსი აუხდია. მაიას მშობლებს ვერ აუტანიათ ეს მწუხარება და მალე გამოსალმებიან წუთისოფელს: მამას ტყეში ჩამოუხრჩვია თავი, დედას შიმშილით თავი მოუკლავს. სვეუბედური მაია ვერ დასწრებია ვერც ერთის სიკვდილს, გამწარებულა და განუზრახავს, ბატონს მეფესთან ვუჩივლებო.

ერთ ღამეს შეპარულა მამის სახლში, ჩაუცვამს მისი ტანისამოსი, შემოურტყამს ხმალი, ხანჯალი, მხარზე მამის თოფი გადაუკიდია და ჩამოსულა თბილისში. ასე ვაჟკაცურად გამოწყობილი მისულა მეფის კარზე და მფარველობა უთხოვია. არც დედა მყავს, არც მამა, არც ბატონიო და ასე ვარ დარჩენილი ობლადაო, ახლა გეახელიო და გთხოვთ მიყმოთო.

მეფეს მიუღია იგი. მაიას ვაჟური ტანსაცმელი ჩაუცვამს, სახელად მათე დაურქმევია და ასე ემსახურებოდა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ კახეთის მხარეს დასცემიან ლეკები. მეფეს შეუყრია საჩქაროდ ჯარები და თან გაუყოლებია შინაყმანიც. მათ რიცხვში ყოფილა მაიაც. ყველანი კარგად გარჯილან მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მაიასებრი ვაჟკაცობა ვერავის გამოუჩენია. ამ დროს მაია ოცი წლისა ყოფილა. მეფე გაუკვირვებია მის მხნეობას, სიმარდესა და ვაჟკაცობას. გახარებული გადაჰხვევია, ორთავ თვალებში უკოცნია და უთქვამს:

— აი, შენ კი გენაცვალე! კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებიაო!

თბილისში რომ დაბრუნებულან, მეფეს კიდევ მოსვლია ამბავი, სომხებს თათრის ჯარი შემოესიაო. მაშინვე მდევარი შეუგროვებიათ. შემდგარა რჩეული ბიჭების დასტა, რომელიც პირველად უნდა შეჰბმოდა მტერს. მათეც იქ ყოფილა. ომი მომხდარა სოღანლუღს ქვევით. ხმალამოღებულ მაიას შეუჭენებია ცხენი მტრის გუნდში და მეთაურისათვის ანაზდად გაუგდებინებია თავი. არეულა მტრის ჯარი და ქართველებს ისე დაუმარცხებიათ, რომ ამბის წამღები კაციც აღარ დარჩენილა. ახლა უფრო გაჰკვირვებია მეფეს მაიას გმირობა და უთქვამს: შენ ისე სინდისიერად და ერთგულად ასრულებ მამულის ვალს, რომ დღეის შემდეგ ჩემი შვილი ხარ და ნებას გაძლევ მამა დამიძახოო. შენგვარი კაცი მეფეა თავის თავისა და თავის სამშობლო ქვეყნისაო.

მაია თურმე თავზარს სცემდა გარეშე და შინაურ მტრებს. მისი დროის პირშავ კაცებს თორმეტი გოგო-ბიჭი მიუყიდიათ სპარსელებისათვის. ამ ამბის შესატყობინებლად მეფესთან ერთი მოხუცებული კაცი წამოსულა. მეფის კარზე მაია დახვედრია, მოხუცს თავისი გასაჭირი უთქვამს თუ არა, მაიას მაშინვე შეუკრებია თავისი ამხანაგები, შემსხდარან ცხენებზე და გამოსდგომიან ყიზილბაშებს. მისწევიან ლილოსთან, დაუხოცავთ, გაუთავისუფლებიათ დაყიდული გოგო-ბიჭები, მერე მეფის კარზე მობრუნებულან. მაია წამდგარა მეფის წინაშე და უთქვამს:

— მეფეო! ნება ნიბოძეთ, რამდენიმე საჩივარი მოგახსენოთო.

— თქვიო, — მიუგია მეფე ერეკლეს.

— დიდებულო მეფევ! ნეტავი როდის შეაშრებათ გლეხებს თვალზე ცრემლები, ნეტავი როდის გადმოხედავს მათ ღმერთი და დაიხსნის ტანჯვისგანო?

— მაგას რად ამბობ, შვილო? — უკითხავს მეფეს.

— რაღა რად, შენი ჭირიმე: გლეხობა განადგურდა და გაწყალდა. ბოროტმოქმედ კაცთაგან აოხრდა სოფლები. ბატონებმა დაჭყიდეს მთელი სოფლის გლეხობა; ვინც გადარჩა, იმათ კიდე გუთანში, ურემსა და კალოში სულს აძრობენ. ერთი დედაკაცი შეუბამთ კალოში და ის უბედური უღელში მომკვდარა. მოგახსენებთ ამას, მეფევ, გთხოვთ, მოსპოთ ასეთი ავკაცობა და ბოროტმოქმედებაო.

— ბატონებზე საჩივარი, მართალია, ბევრი ისმის, მაგრამ თუ მე ჩემი თვალით არა ვნახე, აბა, ვის რა და როგორ გადავახდევი-

ნო? მე ამგვარი საქმეები მხოლოდ სიტყვით მესმის და საქმით კი ვერასა ვხედავო.

— დიდებულო ბატონო! საქმითაც აი, ერთი მე გახლავართ, მე გულდამწვარი, დაჩაგრული და მშობლებს მოკლებული, მეორე, შენი ჭირიმე, გუშინ თქვენთან მოვიდნენ გლეხები საჩივლელად, რომ ამა და ამ ავაზაკებმა შვილები დაგვიყიდესო; მე თქვენამდე არ მოვუშვი ისინი, შევჯექი ცხენზე, გავიყოლე ამხანაგები და წავართვი სპარსელებს დაყიდული გოგო-ბიჭები და აი, ამათაც ახლა წარმოვადგენ თქვენს წინაშე. აი, ესეც დამტკიცებაო.

მეფე ძალიან გაჯავრებულა და გამწყრალა. მეორე დღეს მოუწვევია სასახლეში მღვდელთმთავრები და ჯვარითა და სახარებით შეუჩვენებიათ ავნი კაცნი. ამგვარი საჩივრებით ისე შეუწუხებია მაიას ბოროტმოქმედნი, რომ მათ თავი მოჰბეზრებიათ და გადაუწყვეტიათ: მაია ან მოვკლათ, ან როგორმე მოვაშოროთ მეფესაო.

ერთ დღეს მეფეს მაია სადღაც გაუგზავნია. ეს შეუტყვიათ მის მტრებს და გამოსდგომიან უკან; მაგრამ მაიას მდევარი დაუხოცავს და ერთი მათგანისათვის კი უთქვამს:

— შე ოხერო და შეჩვენებულო! აბა, რა გერგებათ ჩემგან, რომ ჩემი სიკვდილი განგიზრახავთო.

იმას ცბიერად მიუგია:

— ჩვენ კი არა, ერეკლეს ნებავს შენი სიკვდილიო.

მაიას თავზარი დასცემია. ეჭვი გასჩენია, იქნებ მართლა უნდა მეფეს ჩემი სიკვდილიო. თან გული სტკენია, გადაუწყვეტია: გავშორდები და ყაჩაღად გავალო. თრიალეთისაკენ გადასულა და დაბინავებულა ერთ ტყეში, რომლისთვისაც ხალხს „მაიას საბუდარი“ დაურქმევია. აქედან გამოდიოდა თურმე გზებზე, უსაფრდებოდა გამვლელ-გამომვლელ თავგასულ კაცებს, ხოცავდა და ძარცვავდა მათ. ბოლოს შეუტყვიათ მტრებს მისი ბინა და დაუწყიათ დევნა. მაშინ მაიას დაუტოვებია თავისი საბუდარი და წამოსულა სომხეთისკენ. დასახლებულა სოფლად და თავისი ვინაობა დაუფარავს.

ერთ დღეს მეფე მისულა იმ სოფელში, სადაც მაია ყოფილა. ერთი სოფლიდან მეორეში აცილებდნენ თურმე მეფეს სოფლელები, მაიაც გაჰყოლია. ამჟამად უკვე მოხუცებული ყოფილა და მეფეს ვეღარ უცვნია. ხმა იყო გავარდნილი, რომ მაია დიდი ხანია, რაც მოკვდაო. გზაში მეფეს მტერი შემოხვდა. მაიას მეტს თოფ-იარაღი არავის ჰქონია მზად. იმან კი თურმე ჯერ თოფი ესროლა მტერს, მერე კი ხმალდახმალ მიუხდა. ამის მხილველთ, სხვებსაც გული

მისცემიათ, გამხნევებულან, შებმიან მტერს და გაუმარჯვნიათ. მეფეს უკითხავს მაიასათვის:

— შენ, ძმობილო, ვინა ხარ ეგეთი გმირიო?

— ბატონისაგან გამოდევნილი მათე გახლავარო, თქვენ მოსაკლავად დამდევდით და აი, ახლა თქვენს ხელთა ვარ, გნებავთ მომკალით, გნებავთ დამარჩინეთ. მე ისეთ დროს ვეძებდი, რომ პირისპირ მენახეთ, ჩემს ყაჩაღობაში დამნაშავე არა ვარ. თქვენ მიერ გამოგზავნილი მდევარი დავხოცე და თავი გადავირჩინე. ამის შემდეგ აბა, როგორღა მოვსულიყავ თქვენთანა... ჩემი ბრალია, თრიალეთში აქამდე ხალხი რომ იძარცვებოდა. ამასთანავე ვაცხადებ დიდებული მეფის წინაშე, რომ მე ვარ დედაკაცი და არა მამაკაციო.

მეფეცა და მისი მხლებელნი თავადნიც განუცვიფრებია ამ სიტყვებს და უპატიებიათ დანაშაული. მაშინ მაიას გაუხდია კაცური ტანისამოსი და ჩაუცვამს ქალური; მაგრამ დიდხანს აღარ დასცლია სიცოცხლე. სპარსელები შემოსევიან საქართველოს, მაიაც გარევია ქართველთ ლაშქრობაში, ქალური ტანისამოსი სცმია. სპარსელებს გაჰკვირვებიათ მისი მამაცობა და ხანებს უბრძანებიათ ცოცხლად მისი დაჭერა. მართლაც, დაუტყვევებიათ და თან წაუყვანიათ; მაგრამ მაია გზიდან გამოპარულა და ერევნის ბოლოს მოუკლავთ.

თამრო ვაშლოვნელი

თამროს დედა მალე მოუკვდა და მამამისმა მეორე ცოლი შეირთო. მამაც რომ გამოესალმა ამ წუთისოფელს, ბატონმა თამრო ვიღაც გადამთიელს მიჰყიდა; მაგრამ თამრომ თვითონვე დაიხსნა თავი. მამის ოჯახში რომ დაბრუნდა, გამოიარა ერთ ტყეში, საცა დათვი დახვდა წინ და დაეჭიდა, მაგრამ უშიშარმა გმირმა ქალმა მოკლა დათვი და დაიხსნა თავი მეორე განსაცდელიდან.

თამრო სოფელ ვაშლოვანს ცხოვრობდა თავისუფლად. იმას ახლა ბატონი აღარ ჰყავდა, რადგან ტყვეობიდან ვინც თავს იხსნიდა, მეფის კანონისამებრ, თავისუფალი იყო.

თამრო ყოფილა სასტიკი და გაუტეხელი, მეხი დედაკაცი, რის გამოც მისი სახელი განთქმულა საქართველოში. სოფელში უიმისოდ არა კეთდებოდა რა.

ერთხელ, ვაშლოვანს თათრები დასცემიან. აუკლიათ სოფელი, დაუნგრევიათ ეკლესიები და მცხოვრებნი ტყვედ წაუყვანიათ. თამრო გამოსდგომია თათრებს, დასწევია თავისი რაზმით და საკვირველი გმირობა გამოუჩენია. მტერი ძლიერ დაუმარცხებია და გაუთავისუფლებია ქართველი ტყვეები.

ეს ამბავი მეფეს რომ შეუტყვია, ძლიერ დიდის მადლობით უთქვამს თამროსათვის:

— ოჰ, შვილო! შენ გენაცვალოს ჩემი მოხუცი თავი, რომ შენის მაგალითით კაცებიც გამხნევდნენო.

მერე მიუცია მისთვის და მისი ამხანაგებისთვის ტყვია-წამალი და ერთ ზარბაზანსაც დაჰპირებია.

თამროს თავის რაზმში ბევრი მეომარი ქალიც ჰყოლია.

ერთ ღამეს ლეკები დაეცნენ ვაშლოვანს. თამრო თავისი რაზმით მედგრად შეებრძოლა და განდევნა კიდეც. ამ ამბავზე არის ნათქვამი ლექსი:

ლეკები სულ გავაქციეთ
მთვარიანი ღამითაო,
უკან თამრო გამოუდგა
გალესილი ხმალითაო.

არ გასულა ამ ამბის შემდეგ დიდი ხანი და ხმა დავარდნილა: ვაშლოვანს თათრები უპირებენ დაცემასო. თამროს მაშინვე შეუხიზნავს მცხოვრებნი საფარში, თვითონ შეუიარაღებია ხალხი და ჩასაფრებია მტერს ერთ ვიწრო ხეობაში. თათრების მოახლოებისას გამოსულა თავისი ლურჯათი და გაუქროლებია ხევის პირას. თათრები დასდევნებიან უკან და შესულან ვიწრო ხეობაში; მაშინ ჩასაფრებულ ქართველებს დაუშენიათ თოფები და მრავალი მათგანი მოუკლავთ. ამ დროს თამროც გამობრუნებულა და ერთობლივ მეხსავით დასცემიან მტერს, დაუხოცავთ და წაურთმევიათ სოფლების დარბევაში ნაშოვნი დავლა. ხალხსა და მეფეს თამროსთვის დიდი მადლობა უთქვამთ.

ერთ ავ აზნაურს მისი დიდება და ქება შეშურებია და ქვეყნის ღალატი შეუწამებია. მეფეს პირში წაუყენებია მაბეზღარი თამროსათვის. თამროს დაუმტკიცებია თავისი ერთგულება სამშობლო ქვეყნისა და მტრობა და ღალატი თვით იმ მაბეზღარა აზნაურისა. მაშინ მეფეს უთქვამს თამროსათვის:

— წადი, შვილო თამრო, ეცადე შენი მაგალითით მამაკაცებიც გაუერთგულო სამშობლო ქვეყანასო.

ამ დროს მეფესთან ყოფილან თავადები და რადგან მოსწონებიათ თამროს ახოვანება, უთხოვიათ, აი, იმ ფალავანს დაეჭიდეო. თამროს უარი არ უთქვამს, დასჭიდებია და დაუმარცხებია ეს ფალავანი.

ფალავნობამ თამროს ბევრი მტერი გაუჩინა. ამიტომ დამალულა და არავის ეჩვენებოდა.

თამროს დიდხანს უმალავს თავი, მაგრამ ბოლოს ისევ გაუმჟღავნებია ერთი გლეხის უბედურებას.

ერთხელ, მტირალი და მეფესთან საჩივლელად მიმავალი გლეხი უნახავს. თამრო მისულა მეფე ერეკლესთან და უჩივლია ხალხის მწვალებლებზე.

მეფეს ძლიერ სწყენია ბოროტმოქმედება ბატონებისა, დაუბარებია ი'ინი და ძლიერ დაუტუქსავს. ასე დაუხსნია გლეხების ოჯახები უბედურებისაგან, მაგრამ თვითონ გადაუმტერებია ბატონები.

ერთ დღეს დაუჭერიათ თამრო მათგან მოგზავნილ კაცებს, წაუყვანიათ და მდინარე მტკვარში ჩაუგდიათ. თამროს აქ ბევრი უწვალია და ბოლოს ერთ ბურჯზე წყალს რომ მიუხეთქებია, უხმარია უკანასკნელი ძალა და ასულა იმ ბურჯზე, მაგრამ იქიდან სისუსტის გამო ვეღარ ჩამოსულა და მშიერ-მწყურვალს სული განუტევებია.

გასულა რამდენიმე ხანი. მეცხვარეს უნახავს, შეუტყობინებია სოფელში, გლეხებს ჩამოუღიათ მისი ყვავ-კაჭკაჭებისაგან დაწიწკნილი და შეჭმული გვამი და დიდის პატივით დაუსაფლავებიათ თრიალეთის ეკლესიაში. ამაზე არის ნათქვამი ლექსი:

თრიალეთს დიდსა საყდარში
თამარი ასაფლავია,
მისებრ ერთგული, მამაცი
ჩვენ არ გვყოლია ქალია.
თამარსა ვაშლოვანელსა,
ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს
მისი საფლავის გარსაო.
დამტირებელი არა ჰყავს,
ნეტარება მის გვარსაო.

თინა წავკისელი

თინა წავკისელი გაბაშვილის ყმა ყოფილა. ისეთივე გმირობა და გულშემატკივრობა გამოუჩენია გლეხებისადმი, როგორც მაია წყნეთელს. სიყმაწვილეშივე შეურაცხყოფისათვის მოუკლავს თავისი ბატონი, მაგრამ თინაზე ეჭვი არავის მიუტანია.

ამის შემდეგ გასულა ხანი. თინა და კიდევ სხვა გოგო-ბიჭები ბატონის ნათესავებს მიუყიდიათ სპარსელებისათვის. გზაზე მყიდველთ მოუნდომებიათ მათზე ძალადობა. თინას შეუტყვია მათი განზრახვა, დაურიგებია თავისი ამხანაგები, წაუძვრიათ სპარსელებისათვის ხანჯლები და დაუხოცავთ ყველანი, თვითონ შემსხდარან მათსავე ცხენებზე, წამოსულან მეფე ერეკლესთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბიათ.

მეფეს გაჰკვირვებია მათი მხნეობა. სხვა ქალები ყველანი დაუთხოვნია, თინა კი სასახლეში შეუნახავს. სასახლეში ყოფნისას თინას კარგად შეუსწავლია თოფის სროლა, ხმლისა და ხანჯლის ხმარება და ცხენზე ჯდომა. ამის შემდეგ აღარ განშორებია მეფეს. საცა კი მეფეს გაულაშქრებია, თინა თან გაჰყოლია. მას არა ერთხელ უსახელებია თავი მეფის წინაშე მამაცობით, მხნეობითა და მტერთან ხმლის ხმარებით.

ერთს ომში თინას და ერთ გლეხს ისე მამაცურად უომიათ, რომ მეფეს ძლიერ მოსწონებია ისინი, მიუწვევია თავისთან ორივენი და უბრძანებია მათთვის შეუღლება. მათ აღუსრულებიათ ბატონის ბრძანება და დასახლებულან წავკისს. ამის შემდეგ თინა თუმცა დაშვილიანებულა, მაგრამ მაინც არ მოუკლია ქვეყნისათვის სამსახური: ის ყოფილა თავისი სოფლის, წავკისის მცველი მტერთაგან.

ერთხელ მეფეს აქაური გლეხები ყველანი მდევრად გაეყვანა. ამ დროს თურმე ხმა გავარდა, წავკისს დარბევას უპირებენ თათრებიო. თინას შეუტყვია თუ არა ეს ამბავი, მაშინვე აურეკია სოფლის დედაკაცები გოგო-ბიჭებით ერთ კოშკში, კიბის საფეხურებზე დაუწყვია ფუტკრის სკები, ჩაუკეტავს ორივე მხრით კარი შიგნიდან და უბრძანებია: მე მივდივარ თბილისს მეფისათვის შესატყობინებლად; თუ მტერი მოადგეს კოშკს, დაამტვრიოს ძირის კარი და ამოვიდეს კიბეზე, სკიდან ფუტკარი გაუშვით, რომ მტერი ჩვენს მოსვლამდე შეაჩეროსო.

გამოფრენილა თინა თბილისს მეფესთან.

ამ დროს მტერიც მისდგომია კოშკს, შეუმტვრევია გარეთა კარი, ასულა ბნელ კიბეზე და მისდგომია ზევითა კარს. შიგ შეხიზნულ ქალებს გაუხსნიათ სკა, გამოუშვიათ ფუტკარი, რომელსაც დაუწყია ბნელაში საშინელი ბზუილი და დაუკბენია თათრები. ასე უწვალებიათ თათრები, ვიდრე თინას არ მიუსწრია და დაუმარცხებია მტერი.

ამის შემდეგ თინას ქმარი მოჰკვდომია და დარჩენია ორი ვაჟიშვილი.

თინას აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მიუღია მონაწილეობა. გადმოცემით, იგი ბოლნისის მხარეს მოუკლავთ და ერეკლემ იქვე, ბოლნისის სიონთან, დაასაფლავებინა ქმრის გვერდით, საფლავის ქვაზე მათი სახე ამოაჭრევინა, მათ ობლებს კი სასახლეში ზრდიდაო.

ხრესილის ომი

ოსმალეთის ხონთქრებმა გადაწყვიტეს საბოლოოდ დაემორჩილებინათ იმერეთი, სანამ ეს სამეფო მოასწრებდა რუსეთთან მჭიდრო კავშირის შეკვრას. ამ სათუო დროს იმერეთში მეფობდა სოლომონ პირველი, სამშობლოს წინაშე სამსახურისათვის „დიდად“ წოდებული. ნიჭიერი სარდალი, მოხერხებული მმართველი და შორსმჭვრეტი პოლიტიკოსი.

როცა ახალციხის სერასკირს მოუვიდა ბრძანება, ენგიჩართა[1] დიდძალი ლაშქრით შესეოდა იმერეთს და დაეპყრო, სოლომონ მეფე მიხვდა, რომ ეს ომი იყო მისი სამეფოს ბედისა და უბედობის გადამწყვეტი. მთელი სამეფო ფეხზე დააყენა, მეომრად ვინც ვარგოდა, ყველანი თოფ-იარაღში ჩასხა და დანარჩენი მცხოვრებლები გახიზნა რაჭა-ლეჩხუმის მთებში. მთავარი ჯარი, რომელშიაც იყვნენ თავიანთი მხედრობით ოდიშის მთავარი, ცოლისძმა მეფისა, და გურიელი ერისთავითურთ, დააბანაკა ქუთაისს ზემოთ, ოკრიბაში, სოფელ ხრესილს, იქ, სადაც ორმოციოდე ქცევა ვაკეს ირგვლივ ტყით შემოსილი მთები შემორტყმია. დასავლეთით და აღმოსავლეთით ამ მთებში ბუნებას დაუტანებია თითო ხევი-

[1] ენგიჩარი — ოსმალეთში ტყვედ წაყვანილი და გამაჰმადიანებულ ქრისტიანთაგან შემდგარი ქვეითი ჯარი.

კარი ას-ასიოდე მხარის სიგანეზე, ერთი ქუთაისის მხრიდან და მეორეც საწირისკენ. აი, აქ უპირებდა სოლომონი სერასკირს შეტყუებას და საბედისწერო შებმას. სამეფო საზღვრებზე — ზეკარს, სალაშქროს, კაკას ხიდზე, ხანის მთაში და ხევში მეფე შეხვდა მტერს მხოლოდ თარეშული ომით. პატარ-პატარა გუნდებად დაყოფილი იმერეთის მხედრობა ხან აქ დაეცემოდა თავს ოსმალოს ბანაკს, ხან იქ, მოუკლავდნენ რამდენიმე კაცს და თვითონ კი, თითქმის უვნებელნი, მოჩვენებასავით იმწამსვე ქრებოდნენ უგზო-უკვლოდ. ოსმალების ჯარს შეუმჩნევლად აკლდებოდა მეომარი მეომარზე, მაგრამ ერთ თვალუწვდენელ ჩეთედ[1] დარაზმული, მაინც მიდიოდა თანდათან წინ და იმერლები კი უკან იხევდნენ. მდინარე ყვირილაზე ფონში გასვლის შემდეგ სერასკირს ერთი იმერელიც არ გადალობებია წინ: მოთარეშენი თითქო დაწყდნენო.

ქუთაისი უომროდ დაიკავა მტერმა. სერასკირმა მოინდომა ქუთაისში ფეხის მოკიდება. მას უნდოდა ქუთაისი ოსმალეთის ციხე-ქალაქად გადაექცია, აქედან განეგო სათვალდათვალოდ ვითომ დამორჩილებული ზემო და ქვემო იმერეთი, გაეტეხა გურია და ოდიში, რაჭა-ლეჩხუმის დაპყრობას კი მერე შედგომოდა.

სერასკირი თავისთვის იყო, მაგრამ არ მოასვენეს მისმა დამქაშებმა, ყველაზე უფრო კი ლევან აბაშიძემ, არგვეთის მებატონემ და სამშობლოს მოღალატემ.

ეს აბაშიძე თავის თავს არგვეთის მთავრად თვლიდა, მეფე კი — მარტო მებატონე თავადად და გასაქანს არ აძლევდა. ეს იყო მიზეზი, რომ პირველი შემთხვევისთანავე აბაშიძემ თავი დაუკრა მტერს, აღუთქვა სამშობლოს დაპყრობაში შემწეობა და სამაგიეროდ ჩამოართვა სიტყვა, რომ მას დანიშნავდნენ არგვეთის დამოუკიდებელ მთავრად და იმერეთის გამგედ. ამიტომაც ყველაზე უფრო ის შეუჩნდა სერასკირს: სდიე მეფეს, სანამ მირბის! მისი ერთგულები ახლა წელმოწყვეტილნი არიან... მეფის ლაშქარი იმაზე უფრო მოშლილია, თქვენ რომ გგონიათ. მთებში მიტომ იმალებიან, ვაკეში თქვენი ეშინიათ, დიდი ზავთი აქვს ახლა ოსმალოს იმერეთში! მერწმუნე, სერასკირო, დაედევნე გაქცეულ მეფეს, შეები და ხელში ჩაიგდებ მასაც და მის ერთგულ მთავრებსაც! ერთ დღეს შესძენ ხონთქარს მთელ იმერეთს გურია-ოდიშიანად! თუ ხონთქარის ერთგული ხარ, ახლა გაქვს დრო მისი ხმალი მოჰპირო! შენ თუ

---

[1] ჩეთე ჰქვია ოთხ კუთხად დარაზმულ მხედრობას.

გეშინია, მე წავუძღვები შენს ლაშქარს ჩემი ერთგული მარგველებითო!

აბაშიძეს ბანს აძლევდნენ სერასკირის ფაშები და ბეგები. ფრთხილი სარდალი დაიყოლიეს ნებას. ოსმალოს ჯარი გაემართა ოკრიბისაკენ გოდოგნის გზით. გზის მაჩვენებლად ჰყავდათ ლევან აბაშიძე და მისი ერთგული მარგველები.

მტერი გაება დაგებულ მახეში: ანგარებით გონებადაბნეულმა სამშობლოს მოღალატემ ოსმალოს ლაშქარი გადაიყვანა სწორედ იმ მთებს შუა მოქცეულ ვაკეზე, სადაც გამაგრებული იყო მეფე სოლომონი. ზურგის ჯარის უკანასკნელ ენგიჩარს გავლილი ჰქონდა ამ მთებს შუა შესავალი დასავლეთის ბუნებითი კარი, წინა რაზმი კი ის იყო გადიოდა აღმოსავლეთით გასავალ ხევში, რომ მთებიდან ირგვლივ, როგორც ერთი ლულიდან, ისე გავარდა რამდენიმე ათასი თოფი... ბევრი ვაჟკაცი მოცელილი ბალახივით ჩაიკეცა მტრის რაზმებში, წინა რაზმმა მიაშურა უკანას, უკანა ეძგერა მეწინავეს... აირია ლაშქარი! მთებიდან მოდიოდა ტყვიების სეტყვა და სანამ ოსმალები გონს მოვიდოდნენ, მათი რიგები ძალზე შეთხელდა. სცადეს გაქცევა, მაგრამ გზა ყოველი მხრით შეკრული ჰქონდათ. იარაღის დაყრის და დამორჩილების მეტი რაღა დარჩენოდათ, მაგრამ ეს გულშიაც არ გაუვლიათ, ისეთი ვაჟკაცები იყვნენ. თითოეულმა ენგიჩარმა თითქოს უთქმელად, თავის გულში გადაწყვიტა, ცოცხალი არ დანებებოდა და რაც შეიძლებოდა ძვირად დაესვა ქართველებისთვის თავისი სიცოცხლე.

აბაშიძის რჩევით, სერასკირმა მიუშვა ჯარი იერიშით სწორედ იმ ადგილას, რომელსაც ჭკუათამყოფელი კაცი უმალ გაეცლებოდა. ეს იყო იმ მიდამოში მეტად დაქანებულკალთებიანი უმაღლესი მთა. მწვერვალზე ბრძანდებოდა თვით მეფე თავისი ამალით.

მეფის ამალას შეადგენდნენ ომში ნაცადი კაცები, ათასნაირი გაჭირვების ქარ-ცეცხლში გამოვლილნი. არც ერთი საბრძოლო უცაბედობა, სხვებისთვის გასაოცარი, მათთვის საკვირველს არას წარმოადგენდა, მაგრამ ამ კადნიერმა იერიშმა, სასიკვდილოდ განწირულთაგან თავზე ხელაღებით მიტანილმა, ისინიც კი წამისად შეაცბუნა და გააშტერა. პირველად გავარდა მეფის თოფი და შემდეგ იქუხეს ამალის თოფებმა. ოსმალთ რაზმს აკლდებოდა იმდენივე მეომარი, რამდენი თოფიც სოლომონის მეომრებისაგან იცლებოდა, რადგანაც ისინი ესროდნენ მტერს ნიშანში ამოღებით, სასროლ მანძილზე ზევიდან ქვევით.

ოსმალნი მაინც შეუდრეკელად ადიოდნენ მთის ფერთობზე,

მოცელილი რაზმის წილ ჩნდებოდა ახალი რაზმი. მათ სიმრავლეს ვერ აუდიოდა მეფის ამალის ტყვიები. რამდენიმე წამის შემდეგ ოსმალონი მაინც აფოფხდნენ მთაზე და ხელდახელ დაერივნენ მეფის მხლებელთ.

ამ დროს ერთი ვიღაც ოკრიბელი გლეხი, გვარად ბრეგაძე, ტანადი და დიდი ხმის მქონე, ავიდა უზარმაზარ მუხაზე და გრგვინვით გადმოსძახა მთელს იმ არემარეს.

— გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახდა თათარიო!

ამ გადმოძახებამ გაამხნევა მამულის დამცველნი და შეაძრწუნა მტერი. მეფეს დანარჩენი ჯარი მოეშველა ამ სახიფათო ადგილს.

მეფის დროშა ხელთ იგდეს აბაშიძის მარგველებმა, რომლებსაც, როგორც იმერლებს, ქართულადვე ეცვათ, იმ აურზაურში მეფის მცველებმა თავისიანებში ვერ გაარჩიეს და ახლოს მიუშვეს დროშასთან. იგდეს თუ არა ხელთ დროშა, იმწამსვე გადასცეს იგი აბაშიძეს და იმან კი მიართვა იგი სერასკირს, რომელიც უკვე ღალატს სწამებდა სამშობლოს მოღალატეს.

— ჩემს თამარს მივცემ ცოლად, ვინც იმ დროშას გამოიტანს!— გასძახა თავის ჯარს სოლომონმა.

საუკეთესო ჭაბუკები, ცალკე სახელისა და ცალკე ფასუთქმელი ჯილდოს შოვნით გატაცებული, შეეჯიბრნენ ერთმანეთს, საარაკო მამაცობით შეიჭრნენ მტრის ჯარის შუაგულში.

სულ მოკლე ხანში დროშა მოართვა მეფეს გურიის ერისთავმა. ბრეგაძე კი მუხიდან სულ გასძახოდა:

— გაიმარჯვა იმერეთის მეფემ, წახდა თათარიო!

ლევან აბაშიძე ცხენდაცხენ თოფით მივიდა იმ მუხასთან, რომ ბრეგაძე მოეკლა. ბრეგაძემ უმალ დაინახა აბაშიძე, იცნო და, რაკი იცოდა, რომ ქვეყნის მოღალატე იყო, დაასწრო, ჰკრა თოფი თავის ქალაში და იქვე სული გააფრთხობინა.

ერთმა ოდიშელმა მხედარმა, გვარად ლოლუამ, შეიპყრო თვით სერასკირი და მეფეს მიჰგვარა.

სერასკირის ცოცხლად შეპყრობამ ენგიჩართა დანარჩენ ჯარს გული გაუტეხა და იარაღი დააყრევინა.

გამარჯვება სრული იყო.

მეფე დაბრუნდა თავის კარვის წინ. ლაშქარმა იწყო მეფის წინაშე მისალოცად დენა რიგ-რიგად. ოდიშისა და გურიის მთავრების შემდეგ მიულოცეს შიდა იმერლებმა, შემდეგ გურულებმა და ოდიშარებმა. ყველას მოჰყავდა მათ მიერ შეპყრობილი მხარგაკრული ტყვეები, მოჰქონდა ნაშოვნი იარაღი, დროშები და სხვა ნადავლი.

ბრძოლის ველზევე გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ მეფემ გაიხსენა და მოიკითხა თავადი როსტომ ნიჟარაძე.

ეს როსტომ ნიჟარაძე ყოფილა მეფის საყვარელი კაცი, გამოსარჩევი თვალ-ტანადი იყო თურმე. მშვიდობიანი ხასიათისას და ზნისას იმისთანა თვალები ჰქონია, ღამით ისე ხედავდა თურმე, როგორც დღე. მაგრამ ერთი ისეთი თვისებაც სჭირვებია, რომ თითით საჩვენებელი ყოფილა: ნამეტანი მფრთხალი იყო თურმე.

ხრესილის მთელი ომი ისე გათავდა, ის სადღაც იმალებოდა, მეფის ამალის ზურგს უკან.

კარისკაცებმა, როგორც იქნა, მოძებნეს, გამოიყვანეს შეშინებული როსტომი ტყიდან და წარუდგინეს მეფეს.

— არა გრცხვენია, როსტომ, ასეთ ომში შენი თავი გვერდით არ მახლდაო? — უთხრა მას მეფემ.

როსტომმა თავი ჩაღუნა.

მეფემ მიიბრუნა ნაწყენი სახე და გასცა ბრძანება მიეყვანათ მის წინაშე ის ბრეგაძე, მუხიდან რომ ბრძოლის ველს გასძახოდა. ბრძანება მყისვე აასრულეს.

— ბრეგაძე! შენმა დღევანდელმა ძახილმა ბევრ ვაჟკაცს გაუმხნევა გული. ამიტომ მიბოძებია შენთვის, შვილთა და მომავალთა შენთათვის ჩემი ტახტის აზნაურობა, ახლა კი ეს ამისრულე: ადი იმავ მუხაზე და გადასძახე: გაიმარჯვა საქრისტიანომ აგარიანებზე, აღივსო ყოველი ქრისტეს მოსავი მხედარი სახელითა და დიდებით, თავსლაფი დაესხა მარტო როსტომ ნიჟარაძეს!

ბრეგაძემ ისე გულმოდგინედ შეასრულა მეფის ბრძანება, რომ ამბობენ, სოფელ საწირეშიაც ისმოდა მისი ხმაო.

მწარედ შეწუხებულ როსტომს მიუახლოვდა მაშინ სიმონ წერეთელი და უთხრა:

— თქვე დალოცვილებო, რად მოგდგამთ ნიჟარაძეებს ასე, რომ ყოველთვის:

იჯგიმებით ლხინში
და იბღენკებით ჭირშიო?!

თავისუფლებისათვის

მამუკა ქალუნდაურის ხმალი

ზურაბ ერისთავს ხშირად ულაშქრია ხევსურეთში.

ერთხელ შეუყრია თავისი ჯარი, წამოსულა საომრად ხევსურეთში, მაგრამ ხევსურთაგან ჭირის მეტი არაფერი უნახავს. გადმოსულა ფხიტურის გადასავალზე, გამოუვლია ოხაურზე, მოუყვანია თავისი ჯარი როშკის გორაზე. დიდგულად მოსულა ზურაბი. მაშინ ნათქვამი სიმღერაა:

ფხიტურ მავიდეს წერონი, მაშვრალნი შორის გზისანი,
როშკას აწიწდეს ციხენი, ბლოს ბანნი ქვიტკირისანი:
ეშინის, დაგვეცემიან ნაზლობნი[1] საძელისანი.
ზურაბ როშკის გორ ჩამაჯდა, შუქნ ჩამუტივნა მზისანი.
სანეს შაგროვდეს ხევსურნი: ვართ პატრონ ადგილისანი.

ზურაბს ხევსურთაგან ბეგარის აღება გადაუწყვეტია, ისევე, როგორც სხვებზე ყოფილა დაჩვეული. მას ბევრი ვერ უმკლავდებოდა, მძლე მეომარი ყოფილა. ხევსურთა შორის მხოლოდ მარტია მისურაული, ბერდია მამუკაური, ხირჩლა ბაბურაული და ხოშარეული ყოფილან ზურაბისა და იმის ლაშქრის ხელის შამქცევნი, სხვა ვერავინ ეწონებოდა.

ამ ლაშქრობაში კი, ზურაბის წინააღმდეგ ბრძოლაში, თავი უსახელებია მამუკა ქალუნდაურს.

ეს გუროელი ქალუნდაური ზის თურმე ხოფლის ბოლოში დაყანაში ხიფხოლას[2] თხრის. ქალუნდაურის ხმალი თურმე ნაწილიანი ყოფილა და რა დღესაც ქალუნდაურს გამარჯვება ელოდა, ქარქაშიდან ამოიწევდა თურმე. ამით აგებინებდა პატრონს გამარჯვების.

---

[1] კლდის ნაშალი.

[2] მიწის ვაშლივით მცენარეა, საჭმელი.

დღეს. ქალუნდაური სადაც უნდა ყოფილიყო, მაინც იგრძნობდა ხმლის ქარქაშიდან ამოწევას — სხვანაირად გახდებოდა.

იმ დროსაც, ხიფხოლას რომ თხრიდა, უგრძვნია ხმლის ამოსვლის ნიშანი. ამდგარა, მოსულა შინ. შეუხედავს ბოძზე დაკიდებული ხმლისათვის და ნახევრამდე ამოწეული უნახავს. უფიქრია ქალუნდაურს: ნეტავი რა ამბავია, სად ვის რა უჭირს, საითკენ არის საჭირო წასვლაო?

გამოსულა კარში ქალუნდაური, თავის სოფლელ ბაჩაყაურისათვის დაუძახია:

— ბაჩანაო, რა ამბავიავ, რომავ ხმალი ასავ ნახევარშიამდი ამაგებულივ? სად რა ვის უჭირსავ, არ იციაევ, საითკე მაწევსავ ეს ხმალივ?

ბაჩაყაურს უპასუხია:

— არ ვიცივ, ქალუნდაურო, მარტო ხევსურთ კი ამბობენავ, ზურაბის ლაშქარიავ შამასულივ.

— აბა, მეტ გაჭირება რაიღ იქნებისავ? — უთქვამს ქალუნდაურს, — ხო ვიცივ. ზურაბის ხასიათივ, არას შაარჩენს ხევსურთ, ჩქარა თუ არ მივეშველევ.

— ძალიან სიმთხილე კი გინდავ, თორე ძალიან ეშმაკ მეომარიავ, ზურაბივ, მაგკლავსავ.

— რაიც იქნების, იქნებისავ, — გადაუძახია ქალუნდაურს, — მგონავ, რო გავიმარჯვებ, გამარჯვება რო არ მელოდას, ჩემ ხმალ არ ამაიწევდ ქარქაშიდანავ.

მობრუნებულა შინ, შემოსულა ჭერხოში, აუსხამს იარაღი, ჯაჭვ-ჩაჩქანი, გადაუკიდია ხმალი და უთქვამს: აბა, ჩემო ხმალო, ახლა შენ იცი, რახელც წამგვარი საქმესაო!

წამოსულა მამუკა, სხვა მთას იქითელებიც წამოსულან ზოგ-ზოგები. ბორბალოს მთაზე რომ ამოსულა ეს მამუკა ქალუნდაური, გადაუხედავს ხევსურეთისათვის და უნახავს სანეს ხევსურთა და ზურაბის ლაშქარნი. გადმოფრინდა მაშინ ქალუნდაური სანისაკენ. მამუკა ქალუნდაური ნაწილიანი ყოფილა: როდესაც სადმე სალაშქროდ გაემართებოდა, წინ ვარსკვლავივით გაუძღვებოდა თურმე სვეტი შუქისა. მაშინაც ისე გასძღოლია წინ შუქი. ზურაბს რომ ამოუხედავს, დაუნახავს მთისაკ მომავალი ქალუნდაური, ადგილზე ვეღარ გაჩერებულა. შეშლილა, უთქვამს ხევსურთათვის:

— ის რა კაცი მოდის, რომ წინ ვარსკვლავი მოუძღვებაო?

ხევსურთ უთქვამთ:

— ჩვენ არ ვიცითო.

ზურაბს უთქვამს ლაშქრისათვის:

— ჩვენ ის კაცი კარგს არას დაგვაყრის, თუ ჩქარა არ წავედითო.

აუყრია მაშინვე ლაშქარი ზურაბს და გაქცეულა თავისი ჯარით. ქალუნდაური ჩქარა მისწევია ზურაბის ლაშქარს ბეკენის გორის ძირში, წყალთან, მაგრამ თვით ზურაბი წასვლოდა, გაქცეულიყო, ვეღარ ჩაეგდო ხელში. იმის ლაშქარს კი სცემია ხმლით. მოუკლავს ერთი, მერე მეორე, მესამე, ასე რომ თორმეტი ერთბაშად მოუკლავს. მეთორმეტესათვის რომ შემოუკრავს ხმალი მამუკა ქალუნდაურს, მაშინ ეს მეთორმეტე მოკლული კაცი წყალში ფეხ-აღმა ჩაყუდებულა: შესწვდა ღმერთს იმდენი ხალხის ცოდვა და ჩაეგო ხმალი მამუკა ქალუნდაურს. შეღაღადა ღმერთს:

— ღმერთო, შენ ნუ გამიწყრებიე! მეტს აღარ მავხკლავავ!* მაშინ ჩაუგია ხმალი ქალუნდაურს და ზურაბის დარჩენილ ჯარისათვის უთქვამს:

— მშვიდობით, ხელი მოგემართოთ! ღმერთმა აღარ მომცა თქვენი დახოცვის ნებაო, — და იმ ადგილას გზისპირად სამანი ჩაუგდია. უთქვამს თურმე, — ვინც ჩემი სიკვდილის დღეს ამაზე მგზავრი აივლის და ჩამოივლის და ამ სამანთან სამ ყანწს არაყიანს არ დალოცავს, ამ ჩემი ხმლის ცოდვა ეკიდოსო, რაც ჩემს ხმალს ცოდვა უქნია და ხალხი მოუკლავსო.

მაშინ არის ნათქვამი:

მაუვლენ მთას იქითითა ნაპირის ადგილისანი,
მამუკას ქალუნდაურსა თან მახყვეს შუქნი მზისანი,
ბეკენთ გორ ჩამაეწივა, ჭრნა ლაშქარნ ზურაბისანი.
ამანდით ამაბრუნვილმა სამანნ ჩახყუდნა ქვისანი:
ვაჟამ ქნას ყველამ აესრა, ვინც ლახნას აეს ქვიშანი,
ვინც ამას გადასცილდების, ცოდვან ეკიდნან ხმლისანი.

გლეხთა დამცველი ლაზნელები

XVIII საუკუნეში საქართველოს მებატონეებმა მეტისმეტად დაუწყეს დევნა და შევიწროება თავიანთ გლეხებს. მუხრანბატონები და ამილახვრები ძალიან გაძლიერდნენ. ხმის გამ-

* ხევსურეთში ძველ მეომართ წესად ჰქონდათ: თუ ხმლით ბრძოლის დროს მოკლული კაცი ფეხ-აღმა დაეყუდებოდა, მაშინ ბრძოლა აღარ შეიძლებოდა: ღმერთს აღარ სურს სისხლიო.

ცემი არავინ ჰყავდათ: გლეხებს ოცობით და ორმოცობით ჰყიდ-დნენ.

ამილახვარი ერთი თავისი ყმის ცოლს ძაღლის ლეკვებს ძუ-ძუს აწოვებინებდა. ქმარმა მოუსწრო. ბატონთან ჩხუბი მოუვიდა, ბატონმა ყმა აკუწა და ცოლი კი სათათრეთში გაყიდა...

აი, ამისთანა დროს, როდესაც ეს უბედურება ხდებოდა ჩვენში, გამოვიდნენ გმირი ძმები ლაზნელები, რომლებიც ამგვარ საქმეებს წინააღმდეგობას უწევდნენ.

ეს ლაზნელები იყვნენ შვიდნი ძმანი, ცხოვრობდნენ ზემო ქართლ-ში. მათთან პოვებდა თავშესაფარს ყველა ბატონისაგან გაქცეული და დევნილი ყმა. ესენი იყვნენ გლეხების მფარველნი და წინამძღვარნი. ბევრი, ბატონისაგან გაჭირვებული და ნამტირალევი ქალი და კაცი, გადახვეწილა მათთან, ბევრი თავმომწონე ბიჭი გავარდნილა სახ-რის ქვეშიდან და ამათ მისაფრებია. ესენი ამხნევებდნენ, ეუბნებოდ-ნენ გლეხებს: აი, თქვე ლაჩრებო, თქვენო, ბატონები რომ სახრეს გირტყამენ, განა თქვენ კი ხელები არ გაბიათო! ეგენი ვერაფერს შეძლებენ, თუ თქვენ, ყმები, პირობას შეკრავთ და აღუდგებით წინაო.

ამგვარ ხშირ ქადაგებას აუღელვებია გლეხები და ერთ გლეხს თავისი ბატონი ღამე ხანჯლით მოუკლავს. ბატონს ამ გლეხის და მოუტაცია. გლეხი მიპარულა ღამე ბატონის სახლში, ბატონი მო-უკლავს ლოგინში, თავისი და კი ლაზნელებთან წაუყვანია.

ამ ამბავს მთელი ქართლის თავადები შეუშფოთებია. უთქვამთ, დღეს ეს ბატონი მოკლა გლეხმა, ხვალ ჩვენი გლეხები უარესს გვიზამენო.

პირობა შეუკრავთ, შეუსყიდიათ რამდენიმე ასეული თავიანთი ახლო ნაყმევი, რომლებიც ერთ ღამეს მძინარე ლაზნელებს დას-ცემიან თავს.

ლაზნელებს გამოღვიძებიათ, შეიარაღებულან. ექვსი ძმა გად-მომხტარა ციხიდან, ცოლებიც გადმოჰყოლიათ. ხანჯლებითა და ხმლებით დარევიან მოსულ მტერს, მაგრამ ამოდენა ხალხში რას გააწყობდნენ! ექვსი ძმა აქვე დაუხოცავთ.

ამ დროს ამ მეშვიდე ძმას შეუძახია ცოლისთვის:

— არიქა, საქმე გაჭირდა. მეც უნდა გადავხტე ციხიდანო!

ცოლმა მიუგო თურმე:

— მაგათ ხელში ნუ ჩაგვყრი, ჯერ მე გამომჭერი ყელი, მერე შენს პატარა შვილებს, მერე დედაშენს და ისე გადახტიო!

მოხუც დედას ტირილი და მუდარა დაუწყია.

— ჯერ მე მომკალი, მერე ცოლ-შვილი დახოცე, რომ მე არ ვნახო მათი სიკვდილიო.

ვაჟმა დედას, ცოლსა და შვილებს ხანჯლით მოუსწრაფა სიცოცხლე და თვითონაც გადაერია მოსულ მტერს. იქვე მოკლეს ისიც.

არეშიძეების გაწყვეტა

არი არეშიძესაო,
ჯარი ჯაფარიძესაო,
თუ ბატონობა მოისპოს,
დარჩეს ლობჯანიძესაო.

ძველად, ხომ იცით, წესი იყო: ქორწილის ღამეს მექორწილე ქალს, დედოფალს, ბატონს მიჰგვრიდნენ. ამიტომ იყო, რომ ჩვენში ნეფე-დედოფალს ყველასთან ერთად არც დასვამდნენ; ცალკე გაიყვანდნენ ხოლმე და თუ ბატონი ინებებდა, ქალი მისი იყო.

ერთმა ღებელმა ზვიადა ლობჯანიძემ ცოლი არ ითხოვა.

— რატომ არა თხოულობ ქალსაო? — ეკითხებიან ამ ზვიადსა.

— ვითხოვო და ბატონს გავუგზავნოო?

კაცი უნდა კაცი იყვეს
შიშით არ იკრუნჩხებოდეს,
ცოლები მოგყავთაო,
მიგყავთ ბატონთანაო,
დედაკაცები გამხდარხართ,
ქალის ჩიქილით დახვალთო!

დრო არის ამ თავად-აზნაურებს ჭკუა ვასწავლოთო.

გაიმართა სჯა-ბაასი, რა ვიღონოთო.

სამნი ძმანი იყვნენ არეშიძეები, ღების ბატონები. დევ-ციხე ერქვა მათ სადგომს. ჰყავდათ მოურავი, სახელად გაგნია.

ზვიადა ლობჯანიძემ თქვა:

— გავმართოთ ქეიფი, მოვიპატიჟოთ გაგნია, მოვისყიდოთ და ამოვწყვიტოთ მისი დახმარებით არეშიძეებიო.

ღებელთაც დასცეს დასტური,
მოიპატიჟეს გაგნია,
მიართვეს ღვინო და პური.
შეზარხოშებულ. გაგნიას
ღებელთა უთხრეს ყოველი,
ფიცი მოსთხოვეს ცხოველი.

გაგნიამ თქვა: არეშიძეებს სანადიროდ გავიტყუებ ღების მახლობლად, წინჭალის ხიდზე ამოწყვიტეთო. ღებელნი იმ ხიდის კურტნებში[1] ჩასაფრდით და არეშიძეები ხიდზე რომ შედგებიან, ისრები დააყარეთო. ხელი არ აგიჩქარდეთ, მე არ დამკრათო.

წავიდა მოურავი არეშიძეებთან. ბატონმა ჰკითხა:

— რა ამბავია სოფელშიო?

— ბევრი ნადირი ყოფილა ტყეში, ბატონო. არ იქნება, მონადირემ არ მოკლასო.

— სიზმარი ვნახე ცუდი და მეშინია სანადიროდ წასვლაო, — უთხრა არეშიძემ.

— სიზმარი არაფერია...

— ისრები დაგვიშინეს, სიზმარში სისხლში ვცურავდიო.

— ეს დიდი ნადირის ნიშანიაო.

— ძალიან კარგი, მაგრამ ეს სიზმარი მემძიმებაო.

დაიყოლია მოურავმა ნებას და წაიყვანა ორი ძმა არეშიძე სანადიროდ.

წინჭალის თავზე მივიდნენ თუ არა, დააყარეს ისრები ჩასაფრებულმა ღებელებმა. ერთი ძმა იქვე მოკლეს, მეორე წყალში გადახტა.

რივნის მორევში გადახტა,
შველა შესთხოვა ღმერთსაო.

ბიჭები გამოეკიდნენ, მაგრამ ბატონმა კარგი ცურვა იცოდა და მიაპობდა წყალს. ღებელებმა ესროლეს ისრები, მაგრამ ვერ მოახვედრეს. ბატონმა ცურვით მიაღწია ღებამდე. მაცხოვრის ეკლესიასთან ქალებმა შენიშნეს და ერთ მოხუცს, გულითად გავაშელს მოუტანეს ამბავი (დანარჩენი კაცები ხიდთან იყვნენ).

ეს მოხუცი კაცი ადრე დიდი მოისარი ყოფილა, ახლა კი დავრდომილი, ჩელტზე იწვა.

---

[1] კურტანი — ბურჯი.

— რა ამბავია, რა უნდა იმ ხალხს, რიყეს რომ მისდევენო? — იკითხა მოხუცმა.

— ასეა და ასე, არეშიძეაო, გამოექცა ჩვენებსო.

— ამწიეთ ამ ჩელტით და მიმიტანეთ ბექის პირზე. მშვილდ-ისარი მომეცითო.

მიაყენეს ნაპირს, მომართა მოხუცმა მშვილდი, ესროლა ისარი და მოკლა.

გაიგო ეს ამბავი არეშიძეთა მესამე ძმამ, სოფელში გადმოსვლა მოინდომა და მოადგა რიონს. ღებელებმა ხიდი ჩააგდეს, რომ ბატონი არ გამოსულიყო.

გაღმა ნაპირს ერთი ბებერი ქალი მოადგა ცხენით. შეეხვეწა ბატონი: გამიყვანე გაღმაო. შემოისვა ეს კაცი ბებერმა ქალმა. შუა წყალში რომ შემოვიდა, მოეხვია დედაბერი ამ კაცს და გადაიყოლა წყალში. ორივე დაიხრჩო.

ასე დაუბარებია ბებერს: რომ მოვკვდები, ერთი მოსახსენებელი ტაბლა ჩემთვის დადგითო.

მართლაც, ასე კეთდებოდა ყოველთვის. სამი ტაბლა იდგმებოდა ძველად: მამისა, ძისა და სულისა წმინდისათვისა და დგამდნენ ჩვენში მეოთხე ტაბლას იმ ბებრის სულის მოსახსენებლად.

ასე მოიპოვა თავისუფლება ღებმა.

ყაფსოღ გოშთელიანი

დადეშქელიანები მძლავრი თავადები იყვნენ. გოშთელიანები — აზნაურები. მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში. ოთარ დადეშქელიანს განზრახვა ჰქონდა, შეეპყრო ყაფსოღ გოშთელიანი.

ერთხელ, ყაფსოღს გზაში დაეცნენ ოთარ ფუსტის (ბატონის) მხლებლები, შებორკეს და მიჰგვარეს დადეშქელიანს.

ოთარ ფუსტი თავის ამალას შეეკითხა:

— ვინ იკისრებს ყაფსოღის წაყვანას ჩერქეზეთში გასაყიდადო?

წამოდგა წინ მურზა ყალაბეთში:

— ოთარ ფუსტ! მე მომანდე მაგის გაყიდვა. მხოლოდ ორმოცი კაცი გამაყოლეო.

ყაფსოღმა ოთარ ფუსტს უთხრა:

— თუ მურზამ ჩემი გაყიდვა შეძლოს და საფასური მოგიტანოს,

ჩემი სახლ-კარი მისთვის დამილოცნია, თუ ვერა და, მისი სახლ-კარი ჩემი იყოსო.

შებორკილი ყაფსოღი გაამგზავრეს ჩერქეზეთისკენ.

ციცხვარის ქედს რომ მიაღწიეს, დაღამდა და დაბინავდნენ. დაანთეს კოცონი. ყველა ძალიან დაღლილი იყო. მურზამ თავის ამალას უთხრა:

— თქვენ ყველას შეგიძლიათ დაიძინოთ. ყაფსოღს მარტო ვუყარაულებო.

შუაღამეს გადასცილდა. ყალაბეთში მურზა ცეცხლთან იჯდა. ლეკური ხმალი წინ დაებჯინა. ბოლოს იმასაც ჩათვლიმა. ყაფსოღმა იხელთა დრო, გადაიხარა, პირით ცეცხლწაკიდებული შეშა აიღო, გადმოიტანა, ხელებს უკან დააგდო და ბაწარი გადასწვა. ასე გაითავისუფლა ხელები. შემდეგ გაიხსნა ბორკილი ფეხზე, მაგრამ ისევ მწოლიარეა, ისვენებს. მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ყველას სძინავს, მურზასაც მაგრად ჩასძინებოდა. ადგა, მურზას ხმალი ამოიღო, მოუქნია და თავი გააგდებინა. მკვირცხლად გვერდზე გადახტა და დაიყვირა:

— მურზა, დროა გაიღვიძო, ყაფსოღ გაქცეულა!

მურზას ამალა გამოფხიზლდა, დაბნეულად აიშალნენ, გადახედეს მურზას. მისი თავი ცეცხლთან ეგდო. დაიბნენ და ვერ გააკვლიეს გზა, საით გაჰკიდებოდნენ ყაფსოღს.

ყაფსოღმა დადეშქელიანების სასახლისაკენ გამოსწია. ოთარ ფუსტის ეზოში შეიჭრა, ბატონის ყველაზე უკეთესი ულაყი აირჩია, შემოახტა და დაიძახა:

— ოთარ ფუსტ, გამობრძანდი გარეთ, მურზა ყალაბეთში ჩერქეზეთიდან დაბრუნდა, გოშთელიანის საფასური მოგიტანაო.

ეს რომ ოთარ ფუსტმა გაიგონა, მაშინვე გადასძახა:

— ვიცი, ყაფსოღი ხარ, გოშთელიანი, შენი ხმა ვიცანიო! დაიცადე, საჩუქარი უნდა მოგართვაო.

— შენი საჩუქარი არა მჭირდება, მე თვითონ ამოვირჩიე შენი საყვარელი ულაყი. მაგიერს მოგიძღვნი მომავალშიო.

გამოეშურა ყაფსოღი შინისაკენ. მიადგა დაკეტილ სახლს და დაიძახა:

— დედაჩემო, კარი გამიღეო!

დედამ გამოიღვიძა, მორთო ტირილი:

— ისე ღმერთმა გიშველოს, როგორც მე დამრჩა დედის მთქმელიო.

— დედაჩემო, მე ვარ, შენი შვილი, კარი გამიღეო!

— არცა მჯერა, არცა მყავს დედის მთქმელი, ის შორს წაიყვანესო.

— დამიჯერე, დედაჩემო, მე ვარ შენი შვილიო.

— თუ ჩემი შვილი ხარ, ხელი კარში შემოყავი და მიჩვენეო.

ყაფსოღმა სცადა, მაგრამ მისი მსხვილი მკლავები კარში არ შეეტია.

— დედაჩემო, ხომ იცი, მსხვილი მკლავები მაქვსო.

მაშინ დაუჯერა დედამ და გაუღო კარი. მივარდა დედას. იცნო დედამ, იკივლა და დაეცა მის მუხლებთან. გადაეხვია შვილი დედას და შუბლი დაუკოცნა. მოასულიერა გულწასული და უამბო თავისი თავგადასავალი.

სახევოების ბრძოლა

ძველად სვანეთის სახევოებს ბრძოლა ჰქონიათ. მულახის მეთაური ფოდაანთ ფუთა ყოფილა. უღვირის გადასავალის ზევით მეთაურად გუქარაანთ ყიფიანი ჰყოლიათ. უღვირი და მულახი ბრძოლაში ერთმანეთს მხარს უჭერდა, ერთიანდებოდა. ნაშოვარი უღვირის ზეითელებისა იყო, სახელი კი მულახელებისა.

გიგო გალფხანს შემოადგა მტერი ქვემო სვანეთიდან, ეს იყო ბერი გელოვანი. გიგო გალფხანმა გადაიცვა თხის ტყავი და ვითომც მწყემსი იყო, ისე გაერია გელოვანის ჯარს.

ბჭობენ ბერ გელოვანი და მისი მხლებელნი. ბჭობენ გიგო გალფხანის ღალატს და მის ამოწყვეტას.

წამოვიდა გიგო გალფხანი, ორი ცხენის საპალნე ღვინო წამოიღო, ხარი წამოიყვანა, მულახის მაცხოვრის ეკლესიასთან ხარი მიაბა ძღვნად და ღვინო შესწირა. თვითონ შევიდა ნათესავთან და დარჩა იქ დილამდე.

დილით მულახის მახვშვმა ფოდაანთ ფუთამ დაინახა ეკლესიასთან მიბმული ხარი და დაგორებული ღვინის ტიკები.

გაიკვირვა, ვინ გააკეთა ეს საქმეო. შეიკრიბა მულახ-მუჟალის მოსახლეობა. გამოვიდა გიგო და შემოავედრა თავი: ბერ გელოვანი მომადგა ჯარით, დახმარებასა გთხოვთო.

გაგზავნეს მაცნე ყიფიანთან, შეაერთეს ჯარი და წავიდნენ ჩოლურისკენ. მრგვალ სათიბში, ჩოლურაში, დასადგურდნენ. ბერ

გელოვანს მოციქული გაუგზავნეს: გაბრუნდი, გიგო გალფხანს თავი გაანებე, თორემ ავი მგზავრობა გექნებაო.

ბერ გელოვანმა შემოთვალა: სვანების ძაღლებისა მე არ მეშინიაო და გააბრუნა მოციქული.

სამჯერ გააგზავნეს მოციქულები და სამჯერ გააბრუნა. ადგნენ იმ საღამოს სვანები და მდინარის პირას, რიყეზე, ცერცეი დაყარეს.

მეორე დღეს დაიწყეს ცერცვის კრეფა და ჭამა. გამოიხედა ბერ გელოვანმა და გაუკვირდა.

— რასა კენკავთო?

— რასა და კენჭებსა ვჭამთ, მტრის ტყვია ვეღარაფერს დაგვაკლებსო.

ბერ გელოვანის ჯარმა ეს რომ გაიგო, ზოგი აღმოსავლეთით გაიქცა, ზოგი — დასავლეთით.

უშგულელთა შურისძიება

დადეშქელიანებმა მოინდომეს თავისუფალ სვანეთზე გაბატონება, მაგრამ თავისუფლებას შეჩვეულ სვანებს ქედი ვერ მოახრევინეს; უშგულელებმა მოკლეს ჯერ ყვარყვარე და მერე ფუთა დადეშქელიანი.

ხალხს უნდოდა, რომ ფუთას მოკვლა ერთ ვისმე არ დაბრალებოდა, ამიტომ მოაგროვეს თურმე თითო მარცვალი თოფის წამალი, ყველამ თავისი თოფის ტყვიას ჩამოათალა და ამ ტყვიების ჩამონათალებიდან ფუთას მოსაკლავად ერთი ტყვია ჩამოასხეს. ამ ტყვიაწამლით გატენილი თოფი შეიტანეს უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში და ტუჩი იქითკენ უქნეს, საიდანაც მოელოდნენ ფუთას მოსვლას. თოფის გასროლაშიც, რომ ყველას მიეღო მონაწილეობა, თოფს ჩახმახზე გამოაბეს გრძელი ბაწარი, რომელსაც ყველა უშგულელმა მამაკაცმა მოჰკიდა ხელი. ამის შემდეგ უშგულელებმა გაუგზავნეს კაცები ფუთას მოსაპატიჟებლად.

ფუთა არ ენდო მოციქულებს და არ დაყაბულდა წამოსვლას მანამ, სანამ არ გაუგზავნეს უშგულის თავკაცის შვილი და ოცი კაცი მძევლებად. ამის შემდეგ ის თავისი ამალით ესტუმრა უშგულელებს.

სადილზე ფუთას მარჯვნით მოუსვეს უშგულის თავკაცი ნასყი-

და, ხოლო მის მხლებლებს — ორ-ორი უშგულელი. როცა ნასყიდამ დათქმული სიტყვა თქვა: ბიჭებო, ახლა წითელი ღვინო დაგვალევინეთო, მაშინვე ეკლესიის გალავნიდან გავარდა თოფი, რომლის ტყვიამ ფუთა გამოასალმა წუთისოფელს. დანარჩენი უშგულელები ფუთას მხლებლებს დაესივნენ და სულ ერთიანად ამოხოცეს. გადარჩა მხოლოდ ერთადერთი კაცი, მაგრამ სოფელ ჟიბიანში მას კოკიჩაშერების ქალები დაესივნენ და ისიც მოჰკლეს.

გაშლილი სუფრა, სადაც ბლომად ეწყო ხორცი, პური, ხაჭაპურები, სისხლით შეიღება.

ფუთას ცოლმა ქმრის მოკვლის ამბავი რომ გაიგო, სთხოვა უშგულელებს, მოკლულის გვამი მაინც დამანებეთო. მაგრამ სანამ მძევლად დატოვებული უშგულის უფროსის შვილი და მისი ამხანაგები არ გაათავისუფლებინეს, მანამდე ფუთას გვამის და მისი მხლებლების გასვენების ნება უშგულელებმა არ მისცეს. ფუთას ტანისამოსი და იმ ბაწრის ნაჭერი, რომელიც თოფის ჩახმახს გამოაბეს მისი მოკვლის დროს, დღემდის შენახულია უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

ქალის ციხე

კახის თავს, ვიწრო ღელეში, ალბათ გინახავთ ქალის ციხე.

იქითკენ, მთის დაქანებაზე მიხვევ-მოხვეული საცალფეხო გზა მიდის. გზა გაფუჭებულია. იქ ამსვლელი ან ჩამომსვლელი ახლა არავინაა.

იქიდან რომ კაცს ფეხი დაუცურდეს, ფრიალ-ფრიალით წამოვა ძირს, დაეცემა და გაცამტვერდება.

უწინ იქ გმირ თორაღას უცხოვრია.

დიახ, ვაჟკაცი კაცი ყოფილა თორაღა, ბატონებისათვის ქედი არ მოუხრია, ის სადგომი მთაში თავისთვის ამოუჭრია და შიგ დამდგარა. ერთი ლამაზი ქალი უთხოვია ცოლად.

ეს ქალი დიდი ვაჟკაცი ყოფილა. თორაღა რომ სანადიროდ წავიდოდა, ამოსასვლელ გზას ქალი იცავდა.

ბატონების მხრიდან თორაღას ბევრი მტერი ჰყოლია. ერთხელ, ბატონი თავის დიდებულებს მოთათბირებია: თორაღა არ მემორჩილება, ხალხს ექომაგება; დაიჭირეთ და აქ მომგვარეთ, თვალები უნდა ამოვშანთო და მისი ხორცი ძაღლებს შევაჭამოო.

ბევრს უცდია თორაღას მოკვლა, თავის გამოჩენა, მაგრამ ვინც იმ გზაზე წასულა, ერთიც არ დაბრუნებულა ცოცხალი: თორაღას და მისი ცოლის ნასროლი ისარი ერთს არ ასცდენია.

თორაღას მომრევი კაცი არ გამოჩნდა. ამ ამბავმა ბატონი დიდად შეაწუხა, დაუძახა დიდებულებს და უთხრა:

— რა მოვუხერხოთ, როგორ მოვიშორთ ეს კაცი?

ვერაფერი მოეგონათ. ამ დროს ეზოდან ყვირილი მოესმათ: ბატონის მეჯოგე. ვირების მწყემსი, ბატონის ნახვას მოითხოვდა. ბატონმა შემოაყვანინა.

— რა გინდა, რატომ მოსულხარო? — ჰკითხა ბატონმა.

მეჯოგემ უთხრა:

— ბატონო, შენი ვირების მწყემსის სიტყვაც მოისმინე. თორაღას იმიტომ ვერა ჰკლავთ, რომ ის ხალხს იცავს, ხალხიც იმის მხარეზეა. ვაეკაცობით ვერავინ ვერაფერს დააკლებს, ხერხით კი მისი დაღუპვა ადვილია, თუ ჩემი უჭკუო ჭკუის გაჭრილს დაიჯერებთო.

— აბა, როგორო?

— ისე, რომ თორაღას ციხის ძირში, ხევის პირზე წვრილი ტყეა, იმის შუა კარგი საბალახოა. თორაღას უყვარს იქ ნადირობა. იმის მოსატყუებლად ასე მოვიქცეთ: ვირს ირმის რქები გავუკეთოთ, ირმის ტყავი გადავაცვათ, სამი დღე-ღამე ვაშიმშილოთ, მესამე ღამეს წავიყვანოთ, აიმ წვრილიანში საბალახოზე გავუშვათ, ერთი კარგი მოისარი იქვე დავმალოთ. დილით თორაღა ვირს დაინახავს, ირემი ეგონება, ჩამოვა მოსაკლავად, ჩვენი მოისარიც ნავაზირებს შეასრულებსო.

ბატონსა და დიდებულებს დიდად მოეწონათ მეჯოგის ნათქვამი.

მესამე დილა თენდებოდა, რომ ბატონის მოისარმა ირმად გადაცმული ვირი წვრილიანზე საბალახოდ გამოაგდო, თვითონ კი ტყეში დაიმალა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ თორაღამ სახლის კარი გააღო, კარიპირზე გამოვიდა, იქაურობა დათვალიერა... საბალახოზე რომ ირემს მოჰკრა თვალი, საჩქაროდ სახლში შებრუნდა, მშვილდ-ისარი აიღო, გარეთ გამოვიდა, საცალფეხო ბილიკს დაადგა. ქვემოთკენ დაეშვა. ირემს თვალს არ აშორებდა.

სწორედ იმ ხანებში თორაღას შვილი შესძენოდა, პატარა აკვანში იწვა, ბალის მარცვალს ჰგავდა სილამაზით. თორაღა რომ გამოვიდა, ცოლიც გამოჰყვა, ყმაწვილიც კარიპირზე გამოიყვანა აკვნიანად. დედა აკვანს არწევდა, თავქვე დაშვებულ თორაღას უყურებდა

და თან თვალს არ აშორებდა დიდ ირემს, რომელიც წვრილიანში ცვრიან ბალახს ძოვდა.

ის იყო მზე ამოდიოდა, მთის წვერებს წითლად ანათებდა, რომ წვრილიანში თორაღამ ისარი სტყორცნა, ირემი წაიქცა. თორაღა მივარდა. ცოლი მაღლიდან აქებდა თავის ვაჟკაცს, ისიც ქვევიდან შეჰხაროდა. ამ დროს აქეთა წარაფიდან ბატონის მოისრემ ესროლა. თორაღა უსულოდ დაეცა მიწაზე.

— გვიღალატესო, — იკივლა ქალმა, აკვანში მწოლიარე ბავშვს აკოცა, აკვანი არტახებით ზედ მიიბა და ერთი კი თქვა: — ვაჟკაცი მოკვდეს, ქალი დარჩესო!? — მაღლიდან ყმაწვილ-აკვნიანად გადმოეშვა უფსკრულში.

შრომა, მშენებლობა

თბილისის დაარსება

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართველების დედაქალაქი მცხეთა იყო. თბილისის მიდამოები გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. ერთ დღეს ამ ტყეში ნადირობდა ვახტანგ გორგასალი. მეძებრეებმა ხოხობი ააფრინეს. ხოხობს მეფის მიმიხო გამოედევნა და მალე ორთავენი სადღაც გადაიკარგნენ. მეფე მხლებლებითურთ მიმინოს საძებნელად წავიდა.

ბევრი ძებნის შემდეგ ნახეს, რომ ორივენი ცხელ წყაროში ჩაფუფქულან. მიმინო თურმე ისეთი სისწრაფით დასცემია ხოხობს, რომ ჰაერში თავი ვეღარ შეუმაგრებია და ბრჭყალებში შეპყრობილი ხოხობითურთ წყაროში ჩავარდნილა.

ეს არემარე მეფემ კარგად დაათვალიერა და ნახა, რომ ამ მშვენიერ ადგილებში დედამიწიდან აქა-იქ ამოჩუხჩუხებდა თბილი და ცხელი წყაროები. მეფეს უთხრეს, ეს წყაროები სამკურნალო უნდა იყოსო.

ვახტანგს ძალიან მოეწონა წყაროებით მდიდარი ეს ადგილები და ქალაქის აშენება ბრძანა. მალე აქ მართლაც გაშენდა ქალაქი და სახელად თბილი წყლების გამო „თბილისი“ უწოდეს. მოკლე დროში თბილისი საქართველოს დედაქალაქად გადაიქცა.

დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებელმა ერთ-ერთ ომში გამარჯვების შემდეგ გადაწყვიტა აეგო დიდებული გელათის მონასტერი. დააყენა მუშები და დაიწყეს შენება.

ეშმაკმა მოინდომა ხელი შეეშალა მეფისთვის ამ საქმეში. კედლები რამდენჯერაც ააცილეს ბალავერს, ის წყეული იმდენჯერ ანგრევდა ღამღამობით. დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ, და არ იქნა, კედლები ბალავერს ვერ ააშორეს. მეფე მიხვდა, რომ მისი ხელის მცარავი ეშმაკი იყო და გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ეშმაკი ხელთ ეგდო.

აიღო ჯამი, ავსო წყლით და დადგა ბალავერის მახლობლად; თვითონ კი კუთხეში მიიმალა და დაუდარაჯდა. კარგად რომ დაბნელდა. სად იყო, სად არა, გაჩნდა ის წყეული და გულმოდგინედ შეუდგა თავის საქმეს. ამ დროს შენიშნა წყლიანი ჯამი და ახლოს მივიდა. უცებ საფარიდან გამოხტა დავითი და ხელები სტაცა. ეშმაკი ჯორად იქცა, მაგრამ გულადი მეფე მაინც არ შეშინდა; ამოსდო ჯორს პირში ლაგამი და სწრაფად მოახტა ზედ.

ამის შემდეგ ადვილად მოათავა გელათის მონასტერი.

გელათის მონასტრის აგებაზე მეფე დავითს დიდი შრომა გაუწევია. წყალწითელადან თავისი ხელით ამოუტანია ორი უზარმაზარი ქვა და მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის ყურეში დაუტანებია. ერთ მათგანზე დღემდე არის ვითომ დავითის მიერ გაკეთებული მზის საათი. დარუბანდიდან ჩამოუტანია უშველებელი კარი და მონასტრის გალავნისათვის შეუბამს. ეს ჯორ-ეშმაკა კი ისევ ემსახურებოდა დავითს. როცა მათრახი მოხვდებოდა, ისეთი სიმწრით ადგამდა ჯორი ფეხს, რომ ყველგან კვალს ამჩნევდა. დღესაც იმერეთში უჩვენებენ ერთ კედელზე ნიშანს, რომელსაც „ჯორის კვალს“, ანუ „ეშმაკის ნაფეხურს“ ეძახიან. ის ორი ვეება ქვა და დარუბანდის კარიც თურმე იმ ჯორით მოიტანა დავითმა.

დავითი ჯორს არ იშორებდა, თავისი ხელით უვლიდა, დაჰყავდა წყლის დასალევად და საძოვრად, რადგანაც სხვას არ ენდობოდა: ეშმაკია, მოატყუებს და გაექცევაო.

ერთხელ მეფეს მოუცლელობის გამო არ შეეძლო თვითონ წაეყვანა წყალზე ჯორ-ეშმაკა. დაუძახა მეჯინიბეს და უბრძანა, ჯორი წყალზე წაეყვანა. ამასთანავე უთხრა: არამც და არამც აღვირი არ წაჰყაროო.

მეჯინიბემ მიიყვანა ჯორ-ეშმაკა წყალზე. ჯორმა დასუნა წყალი, თავი ისევ მაღლა ასწია, ტლინკები ჰყარა და მოჰყვა საშინელ ფრთხვენას.

მეჯინიბემ იფიქრა: საწყალს იქნება აღვირი უშლისო, და წაჰ-ყარა. ჯორ-ეშმაკამ სიხარულით დაიფრთხვინა, წყაროში ჩახტა და გაუჩინარდა.

უფლისციხის აშენება

უფლისციხეში გამოქვაბულია დიდი. მავანი და მავანი სოფლის ხალხი სულ ერთად რომ შეიკრიბოს და იქ შეგროვდეს, ყველას დაიტევს. კლდეში გამოჭრილია ქვაბი, დარბაზები, ოთახები, ქვევრებიც არის იქა, მარნებიც.

კიბე იყო ქვაბში გამოჭრილი. ამ თხრილით ჩავიდოდნენ წყალზე, მტერი რომ შემოესეოდათ. მტერსა ჰგონია, დაიხოცებიან უწყლოდა, იმათ კი წყალთან ჩასავალი აქვთ დაფარული.

ახლა იტყვი, რითი ჭრიდნენ ამოდენა ქვასო? ქვაა ისეთი, წერაქვი რომ დაარტყა, ნამცეცი ძლივს აჰყვება.

ძველად, თამარ მეფის დროს, ასეთი ხერხი უხმარიათ: წერაქვებს რომ დაურიგებდნენ მუშებს, ამ წერაქვის ერთი წვერი სამ გოჯზე ოქროსი იყო — დანარჩენი ფოლადისა იქნებოდა. იცოდა მუშამ, რომ დალევდა ფოლადს მუშაობაში — ოქრო მისი იყო. ჰოდა, სცემდნენ ამ წერაქვებს გამალებული... ილეოდა ფოლადი...

ალბათ, მუშის ძალაც ილეოდა, მაგრამ, რასაც ცდილობდა — სამაგიეროდ ოქრო მისი იყო და ეს ქვეყანა შენდებოდა. აი, ეს ციხეები, ქვაბები, კოშკები, სულ ეგრე აშენებულა ძველად.

ოთინკოს აგანო

ბათუმის მახლობლად, სოფელ ბორჩხასთან თამარ მეფის დროინდელი აბანო არის დარჩენილი. თამარ მეფეს ამ ოთინკოს ახლოს, სადღაც, სასახლე ჰქონია. ერთ ზამთარს აქ დარჩენილა საცხოვრებლად. სასახლეში ბევრი მტრედი ჰყოლია.

ერთ დღეს უნახავს, ერთი მტრედი ავად ყოფილა. უბრძანებია თამარს, სახლში არ მოკვდეს, სადმე წაიყვანეთ და გაუშვითო.

მსახურთაც წაუყვანიათ და ეზოს გარეთ გაუშვიათ. გაიარა სამმა დღემ, ეს მტრედი დაბრუნებულა მორჩენილი, მაგრამ მთლად სველი. დაუნახავს ეს თამარ დედოფალს და ძალიან გაჰკვირვებია. უბრძანებია: სადღაც სამკურნალო წყალი უნდა იყოსო.

გაუგზავნია რამდენიმე კაცი სხვადასხვა მხარეს მოსაძებნად და მართლაც უნახავთ, ცხელი წყარო. იმ ადგილას თოვლი მთლად გამდნარი იყო და წყალიც გამოჩუხჩუხებდა. რაც ნახეს, თამარს მოახსენეს. დედოფალს ძალიან ეამა იმ წყლის ნახვა და მპოვნელებსაც დიდი საჩუქარი უბოძა. გაზაფხული დადგა თუ არა, ის აუზი გააკეთებინა, რომელიც დღესაც არის.

მოსწრეგული სიტყვა

ერთხელ მეფე ერეკლე მეორე მიბრძანდებოდა თურმე ქალაქიდან კახეთს და თან, რასაკვირველია, ამალა ახლდა. მზე დაწურვაზე ყოფილა, როცა მეფე საგარეჯოს ბოლოს მისულა, დაუნახავს, რომ ერთ ყანაში დიდძალი მუშა დგას და მკის.

— ეს ამოდენა მუშა ვისიაო? — იკითხა.

მოახსენეს:

— აქ, საგარეჯოში, ერთი შეძლებული გლეხია და იმისი მამითადიაო.

— შაბაშ გლეხსაო, — ბრძანა თურმე და იმისი ვინაობა იკითხა.

მოახსენეს ვინც იყო და ზედ დაატანეს:

— ისეთი ხელმოჭერილი რამ კიაო, რომ პურს არავის აჭმევს, თუ არას გამორჩაო.

შეაყენა მეფემ ცხენი და ბრძანა:

— ის გლეხი აქ მომიყვანეთო.

მოიყვანეს. მეფემ უბრძანა:

— ვახშმად ჩემის ამალით შენი სტუმარი ვარო.

— მობრძანდით, შენი ჭირიმე! — უპასუხა გლეხმა, — მაპატიეთ, აქ სამზადისი არა მაქვს, შინ მეწვიეო.

მეფე დათანხმდა.

გლეხი შეჯდა ცხენზე და ჭენებით წავიდა. ვიდრე მეფე აბრძანდებოდა სოფელში, ჩამოღამდა კიდეც. გლეხი წინ მიეგება, მიიწვია

მეფე სახლის ბანზედ, რომელიც თავიდან ბოლომდე ხალიჩებით მოეფინა. ძალიან კარგად დახვდა თურმე მეფესა და იმის ამალას.

როცა მეფემ ვახშამი მიირთვა, წასვლა დააპირა და ცხენები მოითხოვა. მოართვეს ცხენები. გლეხს მადლი უბრძანა და ზედ დაატანა:

— აკი, შვილო, შენ პურს არავის აჭმევ ისე, რომ არას გამორჩეო?

— მაინც ეგრეა, შენი ჭირიმე! — უპასუხა თამამად გლეხმა, — მართალი მოუხსენებიათო.

— როგორ? აბა, დღეს მე რას გამომრჩიო?

— ამ ბანზე მიწა ახლად დაყრილია, ამის დატკეპნას კარგა მუშა მოუნდებოდა და მე მეტი გამორჩენა რად მინდა, რომ ჩემმა ბედნიერმა ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისი საკუთარი ფეხით ბანი დამიტკეპნესო.

მეფეს მოეწონა ეს მოსწრებული სიტყვა, გაეცინა და ხალათი უბოძა.

წითელი საყდარი

იქ, სადაც საციციანო ტყე თავდება და საჯავახოს ველები იწყება, დიდი ომი მომხდარა. იმ ადგილზე მიწას იმოდენა სისხლი შეუსრუტავს, რომ როცა იქ ეკლესიის შენება დაუწყიათ და ამ მიწისაგან ტალახი აუზელიათ, ტალახს სულ წითლად შეუღებავს ტბის კლდიანებიდან ასაშენებლად მოზიდული თეთრი ქვა. აქედან დარქმევია წითელი საყდარი. იმ საყდარში სალოცავად ისინი მიდიან, ვისაც ომში ვინმე დაჰღუპვიაო.

თამარ მეფე და მისი ძმა

თამარ მეფეს ჰყავდა ძმა, რომელსაც დაენიძლავა: ასეთსა და ასეთ ეკლესიას ჩემი ხელით ავაშენებო.

ძმამ კი უთხრა: — მე ამ მთიდანაო, — თრიალეთის მთისკენ გაიშ-

ვირა ხელი, — წყალს გადმოვაგდებო და მთელ ამ ურწყავ ველ-მინდვრებს სულ მოვარწყვევინებო.

შეთანხმდნენ. თამარ მეფემ დაიწყო ეკლესიის აშენება. ბიჭი კი წავიდა წყლის გადმოსაგდებად.

ერთი კვირა ჯერ არ იყო გასული, რომ ამ ბიჭმა იფიქრა, მოდი, ჩემს დას მოვატყუებო. მოპარვით აიტანა რამდენიმე ლურჯი ტილო, გადააბა ზედიზედ და იმ მთის კალთაზე გადმოფინა.

თამარს ეკლესიის ძირის კედლები უკვე ამოყვანილი ჰქონდა. თვითონ კი მაღლა იდგა ხარაჩოებზე. თავისი ბავშვი აკვნიანად თანა ჰყავდა. ერთი ხელით კედელი ამოჰყავდა, მეორეთი აკვანს არწევდა.

გაიხედა და დაინახა, რომ მთის ფერდობზე ლურჯად რაღაც მოჩანს. იფიქრა: ე, ჩემმა ძმამ მაჯობა და წყალი უკვე გადმოუშვაო.

ეწყინა თამარს, ხელი აუკანკალდა, აკვანი გადმოუვარდა და ბავშვი დაეღუპა. მაშინ დასწყევლა თამარმა ეს ეკლესია: შენამც მოგწევია წყრომიო.

იმის შემდეგ იმ ეკლესიას წრომის ეკლესია დაერქვა, იმ ხეობას კი — ძამის ხეობა.

ხარისა და ირმის შეჯიბრი

ღმერთმა ქვეყანა და ადამიანი რომ გააჩინა, დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რომელი პირუტყვი გამოადგებოდა ადამიანს. დაუძახა ირემსა და ხარს. უბრძანა: გაიქეცით და ვინც უფრო მალე გადაირბენს ცას, იმას დავასაჩუქრებო. ირემმა დაიტიშა და გაფრინდა. უნდოდა, ხარისათვის ეჯობნა. მაგრამ დიდი სირბილისაგან გაიბერა ირემი და მოკვდა. დარჩა მხოლოდ მისი ნაკვალევი ცაზე, რომელსაც ირმის ნახტომი ჰქვია. ხარი კი დინჯად წავიდა, ცოხნით. გვიან მიაღწია, მაგრამ მაინც მივიდა. ხარის ნაკვალევიც დააჩნდა ცასა, რომელსაც ხარის ნავალი ეწოდება. ამის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ხარი, დაულოცა ქედი და მას აქეთ ხარს აწევს ადამიანის შენახვის ტვირთი.

ადამიანმაც დააფასა ეს პირუტყვი, რომელსაც დღესაც ჩვენი გლეხი შეღიღინებს ხოლმე: ხარო, ხარი ვინ დაგარქვა, ხარო, სახე მშვენიეროო.

მაღალ მთებზე აშენებული კოშკები

თამარ მეფეს ხშირად უხდებოდა მგზავრობა. თან ყოველთვის დიდი ამალა ახლდა. ჯერ თურმე ქალები მიჰყვებოდნენ, მერე — კაცები. რა თქმა უნდა, ყველა ცხენით მგზავრობდა. ძველად ხომ ქალებმაც კარგი ცხენოსნობა იცოდნენ.

ყველა ქალს ლეჩაქი ეხურა.

რომ დააპირებდნენ სადმე გამგზავრებას, თამარ მეფე ბრძანებდა და თითოეული ქალი თავის ლეჩაქის ყურში ერთ მუჭა კირს გამოკრავდა ხოლმე. სადმე მაღალ მთაზე რომ ავიდოდნენ, გადახედავდა თამარი და, თუ ადგილი მოეწონებოდა, ბრძანებდა: კირი აქ დაყარეთო. დაგროვდებოდა იმოდენა კირი, რომ დიდი ეკლესიის ან ციხის ასაშენებლად კმაროდა. ახლა კაცებს დააყენებდა მწკრივად, რიყიდან ქვას გამოაზიდვინებდა. ერთი მეორეს გადასცემდა ქვას და ისე აიტანდნენ მთის წვერზე, რომ ადგილს არავინ მოინაცვლებდა. კედლის ამოყვანისას, რაც სიმაღლე ეძლეოდა კედელს, იმდენი გარედან მიწა ეყრებოდა და ამ მიწაზე ადიოდნენ, როგორც ხარაჩოებზე. მშენებლობა რომ გათავდებოდა, მიადგებოდნენ ამ მიწას და გადაყრიდნენ. მაშინ გამოჩნდებოდა შენობა.

ასე შენდებოდა ციხე-კოშკები ამ მაღალ, მიუვალ მთებზე. აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა?! იქ იმოდენა ქვასა და კირს ვინ მიზიდავდა?!

ჯეფირი, ატენი, ტანა და ხოვლე

ყოფილა ჯეფირი, დიდი, მძლავრი კაცი, დიდი ჯანის პატრონი. ცოლიც თავისი საფერი ჰყოლია. წერეთში ცხოვრობდა თურმე. ჯეფირს საწყალი ხალხი ებრალებოდა. ადრე ატენში დიდი უწყლობა ყოფილა თურმე და ხალხი წუხდებოდა მეტად.

ადგა ჯეფირი, კლდეს დიდი ქვა მოატეხა, ვეებერთელა ნაძვები დაჭრა, დაგრიხა, მოაბა იმ კლდეს, ცოლთან ერთად გაათრია და იმითი ხნავდა. ეს ატენის ხეობაც იმისი გამოკვლეულია. თურმე, ტანა, ჩვენი მდინარე, ადრე აქეთ კი არ მიდიოდა, იქით გადადიოდა, სათავის მთებს იქით. განგებ აქეთ გადმოუტარებია გუთანი ჯეფირს და წყალი გადმოუგდია. ხალხიც აქ დაუსახლებია. იმისი სახელის არის სოფელი ჯებირი ატენის შემოსავალთან.

ხოვლელებმა რომ გაიგეს, ატენელებს ჯეფირმა წყალი გაუყვანაო, სთხოვეს, წყალი იმათკენაც გადაეშვა. ჯეფირმა პირობა დაუდო: თუ ყოველდღე შვიდ კამეჩს და შვიდ თონე პურს მომიტანთ სადილ-სამხრად, გამოგიყვანთო.

ხოვლელებიც დათანხმდნენ. დაიწყო ჯეფირმა, თავისი გუთნით კვალი გაჭრა, კარგა მანძილზედაც გაატარა. ძეგამის ხევამდე რომ მიიტანეს ეს კვალი, ხოვლელებმა იფიქრეს, ამას იქით ხომ ჩვენც გაეჭრითო და პირი გატეხეს. ეწყინა ძლიერ ჯეფირს. დაიბარა ხოვლელები და რომ გაიგო მათი გუმანი, აიღო ის თავისი კლდის გუთანი და ჩასჭედა იმ კვალში: აბა, ახლა გაიყვანეთ წყალიო და გამობრუნდა.

მას აქეთ ხოვლელები უწყლოდ არიან. ამ კლდეს აბა, რა მოევლება. ასე დაემართათ ხოვლელებს.

ერთხელ გადმომდგარა თურმე ჯეფირი დანახვისის ქედზე და დაუნახავს, რო ატენის სიონს აშენებენ. დაუძახია თურმე ოსტატებისთვის: ხალხო, ე მაგ ხუხულას რას აშენებთო? რომ გაუგია, საყდარს აშენებენ, სიონსაო, დაუძახია: ხელი აუშვით მაგ ხუხულის შენებას, თორემ თუ გამოვიქნიე ეს ქვა, სულ გავატანინებო.

მუშებს თავი არ დაუნებებიათ. მაშინ ჩამომდგარა რაზმითის ქედზე და ვეება ქვა გადმოუსროლია, მაგრამ ეს ქვა ღვთის განგებას აღარ გამოუშვია და ციცაბოზე გაუჩერებია.

ასეა დღესაც ის ქვა. მას იგორიას ეძახის ხალხი. ის არის ჯეფირის გამოქნეული ქვა. ახლოს რომ ნახო, ბარე სამი კაცის სიმაღლეა. ის იყო და ისა, ჯეფირის ხეირიც წავიდა, მოკვდა. იმისი საფლავიც იქვე არის, რაზმითზე. ქვა აღევს. იმისი საფლავის ქვა რომ ნახო, ჰეი, სამი კარგი ვაჟკაცის სიგრძე იქნება, მაშა!

მაღლის დაღუშავება წედისში

ქართველი მეფის კარზე მსახურობდა თურმე ვინმე დიდიძე.

ერთხელ, მეფის ლაშქრად ყოფნის დროს, დედოფლის რისხვა დაუმსახურებია ამ დიდიძეს.

მოვიდა მეფე და დედოფალმა შესჩივლა: უკადრისად მომექცა

შენი ყმა, სასახლის კარს მოაშორეო. დიდიძეს მეფის წინაშე დიდი დამსახურება ჰქონია ადრე. არ მოინდომა მისი გაფუჭება მეფემ და ასე უბრძანა:

— ჩამომირთმევია შენთვის დიდიძეობა და მომიცია მაისურაძეობაო. აიყარე შენი ოჯახით და შორს, სადმე ლიხს იქით, გადასახლდიო.

წამოსულა მაისურაძე გორის გზით რაჭაში და ეს ჩვენი მთიანი ადგილი მოსწონებია. მას შემდეგ გაჩენილან აქ მაისურაძეები. ქართლშიაც თურმე წედისი ერქვა მათ სოფელს და აქაც წედისი დაურქმევიათ.

ასრულდა ეს ყველაფერი და გამრავლდნენ მაისურაძეები. მომრავლდნენ და გათამამდნენ კიდეც. იპოვეს მაისურაძეებმა აქაურ მიწაში მადანი და რკინასაც ამუშავებდნენ.

აქაურ თავადებს ჯიბრითა და შურით ავსიათ გული. გაუგზავნიათ კაცი მეფესთან: გვაწუხებენ მაისურაძეებიო, დილიდან საღამომდე მუშაობენ, ხეს ჭრიან, შეშას ამზადებენო, საღამოს მოუკიდებენ ცეცხლს ნამუშევარს და წვავენო.

მეფეს გული მოსვლია, თავადების კარნახით ჯარი გამოუგზავნია და წედისი გადაუწვავს. ისეთი მდიდარი ყოფილა ეს სოფელი, რომ ერთ ბეღელს თურმე სამი კვირა ეკიდა ცეცხლი — სულ ხორბლით ყოფილიყო სავსე.

გადაბუგეს სოფელი. მერე დაიწყეს გამოძიება და წედისელების სიმართლე გამოჩნდა. მთელი დღე რომ შეშას ჭრიდნენ და საღამოსთვის ცეცხლს მოუკიდებდნენ, ნახშირს ამზადებდნენ თურმე: რკინის გადადუღებას ბევრი ნახშირი სჭირდებოდა. ეს რომ მეფემ გაიგო, გაამართლა წედისელები, მოუწონა მადნის დამუშავება.

ჯეირნის ტყავზე დაუწერია მეფეს: მაისურაძის კარზე არ მოვიდეს წვიმისა და მზის მეტი არაფერიო, გადასახადი არაფერი შეეწეროსო.

თუ ვინმემ მოინდომოს მაისურაძის გვარის კაცის მოკვლა, ჯერ ცხრა წყრთა ქვიშის საბელი დაგრიხოს და ერთი ჩექმის ყელი კალიის ტვინით აავსოსო. თუ ეს ვერ შეასრულოს (და აბა ამას ვინ შეასრულებდა), ვერც მოკლას ამ გვარის კაციო; და თუკი ვინმემ გაბედა მაინც მაისურაძის გვარის კაცის მოკვლა, გადაიხადოს სამოცი ნიშა ხარიო; თუ ნიშა არ ეყოლოს, თეთრი ტილო ააფაროს შუბლზე და ისეც ნიშა იქნებაო.

ბევრი ეძებეს ეს ჯეირნის ტყავი, მაგრამ დაკარგულიყო...

ერეკლეს მასპინძელი

ნატახტარ სოფელს ერთი ოჯახი ცხოვრობდა, გვარად ტონუაშვილი, რომლის სიმდიდრე და პურადობა განთქმული ყოფილა მთელს საქართველოში. ისე მგზავრს არ გაუშვებდნენ, რომ საგზალი არ გაეტანებინათ. ისე მდიდარი ოჯახი იყო, რომ როცა რძეს შესდღვებავდნენ, მცხეთაში მცხეთელები გაიგებდნენ, რადგან ტონუაშვილები დოს არ ჭამდნენ და არაგვში ასხამდნენო.

ძველად ბევრი მოხუცებული დანატროდა არაგვსა — ჰაი, დედასა, არაგვო, ის დრო სჯობნებულა, როდესაც ტონუაშვილებს თეთრად შეულებიხარო!

ერთხელ, ერთი ამ ოჯახის შვილი მეფე ერეკლე მეორესთან მისულა თურმე და თავის სახლში მიუწვევია, თან ეს ლექსი უთქვამს:

ნატახტარ სოფლით გახლავარ,
მდიდართ განთქმული გლეხიო.
საწყალი კაცის მოყვარე,
მტრების გახლავარ მეხიო.

თქვენის ამალით მეწვიეთ,
მიკადრეთ მონა გლეხიო.
თუ ღირსეულად ვერ დაგხვდეთ,
თავზე დამარტყით მეხიო!

მეფეს დიდად გახარებია გლეხისაგან დაპატიჟება, შესულა დედოფლის ოთახში და მოუხსენებია იმისათვის:

ტონუაშვილსა მიქებენ,
ბლომადა ჰყავსო ზაქები!
წავალ და სტუმრად ვეწვევი,
ნუთუ მართლაა საქები?

როდესაც მეფე მიბრძანებულა გლეხისას, მეფიდან დაწყებული უკანასკნელამდი თითოსათვის ორ-ორი პირუტყვი დაუკლავთ: ძროხა, ცხვარი, თხა და ზაქები; ფრინველი კი არც ერთი.

ვახშმის შემდეგ მეფეს უფიქრია: სიმდიდრით მდიდრები ყოფილან, აბა, ახლა ჭკუით გამოვცადოო. დაუძახნია და უთქვამს:

— აბა, ისეთ ალაგას დამაწვინეთ, რომ ჩემზე უმცროსი იქ არავინ იყოსო.

შეიყვანეს და საცა თითო წლის ბავშვების ოცი აკვანი იყო, იმ ოთახში დააწვინეს.

მეორე დღეს მეფემ კიდევ ბრძანა:

— ისეთ დარბაზში დამაწვინეთ ამალამ, რომ ჩემზე დიდი იქ არავინ იყოსო.

მაშინ ადგნენ მასპინძლები და მოახსენეს:

— დიდებულო მეფეო, ჩვენი გამოცდით რად იწუხებთ თავსა, განა არ ვიცით, რომ ყმაწვილზე დიდი არავინ არის, რადგან ამოღებული ხმლისაც არ ეშინია და ჩვენზე პატარაც არავინ არის — თქვენი მონანი გახლავართო!

შემდეგ მეფემ იკითხა:

— რა მიზეზია, რომ საქონელი თითოს ორ-ორი დაგვიკალით და ფრინველი კი არც ერთიო?

— ის მიზეზია, რომ თქვენ კაცი ბრძანდებით და საქონელი კაცის კუთვნილებაა, ფრინველი კი — დედაკაცისა. როდესაც დედოფალი მობრძანდება, იმას ქალები დაუხვდებიან და ფრინველებს დაუკლავენო.

წამოსვლის დროს მეფემ იმათი სახლ-კარი ღაათვალიერა, საქონლის ბაკში თორმეტი პატარა ზაქი დაინახა და იკითხა:

— ეს ზაქები როდინდელი მოგებულები არიანო?

— თქვენი ფეხი, მეფეო, ისეთი ბედნიერი იყო ჩვენთვის, რომ წუხელის თორმეტი ხარზაქი მოგვემატა და თორმეტი მათი მწყემსიო, — უთხრა თურმე მასპინძელმა.

ამბობენ, ამის შემდეგ მეფე იმ გლეხის ხშირი სტუმარი იყოო.

დათვი, მგელი და მელა

დათვი, მგელი და მელა ადამიანები ყოფილან.

ერთხელ ქრისტე ღმერთმა ჩამოიარა. შეჰბღავლა ამ სამმა კაცმა ღმერთს: ძალიან გვიჭირს საჭმელ-სასმელიო.

ღმერთმა უთხრა: ეს ტყე, ვენახად მიქცევია, მინდორი — ყანადო, ეს რიყე კი — ცხვრადაო. თქვენ მოუარეთ, უპატრონეთ და იცხოვრეთ სიამტკბილობითაო.

ცხოვრობდნენ მდიდრულად, კარგად. ერთი ვენახს ედგა, ერთი — ყანას, ერთიც — ცხვარს.

ერთხელ, ჩამოიარა ღმერთმა გლეხის ტანსაცმლით. მიადგა ვენახს და სთხოვა მეზვრეს: მამაშვილობას, ერთი მტევანი ყურძენი მაჭამე, პირი გავისველოო.

— გასწი, დაიკარგე, შენისთანა აქ ბევრი დაეხეტებაო.

ახლა მეორესთან მივიდა: მამაშვილობას, ერთი ლუკმა ხმელი პური არ დაინანო მათხოვრისთვისაო.

— გასწი, მომშორდი, რა შენთვისა მცხელაო!

ახლა მესამესთან მივიდა სათხოვრად: ცოტა რძე დამალევინე, პირი გამიშრაო.

— აქედან დაიკარგე, სანამ ძაღლები არ დაგასიეო.

გაწყრა ქრისტე-ღმერთი და აქცია ეს ვენახი ისევ უდაბურ ტყედ, მეზვრე — დათვად, ყანა — მინდვრად და მისი პატრონი მელად, ცხვარი ისევ რიყედ აქცია, მწყემსი კი — მგლად. ახლაც ასე არიან. ძველად კი დათვი, მგელი და მელა ადამიანები ყოფილან.

საფარის მონასტრის აგება

ყოფილა შვიდი ძმა ათაბაგი. მათგან ორ ძმას საფარაში უცხოვრია. გადაუწყვეტიათ იქ მონასტრის აშენება. უფროსი ძმა კარგი ოსტატი ყოფილა, უმცროსი კი მისი შეგირდი. ერთი ხარი ჰყოლიათ, სახელად „ინდუშას“ ეძახდნენ. ხარს გამყოლი არ სჭირდებოდა თურმე. კისათიბის ტყეში დაუდებდა უმცროსი ძმა ქვას მარხილზე, მოიტანდა ხარი და აქ გადმოტვირთავდა უფროსი ძმა. ასე მოუზიდავს ამ ცალ ხარს მთელი ამოდენა ქვა საფარის მონასტრის ასაშენებლად.

ერთხელ, მონასტრის მოთავების ხანს, ხარს გზაზე შეუსვენია. მოსულა დათვი და ხარისათვის თავი და ცალი მხარი მოუჭამია. ერთი ცალი ქვა იქ დარჩენილა.

უფროს ძმას ვერ შეუმჩნევია ქვის დაკლება, ანგარიში შეშლია. უმცროსისათვის შემოუთვლია: მოთავდა მონასტერიო. უმცროსმა კი იცოდა, რომ ქვა გზაზე ეგდო და შემოუთვალა: არა, ერთი ქვა აკლია, მოვიტან და გათავებული იქნებაო. იმდენად სწყენია ოსტატს თავისი შეცდომა და შეგირდის გამარჯვება, რომ მონასტრის სახურავიდან გადავარდნილა. შეგირდს იმ ხარის სახე უთავოდ და უცალფეხოდ ქვაზე გამოუსახავს ეკლესიის კარის ზემოთ კუთხეში. მეორე მხარეს დათვის სახეა ამოკვეთილი. ხარის მიერ დატოვებული ქვა კი

დღესაც იმ გზაზე გდია სოფელ ანდრიაწმინდასა და ანდასის საზღვარზე, ზედ საცეცხლურია ამოჭრილი. მას დღესაც „ინდუშის ქვას“ ეძახიან.

კახეთის ზღვა

უწინ მთელი კახეთი, ამპირ — იმპირ, თუშეთით ნუხამდის, წყალს სჭერია, ერთი დიდი ზღვა ყოფილა აქ. ხალხს მაშინ მთებში უცხოვრია, მაგრამ წყალს არც იქ მიუცია საშველი. მაღლა-მაღლა ამოსულა, საცხოვრებლებს მთებშიც მისწვდენია. ცხოვრება გაჭირვებულა; აღარ დარჩენილა არც სახნავი, არც სამკალი მიწები.

ხალხს უფიქრია, ასე როგორ იქნება? ასე თუ წავიდა საქმე, წყალი მაღლა მთებსაც დაფარავს, დაგვღუპავსო.

ამ წუხილისა და ვაიშუანის დროს ერთი მენახშირე წამომდგარა წინა, ხალხისათვის უთქვამს:

— შეყრილობას ჩემი გამარჯობა! მაღლა მთებში ნახშირს რომ ვწვავდი, ხშირად ზღვისათვის გადამიხედავს და შემიმჩნევია, რომ მისი წყალი არ დგას, ერთი მხრით მიიწევს, იქითკენ იწურება, გასასვლელს ეძებს. ჩემი ჭკუით, საჭიროა, ეს კარი ვუპოვოთ, გზა გავუჭრათ, წყალი გადავუშვათო.

— ეს ჩვენც გვიფიქრია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ კარის პოვნა არავის ძალუძსო! — უპასუხა ხალხმა.

— მე, აი, რას გირჩევთ, — კიდევ დაიწყო მენახშირემ, — ერთი გოდორი კარგად გავხიზნოთ, ნახშირით ავავსოთ, წყალში ჩავაგდოთ. საითკენაც წყლის სავალია, იქითკენ წაიღებს, კარს მიაყენებს. ის ადგილი გავჭრათ, გავთხაროთ; წყალი თვითონ ჩააღრმავებს თავის გასასვლელსო.

ხალხს მოეწონა მენახშირის რჩევა.

ნახშირით სავსე გოდორი წყალში ჩააგდეს.

გოდორი წყალმა პირზე მოიგდო, ატარა, ატარა, წაიღო იქ, სადაც დღეს ალაზნის კალაპოტია. იქ თუშეთით სიღნაღზე მისული მთა შეკრული ყოფილა. ნუხის მთებთან მოგროვებულა მთელი კახეთის ხალხი, გაუჭრიათ მთა, წყლისათვის გასასვლელი მიუცია, გადაუშვიათ. წყალი დაძრულა, წასულა, გაწურულა, აგრე, რომ ალაზანში ჩაწურულა.

მერე აშენებულა ლამაზი, მშვენიერი კახეთი. აქაური ქართველების ცხოვრება აყვავებულა.

ასე სწამდათ ძველად

ნადირობისა

მონადირე სანადიროდ წასვლის წინ დიდ სიწმინდეს იცავდა. ცუდ სიტყვას არ იტყოდა, არ დალევდა. სანადიროდ ღამე ან დილით მიდიოდა და ცდილობდა ხმა არავისთვის გაეცა გზაზე. შემხვედრსაც არ უნდა ეკითხა, სად მიხვალო, მხოლოდ გზა უნდა დაელოცა: გამარჯვებით იარეო. არც მონადირის ცოლი ეტყოდა ვისმეს, თუ სანადიროდ იყო მისი ქმარი წასული. არც თმას გაიშლიდა და დაივარცხნიდა მონადირის მოსვლამდე.

საგზლად მონადირე დედის გამომცხვარ ხმიადს წაიღებდა. ქონიანი ან წვნიანი თან არაფერი უნდა ჰქონოდა. არც მის ოჯახში შეიჭმებოდა წვნიანი მის მოსვლამდე.

— ხმელა ჩვენი იყოს და წვნიანს ნადირის პატრონი მოგვცემსო, — ასე იტყოდნენ ძველად. სწამდათ, რომ ნადირობის იღბალი ნადირთ პატრონის, კლდის ანგელოზის, ადგილის დედის ხელთ იყო.

ტყეში მისული მონადირე მაღალი ნაძვის ხის ქვეშ დადგებოდა, სანთელს აანთებდა და ნადირთ პატრონს შესთხოვდა ნადირობაში დახმარებას: „ნადირის თავმდგომი შენა ხარ, როს მოვიდე შენს ადგილში, მშვიდობიანად გამომიშვი; ნადირის წილი მომეცი, უფროსი ნუ გედიდება, უმცროსი ნუ გეპატარავება. მშვიდობით დაგვაბრუნე სახლში მე და ჩემი ამხანაგები. თუ რამეს იკადრებ — მიილოცე, თუ არადა ნუ მემდური, შენი შესაბრალი და შესაწყალი ვარ; კარგი სვე მომეცი, წყალობაზე წყალობა მიმატე, გარეთ და შინ ყველგან მიიღე ჩემი ვედრება, ნუ დამიკარგავ შენს წყალობას და ნუ შემიძულებ, ასემც მადლი გექნება... შენი დანიშნული ჯიხვი მომეც; როცა შეგეხვეწო, დარი და ავდარი ჩემის ნებისად მიწყალობე.

ჯიხვის მწყემსს დიდება! არჩვის მწყემსს დიდება! მარჯვენა დამილოცე, დალი!“.

ნანადირევის ძვლების დახვრა, ან ძაღლისათვის გადაკიდება აკრძალული იყო ძველად. სწამდათ, რომ ნადირთ პატრონი მონადირისათვის ნადირთ პატრონების მიერ ერთხელ შეჭმულ და გაცოცხლებულ ნადირს იმეტებს მხოლოდ. ნადირთ პატრონს, დასაკლავად მჭლე ნადირი არ ემეტება, ეცოდებაო.

კლდემა გასძახა კლდესაო,—
მონადირეა ჩვენსაო,
ჯიხვსა გვთხოვს მეტად მსუქანსა,
თორემ არ შვრება მჭლესაო;
წადი, მიეცი ის ჯიხვი,
არყი რო უზის ბეჭსაო.
დაუკლათ მსუქან-მსუქანი,
თორემ წაგვართმევს მჭლესაო.

ბ ე თ ქ ე ნ ი

თებერვალში სოფელ ჟაბეშში იციან ალბაიღრალის დღეობის გადახდა. ამ დღეს აქ წმინდა ფერხულს — „სამთი ჭიშხაშს“ დააბამენ ხოლმე სვანები. მაგრამ მხიარული ჰანგების ნაცვლად ამ ფერხულში გოდება გაისმის. ვაქკაცურია, ომახიანია ეს სიმღერა, მაგრამ ტირილია იგი მაინც.

„ბაილ, ილბა ბაილ, ვაი, საბრალო ბეთქენ, ბეთქენ საწყალო“ — გაისმის ხოლმე ამ სიმღერაში. ვის სტირიან, ან ვის იგონებენ ამ ფერხულით?

ერთ დღეს, სოფელ ჟაბეშში სამთი ჭიშხაში ჰქონიათ ჩაბმული. მაღალი თოვლის კოშკი აეშენებინათ სვანებს და ზედ ორსართულიან ფერხულს უვლიდნენ. უეცრად მოცეკვავეებმა დაინახეს თეთრი ჯიხვი, რომელიც წრეშჩ შემოვიდა, გაუარა მონადირე ბეთქენს ლაჯებს შუა და კლდეებს მიეფარა.

— ვინ წავა, ამ ჯიხვს ვინ დაიჭერს?! — ახმაურდა ხალხი, — ამ ჯიხვის დამჭერი ისევ მონადირე ბეთქენი თუ იქნებაო...

მართლაც, მოიკაზმა ბეთქენი და გასწია სანადიროდ, თეთრი ჯიხ-

ვის საძებრად. თან ორი მწევარიც გაიყოლა. მიდის ბეთქენი კლდეებში. წინ გზა ფართოდ ეშლება, უკან მოიხედავს — გზა ვიწროვდება, ქრება. მაგრამ ბეთქენი ამას არ დაეძებს, თეთრი ჯიხვი ელანდება, იმის დაჭერა უნდა. ბოლოს შევიდა თვალუწვდენელ კლდეებში; მარცხენა ფეხის დასადგმელიღა დარჩა და მარჯვენა ხელის მოსაკიდი... მოიხედა უკან — გზა თოვლით დაფარული, წაშლილა. შერჩა ციცაბო კლდეს ბეთქენი. უეცრად წინ თეთრი ჯიხვი დაუდგა. შეხედა ბეთქენმა და მის თვალწინ თეთრი ჯიხვი კლდის დედოფალ დალად იქცა. ნადირთ პატრონის ქათქათა სხეულს ხშირი, ოქროს ნაწნავები ფარავდა.

შეკრთა ბეთქენი. ნადირთ პატრონის სახეზე მრისხანება იხატებოდა.

— ბეთქენ ჩემო, — უთხრა დალმა მონადირეს, — ხომ გახსოვს, სიყვარულის ნიშნად მძივი გაჩუქე. რაც ეს მძივი მოგეცა ჩემგან, ნადირობიდან მუდამ გამარჯვებული, ნანადირევით დატვირთული ბრუნდები შინ. მითხარი ახლა, რა უყავი ის მძივი, სად არის, მაჩვენეო.

— შენი ნაჩუქარი მძივი, დედოფალო, შინ, სასთუმალქვეშ დამრჩა, — კანკალით მიუგო ბეთქენმა.

— როგორაც შინ დაგრჩა ჩემი მძივი, დაბრუნებასაც ისეთს მოგცემ, — მიუგო დალმა. — რად უღალატე ჩემს პირობას? წუხელის ვნახე, ჩემი მძივი მკერდს უმშვენებდა ლამაზ თამარს, რომელიც შეიყვარე და მისთვის დედოფალი დალი დაივიწყე.

გაქრა დალი. დარჩა ბეთქენი მარტო თოვლიან კლდეზე, რომელზედაც შურისსაძიებლად შეიტყუა იგი დალმა.

დაიწყო კივილი სასოწარკვეთილმა ბეთქენმა, აღმუვლდნენ მისი მწევრებიც. მათი საცოდავი წკმუტუნი ქვემოთ რაჭა-ლეჩხუმამდე და ზემოთ ლუჰა-ლახამულამდე აღწევდა. გაიგეს ბეთქენის თანასოფლელებმა, წამოვიდა ყველა. ზოგს თოკები მოჰქონდა, ზოგს კიბეები, ზოგს ქეჩა მოეკიდებინა ზურგზე...

კლდის ძირს რბილად დაუგეს ქეჩები, ააყუდეს კიბეები, მაგრამ კლდემ ზრდა დაიწყო და ბეთქენი უფრო და უფრო მაღლა მიჰყავდა. მაშინ მოუარეს ვაჟებმა მთას ზემოდან და თოკები ჩაუშვეს ბეთქენის ამოსაყვანად, — დადაბლდა მთა და ბეთქენი ქვევით წავიდა. მიხვდნენ მაშინ, რომ დალის ნება იყო ბეთქენის სიკვდილი.

— ტყუილად ნუ ცდილობთ ჩემს გადარჩენას. ცოდვა ნუ დაე-

ლევა თამარს, ჩემს სატრფოს, იმის მიზეზით ვიღუპები, — ჩასძახა ბეთქენმა თანასოფლელებს. — უთხარით თამარს, ჩემს მოსაგონად თავსაფარი მარჯვნივ შემოატრიალოს[1] და ცრემლი ბლომად დაღვაროს.

მამაჩემს უთხარით, დროდადრო, შველის თავი შესწიროს ჩემს სახელზე.

დედაჩემს უთხარით, მიკურთხოს ხაჭაპურ-ჭიშდვარი[2].

ჩემს დებს უთხარით, თმები შეიჭრან და ხმამაღლა მიტირონ ყოველ კვირას.

ბაბუაჩემს გადაეცით, ბევრი რანგი[3] და ღვინო მიკურთხოს.

ჩემს ძმებს გადაეცით, ჩემი აბჯარი გაწმინდონ ხოლმე.

ჩემს ტოლებს გადაეცით, ზარი მაგრად შემომძახონ....

საბრალო ბეთქენ, საცოდავო ბეთქენ! დღე და ღამე იყრება, ბეთქენ კლდიდან ვარდება...

ძირს დათვი უდარაჯებს, ალბათ ბეთქენის ხორცი უნდა...

ზევიდან ყორანი დასჩხავის, ალბათ ბეთქენის თვალები უნდა.

საბრალო ბეთქენ, საცოდავო ბეთქენ!

თმები, შენი თმები ორბებს მიჰქონდათ საბუდრად...

მძორი ყვავებს მიჰქონდათ ბარტყებისათვის...

ძვლებმა ძირს ჩამოაწია.

ბეთქენი დაღუპულა, დალს თავისი შეურაცხყოფა ასე გადაუხდია!

დალი და მონადირე ალმასგილ

ბეჩოელი მონადირე ყოფილა ალმასგილ. მაგრად ნადირობდა თურმე. ეკითხებოდა მისი რძალი ხშირად:

— რა ამბავია, ალმასგილ, შენსავით რომ ვერავინ ნადირობსო?

— შენს თავს მოუარე, არაფერი გეკითხება. ეგ ჩემი საქმე არისო, — ეტყოდა ხოლმე ალმასგილი.

---

[1] თავსაფრის მარჯვნივ შემოტრიალება სვანებისათვის გლოვის ნიშანი იყო.

[2] სადღეობო პურები.

[3] არაყი.

მაინც უთვალთვალებდა რძალი. მოსვენებას არ აძლევდა. ამხანაგს შესჩივლა ალმასგილმა:

— შინ მოსვენება არ მაქვს, სანადიროდ წასვლის წინ რძალი თავს დამტრიალებს სულო.

ამხანაგმა უთხრა:

— თუ ასეა, გარეთ გამოდი, მინდორში. იქ დაიძინე და უთენია გამოგივლი, წავიდეთ სანადიროდო.

დაუჯერა ალმასგილმა. დაწვა მინდორში და სასთუმლად გუდა დაიდო.

გამოვიდა შუაღამეს რძალი, ეძება ვაჟი, ეძება და მონახა მინდორში. მიეპარა, გუდას დაუწყო სინჯვა. უცხო, ლამაზი თავსაფარი ჰქონია ალმასგილს გუდაში. ამოიღო რძალმა, გაშალა, მთელ მინდორს გადაეფარა. რძალს შეეშინდა. კეცავს ამ თავსაფარს, კეცავს, ვერ დაკეცა და გუდაში ვერ ჩატია ნახევარიც. გაიპარა სახლში. გამოეღვიძა ვაჟს, ნახა ეს თავსაფარი, ეწყინა და იმ დღეს სანადიროდ აღარ წასულა.

მეორე ღამეს ინაცვლა ადგილი ვაჟმა და ისევ გარეთ დაიძინა. მოვიდა რძალი. დაიწყო გუდაში ხელის ფათური. ამოალაგა გუდიდან ვაზნები. აწყობს რძალი ვაზნებს უკან — ნახევარიც არ ჩაეტია.

ცუდ გუნებაზე დადგა დილით ალმასგილი:

— სიცოცხლე აღარ მიწერია დიდი ხნისაო, — ამხანაგს უთხრა.

მაინც წავიდნენ მთაში. ერთი ერთ მხარეზე ავიდა, მეორე — მეორეზე. დათქვეს: რომ ავიდეთ, რომელიც აუსწრებს, იმან მოსძებნოს დაგვიანებულიო.

აუსწრო ამხანაგმა. არსად ჩანს ალმასგილი. ჩაჰყვა ღელეს მეორე მხარეს, ნახა, ზვავი ჩამოწოლილიყო, ზვავთან ალმასგილის ქუდი ეგდო. მოძებნა და ამოიყვანა მკვდარი ყმაწვილი. წამოიღო სახლში და მეორე დღეს ისევ ტყეში გაბრუნდა სანადიროდ.

დაანთო ცეცხლი ღამე, მწვადი შეიწვა. უცბად ვიღაცამ შემოსძახა მთიდან. ეს ყოფილა ნადირთ პატრონი დალი. თურმე ოავის დას ეძახოდა: ის ვაჟი გუშინ რად დალუპე, ზვავი რატომ ჩამოუშალეო?

— ჩემს ნაჩუქარ თავსაფარსა და ვაზნებს კარგად ვერ მოუარა, თავის რძალს ჩაუგდო ხელშიო.

— ახლა რა ეშველება იმ ბიჭს, არ ვიტიროთო?

— მონადირეა მანდ, მისი ამხანაგი, ის გვიშველისო.

გამოეცხადა დალი მონადირეს და სთხოვა, მოგვიხერხე, რომ შევიდეთ და ჩემი სატრფო დავიტიროთო.

მოვიდა ტირილის დღე. მკვდარი მონადირის ამხანაგმა დაამზადა სასმელი და სატირალი მოაწყო. გაშალა ეზოში და ყველა მოტირალი სუფრასთან მიიპატიჟა. მხოლოდ მკვდრის დედა დაიმალა ოთახში. თავის მკვდარი ვაჟი ვერ დატოვა. შევიდნენ მკვდართან დალები, გახადეს ტანთ, ახალი აბრეშუმის ტანისამოსი ჩააცვეს. გახადეს ფეხთ და წაღები ჩააცვეს. ამ დროს ვერ მოითმინა თურმე დედამ და ამოიხვნეშა. დაფრთხნენ დალები და გაუჩინარდნენ.

ამბობენ, დალი მონადირეს შეიყვარებს და იღბალს მისცემსო, მაგრამ თუ მონადირე ამის შემდეგ სხვა ქალს გაეკარა, ან დალის სიყვარულის ამბავი გაანდო, დალი შურს იძიებს და ვაჟს სიცოცხლეს მოუსწრაფებსო. მოკლავს, მერე კი მოვა საფლავზე და აკივლდება, იტირებს და მკვდარ მონადირეს საფლავიდანაც ამოიღებსო.

ამიტომ სვანეთში სამი ღამის განმავლობაში დარაჯობენ მონადირის საფლავს — დალმა არ დაიტიროსო.

დალი და მონადირე მეფისა

— დედავ, გენაცვა, საგზალი მომიმზადე, არჩე-ჯიხვი მომენატრაო, — უთხრა მონადირე მეფისამ თავის დედას.

გამოუცხო დედამ ხმიადები თავის საყვარელ შვილს და სანადიროდ გაისტუმრა.

გარიჟრაჟზე ავიდა მთაზე მონადირე. ის-ის იყო საუზმე უნდა ეჭამა, რომ კვილი მოესმა. მონადირეს მისთვის ყური არ უთხოვებია. ახლა მეორედ შემოესმა კვილი.

„წყეული ვიყო, თუ არ გავიგო, ვის უჭირს ასეო", — გაიფიქრა მონადირემ. აიხედა მაღლა, ხედავს, ცას სწვდება თეთრი კლდე. კლდის წვერზე ოქროსნაწნავებიანი დალი გადმომდგარა და კვილს.

— დიდება შენდა, ვინც არ უნდა იყო, მითხარ, რა გაგჭირვებიაო, — მიმართა დალს მონადირემ.

— მე ვარ კლდის დალი, შვილი მგელმა მომტაცა. ბავშვი კლდიდან გადმომიგორდა, ქვევით მსუქანი მგელი ყოფილა დადარაჯებული და გორს იქით გაუყენაო.

— ნუ შეწუხდები, ცბიერ მგელს მე გავეკიდები, ბავშვს გადავარჩენო! — შესძახა მონადირემ.

მგელი ქედ-ქედ მიძუნძულებდა, დალის შვილი პირში ეჭირა. შეურჩია დრო მეფისამ, მიწვა ქედზე, სტყორცნა ისარი და იქვე გააგორა. პირი ღია დარჩენოდა მგელს. მეფისამ იგი გაატყავა, ტყავი წელზე შემოიკრა, ბავშვი მხარზე შეისვა და ისე მიჰგვარა დედა-მისს — კლდის დალს.

— დედაჩემო, ნაწნავი გადმომიგდეო, — შესძახა ბავშვმა.

— ისემც დედის მადლი გქონია, მე დედის მთქმელი აღარავინ დამრჩა. დედის მთქმელი ნადირმა მომტაცაო!

— მე ვარ შენი შვილი, მონადირემ მიხსნა მგლის პირიდანო.

დალმა კლდიდან გადმოიხედა, კლდის ძირში შვილი დაინახა, გადმოუგდო ოქროს ნაწნავი და შვილი ზევით აიყვანა.

— მონადირეო ჩემო, — უთხრა დალმა, — რითი გადაგიხადო სამაგიერო? გინდა, ყოველდღე თითო შუნს მოგაკვლევინებ? არადა, თუ გინდა, ყოველ სექტემბერს ცხრა ჯიხვს მოგცემ, წვრილ არჩვს ყოველ კვირაში! თუ არადა, ის მირჩევნია, შენს ლამაზ დანიშნულზე უარი თქვა, ჩემთან დარჩე სამუდამოდო!

— არა, დედოფალო, სიყვარულს როგორ გაკადრებ?! ვერც ჩემს დანიშნულზე ვიტყვი უარს. ისევ ის მირჩევნია, ყოველ სექტემბერს ცხრა ჯიხვი მომაკვლევინო, — უთხრა მოკრძალებით ყმაწვილმა.

სხვა გზა არ იყო. დედოფალმა აასრულა დანაპირები, მაგრამ ვაჟის უარი გულს მწარე ხინჯად ჩაესო. ვერ აპატია, რომ მოკვდავი დანიშნული არჩია კლდის პატრონის, დალის, სიყვარულს.

ერთ დღეს მონადირეს ტყეში დანაპირები ცხრა ჯიხვი შემოეყარა. ერთი მათგანი ოქროს რქიანი იყო. დაუმიზნა მონადირემ ისარი ოქროსრქიან ჯიხვს. ასცდა ისარი ჯიხვს და ოქროს რქას მოხვდა. არ მიიკარა რქამ ისარი და მონადირეს შიგ შუბლში შეუბრუნა.

ყურშა და ივანე ქვაციხისელი

ძველად სწამდათ, რომ რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ორბის ბუდეში, სხვა ბარტყთა შორის, ერთი ლეკვი გამოიჩეკება ხოლმე ორბის კვერცხისაგან.

ყურშა ორბის ლეკვი ყოფილა. ლეკვს ბეჭებზე ორბის ფრთები ჰქონდა და თურმე არაჩვეულებრივი მონადირე ძაღლი იყო, ორ ნახტომზე ჯიხვს ეწეოდა, მესამე გადახტომას სათაკილოდ სთვლი-

და, მისი ყეფა ცის გრგვინვას ჰგავდა, ყურ-ტუჩი ოქროსი ჰქონდა, თვალები კი მთვარის ოდენი.

ყოველი მონადირე ნატრობდა ყურშას პოვნას, რადგანაც ნადირობაში იღბლიანი იყო.

მაგრამ დედა ორბი ამ ლეკვს გამოჩეკისთანავე აიყვანდა ხოლმე ძლიერ მაღლა და მიწაზე დაახეთქებდა, რომ ადამიანს არ ჩაეგდო ხელში და არ გაეზარდა.

ყოველწლიურად, გაზაფხულზე, საგანგებო ფერხულს ჩააბამდნენ ხოლმე ქალები და ვაჟები და ცეკვითა და სიმღერით შესთხოვდნენ გაზაფხულის ღვთაებას, რათა ორბს გამოეჩეკა ამგვარი ლეკვი, არ დაეღუპა და მათთვის ეჩუქებინა.

ქალსა ვისმე ერქვა შროშანიო,
ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედიო,
ბეჭდის თავსა მოლი მოსულაო,
მოლის თავსა ნაძვი ასულაო,
ნაძვის თავსა ორბს ბუდე ჰქონდა,
ბუდე იყო აბრეშუმისა,
კვერცხი ჰქონდა იაგუნდისა,
ლეკვი ჩეკა მარგალიტისა.
ნაძვისა ხის ქვეშ ლომი იდგა,
იგი ლომი ლეკვს ექეზებოდა,
ექეზებოდა, ეზერებოდა...
ღმერთო, ერთი ჩემთვის გაზარდე,
გაზარდე და კარგად მიმყოფე,
სანადიროდ გზა გაუწალდე,
ინადიროს, მოკლას ირემი...

ერთ მონადირეს, სახელად ივანე ქვაციხისელს, ნადირთ პატრონისათვის სამსახური გაუწევია და მადლობის ნიშნად ყურშა მიუღია.

იმ დღიდან ნადირობაში არაჩვეულებრივი იღბალი მისცემია. მონადირე ყურშას მეტად უფრთხილდებოდა: ღვინო-ბადაგს ასმევდა, თეთრ პურს აჭმევდა და საბან-ბუმბულს ახურავდა. მაგრამ დრო გასულა. მონადირეს ნადირთ პატრონი გაუჯავრებია. იმ დღიდან ყურშა გამქრალა, შეწუხებულა მონადირე. ვერ მიმხვდარა ყურშას დაკარგვის მიზეზს, ხან ეგონა — ვაჭართა ქარავანს გაპყვაო, ხან კი— ქაჯებმა მოიტაცესო.

ჩემო ყურშაო, ორბისა ლეკვო, ო, ჩემო ყურშაო,
ყურშა გავგზავნე სანადიროდაო, ო, ჩემო ყურშაო,

აწ კი მოველი სასადილოდაო, ო, ჩემო ყურშაო,
ყურშა გამიქრა შუაღამითა, ო, ჩემო ყურშაო,
ვაითუ გეკადროს ვაჭარს მიჰყავდე, ო, ჩემო ყურშაო,
ვაითუ გეკადროს ქაჯს მოეპარე, ო, ჩემო ყურშაო,
ყურშას ყურ-ტუჩი ოქროსი ესხა, ო, ჩემო ყურშაო,
ყურშას ყეფილი ჰგავდა ქუხილსა, ო, ჩემო ყურშაო,
ყურშას თვალები — მთვარის ოდენი,
ყურშას წარბები — გველის ოდენი,
ყურშას კბილები — ნიჩბის ოდენი,
ყურშას ტატები — ქვეყნის ოდენი...
ყურშას ნახტომი — დიდი მინდორი!
ყურშას საჭმელი — პური ქაბაბი,
ვაითუ გეკადროს ქერის ნაბურჯი.
ყურშას სასმელი ღვინო-ბადაგი, —
ვაითუ გეკადროს ღვიარი[1] წყალი...
ყურშას ლოგინი — საბან-ბუმბული,
ვაითუ გეკადროს ბურდის ნაძოძი...
ყურშაო, ჩემო ყურშაო,
აღმა ლომი ხარ, ჩაღმა კაკაბი,
არ დაგემალვის ნადირის კვალი,
ხმელეთს ფალვანი[2], ზღვაში ხომალდი,
ჩემო ყურშაო, ყურშაო.
ყურშა ვიტირე, ყურშა ვიგლოვე
ერთ წელიწადსო.

დიდხანს იგლოვა მონადირემ ძვირფასი ძაღლი, ბოლოს კი მის კვალს გაჰყვა.

ყურშასაც დააგვიანდა, შავო,
ყურშას კვალსაც გავუდგები, შავო,
ყურშას კვალსაც გადავყევი, შავო,
ყურშას კვალიც გადამიძღვა,
შავო.
მაღალსა კლდესა შემიძღვა, შავო.

მონადირის წინ მაღალი, აქა-იქ თოვლით დაფარული კლდე აღიმართა. მონადირემ თოვლიდან გუნდები გააკეთა და კიბის მაგვარად

---

[1] მღვრიე.
[2] ფალავანი, გმირი.

კლდეზე ააკრა. ძლიერი ყინვა იყო, თოვლი კლდეს მიეყინა და მამაცი მონადირე კლდეს მაღლა აჰყვა. თან მშვილდსა და კაპარჭს იშველიებდა მუჯირის მაგიერ. მაღლა კლდეზე მართლაც იპოვა თავისი ყურშა. ძალიან გაუხარდა, მაგრამ უკან რომ მოიხედა, მიხვდა, რომ თავი დაიღუპა. მზეს თოვლის გუნდები დაედნო და უკან ჩამოსავალი გზა აღარ იყო. მონადირე მიხვდა, რომ ნადირთ პატრონის შურისძიებამ უწია. გავიდა რამდენიმე დღე. შიმშილით გამწარებულმა მონადირემ მოკლა ყურშა, მაგრამ მის ხორცს მაინც ვერ გაეკარა.

თოვლი შევკიბე, შევედი, შავო.
ყურშა მოვკალ და წინ მიდევს,
ყურშაო, შავო ყურშაო, შავო,
ხორციც არ მიჭამიაო,
რჯულიც არ გადმიგდიაო.

მონადირემ მთაზე ცეცხლი დაანთო, რომ სხვა მონადირეებისთვის ეცნობებინა თავისი ამბავი.

დავწვი მშვილდი და კაპარჭი, შავო,
ცეცხლი დავანთე ისრისაო, შავო.

შეიყარა ხალხი, მოვიდნენ მისი ძმებიც. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ივანე ჯიხვებზე ნადირობამ დაღუპა.

ივანე ქვაციხისლისთვის
ჯიხვთა და რა უქნიათო,
მისი მშვილდი და კაპარჭი
კლდეთადა შეუცხიათო.
შაის შესულა გუნდითა,
ჩამოის ვეღარც კიბითაო...

ივანე მიხვდა, რომ განწირული იყო. ჩამოსძახა თავის ძმებს: ჩემი მიჯნური მომგვარეთ, უკანასკნელად შევხედავ და სიკვდილი გამიადვილდებაო.

მომგვარეთ ჩემი მიჯნურიო,
მაღლიდან გადმოვფრინდებიო...
გავხედე შორით მიჯნურსაო,
ერია მრავალ ხალხშიდაო...
ყურსა ეკიდა საყურეო,

უქრიალებდა ქარიო,
ძუძუ-მკერდი დავუნახე,
უჩნდა თეთრი ბროლივითაო...
სანამ მასთან მივიდოდიო,
დავდნი ღორის ქონივითაო.

მიჯნურმა ივანე გაამხნევა, იმედი ჰქონდა მისი სიმარჯვისა.

ივანე ქვაციხისელოო,
გორთაგორიდან მხტომელო,
ივანე, გორგორ მავალო,
ხიდურში ჩამომავალო!
ივანე, აკი იტყოდი —
არ მეშინია კლდისაო?
შესულხარ, ვერ ჩამოსულხარ,
ვაჟკაცსა არა გრცხვენია?
გადმოვარდი, თუ ვარდები,
შე ჯიხვო, მაღლის კლდისაო.

მართლაც ისკუპა ივანემ, მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა, კლდე ჩამოიქცა და დიდი ლოდი გადაეფარა ივანეს...

ივანე რომ კლდეს გადვარდა —
ორბი ვერ ჩაფრინდებოდა;
ივანეს რომ ქვა გადაჰყვა —
ლომი ვერ აუდგებოდა;
ივანეს რომ სისხლი სდინდა —
ზედ ნავი მოცურდებოდა.
ივანეს სისხლის ნადენზე
ჩავლენ ყვავნი და ყორანნი, —
ძღომა არ ეკიდებოდა!
შავ კლდესა, შავი ყორანი
ჩავა და ჩაექროლებაო,
ჩავა და ლეშით გაძღება,
ამოსვლა დაეზარებაო.

ტყაში მაფას შურისძიება

ენგურის პირად, ნენხერის ხეობაშია გაშლილი დიდი მეგრული სოფელი ჯვარი. ამ სოფლიდან კილომეტრის მოშორებით აღმართულა კვირას მთა. მთის წვერი წაბრტყელებულია და მასზე გაშლილია შესანიშნავი მწვანე ალპური საძოვარი. ამ მინდორზე სამი ქვა დევს. ერთი მათგანი მოგაგონებთ მონადირეს მხარზე გადადებული თოფით, ორი დანარჩენი — მეძებარ ძაღლებს, რომელნიც თითქოს მისდევენ მონადირეს.

ოდესღაც ჯვარში სახელგანთქმული მონადირე ცხოვრობდა. ერთხელ მონადირე ირემს გამოუდგა. ირემმა დაბურულ ტყეში შეიტყუა. აქ მონადირეს ტყაში მაფა, თმაგაშლილი, ქათქათა ტანის მქონე ქალი შეხვედრია. ტყაში მაფამ შეიყვარა მონადირე და იმ ღღიდან მას ნადირობაში არაჩვეულებრივი იღბალი მიეცა. ახლო-მახლო მიდამოებში ნადირი გაწყდა, ისე ბევრს კლავდა მონადირე ყოველ ნადირობაზე. გავიდა წლები...

მონადირეს მეტად ლამაზი ცოლი ჰყავდა. ქმარს იგი გულით უყვარდა. მონადირის ცოლი წუხდა, რომ ქმარი ძალზე ხშირად რჩებოდა ტყეში და მთელ დროს ნადირობას ანდომებდა.

ერთ დღეს ჩააცივდა თავის ქმარს: რატომ არის, რომ შენ ყოველთვის ნანადირევით დატვირთული მოდიხარ, სხვები კი ხშირად ხელმოცარული ბრუნდებიანო.

მონადირემ ცოლს ტყაში მაფას სიყვარულის ამბავი გაანდო. ის დღე იყო და ის დღე, ნადირობაში იღბალი დაეკარგა.

ახლა მუდამ ხელცარიელი ბრუნდებოდა. ერთ დილას გამოვიდა ეზოში დაღვრემილი, უცებ თავისი ძაღლის ყეფა გაიგონა. ასწია თავი და დაინახა სულ ახლოს მდგარი რამდენიმე ირემი. თოფი მოიმარჯვა, ესროლა და ააცდინა. ამგვარი რამ არასოდეს არ დამართნია. განაწყენებული მონადირე ირმებს გამოუდგა. ირმებმა კვირას მთისაკენ შეუხვიეს. თითქოს აგულიანებდნენ მონადირეს და დასცინოდნენ: შეჩერდებოდნენ, შეხედავდნენ და გაიქცეოდნენ.

ის იყო, კვირას მწვერვალს მიაღწიეს, რომ ერთ-ერთმა ირემმა ადამიანის ხმით შესძახა მონადირეს: შეჩერდი, აღარ ისროლო, შენი აღსასრულის დღე დადგა. თქვი, როგორი სიკვდილი გირჩევნიაო.

მიხვდა მონადირე, ვინც გამოეცხადა მას ირმის სახით, მოაგონდა თავისი დანაშაულიც და იფიქრა: ჩემს მძორს აქ ნადირი შეჭამსო, ხედ ვიქცე, მწყემსები დამწვავენო, და ისევ ქვად ქცევა

არჩია. მართლაც, იმავე წუთს ქვად იქცა მონადირე და მისი ორი ძაღლი.

ამბობენ, ყოველი წლის ამ დღეს, კვირას მთაზე მონადირის თოფის სროლა და ძაღლების ყეფა ისმისო.

ნადირთ პატრონი და-ძმა

და-ძმა არიან ნადირთა პატრონები. თითო წლობით, მორიგეობით პატრონობენ ნადირს. ქალი როცა მწყემსავს, ნადირი მსუქანი და ფრთხილია, მისი მოკვლა უჭირს მონადირეს. ვაჟი როცა პატრონობს, ნადირი მშლეა და ბრიყვი, ადვილად იკვლება.

თიანელი მონადირე წამოსულა ტყეში, სვიანაზე[1], სანადიროდ. პირაქეთ ორი დათვი მოუკლავს. მერე სვიანაში გადასულა. ორი მწოლიარე ირემი დაუნახავს. ერთი ცალრქა ყოფილა, მეორეს წყვილი რქა ჰქონია. აჩქარებულა მონადირე და ცალრქასთვის უსროლია. ცალრქა, თურმე, ნადირთ პატრონის ირემი ყოფილა.

მაშინვე დაუძახია ნადირთ პატრონს: ცალრქას დაჰკრესო! დაღალული იყო, კალოდან გადმოსულიო. ეს მონადირე ცალზე დარჩეს შვილისშვილითაო.

ამ დროს დაუნახავს მონადირეს, რომ ქალი ნადირთ პატრონი გამოსულა, ხელში ტაგანი სჭერია და ირმების წველა დაუწყია.

წამოვიდა ეს მონადირე შეშინებული. შინ მივიდა და რას ხედავს: უფროსი შვილი მკვდარი დახვდა. საშუალო მაშინ მოკვდა, როცა მამა მოვიდა, იმაზე უმცირესი ძმების დამარხვის დროს მოკვდა. დარჩა სულ პატარა, მეოთხე.

მას აქეთ ათი გვარი ასე მოდის: შვილი მხოლოდ ერთი რჩებათ.

ტყის ქალი

ულრანი ტყის მახლობლად მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ჰყავდათ ერთადერთი შვილიშვილი. წამოიზარდა ბიჭი, დავაქაცდა. მეტისმეტად ლამაზი იყო.

---

[1] სვიანა — ადგილია.

ერთხელ უთხრა ბაბუამ შვილიშვილს:

— მე ახლა ყანაში მივდივარ, შინ რომ საქმეს მოილევ, შენც წამოდი, მაგრამ იცოდე, ჩემი დარიგება უნდა მოისმინო და კარგად შეასრულო. გზაზე შეიძლება წყეული ტყის ქალი შეგხვდეს, ძალიან ლამაზია და არ შეგაცდინოს, ხმა არ გასცე. არ დაელაპარაკო, თორემ ინანებო.

შვილიშვილმა მართლაც დანიშნულ დროს გასწია ყანისაკენ. გზა ტყეზე გადადიოდა. უცებ ვაჟმა დაინახა, როგორ გაიპო წიფლის ხე და იქიდან შავთმიანი, ლამაზი ქალი გამოვიდა.

— გამარჯობაო! — უთხრა ქალმა და ღიმილით მიუახლოვდა.

ვაჟმა ხმა არ გასცა, მხოლოდ თავი დაუქნია.

— როგორა ხარო? — შეეკითხა ქალი.

ვაჟმა ხმა არ გასცა.

— რა იყო, რა დაგიშავე, პასუხს რატომ არ მაძლევო? — განაგრძო ქალმა.

ვაჟმა კვლავ არაფერი უპასუხა და წასასვლელად გაიწია. ტყის ქალი წინ გადაეღობა.

—მითხარი, საით მიდიხარო, — უთხრა ტკბილად, თეთრი ხელებით თავისი ხშირი, შავი თმა ჩამოიშალა და ვაჟს დააყარა. მერე მოეხვია და უთხრა: — არა მკადრულობო?! — თან ხშირი თმა ზურგზე გადაიყარა და მოელვარე თვალები მიანათა ვაჟს. — იცი, ვინა ვარ? მე ტყის ქალი ვარ, ტყის ასული, ტყის დედოფალი, მეფე. ფრინველები, ნადირი. ხე და ბალახი, ყველა მე მემორჩილება. დარჩი ჩემთან. ჩემ ხშირ თმას გადაგაფარებ და არავინ დაგვინახავს. ბნელ ღამეს ჩემი თეთრი კბილები გაგვინათებს. არაფერს გაგიჭირვებ, იღბლიანსა და ბედნიერს გაგხდიო.

ვაჟმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. მაშინ ტყის ქალმა ხელები მაღლა ასწია და ათი თითი აჩვენა ვაჟს იმის ნიშნად, რომ ათ წელიწადს სთხოვდა მასთან ყოფნას. ვაჟმა ხმის ამოუღებლად ხუთი თითი აჩვენა; ტყის დედოფალმა — შვიდი თითი; ვაჟმა — სამი თითი; ტყის დედოფალმა — ხუთი თითი აჩვენა, მაგრამ ვაჟმა პასუხად ორი თითი აიშვირა. ქალმა სამი თითი უჩვენა, ვაჟმა — ერთი; ქალმა ერთი თითი — ვაჟმა უარის ნიშნად თავი გაიქნია, დაუსხლტა ხელიდან ქალს და ყანისაკენ გასწია.

დაღამდა. ბაბუა და შვილიშვილი ყანიდან შინ დაბრუნდნენ. დაღლილ-დაქანცულმა ვაჟმა საწოლს მიაშურა. ის-ის იყო დასაძი-

ნებლად მოემზადა, რომ რაღაც ცივი იგრძნო; მოიხედა და დაინახა, გვერდით უშველებელი გველი უწევს. მთელი ღამე საშინელ ტანჯვაში გაათენა. ბოლოს დაეძინა და ძილში ეს გველი პირში შეუძვრა.

გათენდა დილა, ვაჟი ფეხზე წამოდგა და თავის საქმეებს შეუდგა, მაგრამ ახლობლები ვეღარ სცნობდნენ მშვიდსა და ზრდილობიან ყმაწვილს. ერთთავად ჯავრობდა, იგინებოდა და უფროსებს ეურჩებოდა. ბოლოს წავიდა ტყეში და იქ საღამომდე დარჩა.

საღამოს დაბრუნდა შინ, ივახშმა და წავიდა თავის ოთახში დასაძინებლად. ლოგინში ვაჟს პატარ-პატარა და დიდი გველები შეესივნენ. ჯოჯოხეთური იყო ვაჟისათვის ეს ღამე!

გათენდა. გველები დაიკარგნენ. ადგა ვაჟი ლანძღვა-გინებით, დაიბანა პირი, ჭამა საჭმელი და წავიდა უდაბურ ტყეში. ერთ თხრილთან რომ მივიდა, იქიდან სისინით ამოვიდა გველი და მოეხვია კისერზე. გველმა ვაჟი მიიყვანა ერთ დიდებულ პალატთან. შევიდა ვაჟი ლამაზად მორთულ ოთახში. ამ ოთახში იდგა ძვირფასი ტახტი, რომელზედაც ტყის ქალი იყო წამოწოლილი.

— ა! მოხვედი მაინც? — წამოიძახა ტყის ქალმა, — კარგი, გველო, ამოდიო!

ამოცურდა გველი და სისინ-სისინით გაეშურა ტყისაკენ. ვაჟი თითქო გონს მოვიდა.

— ახლა ჩემი ხარ, ვერსად წამიხვალო! — თქვა ტყის ქალმა, — თანახმა ხარ, რომ დარჩე ჩემთანო?

— კარგიო, — თქვა ბოლოს ვაჟმა.

უცადეს ბაბუამ და ბებიამ ორ-სამ დღეს ვაჟს, მაგრამ ის არ ბრუნდებოდა. ადგა ბაბუა და წავიდა შვილიშვილის საძებნელად.

ბევრი იარა, თუ ცოტა, შევიდა ტყეში, დაინახა დიდი თხრილი. თხრილის იქით პატარა მინდორი იყო. მინდორზე ქალის პერანგი ეგდო. პერანგის შუა ადგილას იდგა რძით სავსე ბოთლი.

— ნამდვილად აქ უნდა იყოს, პერანგის ქვეშ, ჩემი ბიჭიო, — გაიფიქრა ბაბუამ და, — ბიჭო, ხმა გამეციო, — დაუძახა.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც კარგა ხანს გრძელდებოდა. შემდეგ რძიანი ბოთლი წაიქცა, ქალის პერანგი შეინძრა და წამოდგა ტყის ქალი. მიწაზე კაცის პერანგიც იყო. ისიც ინძრა და წამოდგა ვაჟი.

— რა იყოო? — იკითხა ვაჟმა.

— წავიდეთ სახლშიო! — უთხრა ბაბუამ.

— არა, არ წამოვალ, — უპასუხა ვაჟმა, — გამეცალე აქედან, მეორედ არ მოხვიდეო!

— უშენოდ არ წავალო! — უთხრა ბაბუამ.

— შენ გეუბნები, წადიო! — თქვა ვაჟმა.

— მეც გეუბნები, წადიო! — დაუმატა ტყის ქალმა.

— არა, არ წავალო! — გაჯიუტდა მოხუცი.

— არ წახვალ და, დაგახრჩობო!.. — დაიძახა ტყის ქალმა.

— არა, არ წავალო! — იძახდა ბაბუა ჯიუტად, — სანამ ჩემი ბიჭი არ წამოვა, არ წავალო!

გადაიკისკისა ტყის ქალმა, მივარდა ბაბუას, ჰკრა ხელი და წყლით სავსე ღრმა თხრილში ჩააგდო.

იმავე ღამეს, როცა დაიხრჩო საწყალი ბაბუა, მის სასიმინდეში რაღაც სინათლე გაჩნდა. ბებია მივიდა სასიმინდესთან და ცოტა არ იყოს, შეეშინდა. სასიმინდეს იატაკი ქალის ხშირი თმით იყო დაფარული. გაშლილი თმა ისეთი ხშირი და გრძელი იყო, რომ გარეთ მიწას სწვდებოდა. ეს ტყის ქალის თმა იყო. ტყის ქალი და ვაჟი სასიმინდეში ყოფილიყვნენ. ტყის ქალის მოელვარე კბილების სინათლე იყო, სასიმინდეს რომ ანათებდა. ბებია გაბრუნდა, ბასრი დანა მოიტანა, მოსჭრა ქალს თმა და სახლში შეიტანა. აადუღა მაშინვე დიდი ქვაბით წყალი და თმა მდუღარეში ჩააგდო. ქვაბი აივსო ვერცხლის მანეთიანებით. წამოყარა ბებიამ ფული და ქვაბი ისევ წყლით აავსო. დილამდე ყველა ყუთი ფულით გაავსო.

გათენდა. ადგა ტყის ქალი. თავი რაღაც მსუბუქად იგრძნო. გაისვა ხელი თმაზე, — ვაი, უბედურებავ! — თმა ცოტაღა შერჩენოდა.

გააღვიძა მაშინათვე ვაჟი.

— ვინ მომჭრა თმაო? — ჰკითხა ტყის ქალმა.

— მე მოგჭერიო! — გაუღიმა ვაჟმა.

— შენო?

— მეო! — დაიბრალა ვაჟმა, რადგანაც მიხვდა, რომ თმა ბებიას მოეჭრა და ტყის ქალის რისხვა არ ასცდებოდა.

— მაშ თუ ასეა, ძაღლზე უარესი სიცოცხლე გქონდესო. — თქვა ტყის ქალმა და ჩამოვიდა სასიმინდედან. ვაჟი ახარხარდა, ჭკუაზე შეიშალა. ტყის ქალი შევიდა სახლში, მონახა თავისი თმა, აიღო და ტყეში დაიკარგა...

მართლაცდა, იმ ვაჟს მის შემდეგ ძაღლის სიცოცხლე ჰქონდა.

ა ლ ი

ერთხელ ერთ კაცს ღამე გზაზე შეხვედრია ალი.

— თუხი, ცხენს შემიჯინეო.

— არ შეგიჯენო!

— თუხი, შემიჯინეო... — არ მოეშვა ალი.

— შეჯექი და თან გადაჰყევიო! — უთხრა ბოლოს კაცმა.

შეისვა, ბაშლაყით შემოიკრა წელზე და მიიყვანა შინ. ალს ფრჩხილები ჰქონდა გრძელი. დააჭრეს ის ფრჩხილები და შეინახეს მაღლა, ერდოზე. რაკი ფრჩხილები დააჭრეს, ვეღარსად წავიდა. დარჩა და როგორც ოჯახის წევრი, ისე მუშაობდა სახლში.

ერთხელ ლიტანიობას წასულა ყველა და ბავშვი იქვე დაუტოვებიათ აკვანში. დააწვა თურმე გულზე ამ ბავშვს ეს დედაკაცი: მითხარი, ჩემი ფრჩხილები სად არისო?

ბავშვმა რა იცის. კიდევ და კიდევ აწვება თურმე. ბავშვს სული ხდება. ამ ქალმა იფიქრა, მაღლა რომ იყურება, იქ არის ჩემი ფრჩხილებიო. ავიდა ერდოში, იპოვა ფრჩხილები, ჩამოვიდა დაბლა, ეს ბავშვი ქვაბში ჩააგდო, ცეცხლზე დადგა და წავიდა. გზად გაუვლია ეკლესიასთან და იმ კაცისთვის დაუძახია.

— თუხი, ხორცი ჩაგექლამაო!

მოვიდნენ სახლში და რაღას ნახავდნენ! ჩახარშულია ბავშვი ქვაბში.

მონადირე ნაწუკა

მთარაჭაში იყო განთქმული მონადირე, სახელად ნაწუკა. ნადირთ პატრონებმა სუფრაზე მიიწვიეს. გამოქვაბულში ცეცხლი ენთო და შამფურზე აგებული ჯიხვი იწვოდა. ჩამოირიგეს მისი ხორცი. მონადირესაც მიართვეს. ჭამა გამოუცდელმა მონადირემ და ერთი ბეჭი ძაღლს გადაუგდო. ჭამა რომ გაათავეს, ნადირთ პატრონებმა ჯიხვის ძვლებს თავი მოუყარეს. მონადირე რაღას იზამდა? ძაღლს ბეჭი დაეხრა. ნადირთ პატრონებმა ჯიხვს არყის ხის ბეჭი ჩაუდგეს სამაგიეროდ — შენი იღბალიაო. გაცოცხლებულა ეს ჯიხვი და წასულა.

მეორე დღეს მონადირეს ნადირობის დროს ჯიხვი მოუკლავს და ბეჭი არყის ხისა ჰქონია.

ხოგაის მინდის ამგავი

ხოგაის მინდი არხოტიონი ყოფილა, ამღიონი. იმათი ნასახლარები დღესაც არის საბეკურისკარს. ერთხელ ქაჯებს წაუყვანიათ ტყვედ.

— წინ-წინ, — თქვა ხოგაის მინდიმ, — თვალები ამიხვიეს, გზა არა ნახოსო. მატარეს ისე. მეცხრე მთას რომ გადავედით, მაშინ მომხსნეს მხოლოდ სახვევი. ჩემსავით ტყვეები სხვაც ჰყოლოდათ. ქრისტიანების ხორცს ჭამდნენ. ხელებზედაც და თავზედაც ძაფები შემოგვაკვრეს იმის გასაგებად, რამდენს მოვიმატებდით. ერთი ქალი ჰყავდათ. ისე გაესუქებინათ, რომ ის ძაფი ღრმად ჩამჯდარიყო ხორცში. წაგვასხამდნენ მთაზე და გველებს გვაჭერინებდნენ, იმათგან რაღაც წამლებს აკეთებდნენო.

ერთხელ მეც წავედი. ერთი გველი დავიჭირეთ. ყელზე თეთრი კრაველის ბეწვი ესხა. შინ რომ მივედით, ის მსუქანი ქალი ჩამოეკიდათ ჭერზე, ქვევით ვარცლები შეედგათ. ჰკრავდნენ საჩეჩლებს და გაასხამდა სისხლი. ისე შემძულდა სიცოცხლე და სმა-ჭამა, რომ თავის მოკვლა გადავწყვიტეო.

ამდგარა ეს ხოგაის მინდი და შესულა თავის პატრონის ცოლთან, რომელიც გველებისაგან წამლებს ამზადებდა. იმ ქალს კრაველიანი გველი დაეკლა და სისხლის წვეთები იატაკზე დაცემულიყო.

— შემატყოო, — თქვა ხოგაის მინდიმ, — რომ სისხლის ალოკვა მინდოდა. გამოიარა და ფეხი გაუსვა იმ სისხლის წვეთზე. ერთი წვეთი გვერდზე დაცემულიყო ისე, რომ მას არ ენახა. გავიდა კარში თუ არა, ავლოკე მეცაო.

იმის ალოკვა და სიცხის მოცემა ერთი ყოფილა. შემოსულა დიაცი, უნახავს ხოგაის მინდი, გაუგია, რაც მოხდა.

— მეცხრე ლოგინზე რომ დამაწვინეს, გონება წამერთვა, აღარას ვიგებდი. გონთ რომ მოვედი, იღლიის ძირი ჩამომსიებოდა, გავიჭერი და მკბენარი გადმოიშალაო. კაცს თურმე მკბენარია, რომ ამძიმებს. ისე დავმსუბუქდი, რომ, ხიდზე რომ გადავდიოდი, ჩოხის კალთაში ქვებს გავიხვევდი, წყალში არ გადამაგდოს ქარმაო.

სუყველას ენა მისთვის გასაგები გამხდარა. გადაუწყვეტია გაპარვა და გაქცეულა. დასდევნებიან ქაჯები და დაუჭერიათ.

— ისე მცემეს, რომ ტყავი გამაძვრესო.

მეორედ გაქცეულა.

— ხიდზე რომ მივედი, ნაცარი დაეყარათ ზედა. მივხვდი, რომ ჩემი გულისთვის იყო დაყრილი. კოჭუკულმა გავიარე, იქიდან

მოსული რომ ვგონებოდი. დილათენების ხანი იყო, რომ ტყეში მივედი. ერთი ხის ძირში დავიმალე. მძებნიდნენ. ხიდამდე მოჰყვნენ ჩემს კვალსა და მერე დაკარგესო.

უვლია და მისულა ერთ სოფელში.

— თითის სიგრძე ადამიანები იყვნენ ამ სოფელში. ჩემ ნახვაზე შეშინებულან და გაქცეულან. მერე მოვიდნენ. მომართვეს რაღაც საჭმელი. საღამოს ნაფოტები მოზიდეს. აგებდნენ რაღაცას.

— რას ჩადით მაგასო? — უკითხავს ხოგაის მინდის.

— დღეს საღამოს ლაშქარი დაგვეცემა სვავებისა, კაჭკაჭებისა, ჭკებისა, წეროებისა და სხვა ჩიტებისაო.

— აბა, ნუ გეშინისთ! — უთქვამს ხოგაის მინდის. გაუკეთებია მშვილდ-ისარნი. დადარაჯებულა. შუაღამისას მოსულა ფრინველი. გაუბრუნებია ხოგაის მინდის სულყველა ისე, რომ ერთიც არავინ მოუკლავთ.

მომეხვიენ, დამიწყეს კოცნა: შენ ხარ ჩვენი ღმერთიო! — მეუბნებოდენო.

ერთი ჯუჯა კაცუნა იყო, თვალგამოთხრილი.

— ვერ მიცანიო, მინდიო? — მითხრა.

— ვერაო, — ვუთხარი.

— აღარ გახსოვარ, თვალი რომ გამომთხარე საბეკურისკარს? მე გუგული ვარ. ჩვენ ყველა გუგულები ვართ. აგერ მთა რომ ჩანს, იმის იქით ჩიტებად ვიქცევით, აქეთ კაცებადო.

— აბალევ, — ვუთხარი, — თუ ამღა იცი, სად არის, წამიყვანეო!

გაჰყოლია ეს გუგული. მთასთან რომ მისულან, უთქვამს:

— ეს მთა ნაცრისაა, ფრთხილად იარე, თორემ ჩაეფლობი. მე ჩიტად ვიქცევი და ხმაზე მომყევიო.

როგორც იყო გადაუვლიათ მთა და მიუყვანია გუგულს ამღას.

ხოგაის მინდი დედისერთა ყოფილა, ცოლიც მოუყვანია. ტყეობიდან რაც დაბრუნდა, სუყველაფრის ენა ესმოდა.

— ნეტავიო, — იტყოდა, — გაგაგონათ, რას ამბობენ ბალახნი, ზედ რომ დავდივართ: რად მაბიჯებ ფეხსა, მეც ხომ ახალგაზრდა ვარ, განა მე არ მინდა სიცოცხლეო?! ყანის პირში რომ ბალახი იზრდება, აი, ასე ქვითინებს: მეც მომმკევით, ზამთარი მომისწრებს, დამაზრობს, ნუ გამწირავთო. ხეებს რომ ვჭრით, რა საყურებელია, დაიწყებენ ქვითინს: რად მჭრი, მტკივა, რად არ გებრალები, რა გული გაქვთ კაცთა? ქვას რო ვისვრით ყანაში, დაიწყებს წივილს: ქვევით დავეცემიო და მეტკინებაო. რად მისვრითო? ახლა

სხვები დაიწყებენ: მე მომხვდებაო... საქონელს რომ დავკრავთ ჯოხს და დაიზმუვლებს, ამასვე ამბობს, ტირის. ბალახნი თავად ამბობენ: მე ამის წამალი ვარ, ამას მოვარჩენ, გამომიყენეო. გვასწავლიან: გველი რომ გამოგიდგება, სწორზე უნდა გაექცე, აღმართზე და დაღმართზე ისარივთი მიდის; წყალს უნდა გადაახტე და გზას ვეღარ გაიგნებს, იმიტომ, რომ თქვენი მნახავი წყალი ჩაივლის და სხვა იმას ეტყვის, არავინ მინახავსო.

არც მკიდა, არც შეშას ჭრიდა ხოგაის მინდი, იყო ეგრე ღარიბად. დიაცი ასტეხოდა ერთხელ, რომ არას აკეთებ, გდიხარ შინ ტყუილადო. შეუცდენია და მინდის შეშა მოუჭრია. ამ დროს კი დაჰკარგვია ბალახის ენის გაგება, დარჩენილა საცოდავად. მერე ლაშქარს წაუყვანიათ ძალით. მინდის ვეღარა გაუხერხებია, გადმომხტარა ციხიდან და მომკვდარა.

თეთრი გველის ამგავი

წავიდა ორი მონადირე ტყეში. ერთი კარგი მონადირეა, მეორე — არ ვარგა. რომ მიაწიეს სანადიროსა და, დასწყევლოს ღმერთმა, თეთრი გველი ნახეს. თეთრი გველის, ნათქვამია, ერთი ლუკმა ვინც რომ შეჭამოს, ჩიტის ენას ისწავლისო.

მოკლა გველი კარგმა მონადირემ. იცის მისი ამბავი, დაუტოვა შეორე მონადირეს: ააგე შამფურზე ეს გველი და შეწვი ისე, არაფერი მოაკლოო.

შეწვა ეს გველი მეორე მონადირემ და რომ წვავდა, აგერ, სიმინდის ფუნჯივით გამოიბერა გველი ერთ ადგილზე, გასკდა ქათმის თვალივით, მოხვდა ხელზე, დამწვარი ხელი პირში იკრა მონადირემ მაშინვე.

ამ დროს გადმოიარა ყორანმა და დაუძახა: რას უზიხარ მანდაო, შენმა ამხანაგმა ნადირი მოკლა და ვერ ერევაო.

ადგა ეს ბიჭი, შემწვარი გველი დატოვა და მიეშველა ამხანაგს. რომ მივიდა უკეთეს მონადირესთან, იმან დაუძახა:

— რა ჰქენი, შესუამე გველი, გაგიწყრა ღმერთიო?

— არაო, ღმერთის მადლმა, არ მიმიკარებია ხელი, მხოლოდ შევწვიო.

— აბა, რით გაიგე ჩემი ამბავიო?

— ყორანმა გადმოიარა და დამიძახაო.

მაშ, გველისა სულ არაფერი შეგიჭამიაო?

— არა, რომ ვწვავდიო გველსა, ერთ ადგილას გამოიბერა პატარა ქათმის თვალივითა, გასკდა, ხელი დამწვა და ენა ავუსვიო.

— სწორედ ეგ იყო წამალიო, ღმერთსა შენთვის მოუცია, შენი ღობლისა ყოფილა და შეგარგოს ღმერთმაო.

კ ო პ ა ლ ა

ძველ დროში არაგვის ხეობა დევებს სჭერიათ, მომძლავრებული ყოფილა უწმინდური. ცხვარ-ძროხა ეგრე ოოლად კი ვერ გაუდიოდათ საძოვარზე, როგორც ახლა. ბანჯგვლიანი დევები იჭერდნენ კაც-საქონელს და თავ-ფეხიანად სანსლავდნენ. ძალზე შეწუხებული ყოფილა ხალხი.

დევების მთავარი ბუდე ციხე-გორასა ყოფილა, სოფელ აკუშისთან. იქ ყოფილა იმათი ყველაზე დიდი ციხე-სიმაგრე. უფროსად ცხრათავიანი დევი ჰყოლიათ. ერთი თავი ჰქონია დიდი, დანარჩენი — პატარ-პატარა თავები — მხრებზე დასახული. აბა, მართლა ცხრა თავი ხომ არ ექნებოდა! თურმე გამოიშლებიან ციხიდან ეს დევები, მოედებიან მთა-ჭალას, იჭერენ ხალხს, მიჰყავთ თავის უფროსთან, ერთ-ორს ის ამოარჩევს, დანარჩენს თვითონა ჭამენ.

ერთხელ გზადმიმავალი ქალი შეიპყრეს. თან თავისი პატარა ბალღი ჰყავდა, კოპალა. ორივე უფროსს მიჰგვარეს, ცხრათავიანმა ქალი მაშინვე ჩაახრამუნა, ბიჭი კი დატოვა: ჯერ გაიზარდოს და მერე შევჭამოთო.

იუმცროსებდნენ კოპალას, ხან წყალს მოატანინებდნენ, ხან — შეშას. შეთვლა და თავში წამორტყმა ერთი იყო: შე ტყის ბუკუკავ, შენაო!

კოპალა მალე დავაჟკაცდა და ვეღარ იტანდა დევების ასეთ მოპყრობას; ბრაზობდა, პატარა კოღოს რომ ადარებდნენ. ნატრობდა, როგორმე დედის ჯავრი ამოეყარა. ტანადაც მოზრდილი იყო და დევები ნერწყვის ყლაპვით იხრჩობოდნენ. იგრძნო კოპალამ, შეშმას მიპირებენო, ადგა და ერთ უკუნეთ ღამეს ციხიდან გაიპარა.

გადაიარა მთები, ტყეები, ხევები და თიანეთში იხინჭის ეკლე-

სიაში მივიდა ბერებთან. დილიდან საღამომდე ღმერთს ეევედრებოდა: იმდენი ძალა მომეცი, დევებს სამაგიერო გადავუხადოო.

ღმერთმაც, აბა, რა თქმა უნდა, იცოდა ფშავ-ხევსურეთის უწმინდურთა მომრავლების ამბავი. ისმინა კოპალას ვედრება და მისცა დიდი ძალ-ღონე. იგრძნო კოპალამ, რომ ძალა მოაწვა მკლავებში, მისწვდა იქვე მდგარ იფნის ხეს, მოსწია და ძირფესვიანად მოგლიჯა. რაკი აიღო თავის იმედი, გადაწყვიტა შებმოდა დევებს, საომრად მოიმზადა ლახტი, რომელიც სროლის დროს მეხს ჰგავდა — ქუხდა და ცეცხლს აჩენდა.

წავიდა კოპალა და ციხე-გორს ესტუმრა თავის ძველ ნაცნობ დევებს, ვითომ გზადაკარგული მონადირე ვარო. დევებმა ვერ იცნეს, სტუმარ-მასპინძლობის წესს არ უღალატეს და ღამე გაათევინეს.

გათენდა დილა. დევებმა დაიწყეს წვრთნა, ქვის სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — ჯილდაობდნენ. კოპალამ საწყლურად უთხრა, მეც მასროლინეთო. დევებმა სიცილად არ იკმარეს: შენ რაღა შეგიძლიანო.

იმ დევებში ხუთი ძმა-დევი მჭედელი ყოფილა. იმათ გადმოუღეს ერთი რკინის ზოდი და პირჩასქელებული ცული მისცეს: აბა, იქნება შეანაფოტოო.

შემოჰკრა კოპალამ და ფუტუროსავით დააბნია, ფერმა გადაუარა დევებს, ვერ ექნათ კარგი გული.

— რა გინდა ჩვენგან, რატომ მოხვედიო? — ჰკითხეს.

— რა მინდა და ეს ადგილი უნდა ჩემი იყოს, თქვენ უნდა აქედან ჩიყაროთო! — შეუბღვირა კოპალამ.

— მაშ ვიჯილდაოთ და ვინც აჯობოს. იმას დარჩეს ციხე-გორიო.

— კარგიო, — დაეთანხმა კოპალა.

წამოიღეს სასროლი ლოდები და ირემთ კალოს, უძილაურთის ვაკე მთაზე ავიდნენ. იქედან გასძახეს ხევსურეთისა და ფშავის მთებში მცხოვრებ დევებს: მოდით, მოწმეებად დაგვესწარითო!

ყველაზე დიდი და მძლავრი დევები ივრის კუდებიდან მოსულან. დაინახა კოპალამ და შიშის ზარი დაეცა: გორდაგორ ამოდიოდნენ და მიწას ისე მოჰკვალავდნენ, როგორც კაცი თოვლს გაჰკვალავს. მოვიდნენ და უამბეს, რაზეც დაუძახეს. დიდი სიპები დადგეს ფეხის მოსამაგრებლად. მიწაში რომ არ ჩაფლულიყვნენ. ირემთ კალოს ახლაც არის ის სიპები მიწაში. ყველგან რბილი მიწაა, მარტო იმ კალოსხელა ადგილებზე ცხენის მარგილს ვერ

ჩაარჭობ, თუნდა რკინისაც იყოს. იმ სიპებზე დამდგარან და უსროლიათ სახლის ოდენა ლოდები ციხე-გორისაკენ.

დევებს ქაჯები ჰყოლიათ იქ დაყენებული: თუ ვინიცობაა, კოპალამ გვაჯობოს, იმისი ნასროლი ქვა გადმოაგორეთ ჩვენი ქვების აქეთაო.

კოპალას ნატყორცნი ქვა სამოცი ნაბიჯით შორს დაცემულა. დიდი წვალებით გამოუგორებიათ ქაჯებს კოპალას ქვა და რაღაცნაირად დევების ქვისათვის წამოუდვიათ. ეჯაჯგურებიან, უნდა გადმოაცილონ და ამ დროს ესენიც მისულან (ახლაც ისე აწყვია ის ლოდები). კოპალა კიდევ უფრო გააცეცხლა დევების გაიძვერობამ, დაერია თავისი ლახტით და სულ ამოწყვიტა.

იმ დღიდან კოპალა ციხე-გორს ცხოვრობდა, ნადირობდა და ხალხს იცავდა სხვა დევებისაგან.

ციხე-გორელი დევების მერე ყველაზე მეტად კართანელი დევებისაგან იყო ხალხი სულდამწარებული. კოპალას ქვასთან დღესაც არის იმათი ნაციხარი, იქვე, ახლოს არაგვის ხეობა ძალიან ვიწრო გასავლელია, მართლაც კარივით არის. საფშავ-ხევსურეთი გზა ეჭირათ დევებს და მგზავრს არ უშვებდნენ. ამ დევებში ყველაზე განთქმული სამი ძმა ყოფილა: შავშალიკა, ავთანდილი და მიგრი. გაუგიათ ციხე-გორელი დევების ზარალი და სწყენიათ. შავშალიკამ თქვა თურმე: წავალ და ბიძაჩემის საჯდომ ქვას მაინც მოვპარავ იმ ვიღაც კოპალასაო.

წავიდა და იმ დროს მივიდა, როცა კოპალა სახლში არ იყო, სანადიროდ იყო წასული. შემოახვია თოკი ამ ქვას, ზურგზე მოიკიდა და გამოიტაცა. მივიდა კოპალა, ნახა, ქვა აღარ იყო. არც დამჯდარა, მაშინვე კვალზე გამოჰყვა. მოეწია იმ ადგილას, სადაც ის ქვა ძევს. შორიდანვე ესროლა ლახტი. ნარბენი იყო და სიჩქარისაგან დაუცდა. ლახტი კლდეს მოხვდა და შიგ უზარმაზარი გამოქვაბული გაკეთდა. შავშალიკამ ჭახანი რომ გაიგონა, ქვა ძირს დადო, ზედ შედგა, თან აქეთ-იქით იცქირებოდა. კოპალამ მეორე ესროლა. ქვაც დაგორდა და დევიც.

ქვის მახლობლად ერთი პატარა მოგრძო გორაკია, დევის საფლავს ეძახიან, შავშალიკა იქ დაუმარხავთ.

კოპალამ ქვა იქვე, არაგვის პირზე დატოვა, თვითონ კი დევების ციხესთან ავიდა. ციხის ბანზე შავშალიკას დედას ჯარა ედგა და მშვილდ-ისრის ბაწარს ძახავდა. ხვიოდა ჯარა და მისგან ატეხილი ქარისაგან წიფლიანები ილასტებოდა.

— რა მოხვედი ეს ბზუკი[1], ჯარამ არ აგიხვიოსო! — გაუწყრა დევის დედა, — მოდი, კალთაში შემოგიფარო, ჩემმა შვილებმა არ მოგასწრონ, თორემ ჩიჩქად არ ეყოფიო!

— სად არიან შენი შვილებიო? — ჰკითხა კოპალამ.

— ავთანდილი აიმ მთას არის წასული, ირმებზე, დედა ენაცვალოს, ალბათ, მთას იქით გადავიდა, თორემ იმისი ფეხის ჩქამი აქ არ დაგაყენებდაო; მიგრი მიგრიაულთის თავსა ნადირობს: ცალ-ცალკე იციან მთებისად მოხვედრა; შავშალიკა ციხე-გორს წავიდა, კოპალას ქვა უნდა მოჰპაროსო.

— დევის დედავ, შენი შვილებით თავი მოგიწონებია თუ მოგიძულებიაო? — შეუქცია კოპალამ.

ამ დროს დიყელას მთაზე გადმოდგა ავთანდილი. ცალ მხარეზე ირემი ჰკიდია, ცალ ხელში მშვილდი უჭირავს. ესროლა კოპალამ. ავთანდილი გამოქანდა და მის ჩამონაცურზე გაჩნდა ის ხეობა, ავთანდილის საქანს რომ ეძახიან: კლდიანი, ღრანტე ხეობაა, კოპალის ქვის პირდაპირ ჩამოდის.

უცებ ჰაერში რაღაცამ გაიშხუილა და კოპალას გვერდით ტოტებგაცლილი ჭანდარი წვერით ჩაესო მიწაში. ახლაღა დაინახა კოპალამ, მიგრი მოსულიყო და მეორე ჭანდარს ამზადებდა სატყორცნად. მოიმარჯვა კოპალამ თავისი საგმირო, ისეთი დასცეცხლა, რომ დაკარგა სულიან ხორციანად. დასცეცხლა დევების დედასაც. მიჰყვა და ციხეში მყოფი სხვა დევებიც სულ ამოწყვიტა. ავთანდილის მძორი არაგვში ჩავარდა და ლურჯ კლდედ იქცა. კოპალა ქვას აღარ მიეკარა, რადგანაც დევის სისხლით იყო გაბინძურებული, დაბრუნდა კვლავ ციხე-გორს და როგორც კი სადმე დევებს გაიგონებდა, მიდიოდა და მუსრს ავლებდა.

* * *

ბაზალეთში ყოფილა ერთი ძალზე ღონიერი ბიჭი, სახელად გულადა. ერთ დღეს ხარ-გუთანი გაეწყო გულადას და ტბის ახლოს ხნავდა. ერთი მძლავრი ხარი ჰყავდა, მეორე ისე სუსტი, რომ უღელს ვერ უწევდა ცალს. ტბიდან ამოვიდა დევი ხარის სახით და გულადას უთხრა: ეგ სუსტი ხარი გაუშვი, მე შემაბიო.

ჯერ კარგად გასწია, კვალზედაც გაიარა. უცებ გაიწია ტბისკენ, ხარ-გუთნის ჩათრევა სცადა. გულადამ მოსწია გუთანს, უკან მოყარა ხარიცა და ის წყეულიცა. დევმა თავი დაიძვრინა უღლიდან

[1] ბზუკი — ბუზანკალა.

და შევარდა ტბაში. შეაბა ისევ ის სუსტი ხარი და საღამომდე ხნავდა. საღამო ხანს, ხარ-გუთანი რომ გაუშვა, ჩამოჯდა იქვე, ქალამნებიდან მიწას იბერტყავდა. ახლა კაცის სახით ამოვიდა ის დევი ტბიდან, მივიდა გულადასთან და შეეკითხა:

— გულადა შენა ხარო?

— მე ვარ, რა გინდაო?

— აბა, თუ შენა ხარ, დამეჭიდეო.

— დავეჭიდოთო, — გულადამ უთხრა და წამოუხტა ამ დევს. წამოაქცია გულადამ, დააჯდა ზემოდან, — დაგახრჩო ახლაო?

— ნუო, — დევმა უთხრა, — ნუ მომკლავო და რასაც ინდომებ, ყველაფერი გექნება, სიმდიდრით აგავსებო.

— ვინ იქნება ჩვენი მოწმეო? — გულადამ უთხრა.

— ჩვენი მოწმე აი, ეს ფშარაველი იყოსო, — დევმა თქვა. მაშინ იქ ყოფილა ფშარაველის ნიში. — შენ არავის უთხრა, დევი წამოვაქციეო, — კიდევ ეუბნება დევი, — არ შემარცხვინო, თორემ შენი სიმდიდრეც გაქრება და ფშარაველმაც ყოველწლიურად თითო წყვილი ქალ-ვაჟი უნდა მაძლიოსო.

— კარგიო, — დაეთანხმა გულადა და წავიდა სახლში.

მივიდა შინ და რასა ხედავს: ოქრო-ვერცხლი და სხვა სიმდიდრე არ ეტევა სახლში. ეკითხება ცოლი:

— მითხარ, კაცო, საიდან გაგვიჩნდა ეს სიმდიდრეო?

გულადამ უთხრა:

— ნუ მათქმევინებ, თორემ ყველაფერი გაქრება, გამანებე თავიო.

ცოლი მაინც არ მოეშვა. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ, მანამდე არ მოასვენა თავის გამჩენმა, სანამ არ ათქმევინა. დედაკაცის პირში აბა, რა გაჩერდება! გაიქცა მეზობლებში და ხან ვის მიახარებს და ხან ვისა: ჩვენ იმიტომ გავმდიდრდით, რომ ჩემმა ქმარმა დევი წამოაქციაო.

მაშინვე გაქრა იმათი სიმდიდრე.

ფშარაობას ამოდიოდა ტბიდან ის დევი, ამოარჩევდა საუკეთესო ქალ-ვაჟს, ჩაჰყავდა ტბაში და ჭამდა.

საყვედურით გულდამძიმებული იყო გულადა: ლანძღავდა ხალხი, რომ მის გამო ასეთი ხარკი ედო მათ სალოცავს. გულადამ ვეღარ გაუძლო ამდენ საყვედურს, გაიქცა მთაში და ფშარაველის ნიშიც თან წაიღო, დააბრძანა ფშავის, ხევსურეთისა და გუდამაყრის საზღვარზე მდებარე მაღალ მთაზე: იქნებ აქ ვეღარ მოაგნოს იმ დევმაო.

ვალი რაკი ედო, რას მოეშვებოდა წყეული; მიაგნო კვალს, იქაც მიდიოდა დღეობის დღეს, არჩევდა საუკეთესო ქალ-ვაჟს, ჩაჰყავდა კლდეში და ჭამდა.

ეს ამბავი გაიგო კოპალამ და ფშარაობას თვითონაც მივიდა. როგორც მლოცავი. დიდძალი ხალხი იყო მოსული ფშავ-ხევსურეთ-გუდამაყრიდან. იკვლებოდა საკლავები და ისმებოდა ლუდ-არაყი. ილხენდნენ ფშარაველის ხათრით, გულით კი არავის ელხინებოდა: ყველა გულის კანკალით ელოდა დევის გამოჩენას. არავინ იცოდა, ვის ამოირჩევდა შესაჭმელად. კოპალამ ხალხი გააფრთხილა: სანამ მე არ დაგრთოთ ნება, კრინტი არავინ დასძრათო.

უცებ მთა შეაზანზარა დევის ღრიალმა, ამოვიდა კლდეებიდან, ხალხს თავს წამოადგა და წიწილებივით დაუწყო რჩევა. მლოცავ ხალხში ერთი ახალჯვარდაწერილი, ლამაზი ცოლ-ქმარი ერია. დევმა ისინი ამოირჩია. მივიდა კოპალა და უთხრა: ქალი ეგ წაიყვანე, ხოლო ბიჭის მაგივრად მე წამიყვანეო.

დევს კოპალა ბიჭთან შედარებით უფრო დიდი ეჩვენა და სიხარულით დათანხმდა. წაიყვანა ორივე. ჩასასვლელ კლდესთან რომ მივიდნენ, დევმა ჰკითხა კოპალას:

— რა გქვიანო?

— ამეო. — კოპალამ უთხრა.

— ჩამიძეღ, ამეო.

— ჩამიძეღ, დევოო.

— ჩამიძეღ, ამეო.

— ჩამიძეღ, დევოო.

იკამათეს და ბოლოს ჩაუძღვა დევი. ვიწროში როცა ჩავიდნენ, შემოუქნია კოპალამ ხმალი, თავი გააგდებინა. დაგორდა თავი მთიდან და იძახის: ოჰ, გასკდა თავი, გასკდა თავიო!

კოპალა როცა ხალხს აფრთხილებდა, ენა არავინ დასძრათო, იმ დროს ერთი ქალი წყალზე ყოფილა წასული. გაიგონა დევის ღრიალი. გაუხარდა, დაგორებული თავი რომ დაინახა, და მიაძახა: ადრევ გასახეთქი იყავი და გასკდი, თუ გასკდებიო!

ამ სიტყვის თქმა და გასკდა დევის თავი. წამოვიდა ქვის სეტყვა და მთელი ხალხი სულ ამოწყვიტა: შიშველ მთაზე რა ნაბადი დაიფარავდა.

მაღალია ფშარაოს მთა, მაგრამ წვერზე საკმაოდ დიდი ვაკე ადგილია. ამ ვაკეზე სამი დიდი სასაფლაოა: ერთში ფშავლები მარხია, მეორეში — ხევსურები, მესამეში — გუდამაყრელები. ის შავი ლო-

დებიც იქა ყრია. სადღეობოდ ასული ხალხი დღესაც სულ შიშ-ელდით არის, ღამეს იქ არ ათევენ: ეშინიათ ქვის სეტყვა არ მოვიდეს.

* * *

დევსა და ეშმაკს რა მოაწყენდა კაცის სამავნეოს. შეიკრიბნენ ერთად და გადაწყვიტეს, არაგვი დავაგუბოთ, ფშავ-ხევსურეთი წყალში ჩავახრჩოთ, სანამ კოპალა ძირიანად ამოაგდებს ჩვენს ჯილაგსაო. კართანას ჩავიდნენ და დაიწყეს ხეობის ამოვსება მიწითა და კლდეებით. ყველაფერი გაკეთებული ჰქონდათ, შუაში ვიწროდღა გადიოდა წყალი, ერთი კლდის ჩადგმა და არაგვიც დატრიალდებოდა.

იმ დროს მიუსწრო კოპალამ, დევები ერთიანად ამოქლიტა და ფშავ-ხევსურეთი გადაარჩინა. ხეობა კი იმ ადგილას მას შემდეგ არის ასე ვიწრო.

კოპალას ისრის პირები შემოელია და მჭედელ პირქუშთან წავიდა უკანაფშავს. ეს ადგილი კოპალას დახმარებით ჩაიგდო პირქუშმა ხელში, კოპალა მიეხმარა იქაური დევების ამოწყვეტაში. პირქუშმა დაივიწყა ძმობილის პატივისცემა, შურდა იმისი ხმასახელი და უარი უთხრა.

ხუშხეველმა დევებმა გაიგეს, კოპალა და პირქუში ნამდურავად არიან, შეიპყრეს პირქუში და ტყვედ წაიყვანეს. კოპალას გულმა აღარ მოუთმინა და მის საშველად გაეშურა. ხუშხეველ დევებს მიუვალი სიმაგრე ჰქონდათ და პირდაპირ შებმით ვერაფერს დააკლებდა. ისევ დევებმა ავნეს თავს: უთანხმოება მოუვიდათ და ერთი დევი გადმოაგდეს სიმაგრიდან. იმათ, აბა, რა იცოდნენ, თუ კოპალა შორით უთვალთვალებდა. დაიჭირა ის დევი და ჰკითხა ციხის ამბავი. დევმა ჯერ იუარა, არ ვიცი, მერე კი შეშინდა და ჩამოფქვა: როცა ხეებს თავისი ჩრდილი გაუსწორდება, დევები მაშინ ისადილებენ, დამძღრებს დაეძინებათ და მაშინ ადვილად შეეპარება კაცი. გზებიც ასწავლა.

შეიპარა კოპალა ციხეში, დევები ამოწყვიტა და პირქუში გაანთავისუფლა. დაირცხვინა პირქუშმა და შეჰფიცა, მუდამ შენი ერთგული ვიქნებიო.

კოპალა გმირულად ებრძოდა დევებს, ხოცავდა, მაგრამ ბევრნი იყვნენ და მარტოკა ვეღარ აუდიოდა.

უკანაფშავის ხეობა შუაფხოსთან ჰქონდათ ჩაკეტილი დევებს. სოფლის გადაღმა, იფნიან გორაზე, სადაც ფშავლები ხატობას

იხდიან, დევებს სიმაგრეები ედგათ. სიმაგრეულას კლდიანი ხევი შეუვალი ყოფილა. ავის გორადან არაგვის გაღმა ჭალამდე თოკები ჰქონდათ გაბმული, ღამითაც კი ვერავინ გაეპარებოდათ. წამოედებოდა კაცი თოკს და დევთა სიმაგრეებში ზარები ირეკებოდა. ჩამოცვივდებოდნენ, სუნზე პოულობდნენ და მოგჭამა ჭირი.

ამ დროს ფშავის ხევში წამოიზარდა ერთი ახალგაზრდა, სახელად იახსარი. მასაც კოპალასავით დიდი ძალა მიეცა. ვერ მოითმინა დევების ასეთი პარპაში, მიუხტა ავის გორაზე და სულ ნაცარტუტა ადინა. ეს ამბავი რომ არა, დევები თათბირობდნენ, ერთად დასხმოდნენ კოპალას და მოეკლათ. კოპალა გაახარა იახსარის გმირობამ, ძმად გაიფიცნენ და გადაწყვიტეს: ერთად ვებრძოლოთ დევებსო.

პირველად ხაშრის ხეობას მიმართეს, ივრის კუდებში. იქა ყოფილან ყველაზე დიდრონი დევები, რომლებსაც ჰყოლიათ განთქმული გმირები: მთების მგლეჯავი მუსა, ცხრათავიანი ბეღელა და თორმეტთავიანი ბარდა.

ხაშრელ დევებს იმჟამად ქორწილი ჰქონდათ. სალუდე ქვაბებით სვამდნენ ლუდს და კაცის თავ-ფეხს შეექცეოდნენ. იყო ერთი ღრეობა და ვაი-ვაგლახი. კოპალა და იახსარი ჩაეპარნენ ქუდიელის მთიდან, სტყორცნეს ლახტი და თავს დააქციეს ბანი. მერე მიჰყვნენ ისრით და ჟლიტეს.

ქარი იყო და ხვიოდა,
ფოთოლი ჩამოდიოდა,
მშვილდ-ქაიბური ბერისა[1]
ქუდიელზედა წიოდა,
ბარდა. ბეღელან ჩახოცნა.
მუსასაც გული სტკიოდა.
ხაშრულა იმთვენ არ იყო.
რაც იმათ სისხლი სდიოდა.

ერთი დევი გაექცათ. იმ დროს შეასწრო თვალი კოპალამ. როცა კლდეს მოეფარა. ესროლა, კლდე დაამსხვრია და თვალი გამოსთხარა. გაიქცა ეს ცალთვალა დევი, მიჰყვნენ ესენიც კვალზე. დევმა ირბინა, ირბინა, გადაიარა ფშავის მთები, ხევსურეთის მთები და ჭიუხების ძირას აბუდელავის ტბაში ჩავიდა. ჩაპყვა კოპალაც. ტბის ძირას გაუმართა ბრძოლა და თავს დაამტვრია ფარი. მოკლული

[1] ბერებთან რაკი გაიზარდა კოპალა, ბერსაც ეძახდნენ.

დევის მურდალმა სისხლმა ტბის ზედაპირი დაფარა. კოპალა წმინდანი იყო და თავს ვერ გაიუწმინდურებდა. ამოსვლა ვეღარ მოახერხა. დარჩა ტბაში. იახსარი წამოვიდა და ქადაგს უთხრა: ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარი უნდა ჩაიკლას ტბაში, დევის სისხლი მოშორდება და კოპალა ამოვაო. ქადაგმა მაშინვე შეატყობინა ეს ამბავი ხალხს. შეწუხდა ხალხი, შეიძრა მთელი ფშავ-ხევსურეთი, ბოლოს ხევსურეთში აღმოაჩინეს ასეთი ცხვარი, წაიყვანეს, იმ ტბის პირას დაკლეს და სისხლი ტბაში ჩაღვარეს. გაიხსნა ტბა და ამოვიდა კოპალა.

ძმადნაფიცები ისე მუსრავდნენ დევებს, როგორც ქურცინა[1] თაგვებს. ხალხმა შეიყვარა დევებთან მებრძოლი გმირები. მერე მათ ნიშები აუგეს და დღესაც ლოცულობენ მათ სახელებს.

დ ე ვ ი

— ბოხეენი ყოფილან გვარად ღებელები: თაზი, თემირა და მამუკო.

წასულა სანადიროდ თაზი, შვილი წაუყვანია. დაუნთიათ ღამე ცეცხლი ტყეში. შუალამისას მოსულა ბანჯგვლიანი დევი და ჩამომჯდარა ცეცხლის პირას. თაზის თოფი მუხლთ შუა ედვა. მოუმართა თოფი და ესროლა. გავარდა თოფი და გადავარდა დევი ბექზე.

— ერთიც მესროლეო, — დევი ეუბნება თაზის.

— არაო, მამაჩემს ერთის მეტი არ დაუბარებიაო.

— აი, შენ დედასაო!

თურმე მეორედ რომ ესროლოს, გამთელდება. მეორე დღეს ჩასულა ხევში, ყურები დაუჭრია. იმ დევს დაუწყევლია:

— ბოხეენი არც აშენდეთ, არც გადაშენდეთო...

მართლაც, სანამ იმ სოფელში ცხოვრობდნენ, არა მრავლდებოდნენ.

დევეგი და ღარიგი გლეხი

ყოფილა ერთი მეტად ღარიბი გლეხი, ისე ღარიბი, რომ თავს ძლივს ირჩენდა. წისქვილში საფქვავი წაუღია და დარჩენილა ღამით. წისქვილი სოფლიდან საკმაოდ ყოფილა დაშორებული. რომ

[1] ქურცინა — ყარყუმი.

დაღამებულა, ერთი დევი სტუმრებია. კაცს ძალიან შეშინებია, მაგრამ დევს უნუგეშებია: — არაფერს გერჩი, წამომყევი, შვილი უნდა მოგანათლინოო.

ამ კაცს შეზარებია წასვლა, მაგრამ უარი მაინც ვერ უთქვამს და გაჰყოლია. დევს მოუყვანია სადღაც ერთ გამოქვაბულში, სადაც სხვა დევებიც ყოფილან. დევებს დაუძახიათ:

— პაპი ლოქფედა შვიდებდო! (ნათლია მშვიდობით მობრძანებულაო).

კაცი ჩუმად იყო. დევს შეუსრულებია ყოველგვარი წესი, რაც ნათლობის დროს არის მიღებული.

ბავშვის მონათვლის დროს ამ კაცისათვის გადაუციათ ხელში ბავშვი, მაგრამ, ისეთი დიდი და მძიმე ყოფილა, რომ ძალიან გასჭირებია ხელში დაჭერა.

შემდეგ მოამზადეს ვახშამი, დაკლეს ერთი ხარი. ამ კაცს გაუკვირდა, თავისი მეზობლის ხარი იცნო. ვახშამი რომ დაამთავრეს, ხარის ძვლები აკრიფეს და ერთად დადვეს, შეუბერეს ძვლებს და ხარი გამთელდა.

იმავე ღამეს ეს კაცი დევმა წისქვილში დააბრუნა და დალოცა. კაცმა რომ წისქვილი დაათვალიერა, სავსე აღმოჩნდა ფქვილით. დევმა წასვლის წინ დაარიგა კაცი, ეს ამბავი არსად გაამხილო, თორემ იღბალს დაჰკარგავო.

გამდიდრდა კაცი! დიდხანს შეინახა საიდუმლოება, მაგრამ ბოლოს სოფლელებს მაინც ეჭვი შეეპარათ, თუ საიდან აქვს ამდენი ქონებაო; მალე მისმა ცოლმა საიდუმლოება გათქვა და სოფელს ამბავი მოედო.

ამის შემდეგ ეს ოჯახი ისევ გაღარიბდა. ის ხარი კი დევებმა რომ დაკლეს, კაცმა მეორე დღეს მკვდარი ნახა.

ჯამაგიძის წყარო

მთელი ტყე მოიარა ჯამაგიძემ, მაგრამ ნადირს ვერსად მოჰკრა თვალი. ღამდებოდა და აღარ იცოდა ხელცარიელი როგორ დაბრუნებულიყო შინ. აი, ჩამოიქროლა ირმების ჯოგმა. ესროლა თოფი და ირემი გადატრიალდა.

შინ ვეღარ წავიდოდა ახლა ჯამაგიძე. ჩამოათრია ირემი იქვე იორის მახლობლად, სადაც გზის პირს ერთი პატარა წყარო გამო-

დიოდა. დაანთო ცეცხლი, წამოაცვა ხის შამფურზე ირმის მწვადები და თვითონაც მოუჯდა ცეცხლს.

ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ლაწუნი. ვიღაც გაღმიდან მოდიოდა და ხმელ ხეებს მოამტვრევდა.

გამოხდა იორს, ამოვიდა ჯამაგიძესთან, მოვიდა უკითხავად. დევი იყო, ნამდვილად დევი, შავი ბალანი ესხა ტანზე.

— მოიტა, ერთი ეგ მწვადი მომაწოდე, — უთხრა დევმა ჯამაგიძეს.

ჯამაგიძემ ერთი შამფური მწვადი მიაწოდა. დევმა გაუსვა პირი და ერთი პირის გასმით შეულაპა ყველა. ერთ შამფურს მიაყოლა მეორე, მეორეს — მესამე. მაგრამ მუცელი ვერ ამოიყორა და გაბრაზებულმა წაიბუზღუნა:

— მოიტა, ჩამოჭერი, ნახევარი ირემი შევწვათო.

ჯამაგიძემაც შეასრულა დევის ბრძანება. სხვა რა გზა ჰქონდა?

შეწვა ნახევარი ირემიც. დევმა ისიც ერთი თვალის დახამხამებაში გადასანსლა და ახლა მეორე შემოდო ცეცხლზე.

„ეს მეც არ დამინდობს შესაჭმელადო", გაიფიქრა შეშინებულმა ჯამაგიძემ და თმა ყალყზე დაუდგა, — უნდა გავიქცეო, მაგრამ როგორ უნდა გაქცეულიყო, თვითონაც არ იცოდა.

დევს წყალი მოსწყურდა და მიუბრუნდა ჯამაგიძეს:

— სად არის აქ წყალიო?

— ენდე, ემანდ წყაროაო! — უთხრა ჯამაგიძემ.

დევი წამოდგა. ჯამაგიძეც აჰყვა იდუმალ და დევის შეუმჩნევლად თოფი მოიმარჯვა.

როდესაც დევი დაეწაფა წყაროს, ესროლა მონადირემ და ბეჭში მოარტყა. ესროლა მეორეც... დევი დაეცა და ივრის ხევში ჩაგორდა.

— მესამეცო![1] — წამოიყვირა დევმა.

— წმინდა გიორგიმ გისამოსო! — დაუძახა პასუხად ჯამაგიძემ და მოუსვა შინისაკენ. უსულო დევი კი ივრის ტალღებმა წაიღო.

ფულდუ ქალდანის ასული

ფულდუ ქალდანი განთქმული ვაჟკაცი იყო. ერთ ღამეს მის სახლს სამი მგელი მოადგა. ძალიან ბნელი და წვიმიანი ღამე იყო. მგლები ყმუოდნენ. ადგა ფულდუ ქალდანი და ერთი ცხვარი გადა-

[1] ამბობენ ორჯერ უნდა დაარტყა თოფი დევს, და თუ მესამედაც ესროლე, მაშინვე გაცოცხლდებაო.

უგდო. ამ ცხვრით იმ ღამეს სული შერჩათ მგლებს. მეორე დღეს იქ რას გაუჩერდებოდნენ — წავიდნენ!

ერთ დღეს ფულდუ ქალდანი სამეგრელოს მთებში წავიდა საშოვარზე. წინ ერთი ვაჟკაცი შემოეყარა და ჰკითხა:

— ვინ ხარ?

— ფულდუ ქალდანი ვარ.

ამ ვაჟკაცმა თავის ორ ამხანაგს გადასძახა:

— ეს ის ფულდუ ქალდანია, რომელმაც ცხვარი ჩამოგვიგდო. მშივრები გაგვაძღოო.

ეს ვაჟკაცები ის მგლები ყოფილან, წვიმიან ღამეს რომ მიადგნენ ფულდუს სახლს. ახლა ჯერ ერთმა დაპატიჟა ქალდანი, მერე— მეორემ, მერე — მესამემ. ბოლოს ჰკითხეს: საჩუქრად ჩვენგან რა გინდაო?

საჩუქარი არ იკადრა ფულდუ ქალდანმა და სთხოვა: თქვენ რაც გაგება-ცოდნა გქონდეთ მალული, მეც მასწავლეთო.

ვაჟკაცებმა გაიხმეს განზე და დააფიცეს, რასაც გასწავლით, არავის უთხრაო.

ბუნების საიდუმლოება გაიგო ფულდუ ქალდანმა: ცხოველის, ფრინველის, ქვეწარმავლის ენა შეისწავლა.

დაბრუნდა სახლში და ხარის და ძროხის დიდი ჯოგი მოასხა.

ახლა თავიანთი ძროხა, თავიანთი ხბო, თავიანთი ცხენი ჰყავთ ქალდანებს. დედები კვიცებს ეძახიან რემაში, — ეს ყველაფერი ესმის ფულდუს.

ჭაკმა ცხენმა დაიჭიხვინა ერთხელ და თავის კვიცს გადასძახა:— დაჩქარდიო, თორემ ჯარი მოგვდევს, დაჩქარდი, შინ გავაღწიოთ, თორემ ამდენი ცხენის თვალი, დოვლათი შენა ხარო.

წაიყვანა ფულდუმ ეს კვიცი, რაც საუკეთესო იყო ამ ჯოგებში, გადაარჩია, დააჩქარა და მთის გადასავალზე გადმოიყვანა. დანარჩენი ჯოგი და ამალა მთის გადაღმა დარჩა.

მეორე დღეს დაბრუნდა ფულდუ და ავიდა მთაზე. გადახედა, რომ მთელი ის ჯარი და ჯოგი ამოწყვეტილი იყო.

დაბრუნდა თავის სახლში. დაღამდა, დაწვა ცოლთან. პური გასახმობად ჰქონდათ გაფენილი დერეფანში. მოვიდა პატარა მოთეთრო ჩიტი, არყის ხის ჩიტი. კენკვა დაუწყო ამ პურს. გამოვიდა თაგვი და გაუჯავრდა:

— ეს ფულდუ ქალდანის პურია და ნუ კენკავო!

უსმინა ფულდუ ქალდანმა ამ ჩხუბს და გაეცინა. შეეკითხა ცოლი:

რა გაცინებსო?

ჩავარდა ფულდუ ცუდ დღეში... რა უთხრას? არ შეიძლება ამ ამბის გამჟღავნება, არადა ცოლს რა გააჩუმებს...

ამ დროს ამოფრინდა მამალი და ფულდუს გადასძახა:

— შეცდომა არ მოგვიდეს, შენ ცოლს საიდუმლოება არ გააგებინო. თუ არ გაჩუმდეს შენი ცოლი, ანთებული მუგუზალი მოუსვი ტუჩებზეო.

ფულდუ ქალდანმა აიღო მოკიდებული მუგუზალი, დააშინა და გააჩუმა ცოლი.

ამგვარად, ფიცი არ გატეხა და შემდეგ კაი ცხოვრება გაატარა.

ღვთისმშობლის და დევის ჩხუბი

უშგულის ლამარია[1] შეტისმეტად ლამაზი იყო. ძლიერ მოეწონა დევს ლამარია და მოინდომა მისი ცოლად შერთვა, მაგრამ ლამარიამ უარი უთხრა. სიტყვით რომ ვერა გაახერხა რა, დევმა ლამარიას ძალით დამორჩილება მოინდომა. აირჩია ერთი ადგილი ენგურის ხეობაში სოფელ კალასა და უშგულს შუა, ამოაშენა ქვიტკირით, რომ ენგური შეეგუბა. წყალი იმდენი დაგუბდა, რომ უშგულამდის აიწია და სულ დაფარა ვაკე ადგილები.

სოფელი ძლიერ შეწუხდა, სულ წაულეკა წყალმა ყანები. ლამარიას გული მოუვიდა და გამოუშვა ვერძი, რომელსაც კალის ლეგურუკამ[2] თავისი ვერძიც მიაშველა. ორივენი დაეჯახნენ ქვიტკირს და გაანგრიეს. ახლაც უჩვენებენ ამ ქვიტკირის ნაშენებს სვანები...

ელია, ქრისტე და წმინდა გიორგი

ელია, წმინდა გიორგი და ქრისტე ერთად მიდიოდნენ. პური ზოშივდათ. სერზე მეცხვარე დაინახეს და ელიას უთხრეს:

— წადი, ცხვარი გამოართვი, დავნაყრდეთო!

მივიდა ელია მეცხვარესთან და სთხოვა:

---

[1] ღვთისმშობელი.

[2] წმინდა კვირიკე.

— ერთი ცხვარი მომეციო!

— ვინა ხარ, ცხვარს რომ მთხოვო? — ჰკითხა მეცხვარემ.

— მე ვარ ელია, წვიმისა და სეტყვის მომყვანიო!

— შენ ცხვარს როგორ მოგცემ, საწყალ კაცს ჭირნახულს უტიალებ, ავს არ არჩევ და კარგსო.

გადმოიღო ჩომბახი და უდო და უდო.

წამოვიდა ელია ცარიელი. ახლა ქრისტე მივიდა მეცხვარესთან.

— მეცხვარევ, ერთი ცხვარი მომეციო!

— განა ვინა ხარ, ცხვარს რომ მთხოვო?

— მე ქრისტე ღმერთი ვარო!

— შენ ცხვარს როგორ მოგცემ, ავი და კარგი ვერ გაგირჩევიაო! — გამოაგდო ქრისტეც.

ბოლოს წმინდა გიორგი მივიდა მეცხვარესთან.

— ჰკვიანო მეცხვარევ, ერთი ცხვარი მომეციო!

— განა ვინა ხარ, ცხვარს რომ მთხოვო?

— მე ვარ წმინდა გიორგი, ხალხისა და ქვეყნის მფარველიო!

— მთელი ფარა წაიყვანეო! — უთხრა მეცხვარემ.

— არა, მთელი ფარა არ მინდა, ერთი ცხვარი მეყოფაო!

გამოარჩია მეცხვარემ ერთი კარგი ჭედილა და მისცა. მიიყვანა წმინდა გიორგიმ ჭედილა ამხანაგებთან, დაკლეს, შეწვეს და ერთი კარგი პური ჭამეს. როცა სადილს მორჩნენ, ქრისტემ კალთა დაბერტყა და თქვა:

— ეს ალაგი ვინც მოხნას, მთელი წლის საზრდო მოუვიდესო!

ესენი რომ წამოვიდნენ, წმინდა გიორგი მივიდა მეცხვარესთან და უთხრა:

— ჩვენ რომ პური ვჭამეთ, იქ ქრისტემ კალთა დაბერტყა, რადაც უნდა დაგიჯდეს, ის ალაგი მოხანი და პური დათესეო!

მართლაც, მეცხვარემ იყიდა ის მიწა, მოხნა და პური დათესა. ისეთი ყანა მოვიდა, ისეთი, რომ უკეთესს კაცის თვალი ვერა ნახავდა.

ერთ დღეს გადმოიხედა ზეციდან ელიამ და ეს ყანა რომ დაინახა, ქრისტეს უთხრა:

— შენ რომ კალთა დაიბერტყე, ნახე, იქ რა ყანა მოუყვანიათო.

წმინდა გიორგიმ ეს რომ გაიგონა, უთხრა:

— ეს ყანა იმ მეცხვარეს ეკუთვნის, მე რომ ცხვარი მომცაო.

— რახან იმას ეკუთვნის, აბა, ნახე, რა დღე დავაყენოო! — თქვა ელიამ.

სანამ ელია წამოვიდოდა, წმინდა გიორგიმ მიირბინა მეცხვარესთან და ურჩია:

— მაგ ყანას მაინც გევაჭრებიან, რაც გინდა აიღე, ოღონდ ამალამვე ფეხად გაყიდეო.

მეცხვარემ ყანა იმღამესვე გაყიდა ფეხად. ღამით ელიამ ეს ყანა ისე დასეტყვა, ისე, რომ ნამჯაც აღარ გაუშვა.

მეორე დღეს ელიამ წმინდა გიორგის უთხრა:

— აბა, ნახე, იმ შენი მეცხვარის ყანას რა დღე დავაყენეო!

— ის ყანა მეცხვარეს აღარ ეკუთვნის, ერთ ვაჭარს მიჰყიდაო!— უპასუხა წმინდა გიორგიმ.

— რახან მისი არ ყოფილა, აბა, ნახე, როგორ გამოვაცოცხ-ლოო, — თქვა ელიამ.

ეს წმინდა გიორგიმ გაიგო, მიირბინა მეცხვარესთან და უთხრა:

— ყანა უკანვე დაიბრუნე, ვაჭარი დასეტყვილს რომ ნახავს, მოგყიდისო.

დაიბრუნა მეცხვარემ ყანა. ელიამ მეორე დღეს მოიყვანა ჟუჟუ-ნა წვიმა და ეს ყანა ფეხზე წამოაყენა. შეხედა წმინდა გიორგის და უთხრა:

— შეხედე, როგორ გამოვაცოცხლე ვაჭრის ყანაო!..

— ის ყანა ისევ ისე მეცხვარემ იყიდა, ვაჭრისა აღარ არისო.

ეს ქრისტემაც გაიგონა, გაბრაზდა და დასწყევლა:

— ამ ყანის მოსავალი თითო ურემზე თითო კოდის მეტი არ გამოვიდესო.

წმინდა გიორგი მაშინვე გამოიქცა მეცხვარესთან და უთხრა:

— ქვეყანამ რომ მასხარად აგიგდოს, რაც უნდა დაგიჯდეს, თითო ურემზე არ დადო თითო ძნაზე მეტიო.

მეცხვარე მართლაც ასე მოიქცა და პური ბლომად მოუვიდა.

გაქვავებული ცხვარი და მეცხვარე

სოფელ მაჭატიაში უწინ ერთ მდიდარ კაცს უცხოვრია. იმდენი ცხვარი ჰყოლია, რომ გარშემო მთებს ჰფარავდა. ცხვრის ბინა იქვე, სოფლის მთაზე ჰქონდა. მისი მეცხვარეები ცხვარს რომ დაწველავდ-ნენ, მთიდან სოფელში გრძელი ხის ღარი ჰქონდა დადებული, რძეს ღარში ჩამოუშვებდნენ და სოფელში ჩადიოდა.

უდარდელად მიდიოდა ამ მეცხვარის ცხოვრება.

ერთხელ ერთი მათხოვარი წველის დროს ავიდა მთაზე. თავზე წაადგა მეცხვარეს და უთხრა:

— გამარჯობა, მეცხვარევ, ბარაქალა შენაო!

— გაგიმარჯოსო, — ცივად უთხრა მეცხვარემ.

— ღვთის გულისათვის, რა ხანია, შავი ცხვრის რძე არ მინახავს გემოთი, ერთი მომაწველინე, რა იქნებაო, — შეეხვეწა მათხოვარი.

— ერთი ამ არამზადას უყურეთ, თეთრი ცხვრისა არ ეკადრება და შავისას თხოულობსო, — უთხრა მეცხვარეებს ცხვრის პატრონმა. — მოუწველეთ თხის რძე და ხეთქოსო.

ამის გამგონე მათხოვარმა გადასწერა ჯვარი ცხვარს, ძაღლებს, მეცხვარეებს, ხარბ პატრონს და სული ერთიანად გააქვავა.

ყოველ აღდგომის დღეს, ღამით ქვები ცოტა ხნით სულს ჩაიდგამენ თურმე: ცხვრები ბღავიან, ძაღლები ყეფენ, მეცხვარეებიც სამჯერ დაუსტვენენ და ისევ გაქვავდებიან.

ახლაც ისევე დგანან თურმე მთაზე გაქვავებული ცხვრები, ძაღლები და მეცხვარეები...

მეცხვარე და მარტი

ერთმა მეცხვარემ თქვა:

ისე გავიდა მარტიო,
ვერ მოკლა ციკან-ბარტყიო.

გაბრაზდა მარტი. ადგა და აპრილიდან სამი დღე ისესხა. ამ სამ დღეში ქარბუქი და ნამქერი მოიყვანა. მეცხვარემ ცხვარი ველარ გამორეკა ფარეხიდან. იშოვა ერთი კატა, ჩასვა გუდაში და ჩამოჰკიდა შუა ფარეხში. კატა რომ ფხაკუნობს ამ გუდაში, ცხვარიც იმას მისჩერებია. ამით ამ სამ დღეს გაართო ცხვარი და ამოცოხნის საშუალება არ მისცა.

გავიდა სამი დღე და მარტის სახელიც გაწყდა, მეცხვარემ ცხვარი ისევ ისე გამორეკა.

ასე გააწბილა მეცხვარემ მარტი.

ღმერთი და ქრისტე

ქრისტე და ღმერთი ძალიან დიდი ძმობილები იყვნენ. ერთხელ ღმერთმა უთხრა ქრისტეს:

— წადი და ქვეყნიერება დამითვალიერეო!

წამოვიდა ქრისტე და ათვალიერებს ქვეყნიერებას. ნახა, ერთ

მეცხვარეს ცხვარი ისეთ ღრანტეში შეუყვანია, რომ გაავდარდეს, სულ დაეღუპება. ქრისტეს ეს ძალიან გაუკვირდა. მივიდა მეცხვარესთან.

— გამარჯობა, მეცხვარეო!

— გაგიმარჯოს!

— შე კაი კაცო, აქ რომ არ დაგეყენებინა ეგ ფარა, არ იქნებოდა? განა მაღლა ადგილი ვერ იპოვე? რომ გაავდარდეს, ხომ სულ დაგეღუპებაო!

მეცხვარემ გაიცინა და უპასუხა:

— ნეტავ შენ, საქმე გამოგლევია; რა უნდა დამეღუპოს, ამ მთვარეზე ნამი არ გავარდება, მეტს აქ არც მე გავჩერდები, შემდეგ სხვაგან უნდა წავასხა ცხვარი. ავდარი რომ არ იქნება, ცხვარს აბა, რა დაუშავდებაო.

წამოვიდა ქრისტე, კიდევ გაიარ-გამოიარა ქვეყანაზე და ისევ ისე ავიდა ღმერთთან.

— აბა, დაჯექი, მიამბე, რა ნახე, როგორ არის ქვეყნიერების საქმეო? — ჰკითხა ღმერთმა.

— ყველაფერი კარგი ვნახე, — უთხრა ქრისტემ, — მაგრამ, ერთმა მეცხვარემ ძალიან გამაკვირვა. ცხვარი ჰყავს ღრანტე ხევში, რომ გაუავდარდეს, არც ერთი არ გადარჩება. მე ვურჩიე ცხვრის მაღლა ამოყვანა, მან კი გაიცინა და მასხარად ამიგდო: ამ მთვარეზე ნამი არ გავარდება, მეტს აქ არც მე გავაჩერებ ცხვარს, ავშლი და სხვაგან წავასხამ. ავდარი რომ არ მოვა, ცხვარი აბა, საიდან დამეღუპებაო!

— კარგია, — უთხრა ღმერთმა, — რახან შენ გაწყენინა, აბა, გადავსინჯოთ სიები.—გადასინჯა სიები და, — მართლა არ გაავდარდებაო, — თქვა, — მაგრამ რადგან შენ დაგცინა, უყურე, როგორი ღვართქაფი დავაყენო ამაღამო.

საღამოს დაიწყო ელვა-ქუხილი. მეცხვარემ თქვა: ეე, დიდი ავდარი მოვაო, და ცხვარი მაღლა, ვაკეზე, ამოდენა. კოკისპირული წვიმა წამოვიდა. გათენდა დილა და ღმერთმა უთხრა ქრისტეს:

— წადი, ნახე შენი მეცხვარე რა დღეში იქნებაო!

ჩამოუარა ქრისტემ სადაც ცხვარი ედგა მეცხვარეს, მაგრამ ნაალაგევიც არა ჩანდა. მეცხვარეს კი ცხვარი შეუფენია მთაზე მშვენივრად.

— აკი ამ მთვარეზე არ უნდა გაავდრებულიყო? — უთხრა ქრისტემ.

— არ უნდა გაავდრებულიყო, მაგრამ ჯაშუში ღმერთმა დასწყევლოს, შენ რომ ღმერთისთვის ამბავი არ მიგეტანა, იმან ჩვენი არა იცოდა რა და არ გაავდარდებოდაო...

ხარეგა და ხარხარეგაო...

სოფელ ვარძიის მახლობლად, იმერეთში ერთი დიდი ტბაა. თურმე ადრე იმ ადგილას დიდი სოფელი იყო. ერთი გაჭირვებული წვრილშვილი ქალი ცხოვრობდა სოფელში. დღე და ღამეს მძიმე შრომაში ასწორებდა. შინ და გარეთ თავის ქმარს ეხმარებოდა წვრილშვილის გამოკვებაში. მოახლოვდა დიდი დღესასწაული—ხარებობა, ქალი ღამეებს ათენებდა, ქმარ-შვილს ტანსაცმელს უქსოვდა სადღესასწაულოდ. დაათენდა ქალს თავზე. ხარება დილა იყო, ქალი კი გამალებით ქსოვდა და თან ფეხით აკვანს არწევდა.

— მეზობელო, — შემოსძახეს ქალებმა, — არ იცი განა, რა დიდი დღესასწაულია, ღმერთი დაგსჯის ამ დღეს მუშაობისათვის.

— ე, ხარება და ხარხარება — ჩემ ქმარ-შვილს კი გახარება, — თქვა საწყალმა ქალმა. — ღმერთმა რად უნდა მიწყინოს მე რომ ჩემი ქმარ-შვილი შევმოსოო. — ესა თქვა და თან აკვანს ხელი გამოჰკრა.

იგრიალა ამ დროს მიწამ და უბედური ქალი მისი სახლითა და შვილებით შიგ ჩაიტანა. იმ ადგილას ღრმა, უძირო ტბა ჩადგა თურმე.

ამბობენ, რომ ყოველ ხარებობას ტალღები ტბის ზედაპირზე ხან აკვანს, ხან საქსოვ დაზგასა და ხან მაქოს ამოატივტივებს ხოლმეო.

ელია ხარაზი

წმინდა ელია ხარაზი ყოფილა. ქვეყანაზე მისებრ კეთილი და შრომისმოყვარე კაცი არავის ენახა. თურმე ერთგულად შრომობდა და თავისი ხარაზობით ცხოვრობდა. ისეთი ღვთის მოშიში ყოფილა, რომ არაფრით უქმე დღეს არ გატეხავდა.

ერთ უქმე დღესაც ერთი დედაკაცი მისულა ელიასთან და ჩასციებია, ქოშები შემიკერეო.

ელიას უარი უთქვამს: დღეს უქმეა და ზომას ვერ ავიღებო. მაგრამ დედაკაცს დაუძალებია და ზომა აუღებინებია: ელიას შეგირდისთვის მოუტანინებია ერთი ტაშტი ნაცარი, დაუყრია თავისი კუნძის წინ და დედაკაცისთვის უთქვამს, აი, ამ ნაცარზე დადგი ფეხი, ხვალ ამ ნაფეხარიდან ზომას გადავიღებ და ქოშებს შეგიკერავო.

დედაკაცს არ უქნია. დაუძალებია და როგორც რიგია, აუღებინებია ფეხის ზომა.

დედაკაცი წასულა თუ არა, ელიას უგრძვნია თავისი დანაშაული. აუღია მახათი და გამოუთხრია თვალები. მაშინვე ზეციდან ორი ანგელოზი ჩამოსულა, აუყვანიათ ელია ანგელოზებს და ზეცას წაუყვანიათ უფალთანა.

ადრე საქართველოში ხარაზები უფრო დღესასწაულობდნენ ამ დღეს: აგროვებდნენ ფულს, რომელსამე ბაღში სუფრას გაშლიდნენ და პარაკლისსაც ახდევინებდნენ. თურმე ყოველ ხარაზს დასალოცად ვადაგათავებული შეგირდი უნდა ჰყოლოდა მზად ამ დროისთვის, რომ უსტაბაშს დაელოცა.

ყოველი ხარაზი ეეედრება ღმერთს, ელიას ნიჭი, მოთმინება და სიმართლე მომეციო.

ტბა ერძეგაშრა

იყო ერთი მწყემსი, სახელად ბოშია ერქვა. მთელი ზაფხული ცხვარი აძოვა მთაზე, კარგად გაასუქა. ღვარობისთვის ცხვარი ბარად ჩამორეკა, გაკრიჭა და, რადგან კარგი დარები იდგა და ზამთრის მოახლოების ნიშნები ჯერ არ ჩანდა, ისევ უკან დაბრუნდა. საღამოს ერძეგაშრას ტბის ნაპირად დაბინავდა. რომ დაღამდა, ტბიდან ერთი კარგი ვერძი გამოვიდა და მის ცხვარს დილამდე ეთამაშებოდა. მეცხვარე გაოცებული უყურებდა ამ მოჩვენებას.

ვერძი მეორე ღამესაც გამოვიდა ტბიდან. ამის შემდეგ ბოშიას მთაზე თვენახევარი დაუგვიანდა.

მეორე გაზაფხულზე უმცროსმა ძმამ უთხრა ბოშიას, წლეულ მე წავალ მთაზეო. ბოშია უარზე დადგა, მაგრამ უმცროსმა ძმამ მაინც თავისი გაიტანა.

დაირეკა უმცროსმა ძმამ ცხვარი და ისიც ერძეგაშრასთან მივიდა. საღამოს ტბიდან ვერძი გამოვიდა და ცხვარს თამაში დაუწყო.

გაუკვირდა მწყემს, ვერ მოითმინა და შესძახა. ცხვრის ფარა დაფრთხა; რასაკვირველია, ვერძიც დაფრთხა და ტბაში გადაეშვა და ჰოი, საკვირველებავ, მთელი ფარა თან გადაჰყვა ტბაში.

ცარიელი დაბრუნდა შინ დაღონებული უმცროსი ძმა და ბოშიას თავისი თავგადასავალი უამბო. ეწყინა ბოშიას ეს ამბავი; აკი გითხარ, ნუ წახვალ, თორემ რაიმე ცუდი შეგემთხვევაო.

აიღო ბოშიამ ჭიანური, ჩონგური და ავიდა ერძეგაშრასთან, დაჯდა ნაპირას და რიგ-რიგად, ჯერ ერთი დაუკრა, შერე —მეორე; თანაც დაამღერა. საკრავების ხმაზე ტბიდან ცხვარი გამოვიდა სათითაოდ. გაიკვირვა ცხვრების ამოსვლა უმცროსმა ძმამ და სიხარულისაგან კიდევ შეიძახა. ცხვარი ხელახლა გადაეშვა წყალში. მწარედ დაღონდა ბოშია, ბევრი იმღერა, დაუკრა საკრავებზე, მაგრამ ცხვარი არ ბრუნდებოდა.

— უცხვაროდ მე რაღად მინდა სიცოცხლეო, — წამოიძახა სასოწარკვეთილმა ბოშიამ და თვითონაც გადაჰყვა ცხვარს წყალში. ამის შემდეგ მწყემსებს ხშირად გაუგონიათ ტბიდან „ჰეი, ჰეიო!“ ისიც უნახავთ მწყემსებს, რომ აფუნის მთაზე ცხვრის გარეკვის დროს ტბას ნაპირზე მატყლი გამოჰქონდა.

გუმგერაზი ოღუზები

ოღუზები ბუმბერაზი ადამიანები ყოფილან, სამი-ოთხი ახლანდელი ადამიანის სწორი. იმათი საქონელიც, შესაჯდომ-შესაბმელი პირუტყვებიც, მაღალი ყოფილა. ჭკუა კი ბევრი არა ჰქონიათ.

იმდენად უჭკუო, მოუხერხებლები ყოფილან ოღუზები. რომ საქონლის ბაგა მაღლა, აივანზე ჰქონიათ, დაბლა მიწაზე რომ დავდგათ, ცხენი ვერ დასწვდება, აივანი კი ცხენის სიმაღლე არისო.

ერთხელ ოღუზებს მამული უხნავთ. ერთ ჩვენისთანა კაცს მათი სახნავი ადგილის ახლოს ჩაუვლია. ოღუზები რომ დაუნახავს. უთქვამს: ე როგორი დევკაცებია, დევები შეუბამთ და ხნავენო! უსვრია ისარი და ერთი ოღუზისათვის ბარკალში ჩაუსვამს.

ოღუზს ფუტკრის ნაკბენივით დასწვია ხორცი; ისარი ამოუღია. გაუსინჯავს, გაჰკვირვებია და უთქვამს:

— აი, ღმერთო. ეს რა ვნახე, ეს როგორი რამე ყოფილაო! ნეტავი საიდან გადმოვარდა, ვინ მესროლაო!

მოუხედავს და დაუნახავს ეს პატარა კაცი. გამოჰკიდებია ოღუზი,

ორი-სამი ნაბიჯი გადაუდგამს, პატარა კაცს დასწევია და დაუჭერია. შეეხვეწა დაბალი კაცი:

— შენი ჭირიმე, ნუ მომკლავო!

ოღუზს თავისი წაღის ყელში ჩაუსვამს. მერე თავის ულაყებთან წასულა, ცოტაც მოუხნავს, ულაყები გამოუშვია, აჩაჩა იქავ დაუგდია. შინ მოსულა და დედისათვის უთქვამს:

— დედა, ერთი საკვირველი კაცი მოგიყვანე. ჩვენსავით ულვაში და წვერი აქვს, ჩვენსავით ცხვირ-პირი, ჩვენსავით ქართული სიტყვა. მაგრამ თვითონ პაწაწა რამ არისო.

— აბა, მაჩვენეო?

— აიო! — წაღის ყელიდან ამოუყვანია ის კაცი.

— უი! მომიკვდეს თავი, ეგ ხომ პატარა კაცია! ქვეყანას ჩვენს შემდეგ ესენი შეჭამენო. ახლა ამისთანა კაცუნების ხანა დგება, მაგათ უკან ქონდრის კაცის ხანა დადგებაო.

— დედა! ჯერ ეგ რა არის, რომ ქონდრის კაცი რა უნდა იყოს. მაგათ როგორ უნდა იმუშაონ, როგორ უნდა იცოცხლონ, რა გზაზე უნდა იარონო?

— ჭკუით, შვილო, ჩვენ გვაჯობებენო!

— მაგან ცხენს როგორ უნდა მოუაროს, ქერი როგორ უნდა აჭამოსო?

— როგორ აჭმევს და, მოხერხებით აჭმევს! აბა, მიაწოდე ტომრით ქერი, თუ ვერ აჭმევსო!

შვილმა ტომარაში ბზე ჩაყარა, შიგ ქერი გაურია, პატარა კაცს მიაწოდა. იმანაც აიღო, ცხენს დაანახვა და დაუძახა:

— თფრუშეი! თფრუშეიო!

ცხენმა დაიხვიხვინა, პატარა კაცთან მივიდა, კისერი ჩამოიგრძელა, ქერს დასწვდა. დაწვდომაში პატარა კაცმა კისერზე ტომარა ჩამოჰკიდა. ცხენმა თავი ასწია, ტომარა მაღლა წაიღო და ხრამაჰრუმით დაუწყო ქერს ჭამა.

— აი, ამას გეუბნებოდი! პატარა კაცს ამდენი ჭკუა, მოხერხება აქვს, შვილო! ეგენი ოღუზებს ამოაგდებენ. მაგათ კი — ქონდრის კაცებიო.

ხ ვ ა ვ ლ ი

შუა ლეჩხუმში, რიონისა და ცხენისწყლის ხეობათა შორის, აღმართულია კლდოვანი მთა ხვამლი. იგი ისე დიდია და მაღალი, რომ შავი ზღვის სანაპიროდანაც მოჩანს.

ქართველ მეფეებს, შიშიანობისა და მძიმე განსაცდელის ჟამს, სახელმწიფო განძის ერთ-ერთ საიმედო საცავად ხვამლი ჰქონდათ.

ხვამლის მიდამოებში ექვსი გამოქვაბულია. მთავარი გამოქვაბული, სადაც განძეულს ინახავდნენ, შუა კლდეში, ძირიდან ასი მეტრის სიმაღლეზეა გაჭრილი. კლდეს სულ 250 მეტრი სიმაღლე აქვს. კლდის თავი გადმოწეულია წინ. გამოქვაბული შეღრმავებაშია და მიუვალია. გამოქვაბულში ხელოვნური ნაგებობანიც არის და წყაროც გამოდის.

მთავარ ციხე-გამოქვაბულში მაღლიდან ხვრელით ჩასვლა არ შეიძლებოდა, ერთადერთი მისადგომი გზა გვერდით, წინა მხარეს იყო მიშენებული და მეციხოვნეები შიგ კლდე-ბილიკით შედიოდნენ. სავალი მათ თოკ-ჯაჭვებით ჰქონიათ მოწყობილი. ახლა ამ კლდე-ბილიკის კვალიც აღარ ჩანს.

მწვერვალზე ფართო დავაკებაა, ზოგან ნაპრალებია და თოვლს ზაფხულშიც არ იღებს.

ხვამლში ვეებერთელა წყარო გადმოქუხს. იგი ხან რიონს უერთდება ტვიშის კლდეკართან, აქ ვერძისთავა ჰქვია, ხან ოყურეშისაკენ ცხენისწყლის მარცხენა შენაკადად გადავარდება და რაჩხა ეწოდება.

წინათ ამბობდნენ, ხვამლის კლდეში გველვეშაპი ცხოვრობსო. იგი უკვდავიაო, კლდის ნაპურს ლოკავს, ხან ერთ გვერდზე წევს და ხან მეორეზეო.

როცა აღმოსავლეთისაკენ გადაბრუნდება, ვერძისთავა დაიკეტება, თუ დასავლეთისაკენ მიიბრუნებს პირს, რაჩხა დაშრებაო.

ქ ა ლ ქ ვ ა

შაბაშყეინი შემოესია საქართველოს. კახეთი ააოხრა. მოადგა ყვარელსა და სოფელ საბუეს. გოგილაანთ გვარის ქალი გაექცა მტერს. ერთი ბალღი თან მოჰყავდა ხელმოკიდებული, მხარზე კი აკვანი ედგა მეორე ბალღით. მოიხედა და ხედავს, ეს-ეს არის დაეწევიან ურჯულოები.

ინატრა: ნეტა გამაქვავა მაინც ჩემი შვილებიანად, ოღონდ მტრის ხელში არ ჩამაგდოო.

მართლაც, იქცა ეს ქალი ქვად.

სოფელ საბუეს ბოლოს ამიტომ ქალქვის მინდორს ეძახიან. გდია

იქ, წყლის პირს, ეს ჭროღა ქვა და ორიც პატარა გვერდს უწყვია, ვერაფრით ვერ დაძრავ ადგილიდან.

უდიერი გვალვის დროს შეიკრიბებოდნენ ხოლმე სოფლის ქალები, მათ შორის ერთ-ერთი აუცილებლად გოგილაანთ გვარისა უნდა ყოფილიყო. მოვიდოდნენ ქალქვასთან. ერთ პირს იტირებდა გოგილაანთ ქალი:

ჩემო მამიდაო, ამ გაჭირვებაში რომ იყავო...
როგორ მენანებაო შენი ქალობაო...

იტირებდა და სთხოვდა შველას. ეტყოდა მერე...

გოგილაანთ ქალი იყავ, ამყე, მამიდაო...

და, მართლაც, აჰყვებოდა ქვა. ააგორებდნენ მას ქალები და იქვე მდინარე წყალში გადაუშვებდნენ, ავდარი მოვაო, გოგილაანთ ქალის მადლი შეგვეწევაო.

დ ა - ძ მ ა

შაჰ-აბაზმა თმოგვის ციხე აიკლო, მრავალი ტყვე წაასხა. მათ შორის ერთი მშვენიერი ყმაწვილიც იყო. ყაენს ისე შეუვარდა გული ამ ყმაწვილზე, რომ მოსამსახურედ დაიყენა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ჯავახეთმა ცოტა სული რომ მოითქვა და წელი მოიმაგრა, ამ მხარეს ახლა ოსმალეთის ხონთქარი დაეცა და მისი სოფლები სულ ერთიანად ააოხრა. ხონთქარი ქალაქ თმოგვშიაც შევიდა და იქიდან ბევრი ტყვე წაასხა. ტყვეებში ერია ერთი ყმაწვილი ქალი, რომელმაც თავისი სილამაზით მოხიბლა ხონთქარი. ხონთქარმა ეს ქალი თავის ცოლს დაუყენა მოსამსახურედ. ეს ქალი იყო და იმ ყმაწვილისა, რომელიც შაჰ-აბაზმა მოსამსახურედ დაიყენა.

ერთხელ შაჰ-აბაზი ეწვია სტუმრად ხონთქარს. ხონთქარი დიდის ამბით დაუხვდა და კარგი ნადიმი გადაუხადა; ვახშმადაც კარგი დროება გაატარეს და ვახშმის შემდეგ მოისვენეს.

იმ ღამეს შაჰ-აბაზის მოსამსახურე ბიჭს ძილი არ ეკარებოდა, რადგანაც მეორე დღეს, მარიამობისთვეს, ვარძიის მონასტრის დღეობა თენდებოდა და ეს ყმაწვილი თავის ტყვეობას განსაკუთრებული სიმწარით გრძნობდა. ბევრი შავი ფიქრი და მოგონება უტრი-

ალებდა თავში და ძალიან იტანჯებოდა; ბოლოს, როგორც იყო, მოიბრუნა გული, ამოიოხრა და თქვა: ვარძიის ღვთისმშობელო, შენ გვიშველე ქართველებს და შემუსრე ჩვენი მტერიო!

ამ სიტყვებს ყური მოჰკრა ხონთქრის ცოლის მოსამსახურე ქალმა, ძალიან გაუკვირდა და თქვა თავის გულში: ცხადია თუ სიზმარი, ეს ქართველი აქ საიდან გაჩნდაო?!

გულმა ვეღარ მოუთმინა, მივიდა იმ ბიჭთან და ჰკითხა:

— ძმაო, ვინ ხარ შენაო?

— მე ქართველი ვარ, სოფელ თმოგვიდან, გოგილა მაყვალაძის შვილიო, — უპასუხა ბიჭმა.

ეს სიტყვები ქალმა რომ გაიგონა, ნეკზე იკბინა და უთხრა ბიჭს:

— მართლა, ძმაო, მეც გოგილა მაყვალაძის ქალი ვარო.

მაშინ, რასაკვირველია, ერთმანეთი იცნეს, მეტისმეტი სიხარულით ბევრიც იტირეს, უამბეს ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი და ჩამოაგდეს ლაპარაკი ვარძიის დღეობაზედაც. ლაპარაკით რომ დაიღალნენ, იქვე ახლოს ურემი დაინახეს, ჩამოსხდნენ ამ ურემზე და თქვეს: მოდი, ამაღამ ამ ურემზე ვარძიის ღვთისმშობელს ვუთიოთო.

ამ ლაპარაკში მათ ურემზე დაეძინათ. ღვთის ბრძანებით ეს ურემი აგორდა და გაქროლდა საშინელი სიჩქარით. იარა, იარა და სოფელ აფნის (იქვე ვარძიის მონასტრის მახლობლად) გვერდობზე კი გაჩერდა.

დილის რიჟრაჟზე და-ძმას გამოეღვიძა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს და შენიშნეს, რომ ისინი ერთ გვერდობზე იყვნენ; ძალიან შეეშინდათ და თქვეს: აქ სადა ვართ?! ჩვენმა ბატონებმა რომ გაგვიგონ, ხომ დაგვხოცავენო.

ამ დროს ზარის ხმაც შემოესმათ. დამ გაიხედა იქითკენ, საიდანაც ზარის ხმა მოდიოდა, და შენიშნა, რომ ვარძიის მონასტრიდან სანთლების შუქი კიაფობდა.

— აგერ, ვარძიის მონასტერი! სანთლების შუქიც იქიდან მოჩანსო, — უთხრა დამ.

— სწორედ ბურანში ვართ, დაო, — უპასუხა ძმამ,—აქ ვარძიის მონასტერს რა უნდა?! ნეტა წყალი მაინც იყოს აქ სადმე, რომ პირი დავიბანოთ და ძილისაგან გამოვერკვიოთო.

ამ დროს იქვე ახლო კლდიდან მშვენიერი წყარო გადმოსულა (ეს წყარო დღესაც მოჩუხჩუხებს იმ გვერდობზე), პირი დაიბანეს, ძილისაგან გამოერკვნენ და გაიგეს, რომ ისინი მართლაც თავის საყვარელ სამშობლოში იყვნენ.

ძარწემის წმინდა გიორგი

წინათ ლეკები თარეშობდნენ საქართველოში და ყველაფერს იტაცებდნენ. ერთხელ ძარწემს დასცემიან. ეკლესია გაუძარცვავთ, დაუწვავთ და ვერცხლით შეკედილი წმინდა გიორგის ხატიც წაუღიათ. ხატის მომტაცებელ ლეკებში გაჩენილა ჭირი. ბუზებივით იხოცებიან, განიავდა ხალხი.

იმათ მოლას დაესიზმრა ერთ ღამეს მოტაცებული წმინდა გიორგის ხატი და უთხრა:

— რაც გადამრჩა, იმასაც გავანადგურებ, თუ ისევ იქ არ წამიყვანთ, საიდანაც მომიყვანეთო!

— წაგიყვანთო, ოღონდაც ხალხს ნუღარ დახოცავო!

— მე თქვენი წაყვანა არ მინდა. ერთი მოზვერი გამოიყვანეთ, იმის რქებზე მიმაკარით და გაგვანებეთ თავი. ჩვენ წავალთო!

გაიღვიძა მოლამ. შეყარა ხალხი და უთხრა სიზმარი. მოიყვანეს მოზვერი. მიაკრეს რქებზე ხატი და გაუშვეს

მოდიან ხატი და მოზვერი. გზას ხატი უჩვენებს. მიდის მოზვერი, სად გაჩერდება — ბალახს შეჭამს, სად გაჩერდება — წყალს დალევს. მოვიდა ისევ ძარწემში, ძველ ადგილზე, სადაც ახლაც ბრძანდება. ერთი ასკილის ძირზე დაისვენა.

ახლა ძარწმელ მღვდელს დაესიზმრა ხატი და უთხრა:

— აქედან რომ ხატი წამიყვანეს ლეკებმა, მოვედი, წამოდით და საცა მიპოვნით. იმ ადგილზე ამიშენეთ ეკლესიაო.

მღვდელმა შეკრიბა ხალხი და უთხრა სიზმარი. გაგზავნეს ახალგაზრდები საძებნელად. ავიდნენ. ნახეს, მოკეცილია მოზვერი და რქებზე ხატი აქვს მიკრული. ჩამოუტანეს ამბავი ხალხს. მთელი ხალხი დაიძრა და წავიდა ამ სასწაულის სანახავად. მივიდნენ. შეხსნეს ხატი და დაასვენეს ძირს. ხატი მოხსნეს თუ არა, მოზვერი იმწამში გასკდა თავისით და მოკვდა. იმ ადგილას ააშენეს ეკლესია და იქ დაასვენეს წმინდა გიორგის ხატი ცხოველი. იმ ასკილისაგან გააკეთეს ჯვარი და ისიც იქ დაასვენეს.

სიყვარული, რაინდობა

ქალიაყვანა

ერთი მწყემსი მაღალ მთაზე ცხვარს მწყემსავდა და ყოველდღე სალამურს უკრავდა თურმე. კოშკში ბატონის ქალს მოესმა ტკბილი ხმა. ვეღარ გაუძღო სალამურის მომხიბლავ ჰანგებს და გარეთ გამოვიდა. ახლოს ეჩვენებოდა სალამურის დამკვრელი, თურმე კი მთის წვერზე უკრავდა მწყემსი.

ბატონის ქალი აღმართს შეუდგა...

დაიღალა ბატონიშვილი, ვეღარ იარა, ფეხზე ქოშები შემოაცვდა და მწყემსს შესძახა:

— აქეთ ჩამოდიო.

მოვარდა მთიდან ვაჟი.

— ვინა ხარო? — ქალი ეკითხება.

— მწყემსი ვარო.

— არა, შენ ის არა ხარ, ვისაც ვეძახდი, იმან ტკბილი დაკვრა იცისო, — უთხრა ქალმა. შეეშინდა, ტირილი დაიწყო და კოშკში დაბრუნება დააპირა.

ვაჟმა ჯიბიდან სალამური ამოიღო და ტკბილად დაუკრა.

— საიდან მოხვედი, — ჰკითხა ქალმა, — სად არის შენი სახლი?

— ჩემი სადგომი მაღალი მთაა. ქვეშ მწვანე ბალახი მიგია და ზემოდან ხის ჩრდილი მეფარებაო, — უთხრა ვაჟმა.

— წამიყვანე შენთან, მაგრამ სიარული არ შემიძლია, ხელში ამიყვანე და ისე მატარე, ოღონდ სალამურის ხმა არ შემიწყვიტო, თორემ შემეშინდება და გაგექცევიო, — უთხრა ქალმა.

აიტაცა ვაჟმა ქალი, მსუბუქად ეჩვენა მისი სხეული, აღტაცებულმა აახმიანა სალამური და მთას შეუდგა.

მიდიოდა სიხარულითა და ხალისით, ესწრაფოდა მთის წვერზე ასვლას... მაგრამ მთა მაღალი იყო და მისი მწვერვალი შორს იყო ძალიან.

შეანელა სიარული ვაჟმა, თანდათან გაუჭირდა ქალის ტარება,— მაგრამ როგორც კი ასუსტებდა სალამურის დაკვრას, გრძნობდა, რომ ქალის სხეული ხელიდან უსხლტებოდა.

სულ უფრო მძიმედ მიდიოდა ვაჟი, მაგრამ სალამურის კილოს არ სცვლიდა, ქალიც ალერსს არ აკლებდა.

ააღწია ბიჭმა მთის წვერს, ლასლასით მივიდა თავის ფარასთან, ქალი ხის ძირას დააწვინა და მუხლებში ჩაუდო თავი. შეწყდა სალამურის დაკვრა.

— დაუკარ, დაუკარ სალამური, თორემ მეშინიაო, — ჩასძახა ქალმა.

ვაჟი ხმას არ იღებდა. დაუმძიმდა კალთა ქალს. დაბლა დაიხედა და დაინახა მიწაზე დაგდებული სალამური.

იმავ წუთს მწყემსის ერთგული ძაღლის საზარელი ყმუილი გაისმა.

ამბობენ, ქალმა ძაღლის დახმარებით იქვე გაუთხარა საფლავი ვაჟს და ერთ პატარა გორაკზე დამარხაო.

იმის შემდეგ არც ქალი და არც ის ძაღლი არავის უნახავს; იმ მთას კი დღესაც „ქალიაყვანას“ უწოდებს ხალხი.

ს ა მ გ ო რ ი

სამგორის მინდვრზე საქონელი უძოვებია სამ ახალგაზრდას. იმათგან ერთი ქალი ყოფილა, ორი — ვაჟი. ვაჟებს თურმე ეს ქალი ჰყვარებიათ, მაგრამ ქალისათვის ამის თქმა ვერც ერთს ვერ გაუბედავს. ბოლოს დაუთქვამთ ამ ვაჟებს: ქალს ჩვენი გულისნადები გავანდოთ და რომელიც ქალმა აირჩიოს, იმისი ბედი იყოს, მეორე კი სამუდამოდ ჩამოსცილდესო.

ასეც მოიქცნენ. უთხრეს: ორივეს გვინდიხარ ცოლად და, მოდი, შენ გადაწყვიტე ჩვენი ბედი, რომელიც გინდა აცოცხლე, რომელიც არა — მოკალიო.

— ორივე ჩემთვის კარგები ხართ, — ქალმა უთხრა, — ვერც ერთს ვერ შეგელევით და, მოდით, ბედს მივანდოთ ეს საქმე: მე შუაში ჩაგიდგებით, თქვენ ამ მინდვრის თავსა და ბოლოში დადექით და რომელიც უფრო მალე მოირბენს ჩემთან, იმისი ბედი ვყოფილვარო.

მწყემსები დათანხმდნენ. დადგა ქალი შუაში. გადაზომეს თანასწორი მანძილი და ორივე გამოიქცა ქალისაკენ.

უყურებს ქალი: ხან ერთი სწონის, ხან მეორე, თან გული უფანცქალებს. მერე შეატყო, რომ ერთი სჯობნის და გული ეტკინა, მეორე შეეცოდა, მიხვდა, რომ ის უფრო უნდა ქმრად. აღგა და სიტყვას გადავიდა, იძრა ადგილიდან და იმ მეორისაკენ გადაინაცვლა, იმისკენ მიიწია.

დაინახა პირველმა ვაჟმა, რომ ქალმა უღალატა, ფიცს გადავიდა, გული ჯავრით აევსო და ინატრა: ამ ღალატისათვის, დე, ნურც მე დავრჩები და ნურც ის ვერაგი ქალი, სამივე ვიქცეთ ქვად და მიწადო.

ასრულდა ნატვრა. მართლაც, სამივე იქცა გორად. ორი გორა უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ერთი კი ცოტა მოშორებით.

ამიტომ დაერქვა ამ მინდორს სამგორი.

დაიღუპოს, თუ ცუდი განზრახვით მოდის

თამარის დროს გორის ბორცვი კუნძულივით იყო მტკვრის, ლიახვისა და მეჯუდის წყლებს შორის. აქ საშინელი მორევი ტრიალებდა. გარემო მხარე უღრანი ტყეებით იყო შემოსილი.

თამარ მეფე მობრძანდა ერთხელ აქ სანადიროდ. ბინად ამოირჩია მთა გორისა. მონადირეები მიიფანტ-მოიფანტნენ ტყეებში და ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდნენ დიდძალი ნანადირევით. მრავალი იყო მოკლული: ღორი, ირემი, ხოხობი და სხვა; არ ჩანდა დედოფლის საყვარელი მიმინო. მიმინო თურმე გორის ბორცვის კლდის გამოშვერილ ქიმზე ჩამომჯდარიყო. თამარმა ბრძანა: ვინც მიმინოს მომიყვანს, ყოველგვარ საწადელს ავუსრულებო.

ტბა-მორევი კი ღელავდა, ქშინავდა. დედოფლის დავალების ამსრულებელი არ ჩანდა, მაგრამ უცბად გუნდიდან გამოვიდა ვიღაც მშვენიერი ჭაბუკი. ფიცხლავ თავი დაუკრა თამარ მეფეს, დაეშვა გორიდან და გადახტა მორევში, მძლავრი მკლავები შეათამაშა და შარდად გასცურა. მიუახლოვდა ბორცვის ნაპირს. მიმინო ხელთ იგდო და მღელვარე ტალღებში გადაეშვა ისევ. აგერ, გმირულად მოარღვევს ტალღებს, აგერ, კიდეც მოაწია აქეთ ნაპირს, ცოტაღა უკლია, რომ ხმელს დაადგას ფეხი. „პირობა დავუდე; რასაც მთხოვ

აგისრულებო; ხელი რომ მთხოვოს?!" — გაიფიქრა უცებ თამარმა. გულში შეევედრა ღმერთს: თუ ასეთი განზრახვით მოჰყავს მიმინო, ღმერთო, დაღუპე და მორევს მიეცი.

იფიქრა ეს თუ არა, წყალმა ჩასძირა გმირი ჭაბუკი. ინანა თამარმა და ცოდვის მოსახდელად ეს კეთილი საქმე ჰქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველ წლივ რამდენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშვა მტკვრის კალაპოტში და დაწრიტა, ბორცვზე კი ააგო მაგარი გორის ციხე.

თამარის კლდე და შოთას მთა

სოფელ შქმერის მახლობლად მაღლა კლდეშია ჩაშენებული გამოქვაბული. დღესაც იგი მიუვალად ითვლება. ხალხის აზრით, ამ გამოქვაბულში თამარ მეფის აკვანი დგას და კლდეზე მისი გამოსახულებაა დაცული. ამ გამოქვაბულთან ასეთი თქმულებაა დაკავშირებული:

თამარ მეფესა და რუსთველს ერთმანეთი ბავშვობიდან უყვარდათ. შოთა რუსთველი დიდებულის შვილი იყო, მაგრამ მეფის ასულს მაინც ვერავინ მიათხოვებდა. ამიტომ შოთა საქართველოდან გადაიკარგაო. თამარ მეფემ ეს გამოქვაბული გააკეთებინა თავისათვის. როდესაც სიყვარულის დარდი განსაკუთრებით შემოაწვებოდა, თამარი შქმერის კლდეს მიაშურებდა, თავის გამოქვაბულში ჩაიკეტებოდა და იქიდან გასცქეროდა შოდას მთას, რომელიც შოთას სახელს აგონებდა და დარდს ამით იქარვებდაო. თამარის კლდიდან ჭიათურამდე უწინ ხვრელი ყოფილა გაკეთებული და მას გამოჰყვებოდა ხოლმე თამარიო.

შოთას ნათქვამი

ერთხელ თამარ მეფე რაჭის ერისთავს ესტუმრა. ერისთავმა დიდი ნადიმი გაუმართა დედოფალს.

რაჭის ერისთავის ქალი თურმე ჰყვარებია მის მეცხოვნეს, დავით გოცირიძეს. ყველაფრით ნაქები ვაჟკაცი ყოფილა, მაგრამ გვარი არ აძლევდა ერისთავის ქალიშვილის შერთვის ნებას.

თამარმა რომ ეს გაიგო, შეხედა იქ შეყრილ ფილოსოფოსთ და ჰკითხა: თქვენ რას გვირჩევთო?

შოთა რუსთაველს უთქვამს: ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი არა ვარგოდეს, ცუდია გვარიშვილობაო.

გადაწყვიტა იმ ერისთავმა და მისცა ქალი გოცირიძეს, რაკი თამარი ჩაერია ამ საქმეში.

თამარ მეფე წმინდანად მიუღია ქართველ ხალხს და პირიმზე შეურქმევიათ. თამარ მეფესთანა ლამაზი ქალი არ დაბადებულა.

თამარ ქალი
ქვეყნის თვალი,
მზისა დარიო.

რაჭაში კარგ ქალს ასე დაიტირებდნენ:

კაი ქალოო, თამარ დედოფლის
მგვანეო,
ხმა დაბალო და საქმე მაღალოო.

თამარ მეფის საფლავი ვარძიაში

. თამარ მეფის სილამაზე ბევრ დიდებულს უძგერებდა გულსა, ბევრსა სურდა მისი ცოლად შერთვა, მათ შორის ოსმალოს დიდი ფაშაც იყო.

ერთხელ ოსმალოს დიდმა ფაშამ შემოუთვალა თამარ მეფეს: ცოლად უნდა გამომყვეო.

თამარ მეფე ძლიერ განრისხდა და შუაკაცები უარით გაისტუმრა. ფაშამ იწყინა: თუ ცოცხალი ვერ გიხილე, სიკვდილის შემდეგ უთუოდ ამოვიღებ სამარიდან შენს გვამს და წამოვიღებო.

თამარ მეფე დაფიქრდა: ვაითუ მიცვალების შემდეგ ჩემი გვამი მართლა ამ ურჯულოს ჩაუვარდეს ხელშიო. ბევრი ფიქრის შემდეგ შეუდგა ვარძიის მონასტრის აშენებას. მონასტერი რომ დაასრულა, გაათლევინა სამი ბოძი და უბრძანა მხლებლებს: როდესაც ჩემი აღსასრულის დღე მოვიდეს და გარდავიცვალო, ამ მონასტერში დამასაფლავეთ და ეს სამი ბოძი ამ მონასტერს შეუდგითო.

თამარ მეფე გარდაიცვალა. კარისკაცებმა მეფის ანდერძი შეასრულეს. ჯერ დაასაფლავეს მონასტერში უნიშნოდ და მერე ის სამი ბოძი მონასტრის ჭერს შეუდგეს.

ფაშამ გაიგო თუ არა თამარ მეფის გარდაცვალება, მაშინვე აუარებელი ჯარით შემოესია საქართველოს და პირდაპირ ვარძიის მონასტერს მიადგა. დაიბარა მაშინვე კარისკაცები და ჰკითხა: სად ასაფლავია თამარ მეფეო?

ერთი კარისკაცი ფაშას გამოუტყდა და მოახსენა:

— აი, ამ მონასტერშია დასაფლავებულიო.

— რა ნიშანი აქვს საფლავსო?

— ნიშნად სამი ბოძი აქვს დადგმულიო.

შევიდა ფაშა მონასტერში, ნახა სამი ბოძი და შედგა: არ იცოდა, რომელი ბოძისთვის მოეკიდა სული, რომელი ბოძის ქვეშ იქნებოდა თამარის საფლავი.

ბევრი ფიქრის შემდეგ ფაშა პირველ ბოძს მიადგა და დაუწყო ნგრევა, ბოძმა ხმა ამოიღო და ფაშას უთხრა:

— მე ტყუილად მანგრევ, აგე, ამ მეორე ბოძის ქვეშ არის თამარი დასაფლავებულიო!

ფაშამ პირველ ბოძს თავი დაანება და მიადგა მეორე ბოძს დასანგრევად. მეორე ბოძმაც ასე უთხრა:

— აქ არ ასაფლავია თამარ მეფე, აგე, იმ მესამე ბოძის ქვეშ არისო.

მესამე ბოძმაც ასე უთხრა და პირველზე ანიშნა.

გაუკვირდა ფაშას, ღმერთს დიდება შესწირა და თქვა:

— ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არა ჰკარგავ შენს დიდებასა და ძლიერებასო!

ღმერთს თაყვანი სცა და სთხოვა შეცოდების შენდობა. მერე მთელი ღამის ნამუშევარი და ნაბრძოლი მონასტრიდან გამოვიდა და თავის გზას გაუდგა.

შოთა რუსთველის ვინაობა

შოთა რუსთველი სოფელ რუსთავში დაბადებულა. ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა, მამა რომ მოჰკვდომია.

პატარა შოთა თავის ბიძას — ბერს აღუზრდია. ბიძამისიც და მამაც კარგი მელექსეები ყოფილან.

შოთას პირველად ასწავლა თავისმა ბიძამ, მერე ტბეთში უსწავლია თავის ძმასთან ერთად. შოთას პატარაობიდანვე ეტყობოდა, კარგი მელექსე რომ დადგებოდა. თურმე ჯერ ასოებიც არ ესწავლა, რომ რასაც შეხედავდა, იქვე შაირს გამოუთქვამდა.

ბიძამისს გულში ჩაუთქვამს, ყმაწვილისათვის კიდევ ესწავლებინა. მართლაც, უსწავლებია ჯერ საქართველოში და მერე სხვა ქვეყნებშიც: საბერძნეთსა და სპარსეთში. ის უცხო ქვეყნიდან დიდად განსწავლული დაბრუნებულა და წვრილ-წვრილი ლექსებით მალე სახელი გაუთქვამს. მერე ცოლიც შეურთავს. ეს ქალი ძალიან გამბედავი და უშიშარი ყოფილა.

თურმე შოთას ქება თამარსაც გაუგია. ამ დროს პოეტს დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ და თამარისათვის მიურთმევია. აქამდე თურმე შოთას თამარი არ ენახა.

თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან მოსწონებია და შოთა დაუსაჩუქრებია. მის შემდეგ შოთა თამარის კარის ხშირი სტუმარი ყოფილა. თამართან დადიოდა აგრეთვე შოთას ძმაც. იგი ძალიან გულადი და მებრძოლი ვაჟკაცი ყოფილა.

შოთას ძმას თურმე თამარ დედოფალი ჰყვარებია და შოთასაც უყვარდაო თამარი... ძმებმა კი ერთმანეთისა არა იცოდნენო. ბოლოს შოთას გაუგია, რომ მის ძმას უყვარს თამარი და დადარდიანებულა.

შოთამ ვერც სიყვარულს უღალატა და ვერც ძმას. შეჯდა თურმე თავის ცხენზე, სამჯერ აიღო მიწა, აკოცა და თქვა ეს ლექსი:

თამარ, ლამაზო ყვავილო,
სურნელოვანო იაო,
სილამაზე და სიტურფე
მზისაგან გადგიღიაო.
— ნეტავი შენსა მჭვრეტელსა, —
მე ბევრჯერ მინატრიაო,
ცხრა გზით ვეწამე, მე შენთვის
ღირსება დამითმიაო.

გაიქცა სპარსეთში შოთა რუსთველი. რამდენიმე ხნის მერე შოთას ცოლს კაცური ტანსაცმელი ჩაუცვამს, შემჯდარა ცხენზე და ქმრის საძებრად წასულა. დიდი ძებნის შემდეგ უნახავს სპარსეთში, შებრძოლებია და ერთმანეთი დაუხოცავთ.

წოვის ქალი

აი, ამ ლოდს ხომ ხედავ, ახლა მაგის დამძრავი ვინ იქნება, სამოოთხი კაციც ვერ აიღებს; ეგ ქვევით ხევიდან წოვის ქალს ამოუტანია. ძალიან ზორბა, ღონიერი და ლამაზი ქალი ყოფილა. ის ქალი

შეჰყვარებია გმირობითა და ღონით განთქმულ ერთ ვაჟკაცს — წაროელ მომეტეს. ქალის მშობლებთან მისულა სათხოვნელად. ქალის ძმაც დიდი ვაჟკაცი ყოფილა და მთხოვნელისთვის უთქვამს: შენ იცი და ჩემმა დამ; თუ უნდიხარ, გამოგყვესო.

ვაჟკაცი წოვის ქალს წყაროს იქით, ინდაერთასაკენ, საცალფეხო ბილიკზე შეხვდა, გამოუცხადა სიყვარული და ცოლად გაყოლა სთხოვა. ქალმა უარი უთხრა და შინისაკენ აჩქარდა. წაროელთ ჰომეტე გაგულისდა, ქალმა როგორ უნდა დამიწუნოსო, და ხელი ჩაავლო. წოვის ქალი ეკრძალებოდა ვაჟკაცს, სთხოვა, ნუ შემარცხვენ, გამიშვიო, მაგრამ გამგელებული ვაჟი ძალაზე იყო. როცა ვაჟი საზღვარს გადავიდა და მთლად დამორჩილება მოინდომა, გამწარდა წოვის ქალი, მოიქნია ვაჟკაცი და ხევში გადაუძახა.

აი, ეს ადგილია, სადაც ისინი დაეჭიდნენ ერთმანეთს და იქ, ხევში, წყლის გვერდით, კი ის ადგილი, სადაც ვაჟი დაეცა.

ძეძვის გუჩქი ორ სამარეს შუა

გაჭირდა წყლის გაყვანა მდინარე ქურმუხოდან ქურმუხოს მაღალ ფერდობზე; მრავალჯერ სცადეს რუს გაყვანა, მაგრამ ვერა მოახერხეს რა და მიატოვეს მუშაობა.

სწორედ ამ დროს კახში ცხოვრობდა მღვდელი ხუციშვილი. დიაღ ლამაზი, გასათხოვარი ქალი ჰყავდა. იმისი სილამაზის ამბავი გაიგო ერთმა შორეულმა თათარმა, მოვიდა და მღვდელს შეეხვეწა: შენი ქალის სიყვარულით ვიწვები, მომათხოვეო.

მღვდელი შეწუხდა, მაჰმადიანს როგორ მივათხოვო ჩემი ქალიო.

თათარი მეტად ლამაზი და ახოვანი ვაჟკაცი ყოფილა. მღვდლის ქალს თვალში მოსვლია.

რა ექნა მღვდელს? ადგა და არასასურველ სასიძოს შეუძლებელი საქმე დაავალა: თუ ქურმუხოს ფერდობზე, ეკლესიის ეზოში წყალს გაიყვან, ქალს მოგათხოვებ, თუ არა და, თვალით აღარ დამენახო, წადი, საიდანაც მოსულხარო.

თათარი შეუდგა საქმეს. დღე და ღამეს ასწორებდა. გაჭრა მოა და დღეს თუ ხვალ წყალსაც გადაუშვებდა.

დაღონდა მღვდელი. რას იფიქრებდა, რომ თათარი ამ გაუგონარ საქმეს შეასრულებდა. იმედი გაუცრუვდა, ქალი უცხოსთვის უნდა გაეტანებინა ცოლად.

მღვდელი რომ წუხდა, ერთმა კუდიანმა დედაბერმა უთხრა:
— თუ ქალის დახსნა გინდა, შენს ფარას ბატკანი მოაშორე, ჯოგში ძროხებს ხბორები მოაცილე, სამ დღეს ცალ-ცალკე გაუღეს, მოამშიე კარგად, მერე გამოუშვი. პირუტყვი ერთმანეთში აირევა, აბღავლდება: დედები შვილებს დაუწყებენ ძებნას, შვილები — დედებს. მე კი თათართან მივალ და ვეტყვი: ხედავ, ჩვენი მღვდლის სახლში რა ვაიშუანი, ტირილ-ჟრიამულია, მღვდლის ქალი შენს მოლოდინში დადნა და დღეს სული განუტევა. იმიტომაცაა ეს ცეცხლი, ასეთი ვაი და ვიში, ტირილი და აურზაურიო.

მღვდელს მოეწონა ბებრის რჩევა. ვაჟკაცმა მღვდლის ქალის სიკვდილი რომ გაიგო, არხს თავი ანება, ერთი ამოიკვნესა, წერაქვი დაიკრა თავში, არხშივე ჩავარდა და სული დალია.

მღვდლის ქალმა ეს ამბავი ქურმუხოს აქეთა ნაპირას გაიგო და მუხლი მოეკვეთა. იმ ვაჟკაცის სიყვარულით ისიც მოკვდა.

ორნივ დამარხეს ქურმუხოს თავზე: ერთი — თათრის განათხარი არხის აქეთა პირს, მეორე — იქითა პირს. მათ სამარეებზე ვარდ-ყვავილი ამოვიდა. მთელ ხალხს ისე შეეცოდა ეს უცოდვო ახალგაზრდები, რომ იწვოდნენ მათი ცოდვითა და კუდიან ბებერს ემუქრებოდნენ. ბებერსაც შიშით გული გაუსკდა, — მოკვდა. წაიღეს, იმ ქალ-ვაჟის სამარეებს შუა, არხში, ჩაფლეს.

ბებრის საფლავზე ძეძვ-ეკალი ამოვიდა, გაიზარდა, შეყვარებულების ვარდ-ყვავილებს შუა ჩადგა. გაზაფხულზე ეს ყვავილები ერთმანეთისკენ მიიწევდნენ, წვდებოდნენ, ეკონებოდნენ. ახლა კი ეს ძეძვი გაეჩხირა შუაში, გადახვევნას უშლიდა.

დედის გული

ქვრივ დედას ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. წამოიზარდა ვაჟი, დავაჟკაცდა და ერთი ლამაზი გოგონა შეუყვარდა.

ქალს მაინცდამაინც არ მოსწონდა ყმაწვილი და თავიდან რომ მოეშორებინა, უთხრა: დედაშენზე მეტად თუ გიყვარვარ, წამოგყვები ცოლად, თუ არა და — არაო; ამოართვი დედაშენა ვული და ცოცხლად-ცოცხალი აქ მომიტანეო.

არ დაფიქრებულა მიჯნურობის ალში გახვეული ვაჟი. არც აცია, არც აცხელა, მძინარე დედას გული ამოართვა და გააქანა ცხელი, ათახთახებული გული თავის სატრფოსთან. ისეთი თავგამეტებით

მირბოდა, რომ თვალები აუჭრელდა, წამოჰკრა ფეხი ქვას და ორივე ხელით დაასკდა მიწას. დედის გული მძიმედ დაეცა მიწაზე...

დაიკვნესა დედის გულმა და შესძახა შვილს: — ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს დედა, ხომ არაფერი გეტკინაო?

ვაჟი გონს მოვიდა, საშინელი ბოღმა მოაწვა, მიიჭრა სატრფოსთან და ისეთი გამეტებით ჰკრა გულზე დედის ცხელი გული, რომ იქვე სული გააცხებინა: ეს ჩემი დედის ცოცხალი გული და ესეც შენი სიკვდილიო!

სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს

როდესაც ჩაქვში გურულების ღალატით შეტყუებული მეფე სოლომონ მეორე დაამარცხეს თურქებმა, იქ მაშინ ერთი ქართველი აზნაური, კორინთელი — ელიზბარ ერისთავის საყვარელი შინაყმა — დაიკარგა და ამ გარემოებამ მეტად შეაწუხა როგორც ერისთავი, ისე მეფეც.

თურმე ის საწყალი კორინთელი გონებამიხდილი ნახეს მკვდრებში თათრებმა და ტყვედ წაიყვანეს. როდესაც ჭრილობისაგან განიკურნა, ტყვე მივიდა ფაშასთან და მოახსენა: შინ გამიშვი და ას ქისა ოქროს მოგიტან სახსრადო.

— რომ ვერ იშოვნო, მერე? — ჰკითხა ფაშამ.

— რადგანაც ჩემი ბატონის ერთგული და საყვარელი ყმა ვარ, იმედი მაქვს ვიშოვნიო.

— თავდები ვინ გყავს?

— არავინ!

— მაშ, ისე როგორ იქნება?

— აი, ჩემი ულვაშის ერთი ღერი...

— მერე, რომ არ მოხვიდე, ამ ულვაშის ღერს რა უნდა ვუყო?

— შერცხვენა უბრძანე და ზედ დააფურთხე!

— გურჯო, რას ამბობ? ამით იქ, იმ სიშორეს, რა გეტკინება?

— ხორცი კი არ მეტკინება, მაგრამ გული იგრძნობს და სულს ეწყინება.

ამ სიტყვებს ისე ბეჯითად ეუბნებოდა კორინთელი, რომ ფაშა დაეთანხმა და გამოისტუმრა იმერეთისაკენ, მაგრამ ეს კი უთხრა, თუ ხელცარიელი მოხვედი, თავს მოგჭრიო.

გახარებული კორინთელი მოვიდა იმერეთში აღდგომა დღეს, მოეხვია მუხლზე თავის ბატონსა და მეფეს და წვრილად უამბო თავისი თავგადასავალი. მეფემ და კარისკაცებმა მოინდომეს მისი დასაჩუქრება, მაგრამ ელიზბარ ერისთავმა გააქნია თავი, შეიქმუხნა წარბები და თქვა:

— ვისაც ჩემი პატივისცემა გაქვთ და გინდათ, ნურავინ შეეწევით მაგ შერცხვენილს! ქართველი კაცი რომ ტყვედ ჩავარღება მტრის ხელში, ის შერცხვენილია მაშინ და იმასთან პურიც აღარ იქმებაო.

ეს სიტყვები ისარივით მოხვდა გულზე კორინთელს, არ ელოდა ამას თავისი საყვარელი ბატონისაგან. გულდაწყვეტილმა დაჰკრა ფეხი, ჩავიდა ისევ ფაშასთან და უამბო ყველაფერი, რაც მოხდა. ფაშას მოეწონა მისი ქცევა, გაუკვირდა იმის უშიშრობა და სთხოვა:

— რადგან გურჯებს შენისთანა კაცის ფასი არ სცოდნიათ, დარჩი აქ, ჩემთან; რჯული გამოიცვალე, მომენდევი და მე ვიცი შენი შენახვა როგორც უნდაო!

მაგრამ ქართველმა უპასუხა:

— რას ბრძანებ, დიდებულო ფაშავ, ვინც თავის მამა-პაპის სჯულს უღალატებს და თავის სამშობლოს გაუტანლობით მოშორდება, ის ვისგან რაღა სანდო კაცი იქნებაო.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გააკვირვა ფაშა, რომელმაც ასი ქისა ოქრო პირიქით აჩუქა კორინთელს და ისევ გამოისტუმრა იმერეთისაკენ.

კორინთელმა ქუთაისის მახლობლად იყიდა მამული და დაესახლა. ათი წელიწადი სასახლეს აღარ მიჰკარებია. იყო თავისთვის სოფელში ისე, რომ თითქმის მისი ხსენებაც კი გადაავიწყდათ.

ერთხელ მეფე სოლომონ მეორესა და ელიზბარ ერისთავს შუღლი მოუვიდათ ერთმანეთში. მეფე შემოსწყრა ერისთავს და შერისხული ერისთავი გადმოვიდა გორში, თავის მამულში. კარისკაცების რჩევით მეფემ გააძრახა ქაიხოსრო და სვიმონ წერეთლები, რომ ჩასულიყვნენ გორში და ერისთავისათვის რამე ეხელმანკათ. წერეთლებმაც მეფის ბრძანება ადვილად შეასრულეს. გამოიტყუეს ერისთავი გორის ციხიდან, ღალატით შეიპყრეს და იმერეთში ტყვედ ჩამოგვარეს მეფეს.

ცოტა ხნის შემდეგ ელიზბარ ერისთავი და მეფე, როგორც სიძე-ცოლისძმა, შერიგდნენ და ისევ დამეგობრდნენ, შეექნათ ლხინი და დარბაზობა.

ერთხელ, როდესაც პურის ჭამად ისხდნენ ჩვეულებრივად, ვიღაც წვერმოშვებული მესტვირე მოადგათ და იმისთანა შაირები თქვა, რომ ერისთავი გააკვირვა, რადგან ბევრი რამ საკუთრად ელიზბარის თავგადასავლის მოთხრობა იყო.

— კაცო, შენ ვინა ხარ? — ჰკითხა ელიზბარმა.

— მესტვირე, — მიუგო მესტვირემ.

— გხედავ, მაგრამ რა კაცი ხარ?

— ერთი საწყალი უცხო კაცი!

— არა, შენ უბრალო კაცობა არ გეტყობა, ჯერ ემანდ დაჯე და პური ჭამე და მერე კი უნდა მიამბო შენი ვინაობა.

— არ გიახლებით, შენი ჭირიმე.

— შენ ეგებ მეფის ხათრი გაქვს და მიტომ არ გინდა დაჯდომა. მაგრამ დღეს მეფე ჩემი სტუმარია და ჩემი სურვილის მედასტურე.

— არა. შენი ჭირიმე, მე თვითონ არ მინდა დავჯდე.

— რატომ?

— მიტომ, რომ არ მეკადრება თქვენთან ჯდომა.

— რაო? შენ არ გეკადრება ჩემთან ჯდომა და ჩემთან პურის ჭამა, თუ მე არ მეკადრება შენ რომ გვერდით მომიჯდე?

— მე არ მეკადრება. რომ თქვენთან პური ვჭამო.

— ნამეტანს კადნიერობ!

— მოგახსენებთ: ერთი საწყალი ქართველი ჩავარდა მტრის შუაგულ რაზმში. სანამ შეეძლო იომა და ბოლოს ხელ-ფეხში საძრაობა რომ აღარ ჰქონდა, დაჭრილ-დასისხლიანებული ჩავარდა ტყვედ. როდესაც ტყვეობიდან დაბრუნდა, მისმა ბატონმა, დიდმა კაცმა, არ მიიღო: შენთან კაცს პური აღარ ეჭმებაო. ახლა, შენი ჭირიმე, ჩემო დიდო ბატონო, და დიდო კაცო, მოგახსენებენ, რომ ბატონი დიდი ელიზბარ ერისთავი იმერლებს გორის ციხიდან გამოუყვანიათ და ტყვედ ჩამოუყვანიათო. ამდენი დიდკაცობა როგორლა კადრულობს იმასთან პურის ჭამას?!

ერისთავს გულზე სისხლი მოებჯინა და ჰკითხა:

— მიცნობ, მე ვინა ვარ?

— რაღა დაგიფიცო, დიდი კაცები სანამ საფლავში არ ჩავლენ, ძვირად იცვლებიან. გიცანი, ბატონი ელიზბარი ბრძანდებით.

— შენ... შენ... შენ განა კორინთელი ხარ?

— დიახ, შენი ჭირიმე. თქვენმა რისხვამ დამჩაგრა. ძნელი საცნობიღა ვარ, მაგრამ, მგონი, კი გაგაცანით ჩემი თავი.

— მერე როგორ მიბედავ მაგდენს! — შესძახა ელიზბარმა და სთხოვა მეფეს, ნება ებოძებინა კორინთელისათვის ენის მოჭრისა,

ძაგრამ სანამ მეფე ან ავს ბრძანებდა ან კარგს, იქ მდგომმა მეფის ხუმარამ ერთი უეცრად გადაიხარხარა. მეფე მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რა გაცინებს, მასხარავ, გაგიუდი?

— არა, ბატონო მეფევ, — მიუგო ხუმარამ. — ერთი სასაცილო ამბავი მომაგონდა. ერთი პატარძალი იყო. როდესაც შინ მარტო დარჩებოდა ხოლმე, კარს არ კეტავდა და მუდამ ღიადა ტოვებდა.

ერთხელ შეუცვივდნენ საბრალოს ვიღაცეები. გააუპატიურეს და წავიდნენ. საბრალო პატარძალმა ისწავლა ჭკუა და მერე კეტავდა კარს.

ბატონ ერისთავსაც ასე მოუვიდა. აქამდის უნდა მოეჭრა კორინთლისათვის ენა, სანამ იტყოდა რამეს, თორემ ახლა რაც იცოდა, თქვა იმ კაცმა და კიდეც გაათავა.

მეფემ გაიცინა და უბრძანა ხუმარას:

— შენ არ იცი განა ანდაზა, რომ მართლის მთქმელს შეკაზმული ცხენი უნდა ჰყავდესო.

— ვიცი, ბატონო, მაგრამ, ჩემი ცხენი ტყეში გავუშვი მგლებზე სანადიროდ.

— მაშ, კარგი, — უბრძანა მეფემ, — გამოიყვანე ჩემი საჯინიბოდან უკეთესი ცხენი, შეკაზმე და გასწიე ახლავე!

ხუმარა ისარივით გავარდა კარში.

მეფემ ელიზბარს შეხედა და გაუღიმა. ერისთავი მიუხვდა მეფეს გულისპასუხს. მიუბრუნდა კორინთელსა და უთხრა:

— ეჰ, რაღა გაეწყობა, მე ხომ მაწყენინე და ეს არის, მაგრამ იმ ხუმარას მაინც ნუ დარჩები უმადურად! წადი, დაეწიე და მადლი უთხარი, თუ ცხენი არა გყავს, ჩემი შეკაზმული ცხენი მომიცია, შეჯექ და ისე გამოუდექიო!

გულთმისანი მგოსანი

იყო გულზვიადი, პატივმოყვარე მეფე. ქვეშევრდომებმა შეაჩვიეს მუდმივ ხოტბასა და ქება-დიდებას.

მაგრამ მის სამეფოში ცხოვრობდა ერთი პირუთვნელი, შეუპოვარი და გულთმისანი მგოსანი, რომელიც ანგარიშს არ უწევდა მეფის ზვიადობას.

ერთ დღეს მეფემ მოილხინა, ნადიმზე პირმოთნე მგოსნები და მელექსენი შესხმას უხვად სძღვნიდნენ მას. შეზარხოშებულმა მეფემ გაიხსენა მისი ურჩი, გულზვიადი, გულთმისანი მგოსანი. ბრძანა: მონახეთ და მომგვარეთ ჩემი ურჩი მგოსანი, რომ მიმღეროს, ხოტბა მომახსენოსო!

ამავე დროს მოიხმო თავისი მესაიდუმლე ვეზირი. უბრძანა: მალულად, სახლის კარიბჭიდან ვიდრე ეზოს ჭიშკრამდე, გათხარეთ ვიწრო და ღრმა თხრილი, ზედ ძვირფასი ხალიჩები დააფინეთ, ეზო სადღესასწაულოდ მორთეთ, ყველაფერი ეს ურჩი მგოსნის მოსვლამდე მზად იყოსო.

სასახლის აივანზე განცხრომით განაგრძო ნადიმი მეფემ. პირმოთნე ამალა, დიდებულნი და კარისკაცნი ხოტბას ხოტბაზე სძღვნიდნენ. შეზარხოშებული მეფე წინასწარ განიცდიდა სიამეს, რომ ურჩ მგოსანს ასეთი მახე მოუწყო!

მონახეს მისანი-მგოსანი, აცნობეს მეფის ბრძანება. მოვიდა მხარზე ჩონგურჩამოკიდებული მგოსანი და მოადგა სასახლის ჭიშკარს. რომ დაინახა სასახლემდე ძვირფასი ხალიჩებით დაფენილი, სანაქებოდ მორთულ-მოკაზმული ეზო, კარიბჭესთან მდგომი მეფე და დიდებულები, გაოცდა. ერთ წუთს ჩაფიქრდა მგოსანი, ხიფათი იგრძნო. არ გადადგა ფეხი ჭიშკარში. მიმოავლო თვალი გარემოს, დააკვირდა მეფეს, მის მხლებელთ და შეამჩნია, რომ უცნაურად შემოსცქეროდნენ.

მგოსანმა მხრიდან გადმოიღო ჩონგური, ჩამოჰკრა სიმებს და დაამღერა:

ადღეგრძელოს ღმერთმა მეფე,
ეზო კარგად დაუგვია,
ხალიჩებიც გაუგია,
ქვეშ რომ თხრილი გაუთხრია,
მგოსანს გულით გაუგია!

მგოსნის ასეთმა გულთამხილაობამ, პირუთვნელმა ლექსმა მოხიბლა, აღაფრთოვანა მეფე. გაექანა მგოსნისაკენ, რომ გადახვეოდა მისან-მგოსანს. როგორც კი რამდენიმე ბიჯი წადგა, ღრმა თხრილზე დაფენილი ხალიჩა ჩაიშალა და მეფე და მისი ამალა თხრილში ჩაცვივდნენ.

თქმულა: შენმა დარგულმა ნიორმა, შენვე დაგთხარა თვალებიო.

დათუნა გოცირიძე

ერთხელ დადიანმა იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს ნებიერი მიუძღვნა. ეტყობა, საიასაღო რამ ყოფილა, თორემ მცირე რამეს თუ არა შესანიშნავს, მთავარი და მეფე ერთმანეთს არა ჰკადრებდნენ.

იმერეთის მეფე მაშინ გეკუთს ბრძანდებოდა და კარისკაცებიც თან ახლდა. მათ რიცხვში რაჭელი აზნაური დათუნა გოცირიძეც იყო, რომელიც ამ დროს ხმლის პირველ მცოდნედ ითვლებოდა და მართლაც, მის ხმალს ძნელად რამ გაუმაგრდებოდა.

მეფემ იმ ღამეს დათუნას ნამალევად გააძრახა ერისთავი, რომ ღამე მძინარე გოცირიძისათვის როგორმე მოეპარათ ხმალი, დაებლაგვათ და მერე ისევ ჩაეგოთ ქარქაშში.

მეფის ბრძანება სისრულეში მოიყვანეს.

დილით ადრე მეფე ცაცხვის ძირში დაბრძანდა. კარისკაცები გარს ეხვივნენ. ბრძანა, რომ დადიანის მორთმეული ნებიერი გამოეყვანათ. გამოიყვანეს. მეფემ ცბიერად გადახედა გოცირიძეს და იკითხა:

— ნეტავი თუ ვინმე იყოს აქ მისთანა მოხმლე, რომ ერთის შემოკვრით ამ ნებიერს თავი გააგდებინოს?

ყველამ უარი მოახსენა მეფეს. დათუნა გოცირიძეს გაუკვირდა და გაეღიმა:

— რას იცინი, ჩემო დათუნა? — ჰკითხა მეფემ.

— ბატონო მეფევ, ნუ გამირისხდებით, და მგონია, ხუმრობას ინებებთო!

— როგორ თუ ხუმრობასო?

— აბა, რომელი იქნება მისთანა ამ თქვენს მხლებლებში, რომ ერთის შემოკვრით ნებიერს თავი ვერ გააგდებინოს? რაღა ვაჟკაცი იქნება ის, ვინც მაგას ვერ შეძლებს? მერედა სხვა არა იყოს რა, მარტო ცოლისა ალარ შერცხვება, რომ ხელი მოუცდეს? რაღა პირით ეჩვენებაო?

— კი მაგრამ, ვერა ჰხედავ, რომ ყველა უარზე დგას? და მასთანაც, ჩემო დათუნო, ადვილი კი ნუ გგონია! შენ რომ ძროხები გინახავს, მისთანა ხომ არ არის ეს ნებიერი?

— იმე, რაც უნდა იყვეს, შენი ჭირიმე, გინდ ლომიც გახლდეთ!

— მაშ შენ იკისრებ, რომ გააგდებინო თავი?

— მირისხდებით, ბატონო, და ეგ არის...

— ერთის შემოკვრით?

— ერთის შემოკვრით, აბა, ბეგვას ხომ არ დავუწყებ!

— რომ ვერ გააგდებინო თავი?

— იმე, მაშინ დათუნაც აღარ ვიქნები.

— აბა, ჰე, გამოგვარეთ ნებიერიო! — ბრძანა მეფემ და ჩაეღიმა.

ნებიერი გამოიყვანეს და გააჩერეს.

უეცრად გაიელვა დათუნას ხმალმა, მოხვდა კისერზე ძროხას, მაგრამ, დახეთ დათუნას უბედურებას, ნებიერი ძირს დაეცა, მაგრამ სისხლი არ დასდენია, ხმალს მსხვერპლის კანიც ვერ გაეჭრა, თუმცა კისრის ძვლები კი დაემტვრია და კისერი მოეწყვიტა.

ჯერ შეკრთა გოცირიძე, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რაც უხიმანეს[1]. გასინჯა ხმალი და გაბრაზებულმა დაიძახა:

— ამ ნებიერის თავ-ფეხი მის ცოლ-დედას, ვინც მე ეს მიხუმრაო!

ამ სიტყვამ ყველა აღაშფოთა.

შეიპყრეს დათუნა და მოუნდომეს გასამართლება ამგვარი უპატიური სიტყვების გაბედვისათვის.

ერისთავი ურჩევდა მეფეს, გოცირიძეს თვალები დავთხაროთო, წერეთელი — დავკიროთო, წულუკიძე — ხელ-ფეხი დავაყრევინოთო, აგიაშვილი — ენა მოვჭრათო. მეფემ ბოლოსმინა ყველას აზრი და თვითონ გამოუტანა შემდეგი განჩინება:

— კაცს ჯერ ღმერთი უნდა უყვარდეს და მერე თავისი ხელობა. ვინც თავის გზას მტკიცედ არ ადგას და თავის ხელობაზე თავს არა დებს, ის საქმით ვერც მეფეს ასიამოვნებს და ვერც ქვეყანას არგებს რამეს; მხოლოდ ცარიელი სიტყვით, მლიქვნელობით იმოქმედებს. დათუნა გოცირიძის ხელობა ხმალია, მეხმლემ რომ თავი გამოიდვას და თავისი ხელობის შეურაცხყოფის დროს ჩვენი უკადრისი რამ გაბედოს, არ უნდა ეთვლებოდეს დანაშაულად. ამ ჩვენს პატარა ქვეყანას მაგისთანა რაინდები რომ არ ჰყავდეს, აქამდე მტრები ასჯერ და ათასჯერ ჩაყლაპავდნენ. გაუშვით, ნურაფერს აწყენინებთ ჩემს დათუნას. ჩემი ხალათი მაგასო — ბრძანა მეფემ და დაასაჩუქრა გოცირიძე.

ოთია მესხი

ოთია მესხი სახელგანთქმული რაინდი იყო ძველად.

იმას ერთი დისწული ჰყავდა, ლეჩხუმელი ასათიანი. შვილივით გამოზრდილი და საყვარელი. რაც კი იცოდა რაინდული ხერხები, იმასაც ასწავლა და კარგად გაწვრთნა.

[1] უხიმანეს — ხრიკი უგდეს.

ერთხელ, როდესაც დადიანმა მეფეს ომი გამოუცხადა და ლეჩ-ხუმიც დადიანს მიუდგა, ოთიამ გაიხმო დისწული და უთხრა: შვი-ლო, მეძნელება შენი მოშორება, მაგრამ რა ვქნა, კაცისთვის ვალი უპირველესი საქმეა. შენ ლეჩხუმელი ხარ და სადაც შენი მეზობ-ლები და სახლიკაცები არიან, შენც იქ უნდა იყო! რომ არ მოვსწრე-ბოდით ამ დღეს, კარგი იყო, მაგრამ, რახან მოვესწარით, აწ მეტი რაღა გაეწყობაო.

აკურთხა, გზა დაულოცა, გაატანა საგზალი და გაისტუმრა.

როდესაც ომი გაიმართა, ოთიამ დაინახა, ერთი ვიღაც მხედარი მიაჭენებს ცხენს და იმას უკან მისდევს ვიღაც მეორე ცხენოსანი, რომელიც საცაა წამოეწევა. დაუკვირდა და იცნო, რომ პირველი მი-სი მოსისხლე მტერი ჭაჭიაშვილი იყო, ომიდან გამოქცეულიყო, მეორე, უკან რომ მისდევდა, მისი დისწული — ასათიანი. გულმა აღარ მოუთმინა და მიაძახა ასათიანს:

— ჩემო დისწულო, ნუ დაივიწყებ, ჩვენ ამხანაგობა გვაქვს და რომ არ მოვეხმარო ჭაჭიაშვილს არ შემიძლია. არ მოკლა, თორემ ცუდად გადაგიხდი. და ან რა საკადრისია, ვაჟკაცი გაქცეულ მტერს გამოუდგესო.

არ დაუჯერა ომისგან გაცხარებულმა ჭაბუკმა, მიწვდა ჭაჭია-შვილს და წააკვეთა თავი... მაშინ მიეგება აქედან ოთია, შემოჰკრა ასათიანს ხმალი და შუა გაწყვიტა.

— აკი გითხარ, ჩემო დისწულო, რომ აქ მხრის მიცემა და ამხა-ნაგობა არის-მეთქი.

ამგვარად, ოთიამ აასრულა ამხანაგობის ვალი. მაგრამ იმავე ვალმა კი დაუწყლულა საუკუნოდ ფოლადის გული და კიდეც მიიყ-ვანა საფლავის კარამდე.

ოთაგრძოლა

იმერეთის მეფე, გოჩია, ყოფილა ერთი ართვალი კაცი. მას ჰყო-ლია სასახლეში ერთი შესანიშნავი გმირი — იესიკა ავალიანი. ის რომ იდგა ჯარში, ცხენოსანი გეგონებოდათ; ერთი მისი დაღრიალე-ბა მტერს თავზარს დასცემდაო.

ერთხელ გოჩია მეფე გაუჯავრდა, გაურისხდა იესიკა ავალიანს, წაართვა სოფელი ქვიტირი, ყმები და სახლ-კარი სულ გადაუწვა.

ესიკა გაიქცა და მიეკედლა ოდიშის მთავარს. მეფე უფრო გაჯავრდა და ომი გამოუცხადა დადიანს.

დადიანი შედრკა. მაგრამ იესიკამ დააიმედა: მთავარო, შენ ფიქრი ნუ გაქვს! ოღონდ საერთო ბრძოლაში კი არ ჩაჰყვე მეფეს. მოსთხოვე, რომ თითო კაცი გამოვიდეს ორივე მხრიდან და მათ გადაწყვიტონ ომის ბედ-ილბალი. შენი მხრიდან მე გამიშვი და იმედი გქონდეს, იესიკა არ შეგარცხვენსო.

დადიანს მოეწონა იესიკას აზრი.

დანიშნულ დღეს ორივე მხრიდან ჯარმა მოიყარა თავი. მაშინ გამოუცხადა დადიანმა მეფეს: მე არ მინდა ტყუილუბრალოდ ძმა ძმას შევაკლა და ქრისტიანების სისხლი ვღვაროთ. თუ მაინცდამაინც დაგიჟინია, ასე ვოვიქცეთ: მე ჩემი მხრიდან გამოვიყვან ერთ კაცს, შენც მის წინააღმდეგ ერთი კაცი გამოუშვი. თუ შენმა კაცმა სძლიოს, გამარჯვებაც შენია, თუ ჩემმა, გამარჯვებულიც მე ვიქნებიო.

მეფე მაშინვე მიხვდა დადიანის ოინს. ბრაზმორეულმა გადახედა მოწინააღმდეგის ჯარს და დაინახა იესიკა ავალიანი, რომელიც შავ ბედაურზე იჯდა, ტანზე რკინის პერანგი ეცვა და ხელში გრძელტარიანი შუბი ეჭირა. მეფემ გადაწყვიტა, ომს თავს დავანებებო. მისცივდნენ თავადები და გაამხნევეს: მეფეო! სადაც ოსმალოს არ შეუშინებიხარ და მტრისთვის ზურგი არ გიჩვენებია, ვილაც ტუტუცმა აზნაურისშვილმა როგორ შეგაფიქრიანაო?

ამ დროს თავადებში გამოყო თავი ვილაც გამხდარმა, ტანმორჩილმა კაცმა, მოწიწებით მიესალმა მეფეს და მის მხლებლებს და შემდეგ მოახსენა: დიდებულო მეფევ! ნუ გაიხდი თავს საარაკოდ! იმ კაცს, რომელიც მირონცხებულ მეფეს გადაუდგა, ღმერთი თვითონ დასჯის, ამის დასამტკიცებლად ნება მიბოძე, რომ მე, ეს ჯუჯა, მახინჯი ალავიძე, შევებრძოლო, სხვა თავს ნუ შეიწუხებს. მეც ვეყოფი იესიკას და მალე შევმუსრავ შენს მტერს. ხომ მოგეხსენებათ, ცული პატარაა, მაგრამ დიდ ხეს წააქცევსო.

ყველას გაუკვირდა ამ კაცის ასეთი ლაპარაკი მეფესთან, პირველად სასაცილოდაც აიგდეს.

— ბეჩა, ალავიძე, რას ამბობ, — უთხრა გოჩია მეფემ, — იესიკამ გამაფუჭა და შენ მთლად წამახდენ და თავს მომჭრიო.

ალავიძე მაინც თავისას არ იშლიდა და უმტკიცებდა მეფეს, რომ გაამარჯვებინებდა. მეფე მაინც ყოყმანობდა, მაგრამ თავადებმა ურჩიეს და, როგორც იყო, ნებას დაიყოლიეს. მეფე მიუბრუნდა ჯარს და უთხრა:

— ძმებო, ვინც უნდა გავიდეს იესიკასთან საბრძოლველად, ის

ჯეშაპი ყველას გააფუჭებს, თუ ღმერთი არ მოგვეხმარა. თუკი ის ჩვენსკენაა, ეს პატარა კაციც მოუღებს ბოლოს. ხომ გაგიგონიათ საღვთო წერილიდან, ღვთის შემწეობით როგორ გაიმარჯვა დავითმა გოლიათზე.

ამ სიტყვების შემდეგ მიუბრუნდა ალავიძეს და უთხრა:

— აბა, ჩემო ალავიძე, ახსენე ღმერთი და შემუსრე მტერიო.

ალავიძემ ამოირჩია ერთი ჯახრაკი ცხენი, ჩაიცვა სულ უბრალო გახუნებული ტანისამოსი, თავზე დაიდო რაღაც ფაფანაკის მსგავსი, რომელიც ჭინჭის ნაგლეჯს უფრო წააგავდა, ვიდრე ფაფანაკს, შუბი კი გრძელტარიანი და მაგარი დაიჭირა ხელში და გამოვიდა საასპარეზო მოედანზე. დადიანის ჯარმა სიცილი დაიწყო. მეფის ჯარს კი დანა კბილს არ უხსნიდა და ბრაზი მოსდიოდა მეფეზე: უკეთესი კაცი ვერ იშოვაო? იესიკამ რომ ეს დაინახა, სიცილი დაიწყო: რა ხერხი უხმარია მეფეს, რომ მასხრად ამიგდოს! მაგრამ იქნებ ფიქრობს — მე ამ ლაწირაკს ვაპატიო ასეთი თავხედობა! მართალია, ხელს კი არ ვიხმარ, მაგრამ კაი დღეს მაინც არ დავაყენებო.

— აბა, დამიდექი წინ, შე მათხოვარო, და ცხენის ქარს მაინც გაუძელიო! — დაიღრიალა იესიკამ და მიაშურა ალავიძეს.

ალავიძემაც ააჩინჩილა თავისი ჯახრაკი სრულიად შეუშფოთებლად. როდესაც იესიკა მიუახლოვდა ალავიძეს, ამან დაუხვედრა გამოქანებულ ბედაურს შუბი და შიგ ცხვირში მისცა. ბედაურმა ალავიძეს ცხენიანად უკან დაახევინა, მაგრამ ალავიძემ ხელი უშვა შუბს და შუბის ტარი მიწაში ღრმად ჩაერჭო. შუბის წვერი შიგ მარჯვენა ყურში გამოუვიდა ცხენს. ცხენი წაიქცა, იესიკაც ქვეშ მოჰყვა და ცალი ფეხი იღრძო. ალავიძემ კი გააჩინჩილა თავისი ცხენი და მეფეს მიაშურა მისალოცავად. ამასობაში იესიკამაც გაითავისუფლა თავი ცხენის ქვეშიდან და ფეხდაფეხ გამოუდგა ალავიძეს. დაეწია, იძრო ხმალი და ის იყო უნდა გაეპო თავიდან კოჭებამდის, რომ ნაღრძობმა ფეხმა უმტყუნა და ისევ მიწაზე გაიშხლართა.

გოჩია მეფის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. გადაეხვია ალავიძეს, გადაკოცნა და უხვად დაასაჩუქრა. იესიკას კი თვალებში ჩაფურთხა, როგორც მოღალატეს.

ამის შემდეგ დადიანიც გაურისხდა იესიკას ასეთი შერცხვენისათვის და გააგდო სახლიდან. ორივე მხრიდან მოძულებულმა იესიკამ მიმართა ისევ მაშინდელ გამოჩენილ თავადებს: წულუკიძეებს, წერეთლებს და სხვებს. სთხოვა, მიშუამდგომლეთ მეფესთან, შემინდოს შეცდომილება და თავშესაფარი მომცეს ჩემ სოფელ ქვიტირშიო.

მეფემ შეუნდო იესიკას და დაუნიშნა ქვიტირის ერთი უბანი და ოთხი კომლი გლეხი, დანარჩენი ქვიტირი და ყმები კი წულუკიძეებს და სხვა თავადებს მისცა. იესიკაც წულუკიძის აზნაურად გახადა. უწინ კი ავალიანები მეფის აზნაურები ყოფილან.

ოსი გმირი ჯანხოტაშვილი

ერთი ოსი ყოფილა გმირი, ჯანხოტაშვილი. ერთადერთი ვაჟი ჰყოლია. სალაშქროდ წასულა ის ვაჟი, ღების სარბევად. მოუკლავთ ღებელებს. მოსულან ჯანხოტაშვილთან ოსები. უთქვამთ:

— შენი შვილი რაჭველებმა მოკლესო.

— რა მეთქმისო? ჩემს შვილს რა აკლდა? ქალი არ აკლდა, საქონელი და ცხენი, ღვინო და პური, რატომ ვერ მოისვენაო.

— მაინც წავალთ ახლა და მოვიპარავთ ღებელ ბავშვებსო, — უთხრეს ოსებმა.

ღებელი ბავშვები თურმე ჭანჭახში[1] წყალს აგუბებდნენ. დაეცნენ ეს ოსები, ჩასვეს გუდებში, წაიყვანეს ოსეთში. გამოვარდნენ ღებელი ქალები, ეძებენ ბავშვებს წყალში, ტყეში და რაღას ნახავენ?

მივიდნენ ოსები თავის სოფელში, უთხრეს ჯანხოტაშვილს:

— გადმოვიყვანეთ ბავშვები და რა ვუყოთ, დავკლათო?

— არა, მე მაჩუქეთო, — უთქვამს ჯანხოტაშვილს და დაუტოვებია ბავშვები სახლში.

დაიზარდნენ, დავაჟკაცდნენ ეს ბიჭები, ოც-ოცი წლის გახდნენ უთხრა ცოლს ჯანხოტაშვილმა:

— ჩააცვით მაგათ თითო ხელი ტანისამოსი და საგზალი გაუმზადეთ. წავგვრი ამ ბიჭებს მის მშობლებსო.

რომ შემოვიდა ღებს, ცხენი გააჩერა და ბიჭებს სოფლის გზა ასწავლა.

— წამოდი, მამა, შენცაო.

— ვერა, მე ვერ წამოვალ, მომკლავენ ღებშიო.

— თუ არ წამოხვალ, არც ჩვენ წავალთ, უშენოდ რა გვინდა იქაო!

სოფელში რომ მოვიდნენ, ჯანხოტაშვილმა ბიჭებს უთხრა:

---

[1] მდინარის სახელწოდება.

— აი, შვილებო, აქედანა ხართ მოპარული. ახლა თქვენს ნამდვილ მშობლებთან წადითო.

ბავშვებს აღარაფერი ახსოვდათ და გაუკვირდათ: რას ამბობს ჩვენი მამაო.

ამ დროს ხალხმა ჩამოიარა.

მიიხედა ერთმა ქალმა, იფიქრა: ნეტავი ეს ოსები აქ რამ გადმოიყვანაო? მივიდა თავის ქმართან და უთხრა:

— ერდი გაიგე, ეს ოსები ვინ არიანო?

მოხუცმა კარგი ოსური იცოდა. უამბო ჯანხოტაშვილმა ყველაფერი. მაშინვე გააგებინეს მშობლებს, გახარებულმა ღებელებმა ის გამზრდელიც არ გაუშვეს, ოთხი თვე აქეიფეს, მრავალი ოქროვერცხლი გაატანეს. მერე აღარ ყოფილა მათ შორის მტრობა.

რუხის ომი

მეფე სოლომონ დიდს ოდიშის მთავარმა, მისმა ცოლისძმამ, თავისი უწარჩინებულესი დარბაისლები აახლა და მოახსენა:

— თქვენს სამეფოს, ჩემი სამთავროს საზღვრებზე მოაწვა აფხაზთა, ჯიქთა და ალანთა გაერთიანებული ლაშქრით ქელეშ-ბეი შარვაშიძე და შთანთქმას გვიპირებს. დამიფარეთ, რადგანაც მარტო ჩემი სამთავროს ძალა არ იკმარებს მტრის დასახვედრადო.

მეფემ დაუხანებლად გასცა ბრძანება, რომ ყველა სადროშოს ჯარი საჩქაროდ ამხედრებულიყო და სოფელ ბანძას მოეყარა თავი. ოდიშის მთავარს კი შეუთვალა: მტერს ჩემს მოსვლამდე ნუ შეებმი, სანამ მოვიდოდე, ხმა დაჰყარე, რომ მე ოსმალეთს ვუპირებ შესევას და შენს შველას არ ვფიქრობო.

მეფემ მოსთხოვა გურიელსაც, რომ სასწრაფოდ მოეკრიბა ჯარი და ბანძას მისულიყო შიდა იმერეთის ლაშქართან შესაერთებლად. მთავარმა შეასრულა ეს თხოვნა. გურიის ჯარის ბაირაღტრად იყო ებალაურელი აზნაური ჭყონია, რომელიც რიონში გასვლის დროს შინ გაიპარა. ამ საქციელისათვის გურიელმა ჩამოართვა მას მიწა-წყალი, ყმები და სიგელით მიუბოძა გომახერელ ჭყონიას, რომელზედაც გადავიდა ბაირაღტრობა ებალაურელის გაპარვისთანავე.

ბანძიდან მეფე თვით წარუძღვა ჯარს და ერთი ასმით მივიდა რუხის ციხემდე. მეფის ბაირაღტარი იყო საჩინოელი როსტომ ლორთქიფანიძე. მეფის ასე მოულოდნელად მოვლინებამ ზარი

დასცა სამტროდ მოსულებსა და ქელეშ-ბეიმ გამართა მეფესთან სამშვიდობო მოლაპარაკება. ეს არ ეამათ ოდიშის მთავრის კარისკაცებს. მათ ეშინოდათ, რომ ამ მორიგების შემდეგ მეფე მეტისმეტად არ გაძლიერებულიყო. მეფესთან დაზავებული შარვაშიძე მათთვის საშიში იქნებოდა. უცებ ქელეშ-ბეის ბანაკიდან გავარდა ზარბაზანი და ყუმბარა დაეცა მეფის კარვის ახლოს.

ოდიშარებმა მოახსენეს მეფეს, რომ აფხაზებმა დროის მოსაგებად გამართეს სამშვიდობო მოლაპარაკება, ახლა მოასწრეს მომზადება და ღალატით მოინდომეს თქვენი მოკვლა, თორემ რად უნდა ესროლათ ზარბაზანი.

აფხაზების თქმით ის ზარბაზანი დადიანის მოსყიდულმა კაცმა გაასროლინაო. ასე იყო, თუ არ იყო, რაკი ოდიშართა ნათქვამი სიმართლეს ძალიან ჰგავდა, მეფე ერწმუნა მათ და უბრძანა სარდლებს, დაეკრათ ბუკი და დაეწყოთ ომი.

ამ ომში სოლომონის ლაშქარში ყველაზე უფრო თავი გამოიჩინა სიმამაცითა და თადარიგიანობით თავადმა გიორგი წულუკიძემ, ქელეშბეის ჯარში კი — მისივე ძმამ — ბექირ-ბეიმ.

ხრესილის ომში გამარჯვებით გაამაყებული იმერეთის ლაშქარი დიდი რიხით მივიდა მტერზე იერიშით. გურულებს და ზემო იმერლებს შეხვდათ ჯიქ-ალანების გუნდთან შეტაკება. მთების ლაღი შვილები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდნენ ებრუნებინათ ზურგი და გაქცეულიყვნენ. თვით აფხაზების ლაშქარი კი ურყევ ბურჯად იდგა და თავგამოდებით ებრძოდა ოდიშართ და ქვემოიმერლებს. ჯიქ-ალანთა გაქცევის შემდეგ მეფე მიიჭრა თავის მთავარსარდალთან:

— ქაიხოსრო, ეს რა ამბავია? ხონთქრის ლაშქრის გამწყვეტს აფხაზები უნდა გიჭირვებდნენ საქმეს?!

— ბატონო, თქვენი რისხვა მქონდეს, თუ ბექირ-ბეი შარვაშიძე ერთ სახონთქროს ლაშქრად არა ღირდეს! ის რომ არ იყოს, ომი დიდი ხანი მოგებული გვექნებოდა! — უპასუხა ქაიხოსრო წერეთელმა.

ამ სიტყვების შემდეგ მეფემ დურბინდით მტრის ჯარში დაუწყო ძებნა ბექირ-ბეის და როგორც კი მოჰკრა თვალი, მყისვე შეუტია.

მეფემ და ბექირ-ბეიმ ერთმანეთს ხმლის მოსაქნევზე ჩაუჭენეს ცხენები, თვალი თვალს გაუყარეს, მაგრამ ერთმანეთისათვის არც ხმალი მოუქნევიათ, არც არა უვნიათ რა.

მერე ეკითხათ სოლომონისა და ბექირ-ბეისათვის, რატომ გაუშვით ერთმანეთი უვნებლადო. მეფეს ებრძანებინა:

— არასოდეს შემხვედრია ბექირ-ბეისთანა ვაჟკაცი. იმ წუთს,

როცა მან რუხის ომში ცხენი ჩამომიჭენა, ისეთი ზავთიანი იყო, რომ ძალიან მომეწონა, მომესურვა მისი დაახლოება და სამშობლოსათვის გამოყენება. ვიფიქრე, დღეს თუ სამშობლოს ჭირისუფალთ ხელს უშლის, ხვალ იმავ სამშობლოს მცველად გამოდგება. ამიტომაც შემბრალდა მისი სიყრმე და ვეღარ გავიმეტე გასაფუჭებლად, არა მგონია, უმარცხოდ გადავრჩენილიყავო.

ბექირ-ბეის ეთქვა:

— ხმლის მოსაქნევზე რომ მივუახლოვდი მეფეს, უფროს-უმცროსობის რიგისამებრ, ჯერ მისგან ველოდი ხმლის პირველ მოქნევას... არც მან ინება შემოტევება და მეც ისე გამღალა თვალით, რომ აზრადაც არ მომსვლია პირიქით შემებედაო.

მეფე რომ დაინახეს, იმერელ მხედრებს აუჩქროლდათ სისხლი და ერთხელ კიდევ მიიტანეს აფხაზებზე იერიში. თოფმა ადგილი დაუთმო ხმალსა და სატევარს. ომი ომს აღარა ჰგავდა: ბრძოლის ველი გადაიქცა საყასბოდ, სადაც კაცი კაცს საქონელსავით ყელს ღადრავდა და თავს ჭრიდა, შიგნავდა. სისხლის ღვარები შეერთვნენ ენგურს და მისი ტალღები შეღებეს წითლად...

გამარჯვება დარჩა მეფეს, მაგრამ ბექირ-ბეის სიმამაცემ და სამხედრო მოსაზრებულობამ აფხაზები განადგურებას გადაარჩინა. მისი უკან დახევა არ ჰგავდა გაქცევას. ბრძოლის ველიდან გაიტანა სამთავრო დროშაც და მეტი წილი ზარბაზნებიც.

ნაომარ მეფეს ბრძოლის ველზედვე რიგ-რიგობით ეახლენ მთავრები და სარდლები, გამარჯვება უნდა მიელოცათ და ნადავლიც მიერთმიათ. მეფე გამობრძანდა კარვიდან და სავარძელზე დაბრძანდა. სახლთ-უხუცესმა დასწია უკან მოსალოცად მოსულნი. დატოვა ფართო ადგილი მეფის ირგვლივ და დაიწყო ცერემონია მოლოცვისა.

უცებ შეიქნა ჩოჩქოლი. მხედართა წრე გაირღვა და გამოჩნდა როსტომ ნიჟარაძე. მას მოჰყავდა მხარგაკრული ტყვე, ბრგე, მხარმკერდგანიერი, სადა იარაღჩაკიპული, აფხაზურად ყაბალახმოხვეული. მიუახლოვდა თუ არა მეფეს, როსტომმა დაუჩოქა, მიულოცა გამარჯვება, გაუგორა ფეხთქვეშ ტყვია — თქვენს მტერს გულშიო! — დააყოლა და მიართვა მეფეს ტყვე.

— ერთია, მარა სხვების დაჭერილ ოც აფხაზად ღირს. შეხედეთ თქვენი მოწყალე თვალით, რა მოსული ვაჟკაცია! როსტომ მფრთხალია, როსტომ საბერაო! მოგახსენებდნენ ჩემი მტერ-მოყვარეები და აჰა... მეც გავისვარე კაცის სისხლით ხელი! ძლივს გადამირჩა ბექირ-ბეი, ამ წუწკმა იპატივა, — შეხედა თავის ტყვეს, — მაგრამ

არაფერია, თუ შევხვდი კიდევ სადმე... იმედია... უფრო გამოცდილად მოვიქცევი... დღეს პირველად ამოვიღე ხმალი ქარქაშიდან. ნუ დამძრახავთ, მოწყალეო ბატონო!..

— წინ წამოდექ, შე ქეციანო! — დაუბღვირა ტყვეს და თოფის კონდახი ჩაჰკრა ფერდში. მხარგაკრულმა ღრიალი მორთო:

— ვაჰმე, დიდებულო მეფე! მომკლა ამ შეჩვენებულმა!.. ახობაძე ვარ, ბატონო, ქვიტირელი!.. რა მიგავს აფხაზს... ვა...ი... მთხოვა ერთ წამს მეფესთან მიმყევი მხარგაკრული, ვითომ ტყვე ხარო... უღელ ხარს დამპირდა... რა ვიცოდი მე საცოდავმა, თუ ტყლიპს ჩამიქცევდა... ოოჰ!..

მეფემ შერისხა როსტომი.

არჩილ ბატონიშვილმა სთხოვა მეფეს როსტომის თავი.

— როსტომის სიმფრთხალემ შეიძლება სხვაც გაიტაცოს და ეს ქვეყანას არ მოუხდება, ექვს თვეში გავამამაცებ მაგას, თქვენი რისხვა ნუ მექნებაო.

მეფემ შეისმინა არჩილის თხოვნა და, თუმცა როსტომს სიმწრის ცრემლები მოადგა თვალზე, მაინც გასცა ბრძანება, ჩაერიცხათ იგი არჩილის საბატონიშვილო თავადად.

არშის ციხე

ყმაწვილო, არშის ციხესა
არ შენისთანა ყმა უნდა;
ჩავეს ჩამტანი აბჯართა
ამომტანელი სხვა უნდა.

არშის ციხეს ბევრჯერ დასცემია ლეკის ჯარი. ძალიან გულით სდომნია იმისი აღება და ტყვეების გარეკვა, მაგრამ ვერც ტყვე წაუყვანია და ვერც ციხეში შესვლა მოუხერხებია.

ლეკებს უთქვამთ: მანდ ბევრი რამ ძვირფასი ლარი იქნებაო. ამიტომ, ერთი ზაფხული სულ აქ გაუტარებია ლეკის ჯარს, მაგრამ შესვლა ვერ მოუხერხებია; მერე ციხის კარი შეუკრავთ: მოხევეებს ხორაგი გამოელევათ, შიმშილით შეწუხდებიან და თავის ნებით ჩაგვაბარებენ ციხესაო. მაგრამ მოხევეებს მთელი ზაფხულის სამყოფი ხორაგი თანა ჰქონიათ და ანე კარდახშულნი ყოფილან ციხეში.

ერთ ბებერს უთქვამს ლეკებისათვის: უნაგირი უნაგირზე დადეთ და ისე ადით კედელზეო.

ლეკებს ბებრის რჩევა მაშინვე შეუსრულებიათ და რაც ჯარს უნაგირები ჰქონდა, სულ ამ ციხის ერთ მხარეზე აუგიათ; ბელადს გათენებისას თავისი ალამი ციხეზე აუტანია, მაგრამ ეს ამბავი მეციხოვნეებს შეუტყვიათ, თოფი დაუხლიათ და თავის ალმიანად ციხიდან გადმოუგდიათ.

ახლა ლეკებს ამ ციხისთვის ზემო მთიდან მოუვლიათ და იქიდან სროლა გაუმართავთ, მაგრამ ციხეში მყოფთათვის ვერაფერი უვნიათ.

ერთ მოხუც მოხევეს უთქვამს ხალხისათვის:

— მაინც მოხუცი ვარ და ერთი საუკუნოდ სახსოვარი საქმე უნდა ჩავიდინო ხალხის გულისათვისო; თუ ლეკებმა მომკლეს, ხალხმა კარგი ქელეხი გამიმართოს, თუ ცოცხალი დავრჩი, კარგად მაცხოვროსო.

მოხუცი შეკაზმულა, აუსხამს ტანზე იარაღი, დაუკრავს თავზე ცოცხალი მამალი და ციხის გარეთ, მოედანზე, გამოსულა, ლეკებს ჩამოპირდაპირებია და დაუწყია ცეკვა-თამაში.

ლეკებს მოხუცისათვის სროლა დაუწყიათ, თოფები დაუხეთქიათ სროლით და მოხუცი კაცისათვის კი ვერა უვნიათ რა. მის თავზე მჯდომი მამალი მოუკლავთ, მოხუცი კი უვნებელი დარჩენილა. ლეკებს ტყვია-წამალი შემოხარჯვიათ და ხელცარიელი წასულან, უნაგირებიც კი აქ დაუტოვებიათ.

კვლავ დასცემიან ლეკები მოხევეთა სოფლებს ასაკლებად. სოფელთა ერთ ნაწილს არშის ციხეში შეუსწრია, მეორეს — სნოს ციხისათვის შეუფარებია თავი. ამ ორ ციხეს შორის ნახევარი საათის სავალია. რადგან არშის ციხეს ვერაფერი დააკლეს, ლეკებმა ახლა სნოს ციხეს შემოარტყეს ალყა.

სნოს ციხემ მაშინ შესტირა,
თვალები დაისველაო,
ნეტავი ჩემთა მეთოფეთ
ყელნი ვინ გაუსველაო;
ან ცოტა პური მიშმივა,
ან ძალათ მამისვენაო;
თოფები ვინ დაუგრილა,
წამალ არ დაუსველაო.

ამ გახურებული ომის დროს სნოს ციხის მეთოფეებს წამალი შემოჰკლებიათ და თოფის სროლა შეუწყვეტიათ. ეს ამბავი არშის

ციხეში მყოფ მოხევეებს შეუტყვიათ და უთქვამთ: რადგანაც სნოს ციხიდან თოფის სროლა იშვიათადღა გამოდის, უთუოდ იქ წამალი შემოაკლდებოდათ, ლეკები სნოს გააფუჭებენ და ტყვეებსაც გარეკავენო.

ამ დროს ვილაც ამოვან ამსაჭანს უთქვამს: თემი რა წყალობას მოიღებს ჩემზე, რომ აქედან წამალი მივაშველოო?

თემს უთქვამს: ჩვენ არავითარი წყალობის მოღება არ შეგვიძლია, მხოლოდ თუ შენ სნოს ციხეს წამალს მიაშველებ, ვალად დავიდებთ, რომ ჩვენს თემში შენთვის და შენი შთამომავლობისათვის ქალი უთხოვარი იყოს და სუფრა უწევარიო! — ესე იგი, იმის შთამომავლობას საცოლოდ ქალი არავინ დაუჭიროს და სუფრაზე არსად დაპატიჟება არ სჭირდებოდეს, თვითონ უკითხავად მივიდეს ყველგან.

დათანხმებულა ამოვანი, აუსხამს იარაღი და აუკიდნია ზურგზე ერთი გუდა წამალი; წამოსულა, ლეკის ჯარზე გამოუვლია, ლეკებს ეს ამბავი ვერ შეუტყვიათ და ამოვანიც ვერ უცვნიათ, რადგანაც ტანისამოსი ლეკური სცმია. სნოს ციხეში წამალი მიუტანია, დაბრუნებულა და ისევ არშის ციხეში მისულა. მაშინ სნოელებს ხელმეორედ გაუმართავთ ფიცხელი ომი და ციხესთან მიახლოებული მტერიც ბევრი დაუხოცავთ.

რაზომ და როგორ

როგორ წარმოიშვა სტვირი

იყო ძველ დროში ფარნაოზ მეფე. ცეცხლზე ლოცულობდა, სამ კაცს სწირავდა საღმრთოდ. შეწირულებს ცეცხლში სწვავდა. წელიწადში ერთხელ მოუყრიდა ხალხს თავს, ჰყრიდნენ კენჭს, ვისაც ერგებოდა, დასწვავდნენ.

ყარეს ერთხელ კენჭი. დაწვა ერთ დედისერთა ვაჟს ერგო. ექვსი თვის შემდეგ უნდა დაეწვათ. დაღონდა მისი დედ-მამა. ტირიან და ვაგლახობენ.

ერთ ღამეს ნახა ვაჟის მამამ სიზმარი. დაუხატეს ვითომ სტვირი და უთხრეს: ამისთანა გააკეთე, დაუკარი ფარნაოზ მეფის კარზე და გაჩუქებს შენს შვილსო.

გააკეთა ამ კაცმა სტვირი, ექვს თვეში დაკვრაც ისწავლა. მივიდა მეფის კარზე და სტვირი აახმიანა. ხან სალხინოს უკრავდა, ხან გლოვისას... გამოვიდა ფარნაოზ მეფე, მხიარული სახით მიიღო მესტვირე და უთხრა: მითხარი, რითი დაგაჯილდოვო, აგისრულებ ყველა სურვილსო.

დაუკრა მესტვირემ გლოვის ჰანგი, მუხლი მოიდრიკა მეფის წინაშე და შეჰღაღადა: ფარნაოზ ბატონო, ჩემი ერთადერთი შვილი რომ გყავს დასაწვავად გამზადებული, მაჩუქე იმისი თავიო.

ხელმწიფემ იუარა, მაგრამ მისმა ცოლმა უთხრა: ბატონო, წეღანა ბრძანეთ, რასაც მეტყვის იმას ვაჩუქებო, სიტყვის გატეხა არ გეკადრება, ხელმწიფე ხარო.

რაღას იზამდა ხელმწიფე, დაუბრუნა მამას შვილი.

ასე გაჩნდა ქვეყანაზე სტვირი.

თამარ მეფე და შუქურვარსკვლავი

ზამთარ-ზაფხულის გამჩენი შუქურვარსკვლავი თამარ დედოფალს ჰყოლია დატყვევებული და ჯაჭვებით დაბმული, ამიტომ იყო თურმე, რომ საქართველოში ზამთარ-ზაფხული არა ყოფილა. თა-

შარ დედოფალს როცა უნდოდა, შუქურვარსკვლავს ცხენად გადააქცევდა, ზედ შეჯდებოდა და ისე სეირნობდა. შუქურვარსკვლავისთვის, როცა ცხენად იყო გადაქცეული, პირიდან აღვირი რომ წაეყარათ, მაშინვე გაქრებოდა.

ერთხელ ცხენად ქცეული შუქურვარსკვლავი თამარის გამზრდელმა წყალზე წაიყვანა. ცხენმა უთხრა: აბა, აღვირით წყალი როგორ უნდა დავლიოო, წამომყარე აღვირიო.

თამარის გამზრდელმა ცხენს აღვირი წამოჰყარა და შუქურვარსკვლავი იმწამსვე გაქრა. თამარ მეფემ დაადევნა თავისი ჯარი, მაგრამ შუქურვარსკვლავმა ატეხა ქარი, თოვლ-ბუქი და თამარ მეფის ჯარს გზა აურია. წავიდა შუქურვარსკვლავი, დაჯდა იალბუზზე და იქიდან გვიგზავნის ხან ზამთარს და ხან ზაფხულს.

რატომ ჰქვია ვარძია

ყოფილა ერთი უსაშველოდ დიდი მტაცებელი ფრინველი. დაეცემოდა თურმე სოფელში ხან ცხვარს, ხან ხბოს აიტაცებდა თავის ბუდეში... შეუწუხებია სოფელი.

ერთ დღეს ამ სოფელში ბავშვი დაიკარგა. შეიძრა მთელი სოფელი. მთელი არე-მარე მოიარეს, ტყე და ღრე, ერთი ხე და ღელე არ დარჩათ გაუსინჯავი, მაგრამ ბავშვის კვალი ვერ იპოვეს.

ერთ დღეს მონადირე დაედევნა ამ ფრინველს. შეჰყვა უადგილო მაღალ კლდეში, მიაგნო ფრინველის ბუდეს და დაუმიზნა მტაცებელს. მაგრამ უცებ ბავშვის ხმა მოესმა: „არ ისროლო, აქ ვარ ძიაო". მივარდა მონადირე და რას ხედავს? ბუდეში გოგონა ზის.

აქედან დაერქვა ამ ადგილს „ვარძია". იმერეთშია ეს სოფელი.

როგორ გაჩნდა გუ

დედინაცვალს ორი გერი ჰყოლია, და-ძმა. მწყემსად გზავნიდა ყოველ ცისმარე დღეს, ზამთარ-ზაფხულ. ერთ დღეს ბავშვებს საქონელი დაეკარგათ. რა ქნან, შინ როგორ მივიდნენ? დაღამებამდე ეძებეს დაკარგული საქონელი. რომ დაბნელდა, მეტი რა გზა ჰქონდათ, მივიდნენ შინ ტირილ-ტირილით.

გამოაგდო იმ დასალუპავმა დედინაცვალმა ბავშვები გარეთ; რომ არ იპოვოთ საქონელი, არ დამენახოთო.

წავიდნენ ეს ბავშვები და დადიან ღამე ამ ტყე-ღრეში. ეძახის თურმე და ძმას:

— თედორე, იპოვე?!

— ვერა, ვერა.

მათი ცოდვით ქვა დაიწვოდა. შეეცოდა ღმერთს და აქცია და-ძმა ფრინველებად. თურმე დღესაც ეგრე გაჰკივიან ერთმანეთს:

— იპოვე?

— ვერა.

მოდინახე

მეფე ადარნასეს დროს დაღესტნიდან გადმოსულა სამი ძმა წერეთელი და დასახლებულა იმერეთში. ერთ მათგანს შეუძენია მრავალი მამული და თავადობაც მიუღია. მას დარჩენია ორი ძე: დავითი და პაპუნა. სხვები კი ამოწყვეტილან.

დავითი სუსტი და ავადმყოფი ყოფილა, ხოლო პაპუნა მარდი, შამაცი და ღონიერი. მალე პაპუნა მონასტერში ბერად შემდგარა. ამგვარად, ისპობოდა წერეთლების გვარი. მეზობლად მცხოვრებმა თავადებმა და აზნაურებმა მრავალგზის სთხოვეს თურმე პაპუნას: ბერობას თავი დაანებე და ოჯახს მოეკიდეო.

ბოლოს, პაპუნა დათანხმებულა და თავად აბაშიძის ქალის შერთვა გადაუწყვეტია. აბაშიძეს პაპუნასათვის უარი შემოუთვლია: აბაშიძე წერეთელს ქალს როგორ მისცემს, როცა მას ერთი ციხეც არა აქვსო.

ეს პაპუნას ძლიერ სწყენია, მაშინვე შესდგომია ციხის შენებას, აუგია შესანიშნავი ციხე და შემოუთვლია აბაშიძისათვის: მოდი, ნახე, მაქვს ციხე თუ არაო.

მისულან, უნახავთ ციხე, გაჰკვირვებიათ, მიუციათ წერეთლისთვის ქალი, იმ ციხისათვის კი „მოდინახეს“ ციხე უწოდებიათ.

გოგიას და პეტრეს ციხე

ბორჯომის მახლობლად, მტკვრის ორივე ნაპირზე, ორი დიდი ციხე დგას. ხალხი მათ გოგიასა და პეტრეს ციხეებს უწოდებს.

გადმოცემით, გოგია და პეტრე ძმები ყოფილან. ერთმანეთის

ჯიბრში ჩამდგარი და ჩამტერებული ძმები მგზავრებზე ნადირობდნენ და იმათი ძარცვა-ყვლეფით მდიდრდებოდნენ. შავ დღეს აყენებდნენ მოგვიანებულ მგზავრს ან ქარავანს და მეტადრე ვაჭრებს. ხშირი იყო, რომ ძმები ერთმანეთზე გაილაშქრებდნენ, ერთმანეთზეც იჩენდნენ ბიჭობას.

ბოლოს, როგორც იყო, ორივე ძმა დაითანხმეს შერიგებაზე და გოგიამ, პეტრემ და მათმა მხლებლებმა შუამავლის სახლში მოიყარეს თავი. თვით ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ და ძმური სიყვარული და ერთგულების ფიცი დადეს. ამ მტკიცე კავშირის ნიშნად დაუწყეს ჯიხვებს და აზარფეშებს ტრიალი. მაგრამ ღვინომ ისევ აშალა გულებში დიდი ხნის დამკვიდრებული შური. იქვე, ამ მორიგების დროს, რაღაც უბრალო მიზეზით შელაპარაკდნენ. ლაპარაკი ჩხუბად გადაიქცა და ჩხუბმა ხანჯლამდე მიატანა. მხლებლებმა თავთავიანთი მებატონეების მხარე დაიჭირეს და ბოლოს იმით გათავდა, რომ ერთმანეთი ამოწყვიტეს.

მას აქეთ ეს ციხე-დარბაზები უპატრონოდ დარჩა და ჩამოინგრა.

რატომ ჰქვია კახი ინგილოთა სოფელს

სოფელ კახს საინგილოში ადრე თორაღა რქმევია.

ერთი მოხუცი მღვდელი ხელთ უგდია სულთანს, დიდხანს უწვალებია და მოუთხოვია მისგან: გვითხარ, სად არის შენახული თქვენი ეკლესიების ნივთეულება და ფული, თორემ ვოგკლავთო.

მოხუცს წვალებისაგან თავი რომ მოჰბეზრებია, უთქვამს: წამიყვანეთ ჩემს სამშობლოში და იქ გეტყვით, სად არის ეკლესიების განძიო.

წამოუყვანიათ თავის სამშობლოში. მოსულა თავის მიწა-წყალზე თუ არა, მაგრად შემოხვევია ეზოს ხირხლებს და უთქვამს: ახლა რომც მომკლათ, ფიქრი არა მაქვს: მე ჩემს სამშობლოში მოვკვდები და დავიმარხები. სად არის ეკლესიების სიმდიდრე დამალული, ამას კი არ გეტყვითო.

ვერა და ვეღარ მოუშორებიათ იმ ხირხლებისათვის და ამის გამო გაბრაზებულთ და ყელში ბოღმა მომდგარ მაჰმადიანთ ლუკმა-ლუკმად უქცევიათ მოხუცი. ხოლო სოფლისათვის, სასაცილოდ რომ აეგდოთ, სახელი გამოეცვალათ, თორაღასათვის უწოდებიათ კახი, რაც მათ ენაზე ვაშლის ჩირს ნიშნავს: ვითომ ის მოხუცი ისე ავკუწეთ, როგორც ვაშლის ჩირიო.

ერთი ქალი თავის სატრფოს ელოდებოდა. გაამზადა ვახშამი, დაკლა ქათამი, გაპუტა, გაწმინდა და შამფურზე ააგო. ვაშალა სუფრა და სარკმელში გაიხედა: ხომ არ მოდის ჩემი გულის მურაზიო.

მოულოდნელად, გზაზე დედულეთიდან მომავალი ძმა დაინახა ქალმა შემწვარ ქათამს სასწრაფოდ ჯამი დააფარა და გადამალა.

შორი გზიდან მოსულ ძმას პურითა და მხლით გაუმასპინძლდა.

სატრფოს მოლოდინში საჩქაროდ გაისტუმრა ძმა და განჯინაში გადამალულ ქათამს დაუწყო ძებნა. მაგრამ დახე უბედურებას! ჯამი თურმე ქათმის ხორცს შეზრდია, ქათამს ფეხი აედგა და სახლიდან შორს წასულიყო.

ასე გაჩნდა კუ. ამიტომ არის, რომ სამეგრელოში ქალებს კუს სახელის ხსენება ეკრძალებათ.

რატომ არის, რომ შინდი მაღალი არ იზრდება

გაზაფხულის ერთ მშვენიერ თბილ დღეს დათვმა ბუნაგიდან თავი გამოჰყო, გაიხედ-გამოიხედა ტყეში და დაინახა, რომ მარტო შინდის ყვავილი გაშლილიყო. გაიფიქრა: ყველაზე ადრე ეს აყვავებულა, ალბათ ყველაზე ადრეც ეს დამწიფდებაო, და გადაწყვიტა შინდის ქვეშ წამოწოლილიყო, სანამ შინდი დამწიფდებოდა.

ასეც მოიქცა, მიწვა შინდქვეშ და დაუწყო ლოდინი შინდის დამწიფებას.

გავიდა კვირები, თვეები, მაგრამ შინდი არ მწიფდა.

ერთ დღეს ცა მოიღრუბლა, წამოვიდა დიდი წვიმა და ნიაღვრები, შეხედა დათვმა ნიაღვარს და რას ხედავს! წყალს მწიფუ პანტა მოაქვს, წამოხტა გაჯავრებული დათვი და შინდი ჩამოლეწა.

ამიტომაა, რომ მას აქეთ შინდის ხე დიდი ვეღარ იზრდება.

როგორ გაჩნდა ოფოფი

პატარძალი თურმე თმებს ივარცხნიდა. ქმრის მოლოდინში იყო. თვალები უციმციმებდა, სახე უცინოდა. ამ დროს მამამთილმა შეასწრო თვალი, მიუხვდა გუმანს, რომ ქალი ქმრის ნახვას

ნატრობდა. ქალმა იგრძნო ეს და სირცხვილით დაიწვა. „ღმერთო, აქედან წამიყვანე, გამაქრეო“, — ინატრა.

წამსვე გამოესხა ფრთები, სავარცხელი კი თმებში შერჩა, ქალი იქცა ჩიტად, რომელსაც დღეს ოფოფი ჰქვია.

როგორ გაჩნდა „გამარჯობა“

ქართველები მუდამ კარგი და მამაცი მეომრები იყვნენ. თამარ დედოფლის დროს კი ჩვენისთანა მეომარი ხალხი მთელ ქვეყანაზეც არ მოიძებნებოდა. ქართველი კაცი იმიტომ იყო გულადი, რომ მკლავში ძალა ჰქონდა, მარჯვენა არ უღალატებდა. ქართველ. კაცს სანამ მარჯვენა შერჩებოდა, მტერს შავ დღეს აყენებდა. ერთზე ათიც რომ მოსულიყო, გამარჯვების იმედს არავინ დაკარგავდა.

ერთხელ ქართველებმა დიდი ბრძოლა გადაიხადეს. მტრის ლაშქარს ხმალამოღებული ეკვეთნენ. ერთზე ათი კაცი მოდიოდა მტრისა, მაგრამ არავინ შეშინებულა. ქართველები ხმალს აელვებდნენ. მარცხენა ხელში აღვირი ეჭირათ, მარჯვენაში — ხმალი.

ბრძოლა გათავდა. სისხლის ზღვა დამდგარიყო. მტერი ისე მოესპოთ, რომ ამბის მთქმელიც აღარ დარჩენილიყო.

ლაშქარი ომის შემდეგ ერთად შეგროვდა. ყველას მარჯვენა ხელში ხმალი ეჭირა და იძახოდნენ:

— ჩვენს მარჯვენას გაუმარჯოს, ჩვენს მარჯვენას გაუმარჯოს!

ხელმწიფემ ხალხს მტრის მოსპობა მიულოცა და უთხრა:

— თქვენს მარჯვენას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს, მრავალჟამიერ გაუმარჯოს! — უპასუხა ლაშქარმა.

ამის შემდეგ ეგ წესად გახდა. ქართველები ახლა, როცა საღმე ერთმანეთს შეეხვდებით, თავს დავუკრავთ და ვეტყვით: „შენს მარჯვენას გაუმარჯოს!“

ასე გაჩნდა „გამარჯობა“.

უშგა და თეთნულდი

ამბობენ, უშბას ძლიერ უყვარსო თეთნულდი. თეთნულდი შორცხვია, ემალება უშბას, პირს არიდებს, ამიტომაც ახვევია მას ასე ხშირად ნისლი. ნისლი მისი პირსაბურავიაო.

რატომ არ ხარობს ვენახი სვანეთში

იესო ქრისტეს რომ დაუვლია საქართველო, ყველგან უკურთხებია ვენახი.

აქედან სვანეთისკენ წამოსულა. შეხვედრია ტბაზე ეშმაკი. უკითხავს ეშმაკს:

— რატომ მობრძანდები აქეთო?

-- ვენახი უნდა ვაკურთხოო, — უთქვამს იესოს.

— მე ვაკურთხე იქით ყველგან ვენახიო, — უთქვამს ეშმაკს.

დაარწმუნა იესო ქრისტე და ამიტომაც არ არის სვანეთში ვენახი.

ვაზი და გულგული

წინათ ვაზსა და ბულბულს დიდი მეგობრობა ჰქონდათ. შემოჯდებოდა ბულბული ვაზზე და საამურად გალობდა. უსმენდა ვაზი და ცრემლად იღვრებოდა.

ერთხელ ბულბული ისე გაიტაცა სტვენა-გალობამ, რომ მისი ეშხის ძალით სწრაფად წამოიზარდა ვაზის პწკალები, ისე სწრაფად, რომ მგალობელმა ვერც კი გაიგო, რა განსაცდელში ვარდებოდა.

გალობდა იგი თავდავიწყებით, გალობდა აღგზნებით. მის ფეხებს კი ნელ-ნელა ეხვეოდა ძაფივით წვრილი და მოქნილი პწკალები ვაზისა.

მთელ ღამეს ეშხით თვრებოდა ბულბული, ვაზი კი ტიროდა, ტიროდა და მჭიდროდ ეხვეოდა მგოსნის ფეხებს ახლად ამოფეთქილი თავისი მბზინავი თითებით.

ვანთიადისას, როცა ზეშთაგონებით მოღლილი ბულბული გონს მოეგო და გაფრენა მოინდომა, ტანი ვეღარ აიტანა საბრალომ, მიბმული აღმოჩნდა ვაზზე. დიდ უბედურებაში ჩავარდა ბულბული. სუსტი ფრთების ფარფატით ებრძოდა ივი მისივე ჰანგებით მოჯადოებულ ვაზის ხლართებს. რას გააწყობდა?

დიდხანს იფართხალა სასოწარკვეთილმა და ბოლოს აღმოხდა ხელი.

ეს იყო და ეს... მას შემდეგ ბულბულის მოდგმამ შეიძულა ვაზი და ვენახი, აღარ ეკარება მას.

ლეგენდა ერწოს შესახებ

ახლა, სადაც ერწოს სოფლებია გაშენებული, იქ ტბა იყო თურმე.

ტბაში გველვეშაპი ბუდობდა და ეს ტბაც მისი სამფლობელო იყო. როცა გველვეშაპს ტბაში საჭმელი გამოელია, ნაპირებზე გამოვიდა და ახლომახლო სოფლებიდან დაიწყო საქონლის ტაცება. ხან კი, როცა ვეღარც საქონელს შეხვდებოდა, ადამიანებს იტაცებდა.

შეწუხდა ხალხი. ყველას ეშინოდა გველვეშაპისა და შებრძოლებასაც ვერ უბედავდნენ.

გველვეშაპი კი განაგრძობდა უწინდებურად: ათობითა და ოცობით იტაცებდა საქონელს და არც ხალხს ერიდებოდა.

აწიოკდა მოსახლეობა: ზოგი შვილის დაკარგვას ჩიოდა, ზოგი — მამის, სხვა კი დედისა თუ ცოლისას და იდგა ერთი გაჭირვების ორომტრიალი.

ტბის დაშორებით ერთი ძლიერზე ძლიერი ხატი იყო. შორს იყო მისი სახელი განთქმული. წმინდა გიორგის სამების ჯვარს ეძახდნენ ამ ხატს. ბევრი კეთილი საქმე მოიმოქმედაო ხატმა: თვალები აუხილა ბევრ მლოცველს. ბევრმა კუტმა აიდგა ფეხი და გაჯანსაღდა.

ხატს ყოველწლიურად ასობით და ორასობით კურატი მოსდიოდა[1].

ნაწილს ჰკლავდნენ და ნაწილსაც ინახავდნენ შემდეგისათვის.

ხატის კურატებში ერთი ძალიან გამოირჩეოდა ღონით. რქების წვერები ალმასისა აქვსო, ამბობდა ხალხი და მართლაც მზის სხივებზე ალმასივით ელავდა კურატის რქები.

ღვთის ბრძანებით თუ ხდებოდა ალბათ, ღამღამობით კურატი ტოვებდა ნახირს და ტბისაკენ წამოვიდოდა, გადმოდგებოდა გორშევარდენის მთაზე და შეჰკივლებდა ცამეტჯერ.

მოჰკრავდა თუ არა ყურს კურატის კივილს, გველვეშაპიც იწივლებდა ცამეტჯერ საპასუხოდ და დაიძვრებოდა გორშევარდნისკენ. პირველ ღამეში[2] შებმულები იბრძოდნენ გათენებამდის, ვერც გველვეშაპი ერეოდა და ვერც კურატი. თენებისას განშორდებოდნენ: გველვეშაპი კვლავ თავის ტბას უბრუნდებოდა, კურატი კი

---

[1] ხატისათვის ასახელებული ბუღა.

[2] დაღამებისას, ღამის პირველ ნახევარში.

ქვლავ ხატის ეზოს შეაფარებდა თავს, დაღლილი და ოფლში გაწუ-წული.

— ე რა ემართება ამ ტიალს, რა აოფლიანებს ამ ღამითო? — კვირობდა მწყემსი.

ცხრა დღე და ღამე ებრძოდა კურატი ვეშაპს და მეცხრე დღეს დაჯალთა[1] კიდეც: ამოჭკრა ალმასის რქები და ამოუხია მუცელი. შეშინდა გველვეშაპი. იბრუნა პირი აღმოსავლეთით. იმ ადგილას, სადაც ახლა მდინარე აძები იორს უერთდება, მთა იყო თურმე მაშინ. ჭკრა ამ მთას თავი და გადაანგრია. გადაანგრია და წავიდა. გაჰყვა მდინარე იორს და კასპიის ზღვას შეაფარა თავი.

გველვეშაპს გაჰყვა ტბის წყალიც და ტბა გაიცალა მთლიანად. მდინარე აძები კი ახლაც დაკლაკნილია. ამბობენ, გველვეშაპი რომ მიდიოდა, ასე იკლაკნებოდა და მდინარეც იმის ნავალზე მოდისო.

ასე დაშრა ამ ადგილს წყალი და ამომშრალ ადგილს გაშენდა მოსახლეობა. სახელიც იქიდან ჰქვიაო ამ ადგილს — ე რ წ ო. ამ-ბობენ, იგი გამოხატავს ამ ადგილზე ნამყოფი წყლის რწევასა და ქანაობასო.

ყ ვ ა ვ ს ა ყ დ ა რ ა

ენისელში გლეხები ყანას მკიდნენ. სადილად ცხვარი დაკლეს და მოსახარშად ცეცხლზე შედგეს ქვაბით. მზარეულს ჩასძინებო-და. ამ დროს ქვაბში გველი ჩასულიყო და ჩახარშულიყო ხორცთან ერთად.

მუშები სადილად გამოვიდნენ. მოუთმენლად ელოდნენ საჭ-შელს. ამ დროს სად იყო და სად არა, წამოვიდა ერთი ყვავი და ქვაბს თავზე გადაუარა ჩხავილით.

— გააგდეთ ეს საზიზღარიო! — ხალხმა იყვირა. აუქშიეს ყვავს ერთხელ, ორჯერ, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა, თავს დასტრია-ლებდა ხალხს და საცოდავად ჩხაოდა.

დაუშინეს ქვები, ჯოხები, უცებ ყვავი შურდულის ქვასავით დაეშვა და ქვაბში ჩავარდა, ჩაიფუფქა.

წამოიშალა ხალხი გაკვირვებული და ნაწყენი, წამოაპირქვა-ვეს ქვაბი და ჩახარშული შხამიანი გველი კი წამოჰყვა.

მუშების გადარჩენისათვის იქ პატარა ეკლესია ააშენეს. იმ ეკლესიას ახლაც „ყვავსაყდარას“ უწოდებენ.

---

[1] დაჯაბნა.

რატომ არის საქართველოში გევრი ლამაზი

იყო ინდოეთის მეფე შედათი, კაცი იმდენად გულზვიადი და კადნიერი, რომ გადაწყვიტა ქვეყნად სამოთხე აეშენებინა: ხალხი ღმერთად მიმიჩნევსო.

გააშენებინა ედემი. იგი მართლაც საუცხოო სანახავი იყო და სწორედ სამოთხესა ჰგავდა, მაგრამ...

— რა სამოთხეაო, — კრძალვითა და მოწიწებით მოახსენეს შედითს, — როცა შიგ ანგელოზნი არ არიანო?

მეფემ მაშინვე მოუწოდა თავის მხლებელთ და უბრძანა: დაიარეთ მთელი ქვეყანა და, საცა კი ნახოთ ლამაზი ქალი, მე მომგვარეთო.

მეფეს უნდოდა ეს ლამაზები სამოთხეში დაესახლებინა.

მხლებლებმა შეასრულეს ბრძანება მეფისა, შეკრიბეს „გურიები" მთელი ქვეყნის პირზე და გაემართნენ ინდოეთს. კავკასიაში რომ მოვიდნენ, აქ შეიტყვეს უცებ, რომ ღმერთმა უწყალოდ დასჯა შედათი კადნიერებისათვის, დაახვია უამრავი კოღო, რომელთაც ისე დაჭკბინეს უბედური მეფე, რომ რუმბივით დასივდა და მალე სულიც განუტევა.

ლამაზმანებმა ეს ამბავი რომ მოისმინეს, გადაწყვიტეს: ნულარც ინდოეთში წავალთ, ნულარც ჩვენ ქვეყნებში დავბრუნდებითო, დავრჩეთ აქ, ამ ტურფა მხარეში, რომელიც ყოველგვარ სამოთხეს სჯობიაო.

ეს არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ასე ბევრია ლამაზი ქალი.

რატომ არ ეკარება ფუტკარი ზოგიერთ ყვავილს

ღმერთს უნდოდა ფუტკრის ერთგულება გამოეცადა და ასე უთხრა:

— გაფრინდი, ფუტკარო, გადათვალე ყველა ყვავილი, რაც კი მოიპოვება დედამიწაზე და მერე თქვი, რომელი მათგანი მოგცემს თაფლს და საზრდოსო.

ფუტკარი მხიარული ბზუილით გადაფრინდა ყვავილების ჩამოსათვლელად. ყველა ყვავილი, დიდი თუ პატარა, გადმოთვალა და ის იყო პასუხის მისაცემად ღმერთთან უნდა მიფრენილიყო, რომ ნახა სამი უცხო ყვავილი: თხის ფხელი, სამყურა და წუწნელა.

— რა სურნელოვანი ყვავილებიაო, — იფიქრა ფუტკარმა. — ვინ იცის ამ ყვავილების ამბავი? მთელი დღეები ჭალა-მინდვრებში დავფრენ და მაგ ყვავილებს პირველად ვხედავ, ალბათ ბევრ თაფლს მომცემსო. მოდი, ღმერთს არ გავუმხელ, თუ თავის მოწყალებას მომაკლებს, გამიწყრება და ყვავილებს წამართმევს, მაშინ ეს სამი ყვავილი მაინც შემრჩება საზრდოდო.

მიფრინდა ფუტკარი ღმერთთან, ყველა ყვავილი ჩამოუთვალა და იმ სამ ყვავილზე კი კრინტი არ დაძრა.

— ყველა ყვავილი ჩამომითვალეო?

— ყველა, უფალო, ერთიც არ მომიკლიაო, — იცრუა ფუტკარმა.

— მაშ, დღეის იქით მხოლოდ იმ ყვავილების წვენით იკვებებოდე. რომლებიც ჩამოთვალე. იმ ყვავილებს კი, რომლებიც დამიმალე, არ გაბედო და არ შეეხოო. თხის ფხელს თუ შეეხე, დაბრმავდები თორმეტი დღით, სამყურას თუ გასინჯავ, შინ მშიერი მიხვალ, წუწნელას თუ გაეკარე, მაშინვე მოკვდებიო.

ამიტომაც არის, რომ ფუტკრები არ აგროვებენ თაფლს არც თხის ფხელიდან, არც სამყურასა და წუწნელას ყვავილებიდან.

როგორ გაჩნდა ქვეყანაზე მთეგი და ხევეგი

ღმერთმა თურმე დედამიწა ცაზე უფრო დიდი გააჩინა. არ მოერგო ცა დედამიწას, ვერ ესარქვლებოდა.

მაშინ ეშმაკმა ურჩია თურმე ღმერთს: მოუჭირე მიწას შენი ძლიერი მკლავები და ცა ზარფუშივით დაეხურებაო.

მართლაც, ღმერთმა დაუჯერა ეშმაკს, მოუჭირა დედამიწას მკლავები... ცა დაესარქვლა, მაგრამ მიწა კი შეიზნიქა და აქა-იქ ამოიბურცა გორებად.

ყ ვ ა რ ე ლ ი

ერთხელ მეფე მობრძანებულა თავისი ამალით სანადიროდ ახლანდელ ყვარელს. მშვენიერმა ადგილმდებარეობამ, ცივმა და მოჩხრიალე ღელეებმა და ჩინებულმა სანადირო ტყეებმა, ათას-

გვარმა ნადირმა განაცვიფრა მეფე და მისდა უნებურად წარმოათქმევინა: ეს რა საყვარელი ადგილი ყოფილაო!

ნადირობის შემდეგ, რამაც ურიცხვი ირემი, ღორი და დათვი იმსხვერპლა, მეფე უკანვე წამობრძანდა და მას შემდეგ, როდესაც კი ნადირობას ინებებდა, ბრძანებდა: „აბა, წამიყვანეთ ჩემ საყვარელ ადგილასო“.

ამიტომ დაერქვა ამ ადგილს ყვარელი.

რა დროიდან ემსახურება ძაღლი ადამიანს

ცხოვრობდა ქვეყნად ძაღლი. არ იცოდა, ვისთვის გაეწია მეგობრობა და სამსახური. ერთხელ ძაღლი ტურას შეხვდა და ერთად გაუდგნენ გზას.

უცებ ტყეში მგლის ნაკვალევი დაინახეს.

— ვისია ეს ნაკვალევიო? — ეკითხება ძაღლი ტურას.

— ისეთი მხეცის, რომელიც ორთავეს მიგვახრჩობს, თუ შეგვხვდა სადმეო.

ძაღლმა ტურას თავი გაანება და მგლის კვალს გაჰყვა. დაინახა მგელმა და ეკითხება:

— ვინა ხარო?

— შენი მონა-მორჩილიო, — ძაღლმა უთხრა.

— მაშ, წამოდი, ერთად ვიაროთო.

წავიდნენ ერთად.

გზაზე დათვის ნაკვალევი ნახეს.

— ვისია ეს ნაკვალევიო? — ეკითხება ძაღლი მგელს.

— ო, ეს ისეთი მხეცისაა, რომელიც ერთის დაკვრით მოგვისპობს სიცოცხლეს ორივესო.

გაანება ძაღლმა თავი მგელს და გაჰყვა დათვის კვალს.

— ვინა ხარო? — დათვი ეკითხება.

— შენი მონა-მორჩილიო, — ძაღლმა მიუგო.

— მაშ გამომყეო, — უთხრა დათვმა და გასწიეს ერთად ტყისაკენ. გზაზე ადამიანის ნაკვალევი შეამჩნია ძაღლმა.

— ვისია ეს კვალი? — იკითხა ძაღლმა.

— ო, ეს ისეთი მხეცისაა, რომლის მომრევი ქვეყანაზე არავინ არისო, — მიუგო დათვმა.

გაანება ძაღლმა დათვს თავი და ადამიანი მოძებნა.

იმის შემდეგ არის, რომ მასთან ცხოვრობს და ერთგულად ემსახურება.

ძაღლის ლუკმა

უწინ თურმე ცა დაბლა ყოფილა. ერთხელ ერთ ქალს პური უცხვია. იქვე ძუძუთა ბალღი ჰყოლია. ამ დროს ბალღი გაფუჭებულა (ჩასვრილა) და ტირილი დაუწყია. გაჯავრებულ დედას საჩქაროდ ლავაშით გამოუწმენდია ბავშვი, პური გადაუგდია. ეს გათბუნული ლავაში ცას მოხვედრია. ცა განრისხებულა ცალკე იმაზე, რომ ჰაერი წაბილწა ქალმა, ცალკე იმაზე, რომ ეს წაბილწული ლავაში მას მოხვდა, დაუჭექია, მეხი დაუცია ქალისთვის და წასულა შორს, ზევით. განრისხებულ ცას დაუწყევლია: ადამიანი ძაღლის ლუკმასა ჭამდესო! ძაღლებმა ცის წყევლა რომ გაიგეს, შეჰყმუვლეს ცას: ჩვენც მოგვეცი ლუკმაო!

შებრალებია ცას ძაღლები და მიუცია ლუკმა. მას შემდეგ ცა ზევით დარჩა. დროდადრო განრისხდება ხოლმე, სჭექს და მეხს ისვრის, ადამიანი კი ისე პურს არ გამოაცხობს, რომ ძაღლს არ მიუგდოს.

აქედან მოდის ხალხში გავრცელებული თქმა, ადამიანი ძაღლის ლუკმასა ჭამსო.

რატომ ჰქვია სოფელს გლოლა

ძველ დროს დიდ შემოსევებს, აკლება-აწიოკებას, განიცდიდა შთარაჭის ულამაზესი სოფელი — გლოლა. ახლობელი თუ შორეული მტერი, ყველა თავს ესხმოდა. იტაცებდნენ საქონელს, ლამაზ ქალებს, სხვა ქონებას. გლოლელი ხალხი იძულებული შეიქნა აეშენებინა ციხე-სიმაგრე, რათა თავი დაეცვა მტაცებლებისაგან. ციხის აშენება. იკისრა გლოლელმა მეციხოვნემ[1], ვინმე ბერიშვილმა. მთელი სოფელი, კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა — ყველა თავგამოდებით შრომობდა ციხის შენებაზე. ბოლოს ციხეც დაასრულეს. ციხის აშენების აღსანიშნავად გლოლელებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ დიდი ლხინი, საერთო ქეიფი. აქაც მთელი სოფელი მონაწილეობს: ზოგი საკლავებსა კლავს, ზოგი ღვინოს ეზიდება ქვემო რაჭიდან, ზოგი პურს აცხობს, ზოგი მაგიდებს აწყობს და ასე. ყველაფერი

[1] „მეციხოვნე" იხმარება ციხის შენების მცოდნის, სპეციალისტის მნიშვნელობით (ჩამწ.).

მზად არის. ელიან მხოლოდ იმასღა, რომ ციხეზე დროშა აღმართონ. ეს საპატიო მოვალეობა უნდა შეასრულოს მეციხოვნემ. ავიდა მეციხოვნე ციხეზე და მთავარ ბურჯზე აღმართა დროშა. ამ დროს შემოუბერა ნიავმა, დაუცდა ფეხი მეციხოვნეს კედელზე, გადმოვარდა და მოკვდა. სალხინოდ მომზადებული სუფრა საგლოვად გადაიქცა. სოფელი მოიცვა საერთო გლოვა-ტირილმა. ქალი და კაცი — ყველა ძაძებში ჩაჯდა. დიდხანს გლოვობდა ხალხი თავისი ციხის მშენებლის დაღუპვას. სოფლის თავკაცებმა დაადგინეს, რომ მეციხოვნის პატივსაცემად სოფლისთვის გლოვა დაერქმიათ. იმ დღიდან სოფელს ეწოდება „გლოვა", ანუ „გლოლა".

რატომ წივის ძერა

ღმერთმა რომ ცოცხალი არსება გააჩინა, ყველას დაუწესა: დროდადრო შვილები უნდა მომცეთ ხოლმეო! ძერასაც მოსთხოვა შვილი ღმერთმა. ძერებმა სთხოვეს ღმერთს, ოღონდ შვილს ნუ წაგვართმევ და არდადეგში წყალს არ დავლევთო.

უსმინა ღმერთმა, შვილი არ წაართვა ძერას, მაგრამ არდადეგში, როცა ყველაზე დიდი სიცხეა, წყალს არ ასმევს. დადიან და დაწივიან ძერები; დაჯდებიან წყლის პირას, უნდათ რომ წყალი დალიონ, მაგრამ ვერა სვამენ.

აქედან არის ხალხში გავრცელებული თქმა: რა მარიამობისთვის ძერასავით წივიო!

რატომ არ ჩანს ქალის საქმე

გზაზე ერთი მოხუცი მათხოვარი იჯდა. მძიმე ბარგი ჰქონდა და ვერ იკიდებდა ზურგზე. იჯდა და ელოდა, ვინმე გამოივლის და მიშველისო. ერთმა ქალმა გამოიარა. მათხოვარმა სთხოვა:

— მამაშვილობას, ერთი ხელი ამიკარი ბარგზე, ავიკიდოო!

— იჰ, რა დროს ეგ არი, მეჩქარება, საქმე მაქვ, — არ უშველა ქალმა.

— წადი და საქმე ნუ გამოგელიოსო, სულ მუშაობდე, ბევრს აკეთებდე და ცოტა ჩანდესო, შენი საქმე კაცმა ვერ დაინახოსო, — დასწყევლა მოხუცმა.

მერე კაცმა გამოიარა. იმან უშველა აკიდება. მოხუცმა მადლობა გადაუხადა და დალოცა:

— წადი და შენი მარჯვენა ისე იყოს დალოცვილი, რომ ცოტაც რომ გააკეთო, ბევრად გამოჩნდესო!

ეს მოხუცი მათხოვარი ქრისტე ღმერთი იყო. იმიტომ არის, რომ ქალი ბევრს მუშაობს ოჯახში, დილიდან საღამომდის იმისი ხელი და ფეხი არ ჩაიკრიფება, სულ საქმიანობს, მაგრამ იმისი გაკეთებული საქმე მაინც არ ჩანს. კაცმა კი ორი ბარის პირიც რომ გადააბრუნოს, ჩანს, ეთქმის, საქმე გავაკეთეო.

მამისონის უღელტეხილი

წინათ ოსებს, სვანებსა და რაჭველებს შორის გამუდმებული ბრძოლა და სისხლისღვრა იყო. იხოცებოდა ხალხი უგუნურ ბრძოლებში. ბოლოს ერთმა რაჭველმა ბრძენმა თავკაცმა, რომელიც სასულიერო წოდებისა იყო და მამა იასონს უწოდებდნენ, გადაწყვიტა როგორმე ბოლო მოეღო ამ სისხლისღვრისათვის მშვიდობიანი მოლაპარაკებით. მამა იასონი ბრძენი, გონებანათელი კაცი იყო, ისეთი ტკბილი საუბარი და გალობა იცოდა, რომ მტერსა და მოყვარეს ერთნაირად ატყვევებდა მისი მოსმენა. მამა იასონმა შეუთვალა სვანებისა და ოსების თავკაცებს, შევხვდეთ ერთმანეთს და გადავწყვიტოთ ჩვენი ქვეყნების ბედი, თორემ მუდმივ ბრძოლაში თქვენც წყდებით და ჩვენცაო. შეხვედრის ადგილად უნაგირა დათქვეს. დანიშნულ დროს და ადგილას შეიყარნენ სამნივ თავკაცნი. მამა იასონმა თან წამოღებული საგზალი გაშალა და ბჭობა დაიწყეს. მამა იასონის ბრძნულმა მჭევრმეტყველებამ და ტკბილმა ბაასმა მოხიბლა სვანი და ოსი. ისინი დაეთანხმნენ მის რჩევას დაზავების შესახებ. დაადგინეს, რომ შეეწყვიტათ ურთიერთ შორის ბრძოლა, საზღვრად ეს უნაგირა დათქვეს და მამა იასონის პატივსაცემად დაარქვეს „მამა იასონის უღელტეხილი“, ანუ „მამისონის გადასავალი“.

როგორ გაჩნდა ღვინო

იმ დროს, როცა ადამიანმა ღვინის დამზადება არ იცოდა, ვაზი ტყეში იზრდებოდა და ყურძენს ჩიტები კენკავდნენ.

ერთმა ღარიბმა კაცმა ვაზი შინ წამოიღო და სახლის წინ დარგო. ბევრი მოისხა. ყველა მადიანად შეექცეოდა ყურძენს. მეორე წელიწადს ათი ძირი მიუმატა, მესამეს — ასი და მთელი ვენახი გააშენა.

ერთ შემოდგომაზე ღარიბმა ყურძენი მოკრიფა და დაწურა. ტკბილი წვენი ხალხს მოეწონა. ამოდენ ტკბილ წვენს ხომ არ გადაღვრიდა და კოკებში შეინახა.

ორი თვის შემდეგ გასინჯა და სასიამოვნო გემო ჰქონდა. გაუკვირდა: დაღრეცილი ვაზის ნაყოფმა ასეთი წვენი როგორ მოგვცაო! ღარიბმა კაცმა წვეულება გამართა.

პირველად ბულბული ეწვია. ერთი ჭიქა დალია და დაალოცა:

— ვინც ცოტა დალიოს, ჩემსავით გალობა უყვარდესო!

მეორედ ყვინჩილა ეწვია. მანაც დალია ერთი ჭიქა და დაალოცა:

— ვინც მეტი დალიოს, ჩემსავით ყოყლოჩინობა უყვარდესო!

მესამედ მსუქანი ტახი ესტუმრა. მანაც დალია ერთი ჭიქა და დაალოცა:

— ვინც უზომოდ დალიოს, ჩემსავით ტალახში გორაობა უყვარდესო!

ბოლოს მელა ეწვია. ერთი ჭიქა მანაც გადაჰკრა და დაალოცა:

— ვინც ბლომად დალიოს, ჩემსავით ქურდულად შეეპაროს და გააწითლოსო!

მას შემდეგ მოქმედებს ასე ღვინო ადამიანზე.

ვერცხლის ტბა

ვერცხლის ტბა ლენხერის ხეობის აღმოსავლეთით მდებარეობს. ძველად იმის ცრემლივით გამჭვირვალე წყლის არამც თუ დალევა, ხელის ხლებაც კი აკრძალული ყოფილა. ამბობენ, ერთმა მწყემსმა ტბაში ქვა ისროლა და ამის გამო ისეთი საშინელი ქარიშხალი ატეხილა, რომ მწყემსი თავის ფარიანად ტბაში გადაუყრია და ჩაუძირავსო. ტბის ძირი ვერცხლით დაფარული ყოფილა. ამ ვერცხლს ქაჯები და ჭინკები დარაჯობენ. ამიტომაც ეწოდება მას ვერცხლის ტბა — ტობა ვარჩხილი.

კამეჩი

კამეჩი უზარმაზარი, ღონიერი ცხოველი იყო და ძლივს დაზოზინობდა დედამიწაზე. მისი სიმძიმით მიწა ზანზარებდა. ფეხსრომ დაადგამდა, მიწაში ეფლობოდა. ამიტომ უფრო ხშირად იწვა და თავისთვის იცოხნიდა. დაწოლილს ადგომა ეზარებოდა. ცხელ დღეებში ლაფში ჩაწვებოდა და ადგომას არ იფიქრებდა საღამომდე. ერთხელ ჰკითხეს:

— ასე ნელა რატომ დაზოზინობ, ცხენივით რისთვის არ დარბიხარო?

— ჰმ! — უპასუხა კამეჩმა, — მე რომ ცხენივით ვირბინო, დედამიწა ვერ გამიძლებს და რყევას დაიწყებს, ამიტომ ნელა დავდივარ, არ ვჩქარობო.

ძველად კამეჩი თოვლივით თეთრი ფერისა იყო და ხარივით ბღაოდა. ახლა კი ყორანივით შავი ფერისაა და ყროყინებს: ნოე, ნოე, ნოეო! ნოეს ეძახის.

ღმერთმა რომ ქვეყანას წარღვნა მოუვლინა, კამეჩი შავ ტლაპოში იწვა და არხეინად იცოხნიდა. წვიმა რომ წამოვიდა, ნოეს კიდობნისაკენ გაემართა ზოზინით, მაგრამ ვერ მოასწრო. წყლები ადიდდა, კიდობანი წყალში შეცურდა. კამეჩმა კარგი ცურვა იცოდა, გამოუდგა ცურვით კიდობანს, მაგრამ ვერ დაეწია. თანაც ნოემ კარი ჩაკეტა და გარეთ აღარ იყურებოდა. როცა კიდობანს მიუახლოვდა, კამეჩმა აიღო თავი ზევით და ნოეს დაუძახა:

— ნოე, ნოე, ნოე!

ნოემ გამოხედა, იცნო კამეჩი, გაუღო კარი და კიდობანში შეიყვანა. კამეჩმა სიჩქარეში ტანის გაბანვა ვეღარ მოასწრო და ამის შემდეგ შავი ფერისა დარჩა, ხოლო როცა ყროყინებს, თავს მაღლა იწევს და სულ ნოეს ეძახის.

ქოშიგორა

ერთხელ თამარ მეფე შუამთას მობრძანდა თავისი მრავალრიცხოვანი ქალთა ამალით. ნაწვიმარი იყო. მეორე დღეს თამარის მხლებელ ქალებს ქოშები დაეფხიკათ, იმოდენა მიწა დაყრილა, რომ დიდი გორა გაჩენილა. იმ გორას ახლაც ქოშიგორას უწოდებენ.

სოფელი გლოლა

თამარ მეფეს წესად ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა მხარეს შოგზაურობა. დიდი ამალა ახლდა თან, ადგილიდან ადგილზე გადადიოდა და ქვეყანას თვალს ავლებდა. მცხოვრებთ თვითონ ასაშართლებდა.

ერთხელ თამარმა რაჭაში იმგზავრა. დედოფლისა და მისი ამალის ბარგი სახედრებს ჰქონდა აკიდებული. ერთ ადგილას მშვენიერი ყანა და დიდი ჩრდილები იყო. იქვე გემრიელი ვეძის წყალი გადმოდიოდა.

თამარმა ამ ადგილს ოქროყანა უწოდა და შესვენება ბრძანა. დასცეს კარვები, გაათენეს ღამე.

დილით რომ გამოეღვიძათ თამარის მხლებლებს, ნახეს, რომ ბარგით დატვირთული ორი სახედარი დაკარგულიყო. ერთ-ერთზე თამარის სამკაულები — ოქრო-ვერცხლი და პატიოსანი ქვებით მოჭედილი ნივთები ყოფილა; მათ შორის თამარის ძვირფასი ჯვარიც.

დამგლოვიარდა თამარი, დამწუხრდნენ მისი მხლებლებიც, მოიარეს გარშემო მთა და ბარი და ვერაფერი იპოვეს.

მხოლოდ მესამე დღის ბოლოს, მდინარე ჭანჭახის პირას, ეკალბარდებში გახლართული ნახეს ორივე სახედარი.

გამხიარულდა თამარი, მასთან ერთად გაუნათდა გული ყველას.

ეს სახედარი კარგ რაჭველ ვაჟკაცს — ბაკურაძეს ეპოვა. თან ბიძა და ერთი ბიჭი ხლებოდა.

მადლობის ნიშნად თამარმა ეს ლამაზი ადგილი ბაკურაძეს და მის მხლებლებს აჩუქა. ბრძანა: ასეთი ლამაზი ადგილი უკაცური არ უნდა დარჩეს, აქ კარგი სოფელი გაშენდებაო. თავისი ამალიდან ერთ ბერს უბრძანა, შენც აქ დარჩი, ეკლესია ააშენეთ და იმ ეკლესიაში სწირეო.

— დავრჩები, დიდო მეფეო, მხოლოდ ცოლის მოყვანის ნება მომეცი, — დათანხმდა ბერი.

მოიყვანეს ცოლები და გამრავლდნენ დარჩენილები. მათი მონაგარი და ნატამალია დღეს გლოლაში მცხოვრები ბაკურაძეები, ბიჭაშვილები, ბიძიშვილები და ბერიშვილები. სოფელს კი თამარის მწუხარების მოსაგონრად გლოლა დაერქვა.

სოფელი წესი

სოფელი წესი რაჭის შუაგულია. სოფლის თავში, ხიდთან, საბაჟო იყო. რაჭის ერისთავი, ხიდზე გასვლისათვის ბაჟს ახდევინებდა მგზავრებს. ვინც ბაჟს არ გადაიხდიდა, ჯარიმად სულმოუთქმელად ვეებერთელა ჩაფით ღვინო უნდა შეესვა. ამ ჩაფის დაცლა არავის შეეძლო და ამიტომ ბაჟის გადახდა ერჩია ყველას. ერთხელ გლოლიდან ბარს მიდიოდა ერთი კაცი. ფული არ ჰქონდა.

— ფულს თუ ვერ გადაიხდი, მაშინ ეს ჩაფი უნდა დაცალოთო, — უთხრეს.

გლოლელმა მოიყუდა და ერთი მოსმით დაცალა ჩაფი.

— ეს რას ნიშნავსო? — იკითხა მერე.

— ასეთი წესი გვაქვსო, — უპასუხეს.

რაკი ჩაფის დამცლელი გამოჩნდა, ერისთავმა ბრძანა, ბაჟის გადახდის წესი მოშალეთ, თორემ თუ ეგრე ჩაფებით სვეს ღვინო, გამაღარიბებენო.

ამ დროიდან ამ სოფელს დაერქვა წ ე ს ი.

თ უ რ მ ე

თამარ დედოფალი

ერთ სახელოვან ქართველ მეფეს მეტად მშვენიერი ქალიშვილი ჰყავდა — სახელად თამარი. თამარს ავი ჭირი შეეყარა. ამ ჭირის მოსარჩენად მამამისმა აუარებელი ფული დახარჯა, მაგრამ არაფერმა უშველა. მეფე ხედავდა, რომ მისი ქალიშვილი იღუპებოდა, უბრძანა მოსამსახურეებს, შორს სადმე გადაეგდოთ.

მოსამსახურეებმა წაიყვანეს იარებისაგან შეჭმული თამარი და ერთ ფერდობზე დააგორეს. ბალახების შეხებამ მოარჩინა თამარი ავი ჭირისაგან. ისეთივე ლამაზი და მშვენიერი გახდა, როგორც უწინ იყო. მალე თითქმის უკეთესიც შეიქნა, მისი სიმშვენიერე კაცს თვალს მოსტაცებდა, ისეთი იყო ის დალოცვილიშვილი.

როდესაც მორჩა თამარი, ადგა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ვანის ქვაბების ძირში (ვარძიის მონასტრის ქვაბებში) ერთ დედაკაცს შეხვდა და მას მიეკედლა. ერთად ცხოვრობდნენ.

ერთხელ თამარმა ერთი ფრთამოტეხილი წერო დაინახა, მივიდა პარვით და დაიჭირა. შეუხვია ნატკენი ადგილები და პატარა ხანში მოარჩინა. წერო მოშინაურდა და ქათმებთან ცხოვრებასაც მიეჩვია. თამარს ძალიან უყვარდა.

მეორე წელს რომ გადმოიარეს წეროებმა, ეს წეროც მათ გაჰყვა. თამარს ძალიან ეწყინა საყვარელი წეროს გაპარვა და ბევრიც იტირა. კიდევ რომ გადაიარეს წეროებმა, თამარმა აიხედა მაღლა ცაში და თქვა: ნეტავი ჩემი წეროც თუ ურევია იმათშიო.

ამის თქმა და ერთი წეროს გამოცალკევება ერთი იქნა. ამ წეროს ორი ჩხირი ეჭირა ნისკარტში — ერთი ყვითელი და ერთი თეთრი. მივიდა თამარის სადგომ ქვაბთან, დაჯდა, ჩხირები იქ დატოვა და გაფრინდა.

მიირბინა თამარმა, ჩამოიღო წეროს მოტანილი ჩხირები და თქვა: ესენი ჭდეთ ივარგებსო და თეთრი ჩხირით ჭდო რძე. რძე

ვერცხლად იქცა. საღამოს ყვითელი ჩხირით ჭდო და რძე ოქროდ იქცა. ასე წყალსაც რომ აჭდობდა, ოქროდ აქცევდა და ვერცხლად. ამგვარად ბევრი ოქრო-ვერცხლი რომ დააგროვა თამარმა, დედოფლად დაჯდა და იწყო საყდრების შენება მთელს საქართველოში. იყო მოწყალე ადამიანიც ღარიბებისათვის.

გაიგო სპარსეთის შაიმ თამარ დედოფლის მშვენიერების ამბავი და წამოვიდა დიდი ჯარით, რათა ცოლად წაეყვანა. თამარმა დაამარცხა შაი. დაამარცხა მეორედაც, მაგრამ მესამედ კი შაიმ დასძლია და დააპირა თამარის წაყვანა. იმ დროს თამარი ცაში წავიდა და უჩინარ იქმნა ქართველთა დედა.

ხარის ტყავი

თამარ დედოფალს ერთი თათარი მსახური ჰყავდა. ამ თათარს სახელად მაჰმედი ერქვა. მარჯვე, ცქვიტი, ერთგული და თავაზიანი კაცი იყო. ისე შეაყვარა კეთილ დედოფალს თავი, რომ არ იცოდა რანაირად დაეჯილდოებინა.

ერთხელ თამარმა უთხრა მაჰმედს:

— ჩემო მაჰმედ! რადგანაც ამდენ ხანს და ასე კარგად მემსახურები, ახლა შენი დასაჩუქრება მნებავს, მთხოვე, რაც გინდა და მოგცემო.

ცბიერმა მსახურმა ქვეშ-ქვეშ ჩაიცინა და მოახსენა:

ერთი ხარის ტყავი რამდენ მიწასაც შემოიცავს, ის მომეცი.

— აგრე ცოტა!? ბევრი მთხოვე, თორემ ეგ რას გეყოფაო, — უთხრა გულუბრყვილოდ დედოფალმა.

— თუ თქვენი მოწყალება არ მომეშალა, ესეც ბევრი იქნებაო, — მიუგო თათარმა.

თამარი დათანხმდა და თათარი გაისტუმრა: ხვალ მოდი და მიიზომე საცა გინდაო.

თათარი წავიდა, იყიდა დიდი ხარის ტყავი, ხარაზს მიუტანა და უთხრა:

— ერთიან წვრილ თასმად დასჭერი ეს ტყავი და კარგ ხელფასს მოგცემო.

ხარაზი ასეც მოიქცა. იფიქრეთ, რა იქნებოდა ერთი ხარის ტყავის ერთიანი თასმა. მაჰმედმა დაახვია ეს თასმა ჯოხზე და მივიდა სასახლეში.

— აბა, მომიზომეო, — დაეღრიჯა დედოფალს.

თამარმა შეხედა ჯოხზე დახვეულ თასმას და ძლიერ შეწუხდა, ამ მოხერხებულმა კაცმა როგორ მომატყუაო. მაგრამ რაღას იზამდა: ფიცი ჰქონდა მიცემული და ფიცს არას გზით არ უღალატებდა. ძველი დრო იყო მაშინ. გაგზავნა სანდო კაცები და მიაზომინა. სიტყვა ისე იყო ნათქვამი, რომ სადაც აირჩევდა, იქ უნდა მიეზომათ. თათარმა აირჩია ვარძია, შორაპანი და მათ შუა ახლომახლო მდებარე ადგილები. ეს თასმა კიდეც შემოწვდა ამ ადგილებს.

არაგულთა მოტაცება

სოლომონ მეორის დროს კითხიჯში გაწვრთნილი ქურდი ბერიკა ბაბუხადია ცხოვრობდა.

ახალციხის ფაშას ორი არაბული ბედაური ჰყავდა. ბერიკა ამ ცხენების მოსაპარავად წავიდა.

თავლის ახლომახლო ადგილებს ფრთხილად ათვალიერებდა. სწავლობდა, როდის და რა გზით გამოეყვანა ცხენები.

თავლა შემორაგვულ ეზოში იდგა. ეზოს დარაჯობდნენ დიდი ძაღლები, რომლებსაც დღისით აბამდნენ და ღამით უშვებდნენ. ბაბუხადიამ ახლომახლო ადგილი ფრთხილად დაათვალიერა, მცველიც მოისყიდა, ცხენებს რომ გაიტაცებდა, ისიც თან უნდა გაჰყოლოდა სასახლიდან.

ბერიკა თავლაში ყოველდღე შედიოდა. ცხენებს ქერს მისცემდა, თან თავსა და ტანზე ხელს ალერსით გადაავლებდა. ცხენები ბერიკას აღარ უცხოობდნენ.

მეჯინიბის სადგომი თავლის თავზე იყო გამართული.

ერთხელ ქვევიდან ხმაური მოესმა. თავლაში ჩავიდა, მაგრამ ვერავინ ნახა. ბერიკა ქილახორში[1] დამალულიყო.

ერთ დღეს ბერიკამ თხა დაკლა და ხორცი დიდ ლასტზე დააწყო. შუაღამით ლასტი ეზოს მახლობელ ხეზე თოკით დაჰკიდა და ძირს ჩაუშვა. ძაღლები შეხტნენ ლასტზე და ხორცს ჭამა დაუწყეს.

ბერიკამ თოკი ნელ-ნელა მოსწია. ხის წვერზე ძაღლებიანად ატანილი ლასტი თოკით სარზე დაამაგრა. არაბული ცხენები მოიპარა და სოლომონ მეფეს მიართვა. მეფემ ბერიკა ხმლით დააჯილდოვა.

---

[1] ცხენის ბაგა, გოდორივით მოწნული.

მოსწრებული პასუხი

ხარება დილას მეფე ერეკლე და დედოფალი დარეჯანი წირვაზე მიბრძანდებოდნენ ყარაიაზში. თან ამალაში დიდკაცთა ქალები ახლდათ. დედოფალი ქალებით წინ მიბრძანდებოდა. მეფე წამოეწია ახალგაზრდა გლეხს, რომელიც ცოლიანად აგრეთვე წირვაზე მიდიოდა. გლეხიც და მისი ცოლიც თვალტანად ერთიმეორის შესაფერი იყვნენ. ორივემ მეფეს თაყვანი სცა. ერეკლეს მოეწონა გლეხის ლამაზი ცოლი და მიუბრუნდა გლეხს შემდეგი სიტყვებით:

მოვსულვარ ყარაიაზს,
ვაშენებ სარაიას;
ეგ ქალი მე დამითმე,
გაჩუქებ დარაიას!

გლეხი შეჩერდა და მიუგო:

არც მოვსულვარ ყარაიაზს,
არც ვაშენებ სარაიას,
ქალი ქალში გამიცვალე,
რას ვაქნევ შენს დარაიას?!

ერეკლეს მოეწონა გლეხის მოსწრებული პასუხი და წყალობა უბოძა.

თებერვალი და მარტი

ერთ დღეს თებერვალი და მარტი შეიყარნენ ერთად. მოიკითხა ოჯახები ორივემ, ხან იმ მთისა თქვეს, ხან ამ მთისა. ბოლოს გამოემშვიდობნენ ერთმანეთსა და წავიდნენ. მარტმა სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა და წასვლის წინ სთხოვა, უეჭველად სწვეოდა სტუმრად თავისი ცოლ-შვილით.

გავიდა კარგა ხანი. თებერვალს გადაავიწყდა ეს ამბავი. მაგრამ ერთხელაც გზაში კიდევ შეეჩეხა მარტს. მარტმა საყვედურებით დაახრჩო.

— რა იქნება, მეწვიო ცოლ-შვილით სტუმრად, ნუთუ არ გაინტერესებს ჩემი ოჯახის ნახვაო?!

თებერვალი ახლა კი შეეპირდა, რომ უეჭველად ეწვეოდა მარტს სტუმრად.

ერთხელაც გაბრიყვდა თებერვალი. შეაბა ურემი, ჩასხა შიგ ცოლ-შვილი და გაუდგა გზას. გავიდა ერთ ისეთ ტრიალ მინდორზე, რომ არსად ერთი ხეც არა ჩანდა. სულ ქვიშა და ეკლიანი ბარდები იყო.

დაინახა მარტმა, რომ მისი სახლისაკენ თებერვალი მოდიოდა ურმით. გაიცინა ერთი და ისეთი დიდი ქარი ააყენა, რომ ქვეყანა ინგრეოდა. თებერვალი მიხვდა მარტის ოინბაზობას. ბევრი იღონა, ცოლ-შვილი გადაარჩინა და შინ მშვიდობით მიიყვანა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ხურჯინაკიდებული მარტი გზაში შეხვდა და შორიდანვე დაუწყო ძახილი:

— თებერვალო, თებერვალო, საით მიდიხარ, მე შენკენ მოვდივარ ძღვენითაო და სახლში უნდა დამიხვდეო.

თებერვალმა აუჩქარებლივ მიუგო:

— ქარისა არც მოტანილი მინდა და არც წაღებულიო, — და გზა განაგრძო.

არც შენ შეგრჩება, მეფეო

ერთ მეფეს სასახლის წინ ლამაზი ბაღი ჰქონდა გაშენებული. ბაღი სავსე იყო ყველანაირი ხილითა და ყვავილებით. ამ ბაღის მომვლელად მეფემ ერთი გლეხი დააყენა და დაავალა: ჩემს ბაღში ჩემი შიშით არავინ გაიაროს და თუ გაბედა ვინმემ ჩემი ბაღის მყუდროების დარღვევა, მაშინ მოდი ჩემთან და მითხარიო.

მებაღემ დაიწყო ბაღის მოვლა-გალამაზება და მეფის ბრძანებასაც ასრულებდა: არავის უშვებდა ბაღში მეფის უნებართვოდ.

ერთხელ მებაღე მოვიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფეო, თქვენს საყვარელ ვარდზე ბულბულს ბუდე გაუკეთებია და ბარტყებსაცა ზრდისო, რას მიბრძანებ, დავუშალო ბულბულს ბუდე თუ გავუშვაო?

— გაუშვი, ხელს ნუ ახლებ, მაგრამ იცოდე, რომ არ შერჩება მაგ ბულბულს ჩემს ვარდზე ბუდის გაკეთებაო, — უთხრა მეფემ.

გავიდა რამდენიმე ხანი, მებაღე ერთ დღეს ბაღში დასეირნობდა და თან ხეხილებს ათვალიერებდა. ამ დროს ვარდის ბუჩქს წაადგა

და მოინდომა ბულბულის ბარტყების ნახვა: მოდი, ვნახავ, დასაფრენები არიან უკვე თუ არაო.

გადასწია ბუჩქი და რას ხედავს: დახვევია ბუდეს გარშემო გველი და ის ბარტყები სულ მთლად დაუჭამია. წავიდა მეფესთან მებაღე და უთხრა:

— მეფეო, თქვენს ვარდზე რომ ბულბულმა ბუდე გააკეთა, ბარტყები გველმა შეუჭამაო.

მეფეს გაეცინა და უპასუხა მებაღეს:

— აკი გითხარი, ბულბულს არ შერჩება-მეთქი ჩემს ვარდზე ბუდის გაკეთება. მაგრამ არც იმ გველს შერჩება ბულბულის ბარტყების შეჭმაო.

გავიდა ამ ამბის შემდეგ კარგა ხანი. მებაღე ერთ დღეს ნამგლით ბალახს თიბავდა და ასუფთავებდა. უცებ ბალახებში მწოლიარე გველი ნამგლით შუაზე გადაჭრა. მებაღე გაიქცა მეფესთან და შოახსენა:

— მეფეო, თქვენს ბაღში ბალახს ვთიბავდი და ის გველი, ბარტყები რომ დაუჭამა ბულბულს, შუაზე გადავჭერიო.

მეფეს გაეცინა და უთხრა:

— ხომ გითხარი, რომ არ შერჩებოდა გველს ბულბულის ბარტყების შეჭმა, მაგრამ არც შენ შეგრჩება გველის მოკვლაო.

გავიდა დრო, მებაღე ძველებურად ბაღს უვლიდა და ასუფთავებდა.

ერთ დღეს შემოესმა ქალების სიცილ-კისკისი. მებაღე იქით წავიდა, საითაც ხმაური იყო. აუზში მეფის ქალები ბანაობდნენ. მებაღე დადგა და ქურდულად ცქერა დაუწყო; ეს შენიშნეს მეფის ქალებმა და მამასთან იჩივლეს, რომ მებაღე მობანავეებს ზედ წამოგვადგა და ქურდულად გვიცქეროდაო.

განრისხდა მეფე და ბრძანა მებაღის დაჭერა. ვეზირებს კი უბრძანა, მიბაღე გაეყვანათ მოედანზე და ჩამოეხრჩოთ. თვითონაც მოედანზე გავიდა. მებაღემ რომ დაინახა, საქმე ცუდად არისო, დაიწყო მუდარა, ერთი სიტყვის თქმის უფლება მომეცით და მერე ჩამომახრჩვეთო. მეფე მოლბა და მისცა უფლება. მაშინ მებაღემ თქვა:

— გახსოვთ, მეფეო, ვარდზე ბულბულმა რომ ბუდე გაიკეთა, თქვენ ბრძანეთ: არ შერჩება ჩემს ვარდზე ბუდის გაკეთებაო. ისიც ხომ გახსოვთ, როგორ შეუჭამა გველმა ბარტყები ბულბულს და არ შერჩა ბულბულს ვარდზე ბუდის გაკეთება. ისიც ბრძანეთ, არ შერჩება გველს ბულბულის ბარტყების შეჭმაო, აკი არც შერჩა! თიბვის

დროს ნამგალში მომყვა და შეაზე გავეკერ. როგორც გველს არ შერჩა ბარტყების შეჭმა, ისე არც მე შემრჩა გველის მოკვლა, თქვენი ბრძანებით მახრჩობენ, მაგრამ, მეფეო, არც თქვენ შეგრჩებათ ჩემი ჩამოხრჩობაო.

მეფეს გაეცინა და აპატია მებაღეს დანაშაული.

გურგენ მეფე

ქუთაისში ცხოვრობდა სახელგანთქმული მეფე გურგენი. გამოცდილი ჯარი ჰყავდა. გურგენი ამ ჯარით თავსაც იცავდა და სხვა მეფეებსაც ეხმარებოდა.

ერთხელ თათრები გურია-სამეგრელოს თავს დაესხნენ. ეს ამბავი აცნობეს გურგენს. გურგენი ქებული ჯარით გაემართა საბრძოლველად.

მეფემ თავისი ადგილი და უფლება საიმედო ვეზირს დაუტოვა.

დაიწყო ომი. გურგენი განსაცდელში ჩავარდა. მის გადარჩენას არავინ ფიქრობდა.

გურგენის ვეზირმა ეს რომ გაიგო, მეფობა მოინდომა. ამასთან ერთად მას სურდა გურგენის ცოლიც ხელთ ეჭდო.

— გურგენმა სამშობლოს უღალატა, ხონთქარს ჩაესიძაო, — არწმუნებდა დედოფალს. ქალმა ვეზირს არ დაუჯერა და ცოლობაზე უარი უთხრა.

მალე ამბავი მოვიდა: გურგენი ცოცხალიაო.

ვეზირი საგონებელში ჩავარდა: მეფე დაბრუნდება, ჩემს ნათქვამს დედოფალი გაუმხელს და დავიღუპებიო.

ვეზირმა ქალის მოშორება განიზრახა. მისწერა წიგნი მეფეს: შენმა მეუღლემ სასახლე წაბილწა, შენს აქ არ ყოფნაში ძალიან ცუდად იქცეოდაო.

გურგენს ძლიერ უყვარდა ვეზირი. წიგნში რაც ეწერა, დაიჯერა და პასუხი მაშინვე შეუთვალა: ისეთ ადგილას ჩაკალით, რომ მისი სხეული ნადირმა შეჭამოსო.

წიგნმა გაახარა ვეზირი. კარისკაცები აარჩია და ანიშნა მთა ხვამლი, რომელიც ქუთაისიდან კარგად მოჩანს: ეს ქალი იმ მაღალი კლდის თავზე აიყვანეთ და იქ მოკალითო. მერე ხეზე ჩამოკიდეთ, რომ ფრინველებმა წიწკნონო.

ხვამლზე რომ ავიდნენ, დედოფალი შეეხვეწა კარისკაცებს, ნუ

მომკლავთ, ჩემს ცოდვაში ნუ ჩავარდებით, აქ დავრჩები, მაინც მხეცები შემჭამენო.

კარისკაცებს შეეცოდათ ქალი და ცოცხალი დატოვეს.

ქალმა ერთ ადგილს გამოქვაბული იპოვა და შიგ დაბინავდა.

გამოქვაბულში მეწკელი ირემი დადიოდა. ირემი ისე შეეჩვია დედოფალს, რომ ჯიქახს აწვდიდა. ქალი და ირემი ერთად ცხოვრობდნენ. დედოფალი ორსული იყო ქმრისაგან და ქვაბულში ვაჟი შეეძინა. დედა ბავშვს აწოვებდა ძუძუს, ირემი — დედას.

გურგენმა გაიმარჯვა. სამშობლოში დაბრუნდა. ვეზირი სასახლეში აღარ დაუხვდა. ეშინოდა, შეიძლება გაიგო გურგენმა ჩემი ნამოქმედარიო და გაიპარა.

გურგენმა მოსვლისთანავე ყველაფერი შეიტყო და დიდ ჯავრში ჩავარდა. აღარც აღარსად დადიოდა, აღარც მხიარულობდა.

ერთხელ გურგენთან მოვიდნენ სტუმრები, რომლებსაც მეფის გართობა უნდოდათ. გურგენი ხვამლზე სანადიროდ წაიყვანეს.

მეფემ დაინახა ირემი და აედევნა. ირემმა ის გამოქვაბულამდე მიიყვანა.

გურგენმა ბავშვს შეხედა და განცვიფრდა. ცოლმა შეჰკივლა და ქმარს გადაეხვია.

გურგენ მეფემ ხვამლზე ეკლესია ააგო.

უცეცხლოდ ადუღებული ქოთანი

თათარი რომ შემოესია კახეთს და დიდი ბრძოლა შეიქნა, აიყარა მოსახლეობა. ისე გარბოდნენ, რომ ფეხმძიმე ქალებმა გზაში იმშობიარეს. მტერმა აიკლო სოფლები.

ერთ სოფელში ღრმად მოხუცებული ქალი დარჩა, გაქცევა არ შეეძლო. მტერი მიადგა მის ეზოსაც. ერთმა გაქცეულმა გზიდან დაუყვირა: არიქა თავს უშველე, მტრის ჯარი მოდისო.

დაელდებულმა მოხუცმა ცეცხლის პირას ადუღებულ ქოთანს დაავლო ხელი და სცადა გაქცევა. კარზე რომ მივიდა, მტერი უკვე ეზოში შემოსულიყო. შეშინებულმა მოხუცმა ადუღებული ქოთანი იქვე, კარებში დადგა და თვითონ ტახტქვეშ შეძვრა. თათრები მივიდნენ, დაინახეს, უცეცხლოდ დუღს ქოთანი. შეშინდნენ, სახლ-

ში რაღა შეიყვანდათ. თქვეს: აქ ეგრე უცეცხლოდ დუღს ქოთანი და ჩვენ რომ შიგ შევიდეთ, რაღა დაგვემართებაო. გამობრუნდნენ უკან და გაიქცნენ.

ასე გადარჩა ის სოფელი განადგურებას.

გაქვავებული ქალაქი

ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო. აღარ დარჩა არც ქალაქი და არც სახელმწიფო, რომ ალექსანდრეს ხმალს არ შეენგრია იმისი კედლები. მაკედონელის თვალი და გული მაინც ვერ გაძღა. იმას უნდოდა, რომ სულ ახალ-ახალი სახელმწიფოები დაეპყრო. დიდხანს არ შეეძლო უომრად ყოფნა.

მაკედონელს ვეზირად ერთი ბრძენი ჰყავდა. ერთხელ დაუძახა ამ ბრძენს და უთხრა:

— ომი მინდა, ხომ არ იცი ან ქალაქი ან სახელმწიფო, რომ ჩვენ ხარკს არ გვაძლევდესო?

ბრძენმა მოახსენა:

— ეგ რომ სამი წლის წინ გეკითხა, გასწავლიდი ერთ მდიდარ ქალაქს. ახლა კი ის ქალაქი გაქვავებულია. იმ ქალაქს სპილენძისას ეძახიან, რადგანაც გალავანი, სახლები, ციხეები სულ სპილენძისა აქვს. შვიდ წელს იქ ცა იყო შეკრული, არც წვიმა მოსულა, არც ბალახი ამოსულა, შვილებს აღარა შობდნენ დედაკაცები, არც ნადირი და საქონელი, ქათამიც კი კვერცხს აღარა დებდა, ხეები აღარა ჰყვაოდნენ და ნაყოფი არ გამოჰქონდათ. ხალხიც გაქვავებული არის. გაქვავებულია იმათი ხელმწიფეც. სახლები ოხრად არის დარჩენილი, ოქრო და ვერცხლი უთვალავია, მაგრამ ისეთ ადგილას არის, რომ იქ ცოცხალი კაცი ვერ მივა... ერთი მხრით მიუვალი ზღვა აქვს და მეორე მხრიდან ისეთი მაღალი მთა, რომ იმის თოვლიან წვეროზე ფრინველებიც კი ვერ აფრინდებიან. მაგრამ თუ გაიხვრიტა ის მთა, მაშინ კი შეიძლება იმ ქალაქში შესვლაო.

მაკედონელმა მაშინვე უბრძანა ჯარებს, მომზადებულიყვნენ და მალე გაუდგნენ სპილენძის ქალაქის გზას. ალექსანდრეს ჯარი ცხრა წელიწადს იდგა იმ მთასთან და ხვრეტდა. მეცხრე წელს გახვრიტეს და გავიდნენ სპილენძის ქალაქში. ალექსანდრეს ბრძენიც ახლდა და მუდამ არიგებდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ჯარი მი-

ადგა ქალაქის კედლებს, მაგრამ არსაიდან არ შეიძლებოდა შესვლა.

ქალაქის კარზე სპილენძის შეკაზმული ცხენი იდგა. ალექსანდრე მივიდა იმ ცხენთან და დაუწყო ფაფარზე ხელის სმა: ნეტავი ცოცხალი იყო, რომ შეგჯდომოდიო.

როდესაც ალექსანდრე ამას ამბობდა, ბრძენი იდგა იმის გვერდზე და კარის თავზე ქვას კითხულობდა. ქვაზე ეწერა: ცხენს მარჯვნივ შემოაბრუნებ, კარი გაიღება, მარცხნივ — დაიკეტებაო.

ბრძენმა ეს მაშინვე მოახსენა ალექსანდრეს. შემოატრიალეს ცხენი მარჯვნივ და გაიღო კარი ქალაქისა. შევიდა ჯარი გაოხრებულ ქალაქში და დაიფანტნენ სახლებში ოქროსა და ვერცხლის საშოვნელად. აუარებელი ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტი იშოვა ჯარმა. გაავსეს ურმები, დატვირთეს აქლემები და ჯორები სიმდიდრით. ჯარი სპილენძსა და უბრალო ფარჩას ხომ აღარ კადრულობდა, მარტო ოქროსა და ვერცხლს ხვეტდა.

ალექსანდრეს თვალი მაინც ვერ გაძღა. ბრძენს უთხრა: იქ წავიდეთ, სადაც ხელმწიფის სასახლეაო.

წავიდნენ. გზაზე ხალხი სულ გაქვავებული ხვდებოდათ: მჭედლებს ჩაქუჩები ეჭირათ და ისე გაქვავებულიყვნენ, მგზავრები ცხენებზე ისხდნენ, წყლის მზიდავებს ზურგზე კოკები ეკიდათ და ისე იყვნენ გაქვავებულები. ბოლოს შევიდნენ ხელმწიფის სასახლეში. მეფე და დედოფალი ტახტზე ისხდნენ. მეფეს პირში ყალიონი ეჭირა. იმის უკან ერთი კაცი იდგა, ხელში კომბალი ეჭირა, დედოფალს ხელში წიგნი ეჭირა და იმას კითხულობდა, ისიც გაქვავებულიყო.

გაძარცვეს მთელი სასახლე და გაიტანეს, რაც რამ იყო.

ალექსანდრე გამოვიდა და ბრძენს უთხრა:

— მართალია, ამდენი სიმდიდრე მიგვაქვს, მაგრამ იმ გვირგვინების ფასი არაფერია, ისინიც უნდა წავიღოთო.

— არ გინდა, მეფეო, — უთხრა ბრძენმა, — გვირგვინი შენიც გეყოფაო.

— უნდა შევიდეო, — მაინც არ დაიჯერა ალექსანდრემ.

— მაშ ჯერ წავიკითხოთ, რა წერია იმ წიგნში და მერე ისე შოვიქცეთო, — უთხრა ბრძენმა.

წიგნში ეწერა: ვინც ჩვენს ქალაქში მოხვალთ და ნახავთ ჩვენს სიმდიდრეს, წაიღეთ ყველაფერი, ნურაფერს ნუ გასწირავთ, მაგრამ ამ გვირგვინებს კი ნუ მოგვხდით, დადგმულია ღვთისაგან და კაცმა როგორ უნდა მოგვხადოს და თუ არ დაიშლის და შეგვეხება ვინმე, ინანებსო.

ალექსანდრემ თავი დაანება და გამოვიდა. მაგრამ ისევ შებრუნ-

და: ცოცხლები რას მიშვრებიან, მკვდრებმა რა უნდა მიყონო. მოვ-ხდი გვირგვინებს, ერთს მე დავიდგამ და ერთს ჩემი ცოლიო.

შევიდა. ჯერ მეფისათვის უნდა მოეხადა, მაგრამ იმ დროს, რო-დესაც მიეწოდა ხელმწიფეს გვირგვინის მოსახდელად, იმის უკან კომბლიანი კაცი გამოცოცხლდა, მოუქნია კომბალი ალექსანდრეს, თავში სდრუზა და ისევ ქვის კაცად იქცა. გასისხლიანებული ალექ-სანდრე ძლივს მოასულიერეს კარისკაცებმა.

ბრძენმა უთხრა:

— აკი გითხარი, არ გინდა, თავი დავანებოთ-მეთქი, კიდევ კარ-გი, რომ დედოფლის გვირგვინს არ შეეხე პირველად, თორემ ის ქვის კაცი ხმალს მოგიქნევდა და თავს მოგჭრიდაო.

სიბრაზისაგან კბილები დაკრიჭა ალექსანდრემ, მაგრამ ქვას რას უზამდა? დაანება იმ ქალაქს თავი და დიდი ნადავლით დაბრუნდა თავის სახელმწიფოში.

მეკურე და გლახა

ალექსანდრეს არაფერი გადარჩა უხარკოდ, ერთი ზღვალა იყო, რომელიც ხარკს არ აძლევდა. იფიქრა: მოდი ერთი, ზღვასაც გავაც-ნობ ჩემს სახელს და გამოვართმევ ხარკსაო.

შეკრიბა ჯარი: უბრძანა თივისა და ნავთის მოტანა, გადააყრევი-ნა ზღვაში, გადაასხმევინა ნავთი და მისცა ცეცხლი.

ცეცხლი მალე მოედო ნავთს და, ბოლოს, შეიკრა ზღვის ზედა-პირზე. ცხოველები შეწუხდნენ. აღრე სამჯერ მაინც დაინახავდნენ ცას, ამოფრინდებოდნენ ხოლმე წყლიდან. ახლა კი ცეცხლისა და ბოლის შიშით ვეღარავინ ბედავდა ამოფრენას. ბოლოს, რომ შე-წუხდა და შეწუხდა ზღვის სამეფო, გამოუგზავნეს ალექსანდრეს ერთი პატარა კაცი სათხოვნელად: რაც უნდა გამოგვართვას, ოღონდ თავი კი დაგვანებოსო.

მიცურდა კაცი ზღვის ნაპირას, სადაც ალექსანდრე იყო, და უთხრა:

— რა გინდა ჩვენგან, რას გიჭამთ, ნახნავს არ გიფუჭებთ და ნათესს, თივა არ გვინდა თქვენი და პური. რატომ არ დაგვეხსნები და არ დაგვანებებ თავსა, რა გინდა ჩვენგან, რა მოგცეთო?

ალექსანდრემ უთხრა:

— მე იმის მეტი არაფერი მინდა, რომ ჩემს შემდეგ მეფეებმა თქვან, მაკედონელმა ზღვასაც კი ხარკი გამოართვაო.

კაცმა გამოუტანა სამი მარცვალი, მისცა და უთხრა:

— აჰა, წაიღე და ერთ მარცვალს რომ შეჭამ, ოთხმოცი წლისა რომ იყო, ოცი წლისა გახდები, მეორეს რომ შეჭამ, მეცნიერი იქნები და მესამეს რომ შეჭამ, რომ გაიარო, ყველა ბალახი დაგიძახებს, რის წამალიც არისო.

გახარებულმა ალექსანდრემ მაშინვე შეგზავნა მცურავები და დაალეკვინა თივა ზღვას.

წამოიღო ალექსანდრემ ის სამი მარცვალი, მიუტანა მეპურეს, გააკეთებინა სამი გუნდა, ჩაატანებინა შიგ და უთხრა:

— ეს პურები რომ გამოცხვება, მომიტანე, წვეულება რომ მექნება, წინ დამიწყეო.

ალექსანდრეს უნდოდა თავისი ხალხის წინ გამხდარიყო ახალგაზრდაც და ბრძენიც.

დააკრა თუ არა მეპურემ გაკეთებული გუნდები, მაშინვე ნაცარში ჩაცვივდა, წყალივით წვეთწვეთად ჩაიკრიფა ცეცხლში. შეშინდა მეპურე, რომ ასე გაუფუჭდა ალექსანდრეს პურები, მაგრამ იფიქრა, განა სხვას კი ვერ გავაკეთებო.

გააკეთა მართლაც სამი სხვა გუნდა, გამოაცხო მშვენივრად და შიართვა ალექსანდრეს. შეჭამა ერთი პური ალექსანდრემ, არაფერი არ მოუვიდა. შეჭამა მეორე, მესამე, მაგრამ ისევ ის ალექსანდრე იყო.

ამ დღეს ქალაქში ერთი გლახა იყო, მოხუცებული, კუტი. ყოველთვის ვირზე იჯდა და ისე დადიოდა სოფლიდან სოფელში. ჩაუარა ხელმწიფის მეპურეს და პური სთხოვა. მეპურე გაუჯავრდა:

— რა შენი დრო მაქვს. ხელმწიფის პურები გამიფუჭდა, წადი, გამეცალეო.

გლახამ უთხრა:

— ე კუტების ნამცეცები მაინც მომეცი, შენ რად გინდა, მე წყალში დავალბობ და ვჭამო.

მეპურეს გაუხარდა კიდეც, რომ მოიშორებდა ამ ნამტვრევებს, აკრიფა ალექსანდრეს პურის ნატეხები და ჩაუყარა პარკში.

წავიდა გლახა შინ. ჩაალბო ეს პურები და როდესაც დალბა, ამოიღო, დაუწყო ჭამა, შეჭამა ერთი ნატეხი და თეთრი გრძელი წვერის მაგიერ ამოუბუსუსდა შავი წვერ-ულვაში, გაიმართა წელშიც და ფეხებშიაც. შეჭამა მეორე და შეიქმნა მეცნიერი, შეჭამა

მესამეც და სადაც გაივლიდა, ბალახები უყვიროდნენ, მე ასეთი ვარ და მე ასეთიო. დაიწყო თავისთვის ტკბილად ცხოვრება.

ალექსანდრე წავიდა მეპურესთან და ჰკითხა:

— შენს სულზე თქვი, ის პურები მომიტანე, რომლებშიც მარცვლები იყო თუ არაო?

მეპურემ უთხრა ყველაფერი, როგორც იყო. მაშინ ალექსანდრემ გაგზავნა კაცები იმ გლახის საძებნელად, მაგრამ არსად იყო. მეორე დღეს ალექსანდრემ წაიყვანა მეპურე და აჩვენა გლახები:

— აბა, იცანი, აქ არის თუ არაო.

მეპურემ დაათვალიერა გლახები, მაგრამ ვერსად ნახა ის გლახა. ბოლოს ალექსანდრემ ჰკითხა:

— ყველანი აქა ხართ თუ არაო?

გლახებმა უთხრეს:

— მაშ, მეფევ, არ შეგიტყვია გუშინ რა ამბავი მოხდაო?

— რაო? — ჰკითხა მაკედონელმა.

გლახებმა უთხრეს:

— წუხელ თქვენს მეპურეს კუტები მიუცია ერთი მოხუცი გლახისათვის, უჭამია თუ არა პურები, ახალგაზრდა ბრძენი და ექიმი გამხდარა. ახლა აღარ გლახაობს და ტკბილად ცხოვრობსო.

ალექსანდრემ ბრძანა:

— წადით, შესვით ის იმავე ვირზე, ჩააცვით ისევ ის ტანისამოსი და მოიყვანეთ ჩემთანო.

წავიდნენ, შესვეს ვირზე და მოიყვანეს ალექსანდრესთან. ალექსანდრემ ჰკითხა მეპურეს:

— ეს იყო თუ არაო:

მეპურემ უთხრა:

— რა ვქნა, ბატონო, ვირი ის არის, ტანისამოსი ის აცვია, მაგრამ ეს ახალგაზრდა არის და ის კი ბებერი იყოო.

მერე ალექსანდრემ თვითონ გლახას ჰკითხა. გლახამ ყველაფერი უამბო.

ალექსანდრემ ის გლახა თავის ექიმად დატოვა. ერთხელ მკლავი გაასინჯა და ჰკითხა:

— რამდენ ხანს ვიცოცხლებო?

ექიმმა უთხრა:

— სანამ ცა სპილენძად არ იქცევა და დედამიწა რკინად, მანამდე იცოცხლებო.

კარისკაცებს არ უყვარდათ ალექსანდრე, რადგანაც სასტიკი კაცი იყო და მოწამლეს. საწამლავმა დაასუსტა მაკედონელი და კვდებოდა. დაუძახა ექიმს.

ექიმმა უთხრა:

— ერთი დღის სიცოცხლე გაქვს, მაგრამ სამ დღეს კიდევ გაცოცხლებ ჩემი წამლებითო.

ალექსანდრემ უთხრა:

— აკი იმას მეუბნებოდი, მანამ იცოცხლებ, ვიდრე ცა სპილენძად იქცევა და დედამიწა რკინადაო?

— დაიცადე, — უთხრა ექიმმა, — მაგას სიკვდილის წინ ნახავო.

სამი დღე კიდევ იცოცხლა ალექსანდრემ. მესამე დღეს კი მთავარი ძალა დაკარგა და კარისკაცებს უთხრა, ჩამიყვანეთ უკანასკნელად ჩემს ბაღშიო.

ჩაიყვანეს ალექსანდრე ბაღში. გაისეირნ-გამოისეირნა და ბრძანა:

— წამიყვანეთ ჩემს საჩრდილობელშიო.

იმის საჩრდილობელს სპილენძი ეხურა და ძირს რკინა ეგო. დააწვინეს ლოგინზე ალექსანდრე. ალექსანდრემ დაინახა სპილენძი.

— ოჰ, ცა სპილენძად ქცეულა, — დაიძახა ალექსანდრემ, — ჩამიყვანეთ, ჩამიყვანეთო!

ჩამოიყვანეს რკინის იატაკზე.

— ოჰ, მიწაც რკინად გადაქცეულაო! — დაიყვირა ალექსანდრემ. და ამოუვიდა სული.

ექიმი კი იმის მაგივრად გამეფდა.

ალექსანდრე მაკედონელის ამგავი

იყო ერთი ხელმწიფე, სახელად ალექსანდრე მაკედონელი. მთელი ქვეყნების მეფე იყო, დასავლეთი და აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი, ყველა მას ემორჩილებოდა, მაგრამ მისი გული მაინც არ გაძღა. ალექსანდრე მაკედონელი იყო სწორედ ის, ცაზე კიბის აყუდება რომ მოინდომა.

ერთხელ შეუჩნდა რაღაც ეშმაკი და დაიჩემა: მიწა უნდა მოვთბარო და ქვესკნელის ქვეყნებიც დავიპყროო.

ამას, რასაკვირველია, ძველი ხალხი, მოხუცებულები არ დაუ-

ჯერებდნენ, ამიტომ ბრძანა: ახალგაზრდებმა მამებს დაჭრან თავები და თვითონ სამუშაოზე გამოცხადდნენო.

ალექსანდრე მაკედონელმა მიუსია თავისი ჯარი და ქვეყანაზე რაც მოხუცებულები იყვნენ, ყველა გაწყვიტა. ახალგაზრდებს მეფესთან უნდა დაეფიცათ: მამაჩემი მიწის ზევით არ დამიტოვებიაო, თორემ მათაც მოჭრიდნენ თავს.

ერთმა მოხუცმა კაცმა შვილს უთხრა: ჩემი სიმაღლე მიწა მოთხარე, ჩამაგდე შიგ და ხელმწიფეს დაუფიცე, მამაჩემი მიწის ზევით არ დამიტოვებიაო. იმ სულელ მეფეს ვირი უფრო ჭკვიანი ჰყავს, ვიდრე თვითონ არისო.

მოხუცმა დაარიგა შვილი: ვირით საჭმელი წაიღე. მიწის თხრა რომ დაიწყოთ, ვირი ახლოს გყავდეს დაბმული. მოთხრილი მიწიდან სიმყრალე ამოვა. ვირს სიმყრალე შეაწუხებს და გაიქცევა. შენ წაატანე თოკზე ხელი და ამოგიყვანს. თუ ხელი მოგატანოს, შენი სულელი მეფეც ამოიყვანეო.

ბიჭი მართლაც ასე მოიქცა: ვირი ახლოს დაიბა, კუდში ბაწარი ჩააბა და წელზე შემოიკრა. დაიწყეს მიწის თხრა. ხალხი ქვესკნელში ჩავიდა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ალექსანდრე მაკედონელიც იქ იყო და ხალხის მუშაობას თვალს ადევნებდა. ბევრი თხარეს, ამოვიდა საშინელი მყრალი სუნი, მოისმა მიწის ხრიალიც. თურმე, ამონათხარი მიწა შვავდებოდა. ვირს შეეშინდა და გამოიქცა. ვირი რომ გამოიქცა, ბიჭიც ამოიტანა ზემოთ. საქმე ისე მოხდა, რომ ალექსანდრე მაკედონელიც გადარჩა: ამ ბიჭმა ზევით-ზევით ამოწევა რომ დაიწყო, მეფემ დაინახა, ხელი მოჰკიდა და ისიც ზევით ამოვიდა. ასე რომ, ორივე გადაარჩინა ვირმა. დანარჩენი ახალგაზრდობა იქ დაიღუპა. გადარჩნენ მხოლოდ ეს მამა-შვილი და ხელმწიფე. ალექსანდრე მაკედონელმა ჰკითხა ამ ბიჭს:

— ვირს რატომ ჩამოეკიდეო?

— იმიტომ, რომ მამაჩემმა მასწავლაო! — უპასუხა მან.

— მამაშენი ასეთი ჭკვიანი თუ იყო, თავი რატომ მოსჭერიო?

— არ მომიჭრია თავი, ცოცხალიაო.

— აბა, ახლავე მომიყვანეო! — უბრძანა ხელმწიფემ.

ბიჭმა მაშინვე მოიყვანა მოხუცი მამა.

— ასეთი სიკეთისათვის რა გაჩუქო, — უთხრა ალექსანდრე მაკედონელმა ბერიკაცს, — ნახევარ სახელმწიფოს მოგცემ, წაიღე, ღმერთმა მოგახმაროსო.

ბერიკაცი გაჯავრდა:

— სადღა გაქვს შენ სახელმწიფო! შენც ისე გაქვს მაგაში წილი,

როგორც მე, თუ მკვდრების წილხვდომილს მაძლევ, მე არ მინდა. სანამდე ხალხი ცოცხალი იყო, მაშინ რად არ მომეცით?!

— ფულს გაჩუქებო! — უთხრა ბოლოს ალექსანდრე მაკედონელმა.

ბერიკაცმა ფული არ მიიღო და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მივიდა მეფესთან, ჯიბიდან კაცის გამხმარი გული ამოიღო, მიწაზე დადო და უთხრა:

— ბევრს არაფერს გთხოვ, ეს რომ დაფაროს, იმდენი ფული მომეცით.

მეფემ მოიტანა ერთი მუჭა ფული, დააყარა ზედ, მაგრამ გამხმარი გული ბურთივით ზევით ამოხტა. კიდევ მოიტანა თეთრი ფული, ოქროული, ხაზინა სულ გასცალა, მაგრამ ეს გამხმარი გული ყველას მაღლა დააჯდა, ვერაფერმა ვერ დაფარა. მეფე განცვიფრდა და ბერიკაცს ჰკითხა:

— რა არის ასეთი, დაფარვა რომ არ მოხერხდაო?

ბერიკაცმა გაიცინა და უთხრა:

— კაცის გულია. ხომ ხედავ, მკვდარი კაცის გულს რომ არაფერი აკმაყოფილებს, ცოცხალს რა გააძღებსო! შენ რომ მთელი ქვეყანა გქონდა და ყველაფერი შენი იყო, ქვესკნელში რალა გინდოდა? ამ გულს, შენ არ იფიქრო, ბევრი რამე უნდოდეს, ერთი პეშვი მიწა დაფარავსო.

და მართლაც, ბერიკაცმა გამხმარ გულს დააყარა ერთი პეშვი მიწა და ხელად დაფარა.

ღვინო დალიე, ლომი დასძლიე

ერთ ქვეყანაში იყო ერთი ხელმწიფე.

ერთ დღეს ეს ხელმწიფე მიდის ქალაქგარეთ. ნახა რომ, ერთი მთვრალი კაცი გდია წუმპეში და ყვავები თვალებს უძიძგნიან. ძლიერ გაჯავრდა ხელმწიფე და ბრძანა: ღვინისაგან კაცი ასე რად უნდა გახდესო! ამას იქით ღვინო აღარავინ დალიოს; და თუ გავიგე, ან თუ ნახა ვინმემ მთვრალი კაცი, თავს მოვაკვეთინებო!

ისე სასტიკი იყო ხელმწიფის ბრძანება, რომ ყველა ასრულებდა. თურმე იმ ქალაქში ერთ კაცს ერთი მამაცი ვაჟიშვილი ჰყოლია. ამ ხელმწიფის ბრძანება რომ გამოვიდა, ამათ მარანში ორი ქვევრი ღვინო ჰქონიათ დარჩენილი. დანანდათ გადაღვრა და შეი-

ნახეს. ეს ვაჟი ჩუმ-ჩუმად დადის თურმე მარანში, ერთ ყანწ ღვინოს დალევს და ამოდის.

ამ ხანებში ხელმწიფე თურმე ერთ თავის ლომს გამოაშვებინებს ღამღამობით ქუჩაში სასიარულოდ იმ განზრახვით, რომ არავინ დარჩეს ღამე საქეიფოდ, ჩუმად გასაყიდი ღვინო არსად ჰქონდეთო, არავინ დათვრესო.

ერთხელ ეს ვაჟი, მარანში ღვინით შექეიფიანებული, გავიდა ქუჩაში და ეს ლომი შემოხვდა. დაეტაკა ვაჟი ლომს, პირი გაუხია, ძირს დააგდო და წავიდა.

მეორე დღეს ამბავი მიუტანეს ხელმწიფეს: თქვენი ლომისთვის პირი გაუხლეჩიათო.

ბრძანება გასცა ხელმწიფემ: თუ ამ საქმის ჩამდენი გაიგონდება, დიდად დავასაჩუქრებო.

გამოცხადდა ეს ვაჟი ხელმწიფესთან. ხელმწიფემ ჰკითხა:

— მართლა შენ გაუხიე ჩემს ლომს პირიო?

— დიახ, მე გავუხიეო!

— როგორ მოგიხდაო? მაშ, ერთ ლომს კიდევ მოვაყვანინებ და ჩემს თვალწინ იმასაც შეებრძოლეო.

ვაჟმა უთხრა:

— კარგი, მხოლოდ გთხოვთ, რომ ერთი ნახევარი საათი ნება მომცეთ შინ წავიდე და ახლავე დავბრუნდებიო.

წავიდა ეს ვაჟი, იმ ღვინისა ერთი ყანწი გადაჰკრა, სისხლი აუდუღდა, მივიდა ხელმწიფესთან, ერთბაშად მივარდა ლომს და პირი გაუხია.

ხელმწიფეს გაუკვირდა ამ ვაჟის საქციელი და უთხრა:

— შენი გმირობა ვნახე, მხოლოდ ერთი ესეც მითხარი, შინ რისთვის წახვედიო?

ვაჟმა უთხრა:

— თუ პირობას მომცემთ, რომ ჩემს თავს არ მოაკვლევინებთ, გეტყვითო.

ხელმწიფემ პირობა მისცა.

ვაჟმა უთხრა:

— მე როგორ შემეძლო ლომის პირის გაჯევა, შინ რომ ძველი ღვინო არა გვქონოდაო. ის ღონე და ძალა ღვინომ მომცაო.

ამის შემდეგ ხელმწიფემ ბრძანება გასცა, ხალხმა კვლავ დაიწყოს ღვინის სმა, მხოლოდ იმ ზომამდე კი არა, რომ ყვავებმა თვალები დათხარონ, არამედ ლომებს შეებან და აჯობონო.

მას შემდეგ ამბობენ: ღვინო დალიე, ლომი დასძლიეო.

მედავითნე და ყვავი

ერთ ქალაქში ერთი ისეთი ეკლესია ააშენეს, რომ მისი ბადალი მთელს ქალაქში არ მოიპოვებოდა. გუმბათზე ოქროს ჯვარი დაადგეს. მზე რომ უყურებდა, ცეცხლივით კაშკაშებდა!

ერთხელ ამ ეკლესიას ერთი ყვავი შემოეჩვია. დილიდან საღამომდის იმ ოქროს ჯვარზე იჯდა. ისე გაუბედურა ყვავმა ეს ოქროს ჯვარი, რომ ხისა ეგონებოდა კაცს. ეს შეამჩნიეს ამ ეკლესიის მსახურებმა და საგონებელში ჩავარდნენ. როგორ არ სცადეს, დაეფრთხოთ ეს ფრინველი, მაგრამ საქმეში ხარ? დაიგულებდა თუ არა, მდევნელი აღარავინ იყო, ისევ მიფრინდებოდადა დაასკუპდებოდა თავის საყვარელ ჯვარს.

ბევრი იწვალეს, მაგრამ ვერა უყვეს რა. ერთხელ ამ ეკლესიის მღვდელმა დაუძახა მედავითნეს, დაანახა ჯვარზე შემჯდარი ყვავი და უთხრა:

— ან შენ უნდა იყო ამ ეკლესიაში, ან ეგ ყვავი. მაგ ჯვარზეარჩევანი შენზეა, რომელიც გერჩივნოს, ის ამოირჩიეო.

დაღონდა მედავითნე. რაღას იზამდა? წავიდა შინ. იფიქრა, ბევრი იფიქრა, რა ეღონა, ბოლოს მოიფიქრა. აიღო ერთი ნაჭერი დამარილებული მჭლე ღორის ხორცი, ერთი ჯამი ღვინო და წავიდა ეკლესიაში. ავიდა გუმბათზე, დაჰკიდა დამარილებული ხორცის ნაჭერი ჯვარზე და ღვინოც ჯამით ჯვრის ძირში დასდო.

სად იყო და სად არა, მოფრინდა ყვავი და დაჯდა ჯვარზე. ხორცს ჯერ უნდობლად უყურებდა, მერე ვეღარ მოითმინა და ერთი ნისკარტი ჩაჰკრა, გემო მოუსინჯა. ეგემრიელა. მეორე, მესამე და დაუწყო უკვე გულდამშვიდებით ჭამა. მედავითნე კი ჩუმად უყურებდა ამ სურათს და სიხარულით სულ ასკიკუკუს უვლიდა. ყვავმა ჭამა, ჭამა და როცა გაძღა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და დაიზხავლა.

მლაშე ხორცის ჭამის შემდეგ ყვავს წყალი მოსწყურდა, დაიზედა ძირს, ჯამით ღვინო უდგა, აფრინდა და ჯამის გვერდით დასკუპდა. ყვავმა ჯამის გარშემო ტრიალი დაიწყო, არ ენდობოდა ჯამს, მაგრამ წყურვილმა თავისი გაიტანა და დაიწყო ჯამიდან სმა; რამდენსაც სვამდა ყვავი ღვინოს, იმდენად უფრო მაგრად ედებოდა წყურვილი. იმდენი სვა, რომ მთლად გამოცალა. როცა დაინახა, ჯამში აღარა იყო რა, აფრინდა ისევ ჯვარზე, მაგრამ ვაი ამ აფრენას, ძლივს აიტანა ტანი. დაიწყო ყვავმა ჯვარზე ქანაობა და მოუსვენრად ტოკვა, ღვინო თანდათან ეკიდებოდა. უცბად შეტორტმანდა,

ფრთები უმწეოდ გაფოფხა და ძირს ზღარბთანი მოიღო. ძედავითნეც ამას ელოდა, როგორც მგელი ისე დააცხრა ამ საბრალო ყვავს. აიღო ხელში, უყურა უმწეოდ რომ ბლიტავდა თვალებს, და მიაძახა:

— თუ ებრაელი ხარ, შე ოხერო, ღორის ხორცს რაღათა ჭამ, თუ მაჰმადიანი ხარ, ღვინოს რაღათა სვამ, თუ ქრისტიანი ხარ, იმ წმინდა ჯვარს რაღად აფუჭებდიო! — და თავი კედელზე მიუნაყა.

თექიანი თუში

ერთხელ ქალაქში ციხის კართან ერეკლე მეფემ თექიანი თუში დაინახა. დინჯად მიდგებ-მოდგებოდა, თან მუშტრის თვალით ათვალიერებდა ციხეს. მეფემ დაუძახა თუშს და უთხრა:

— რას დადიხარ აქაო?

— როგორ თუ რას დავდივარ, ქალაქი ჩვენიც არისო! — გაწყრა თექიანი.

პაპანაქება სიცხე იყო და მეფემ უთხრა:

— ეგ თექა მაინც გაიხადეო.

თუშს გაეცინა და ერეკლეს მიუგო:

— მეფეო, ეგ რატომ არ იცი, რომ თექა სიცხესაც არ უშვებს შიგნითაო.

ერეკლემ თუში სასახლეში მიიწვია, მაგრამ იმან გარეთ ძილი არჩია.

მეორე დილა რომ გათენდა, მეფის კარისკაცები აფუსფუსდნენ, ციხის რკინის კარი დაიკარგაო. მეფემ თქვა, აქ მაგის მომპარავი და დამძრავი არავინაა, თუ წაიღებდა ისევ ის თუში წაიღებდაო. გამოუდგა მდევარი თუშს და წინაგორის გზაზე დაეწივნენ. ნახეს, თექიანს კარი მიჰქონდა წიფლიან ტყეში და იმის ხეებზე რახარუხი ტყეს აყრუებდა. გააჩერეს დევკაცი და ჰკითხეს:

— რატომ მოიპარე ციხის კარიო?

— მაშ, რა მექნა, რკინა არა მაქვს და ცხენის ნალებისათვის შინდოდაო, — თქვა თუშმა.

ერთხელ საქართველოში მოვიდა სპარსელების ფალავანი და ყველა მოეიდავე წააქცია. ერეკლე მეფემ მაშინვე ხალხი გაგზავნა და ის თექიანი თუში მოიყვანეს ქალაქში. წრეში რომ გადავიდა, თექა არც კი გაუხდია, ისე გამოითხოვა ფალავანი. ტანგაქონილი სპარსელი აქეთ-იქით დახტოდა, ეთამაშებოდა თუშს და უცბად

მივარდნილმა წააბორძიკა კიდეც. ახლა კი გაბრაზდა თექიანი და გამოუდგა სპარსელს. დაეწია, როგორც იყო მისწვდა და მიწას ცინდალივით გააკრა. გახარებულმა ერეკლემ უთხრა:

— რასა მთხოვ, რა მოგცეო?!

თექიანი შეეხვეწა:

— რამდენ მარილსაც ავიკიდებ, იმდენი მომეციო.

მეფეს გაეცინა, იფიქრა ამან რამდენი უნდა აიკიდოსო, და შეუშვა საწყობში, სადაც მარილი ჰქონდა. თექიანმა მეფის მთელი მარილი აიკიდა და გაუდგა გზას თუშეთისაკენ.

სოლომონ მეფის კარისკაცები

იმერეთის მეფემ, დიდმა სოლომონმა, ქაჯაიას ნაქვრივალის ცოლად შერთვა მოიწადინა. დიდკაცობამ ოუკადრისა: აზნაურის ნაცოლარს ვერ გავიდედოფლებთო.

უარზე იდგა იოსებ გელათელიც—მეფე სოლომონის ძმა. კარისკაცებმა უძაგეს მეფეს ქვრივი. ზოგმა მოახსენა მახინჯიაო, ზოგმა — კოჭლიაო, ზოგმა — ბრუტიანიაო, ზოგმა — ყრუო, და ზოგმაც — ბებერია, უკბილოო!

მეფემ იფიქრა: რა ვქნა, მართალია, კარგი ოჯახის შვილია ის ქალი, მაგრამ რომ ასე ყოვლად საჯაყი ყოფილიყო, ის ყმაწვილი ქაჯაია თავმომწონე კაცი იყო და არ შეირთავდაო!

დაიბარა გიორგი აბაშიძე და გაეცინა:

— წადი, ნახე როგორმე ის ქალი და კარგად დამითვალიერეო!

აბაშიძემ აასრულა მეფის ბრძანება. ქალი ჩინებული გამოდგა, მაგრამ დედოფლობა მისთვის არ ემეტებოდა და დაუმალა მეფეს: სხვების ნათქვამი ამბავი მანაც დაამოწმა.

ერთხელ მეფე სანადიროდ ბრძანდებოდა. ააფრინეს ხოხობი, მიუტიეს ქორი, მაგრამ ფრინველი თვალსა და ხელს შუა სადღაც მიიმალა. ეწყინა მეფეს და გამობრუნებას აპირებდა ქუთაისისაკენ, რომ იმ დროს წადგა მის წინ ვიღაც ახალგაზრდა და მოახსენა:

— თქვენ რომ ხოხობი გაგიფრინდათ, აგერ გახლავთ ჩემს ეზოშიო.

მეფემ და მისმა ბაზიერებმა ეზოში შეაჭენეს ცხენები, დაუწყეს ძებნა ხოხობს, მაგრამ ვერსად ნახეს. მეფემ მიიხედა სახლისკენ და სარკმელთან მოჰკრა თვალი ერთ მშვენიერ ქალს.

— სად არის ხოხობიო? — ჰკითხა ახალგაზრდას, — მომატყუეო?

— არა, ჩემო ხელმწიფეო, — მიუგო ყმაწვილმა, — ქაჯაიას გვარს მის დღეში მეფისთვის ტყუილი არ გაუბედნია. ის ხოხობი, თქვენ რომ გაგიფრინდათ, აქ გახლავთ, მაგრამ დარბაისლების ეშინია და იმალებაო.

მეფემ გაიღიმა, ცხენი გამოატრიალა და გაუდგა გზას. დიდხანს ალარ გაუვლია, რომ ჯვარიც დაიწერა იმ ქვრივზე.

ერთ დღეს მოლხენით იყო მეფე. გარს დარბაისლები ეხვივნენ და გიორგი აბაშიძეც მათ რიცხვში იყო. მეფემ ჰკითხა დარბაისლებს:

— როგორ მოგწონთ დედოფალიო?

ყარისკაცებმა რაც კი შეიძლებოდა, შეამკეს დედოფალი და ცამდი აიყვანეს. მეფემ შეიკრა წარბი და თქვა:

— მაშ ადრე რაღად მიძაგებდითო?

— განაგონებით მოგახსენებდით და, ერთგულებისათვის ნუ შეგვრისხავთო! — მიუგეს ხმის კანკალით დარბაისლებმა.

— გიორგი აბაშიძევ! შენ მაინც რაღას იტყვი? შენ ხომ შენი თვალითაც შეამოწმე და ისე მომახსენე, არ იცოდი, რომ ტყუილს არავის შევარჩენდი? — ბრძანა უფრო მრისხანედ მეფემ.

— მე ტყუილი არ მომიხსენებია, ჩემო ხელმწიფევ! — მიუგო თამამად აბაშიძემ.

— მაშ, ახლაც ისე გეჩვენება?

— ახლა მზეთუნახავი ბრძანდება!

— განა ეს შესაძლებელია?

— რატომ არა, შენი ჭირიმე? მამათქვენი ალექსანდრე რომ შეიცვალა და სამეფო ჩაიბარეთ, მაშინ იმერეთი კოჭლიც გახლდათ, ბრუც, ბრმაც და კბილებჩაცვივნულიც, მაგრამ დღეს კი ყველაფერი კარგად ესმის, შორს ხედავს, ფეხზე მაგრად დგას და კბილებიც ამოუვიდა, რომ მტრებს უკბინოს. და თუ მთელი სამეფო ასე გამობრუნდა და გაკეთდა, რაღა საკვირველია ერთი უბრალო აზნაურის წაქვრივალის თქვენს ხელში გადასხვაფერებაო?!

მეფეს გაეცინა და სოფელი ჯოყოეთი უწყალობა.

* * *

შეფე სოლომონ მეორე ერეკლეს შვილიშვილი იყო. არჩილ ბატონიშვილი რომ მიიცვალა, ობლად დარჩა პატარა სოლომონი და დედამისიც მეორედ გათხოვდა: ანდრონიკაშვილს გაჰყვა ცო-

ლად. იმ დღიდან ქართლში იზრდებოდა და, რასაკვირველია, ზნეჩვეულება, მიხრა-მოხრა და ქცევა სულ ამერული ჰქონდა. თავზედაც ყოველთვის ბოხოხი ეხურა მაშინ, როდესაც იმ დროში არც ერთი იმერელი უფაფანაკო არ გაივლიდა. იმერეთის ტახტზე დიდი სოლომონის შემდეგ დავით მეფე იჯდა. თვითონ მეფე დასაწუნი არ იყო, მაგრამ ცოლი ჰყავდა ცოტა ნაძრახი და მიტომაც იმერლებმა მოახსენეს ქუთათელის პირით:

— ჩვენი ცოლები დედოფლის შემყურე უნდა იყონ და მისი მიმბაძავი და მაგისი ქცევა კი მოსაწონი არ არის; გთხოვთ, რომ ან დედოფალი გაუშვით და ან ტახტზე ხელი აიღეთო!

მეფემ იუცხოვა ქვეშევრდომების ამგვარი კადნიერება და განრისხდა. მოხდა ამბოხება და მეფე ტახტიდან გადააგდეს. მაშინ ეახლნენ დარბაისლები იმერეთიდან მეფე ერეკლეს და სთხოვეს: იმერეთი შეიერთეთ, პატარა სამთავროებსაც ხელი ჩაჰკიდეთ და საქართველო ისევ ძველ კალაპოტში ჩააყენეთო.

მეფე ერეკლემ, დარეჯან დედოფლის რჩევით, შორს დაიჭირა ეს საქმე და მოინდომა მისი შვილიშვილის — სოლომონის გამეფება იმერეთში. იმერლებმა რომ თანხმობა არ გამოუცხადეს, ჯარი გაგზავნა ოცი ზარბაზნით საომრად და ძალის დასატანებლად. დაუშინეს კიდევაც იმერლებს, მაგრამ იმათ ხელი არ გამოუღიათ. ჩვენ ძმობასა და ერთობას ვითხოვდით და არა სისხლის ღვრასაო.

ძალით გამეფებული სოლომონი ჩაუვარდა ხელში წერეთლებს და ბურთივით გაჰქონდ-გამოჰქონდათ. ხალხი დაემორჩილა თავის ბედს და თავის მხრივ პატივსა და ერთგულებას არ აკლებდნენ პატარა მეფეს, მაგრამ იმას კი მაინც უფრო ამერებისაკენ უწევდა გული, ყველაფერი მათი მოსწონდა და, სხვათა შორის, ერთხელ დაიჟინა, რომ იმერლებს სიტყვა-პასუხი არ უვარგათო და დარბაისლობას ვერ ახერხებენ ქართლელ-კახელებივითო.

— ნუ გამიწყრებით და, თუმცა მე თვითონ იქაური ვარ, ვერ დაგეთანხმებითო! — მიუგო სოლომონ ლიონიძემ, მსაჯულმა.

მეფე მაინც თავისას არ იშლიდა.

— გამოვცადოთ, ბატონო, მაგაზე ადვილი რაღა არის? ერთი და იგივე რამ ჰკითხეთ იმერელსაც და ქართლელსაც და მათი პასუხიდან გაიგებთ სწორსო, — უთხრა სოლომონ ლიონიძემ.

მართლაც, მეფემ კბილის ტკივილი მოიგონა და ყბა აიხვია. შემოვიდა სვიმონ წერეთელი და მოწყენით რომ ნახა ყბაახვეული მეფე, შეჰკადრა:

— რა დაგმართნია, ბატონოო?

— კბილები ამტკივდაო! — უპასუხა მეფემ. წერეთელი შეწუხდა და მოახსენა სანუგეშებლად:

— არა გიშავს რა, შენი ჭირიმე, ქარს გაუკრავს და გადაგივლისო.

— კი მაგრამ, არ გიკვირსო? — კიდევ ჰკითხა მეფემ.

— რა გასაკვირველია, შენი ჭირიმე? ეგ სულ თქვენი მოუსვენრობის ბრალია, აქეთ ხონთქარსა ჰკბენთ, იქით ყეენსა და ან აქამდე როგორ შეგრჩათ ეგ კბილებიო!

იმ დროს იმერეთში, მეფის კარზე სტუმრად იმყოფებოდა ქართლელი თავადიშვილი, ამილახვარი, და ის შემოაყვანინა მეფემ. შესჩივლა, კბილები მტკივაო. სტუმარს მართლა ეწყინა, თავი გადააქნია და მოახსენა:

— მართლაო? აიპე! რა უსიამოვნო საქმე მოგსვლიათო! თავს ლაფი კი დავასხი მაგისთანა კბილებს... ი ოხერი სატკივარი, მაინცა და მაინც თქვენთან რომ არ მოსულიყო, სხვას ვერავის გამონახავდაო?

— აკი მოგახსენეთ და ახლა რაღას ბრძანებთო? — ღიმილით ჰკითხა სოლომონ ლიონიძემ.

მეფე სოლომონს ეწყინა და ბრძანა:

— დარბაისლურ სიცრუეს ისევ ტეტიური სიმართლე სჯობსო.

ამგვარ გაგონილი

მეფე ერეკლეს ხლებოდა ერთი ღარიბი მოხუცებული დედაკაცი და მოწყალება ეთხოვნა.

— სხვისო მამავ და ჩემო მამინაცვალო, ერთხელ ჩემკენაც მოიხედეო, — იხუმრა დედაკაცმა.

— რა არის ამდენი ხანი სულ მოწყალებაზე დადიხარ, — ებრძანებინა ხუმრობითვე მეფეს, — განა შვილები არა გყავსო?

— მაშ, რის დედაკაცი ვიქნები, რომ შენთვის ყმა არ გამეზარდოს, შვიდი შვილი გაგიზარდეო!

— არა გრცხვენია, დედი, შვიდი შვილის პატრონი ხარ და საგლახოდ დაიარებიო!

— ვიშ, შენი კვნესამე, ნეტავი ერთი მყავდეს და შენისთანაო!

შაჰ-აბაზი, ქეთევან დედოფალი და საზღვრის მცველი

იმ ადგილას, სადაც ამჟამად საინგილოში დარჩენილია ქალაქ ბაზრის ნანგრევები, ცხოვრობდა დედოფალი ფერია (ინგილოები გულისხმობენ ქეთევან დედოფალს).

ლამაზი იყო, მეტად ლამაზი. ამომაკალ მზეს ჰგავდა, ალვის ხესავით ჰქონდა ტანი.

მისი მშვენების ამბავი შაჰ-აბაზსაც გაუგია, მოუსურვებია ირანის მბრძანებელს დედოფლის ნახვა, მაგრამ რას გახდებოდა? არა და მისი ნახვის სურვილი ჰკლავდა.

ბაშინ ირანის მბრძანებელმა ხერხს მიმართა. ჩაიცვა ქვაბების მკალავი ლეკის ტანსაცმელი და მივიდა სასახლეში დედოფალთან.

— მე ერთი ვინმე ქვაბების მკალავი ვარ, სასახლეში სამუშაოს ვეძებო! — უთხრა მან შინამოსამსახურეებს.

— აი, აგაშენოს, კარგ დროს მოხვედი, სწორედ გვჭირდებიო, — უპასუხეს მას და ერთი ათიოდე ქვაბი გადულაგეს წინ მოსაკალავად.

მკალავმა ქვაბებს დახედა და ულვაშებში ჩაიცინა.

— ფასი, ფასი გვითხარიო?

— ფასს მხოლოდ დედოფალს ვეტყვიო!..

— დედოფალს შენთვის სადა სცალიაო, — სიცილი დააყარეს.

— არაფერია, დაველოდები, სხვანაირად არ შემიძლიაო, — უპასუხა მკალავმა.

ბოლოს გამობრძანდა დედოფალი. მოუხმო ლეკს. იგი მიუახლოვდა დედოფალს, თავი მდაბლად დაუკრა, შემდეგ ზევით აიხედა და თავით-ფეხებამდე შეათვალიერა. დედოფალს არ ესიამოვნა ლეკის ასეთი თავხედობა, მაგრამ არა შეიმჩნია რა.

— მე ერთი გულხადარა ლეკი ვარ, ქვაბების მკალავიო, — მოახსენა ლეკმა.

— მერე და ქვაბებიც მანდ არის, მე რას მელოდებიო?

— თქვენ უნდა მომცეთ დასტური, ფასიც თქვენ უნდა მითხრათო, — და ლეკმა იქვე დაასახელა, რამდენს თხოულობდა თითოეული ქვაბის მოკალვაში.

— ამ ფასად ხომ სამ ამდენ ახალ ქვაბს ვიყიდიო? — უპასუხა დედოფალმა.

— თქვენი ნებაა, ნაკლებ არ შემიძლიაო, — მიუგო ლეკმა და სანამ დედოფალი რაიმეს ეტყოდა, უკვე ჭიშკარს გასცდა.

გვიან მოვიდნენ გონს კარისკაცები. უფრო სწორად, დედოფალი მიხვდა, რომ ეს უბრალო მკალავი კი არა, ირანის დიდი მბრძანებელი, თვითონ შაჰ-აბაზი იყო.

— აბა, ცხენი საჩქაროდ, — დაიძახა დედოფალმა. მიჰგვარეს შეკაზმული ცხენი.

დედოფალმა ჩაიცვა ჯაჭვი, აისხა იარაღი, მოახტა ცხენს და მცირე ამალით დაედევნა უკან.

დიდხანს სდია დედოფალმა თავისი მხლებლებით. გადალახა მთა და ბარი, გადაიარა მინდორ-ველი. გზა არ ილეოდა, კვალი ჩანდა, კაცი კი არა. ბოლოს მიაღწია საზღვარს. ორმხრივ თვალუწვდენი მთები იდგა, ქვემოთ ისე ვიწრო ბილიკი გადიოდა, რომ ჩიტიც ძლივს გაეტეოდა შიგ.

ამ ადგილს ინგილოებმა ოდიდანვე რკინის ჭიშკარი შეარქვეს. აქედან შემოდიოდა მტერი საქართველოს ასაკლებად. ამიტომ მამაცი ინგილოები სწორედ აქ ხვდებოდნენ მტერს, ან უკან აბრუნებდნენ, ან იქვე ეცემოდნენ გულგანგმირულნი. აქ, ამ რკინის ჭიშკართან, იდგა გუშაგი, რომელსაც მტრის გამოჩენისას განგაში უნდა აეტეხა, ცეცხლი დაენთო მთის წვერზე წამოდგმულ კოშკზე, რომ სხვა კოშკის მცველებსაც დაენახათ და ეცნობებინათ ხალხისათვის.

გუშაგი იდგა და საზღვრის იქით იყურებოდა.

დედოფალმა მის დანახვაზე წარბი შეიკრა.

— ჰეი, შენ! — დაუყვირა მას დედოფლის მხლებელმა.

გუშაგმა იცნო დედოფალი და გაფითრდა.

— ხომ არ დაგინახავს აქ ვინმე ლეკი, ქვაბების მკალავი? — ჰკითხა მკაცრად გუშაგს დედოფლის მხლებელმა.

— ჰაი, ჰაი, რომ დავინახე! ამ რამდენიმე წუთის წინ მოვიდა ერთი ლეკი, სწორედ ქვაბების მკალავსა ჰგავდა, ლეკური ტანსაცმელი ეცვა და ქუდიც ლეკური ეხურა. ეჭვი შემეპარა, მინდოდა ვინაობა მეკითხა, მაგრამ ვერც კი მოვასწარი პირის გაღება, რომ თვალსა და ხელს შუა გამიქრა. ისე გაუჩინარდა, რომ ვერ გავიგე, მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ. მხოლოდ მაშინ მოვკარი თვალი, როდესაც საზღვარს გაცილებული იყო, — უპასუხა გუშაგმა.

— ყეყეჩო, თვითონ შაჰინშაჰი იყო, ირანის დიდი მეფე, შაჰ-აბაზი! — უთხრა დედოფლის მხლებელმა გუშაგს.

— შაჰ-აბაზი! — დაიყვირა არაადამიანური ხმით გუშაგმა, თავში წაიშინა ხელი, იქვე ჩაიკეცა და გაქვავდა.

იმ ადგილს დღესაც უჩვენებენ ლოდს, რომელიც გაქვავებულ ადამიანსა ჰგავს. ინგილოთა რწმენით, ეს ის დაუდევარი გუშაგია, რომელსაც ხელიდან გაუსხლტა საქართველოს დაუძინებელი შტერი, შაჰ-აბაზი.

შენიშვნები

ეპოხი

თქმულებანი ამირანზე

ამბავი ბადრისა, უსიპისა და ამირანისა (გვ. 9) ჩაწერილია თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავში. პირველად დაიბეჭდა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№№ 240, 241, 244). იხ. აგრეთვე თედო რაზიკაშვილის ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი, 1909 წ.

ამირან დარუჯანაშვილი (გვ. 29) მთქმელი ვანო ჩინჩალაძე, სოფ. ბრეთის (ქართლი) მცხოვრები; ჩამწერი უცნობია. პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1887 წელს (№№ 145, 146).

ამირანის ლექსი (გვ. 37) მთქმელი გაბრიელ ბაკურაძე, სოფ. გლოლას (მთარაქა) მცხოვრები. ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1953 წელს. კრებული „სახალხო მთქმელები“, მ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ. 1958 წ. ვარიანტი შევსებულია, იმავე სოფლის მცხოვრებ მალაქია ბერიშვილის და იასონ ბიჭაშვილისაგან ელ. ვირსალაძის მიერ ჩაწერილი ვარიანტების ცალკეული მოტივებით. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი[1], კოლექცია № I — 2.

ამირანი (გვ. 51). ჩაწერილია სვანეთში თავისუფალი სვანის (ბესარიონ ნიეარაძის) მიერ. პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1887 წელს (№212).

ეთერისა და აბესალომის ამბავი (გვ. 61) ჩაწერილია თედო რაზიკაშვილის მიერ კახეთში სოფ. ვეჯინში. ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ტარიელის ზღაპარი (გვ. 69). მთქმელი გეჯურა პაპუაშვილი, ჩაწერილია დ. ხიზანიშვილის მიერ ს. არტაანში (თიანეთი). პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“ 1888 წ. №№ 230, 231.

როსტომიანი (გვ. 83) ჩაწერილია თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში, პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“ 1889 წ. № 82. მცირე ცვლილებებით კრებულში, ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ 1909 წ.

---

[1] სხვაგან შემოკლებით ფ. არქ.

სამშობლოსათვის

ვახტანგ გორგასალზე (ნაამბობი ბოქორმის მთაზე) (გვ. 94), გაზეთი „დროება“, 1885 წ. № 25, ტექსტი დამუშავებულია „შაქროს“ (ზაქარია გულისაშვილის) მიერ.

დარუბანდის კარები (გვ. 96) ჩაწერილია 1939 წელს ანუსია კარგარეთელის მიერ. ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, ტ. II, 1961 წ.

თამარი (გვ. 97) ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. VII.

თამარ მეფის ვაჟი (გვ. 98) მოსე ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია.

ერისთავის პასუხი (გვ. 100) მიხ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, 1951 წ.

ბარალეთი (გვ. 100) მთქმელი ბასილ გოგოლაძე, სოფ. ბარალეთის მცხოვრები. ჩაწერილია გიორგი გოგოლაძის მიერ მესხეთში 1936 წელს, ფ. არქ. № 11786.

და-ძმობის ძალა (გვ. 101) მთქმელი დიმიტრი ბაჩულაშვილი; ჩაწერილია თუშეთში ლევან ჭრელაშვილის მიერ 1959 წელს.

თმოგვი და დამკალი (გვ. 102) მთქმელი ბასილ გოგოლაძე, ს. ბარალეთის (მესხეთი) მცხოვრები; ჩაწერილია გიორგი გოგოლაძის მიერ 1936 წელს.

რაინდული ერთგულება (გვ. 103) ჩაწერილი უსისტყელის მიერ ს. კოდისწყაროში. „დროება“, 1875 წ. № 79, ძველებური ამბები.

ლოჭინის ხეობა (გვ. 104) ფ. არქივი, ფშაველის კოლექცია, XXXI.

თვრამეტი ძმა (გვ. 105) მთქმელი ჩეილუ ბაჩალიშვილი, ჩაწერილია საინგილოში ალექსანდრა ჩხენკელის მიერ. გაზ. „კომუნიზმის გზით“, 1960 წ. № 103.

თამარულ ჭინჭარაული (გვ. 106) მთქმელი მიხა წიკლაური, სოფ. არხილოსკალოს (წითელწყაროს რაიონი) მცხოვრები. ჩაწერილია ნანა ჯავახიშვილის მიერ 1962 წ. ქსენია სიხარულიძის კოლექციიდან.

სურამის ციხე (გვ. 106) „მოამბე“, 1904 წ., № 9. ტექსტი შევსებულია სხვა წყაროების მიხედვით. 1. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937 წ. № 290; 2. საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი s № 5293, ფ. 67 და H 19928, №№ 123, 124.

ბახტრიონის აღება (გვ. 107) ჩაწერილია თუშეთში ლევან ჭრელაშვილის მიერ 1959 წელს.

ზეზვაის ცხენის საფლავი (გვ. 109) ჩაწერილია თუშეთში ლევან ჭრელაშვილის მიერ 1959 წელს.

მოხერხებული დედაბერი (გვ. 110) ჩაწერილია ს. რეხვიაშვილის მიერ რაჭაში, სოფ. გლოლაში. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1963, № 87.

თევდორე მღვდელი (გვ. 111). ფ. არქივი კ. 146.

შალიკი სულთანიშვილი (გვ. 112) მთქმელი ვასო ალექსის ძე ბიჭაშვილი; ჩაწერილია ელენე ვირსალაძისა და მერი გოგიჩაიშვილის მიერ. ფ. არქ. რაჭის 1960 წლის ექსპედიციის მასალები.

ლაწუნდარა (გვ. 113) მთქმელი კონსტანტინე ახელედიანი, ჩაწერილია ცაგერში მიხ. ალავიძის მიერ. მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, 1951 წ.

მურის ციხე (გვ. 116) მთქმელი ექვთიმე ახელედიანი, ჩაწერილია მ. ალავიძის მიერ ცაგერში. მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, 1951 წ

ცხრაწყარო (გვ. 117) მთქმელი ალ. ღუდუშაური. ჩაწერილია ნ. აბაშიძის მიერ 1936 წელს. ფ. არქ. № 10624.

აბუდელაურის ტბა (გვ. 117) მთქმელი გიორგი (ძაღლიკა) გოგოჭური; ჩაწერილია ბერდია გოგოჭურის მიერ ს. თეთრწყლებში, თელავის რაიონში.

მზეთუნახავი და ოქროს მამალი (გვ. 118) ჩაწერილია საინგილოში და დამუშავებულია ალექსანდრა ჩხენკელის მიერ.

მეჯლისი (გვ. 120) ჩაწერილია დავით ლეონიძის მიერ. საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწ. ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის არქივი № 1974.

რომ გაბედოს? (გვ. 121) ჩაწერილია დავით ლეონიძის მიერ. იქვე. № 1974.

თქმულება სამას არაგველზე (გვ. 121) დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის „დედა-ენის" მეორე ნაწილში 1912 წელს. აგრეთვე, ს. ცაიშვილი, თბილისი ხალხურ შემოქმედებაში, 1958 წ.

მეფე ერეკლე და მთიელები. (გვ. 122) ჩაწერილია ბესარიონ გაბუურის მიერ. ბეს. გაბუური, ხევსურული მასალები პროფ. ა. შანიძის რედაქციით, წელიწდეული, I — II, 1923 — 24 წ.

ქართველი ქალი (გვ. 125), Потто, Памятники времён владычества русских на Кавказе. Выпуск I. თბ., 1906, გვ. 74, აგრეთვე იოსებ გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, სახელგამი, 1928 წ.

კალოუბანი (გვ. 125), პლ. იოსელიანი, „Описание древностей города Тифлиса", 1886 წ. და ს. ცაიშვილი, თბილისი ხალხურ შემოქმედებაში, 1958 წ.

მახათაძე (გვ. 126) ჩაწერილი ზ. მთაწმინდელის (ზაქარია ჭიჭინაძის მიერ). გაზეთი „დროება", 1877 წ., № 88.

გელა ნათელაშვილი (გვ. 128) ჩაწერილია ზ. მთაწმინდელის (ზაქარია ჭიჭინაძის) მიერ. გაზეთი „დროება", 1879 წ. № 169.

მაია წუნეთელი (გვ. 130) დიმიტრი ჯანაშვილი, „ისტორიული სურათები", „ივერია", 1882 წ., № 212.

თამრო ვაშლოვნელი (გვ. 133) დიმიტრი ჯანაშვილი, „ისტორიული სურათები", „ივერია", 1882 წ., № 212.

თინა წავკისელი (გვ. 136) მთქმელი ასლან ბებუთოვი. დიმიტრი ჯანაშვილი, „ისტორიული სურათები" „ივერია" 1882 წ. № 212.

ხრესილას ომი (გვ. 137) სოფრომ ხუნდაძის, რაფიელ ერისთავის და ია აკინთე ყიფიანის ნაამბობი, ჩაწერილი და დამუშავებული თ. მაგმაძის მიერ. ძველი საქართველო, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II, განყ. IV.

თავისუფლებისათვის

მამუკა ქალუნდაურის ხმალი (გვ. 142) მთქმელი ბესარიონ გაბუური; ჩაწერილია აკაკი შანიძის მიერ 1914 წელს. საქ. საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, ბესარიონ გაბუური, ხევსურული მასალები, 1924 წ.

გლეხთა დამცველი ლაზნელები (გვ. 144) ჩაწერილა ზ. მთაწმინდელს (ზაქარია ჭიჭინაძის) მიერ; გაზეთი „დროება“, 1880 წ. № 147.

არეშიძეების გაწყვეტა (გვ. 146) მთქმელი პეტრე ლობჯანიძე. სოფ. ღების (მთარაჭა) მცხოვრები, ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1960 წელს ფ. არქ. რაჭის 1960 წლის ექსპედიციის მასალები.

ყაფსოღ გოშთელიანი (გვ. 148) მთქმელი ახმად სარდიონის ძე. გოშთელიანი; ჩაწერილია მესტიაში ელენე ვირსალაძს მიერ 1951 წელს. ფ. არქ. № 34303.

სახეევოების ბრძოლა (გვ. 150) მთქმელი ბესარიონ ლევანის ძე. იოსელიანი; ს. მულახის მცხოვრები. ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1951 წელს.

უშგულელთა შურისძიება (გვ 151) გაგონილია სვანეთში, დაიბეჭდა 1925 წ. ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, II, 1961 წ.

ქალის ციხე (ინგილოური თქმულება) (გვ. 152) ჩამწერი მ. ჯანაშვილი; ძვ. საქართველო, ტ. II, განყ. IV.

შრომა და მშენებლობა

თბილისის დაარსება (გვ. 155) ს. ცაიშვილი, თბილისი ხალხურ შემოქმედებაში, 1958 წ.

დავით აღმაშენებელი (გვ. 155) მთქმელი სინოგიძე. ჩაწერილია ს. საქარაში ვიქტორ ებანოიძის მიერ. „კრებული“, 1897 წ. № 1.

უფლისციხის აშენება (გვ. 157) მთქმელი სოფ. ხანდაკის მცხოვრები. ჩაწერილია მატარებელში ელენე ვირსალაძის მიერ 1949 წელს.

ოთინკოს აბანო (გვ. 157) „ივერია“, 1893 წ. № 196. ი. ჯაიანი, კორესპონდენცია.

მოსწრებული სიტყვა (გვ. 158) „ნაკადული“, 1915, № 3.

წითელი საყდარი (გვ. 159) ჩაწერილა ნ. აბაშიძის მიერ, 1936 წელს, ფ. არქ. № 10624.

თამარ მეფე და მისი ძმა (გვ. 159) მთქმელი შაქრო დათუნაშვილი, ს. წრომის მცხოვრები. ჩაწერილია ნ. აბაშიძის მიერ, 1930 წ. ფ. არქ. № 1062 ვა.

ხარისა და ირმის შეჯიბრი (გვ. 160) ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961 წ.

მაღალ მთებზე აშენებული კოშკები (გვ. 161) მთქმელი სონა ვასრაძე-ტოლიაშვილი. ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ ცხინვალში 1934 წელს. ე. ვირსალაძს კოლექციიდან.

ჯეფირი, ატენი, ტანა და ხოვლე (გვ. 161) მთქმელი გიორგი სტრელნიკოვი, სოფ. დიდი ატენის მცხოვრები. ჩაწერილია ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ 1933 წ. ფ. არქ. № 2909.

მადნის დამუშავება წედისში (გვ. 162) მთქმელი პეტრე მაისურაძე. ჩაწერილია ს. წედისში ელენე ვირსალაძის მიერ. ფ. არქ. 1960 წლის რაჭის ექსპედიციის მასალებიდან.

ერეკლეს მასპინძელი (გვ. 164) „ჯეჯილი“ 1914 წ. № 111.

დათვი, მგელი და მელა (გვ. 165) მთქმელი არბოლიშვილი სულიკო, სოფ. ერედვის (ქართლი) მცხოვრები. ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1949 წელს. ფ. არქ. № 3260.

საფარის მონასტრის აგება (გვ. 166) მთქმელი ბაგრატ ბენიძე ს. ანდრიაწმინდას (ჯავახეთში) მცხოვრები ჩაწ. მიხ. ჩიქოვანის მიერ 1937 წ. ფ. არქ. № 13064.

კახეთის ზღვა (გვ. 167) ჩამწერი მოსე ჯანაშვილი. ძვ. საქართველო. ტ. II, განყ. IV.

ასე სწამდათ ძველად

ნადირობისა (გვ. 168) 1951 წელს სვანეთსა და 1953 — 1960 წლებში რაჭაში ელენე ვირსალაძის მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით.

ბეთქენი (გვ. 169) სვანური მასალების მიხედვით დამუშავებული ელენე ვირსალაძის მიერ.

დალი და მონადირე ალმასგილ (გვ. 171) მთქმელები სანდრო გიორგის ძე გიგანი და ვასილ ლეონის ძე ქურდიანი. ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ მულახში 1951 წ. ფ. არქ. №№ 34366, 34393.

დალი და მონადირე მეფისა (გვ. 173) სვანური მასალების მიხედვით დამუშავებული ელენე ვირსალაძის მიერ.

ყურშა და ივანე ქვაციხისელი (გვ. 174) ფ. არქივის კოლექცია № I და რაჭის 1960 წლის ექსპედიციის მასალები. სხვადასხვა ვარიანტებიდან შეადგინა ელენე ვირსალაძემ.

ტყაში მაფას შურისძიება (მეგრული თქმულება), (გვ. 179) მთქმელი ჯათუ შამათავა, ჩაწერილი ს. წალენჯიხაში. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа[1], т. XVIII, განყ. III; Я. Тепцов, Из быта и верований мингрельцев.

ნადირთ პატრონი და-ძმა (გვ. 180) მთქმელი შამილ ჩექურიშვილი, სოფ. ყვარელწყლის მცხოვრები. ჩაწერილია მიხ. ჩიქოვანის მიერ 1945 წელს. ფ. არქ. № 21714.

ტყის ქალი (გვ. 180) ჩაწერილია მ. ჩოჩიას მიერ გურიაში. ფ. არქ. № 4908.

ალი (გვ. 184) მთქმელი გუტაშვილი ივანე, ს. გლოლას (მთარაჯა) მცხოვრები. ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1953 წ. ფ. არქივის კოლ. № I — 2, № 98.

მონადირე ნაწუკა (გვ. 184) მთქმელი მ. ლობჯანიძე, ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ ს. ღებში. 1960 წლის რაჭის ექსპედიციის მასალები.

ხოგაის მინდის ამბავი (ხევსურული თქმულება) (გვ. 185) ჩაწერილია თინათინ ოჩიაურის მიერ არხოტში. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1961 წ. 16 — 18. ტექსტი დამუშავებულია.

თეთრი გველის ამბავი (გვ. 187) მთქმელი გაბრიელ ბაკურაძე,

---

[1] შემდეგში შემოკლებით აღინიშნება СМОМПК.

სოფ. გლოლის (მთარაჭა) მცხოვრები. ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1953 წ. იხ. ფ. არქ. I — 1. (№ 61).

კ ო პ ა ლ ა (გვ. 188) მთქმელი ჭრელა კოპლიშვილი, სოფ. უძილაურთა (ფშავი); ჩაწერილი და დამუშავებული გიგი ხორნაულის მიერ 1960 წელს.

დ ე ვ ი(გვ. 196) მთქმელი ივანე ლობჯანიძე სოფელ პატარა ღების (მთარაჭა) მცხოვრები. ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1960 წელს.

დ ე ვ ე ბ ი დ ა ღ ა რ ი ბ ი გ ლ ე ხ ი (გვ. 196) მთქმელი გულედანი ეფრემ ირსენის ძე, მესტიის მცხოვრები. ჩაწერილია 1951 წელს ელენე ვირსალაძის მიერ.

ჯ ა მ ა გ ი ძ ი ს წ ყ ა რ ო (გვ. 197) ჩაწერილია ე. ბეწუკლიშვილის მიერ, ს. მაგრანეთში 1934 წელს (თიანეთის რაიონი) ფ. არქ. № 21765.

ფ უ ლ დ უ ქ ა ლ დ ა ნ ი ს ა ს უ ლ ი (გვ. 198) მთქმელი-გიერგ მარგიანი, მესტიის მცხოვრები ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1951 წელს.

ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს დ ა დ ე ვ ი ს ჩ ხ უ ბ ი (გვ. 200) ძველი საქართველო, ტ. II, განყ. IV.

ე ლ ი ა, ქ რ ი ს ტ ე დ ა წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი (გვ. 200) მთქმელი დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯის მცხოვრები. ჩაწერილია ალ. ღლონტის მიერ. 1937 წ. ალ. ღლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბ. 1948 წ.

. გ ა ქ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ც ხ ვ ა რ ი დ ა მ ე ც ხ ვ ა რ ე (გვ. 202) მთქმელი ბაბილ ზაქარიას ძე გოგოლაძე, ახალციხის მცხოვრები. ჩაწერილია გ. გოგოლაძის მიერ. ფ. არქ. № 13507.

მ ე ც ხ ვ ა რ ე დ ა მ ა რ ტ ი (გვ. 203) მთქმელი დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯის მცხოვრები. ჩაწერილია ალ. ღლონტის მიერ 1937 წელს. ალ. ღლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, 1948 წ.

ღ მ ე რ თ ი დ ა ქ რ ი ს ტ ე (გვ. 203) მთქმელი დავით ქვრივიშვილი, სოფ. ყარაღაჯის მცხოვრები. ჩაწერილია ალ. ღლონტის მიერ 1937 წელს. ალ. ღლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, 1948 წ.

ხ ა რ ე ბ ა დ ა ხ ა რ ხ ა რ ე ბ ა ო... (გვ. 205) СМОМПК, ტ. X, განყ. III.

ე ლ ი ა ხ ა რ ა ზ ი (გვ. 205) ჩაწერილია ზ. ჭიჭინაძის (ზ. მთაწმინდელის) მიერ. დროება 1877 წ., № 103.

ტ ბ ა ე რ ძ ე გ ა შ რ ა (გვ. 206) მთქმელი კუკუბავა, ჩაწერილია თედო სახოკიას მიერ სამურზაყანოში. თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950 წ.

ბ უ მ ბ ე რ ა ზ ი ო ღ უ ზ ე ბ ი (ინგილოური თქმულება) (გვ. 207) ჩამწერი მოსე ჯანაშვილი, ძველი საქართველო, ტ. II, განყ. IV.

ხ ვ ა მ ლ ი (გვ. 208) მთქმელები ანთიმოზ ჩარკვიანი, ივანე ყურაშვილი, სოგრატ ასათიანი, პეტრე ჭაბუკიანი. ჩაწერილია ლეჩხუმში მიხ. ალავიძის მიერ. მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება, 1951 წ.

ქ ა ლ ქ ვ ა (გვ. 209) მთქმელი ქეოევან დათიაშვილი, სოფელი საბუე (კახეთი). ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ, 1947 წელს, ფოლკლორული არქივი № 30434.

დ ა-ძ მ ა (გვ. 210) (ჯავახური ლეგენდა) ჩაწერილია ბ. ოქრუაშვილის მიერ სოფელ ჩუნჩხაში 1893 წელს. გაზეთი „ივერია" № 50, 1893 წელი.

ძ ა რ წ ე მ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი (გვ. 212) მთქმელი ჯულუხიძე მიხეილი. ცხინვალის რაიონი. სოფ. აჩაბეთი; ჩამწერი ეთერ ქიტიაშვილი, 1962 წ.

ქ ა ლ ი ა ყ ვ ა ნ ა (გვ. 213) ჩაწერილია ანუსია კარგარეთელის მიერ. ფ. არქ. № 18690, დამუშავებული ელენე ვირსალაძის მიერ.

ს ა მ გ ო რ ი (გვ. 214) ფ. არქ. № 817.

დ ა ი ღ უ პ ო ს, თ უ ც უ დ ი გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი თ მ ო დ ი ს (გვ. 215) ჩაწერილია და დამუშავებული მოსე ჯანაშვილის მიერ. ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. I, 1956 წ.

თ ა მ ა რ ი ს კ ლ დ ე დ ა შ ო თ ა ს მ თ ა (გვ. 216) მთქმელი დათა ერაძე, სოფ. ჭიბრევის (ზემო რაჭა) მცხოვრები; ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1963 წელს.

შ ო თ ა ს ნ ა თ ქ ვ ა მ ი (გვ. 216) ჩაწერილი ელენე ვირსალაძის მიერ რაჭაში 1960 წელს. ფ. არქ. რაჭის 1960 წლის ექსპედიციის მასალები.

თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს ს ა ფ ლ ა ვ ი ვ ა რ ძ ი ა შ ი (გვ. 217) მთქმელი მართა ბიბილური. ჩაწერილია კ. მაღალაშვილის მიერ. ს. წერაქვში, ბორჩალოს მაზრაში, ძველი საქართველო, ტ. II, განყ. IV.

შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი ს ვ ი ნ ა ო ბ ა (გვ. 218) მთქმელი სოსო ბალახაძე, ჩაწერილია ნიკო ტატიშვილის მიერ მესხეთში, სოფ. ქილდაში. 1937 წელს (ფ. არქ. № 1300). ქს. სიხარულიძე, ქართ. ხალხ. საისტორიო სიტყვიერება, I, 1956 წ.

წ ო ვ ი ს ქ ა ლ ი (გვ. 219) მთქმელი პლატონ ბაშინურიძე, ჩაწერილია თუშეთში, ლევან ჭრელაშვილის მიერ.

ძ ე ძ ვ ი ს ბ უ ჩ ქ ი ო რ ს ა მ ა რ ე ს შ უ ა (ინგილოური თქმულება) (გვ. 220) ჩაწერილია მოსე ჯანაშვილის მიერ. „ძველი საქართველო" ტ. II. განყ. IV.

დ ე დ ი ს გ უ ლ ი (გვ. 221) მთქმელი გაჩეჩილაძე ნატალია ვასილის ასული. ჩაწერილია სევასტი გაჩეჩილაძის მიერ. ფ. არქ. № 23913.

ს ი მ ა რ თ ლ ი ს მ თ ქ მ ე ლ ს ც ხ ე ნ ი შ ე კ ა ზ მ უ ლ ი უ ნ დ ა ჰ ყ ა ვ დ ე ს (გვ. 222) ჩაწერილია აკაკი წერეთლის მიერ. გაზ. „დროება" № 58, 1875 წელი.

გ უ ლ თ მ ი ს ა ნ ი მ გ ო ს ა ნ ი (გვ. 225) ფ. არქ. № 5706.

დ ა თ უ ნ ა გ ო ც ი რ ი ძ ე (გვ. 227) დამუშავებული აკაკი წერეთლის მიერ. „დროება" № 57, 1875 წელი.

ო თ ი ა მ ე ს ხ ი (გვ. 228), დამუშავებული აკაკი წერეთლის მიერ. „დროება", № 57, 1875 წელი.

ო რ თ ა ბ რ ძ ო ლ ა (გვ. 229) ჩაწერილი აკაკი წერეთლის მიერ სოფ. ქვიტირში. „აკაკის კრებული", № 9, 1899 წელი.

ო ს ი გ მ ი რ ი ჯ ა ნ ხ ო ტ ა შ ვ ი ლ ი (გვ. 232) მთქმელი ვასილ ნიკოლოზის ძე გავაშელი, ღები (რაჭა), ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ, 1960 წელს. ფ. არქ. 1960 წლის ექსპედიციის მასალები.

რ უ ხ ი ს ო მ ი (გვ. 233) გრიგოლ გურიელის, ასლან წულუკიძის, მამია გურიელის, გიორგი შარვაშიძის, იასონ წულუკიძის, იაკინთე ყიფიანის ნაამბობი, ჩაწერილი და დამუშავებული თ. მაგმაძის მიერ, „ძველი საქართველო", ტ. II, განყ. IV.

ა რ შ ი ს ც ი ხ ე (გვ. 236) ჩაწერილია ა. ღუდუშაურის მიერ. „ივერია" № 209, 1888 წელი.

როგორ წარმოიშვა სტვირი (გვ. 239) მთქმელი ზაქარია ერაქე, სოფ. ფარახეთის მცხოვრები; ჩაწერილია აპოლონ ცანავას მიერ 1948 წელს. ფ. არქ. № 31670.

თამარ მეფე და შუქურვარსკვლავი (გვ. 239) მთქმელი გაბო ქადაგიშვილი, ჩაწერილია იულია ძამიაშვილის მიერ სოფ. შრომაში 1937 წელს. ფ. არქ. № 13476. ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, 1961 წ.

რატომ ჰქვია ვარძია (გვ. 240) მთქმელი ტოგონიძე ვასილ ნესტორის ძე 67 წლის. სოფ. ფარახეთის (ზემო რაჭა) მცხოვრები, ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1963 წელს.

როგორ გაჩნდა ბუ (გვ. 240) მთქმელი ტოგონიძე ვასილ ნესტორის ძე, სოფ. ფარახეთის (ზემო რაჭა) მცხოვრები. ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ 1963 წელს.

მოდინახე (გვ. 241) „ივერია“ 1889 წ. № 171.

გოგიას და პეტრეს ციხე (გვ. 241) ი. ალხაზიშვილი, ორიოდე დღე ბორჯომში (მგზავრის შენიშვნები), გაზ. „დროება“ 1877 წ. № 9.

რატომ ჰქვია კახი ინგილოთა სოფელს (ინგილოური თქმულება) (გვ. 242) ჩაწერილია მოსე ჯანაშვილის მიერ. ჟურ. მნათობი, 1870 წ. № 2.

კუ (მეგრული თქმულება) (გვ. 243) СМОМПК, ტ. X, განყ. III.

რატომ არის რომ შინდი მაღალი არ იზრდება (გვ. 243) მთქმელი სიკო გიგაური ჩაწ. 1952 წ. დიღომში. ხალხური სიტყვიერების მასალები, ჩაწერილი ჯ. სონღულაშვილის მიერ 1957 წ.

როგორ გაჩნდა ოფოფი (გვ. 243) მთქმელი ელისაბედ ხუციშვილი. ჩაწერილია სოფ. თოფახში (საინგილო) ალექსანდრა ჩხენკელის მიერ. გაზ. „კომუნიზმის გზით“, 1960 წ. № 67.

როგორ გაჩნდა „გამარჯობა“ (გვ. 244) მთქმელი ფიდა კვიწინაძე, სოფ. ბერშუეთის (ბორის რაიონი) მცხოვრები. ჩაწერილია ალ. ღლონტის მიერ 1940 წელს. ალ. ღლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები. 1948 წ.

უშბა და თეთნულდი (გვ. 244) მთქმელი ქალდან ნიკარაძე 100 წლისა ს. უშგულის მცხოვრები. ჩაწერილია ქსენია სიხარულიძის მიერ 1945 წ.

რატომ არ ხარობს ვენახი სვანეთში (გვ. 245) მთქმელი იამანიძე დომენტი მარკოზის ძე, ს. კურსების მცხოვრები. 69 წლისა. ჩაწერილია ქს. სიხარულიძის მიერ 1951 წელს.

ვაზი და ბულბული (გვ. 245) ჩაწერილია ილია მაისურაძის მიერ ჯახეთში.

ლეგენდა ერწოს შესახებ (გვ. 246) ჩაწერილია ვ. ბეწუკლიშვილის მიერ. ს. მაგრანეთში (თიანეთის რაიონი) 1934 წელს. ფ. არქ. 21464.

ყვავსაყდარა (გვ. 247) ჩაწერილია თინა მელიქაშვილის მიერ, ფ. არქ. № 30373.

რატომ არის საქართველოში ბევრი ლამაზი (გვ. 248) ი.-ის გაგონილი ქობულეთში 1888 წელს. „ივერია“, 1894 წ, № 13.

რატომ არ ეკარება ფუტკარი ზოგიერთ ყვავილს (გვ. 248) ჩაწერილია ტასო (ანასტასია) წერეთლის მიერ. „ჯეჯილი", 1915 წ. VII, VIII.

როგორ გაჩნდა ქვეყნად მთები და ხევები (გვ. 249) ჩაწერილია მოსე ჯანაშვილის მიერ. „ნაკადული", 1912 წ. № 10.

ყვარელი (გვ. 249) „დროება". 1883, № 50.

რა დროიდან ემსახურება ძაღლი ადამიანს (მეგრული თქმულება). (გვ. 250) СМОМПК. ტ. XVIII, განყ. III, გვ. 37—38, Мингрельские сказки записанные Ш. Ломинадзе.

ძაღლის ლუკმა (გვ. 251) მთქმელი ქიტიაშვილი თამარი, საგარეჯოს რაიონი, სოფ. კაკაბეთი; ჩამწერი ქიტიაშვილი ეთერი, 1961 წ.

რატომ ჰქვია სოფელს გლოლა (გვ 251) მთქმელი არჩვაძე ვლადიმერი, ამბროლაურის რაიონი, სოფ. ხიმში; ჩამწერი ქიტიაშვილი ეთერი, 1963 წ.

რატომ წივის ძერა (გვ. 252) მთქმელი ქიტიაშვილი თამარი, საგარეჯოს რაიონი, სოფ. კაკაბეთი; ჩამწერი ქიტიაშვილი ეთერი. 1961 წ.

რატომ არ ჩანს ქალის საქმე (გვ. 252) მთქმელი ქიტიაშვილი თამარი, საგარეჯოს რაიონი, სოფ. კაკაბეთი; ჩამწერი ქიტიაშვილი ეთერი. 1961 წ.

მამისონის უღელტეხილი (გვ. 253) მთქმელი არჩვაძე ვლადიმერი, ამბროლაურის რაიონი. სოფ. ხიმში, ჩამწერი ქიტიაშვილი ეთერი. 1961 წ.

როგორ გაჩნდა ღვინო (გვ. 254) ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ეპოსი. 1952 წ.

ვერცხლის ტბა (გვ. 254) СМОМПК, ტ. XVIII, განყ. III. Я. Тепцов. Из быта и верований мингрельцев.

კამეჩი (გვ. 255) მთქმელი ფიდა კვიწინაძე. სოფ. ბერშუეთის (გორის რაიონი) მცხოვრები. ჩაწერილია ალ. ღლონტის მიერ, 1940 წ. ქართული ხალხური ნოველები. ალ. ღლონტის რედაქციით. 1956 წ.

ქოშიგორა (გვ. 255) მთქმელი დარო გურასპაშვილი, ჩაწერილია ანო პატატიშვილის მიერ; ფ. არქ. № 30376.

სოფელი გლოლა (გვ. 256) მთქმელი ალექსანდრე ერაძე, ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ სოფ. ფარახეთში (ზემო რაჭა) 1963 წელს.

სოფელი წესი (გვ. 257) მთქმელი სოლომონ მეტრეველი, ჩაწერილია ეთერ ქიტიაშვილის მიერ ამბროლაურში 1963 წელს.

თურმე

თამარ დედოფალი (გვ. 258) ჩაწერილია მესხეთში; ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, 1961 წ.

ხარის ტყავი (გვ. 259) ჩაწერილია სოფ. საქარეში (მესხეთი), ჟურ. „მოგზაური" № 8, 1902, ქს. სიხარულიძე ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, 1956 წ.

არაბულთა მოტაცება (გვ. 260) მთქმელი დომენტი თომაშვილი, ქ. ქუთაისი; ჩაწერილია მიხ. ალავიძის მიერ, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება.

მოსწრებული პასუხი (გვ. 261) ჩაწერილია დავით ლეონიძის მიერ.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. თაყაიშვილის არქივიდან, № 1974.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი დ ა მ ა რ ტ ი (გვ. 261) მთქმელი ლასურაშვილი, ჩაწერილია ს. დიღომში 1952 წ. ხალხური სიტყვიერების მასალები, II, შედგენილი ჯ. სონღულაშვილის მიერ, ელენე ვირსალაძის რედაქციით. 1957 წ.

ა რ ც შ ე ნ შ ე გ რ ჩ ე ბ ა, მ ე ფ ე ო (გვ. 262), მთქმელი მიხეილ სონღულაშვილი, ჩაწერილია დიღომში 1951 წ. ხალხური სიტყვიერების მასალები, შედგენილი ჯ. სონღულაშვილის მიერ 1957 წ.

გ უ რ გ ე ნ მ ე ფ ე (გვ. 264) მთქმელი ექვთიმე ახვლედიანი, ცაგერში ჩაწერილი მ. ალავიძის მიერ. მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება.

უ ც ე ე ს ხ ლ ო დ ა დ უ ღ ე ბ უ ლ ი ქ ო თ ა ნ ი (გვ. 265) მთქმელი დარო გურასპაშვილი, სოფ. გრემის მცხოვრები; ჩაწერილია ქსენია სიხარულიძის მიერ 1943 წელს.

გ ა ქ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ქ ა ლ ა ქ ი (გვ. 266) თ. რაზიკაშვილი, ქართული ხალხური ზღაპრები, II, 1952 წ.

მ ე ა ბ უ რ ე დ ა გ ლ ა ხ ა (გვ. 268) თ. რაზიკაშვილი, ქართლში ჩაწერილი ზღაპრები, თბილისი, 1952 წ. ტ. II.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი ს ა მ ბ ა ვ ი (გვ. 271) ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, I, 1937 წ.

ღ ვ ი ნ ო დ ა ლ ი ე, ლ ო მ ი დ ა ს ძ ლ ი ე (გვ. 273) ჩაწერილია ანტონ მირაქიშვილის მიერ. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II, თბ. 1958 წ.

მ ე დ ა ვ ი თ ნ ე დ ა ყ ვ ა ვ ი (გვ. 275) მთქმელი მიხეილ სონღულაშვილი ჩაწ. ს. დიღომში ჯ. სონღულაშვილის მიერ 1951 წ. ხალხ. სიტყვ. მასალები, II, 1957 წ.

თ ე ქ ი ა ნ ი თ უ შ ი (გვ. 276) მთქმელი კ. დინგაშვილი, ზემოალვანის მცხოვრები. ჩაწერილია ლევან ჭრელაშვილის მიერ.

ს ო ლ ო მ ო ნ მ ე ფ ი ს კ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი (გვ. 277) აკაკის კრებული, 1897 წ. № III, განყ. I.

ა მ ბ ა დ გ ა გ ო ნ ი ლ ი (გვ. 280) იქვე.

შ ა ჰ-ა ბ ა ზ ი, ქ ე თ ე ვ ა ნ დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა ს ა ზ ღ ვ რ ი ს მ ც ვ ე ლ ი. (გვ. 281) საინგილოში ჩაწერილი და დამუშავებული ალექსანდრა ჩხენკელის მიერ.

სარჩევი

წინასიტყვაობა (ე. ვირსალაძე) 5

ეპოსი

თქმულებანი ამირანზე
ამბავი ბადრისა, უსიპისა და ამირანისა 9
ამირან დარუჯანაშვილი . . . 29
ამირანის ლექსი . . . 37
ამირანი 51
ეთერისა და აბესალომის ამბავი 61
ტარიელის ზღაპარი . . 69
როსტომიანი . . . 83

ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები

სამშობლოსათვის

ვახტანგ გორგასალზე 94
დარუბანდის კარები 96
თამარი . . 97
თამარ მეფის ვაჟი . 98
ერისთავის პასუხი . . 100
ბარალეთი . . . 100
და-ძმობის ძალა . . . 101
თმოგვი და დამკალი . . 102
რაინდული ერთგულება 103
ლოჭინის ხეობა . 104
თვრამეტი ძმა . 105
თამარულ ჭინჭარაული 106
სურამის ციხე . . 106
ბახტრიონის აღება . . 107
ზეზვაის ცხენის საფლავი . 109
მოხერხებული დედაბერი . 110
თევდორე მღვდელი . . 111
შალიკი სულთანიშვილი . 112
ლაწუნდარა . . 113
მურის ციხე . . 116
ცხრაწყარო . 117

აბუდელაურის ტბა . . . 117
მზეთუნახავი და ოქროს მამალი . 118
მეჯლისი 120
რომ გაბედოს? 121
თქმულება სამას არაგველზე . . 121
მეფე ერეკლე და მთიელები . 122
ქართველი ქალი . . . 125
კალოუბანი . . 125
მახათაძე 126
გელა ნათელაშვილი . . 128
მაია წყნეთელი . . . 130
თამრო ვაშლოვნელი . 133
თინა წავკისელი . 136
ხრესილის ომი 137

თავისუფლებისათვის

მამუკა ქალუნდაურის ხმალი 142
გლეხთა დამცველი ლაზნელები . 144
არეშიძეების გაწყვეტა . . 146
ყაფსოღ გოშთელიანი . . 148
სახევოების ბრძოლა . . . 150
უშგულელთა შურისძიება . 151
ქალის ციხე . . . 152

შრომა, მშენებლობა

თბილისის დაარსება . . . 155
დავით აღმაშენებელი . . 155
უფლისციხის აშენება 157
ოთინკოს აბანო 157
მოსწრებული სიტყვა . . . 158
წითელი საყდარი 159
თამარ მეფე და მისი ძმა 159
ხარისა და ირმის შეჯიბრი . . . 160
მაღალ მთებზე აშენებული კოშკები . . 161
ჯეფირი, ატენი, ტანა და ხოვლე . . 161
მადნის დამუშავება წედისში . . 162
ერეკლეს მასპინძელი . . 164
დათვი, მგელი და მელა . 165
საფარის მონასტრის აგება . 166
კახეთის ზღვა 167

ასე სწამდათ ძველად

ნადირობისა 168
ბეთქენი 169
დალი და მონადირე ალმასგილ . . 171

ლალი და მონადირე მეფისა . . . 173
ყურშა და ივანე ქვაციხისელი . . . 174
ტყაში მაფას შურისძიება . . . 179
ნადირთ პატრონი და-ძმა . . . 180
ტყის ქალი 180
ალი 184
მონადირე ნაწუკა 184
ხოგაის მინდის ამბავი 185
თეთრი გველის ამბავი 187
კოპალა 188
დევი 196
დევები და ღარიბი გლეხი 196
ჯამაგიძის წყარო 197
ფულდუ ქალდანის ასული . . . 198
ღვთისმშობლის და დევის ჩხუბი . . 200
ელია, ქრისტე და წმინდა გიორგი . . 200
გაქვავებული ცხვარი და მეცხვარე . . 202
მეცხვარე და მარტი 203
ღმერთი და ქრისტე 203
ხარება და ხარხარებაო... . . . 205
ელია ხარაზი 205
ტბა ერძეგაშრა 206
ბუმბერაზი ოღუზები . . . 207
ხვამლი 208
ქალქვა 209
და-ძმა 210
ძარწემის წმინდა გიორგი . . . 212

სიყვარული, რაინდობა

ქალიაყვანა 213
სამგორი 214
დაიღუპოს, თუ ცუდი განზრახვით მოდის . . . 215
თამარის კლდე და შოთას მთა 216
შოთას ნათქვამი 216
თამარ მეფის საფლავი ვარძიაში 217
შოთა რუსთველის ვინაობა 218
წოვის ქალი 219
ძეძვის ბუჩქი ორ სამარეს შუა 220
დედის გული 221
სამართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს . . 222
გულთმისანი მგოსანი 225
დათუნა გოცირიძე 227
ოთია მესხი 228

ორთაბრძოლა 229
ოსი გმირი ჯანხოტაშვილი . 232
რუხის ომი 233
არშის ციხე 236

რატომ და როგორ

როგორ წარმოიშვა სტვირი 239
თამარ მეფე და შუქურვარსკვლავი . . . 239
რატომ ჰქვია ვარძია 240
როგორ გაჩნდა ბუ 240
მოდინახე 241
გოგიას და პეტრეს ციხე 241
რატომ ჰქვია კახი ინგილოთა სოფელს 242
კუ 243
რატომ არის, რომ შინდი მაღალი არ იზრდება . . . 243
როგორ გაჩნდა ოფოფი 243
როგორ გაჩნდა „გამარჯობა“ 244
უშბა და თეთნულდი 244
რატომ არ ხარობს ვენახი სვანეთში 245
ვაზი და ბულბული 245
ლეგენდა ერწოს შესახებ 246
ყვავსაყდარა 247
რატომ არის საქართველოში ბევრი ლამაზი . . . 248
რატომ არ ეკარება ფუტკარი ზოგიერთ ყვავილს . . 248
როგორ გაჩნდა ქვეყანაზე მთები და ხეები . . . 249
ყვარელი 249
რა დროიდან ემსახურება ძაღლი ადამიანს . . . 250
ძაღლის ლუკმა 251
რატომ ჰქვია სოფელს გლოლა . . . 251
რატომ წივის ძერა 252
რატომ არ ჩანს ქალის საქმე . . . 252
მამისონის უღელტეხილი 253
როგორ გაჩნდა ღვინო . . . 254
ვერცხლის ტბა 254
კამეჩი 255
ქოშიგორა 255
სოფელი გლოლა . . . 256
სოფელი წესი . . . 257

თურმე

თამარ დედოფალი 258
ხარის ტყავი 259
არაბულთა მოტაცება 260

მოსწრებული პასუხი . . . 261
თებერვალი და მარტი . . 261
არც შენ შეგრჩება, მეფეო . 262
გურგენ მეფე 264
უცეცხლოდ ადუღებული ქოთანი . 265
გაქვავებული ქალაქი . . . 266
მეპურე და გლახა 268
ალექსანდრე მაკედონელის ამბავი . 271
ღვინო დალიე, ლომი დასძლიე . 273
მედავითნე და ყვავი 275
თექიანი თუში 276
სოლომონ მეფის კარისკაცები . . . 277
ამბად გაგონილი 280
შაჰ-აბაზი, ქეთევან დედოფალი და საზღვრის მცველი . . 281
შენიშვნები 284

გამომც. რედაქტორი გ. ხ ო რ ნ ა ე ლ ი
მხატვარი ე ამაშუკელი
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექრედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი ნ. ჯოლოხავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XII-64 წ.
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 18,75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,17
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 1147
ფასი 91 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50